114/3
1980

ეროვნული ბიბლიოთეკა

ISSN 0132—599 X

# მნათობი

6

1980

ეროვნული ბიბლიოთეკა



გიორგი ლეონიძე
დაბადებიდან 80 წლისთავის გამო

# მნათობი

ყოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 57-ე | № 6 | ივნისი, 1980 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

## შინაარსი

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე . . . . . . . . 3
ნაზი თარგამაძე — ლექსები . . . . . . . . . . . . . 6
იუზა ქაჭეიშვილი — მღვრიე ზოლი. მოთხრობა . . . . . . . 9
ვანო ჩხიკვაძე — ლექსები . . . . . . . . . . . . 21
ზაბურა არაბული — ლექსები . . . . . . . . . . . . 26
მარინე წოწკოლაური — როცა ძმებს სძინავთ... მოთხრობა. . . . . . . 28
მამუკა წიკლაური — ლექსები . . . . . . . . . . . 36
გენო კალანდია — ლექსები . . . . . . . . . . . . 41
მურად ნებიერიძე — ლექსები . . . . . . . . . . . . 45
ზურაბ ქართლელი — ლექსები . . . . . . . . . . . . 47
რევაზ ჯაფარიძე — მძიმე ჯვარი. რომანი. გაგრძელება. . . . . . . . . . 49
ოთარ ჭელიძე — აია-კოლხიდელი ზღვაოსანი. პოემა. გაგრძელება. . . . . . 73
აკაკი გეწაძე — ფეხშიშველა სასიძო. დასასრული. . . . . . . . . . . 83
ვლადიმერ ჯანჯღავა — ერთგულება. დივიზიის მეთაურის ჩანაწერები. გაგრძელება 106

### კრიტიკა და პუბლიცისტიკა

სერგი ჭილაია — აკაკი და საქართველო . . . . . . . . . . 119
ვახტანგ ვახანია — ხან მიწისა ვარ, ხან ცისა . . . . . . . . . . 127
გიორგი ციციშვილი — მგოსანი სრულიად საქართველოისა . . . . . . . . 135
შალვა მარკოზაშვილი — სად და როდის დაიბეჭდა ლეონიძის პირველი ლექსი 141
გაბრიელ კვანჭილაშვილი — სამი დღე ლეონიძის გვერდით . . . . . . . 145
ემზარ კვიტაიშვილი — ქართული ლექსი 1979 წელს . . . . . . . . . 148
ზაქარია შერაზადიშვილი — „არჩევანი-არადანის“ განმარტებისათვის . . . . 165
ივანე ენიკოლოფოვი — გელათის რკინის კარები . . . . . . . . . 169

### ფაქტები, მოგონებანი

ლევან ასათიანი — უბის წიგნაკიდან . . . . . . . . . . 174

### წიგნების მიმოხილვა

ირაკლი კენჭოშვილი — ზნეობრივი ძიებანი . . . . . . . . . 191

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

მთავარი რედაქტორი გიორგი ნატროშვილი

**სარედაქციო კოლეგია:**

**ბრ. აბაშიძე, ი. აბაშიძე, რ. ამაშუკელი (მთ. რედ. მოადგილე), ხ. ბერულავა, ო. გიგინეიშვილი, ა. გომიაშვილი, კ. კალაძე, მ. ლებანიძე, ლ. მრელაშვილი, ა. სულაკაური, ა. ქუთათელი, დ. შენგელაია, ნ. წულეისკირი, ვ. წულუკიძე, ო. ჭილაძე, გ. ხარანაული, რ. ჯაფარიძე, გ. ჯიბლაძე.**

**ტექრედაქტორი რ. ჩაკვეტაძე**

**რედაქციის მისამართი:**
**თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 12.**

**ტელეფონები:** რედაქტორის — 93-55-11. მთ. რედ. მოადგილის — 93-55-18, განყოფილებების — 93-55-16, 93-55-17, 93-55-20.

საქ. ცკ-ის გამომცემლობა, 1980

გადაეცა ასაწყობად 13/VI-80 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 20/VI-80 წ., ანაწყობის ზომა 7¼×12, ქაღალდის ფორმატი 70×108 1/16, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 12, პირობითი თაბახი 16,58.
უე 08539. ტირაჟი 19.350. შეკვ. 1354
ნაბეჭდი ფურცელი 13, სააღრ.-საგამომცემლო
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა,
თბილისი, ლენინის ქ. № 14.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე

ეს არის დიდი დღე, აღსავსე საკაცობრიო შინაარსით, სიცოცხლის უღრმესი სიყვარულით, აწმყოსა და მომავლის ტრფიალით; ეს არის დიდი ზეიმი ჰუმანიზმისა, რომელიც მსოფლიო ლიტერატურის ისტორიიდან გამოიხმობს და გაგვახსენებს ყველაზე მომხიბვლელ, ყველაზე სანუკვარ სახეებს და მუდამ სამახსოვრო სტრიქონებს.

„მიყვარს, მიყვარს, მე ტიკტიკი ჩვილი ყრმის, მიყვარს სმენა უცნაურის მისი ხმის“, — ბარათაშვილის ამ სტრიქონებს მოჰყვა ილია ჭავჭავაძის „ნანა“, აკაკი წერეთლის „იავ-ნანა“ — „გაივსე და გაიზარდე პატარა მთვარეო, შეისწავლე და შეიტკბე სამშობლო მხარეო“, და ყველაფერი ეს დააგვირგვინა იაკობ გოგებაშვილის დაუვიწყარმა მოთხრობამ „იავ-ნანამ რა ჰქმნა“.

ეს დღე გვახსენებს და გამოიხმობს არა მარტო მშობლიურ, არამედ მთელი მსოფლიო ლიტერატურის უმშვენიერეს სახეებს, მათ შორის ვიქტორ ჰიუგოს ბრძნულ სიტყვებს:

„რასაც ბულბული გალობს, იმას ბავშვი ტიკტიკებს. იგივე საგალობელია, საგალობელი გამოურკვეველი, ნალუღლუნევი, გულის სიღრმიდან ამოძახილი. ბავშვი უფრო გრძნობს, ვიდრე მგალობელი ფრინველი მწარე ბედისწერას ადამიანისას. ამიტომ არის, რომ პატარა ბავშვის მხიარულ გალობას ჰმუნვით ისმენს მოზრდილი. დედამიწაზე ვერას გაიგონებს კაცი იმისთანა ტკბილსა და წმინდას, როგორიც არის ადამიანის სულის ღიღინი ბავშვის ბაგეზე, შეუგნებელი განცდა აზრისა, რომელიც ჯერ მარტო ალღო არის, და ტკბილად შეჰღაღადებს მარადიულ სიმართლეს“.

„ბავშვის ღუღუნი უფრო მეტია და ნაკლები, ვიდრე სიტყვა. ნოტები არ არის, მაგრამ გალობაა. სიტყვის მარცვლები არ არის, მაგრამ სიტყვაა. ამ ღუღუნს ზეცაში ჰქონდა დასაწყისი და აღარ გაქრება ამ ქვეყნად. ბავშვის გაჩენამდე იყო იგი და ბავშვი არის მისი განგრძობა. ბავშვის ტიკტიკი გამეორება არის იმისი, რასაც ამბობდა, როდესაც ანგელოზი იყო და რასაც იტყვის, როცა ადამიანად გაიზრდება. აკვანს თავისი წარსული აქვს, როგორც კუბოს აქვს თავისი მომავალი. ეს წარსული და მომავალი ბავშვების ღუღუნში აერთებენ თავიანთ იმედსა და შიშს. და არაფერი არ ამტკიცებს ისე კარგად მარადისობას, პასუხისმგებლობას, ორმაგობას ბედისას, როგორც ბავშვის ტკბილი ღუღუნი“.

თავის შესანიშნავ რომანში „ოთხმოცდაცხრამეტი წელი“ ჰიუგომ აღწერა როგორ იბრძვის ფრანგი დედა მიშელ ფლეშარი თავისი შვილების გადასარჩენად...

თავის იტალიურ ზღაპრებში გორკიმ მოგვითხრო ამბავი იმაზე, თუ როგორ დაამარცხა დედამ სიკვდილის მთესველი და ბარბაროსი თემურ-ლენგი და მონანიების სიტყვები წარმოათქმევინა; უბრალო სალერნოელმა ქალმა მიახვედრა თემური, რომ დედა უფრო ძლიერია, ვიდრე სიკვდილი, რადგან დედა განუწყვეტლივ უძღვნის ქვეყანას ბრძენს, პოეტსა და გმირს, დედა ზრდის და აყვავებს ყველაფერს, რითაც დიდებული და სახელოვანია კაცობრიობა.

თავის „იტალიურ ზღაპრებში“ გორკი წერდა:

„თაყვანი ვცეთ დედას, რომლის სიყვარულს არა აქვს საზღვარი, რომლის მკერდით გამოზრდილია მთელი ქვეყანა! რაც კი სათნო არის ადამიანში, მზის სხივისა და დედის ძუძუს ნაყოფია; აი რა ქმნის კაცის სულში სიცოცხლის სიტკბოებას.

თაყვანი ვცეთ დედას, რომელიც დაუღალავად გვიძღვის დიდებულთ: არისტოტელი შვილია იმისი, აგრეთვე ფირდოუსი, თაფლივით ტკბილი საადი და ომარ ხაიამი, მსგავსი საწამლავნარევი ტკბილი ღვინისა! ისკანდერი და ბრმა ჰომეროსი — სულ იმისი შვილები არიან, მისი რძით გაზრდილნი, დედაკაცმა შემოიყვანა ისინი ქვეყანაში, როდესაც პატარები იყვნენ, არა თმაღლისა ზამბახისა, დედათაგან გვაქვს მთელი ნეტარება ამ ქვეყნისა“.

კ. მარქსის სახ. საქ. სსრ. სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკა

გორკი ბოლოს დასძენდა:

„დედაკაცი მძლავრია, იმიტომ, რომ უყვარს და ამ სიყვარულმა შეაგნებინა, რომ მისი ბავშვი სიცოცხლის ნაპერწკალია, რომლისაგანაც შეიძლება აღიგრძნოს მრავალი საუკუნის მანათობელი ალი. განა წინასწარმეტყველები ადრე ჩვილი ბავშვები არ იყვნენ და გმირები— სუსტი ძუძუმწოვრები!“

* * *

როგორც ცნობილია, დედამიწის მოსახლეობის ერთი მესამედი ბავშვები არიან. ხოლო ვინ არიან დანარჩენები? მათი დედები და მამები, ბებიები და პაპები, მასწავლებლები და აღმზრდელები, და ყველა მათ — ერთად აღებულთ — ეწოდება კაცობრიობა. და კაცობრიობა მუდამ დაუცხრომელ შრომასა და მოძრაობაშია. ის ცოცხლობს, მუშაობს, ქმნის, ოცნებობს, აღმოაჩენს იმისთვის, რომ უფრო ნათელი და უფრო მზიანი იყოს მისი მომავალი... ხოლო ეს მომავალი კაცობრიობისა მთელი პლანეტის ბავშვები არიან. ადამიანი ზრდის თავის შვილებს იმისათვის, რომ მათ ჩააბარონ არა მარტო თავისი ოჯახი, არამედ სამშობლო, მთელი ქვეყანა, მთელი ჩვენი მწვანედ აყვავებული დედამიწა.

ასე მიმდინარეობს კაცობრიობის ისტორია და აქედან უკვე ნათელია, თუ რა მნიშვნელობა აქვს ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს, რომელსაც მთელი პლანეტა ყოველი წლის პირველ ივნისს ზეიმობს.

ბევრი რამის მომასწავებელია ეს ზეიმი; ის კიდევ ერთხელ შეგვახსენებს, რომ ბავშვები არიან იმედი ყველა ერისა, მათთვის გააქვს გუთანს კვალი ყამირში, მათთვის თენდება გაზაფხული, მათთვის იწერება ყველა ლექსი, მათთვის შენდება ულამაზესი შენობები, საბავშვო ბაღები, სკოლები, სადაც ისინი ეზიარებიან კაცობრიობის კულტურის ყველა მონაპოვარს, რათა თითონ გაიზარდონ მომავლის პოეტებად, ინჟინრებად, მკურნალ ექიმებად, მოსავლის უბადლო ოსტატებად, რათა მოიპოვონ პური არსობისა მომავალი თაობებისათვის.

ბავშვების არსებაში სიმბოლურად განსახიერებულია ერთიანობა წარსულისა, აწმყოსა და მომავლისა და ის, როგორც ხიდი, აერთიანებს სიცოცხლის განუწყვეტელ მდინარებას, საუკუნიდან საუკუნემდე.

და რომ ეს სიცოცხლის განუწყვეტელი მდინარება არ შეფერხდეს, არ შეწყდეს — ამისათვის საჭიროა და აუცილებელია საქვეყნო მშვიდობა, რომელსაც დღეს კვლავ ემუქრებიან ამერიკელი იმპერიალისტები. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის თანაშემწემ — ზ. ბჟეზინსკიმ თავის ამასწინანდელ ინტერვიუში განაცხადა, რომ ბირთვული ომი შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის არ ნიშნავს ცივილიზაციის დასასრულს, და თუ ვინმე საწინააღმდეგოს ამტკიცებს, „სისულელეს როშავსო“.

აი, რაზე ოცნებობენ, საით ისწრაფვიან ამერიკელი იმპერიალისტები.

თუ რაოდენი გააფთრებით ემზადება ამერიკული იმპერიალიზმი ომისათვის, ამის საილუსტრაციოდ საკმარისია მოვიყვანოთ ორი ციფრი — 1949 წლისათვის შეერთებული შტატების სამხედრო ხარჯები შეადგენდა 24.990 მილიონ დოლარს, ხოლო წლევანდელი, 1980 წლისათვის ეს ხარჯები უზომოდ გაიზარდა და შეადგინა 150 მილიარდი დოლარი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, საბჭოთა სახელმწიფო მუდამ განუხრელად იცავდა და იცავს ხალხთა უშიშროებას და მშვიდობიან შემოქმედებით შრომას; 1980 წლის 22 თებერვალს, მოსკოვის ბაუმანის საარჩევნო ოლქის ამომრჩევლებთან შეხვედრაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი ხაზგასმით აღნიშნავდა:

„დიდი და მშვენიერია ჩვენი ქვეყანა, ამხანაგებო, გიგანტურ საქმეებს ვაკეთებთ. და დღეს, ოთხმოციანი წლების მიჯნაზე, როცა ჩაღდება მზადება პარტიის XXVI ყრილობისათვის, ყველა საფუძველი გვაქვს მშვიდად და რწმენით შევყურებდეთ მომავალს. ჩვენი კურსი, ისევე როგორც წინათ, — ეს არის მშვიდობიანი აღმშენებლობის, ქვეყნის თვალუწვდენი სივრცეების შემდგომი გარდაქმნის, საბჭოთა ხალხის მატერიალური და სულიერი დოვლათის გამრავლების კურსი და ვერავინ ვერ გადაგვახვევინებს ამ კურსიდან!

საერთაშორისო ცხოვრების ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი გახდა სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების სამშვიდობო პოლიტიკა, მათი ერთობლივი ბრძოლა დაძაბულობისა და მსოფლიო რაკეტულ-ბირთვული ომის საფრთხის შენელებისათვის. ეს ბრძოლა ახლა კაცობრიობის მშვიდობიანი მომავლის მთავარი საწინდარია.

მშვიდობის განმტკიცებისა და გამალებული შეიარაღების ალაგმვის დარგში ფაქტობრივად ყველა უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება, რომლებიც უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე საერთაშორისო ფორუმზეა მიღებული, აგრეთვე უმნიშვნელოვანესი მოლაპარაკება ამ საკითხებზე, სოციალიზმის ქვეყნების ინიციატივის შედეგია. განიარაღებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის საკითხებზე მათი კონკრეტული წინადადებანი ჩვენს ეპოქაში მშვიდობის უზრუნველყოფის ფართო, შორსმჭვრეტელური და რეალისტური პროგრამაა, მისი განხორციელებისათვის ჩვენ ვიბრძოლებთ, ვიბრძოლებთ მტკიცედ და დაუცხრომლად.

ახლა, როცა იმპერიალიზმის ძალებმა კონტრიერიში მიიტანეს დაძაბულობის შენელებაზე, მშვიდობაზე, ხალხთა უფლებებზე, სოციალისტური ქვეყნების მოქმედების ერთიანობას ამ უმნიშვნელოვანეს ღირებულებათა დაცვაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ამ ისტორიულ ამოცანასაც ჩვენი ქვეყნები, დარწმუნებული ვარ, ღირსეულად შეასრულებენ!

ჩვენი საგარეო პოლიტიკის ძალა ის არის, რომ იგი შეესაბამება როგორც სოციალისტური ქვეყნების, ისე საერთოდ მსოფლიოს მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობის ინტერესებს. და უწინარეს ყოვლისა, იმ ხალხთა ინტერესებს, რომლებიც განთავისუფლდნენ კოლონიური ჩაგვრისაგან და ეწევიან ახალი, დამოუკიდებელი ცხოვრების მშენებლობის ძნელ საქმეს. მათ სოციალისტურ ქვეყნებზე ნაკლებად როდი სჭირდებათ მტკიცე მშვიდობა, სახელმწიფოების სუვერენიტეტისა და ხალხების უფლებათა უთუო პატივისცემა, ნამდვილად თანასწორუფლებიანი საერთაშორისო ურთიერთობა“.

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს ჩვენი პლანეტის მოწინავე ადამიანები სრული დაჯერებითა და მტკიცე რწმენით იმეორებენ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვებს:

„ბავშვები ხომ ჩვენი მომავალია. მათ უნდა განაგრძონ თავიანთი მამებისა და დედების საქმე. დარწმუნებული ვარ, ისინი ცხოვრებას ქვეყნად უფრო უკეთესსა და ბედნიერს გახდიან. ჩვენი ვალი კი ის არის, რომ ვეცადოთ, რათა არც ერთი ხალხის ბავშვებმა არ იცოდნენ რა არის ომები, რომ მათ მშვიდი, სასიხარულო ბავშვობა ჰქონდეთ“.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნაზი თარგამაძე

## მოგეფერებით ლექსით

მყავს უამრავი შვილი,
განა ათი და ასი,
ჩემად მეგულვის მთელი
მსოფლიოს ბავშვთა დასი.

ვისიც არ უნდა იყო,
ბავშვო — ყრმაო და ჩვილო,
ჩემთვის ერთი ხართ ყველა —
ჩემო და სხვისო შვილო.

თვალაზრიანო ბიჭო,
თვალეშმაკუნა გოგოვ,
რომ არ ვიფიქრო თქვენზე
გამითენდება როგორ!

მე ყველაფერი მხიბლავს
თქვენეულ სიბრძნით თქმული,
დიდი ოცნება მიყვარს
თქვენი პატარა გულის;

თქვენი ცელქობაც მხიბლავს,
ურჩობაც მხიბლავს თქვენი,
დახატული მზე მიყვარს
თქვენი პატარა ხელით.

ის ეშმაკობაც ზოგჯერ
ცრემლს რომ ტყუილად დაღვრით,
რომ დაგამშვიდონ ხოლმე
ლექსებითა და ზღაპრით.

თუ წამოგტკივდათ ყური,
ან თუ გეტკინათ ყელი,
ერთი პატარა ლექსი
წამალივითა გშველით.

ლუკმას არ შეჭამთ ზოგჯერ
თუ არ გითხარით ლექსი,
თქვენ გენაცვალეთ ყველას,
ლექსის გემო რომ გესმით.

ჩემო სიცოცხლის მზეო,
გულო და თვალის ჩინო,
მოგეფერებით ლექსით
ჩემო და სხვისო შვილო!

## სამშობლოს სიყვარული

ბებიკოს ვკითხე: ჩემს გულში
როგორ ეტევით ნეტავ?
მამიკო, ბაბუ. შენა და
ჩემი ლამაზი დედა;

ქეთი, მანანა, პაატა,
გიგი, ნინო და ლელა,
პატარა სოფიც რომ გაჩნდა
გულში ჩავისვი ხელად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასწავლებლებიც, ბებიკო,
განა ერთი და ორი,
ჩემი ჯგუფელი ბავშვებიც
ყველა გულში მყავს მგონი.

ზღვაც გულით დამაქვს, ლურჯი ცაც,
მზეც, ნათელი და თბილი,
მთელ სოფელს გულში ვიტევ და
გულით ვატარებ თბილისს.

ბებო! მითხარი, გჯერა თუ,
არ გჯერა ჩემგან თქმული,
მეჩვენება თუ ქვეყანას
მართლა ვატარებ გულით.

ბებიკომ მკერდში ჩამიკრა
მთელი სულით და გულით,
მითხრა: — ეგ არის, რაც არის
სამშობლოს სიყვარული.

## წ ვ ი მ ა ვ

ზოგჯერ როგორ ვნებს და
ზოგჯერ როგორ შველის
ზვრებს და ბაღჩა-ბაღებს
წვიმავ, მოსვლა შენი!

რად გახდები ხოლმე
ზოგჯერ სანატრელი,
ზოგჯერ მეტისმეტად
მოსაბეზრებელი.

თუ სწყურია მიწას,
თუ სჭირდები ბაღებს,
მაშინ მოშხაპუნდი,
მაშინ გაგვალაღე!

## ქ ა რ ო!

ღიღინით რომ მოხვალ,
როცა ნიავ-ქარობ,
მაშინ, სიო რომ ხარ,
და არსაით ჩქარობ,

მაშინ, რომ არ გიჟობ,
და როცა არ მთვრალობ,
რა კარგი ხარ მაშინ,
რა კარგი ხარ ქარო!

გაავებულ ყეფით
მოვარდები როცა,
ვის დასცდება მაშინ
ქარო, შენზე ლოცვა!

ყანას მოსპობ, ან თუ
თმებს დააგლეჯ ძეწნას,
და ნაფერებ ხეებს
ტოტებს შეულეწავ.

ვის სჭირდები მაშინ,
ვის უნდიხარ ქარო,
უმიზეზოდ მწყრალო,
უწესო და მთვრალო!

## მ ზ ე ო!

შენს სილამაზეზე,
თუ შენს სიკეთეზე,
რაღას არ ამბობენ
მზეო, მზეო, შენზე!

რა იარსებებდა
დედამიწაზეო,
რომ არ გვაცოცხლებდეს,
რომ არ იყოს მზეო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰო, და ზოგჯერ როცა
იმალები მთაში,
მზეო ამოდიო,
გიხმობს ყველა ბავშვი!

თუ არ ჩანხარ, გნატრობთ
მთელი ქვეყნის მნათობს,
რადგან გვაცოცხლებ და
რადგან ყველას გვათბობ,

მაგრამ ზოგჯერ მზეო,
რომ ჩადიხარ ზღვაში,
ალბათ ცივდები და
ავად ხდები მაშინ.

თორემ რად გვწვავ ხოლმე
ზოგჯერ მეტისმეტად,
სიცხეს ხომ არ გაძლევს
მაცოდინა ნეტავ!

## ᲯᲔᲠ ᲐᲠ ᲛᲝᲛᲬᲧᲣᲠᲔᲑᲘᲐ

შვილო, ცოდნის სურვილი
ნუმც დაგიოკებია,
სწავლა მუდამ გწყუროდეს,
მეტყვის ხოლმე ბებია.

ცოდნა რომ მსურს ყველაფრის,
თავად იცის ბებიამ,
წყალსაც ბევრს ვსვამ, სწავლა კი,
ჯერ არ მომწყურებია.

## ᲗᲣᲙᲘ ᲛᲐᲠᲗᲚᲐ ᲔᲠᲗᲘ ᲛᲖᲔᲐ

თუ ბურთსა ჰგავს დედამიწა
და მზის ირგვლივ ტრიალებს,
თუ ის ერთი მზე აქვთ ქვეყნის
ყველა ადამიანებს,

თუ კი მართლა ქვეყანაზე
ერთი მზეა ნამდვილად,
ის ერთი მზე ჩემს ოთახში
როგორ გაჩნდა ამ დილას?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ᲘᲣᲖᲐ ᲧᲐᲭᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ

# ᲛᲦᲕᲠᲘᲔ ᲖᲝᲚᲘ

### ᲛᲝᲗᲮᲠᲝᲑᲐ

„მარინე სამსახურში წასულა!“ — გაღვიძებისთანავე გაიფიქრა ბიჭმა, საბნის კიდე გადასწია და ტანსაცმლისკენ გაიწოდა ხელი...

გოგოს მოესწრო ოთახის დალაგება, საუზმეც მოემზადებინა მაგიდაზე...

ყრუ სინანულმა მოუწურა გული:

აი, ადგება ახლა — ჩაიცვამს, გაიხურავს ქოხის კარებს და სამუდამოდ გაეცლება იქაურობას...

„მივდივარ, მარინე. მშვიდობით. ორივესთვის უმჯობესია!..“ — რაღაც ამდაგვარს წაუჩხაპნის ქაღალდზე და გასრულდება კიდეც მათი სიყვარული, — სიყვარულია, გარყვნილებაა, თუ რაც არის!..

თორმეტზე ძმას უნდა შეხვედროდა ბულვარის მთავარ შესასვლელთან, — წუხელ მოგვიანებით დაურეკა და გამოუტყდა, შინ დაბრუნებას ვაპირებო. დიდი აღფრთოვანება არ დასტყობია ლევის, მაგრამ მთავარი მაინც ის იყო, მამისაგან რა ამბავს მოუტანდა...

მარტო ოჯახმა კი არა, მთელმა სანათესაომ მოიკვეთა ნუგზარ დიასამიძე, მარინეს გამო. არადა, მართლაც, დრო იყო ცხოვრებაზე ეფიქრა, რამე გზას დასდგომოდა... ოღონდაც, იმაზე ეთანაღვლებოდა გული, ასე ქურდულად რომ მიიპარებოდა!

ნეტავ რას იტყოდა საღამოხანს, შინ დაბრუნებული, იმ ბარათს რომ იპოვნიდა მაგიდაზე?..

ეზოდან ისმოდა საწვიმარ მილებში მომსკდარი წყლის ჩქაფანი, — ქოხის სახურავს თითქოს საფანტს აყრიდნენ, ფანჯარასთან კი მაგნოლიის ფოთლებს აცეკვებდნენ უჩინარი წვეთები...

კარის ჭრიალი შემოესმა ანაზდად. მიიხედა და დანაშაულზე წასწრებულივით, ტანსაცმელს ცივად შეუშვა ხელი: ზღურბლზე მარინე იდგა!..

გოგომ ლაბადა გაიხადა და კედელზე დაჰკიდა, შავი კაბა ეცვა, — ხელში ჯერ ისევ ეჭირა მუშამბის ყავისფერი ჩანთა, საიდანაც ძაფზე ასხმული გაგორგლილი ბილეთები ჩანდა... კონდუქტორობა აგერ ახლა დაიწყო, — შარშან, ერთმანეთი რომ გაიცნეს, კინოთეატრში მუშაობდა მოლარედ.

* * *

იმ საღამოს ბიჭს კინოში შესვლა მოეგუნება და სალაროს მიადგა ბილეთის საყიდლად... მისი ყურადღება მაშინვე მიიპყრო ცხაურიანი პაწია სარკმლის მიღმა, ნახევრადჩაბნელებულ, ვიწრო

საკანში მჯდარი ქალიშვილის სევდიანმა, ფერმკრთალმა სახემ...

უსიტყვოდ გაუწოდა ფული.

„ერთი?..“ — ჰკითხა იმან და მზერა მოსწყვიტა გადაშლილ წიგნს. მერე სარკმლის ოვალურ ჭრილში გამხდარი ხელი გამოჩნდა, რომელმაც პლასტმასის ჩაღრმავებულ ლანგარზე ბილეთი დადო და ზედ ლითონის წვრილი ხურდა დაჰყარა.

„დიახ, ერთი... — მიუგო ბიჭმა. — ასე მარტოდმარტო დავეხეტები ამ ქვეყნად!“

ქალიშვილს გაეღიმა:

„რატომ მერე?.. — მხრებზე ჩამოშლილი თმა შეისწორა. — რომ იცოდეთ, რამდენი კარგი გოგო დადის თქვენსავით მარტო!“

უცებ იმისთანა პასუხი მოიფიქრა, სიხარულისაგან ლამის აცმუკდა:

„განა არ ვიცი, მაგრამ ძნელია იმ ერთის პოვნა, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ჩემთვის არის ქვეყნად გაჩენილი!..“

ქალიშვილმა ფიქრიანი მზერა მიაპყრო:

„სწორი ბრძანდებით, ბატონო... ადამიანი, თითქოს, გაჭრილ ვაშლსა ჰგავს, ხოლო იმ მეორე ნახევარის პოვნა, ზუსტად რომ მოერგება და გაამრთელებს, იოლი როდია!“

„რა ლამაზად გამოგივიდათ, — აღტაცება ვერ დამალა ბიჭმა. — სიყვარული გაგვამრთელებს მხოლოდ, ცალცალკე კი მართლაც ნახევარს ვგევართ!..“

იმ საღამოს შინ მიაცილა და მერე ყოველდღე ხვდებოდნენ ერთმანეთს. ობოლი გოგო იყო მარინე, — შინაბერა მამიდას გაეზარდა სამადლოდ. ქალს უკურნებელი სენი სჭირდა თურმე, და იმის შიშით — უპატრონოდ არ დამირჩესო, რვა კლასის დამთავრებისთანავე გაეთხოვებინა ვიღაც ხანშიშესულ, „შეძლებულ“ კაცზე, მაგრამ ქორწინებას არ გაემართლებინა და წლის თავზე უკანვე გამოქცეულიყო. მალე მამიდაც გარდაცვლილა და ეს ქოხილა დარჩენოდა თავშესაფრად... ყველაზე მეტად აი, რა მოსწონდა: ქმრისგან ხომ უკვე დასცდენოდა ფეხი ცხოვრებაში ამ ლამაზ გოგოს — თითქმის ბავშვს — მაგრამ იოლ გზას მაინც არ გაჰყოლია, შავ სამუშაოსაც არ თაკილობდა და თვითონვე იმკიდა არსებობის პურს!..

გადაწყვიტა ცოლად შეერთო, მაგრამ ერთი ამბავი დააწიეს შინაურებმა: იმ უთვისტომო გოგოს შინ როგორ შემოგვიყვანინებთო, — ხომ არა გგონია ეს შვიდი წელი, რაც ქმარს გაშორდა, იჯდა და შენ გელოდებოდაო...

ბევრი აღარ უფიქრია, — ადგა და თვითონ გადმოსახლდა ამ ქოხში!..

* * *

— გღვიძავს, ნუგო?.. — ჩვეულებრივი ალერსიანი ხმით ჰკითხა და ჩანთა ფანჯრის რაფაზე შემოდო. სველი თმა ყვრიმალებზე მიჰკვროდა.

— მე შენ სამსახურში მეგონე, მარინე... — წაიდუდღუნა ბიჭმა.

— დისპეტჩერს ვთხოვე და მეორე ცვლაში გამიშვა დღეს... — გარდერობის კარს მოეფარა კაბის გამოსაცვლელად. — ცუდად იყავი წუხელ. — მთელი ღამე კვნესოდი .ახლა როგორა ხარ?

— რა მიჭირს...

— ადექი აბა, ვისაუზმოთ. ყავასაც მოგიდუღებ! — კარი მიხურა და გარდერობს გამოშორდა. ზოლებიანი გრძელი ხალათი მოხდენილად ადგა თეძოებზე.

ბიჭი უხალისოდ იცვამდა...

გოგომ ცილინდრისებური საფქვავი და სპილენძის ყავადანი გამოიღო კარადიდან... მალე ოთახი ყავის საამო სურნელებამ აავსო.

ერთმანეთის პირისპირ დასხდნენ, სამზარეულოს პაწია მაგიდასთან.

„ნეტავი შეიძლებოდეს ტკბილად და მშვიდობიანად განშორება!..“ — ნატრობდა ბიჭი.

— იცი, რა უნდა გითხრა?!. — უცნაური სხივი ჩაუდგა თვალებში გოგოს.

— ეჰ, — რა უნდა მითხრა... — ხელი

ჩაიქნია. — მივდივარ მე, მარინე!..

— სად მიდიხარ?.. — ჰკითხა გაკვირვებულმა.

ბიჭი კარგა ხანს ყოყმანობდა.

— არსად... — მიუგო მერე. — გავალ ქალაქში, გავივლი...

— ჰო, — გადი, გაისეირნე; უკვე გადაიღო წვიმამ!

„ეგრე სჯობია, — გაიფიქრა მან. — აღარც ავს ვიტყვი, აღარც კარგს, — ავდგები უბრალოდ და წავალ!..“ მაგრამ მაინც ვერ მოითმინა:

— სასეირნოდ მაქვს ვითომ საქმე, მარინე?!.

— მე დარწმუნებული ვარ, შენ ისევ მიუბრუნდები წერას... — მტკიცედ უთხრა და ფინჯანი მაგიდაზე დადგა. — მე მჯერა, შენ გაიმარჯვებ, ნუგო! — ბოლო დროს, უბრალოდ, გადაიღალე!..

— არა, აღარასოდეს... — ადგომა დააპირა.

— ოღონდაც, ჯერ წვერი გაიპარსე, — შეაჩერა გოგომ. — ახლავე წყალს დავადგამ... შარვალსაც უნდა ცოტა უთოს გაკვრა, ამ დილით ველარ მოვასწარი.

ბიჭი მაგიდაზე წაიხარა და თმაში შეუცურა ხელი:

— სადაც არ უნდა ვიყო, როგორც არ უნდა ვიყო — ასი წელიც რომ ვიცოცხლო — შენ ვერ დაგივიწყებ მარინე!..

— რანაირად ლაპარაკობ, ნუგო?.. — შემკრთალი მიაჩერდა.

ბიჭი ადგა, კარებთან მივიდა — ლაბადა ჩამოიღო და გასვლისას წამით მოტრიალდა:

— რაო, წეღან, რა გინდოდა გეთქვა?..

— არა, არაფერი... ფინჯანს დასწვდა და შავი სქელი ნალექით მოფარულ ფსკერს ჩააშტერდა.

ბიჭი კიბეზე ჩადიოდა უკვე...

ერთადერთი ხელნაწერები ეკუთვნოდა ამ ოჯახში და ისიც ამ ათიოდე დღის წინ გაანადგურა — ასე, რომ წამოსაღები არაფერი ჰქონდა: ხელები ჯიბეებში ჩაეწყო, პირში სიგარეტი გაეჩარა და ნავსადგურის გასწვრივ სანაპიროზე მიაბიჯებდა... მომცრო ფელუკები, ორჩხომელები და კარჭაპები დამფრთხალი წიწილებივით მიყუჟულიყვნენ ზღვის უბეში. სამგზავრო ბაქანზე ჩამომდგარ ვეება თეთრ გემს ტალღა არწევდა და სველი ბაგირი დაჭიმვისას წვეთებს ჰყრიდა, — თოლიები კი გულსაკლავად წიოდნენ...

* * *

დევის ზედ ბულვარის შესასვლელთან გაეჩერებინა მანქანა—კარი გამოეღო, ცალი ფეხი ყინჩად ძირს ჩამოედგა და საჭეზე გაშლილ გაზეთს ათვალიერებდა. გახეხილი „ჯინსი“, მაღალქუსლიანი „შიბლეტები“ და ყავისფერი ქურქი ეცვა, რომლის ქვეშ ნაცრისფერი ჯემპრი უჩანდა... სამი წლით უფროსი იყო ძმაზე, თუმცა ინსტიტუტი ერთად დაამთავრეს. საკონსერვო ქარხანაში მოაწყო მამამ, — თვითონაც ივარგა და მალე მთავარ ინჟინრობას მიაღწია. ეს შავი „ზიმი“, ეტყობოდა, წელს შეეძინა — ადრე ჟანგისფერი „პობედა“ ჰყავდა...

ხოლო ნუგზარ დიასამიძის ცხოვრება ცოტა სხვანაირად წარიმართა: სტუდენტობისას ლიტერატურამ გაიტაცა ბიჭი — ერთი მოთხრობა კიდევაც გამოაქვეყნა და ტექნოლოგის დიპლომი რომ აიღო, თავს უკვე მწერლად თვლიდა... მშვენიერი ადგილი უშოვა მამამ ლუდის ქარხანაში, მაგრამ ლუდს როგორღა დაუდებდა გულს, როცა ქვეყნად ამდენი რამ აღელვებდა და აფორიაქებდა. ერთი სიტყვით, ლიტერატურამ შეიტყუა და შეიყოლია — წერისა და კითხვის მეტი არც არაფერი ახსოვდა... მერე ის იყო, მარინეს გადაეყარა და ოჯახიდან გაძულებული ახლა მას დააწვა კისერზე სარჩენად, — ლიტერატურულ საქმიანობას კი წარმატება აღარ მოჰყოლია: რედაქციები უკანვე უბრუნებდნენ დაწუნებულ მოთხრობებს, თან აგრძნობინებდნენ — ამ საქმისათვის არა ხარ

დაბადებულიო... ასე, თვალსა და ხელს შუა, გაფრინდა ოთხი წელი!

— მათრახით ხარ საცემი...—მიახალა დევიმ და თვალები გადმოუტრიალა. ჯერ ერთი, როგორ დადიხარ, — სულ დაგიკარგავს თავმოყვარეობა!..

მართლაც, ძლიერ მოეშვა ბოლო დროს: ის ერთი ხელი თამბაქოსფერი კოსტუმი, შინიდან რომ გამოჰყვა, ისე იყო უკვე გაქუცული და გამოხუნებული, ძველმანებში გეგონებოდათ ამოძებნილი; „იტალიური" ლაბადაც იმდენ ალაგას გამოსწვოდა სიგარეტით, ტყვიებით დაცხრილულს ჰგავდა. ჩავარდნილ ლოყებზე ქალალი წვერი მოსდებოდა, თმა აწეწოდა... ან კი რაღა სახსენებელი იყო თავმოყვარეობა, როცა თვითონვე ალიარა მარცხი და ოჯახთან შერიგება ითხოვა!

— დაჯე ჰო, რა გამოლენჩებული მიყურებ... — დევიმ ფეხი ძარაში შედგა და კარის სახელურს წაეტანა.

— ბულვარში გავიაროთ ცოტა... იქ ვილაპარაკოთ. — სთხოვა ბიჭმა.

დევი მანქანიდან გადმოვიდა — გაუგონა... ლიპი წამოზრდოდა, ჭროლა თვალები კიდევ უფრო ღრმად ჩაჰკარგვოდა სიმსუქნისაგან წამობერილ ლოყებში.

— სად გადაიკარგე წელს, — ზღვაზეც აღარ ჩანდი!

— ვმუშაობდი... — მიუგო მან და თმაზე უხერხულად გადაისვა ხელი, — შინ ვიჯექი, ვწერდი...

— ოჰო, — გამოაჯავრა დევიმ, — მუშაობდა ბიჭი, შინ იჯდა!.. — მერე ერთბაშად შეიცვალა კილო. — მითხარი, თუ ძმა ხარ, რამ გადაგრია ეს ტექნოლოგი კაცი, და საერთოდ, რაღა დროს წერაა ამ მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში, — ვერა ხედავ, ხალხი ჭამა-სმასა და დოსტარებაზეა გადასული — ყველა იმას ფიქრობს, რა იშოვოს და ოჯახში რა შეიტანოს!.. ან რა მოთხრობა იყო, ის მოთხრობა — ჩვენში დარჩეს და — შენ რომ დაბეჭდე: სად გაგონილა, კაცმა ცურვა არ იცოდეს და სხვის გადასარჩენად კი გადაეშვას ადიდებულ მდინარეში... საით მიდიხარ, — მაქეთ... რა გინდა?

— ზღვაზე ჩავიდეთ, დევი... ნახე, რა მაგარი ღელვაა, — რა მაღლა ისვრის ტალღა შხეფებს!

ასფალტი გამშრალიყო — გაზონების ბუჩქნარსლა შემორჩენოდა სისველე, ხმელეთზე კი გამოიდარა, მაგრამ ზღვა ისევ ბობოქრობდა.

— რა დროს ტალღა და შხეფებია, — გადამრევ შენ მე... სულ წამოხვედი, თუ კიდევ აპირებ იქ მიბრუნებას?

— წამოვედი და ეგაა!.. — მიუგო ბიჭმა.

პლაჟზე ჩაუხვიეს, — ფეხქვეშ ხრაშა-ხრუში გაჰქონდა კენჭებს. ნაპირის გასწვრივ, ზღვაში, მთელ სიგრძეზე განფენილიყო მღვრიე ზოლი...

— იმან იცის — უთხარი?.. — „კენტის" კოლოფი ამოიღო ჯიბიდან, გახსნა და ძმასაც მიაწოდა სიგარეტი.

— რო აღარ მივალ, ხო დაინახავს!.. — ნაძალადევად გაიცინა ბიჭმა და კოლოფიდან სიგარეტი ამოაძვრინა.

— ხელი მოაწერეთ?

— არა, ხელი არა!..

— სალოლ... ცოტა კი გიხმარია ჭკუა, — შეაქო დევიმ. — ვერც წილს მოგთხოვს და ვეღარც ალიმენტზე წამოგედავება!

— არა, ფეხმძიმედ არაა...

— ხო შეიძლება აწი დაორსულდეს და შენ დაგაბრალოს?.. — ჩაიფხუკუნა დევიმ.

— არა, ეგეთი გოგო არაა...

— შენ რა იცი... — ნაზად გამოუშვა ცხვირიდან ბოლი. — გული ხომ არ გწყდება?

— არა, გული არა... — ხველა აუტყდა და სიგარეტი ზღვაში მოისროლა. თვალწინ ედგა ფერმიხდილი გოგო, ფინჯანს რომ ჩაშტერებოდა მხრებში აწურული... ნეტავ რისი თქმა სურდა?

— იმ ძუკნაზე არ გეკითხები... — გაიცინა დევიმ. — მე უფრო წერას ვგულისხმობდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აჰ, წერას გულისხმობდი?.. — გაიმეორა ბიჭმა. — თავს ხომ არ მივაკლავ, მეც მინდა ცხოვრება!

ტალღამ ქაფიანი ენით გაულოკა ფეხები, ზღვის შფოთიანმა ამონასუნთქმა ცხვირში შეუღიტინა და მარილიანი შხეფებით დაუწინწკლა სახე... წამით თითქოს ბანაობის ჟინმა წამოუარაო, მაგრამ ჰუჰყიან წყალს რომ შეხედა, უსიამოდ შეაჟრჟოლა ტანში და მღვრიე ზოლს მიღმა, ლურჯად მოკამკამე ჰორიზონტისაკენ გაექცა მზერა.

— აბა ის რა გულდასაწყვეტია, — ჩაიქირქილა დევიმ. — ქვეყნის ნათრევია, შენ კი ცოლად გიჯდა... მერე შეგრცხვება, — ანგელოზივით გოგოებს რო გამოიცვლი ყოველ კვირაში! მამამ თქვა, მანქანას ვუყიდი, თუ მართლა აპირებს ჩვენკენ შემობრუნებასო.

— სამსახურის თაობაზე რა დაგაბარა?.. — ჰკითხა ბიჭმა. ლაბადა გაიხადა და რიყეზე გაჰფინა.

— ხორცკომბინატში გიშოვა ადგილი. — მიუგო დევიმ. — ფუტკარაძეს ველაპარაკეთ ამ დილით და — კი ბატონო—ხვალიდანვე საამქროს უფროსად დავნიშნავო, გვითხრა... წყალი აქვს იმ უბედურს შემდგარი, და მამას ელექვება, — მისი ჭკუით, ვითომ, ზურგს იმაგრებს სამინისტროში — ის რა იცის, სწორედ ახლა რომ ეხაზება და მალე შენ დაჯდები დირექტორად: რა შეგიშლის ხელს, — წითელ დიპლომზე გაქვს ინსტიტუტი დამთავრებული, პარტიის წევრი ხარ და ყველაფერი!..

ჰაერში მსხვილმა წვეთებმა გაიელვეს, თითქოს ვიღაც უხილავი იცრემლებაო. რიყე კვლავ აჭრელდა.

— საქმეებში მე გაგარკვევ, სანამ თვითონ აუღებდე ალღოს... — დევი უკან გადახტა, ტალღას „შიბლეტები“ და შარვლის ტოტები რომ არ დაესველებინა. — მერე, თუ გინდა, წერე, ვინ გიშლის — საქმეს უფრო გაიტან, სერ-მია რომ გექნება!..

ბიჭმა პიჯაკი გაიხადა და ლაბადაზე დააგდო.

— მთელი შენი ცხოვრება რომ გეჯ-ლაბნა, — განაგრძობდა დევი. — იმდენს ვერ იშოვიდი, რასაც აქ ერთ სეზონში მოხსნი... ხორცკომბინატში ძეხვების საამქროს ეხუმრები?... შენ აზრზე არა ხარ ეგ რა ადგილია,—მამას უმადლოდე, თორემ ვინ მოგაშავებდა, — ვინ უყურებს იმ შენ წითელ დიპლომს!..

— ვიცი, როგორ არა... — თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა ბიჭმა. — დაუნახავი, კატორღული შრომაა: დღედაღამ საწერ მაგიდას უზიხარ, თვალებს ილამებ, — ბოლოს რა გამოვა ეშმაკმა უწყის!.. — ქამარი შეიხსნა და წელში გამართულმა, ხელის მოუხმარებლად წაიძრო ფეხსაცმელები.

— ასე იქნები, ა!.. დევიმ კოტიტა თითები მიიდო ყანყრატოზე. — ცხოვრების გემოს გაიგებ ამ ორ დღეს... რაო, რა თქვი?

— ძნელია წერა, ძნელი... — მიუგო ბიჭმა და შარვლის ტოტები ლამაზად მიადო ერთმანეთს.

— ეე... რას აკეთებ?!. — საშინელი განცვიფრება გამოეხატა სახეზე: ამ დრომდე არ შეუმჩნევია, როგორ იხდიდა ნუგო, — ის კი ტრუსის ამარა იდგა

— უნდა ვიბანაო... — მიუგო და ზღვისაკენ გააბიჯა.

— თავი ხომ არ მოგძულებია?!.. — მკლავზე წაავლო ხელი, მაგრამ ამასობაში კვლავ მოვარდა ტალღა და დევი სწრაფად გადახტა უკან, ნუგო კი ნაპირთან დამრეცად გაფენილ, ქაფით აჭრელებულ წყალს შეჰყვა და ზღვაში შევარდა!

ცა ღრუბლებს მოეფარა, — წვიმას აპირებდა, მაგრამ ერთგან, ჰორიზონტზე, მზეს მაინც ეპოვნა ნაპრალი და მარაოსავით ჩამოეშვა სხივები. ამ უამინდობასა, ნისლსა და ბურუსში, ისე ლაპლაპებდა წყალი იმ ალაგას, როგორც უცხო რამ ნაპირი...

— ჩემი იმედი ნუ გექნება, იცოდე... — ჩაესმა ბიჭს. — იმ შენი გმირივით თავქარიანი არ გეგონო!

წამით ეჭვმა გაჰკრა, მართლა თვითმკვლელობის გაუცნობიერებელმა სურ-

ვილმა ხომ არ ჩამომაგდო ამ აწყვეტილ სტიქიაშიო... ხან მსუბუქად მისრიალებდა წყლის ფერდობზე, ხან მთისოდენა ტალღას შეჭიდებული, აღმართში მიცურავდა... დილით მარინესთან განშორებაც თვიშკვლელობას ჰგავდა, — ისიც, ხელნაწერები რომ ცეცხლს შეუკეთა: მარტო ხუთი წლის უდიერი შრომა კი არა, მომავლის რწმენა, იმედი და სიხარული ჩაიფერფლა მაშინ იმ შეყვითლებულ თაბახის ქაღალდებთან ერთად...

„ისლა დამრჩენია, — გაივლო გუნებაში. — ცხოვრების დინებას მივყვე და მოჩვენებითი ბედნიერების ვიწრო ნაჭუჭში გამოვიკეტო... სადაც სულ მალე საზიზღარ ჭუპრად ვიქცევი!..“

„მაინც რა არის ნეტავი ჭეშმარიტების საზომი, როგორ უნდა მიხვდე, სწორ გზას ადგახარ თუ უფსკრულისაკენ მიექანები?.. — ნუთუ მხოლოდ და მხოლოდ პრაქტიკული წარმატებები: აი, როგორც მამის თბილი სავარძელი, ანდა დევის შავი „ზიმი?!.“

ისევ გაწვიმდა...

უამრავი, სინდიყისფერი, კრიალა ბურთულები ხტოდნენ მღვრიე ზედაპირზე, ვიდრე მათ სამუდამოდ შთანთქავდა და შეირევდა ზღვა, — იმ ალაგას კი პაწაწკინტელა ღრმულები ჩნდებოდნენ წამიერ. ცა გრუხუნებდა, ჰორიზონტზე ჩამოძენძილ ღრუბლებს ელვა ხაზავდა...

ბიჭს მღვრიე ზოლის გადალახვა სურდა, მაგრამ ეყოფოდა კი ძალ-ღონე ლურჯად მოლივლივე ჰორიზონტამდე მიეღწია?.. ზღვამ ტალღას ანასხლეტი ჭავლი თქეშა ცხვირ-პირში და მარილის გემოც გასინჯა... მყისვე ნაპირისაკენ მიტრიალდა დამფრთხალი — თან აქ, თითქოს იმდენად ჭუჭყიანიც აღარ ჩანდა წყალი!..

კარგი მოცურავე იყო — გამოსვლა არ გასჭირვებია, მაგრამ როგორც კი ფსკერს შეახო ფეხი, უკუქცეულმა ტალღამ საყრდენი გამოაცალა და აქაფებულ წყალში ჩაჰკარგა. ვიდრე მომდევნო ზვირთი დაარტყამდა, მოასწრო წამოდგომა... უკან ფეხდაფეხ მოსდევდა მღვრიე ბორცვი — გაწითლებული ზათქითა და გრიალით რომ დაიმსხვრა ნაპირთან...

თმიდან წყალი ჩამოიწრიტა, ტრუსი ტანზე შემოიწურა და ჩაცმას შეუდგა... დღეიდან ახალ ცხოვრებას იწყებდა, რომლის წარმოდგენა ადრე გულს ურევდა, და რასაც თვითონვე ებრძოდა თავდაუზოგავად: აკი მიტომაც მოჰკიდა ხელი კალამს... მალე გადაუვიდოდა სახიდან ფიქრისა და დაღლილობის კვალი, — მალე ამოევსებოდა ლოყები და სუფთად გაპარსული კანი ქონწასმულივით დაუწყებდა ლაპლაპს... მალალქუსლიან „შიბლეტებს“ რომ ჩაიცვამდა და თავზე კეპს წამოიკოსებდა, მერე ყველაფერი დიდებულად მოეჩვენებოდა — ისევე, როგორც წეღან მღვრიე ზოლში ჩანდა წყალი სუფთა!..

მანქანა გლისერივით მისრიალებდა დატბორილ ქუჩაში...

მართლაც კარგი გამოგონება იყო ავტომობილი: ტალახი, წვიმა, ქარი ვერას დაგაკლებდა. ვინმე ქარაფშუტა გოგოს მოისკუპებდი გვერდით და კვირის თავზე, რომ მოგბეზრდებოდა, სხვას გადაუცვლიდი... ფულიც, რაღა თქმა უნდა, ჩეჩქივით გექნებოდა!

კომბინატის რუხი კორპუსი ჩანდა უკვე... იქ, სადღაც, მუხის პანელებში, თბილად მოკალათებული იჯდა ფუტკარაძე — დიდის ამბით რომ ელოდებოდა ახლა, მამის ხათრით, თორემ ისე, ალბათ, გამარჯობის თქმას არ იკადრებდა!

ფანჯრის მინა დასწია, ღრიჭოში სიგარეტის ნამწვავი გააძვრინა. სალონში დაფქვილი ძვლისა და დახრუკული ხორცის სუნი შემოიჭრა.

— ვერა ვარ კარგად...— ჩაილაპარაკა

— რა დროს ბანაობა იყო ამ შუა ნოემბერში, — ნიშნისმოგებით უთხრა დევიმ. — ორიგინალობ, თუ რა არის, ვერ გამიგია!

— ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს გული მერევა.

— ამ დილით ჭამე რამე?

— ერთი ფინჯანი ყავა დავლიე...

— ჰოდა, მაგის ბრალია: წყალმა მომხევა იცის... შევიდეთ აგერ, სამწვადეში — ახალი ხორცი ექნებათ — თან შემწვრები და შეთბები კიდეც ამასობაში, თორემ ფუტკარაძესთან ასე შესვლა არ ივარგებს...

* * *

სამწვადეში უბრალო ხალხს მოეყარა თავი — ცვლადამთავრებულ მუშებსა და ახლო-მახლო სოფლებიდან საყიდლებზე ჩამოსულ თეთრწვერა მოხუცებს, სკამის საზურგეზე რომ ჩამოედოთ ნავაჭრით სავსე ზემბილები, დაკეცილი ქოლგები და ხელჯოხები. მაგიდებზე ოხშივარი ასდიოდათ ცხელ კერძებს, საფერფლეში სიგარეტები ბოლავდნენ. ისმოდა მხიარული ყაყანი.

კუპე დაკავებული აღმოჩნდა და დევი უკან გაბრუნებას აპირებდა, მაგრამ ნუგომ დაიჩემა — რაკი შემოვედით, ბარემ აქვე, დარბაზში დავსხდეთო. თამბაქოს ჭარბი წევისაგან ულვაშებშეყვითლებულმა ჭარმაგმა ოფიციანტმა, ყედირ ეფენდის რომ ეძახდნენ სახელად, ფანჯარასთან გამოძებნა მაგიდა და შეკვეთა მიიღო.

— ერთი „შუშაც" გამოაყოლე ხელს, ყედირ ეფენდი! — დააწია ნუგომ.

— არყის დალევას აპირებ?.. — დაიჭყანა დევი.

— ღვინო იყოს, თუ გინდა, ჩემთვის სულერთია!

— ან იმ მაიხოშ ღვინოს რა დაგვალევინებს — ცოტა წავიხემსოთ და საღამოს კაი რესტორანში დავჯდეთ, ფუტკარაძე წავიყვანოთ!..

ნუგოს ყურადღება, ანაზდად, დარბაზში შემოსულმა ტანმაღალმა ბიჭებმა მიიპყრო, — კარებთან გაჩერდნენ და თვალებით თავისუფალ მაგიდას დაუწყეს ძებნა. ერთი შავგვრემანი იყო, მეორე — წითური. მოკლე ტუჟურკები და მეზღვაურის ზოლებიანი მაისურები ეცვათ. შავგვრემანს, ლოყაზე, ჩაიარევი ჩამოსდევდა, რომელსაც ხშირი წვერ-ულვაშიც ვერ უფარავდა. დარბაზში, აქა-იქ, იცნეს იგი და მიესალმნენ... დევიმ უკმაყოფილოდ რაღაც ჩაიბუზღუნა.

— ვინ არიან?.. — ჰკითხა ნუგომ.

— ის შავგვრემანი დურსუნა ნიჟარაძეა — ჩვენი ყოფილი მუშა... მეორეს არ ვიცნობ.

— დაუძახე, მოვიდნენ — ხო გვაქვს აგერ ორი ადგილი.

— გადაამშენე აქედან, — მაგასთან პური არ იჭმევა!

— რატომ?..

— რაღაცნაირი დაბოლმილი ტიპია...

— გაწყენინა რამე?

— მე რა ფეხები უნდა მომჭამოს... დირექტორს შემოკრა შარშან...

— მერე?

— გავაგდეთ ქარხნიდან...

ამასობაში ბიჭები მაგიდას მიუახლოვდნენ.

— შეიძლება თქვენთან?.. — იკითხა დურსუნმა. — აჰ, ეს ვინ ყოფილა: პატივცემული დევი?!

— დაბრძანდი ბატონო, თუ გვიკადრებთ... — აშკარა ირონიით მიუგო დევიმ.

ვიდრე დაჯდებოდა, ჰაერში თითები გაატკაცუნა დურსუნმა, — ოთხი არაყი მოგვიტანეო, ყედირ ეფენდის ანიშნა.

— რას ქვია, არ გიკადრებთ... დევისთან ქეიფს და პურის ჭამას ხალხი ნატრულობს!

— ჩვენ აქ საქეიფოდ არ შემოვსულვართ... — დევიმ ზიზღით შეხედა მაგიდის კიდეში ჩამწკრივებულ ბოთლებს, რომლებიც ოფიციანტმა სასწრაფოდ მოაცუნცულა.

— განა არ ვიცი, კაი-კაი რესტორნებს ეტანები... — დიდრონი, თეთრი კბილები გამოაჩინა. — აქ, ალბათ, ახალი ჩიჩიას ხათრით შემოგიცდა ფეხი!

დევიმ წაუყრუა.

დურსუნი ნუგოს გაჰყურებდა ქეშად: უკვირდა, — ამ გასაცოდავებულ ბიჭს რა საერთო უნდა ჰქონდეს გაქსუებულ მთავარ ინჟინერთან.

— იცნობდე — ჩემი ძმაა... — უთხრა დევიმ.

— შენი ძმაა?.. — ახლა უკვე დაბღვერილი მზერა შეავლო. — შენ თუ ძმა გყავდა, არ ვიცოდი, ადრე არ გიხსენებია!

— რა სახსენებელი მე ვიყავ... — უადგილოდ ჩაურთო ნუგომ.

დურსუნმაც გააცნო მეგობარი: სეინერზე ერთად ვმუშაობთო, — წითურ ბიჭს დათო ერქვა სახელად.

ყედირ ეფენდიმ მაგიდაზე ცხარე „სალიანკა“ ჩამოდგა, ვეება გამურული ტაფით. დურსუნმა მაშინვე გადაიღო კერძი, მაგრამ ჭამას არ ჩქარობდა... ნუგო დაუფარავი ცნობისმოყვარეობით უჭვრეტდა — განსაკუთრებით მისმა ნაიარევმა დააინტერესა: ცდილობდა გონების თვალით წარმოედგინა ის ორომტრიალი, დაკა-დაკა და ვნებათა ღელვა... ქუთუთოზეც კი აჩნდა დანის კვალი და — ნეტავ რა სასწაულმა გადაარჩინაო, ფიქრობდა... სხვას ჩაგრავდა უსამართლოდ, თუ თავად იყო ბოროტების მსხვერპლი?.. მიუხედავად უხეში ნაკვთებისა და აშკარა ხულიგნური იერისა, მაინც თავისებურად მიმზიდველი სახე ჰქონდა.

მისი დაჟინებული მზერა რომ შენიშნა, დურსუნი მოუბრუნდა და ჰკითხა:

— სად მოღვაწეობთ, მეგობარო?

— ხორცკომბინატში ვიწყებ ხვალიდან, ძეხვების საამქროში... — სწრაფად მიუგო, ისე, რომ ყურადღება არ მიუქცევია შეკითხვაში შეფარული ირონიისთვის.

— აი, მესმის მამა... — ჩაილიმა დურსუნმა. — იცის, სად მოაყუჩოს შვილები.

— შენ კიდევ არ დაანებე თავი მაგ ენაკვიმატობას?.. — გამკილავად უთხრა დევიმ. — ზღვაზეც აღარ გაგაჩერებენ, იცოდე!

ნათქვამმა საშინლად გაალიზიანა დურსუნი. ჯიბიდან ჭრელი მუნდშტუკი ამოიღო და შიგ სიგარეტს რომ უმარჯვებდა, მღელვარებისაგან ხელები უთრთოდა.

— ჰოდა, კიდევ მოუქცევს ყირიმცას ღრანჭი, იმ შენი დირექტორივით!.. — კბილებში გამოსცრა.

— მადლობის მაგიერია, რომ არ გიჩივლა და დაჭერას გადარჩი?

— დასაჭერი მე ვიცი ვინც არის! — თვალები გადმოუქაჩა დურსუნმა.

უცებ დაიძაბა სიტუაცია.

— რა დროს ეგაა, დურსუნ... — უთხრა დათომ. — დაგვალევინე, თუ გვასმევ, თითო ჭიქა!

— ბატონ დევის ვთხოვოთ, ლაპარაკი ეხერხება...

— დევის სხვაც ბევრი ეხერხება, მაგრამ ახლა არ ცალია — მიდის! — მიუგო მან. ადგა და ძმასაც ანიშნა გამომყევიო.

— რა გაჩქარებთ... — შეწუხდა დათო. — ჩვენი მოსვლა ხომ არ გეწყინათ?

— მე ვხედავ, უფრო სხვებს არ ეამა ჩვენი აქ დახვედრა... — კეპი დაიხურა და ქურქის ღილები შეიკრა.

— ერთი ჭიქა მაინც დაგვილიეთ, ბატონო. — დათომ არაყი ჩამოასხა.

დევი მიხვდა, მთლად ასე გამწვავება არ ივარგებდა:

— ჩვენს წასვლას და თქვენს დარჩენას... — თქვა ყასიდად. — მშვიდობა ყოფილიყოს ჩვენ-ჩვენ ოჯახებში...

— თქვენთვის მშვიდობაა ახლა მთავარი.. — კვლავ დაგესლა დურსუნმა. —მადა რომ არ წაგიხდინოთ ვინმემ და ხელი არ შეგიშალოთ ჭამაში!

დევიმ მაშინვე პირდაუკარებლად დადგა სასმისი, ზიზღით აქცია ზურგი დურსუნს და ძმას შეუბღვირა:

— ადე, არ გეყურება?!

ნუგო ამ კინკლაობაში არ ჩარეულა. გრძნობდა, შხამიანი ისრები მისკენაც იყო მომართული, მაგრამ რატომღაც არ ბრაზობდა: პირიქით — გულს ფხანდა დურსუნის როყიო ლაპარაკი.

— უხერხულია ასე გაქცევა... — თქვა გაუბედავად.

ბრაზისაგან ამოიქშინა და ტუჩები მოიკვნიტა დევიმ:

— დარჩი მერე, ვინ დაგიშალა... —

ჯიბიდან ასმანეთიანი ამოაძვრინა და მაგიდაზე დაავდო. — აჰა, ჩემს ხარჯზე იქეიფეთ — ჭამეთ, სვით და იბაირამეთ, რამდენიც გაგიხარდეთ!

— აიღე ახლავე... შეუღრინა დურსუნმა. — ვის რათ უნდა შენი ჭუჭყიანი ფული!

კარგა ხანს თვალებით ცვეთდნენ ერთმანეთს. მერე დევიმ კვლავ ამოიქშინა, ფული ჯიბეში ჩაიკუჭა და ჩქარი ნაბიჯით გავიდა დარბაზიდან.

ნუგომ იცოდა, ძმას რომ უნდა გაჰყოლოდა, მაგრამ ისე გულით სურდა ახლა ამ ბიჭებთან ყოფნა — ვერაფრით ველარ აიტანა წელი სკამიდან.

* * *

დევის წასვლისთანავე ჰნებათაღელვა კი დაცხრა, მაგრამ სამაგიეროდ უხერხული სიჩუმე ჩამოწვა. დურსუნი წარბშეჭმუხნილი ეწეოდა სიგარეტს, თავისი ჭრელი მუნდშტუკით. ეტყობა, არ მოელოდა ნუგოს დარჩენას და შეცბუნებული ჩანდა, — არ იცოდა რისთვის მიეწერა ეს ამბავი... დათომ ამინდზე ჩამოაგდო სიტყვა: რახანია ამისთანა გაუთავებელი წვიმა არ მინახავსო; სანამ არ გადაიღებს და ღელვა არ შეიკლებს, ზღვაში ვერ გავალთო. მეორეს მხრივ კარგიც არის ღელვა, კეფალს ნაპირთან მორეკავსო...

— ჩვენს გაცნობას გაუმარჯოს, ნუგო... — როგორც იქნა ჭიქა ასწია და შუბლი გახსნა დურსუნმა. — მაპატიე ძმურად. შენ სხვა ბიჭი ჩანხარ... — უჭირდა ლაპარაკი. — დევისთანაც გადავაჭარბე, ვიცი, მაგრამ რა ვქნა, ამ ოხერი გულიდან ასე იოლად არ ამოდის წყენა: შარშან ფული მთხოვეს ქარხანაში და რო აღარ მივართვი, სხვას მიჰყიდეს ჩემი მოსაცემი ბინა, მე კი ნესტიან სოროში მყავს ცოლშვილი... არ ვარ მაგის კაცი, თორემ უნდა მიმეტანა და მილიცია დამეყენებინა თავზე... შენი ძმაც იყო ამ საქმეში გარეული!.. — ხელი ჩაიქნია და არაყი ერთბაშად გადაჰკრა.

— ჰო და... — სიტყვა ჩამოართვა დათომ. — ამისთანები კი ხდება, მაგრამ შენ რა შუაში ხარ, ნუგო, ანდა ხორცკომბინატი რა ყოფილა ვითომ: ყველგან შეიძლება პატიოსნად იმუშაოს კაცმა... ბოდიშს ვიხდი, — გაწყენინეთ ცოტა!

ბიჭს გული აუჩქროლა მათმა შეცვლილმა, მეგობრულმა კილომ.

* * *

გვიანობამდე შემორჩნენ სუფრას, გარეთ კი წვიმდა და მიდამოს ნაადრევი ბინდი ეფინებოდა. დარბაზს მკრთალად ანათებდა ერთადერთი ნათურა. ხალხი თანდათან გაიკრიფა სამწვადიდან...

მშვენიერი თამადა გამოდგა დურსუნი: მისი ყოველი სადღეგრძელო ცხოვრების ავ-კარგზე დაფიქრებული გულნატკენი კაცის აზრიანი, დინჯი საუბარი იყო. ბლომად დალიეს და კაი გვარიანადაც დაითვრნენ... ოფიციანტს თეთრი ხალათი გაეხადა უკვე, დახლში ჩამდგარი საანგარიშოს აწკაპუნებდა.

— ერთი „შუშაც" გაგვიხსენი, ყედირ ეფენდი! — გასძახა დურსუნმა.

— აღარ არის მეტი— გათავდა, გათავდა!.. — ხელები გაშალა და თაროები შეათვალიერა. — წადით ახლა შინ, ბიძიებო, დაიძინეთ და ხვალ ისევ მოდით!

— ეგ რო იტყვის, წყალი არ გაუვა. — გაიცინა დათომ.

— საკუთარი ხუთი თითივით იცნობს კლიენტების ჯიბეს. — ღიმილით დასძინა დურსუნმა.

— მარტო ჯიბეს კი არა — ეტყობა, სტომაქსაც... — ამოისლოკინა ნუგომ, რომელსაც ყველაზე მეტად მოჰკიდებოდა სასმელი.

ბოლოს, ყედირ ეფენდიმ ,მაინც ჩამოდგა არაყი.

— ეს, ამ უცხო კაცის ხათრით აგერ... — ნუგოზე ანიშნა. — დღეს პირველადაა ჩემს დუქანში!

— დაგვილიე ერთი ჭიქა, ბიძია ყედირ, — უთხრა დათომ. — ... მაინც წასვლის დროა უკვე.



ქ. მარქსის სახ. სახ. სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკა
16 X 3 X

ოფიციანტმა სკამზე ჩამოიმუხლა.

— მოდი, ყველა კაი კაცს გაუმარჯოს, ბიძია ყედირ. — თქვა დურსუნმა. — სხვისი ჭირის გულთან მიტანა, მოყვასისათვის თავგამოდება და თავგანწირვა რომ შეუძლია...

— შენის თამადობით, ჩემო ბიძია...

— ჩაურთო ყედირ ეფენდიმ და ჭიქა მიუჭახუნა. — მახსოვს, ერთხელ — აქ იყო სწორედ, ამ დუქანში — კინაღამ რომ შეეწირე სხვების ქომაგობას!

— ეგ არაფერი... — შრამზე ჩამოისვა ხელი დურსუნმა. ცოტა ხანს ჩაფიქრდა და კვლავ განაგრძო. — ერთი რაღაც მომაგონდა ახლა, — არ ვიცი სადმე წამიკითხავს თუ ამბად მომიკრავს ყური: კაცი ხედავს, მდინარეში ბავშვი იხრჩობა... ცურვა არ იცის და მაინც შევარდება წყალში, იმიტომ, რომ გული არ უთმენს — არ შეუძლია მოშაინესავით უყუროს სხვის უბედურებას, და რამე არ იღონოს მის გადასარჩენად. ბავშვს შველის და თვითონ იღუპება... მოდით, ამნაირ გაგებას გაუმარჯოს ადამიანობაში! ალავერდი შენთანა ვარ, ნუგო!

ბიჭი გაუნძრევლად იჯდა სკამზე — კრიერმილრეცილი გაჰყურებდა ღამეშემომდგარ, სველ, უფარდო ფანჯრებს, სადაც უცნაურად ირეკლებოდა მისი გაორებული სილუეტი... ქრუანტელი უვლიდა ტანში: ჩანს, ის ერთადერთი დაბეჭდილი მოთხრობა წაეკითხა და მოსწონებოდა დურსუნს...

— თუ შეიძლება, გავალ გარეთ...

— გადი, გადი... გააცილე რა, დათო!

— არა, არ მინდა გაცილება.

— ახლავე გამოვალთ, ნუგო! — დააწია დურსუნმა და ოფიციანტს მიუბრუნდა. — აბა გვიანგარიშე, ბიძია ყედირ, დღევანდელი ჩვენი დანაშაული!..

* * *

ბიჭმა მაგნოლიის გალუმპულ ხეს მიადო თავი და შეგუბებულ ცრემლებს გზა მისცა. რაღაცნაირი ტკბილმწარე გრძნობა ებრძოდა ერთმანეთს მის არსებაში... მერე მანქანის გუგუნი შემოესმა და ერთბაშად ძლიერმა შუქმა დააბრმავა. უცებ საზარლად გაიხრჭიალეს მუხრუჭებმა, ძრავა ჩაქრა და კვლავ ჩამოლუსკუმდა... სიბნელეს თვალი რომ შეაჩვია, სასადილოდან გამოჭრილ სუსტ სინათლეზე შავი „ზიმი“ და იქვე მდგარი ძმის გაფხორილი ფიგურა გაარჩია...

— აქ რას უდგეხარ... ალებინებ?.. — ზიზღნარევი ხმით ეკითხებოდა დევი.

— ეგრე ნუ მელაპარაკები რა... — ბიჭმა შეუმჩნევლად მოიწმინდა ცრემლები. — ისეთი ბედნიერი ვარ ამ საღამოს, ისეთი, ისეთი...

— ბედნიერი, თორემ შენც გაიჩინე რაღა, დოსტები!.. — უხეშად წაავლო მკლავზე ხელი და თითქმის ძალად ჩასვა მანქანაში. — ზღვას ძლივს გადაურჩი, ამ დილით — ახლა არაყში ჩამხრჩვალხარ... — თვითონაც მიუჯდა საჭეს.

— დაიცა დევი, დაიცა... — დურსუნი და დათო გამოვლენ საცაა!

— შენ ნუ სწუხარ, — უჩვენოდაც გაიგნებენ გზას!

მანქანა დაიძრა.

— ვერ გაიგონე, რა გითხარი?!. — ხმას აუწია ბიჭმა.

— ჯერ შინ მივიდეთ და მერე მოგელაპარაკები... — მუქარის კილოზე უთხრა დევიმ. — ხო გამოჩნდა, რანაირი ძმობა შეგძლებია!.. საინტერესოა, მაინც რაზე ჭუკჭუკებდით მთელი დღე, — იქნებ შენც აუბი მხარი ჩემს ლანძღვაში?

— ახლავე გააჩერე მანქანა, დევი!..

— ნუ ღრიალებ... მეტი რა გზაა — ძალად უნდა ამოგათრიო მაგ ჭაობიდან!

— შენ თვითონ ხარ ჭაობიდან ამოსათრევი!

— გირჩევნია ენა დაიმოკლო, თორემ...

მანქანა თანდათან უმატებდა სისწრაფეს. ფარების შუქზე ჩანდა ირიბი წვიმა და მათ შესახვედრად დაძრული მსუბუქი ნისლი, გზა კი მოდიდებულ

მდინარეს ჰგავდა... უცებ კარი გაიღო და სალონში ქარიშხალი დატრიალდა. დევი მყისვე გაერკვა სიტუაციაში, სწრაფად დაამუხრუჭა მანქანა. ბიჭმა გზისპირა გუბეში მოადინა ტყაპანი...

დევი რომ კაბინიდან გადმოვიდა და ძმასთან მიიჭრა, ის უკვე ფეხზე იდგა, გაწუწული, თვალებანთებული...

რაკიღა უვნებელი დაინახა, მრისხანება ველარ დაიოკა და საყელოში სწვდა:

— რას აკეთებ, შე ლაწირაკო... მეც მღუპავდი და თავსაც იკლავდი!

— შენ ისედაც დაღუპული კაცი ხარ უკვე, დევი... — სიტყვა გაუწყდა, — მძიმე მუშტი მოხვდა სახეში. მეორეჯერაც მოუნაცვლეს ყბაში. წაბარბაცდა, მაგრამ არ წაქცეულა. ცხვირში ძმრის გემო იგრძნო და რაღაც მოტკბო ჩაელვარა ხახაში...

დევი მიხვდა რომ აჭარბებდა:

— კარგი ჰო... დავაშავეთ ორივემ!

ბიჭმა ჭუჭყიანი ცხვირსახოცით მოიწმინდა სახე — სისხლი გადმოაფურთხა:

— პირველი ხომ არაა... მახსოვს, ადრეც მცემდი!

— იმიტომ, რომ თავიდანვე უკუღმართი იყავი!

— მამა კი მუდამ შენ გამართლებდა... ახლაც მოგიწონებს საქციელს!

— აჰა, მოდი გამარტყი... — ლოყა მიუშვირა. — ბარიბარს ვიქნებით!

— არა... დამრჩეს შენგან სახსოვრად... სულერთია, მაინც ვერ ვიქნებით ბარიბარს!

— შევრიგდეთ ახლა... — მოტეხილი ხმით უთხრა დევიმ. — ჩაჯექი მანქანაში, ნუგო...

— წადი, მე აღარ მოვდივარ... ასე გადაეცი მამას!.. — მიტრიალდა და ძმას ზურგი აქცია.

* * *

ტაქსი მოადგა უკან „ზიმს“, — დურსუნი და დათო ისხდნენ შიგ.

— მანქანა გაგიფუჭდათ?.. — ფანჯრის მინა დასწია და იკითხა დურსუნმა.

— ჰო, ჰო, — მანქანა გაგვიფუჭდა!.. — ბიჭმა სწრაფად გამოაღო კარი და მძღოლის გვერდით დაჯდა.

— რამდენი გეძებეთ... — უთხრა დათომ. — სასმელმა ხომ არ აწყინაო, ვიფიქრეთ.

— ბარცხანაში მიმიყვანეთ... — თქვა ნუგომ.

— დევი?.. — იკითხა დურსუნმა და წვიმაში მდგარ ბიჭს გადახედა.

— დევი კი მოუვლის მის თავს...

მიხვდა, ძმები ნაჩხუბარი რომ იყვნენ და მეტად აღარაფერი უკითხავს.

ფარების შუქზე კვლავ გამოჩნდა ირიბი წვიმა და დაწინწკლული მღვრიე გუბეები. ისხდნენ წყნარად და ყურს უგდებდნენ პარპრიზზე მოსრიალე საწმენდლების ჭრიალს...

ტაქსი ალაყაფის კართან გაჩერდა.

— შემოდით ჩემთან... — შეიპატიჟა ნუგომ ბიჭები.

— არა, არა, ახლა გვიანაა! — უთხრა დურსუნმა. — თუ ამინდი იქნა, ხვალ შემოგივლით და სათევზაოდ წავიდეთ ზღვაზე.

„მეც სეინერზე დავიწყებ მუშაობას!..“ — გაიფიქრა ბიჭმა.

ჭიშკარი შეაღო თუ არა, თვალი მოჰკრა განათებულ ფანჯარასთან მომდგარ სილუეტს... ქოხიდან გამოჭრილი შუქი ზღაპრულ იერს აძლევდა ეზოს: ჩანდა სინათლის ზოლში გაბმული ვერცხლისფერი სიმები და ფერად ნისლში მოცეკვავე მაგნოლიის მოლაპლაპე ფოთლები... ანაზდად მუხლები მოუდუნდა და იქვე მიეყრდნო ჭიშკრის ლატანს... მერე კარმა გაიჭრიალა და თვითონაც სინათლის ზოლში გაეხვია.

მარინე გამოეგება, მხარში შეუდგა და გაჩახჩახებულ ქოხში შეიყვანა, სადაც სულ ასე სუფთად და ლამაზად გამოიყურებოდა ყოველივე.

— ვიცოდი რომ დაბრუნდებოდი, — ეუბნებოდა გოგო. — განა ვერ ვხედავ

...ლი ბიბლიოთეკა

როგორ გიყვარვარ... ანკი რამ გაფიქრებინა: შენ ხომ აწი აღარ გამოიცვლები, ძვირფასო, — შენ მუდამ სიკეთის გზით უნდა იარო და ამ გზაზე სხვებიც გაიყოლიო!

— ჰო, მიყვარხარ... ხვალ ერთად წავიდეთ ზღვაზე, მარინე!

გოგომ ფრთხილად გახადა და ლოგინში ჩააწვინა...

— რაო, დილით, რა გინდოდა გეთქვა? — გაიხსენა ბიჭმა.

— მალე შენ მამა გახდები, ნუგო!.. — წასჩურჩულა მან.

ბიჭს ჟრუანტელმა დაუარა ტანში: ახლა უფრო ნათლად შეიგრძნო ფასი იმ ბედნიერებისა, რომელიც დღეს კინაღამ დაჰკარგა... იწვოდა სიცხისაგან, მაგრამ მაინც გრძნობდა შუბლზე გამხდარი, ნაზი თითების სითბოს... მერე უცებ ზღვა დაინახა, გლუვი და ცისფერი — კიდეებამოქარგული ქათქათა თეთრი გემებითა და იალქნებით, — მღვრიე ზოლი გამქრალიყო და გამჭვირვალე ნაპირა წყალში ფერად-ფერადი კენჭები ლივლივებდნენ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვანო ჩხიკვაძე

## დედის მოლოდინი

ვიღაც ხომ დარჩა ამბის მომტანი,
მაგრამ სად არის?
მითხარ, სად არის?
როგორ წაება ზაფხულს ზაფხული
და შემოდგომის წვიმებს — ზამთარი.

ისევ მოელი...
მაგრამ რაღა დროს —
ქვალი წაშალა,
ცრემლი დამშრალა.
მღერის ჭალარა,
გული გლალატობს,
გული —
დანგრეულ ციხის ნაშალი.

გათავდა.
შენ ხარ ზვავი დაძრული
და ხრიოკებზე გემსხვრევა მკერდი.
ისტორიისთვის უკვე დასრულდა
ბრძოლა, რომელიც გრძელდება
შენთვის.

## ს უ რ ა მ ი

მიქრიან შავი ეშელონები,
მაგრამ არავინ კითხულობს — საით?
მხოლოდ შიშისგან ძილში ხტუნაობს
რკინიგზისპირა პატარა სახლი.

შორს გამცილებლის ფარანი ბჟუტავს
და საყელოში თავჩაყოფილი
მიდის კაცი და ლიანდაგები
ბრწყინავენ, როგორც დანის პირები.

მიქრიან შავი ეშელონები
და გამცილებლის მოხრილი ლანდი
მიდის მარტოკა შპალის კიბეზე
ფარნის უმწეო შუქს ჩაფრენილი.

* * *

ის დრო სხვა იყო—
წლებს — გაუვალ ურანს მიჰკვალავ,
შენი ცხოვრებაც ხის მორივით ორად გაიპო —
ჩამთბარ ოთახში მთელი ღამე ქღერდა გიტარა
გაუთხოვარი ქალის ხელით.
ის დრო სხვა იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეთრი გიტარა —
ქალიშვილის შიშველი ტორსი,
შეფარებული სავსე მკერდის გადახურულში —
ქღერდა დილამდე.
ქალის მხრებზე მთელ ღამეს თრთოდა
ჭრელფოჩიანი,
სიფრიფანა შალის ბურუსი...

იმ სახლში ახლა
სხვა მივა და კვლავ აღმოაჩენს
დაულეველი სიყვარულის ოქროს საბადოს...
შენ კი მსახურად უნდა ედგე თოვლის მოაჯირს
მომდგარ სიბერეს —
ვნებისაგან დაცლილ ქალბატონს.

* * *

ოთარ ჭილაძეს

გითვლის ნაბიჯებს, საათებს გითვლის.
განათებული ტორტმანებს რინგი.
ბორგავს დარბაზი:
„გამაგრდი. მიდი.
მიდი, ოღონდაც მოიგე, მიდი!..“

ბორგავს დარბაზი და იმუქრება —
თუ ჩაიმუხლე ველური რემა —
ზედ გადაგივლის მძიმე ფლოქვებით
იარუსიდან მომწყდარი სტვენა.

არავინ იცის რა ხდება შიგნით,
იქ, გადამწვარი ნერვები ბოლავს.
გიხმობს დარბაზი:
„გამაგრდი, მიდი,
ოღონდ ღიმილით მოიგე ბრძოლა!..“

და ნიღაბივით იმაგრებ ღიმილს,
როგორც მავთულზე მდგომი ჯამბაზი.
არავინ უწყის რა ძვირად გილირს
გულის მოგება სავსე დარბაზის, —

რომელიც ითხოვს ბოლომდე განცეს
რაც შეუძლია სისხლსა და ნერვებს.
რომ შენ სულს
ფოთლად გაფრენილს ქარში
ხსოვნა ძეგლივით დაუდგას მერე...

ასეა დღემდე,
კუთვნილ სიხარულს
მუდამ ვილაცის ტანჯვაზე ცვლიდი,
ტორტმანებს რინგი:
„მიდი, მოიგე,
ოღონდ ლამაზად მოიგე, მიდი!..“

* * *

მე რომ შევედი — ყველა გაჩუმდა...
ძნელი არ იყო მიმხვდარიყავ საუბრის თემას...
აწითლებული ჭინჭრაქა და ბოლოქანქარა
დაბნეულები შეჰყურებდნენ მელია-მთხრობელს.
— ჰო, ამინდები ძლიერ გაფუჭდა! —
თქვა ცბიერებით სახელგანთქმულმა
და უდარდელად თავისივე კუდი დაყნოსა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

ჩემს ფიქრებს, როგორც ნოემბრის
ფოთლებს,
წაიღებს ქარი და ქუჩებს მოჰფენს.
ვიღაც მეძახის.
ოთახში ვტოვებ,
სავსე ჭიქებს და გაუხსნელ ბოთლებს.

ვტოვებ შენს ღიმილს,
შენს ხელებს ვტოვებ —
ფანჯრის რაფაზე დაწყობილ გუნდებს.
პირველი თოვლის თეთრ სიმარტოვეს
ვიღაც მეძახის, რომ დავუბრუნდე.

მივდივარ.
მაგრამ რა რჩება უკან
ხეთა მტვრევაში,
ქარის ხმაურში, —
თვალები —
ჩემზე დარდით ჩამშრალი,
ორი პატარა ცრემლის აუზი.

ვიღაც მეძახის.
ყინული-ბროლი,
იმსხვრევა ფეხქვეშ.
აღთქმულ კარებთან,
ვიდგები, ვიდრე საყვარელ როლთან
გამოთხოვების წამი დარეკავს...

შენ მოხვალ და ჩემს უღონო მკლავებს
დახედავ, როგორც დამსხვრეულ
ხოფებს...
და ფიქრებს — უცებ აჭრეულ
ფოთლებს
წაიღებს ქარი და ქუჩებს მოჰფენს.

## ქუხილი ღამით

დაიმსხვრა ჩემი ციხე-დარბაზი —
ასი ათასი ზარბაზანი ერთად გრუხუნებს.
შებმული ვარ ცალუღელივით
და ჩემი ჯავრით სავსე ღრუბელს
შენსკენ მოვათრევ...

გაიღვიძე!
გაიღვიძე!
უკანასკნელი ღამეა ჩემთვის,
მე კი შენს გარდა დამტირებლად არავინ არ მყავს.
არავინ —
მხოლოდ სველი ბოჩოლა
გაივლის ხოლმე,
მაგრამ ბალახს პირს არ აკარებს.

გაიღვიძე!
გაიღვიძე!
ან დამავიწყე ყველაფერი,
ან გამახსენე
მინავლულ ცეცხლთან რისთვის მივედი.
რად გავაღვივე ნაღვერდალი,
რად დაგენახე —

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ მჯობებოდა კუტი მეღრღნა სახლის თაგვივით
და იმაზე მეზრუნა მხოლოდ
კბილს რას გავკრავდი,
ცხოვრებიდან რას გავიტანდი...

ო, რამდენ რამეს მპირდებოდნენ
ვიდრე განასკვულ
ართახებიდან თავს დავიხსნიდი.
ვიდრე ვიგრძნობდი
თუ რამდენი მსუნაგი თვალი
მისჩერებოდა ჩემს არსებობას.
მე კი არა, თავის თავი უყვარდათ თურმე:
„გაიზრდება და ბალს დაბარავს,
შეშას მოიტანს“

ან
„დიდი კაცი გახდება და მტერს შეგვიშინებს“...
რა იცოდნენ საცოდავებმა
უნაყოფო იმედს რომ ზრდიდნენ...
გადაყრილია წყალში ამაგი
მშობლის, მეზობლის და ნათესავის,
სხვადასხვა მხარეს ვიყურებით
და მესმის მხოლოდ
დამდურებული სისხლის ბუზღუნი.

ძნელია, ძნელი სისხლთან ჭიდილი,
არ გარდიქმნება მხოლოდ ერთი კაცის სურვილით.
„რა მეშველება?“ —
ეს შეკითხვა თავის ქალაში
გამუდმებულად რეკავს და რეკავს
და რომ არ გასკდეს ამდენი ცემით,
ხელისგულებით ვიჭერ საფეთქლებს...

გაიღვიძე!
გაიღვიძე!
დამნაშავის სკამზე ვზივარ და
ბოლო სიტყვა დღეს შენ გეკუთვნის.

* * *

ამღვრეულია ალაზანი,
ჩახრამულ ნაპირს
ამოდებული ლაგამივით მოათამაშებს...
მომაგონე, ღვთისნიერო, მომაგონე —
ციხის ნანგრევზე გაშლილი ტაბლა.
ქაფმორეული ალაზანი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და შავი ცხენი,
რიყეზე ნალს რომ მიაწკრიალებს...
შორს მკვდრის მზე ჩადის.
ისე მიდის,
ასე გგონია
ამ ციხესავით დაწვება და ვეღარ ადგება.

მომაგონე, ღვთისნიერო, მომაგონე —
ხეიბარი თუში უკრავდა გარმონს —
ტიროდნენ ბიჭები,
პირწაქცეული ჭიქებიდან ღვინო წვეთავდა
და ალაზანი
რიყის ქვების თეთრ სარეცელზე
ჯვარდაწერილი ხმალივით იდო...
მღეროდა თუში...
მომაგონე, რაზე მღეროდა...

## თ ე ლ ა

გარდაიცვალა ბებერი თელა,
იანვრის ჭირხლით ტანშეხვეული,
გარდაიცვალა ბებერი თელა
და მიახატა თოვლზე სხეული.

როგორ მიდიხართ.
თანდათანობით
კელაპტრებივით თვალწინ მიქრებით.
სული კი არა, ნისლი ამოდის
და შიშვლდებიან ყრმობის მინდვრები.

ო, არასოდეს გაიფოთლება
თქვენი ტოტები სკვინჩების ფრთებით,
და თქვენს ფესვებთან ყორნის
მოფრენას
ერჭმევა ხსოვნა ძვირფასი მკვდრების...

როგორ მიდიხართ.
ფუღუროებით
გაოცებულნი შეჰყურებთ ზეცას...
იქ დავსრულდები, სადაც ოდესმე
უკანასკნელი ხე წაიქცევა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზაზურა არაბული

## დიდი სინათლით

ჩამოვიფერთხე ქალაქის მტვერი,
მე დავუბრუნდი მშობლიურ სოფელს.
ია-იების სინათლე მღერის
და ნაკადული ასრულებს შოპენს.
ასი სანთელი ანთია მთაში
გაბრუებული დიდი სინათლით,

გაყრუებული ტყეების ტაშით,
სხვა რაღა დამრჩა, ფრენას ვინატრი!
ყოველ ნაბიჯზე ფერი და ფერი
ვარდისფერ კრავებს დღეები შობენ,
ია-იების სინათლე მღერის
და ნაკადული ასრულებს შოპენს!

## ვიდრე

ბ. ალუდაურს

იქ, ცას დაკიდულ მწვერვალთა ნახოკს
დაღლილ ხარივით რომ სვამს არაგვი,
ვიდრე გვაქვს მთები და ბარისახო
და გული გულობს, კიდევ არა გვი...
და დიდი ღამის მთვარიან უბეს
ვიდრე კვლავ არხევს ყივილი მამლის,
ვიდრე ერთვის და საავდრო ღრუბელს

ათბობს თუნდ ერთი კერიის კვამლი,
ვიდრე გვაფიქრებს შეცვლა ამინდის
და არ გამხდარა ვიდრე „სულერთი“,
სადაც გაჩნდით და ფეხი ავიდგით,
იქ ტყე დაგხვდება თუ ხევსურეთი,
კიდევ არა გვი!..

* * *

ყელამდე ყრთა ხემსი სულისა
მაინც სულიერს განვიცდი შიმშილს,
გავითავისე ედგარ პოს შიში,
გადავიკითხე ბოლოს „ულისეც“.

და ჩაფლული ვარ ნამდვილ ვარდებში,
ოქროს სიტყვები სულს მიკოცნიან,

თომას მანია, თუ კონსტანტინე,
ჰემინგუეი, თუ სერვანტესი!

ეს ხომალდია არტურ რემბოსი,
ეს ღვთაებრივი ტყეა დანტესი...
და ლექსი მზეობს ამ სინათლეში,
პოეტი მეფობს ამ სამეფოში!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

გადავაბიჯე ბარათაშვილის ასაკს,
გადავაბიჯე ასათიანის ასაკს,
მაგრამ ვინა ვარ, რა ვარ, რა ვქენი
დღემდე?
ჩემი სახელი არ აწერია ცასა.

ჩემს თვალზეც ბრწყინავს სპეტაკი
ცრემლი მძივად,
თუმც ჩემი სულიც მონათლულია
ქკლით,
თუმცა მეც სხვაზე არა ნაკლებად მცივა,
ვერსად ავიგე ჯერ ხელთუქმნელი ძეგლი.

ისე ღრიალებს ორბელიანის თერგი
და ლამაზად ჟღერს ჯაბუშანურის ასა...
გადავაბიჯე ბარათაშვილის ასაკს,
გადავაბიჯე ასათიანის ასაკს!

* * *

თუ შენი ცა გადინისლა,
ხმლით გადავწევ ციდან ღრუბლებს,
ძალაც შემწევს ქადილისა...
და ღმერთებთან ვისაუბრებ,
ვკოცნი ქუჩებს და შენს უბნებს!..
სადღაც ისმის ძაღლის ყეფა,
ხედავ, სულის სისხლით ვღებავ
შენი მტრისთვის გათლილ ისარს,
შენს ლაშქარში მიმითვლიდე,
თუ შენი ცა გადინისლა!

* * *

მე ვხედავ ძია კაცს, ჯიბე სქელს,
რომელსაც არ უყვარს ლექსები.
და სახლზე თუ წვიმა წკარუნობს,
ყურებში დაიცობს თითებსა.
მჯერა ეგ შვლის ნუკრს არ დაინდობს,
თოფს ესვრის ვარდისფერ ჩიტებსა.

* * *

არხოტ ხევსურთა კოშკები
ღრუბელს მატყლივით სჩეჩენო.
— ამ ბილიკებზე ლურჯაის
იმედი თუ გაქვს, ჩეჩენო?
— ღამით წყალდაწყალ ჩავივლი,
ხევსურთ არ დავაეჭვებო;
თუ ვერ წავასხი ცხენები,
ჩემს მთებს როგორღა ვეჩვენო...
არხოტ ხევსურთა კოშკები
ღრუბელს მატყლივით სჩეჩენო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მარინე წოწკოლაური

# როცა ძმებს სძინავთ...

## მოთხრობა

სძინავს ჩემს ძმას, გამობუსხული ტუჩები ოდნავ გაუხსნია და ფშვინავს. საშინლად მინდა მის თავთან ჩავიჩოქო, ვაკოცო და ვიტირო... ვერ ვბედავ... ვიცი, დავსხდებით და ორივენი ვიტირებთ. თუმცა არ გვეცოდინება გულს რა აგვიჩვილებს, იქნებ ერთმანეთის მზერით გამთბარი ცრემლები, იქნებ ერთმანეთის გუგებში დანახული ჩვენივე ცრემლიანი თვალები. ან იქნებ ის, რომ ვიტირებთ.

მერე? მერე ორივეს გაგვიხარდება, რომ შეგვიძლია ტირილი და დიდი ხნის შემდეგ, თუკი ტირილს ველარ შევძლებთ, გაგვახსენდება, რომ ვტიროდით.

ოთახი ჩაგუდულია ჩემი და ჩემი ძმის ფიქრებით, ოცნებებით. სძინავს ჩემს ძმას და აღარც ფიქრობს, აღარც ოცნებობს... და მე დილამდე უნდა მოვასწრო და მის მაგივრადაც ვიფიქრო. ოღონდ იძინოს მან და სიზმარში მაინც ნახოს ნაოცნებარი.

ელექტრონის ნათურას შევცქერი. მერე თვალებს ვხუჭავ. ნათურაში ჩადებული ლითონის ჭიაყელებს ფეხი ფეხზე გადაუდვიათ და დაზოზინობენ...

მე უნდა ვიფიქრო, ვიოცნებო, დილამდე უნდა მოვასწრო...

...უცნაური სიზმარი ვნახე. კედლებით შემოზღუდულ აკლდამას პირი გადაეხსნა. დავდიოდი და ძვლებს ვაგროვებდი. უცებ საშინელი ხმა გავიგონე. ვიღაც მომდევდა. კაცს ჰგავდა და თან არც იყო ადამიანი. ვეება იყო, გამჭვირვალე მუცელი ჰქონდა, ხალხით ამოყორილი. ის ხალხი ჩემსკენ ხელებს იშვერდა, ყაყანებდა, დანებით მემუქრებოდა და თავისკენ მიხმობდა გაავებული თვალებით. მე ვითომ ძვლებს ვიფარებდი სახეზე და მიკვირდა — ჩემი იქ ყოფნა რას შემატებთ. ვერ უნდა მოიფიქრონ?! იმ დანებით მუცელი გაუფატრონ ურჩხულს და განთავისუფლდებიან-მეთქი.

მერე გავრბოდი და მომდევდნენ ურჩხულიც და მუცელში გამოკრული ხალხიც. ის იყო, ფეხში მწვდნენ, რომ მე ჩემი სხეულიდან გამოვძვერი და კლდის ნაპრალში შევიმალე. იქიდან ვუყურებდი როგორ სჯგვლემდა და სთქვლეფდა ჩემს სხეულს კაცურჩხულა. მე კი ვითომ ვიჯექი გატრუნული და მიხაროდა, რომ მე პატარა ვიყავი, ურჩხული კი დიდი და იმ ნაპრალში მე რომ შევძვერი, ვერ შემოეტეოდა...

ვითომ დამიძახა ვიღაცამ და გამიკვირდა — მე ხომ უჩინ-მაჩინი ვარ, როგორ მხედავს?!. მერე მივხვდი — ალ-

ბათ ისიც ჩემნაირი უჩინ-მაჩინია, უჩინ-მაჩინებს ხომ მხოლოდ უჩინმაჩინები ხედავენ-მეთქი.

ისევ სძინავს ჩემს ძმას. როგორ მგავს! ორივეს ერთნაირი წაბლისფერი, ხეშეში თმები და უცნაური, დაუდგენელი ფერის თვალები გვაქვს, ყველა ფერის ·ფანქრის წვერები რომ ჩავთალოთ და ის ნაფშხვენი ერთმანეთში ავურიოთ, აი, ისეთი... წარბებიც ერთნაირი გვქონდა, მხოლოდ ეს ადრე, ბავშვობისას. პატარაობისას ხალათის შუა ღილამდე მწვდებოდა და მიხაროდა. ახლა მე ვწვდები პერანგის შუა ღილამდე და ესეც მიხარია.

ვილაც დადის გარეთ. რა საოცარი ხმა აქვს ამ ღამეს ქუჩას. ასე მგონია, ქუჩა კი არა ,მიწაზე გართხმული, დაჯაჭვული კაცია ქამითა და ადამიანებით ნაფურთხი და გვემილი... ვინ მოსთვლის რამდენი ქუჩაა..

ვილაცის ნაფეხური სტკივა ქუჩას... კენტდებიან, ლუწდებიან, ისევ კენტდებიან, ლუწდებიან ნაბიჯები.

ფეხაკრებით ვდგები, ფანჯარას ვაღებ და მარტოსულს ვუყურებ. დადის პალტოგაღეღილი მარტოსული...

..და როცა ასე ბედნიერი ვარ, მწუხარება დადის ქუჩაში. რატომ არის, რომ ბედნიერებას მუდამ უბედურება უდგას კვალდაკვალ. მართლაც რა ცოტა მანძილი ყოფილა ბედნიერებასა და უბედურებას შორის. საკმარისია ძირს ჩავიდე და ბედნიერება და უბედურება შეხვდებიან ერთმანეთს.

რატომ წრიალებს მარტოსული მაინდამაინც აქ. იქნებ თავისი მწუხარება უნდა რომ მეტად იგრძნოს... და მეც საზარელი გრძნობა მივლის. მეც, მეც მინდა უფრო ბედნიერად ვირწმუნო თავი. რატომ გვიყვარს ადამიანებს საკუთარი ლამაზი შიშველი სხეულის ხშირ-ხშირად თვალიერება სარკის წინ, ანდა პირმოუკრავი ჭრილობების გაფართოება და იქიდან სისხლის წრეტა.

...და მე მინდა ფანჯარას გადავეყუდო და მარტოსულს დავუძახო — ჩუმად, ჩემს ძმას სძინავს... და მე მინდა ჩემი ბედნიერების მოწმე მისი ცრემლები დავინახო. მხოლოდ დავინახო და ბედნიერებითვე შევუშრობდი ცრემლს... და მე კიველი მინდა... და მე მზად ვარ დავწყევლო ადამიანები იმისი გულისათვის, რომ უბედურების წინაშე ბედნიერები შეგვიძლია ვიყოთ. ბედნიერები კი მხოლოდ იმიტომ გვგონია თავი, რომ გვავიწყდება, თუ უბედურები ვართ.

მიწა თუ არ დასჭერი, თუ არ აკუწე, თუ არ ატკინე, მცენარე ვერ იხარებს. მაშ, ბედნიერებას უბედურებაში ჰქონია ფესვები... და როგორ შეიძლება მტკივანი საშოდან დაბადებულნი ბედნიერები ვიყოთ.

...და მე მინდა ძირს ჩავიდე და ბედნიერებისა და უბედურების შეხვედრა ვნახო.

* * *

— დედიკო, მე საიდან მოვედი?.. მართლა მიპოვე?.. — საწოლზე წამომჯდარ გოგოს შუბლი შეუჭმუხნია და ახლად ამომძვრალი ორი კბილის შეწითლებულ ფოსოებში ენის წვეტს ატრიალებს.

ადგილზე ვშეშდები და ჩემი უაზრო მზერისაგან გაორებულ ბავშვს ვეკითხები — რა?!.

ჩემმა ძმამ გაზეთების შრიალი შეწყვიტა.

ისევ გაშტერებული ვუყურებ გოგოს. უცოდინარ მოსწავლეს ვგავარ, კარნახის მოლოდინში გატვრენილს. თითქოს დამალობანას მეთამაშება ჩემი გონება... რა დროსია.. რალაცას მანიშნებს... მე მისი ტუჩების მოძრაობას ვაკვირდები, ვერ ვხვდები. ნეტავი მომაგონებინა საიდან მოვიდა. თითქოს იდუმალებით იმოსება ბავშვი. მე სულ აქ ვარ, ის კი მოვიდა.

მერე ბავშვთან მივდივარ. ჩემი სხეულის მონარღვევი უჯრედებისაგან მოქსოვილ სხეულს ვიხუტებ და ყელთან ცისფერ, მქრქალ ძარღვებს ვუკოცნი, ჩემი გულიდან გადანაწილებული სისხლი რომ ანცობს.

თითქოს ისევ მევსება სხეული სისხლით და უჯრედებით. საოცრად კარგია ასე... თურმე რა მაკლდა...

— ჰა?!. — ისევ კითხულობს გოგო.

— მე გაგაჩინე, — ჩემს თავს ვახსენებ ხმამაღლა.

—ჰმ! — ძმამ ისევააშრიალა გაზეთები, — აუხსენი ბარემ საიდან, როგორ...

მეღიმება. აბა რას მიმიხვდება. როგორ თუ ვიპოვე — ჩემია, ჩემი...

— ძილის დროა, მანდ არ მომიყვანო, — ბრაზობს ძმა.

მე ჩემს შვილს საბანს ნიკაპამდე ვაფარებ და ვითომ შეშინებული ვჩურჩულებ — ვაიმე, არ მოვიდეს, დაიძინე...

ბავშვი ჩუმად კუჭკუჭებს — დედიკო, შენ რა, მართლა გეშინია?!.

— აბა?!.

ნიკაპი ხელით ავუწიე და თვალებში ჩავხედე. ლამის ვიტირო. თვალები კი არა, ყვავილების ბაღჩა, ცხოვრების სილამაზე. საოცარია, ის, რასაც დიდები მთელი ცხოვრების მანძილზე ვეძებთ და ცხოვრებისეული შემხვედრი წვრილმანი სილამაზეების ათასგზისი შეჯვარებით ოცნებითაც კი ვერ შეგვიქმნია, პატარებს თვალებში ამოუკრებიათ.

— მე არა! — ისევ წამოიზიდა ბავშვი. თვალები მეორე ოთახის ღია კარისაკენ გააცეცა და ტუჩებზე თითი მიიფარა, — სულ ასე მემუქრება და როცა დავიძინებ, მოდის და მკოცნის.

— შენ რა იცი?

— არა მძინავს, თვალები მაქვს დახუჭული.

— მოდი აქ, ბიჭო — ლამის დიდი ხმით ავტირდე.

ჩემი ძმა მოდის და ქვეშ-ქვეშად მაცქერალ გოგოს უბღვერის — შენ კიდევ გღვიძავს?!.

მე მათ თავებს ერთმანეთს ვახუტებ და მკერდში ვიკრავ...

* * *

ბავშვმა კარგა ხანია დაიძინა. მუჭიდან გამოფშეკილ ნეკა თითზე ვკოცნი და ფრთხილად ვდგები. როგორ მიჭირს წამოდგომა. კეფაზე ხელებს ვიჭდობ და ვცდილობ ყვითელი ნაპერწკლების შემოტევას გავუძლო, ცოფიანი ძაღლებივით რომ მოიწევენ და ტვინს მიღრღნიან. და ასე, ყოველ დღე დახუჭული თვალებით ვუყურებ მაშხალასავით როგორ იწვის ჩემი ენერგია და ნაპერწკლებს შუბლზე მაქრობს.

ჩემი გული თითქოს ბოლთას სცემს, ხან შეშფოთებით აბაკუნებს ფეხებს, ხან კი შეუბუმბლავი ბარტყივით ისე საცოდავად ფრთხიალებს, რომ სურვილი მივლის მკერდიდან ამოვსვა და მოვეფერო.

რა მემართება, ეტყობა დავიღალე ფიქრით, დაკვირვებით... დაკვირვებაზე ფიქრით და ფიქრზე დაკვირვებით.

ტანსაცმლის საკიდს რომ გავუარე, უნებურად მხრით მივეხალე. რაღაც მძიმე მომაწყდა მკლავზე.

— რა გაქვს ჯიბეში?! — ვეკითხები ძმას.

— დანა... — ისე მიპასუხა, თითქოს ავტოკალამზე, ან აზრების ჩასაწერ რვეულზე ვეკითხებოდე.

...თითქოს ეს სიტყვა მახვილად იქცა, მის გარშემო ჩემსა და ძმას შორის მანძილის რადიუსიანი წრე შემოხაზა და ჩემს წინ ჩაერჭო... და მე, რკალს გარეთ დარჩენილმა ,უცნაური შიში და კრძალვა ვიგრძენი, ისეთი, როგორსაც ალბათ პირქუშ ციხე-სიმაგრის ბჭესთან მიმდგარი კაცი თუ განიცდის.

დანას დავეჯაჯგურე...

— რა დანა!.. შეიძლება ვნახო?!

— ნახე, რა...

დანას ისე სწრაფად ვხსნი, რომ ძმაც კი ოცდება, თუმცა ცდილობს არ შეიმჩნიოს. ალბათ ჩემდა უნებურად მომიხვდა ხელი საიდუმლო ღილაკზე.

მერე ვუყურებ ძმას... გონების თვალით ვასისხლიანებ დანას და... საოცარია, წარმოდგენითაც კი ვერ დავაკავებინე ჩემს ძმას სისხლით ტარგასვრილი დანა.

— რად გინდა?!

— დანა არ იცი რად უნდათ?!. — მხრებს იჩეჩავს ისევ გაზეთში თავჩარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გული ძმა, თითქოს საკვირველი კითხვა დავუსვი.

— შენ ვინმეს მომკვლელი ხარ? სისხლის დანახვაზე კილომეტრზე გარბიხარ.

— მე?.. — მგონი შეურაცხყოფილადაც კი იგრძნო თავი, მის ავკაცობაში ეჭვი რომ შევიტანე.

— შენ, ძმაო, ადამიანი თიხის ქოთანი კი ნუ გგონია — ჯერ დალეწო, მერე შეაწებო და თაფლი ჩაასხა... გრძნობები აქვს, გული აქვს, სტკივა და უხარია... და არც შენი ნებართვით მოვლენია ქვეყანას. ცხოვრების პატარა მყესია... და კიდევ თვითონ არის ცხოვრება, ზურგით რომ დაატარებს წარსულს, აწმყოს და გონებით მომავალს.

—ცხოვრება... დიდიც ვინმეა ეგ შენი ცხოვრება... ასე მგონია, ქვეყანა მიკროსკოპის ქვეშ დადებული მართკუთხა სასაგნე მინაა, ჩვენივე სიპატარავის გამო რომ გვეჩვენება დიდად.

ცხოვრება კი გამადიდებელი მინით გვიმზერს და ლითონის ჩხირებით გვაღიზიანებს. ჩვენ კი აზრადაც არ მოგვდის, რომ ჩვენი ყოველი ნაბიჯი წინასწარ გაზომილი და გააზრებულია... რომ ეს სულაც არ არის ვიღაცისათვის საკვირველი, რომ ეს ასეც უნდა იყოს... და ცხოვრება თავისი გონებით ტკბება.

დიახ! ეგ შენი ცხოვრება კედელში დატანებულ საიდუმლო ხვრელში მაცქერალი თვალია, ცოლ-ქმრის სიახლოვეს რომ უსირცხვილოდ უჭვრეტს... და იმ დროს, როცა ისინი მხოლოდ ერთმანეთს ხედავენ... ან იქნებ ვერც ხედავენ, ცხოვრება ორივეს ერთად უმზერს...

ჩემი ძმა წამოდგა და ბოლთის ცემა დაიწყო. თავხედი!.. ზედაც არ მიყურებს. ისე გაფხორილი მიდი-მოდის, თითქოს ძალიან ჭკვიანური რამეები თქვა. მგონი ჩემმა დუმილმა უფრო დაარწმუნა. მე რაღა მემართება. კიდევ კარგი, არ მიყურებს. ასე მგონია, ჩემს სკამზე მე კი არა, სისულელე ზის. ვგრძნობ როგორც ვიღიმები, ასე მხოლოდ კეთილი გიჟები იღიმებიან.

— ნუ სისინებ, ბიჭო, გველივით! — მისი გამომწვევი სიარული მაღიზიანებს მე.

— მერე რა თუ გველივით ვსისინებ. ყველა ადამიანი ხომ მხეცებით სავსე ზოოპარკია. ეტყობა ჩემში გველის თვისებები სჭარბობს. აი, შენ კი — უცებ შემოტრიალდა ჩემსკენ — მელია ხარ, კუდბომბორა მელია, კარგსაც და ცუდსაც რომ მორჩილად უქნევ კუდს. მე კი იმიტომ ვიკბინები, ჩემში დაგროვილმა ზედმეტმა შხამმა მე თვითონ რომ არ მომწამლოს.

„...საოცარია, ერთი და იმავე საკითხებზე ვმსჯელობთ და სულ სხვადასხვანაირად... რატომ?..“

მაგიდაზე დადებულ ვაშლს ვუყურებ.

„...აი, მაგალითად, ეს ვაშლია. ორივე ვხედავთ რომ ვაშლია. მაშ, რაღაა საკამათო, ორივემ ხომ ვიცით რომ ვაშლია. ააა მივხვდი. ჩემი მხრიდან ვაშლი მთელია, მეორე გვერდი კი, საიდანაც ჩემი ძმა დაინახავს, ჩაკბეჩილია... აი, თურმე რა...“

— ნეტა შენი თავი დაგანახა საერთოდ, — ველარ ვუძლებ მისი უტიფარი ნაბიჯების ხმას.

— როგორ?.. ისეთი მიამიტური მორჩილებით მეკითხება, რომ ეტყობა უკვე შენიშნა ჩემს სახეზე შეცბუნებული ღიმილი, ბრიყვს რომ მამსგავსებს.

— როგორ და...

— ნუ ყვირიხარ, ბავშვს გააღვიძებ!

— როგორ და, ხალხს შეხედე, გაიგე?!. ადამიანები სარკეები ვართ და ერთმანეთი თუნდაც იმიტომ გვჭირდება, რომ ჩვენი თავი დავინახოთ... ჰოდა, ჩაიხედე და დაინახავ რა საბრალო და პატარა ხარ.

— ადამიანებს რომ ვუყურებ. „სიცილის ოთახში “მგონია თავი. სარკეები მადიდებენ, მაპატარავებენ, მასუქებენ, მაწვალებენ... და საერთოდ თავიანთ ბუნებას ამჟღავნებენ. მეც ვდგევარ და ვიცინი. სარკეში, დანახულ ჩემს თავზე კი არა, სარკეებზე... ასე რომ მხედავენ...

— გიჟი ხარ შენ, გიჟი...

— ვიყო, რა... — არა, დღეს სულ

არაფერი არა სწყინს ჩემს ძმას, — მაშინ შენც გიჟი ხარ...

— მე?!

— ჰო!... რასაც მე ვამბობ, შენც ათასჯერ გიფიქრია,მაგრამ შენ კაპასი დედინაცვალივით ჯოხით გამოყარე გარეთ... მე ვიშვილე, ვაჭამე, ჩავაცვი და სახელიც დავარქვი... და მერე გიჟები იქნებ გაბედული ჭკვიანებიც იყვნენ... საერთოდ კი, დიდ განსხვავებას ვერ ვხედავ გიჟებსა და ჭკვიანებს შორის; ორივენი ერთნაირად ფიქრობენ, ოღონდ რაც გიჟებს ჭკვიანურად ეჩვენებათ, ის ჭკვიანებისათვის არის სიგიჟე...

...სულ მიკვირდა ამ ჩემი მთქნარებაშ აყოლილი ძმისა, სიზარმაცისაგან ქოთლსაც კი რომ ვერ დადგამდა ცეცხლზე წყლის გასაცხელებლად. ახლა მივხვდი... არ ვიცი, როგორ, მაგრამ მივხვდი. უცნაური ენერგია ჰქონია, ახლანდელობისათვის გამოუსადეგარი... ის ენერგია ბოშას ბარგივით წამოჰკიდებია ზურგზე, მოჰარბებულ, გამოუყენებელ ენერგიას დაუჩლუნგებია ჩემი ძმა.

— ...არა, ეს დანა რისთვის გინდა... რა, კაცს მოჰკლავ?..

— თუ მოკვლას დამიპირებს, არა სჯობია მე დავასწრო?..

— გინდაც გკლავდნენ, შენ მაინც ვერ მოკლავ — ვირწმუნები მე.

— გეგონოს...

„...სიგიჟემოვლილივით შემოვარდა მაშინ ჩემი ძმა გაფართოებულ თვალებში მთლიანად მოუჩანდა გუგები...

— რა მოხდა?!. — მახსოვს, ვიკივლე...

— ქათამი...

— რა?!. დაკალი?.. რა მოხდა...

— თვალები დავხუჭე და ისე დავკალი... აი, ამ ხელით... — მაშინღა შევნიშნე გასისხლიანებოდა მარჯვენა ხელი, — გული გადმოვარდა, ფეთქავდა... სისხლი...

...მე დავბანე სისხლიანი ხელი, ეშინოდა თვითონ...“

ლამისაა გადავიხარხარო — მერე სისხლი?!.

— სისხლი წითელი წყალია...

...და მე მეშინია ღვიძლი ძმის...

— შენ ვერ მოკლავ ვერავის!.. გინდაც გკლავდნენ, შენ მაინც ვერ მოკლავ, — ისევ ვარწმუნებ მას და ჩემს თავს.

— აი, შენ ჩემი დაი ხარ და მგონი გეყვარები კიდევაც... როგორ გგონია, მკვდარი ძმა გირჩევნია თუ მკვლელი?

რა უნდა ვთქვა. ძალაგამოცლილი ვზივარ და ვუყურებ კაცს, რომელიც არ მინდა, რომ ჩემი ძმა იყოს.

— მე არ მინდა შენისთანა ძმა... მე არ მინდა შენისთანა ძმა... — ვჩურჩულებ.

ხმის სიძლიერე, ჩემს ტუჩებს რომ არ გადმოსცდენია, ყელში მაწვება... მერე თავში გადაინაცვლა. ლამისაა თავის ქალა ამხეთქოს.

— მე ერთი ქალი ვიცი, შვილს დასტიროდა... ტრაქტორიდან გადმოვარდნილიყო ის უბედური და მომკვდარიყო... ჰოდა, დედა ტიროდა — შვილო, არ მერჩივნა ქვეყნის ამომგდები ყოფილიყავი, ოღონდ ცოცხალი შემრჩენოდიო...— ჩემი ძმა მოვიდა, მხრებზე მომეხვია, მგონი კოცნასაც მიპირებს ლოყაზე.

ხელში ისევ მიჭირავს გაშლილი დანა...

...ძმას სახეს ვარიდებ. არ ვიცი მეზიზღება, თუ მეშინია მისი. სიმწრისაგან ხელებს ვმუშტავ... ხორცის შხივილის მესმის. ტკივილს ვერ ვგრძნობ, ვხვდები, ხელი გავიჭერი...

— სისხლი... — მესმის ჩემი ძმის კივილი და ვხედავ მას აძიგძიგებულს, გაფითრებულს.

* * *

ჩემმა ძმამ სიჩქარე გადართო და მანქანის წინა შეორთქლილი მინა ხელის ზურგით გაწმინდა.

ვდუმდით. თუმცა ორივეს გვეტყობოდა დაძაბულ, შეკუმშულ სახეებზე ვკიოდით, ვჩხუბობდით, ვამტკიცებდით...

და მომეჩვენა თითქოს ოთხნი ვიყავით მანქანაში — ჩვენ და ისევ „ჩვენ“...

რამდენიმე წუთია რაც დავტოვეთ მიწააკოკოლავებული საფლავი.

— ერთი ანეკდოტი თუ იცი?.. — იკითხა ძმამ.

— რა ვიცი რომელი... რა დროს ანეკდოტია!

— რა უდროსია... მე ის კაცი არა ვარ, რომლის სიცოცხლის აზრი წუხილშია. ხანდახან ადამიანები ძალით იტანჯავენ თავს და ჩვენც გვტანჯავენ. იქნებ ისინი ეგოისტები არიან, ჩვენი და თავიანთი ტკივილებით ცხოვრებისეულ სიტკბოს რომ იღებენ... აი, მე ჩვეულებრივი კაცი ვარ და სიტკბოს სიტკბოდ ვიღებ, სიმწარეს — სიმწარედ... ის ანეკდოტი მაინც უნდა გითხრა — ...ერთ ქალს ქმარი მოუკვდა. დაასაფლავა, დაბრუნდა სახლში და ოხრავს — მარტო ვარ, სრულიად მარტო... რამდენიმე თვის შემდეგ იგივე ქალი ისევ საფლავიდან ბრუნდება სიხარულით ატაცებული — მარტო ვარ, სრულიად მარტო... ხომ მაგარია?!

— კი, შენსავით...

— იმ ჩვენს ძმაკაცზე რას იტყვი, ვითომ ძალიან ედარდებოდა მამა? ასე მგონია კაცი კი არა, მეწველი ძროხა მოკვდა. ცოლ-შვილი კი მგონი უფრო თავის მშიერ კუჭს დასტიროდა, ვიდრე იმ კაცს. მერე შენიშნე?!. უფროსი გოგო, აი, ის, წარამარა გული რომ მისდიოდა, ქელეხის შემდეგ მეზობელს შესჩიოდა — დედაჩემმა მთელი საჭმელი სხვებს დაურიგა, მე რაღა წავიღოო. ის ჩვენი მეგობარი კი ფულს ითვლიდა — ცოტააო.

— შენ უარესი იქნები — ხელი ჩავიქნიე მე.

— ვითომ ასე გგონია?! ადამიანები იქნებ იმიტომაც იქცევიან ცუდად, რომ მერე კარგით გაგვაოცონ.

— რას ამოიჩემე... ადამიანები... ადამიანები. შენ რა, მხეცი ხარ? ან ვინ მოგვცა ადამიანებს იმისი უფლება, რომ ერთმანეთის მოქმედება განვსაჯოთ.

— მეც თქვენნაირი ადამიანი ვარ, ოღონდ თქვენგან თითქოს გარიყული, ზურგშექცეული. თუ ვინმე მომიახლოვდება, წიხლებს დავუშენ. არ გაგიკვირდეს, თქვენ თვითონ მასწავლეთ ეს.

— იცი?.. შენი გონება ერთმანეთს დაუკავშირებელი უაზრო ფრაზებით გატენილ რვეულს მაგონებს. — ვამბობ ხმამაღლა, თუმცა სულ სხვას ვფიქრობ...

„...თითქოს მოთხრობას მიყვება ჩემი ძმა.მე კი რედკოლეგიის წევრი ვარ და თანამდებობის უკეთ შეგრძნობისათვის, მის ყოველ სიტყვას ვწონი და ვაკრიტიკებ. რა გულწრფელად ლაპარაკობს! იქნებ სულელურადაც, მაგრამ მაინც კარგად... და ვხვდები გონებიდან ჩანჩქერად გადმოვარდნილ სიტყვებს არც ერთი გვერდით გადაჩქერილი სიტყვა არ უნდა მოაკლო, თუ გინდა, რომ სილამაზე შეუნარჩუნო... ბუნებიდან გადმოსული გრძნობების ჩანჩქერი სხვისი ხელებით დაყალიბებული, ბუნებრიობას კარგავს...“

ჩემმა ძმამ ისევ გადართო სიჩქარე და გვერდითი მინა ოდნავ ძირს დასწია — იორთქლება. — მოდი, ტბის გზით წავიდეთ სახლში.

— შორია.

— რა გვეჩქარება... აუჰ, ახლა დედაჩემი და მამაჩემი... დამიწყებენ. მე ისე ვფიქრობდი მკვდარზე.

„...მივედი და არ ვიცოდი რა უნდა მეთქვა ჭირისუფლისათვის, რით მენუგეშებინა — გაგიცოცხლდებათ-მეთქი თუ... მერე საფლავთან რომ ვიდექი, ვფიქრობდი... ირგვლივ ტიროდნენ... არ ვიცი მკვდრის წინაშე ვის დავტირით — მკვდარს, თუ ცოცხალთა მოდგმას. რატომ ვკივით და ვყვირით, მას ხომ ვერაფერს გავაგონებთ... თუ იმის მისახვედრად, რომ ცოცხლები ვართ... ან იქნებ ადამიანები საჯაროდ დასტირიან საკუთარ თავს, თავიანთ უძლურებას სიკვდილის წინაშე, სხვისი სიკვდილით რომ შეგვახსენებს ხოლმე საკუთარ მოკვდავობას... ტიროდნენ და მეჩვენებოდა, თითქოს მათთვის განკუ-

თვნილი საფლავებიდან ამოხტომას ლამობდნენ... სიცოცხლე ტიროდა... სიკვდილი დუმდა... ან იქნებ მართლაც ვართ ადამიანები ეგოისტები. იქნებ ტირილით ნიშნს ვუგებთ მკვდარს... ნეტავ თუ იქნება ადამიანი, რომ სიკვდილი არ ენახოს..."

ჩემმა ძმამ მანქანა ისე სწრაფად დაამუხრუჭა, რომ წინ გადავარდნილმა კინაღამ შუბლით გავამტვრიე მინა.

— ნელა — ვუყვირე — წინ იყურე.

— ნახე...

მანქანის წინ კურდღელი გაშეშებული იყო.

— ზედმეტი სინათლე გონებას აბნელებს.

ძმამ თავი დამიქნია.

— ახლა უყურე — ფარები გამორთო.

შლიგინის ხმა გავიგონეთ...

ისევ დავიძარით. ჩემმა ძმამ სიმღერა დაიწყო.

— ნუ დამჩხავი. — ვბუზღუნებ მე.

— ახლა ისეთი რამე უნდა გითხრა... ცოლი უნდა მოვიყვანო...

...ჩემი ნერვები კოცონის გარშემო შემოკრებილ დაძაბულ პარტიზანებს გვანან. ერთი ნერვი ყარაულობს თითქოს და იმ ნერვის სტვენის ხმას ელოდებიან დანარჩენნი, რომ წამოიშალონ და იარაღი მოიმარჯვონ...

— ყველაფერ სისულელეზე შენ როგორ უნდა ფიქრობდე... გაჩუმდი — ვანჩხლობ.

ყურადღებასაც კი არ მაქცევს. მანქანას აჩერებს, შიგნით სინათლეს რთავს. მუქარისაგან მოკუმულ მუშტს მიხსნის და ჩემიც და თავისი ხელიც ნათურასთან მიაქვს.

— ძირს ნაგრილებს ხედავ?!. — ჩემი ხელის ჩრდილი უფრო დიდია ხომ?.. ჰოდა, ვთქვათ, ხელი არის გონება... ის, ისე... ვთქვათ... ნაგრილი კი მისი ნააზრევი... რაც უფრო დიდია გონება, მით უფრო მეტ სისულელეზე ფიქრობს...

— შენ მალე გაგიჟდები...

— ჩემნაირები არ გიჟდებიან, სხვებს აგიჟებენ... სხვათაშორის, რასაც ვამბობ, ყველა შენი დამსახურებაა... მე კი მართლა უნდა მოვიყვანო ცოლი... ახლა კი წავედით...

მანქანის მინაზე ისევ იმრავლეს ორთქლის წვეთებმა. ასე მგონია, ჩვენს შემყურეს ჭირის ოფლი ასხამს.

— გაიგე?!. — დასერიოზულდა ძმა.

— დღეს რაღა იქნება და ხვალ აუცილებლად მოიყვანე. შე უბედურო, შენ ვინ გამოგყვება. გახსოვს დედა რას დაგპირდა? ცოლის მოყვანას რომ დააპირებ, მივალ მასთან და ვეტყვი ასეთი და ასეთია ჩემი შვილი და თუ შეგიძლია მაგის ატანა, გამოჰყევიო.

— დედაჩემი რასაც იტყვის... ბავშვიანი ქალი უნდა მოვიყვანო... რას იტყვი?!.

— საქმე წინა გქონია წაგდებული.

— სერიოზულად გეკითხები.

— თუ იმ ქალის გარეშე ცა გენგრევა თავზე, უნდა მოიყვანო მაშინ.

— შენს მეტი ვერავინ მიმიხვდება ვერაფერს. ასე მგონია, რაც არ უნდა ჩავიდინო, შენ ყველაფერს გამიგებ.

— ცხოვრებაში საოცრებები არა ხდება, მოხდენილის ახსნა ყოველთვის შეიძლება და რახან ახსნა, გაგებაც ძალგვიძს. ადამიანებს უბრალოდ გვეზარება ხოლმე ფიქრი.

— ის ქალი, ბავშვი რომ არ ჰყოლოდა, არ შემიყვარდებოდა. შვილია მისი სილამაზეც, ქალობაც, უბავშვოდ ასე მგონია ხეიბარი იქნებოდა; უფეხო, უხელო ხეიბარი. მე მასში დედობა უფრო მიზიდავს... მერე როგორ უყვარს შვილი... იქნებ ის დიდი სიყვარული მაძლევს მოწიწების მიზეზს.. ვხედავ ხოლმე როგორ უყურებს მას და იცი?.. თითქოს უცნაური შური და სურვილი მიპყრობს... ნეტა მეც მისი შვილი ვიყო...

ისევ დუმილი... მე თითქოს ჩემი ძმის სხეულში გადავდივარ და ისე ვუყურებ ქალსაც და ბავშვსაც. არ ვიცი როგორ ვახერხებთ ადამიანები მეორე სხეულში გადასვლას ჩვენივე სხეულის დაუძვრელად.

...ახლა მე პირველ პირში დაწერილ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომანს ვგევარ, ყველას და ყველაფერს რატომღაც და როგორღაც ჩემს თავს რომ ვუკავშირებ.

— დიდი ხანია, რაც იმ ქალთან დაწუნწულებ?! — მგონი იმიტომ ვკითხულობ, რომ რაღაც ვთქვა. ჩემი ძმა სიგარეტს უკიდებს.

— კარგა ხანია... ჰმ! ორსულად იყო, ჯერ არ ემჩნეოდა. მხოლოდ მე და მან ვიცოდით. ერთხელ... ავედით ავტობუსში. დაჯდა, წრიალებს, ვატყობ ცუდადაა, რაღაც აწუხებს. მერე ვიღაც ფეხმძიმე ამოვიდა კიდევ, გვარიანად ეტყობოდა მუცელი. დასაჯდომი ადგილი აღარ იყო... ყველა მას... ჩემს... იმ ქალს უყურებდა. ისაც ადგა და ადგილი დაუთმო... და მე ვხედავდი მის თვალებს... და მივხვდი, რცხვენოდა ჩემიც, ხალხისაც, ფეხმძიმე ქალისაც... მას თითქოს უფლება არა ჰქონდა ორსულად ყოფილიყო...

...მერე მეც თითქოს გული ამიცრუვდა...

...ისევ დავუბრუნდი...

„...და მომეჩვენა, თითქოს მუხის მერქანი და ქერქმაგარი ტოტი ვიყავი... ჩემი ძმა კი იმ ტოტს ჩამოჰკიდებოდა ყულფით... მტკიოდა მერქანიც, სიმაგრეც, რგოლებად ქცეული ასაკიც და მინდოდა ზურგით გადამეხეხა თოკი, ანდა მოვმტყდარიყავი ხის ტანს... ოღონდ გადამერჩინა ჩემი ძმა.

* * *

...გაქრა მარტოსული. იქნებ არც იყო არავინ. იქნებ მომეჩვენა, ან იქნებ ჩემი გონება დაძრწოდა ქუჩაში.

...ფანჯარას ფრთხილად ვკეტავ, ფეხაკრებით ვბრუნდები სკამთან. სადღაა ჩვენი ფიქრები, ოცნებები... გაპარულან, ღია ფანჯრიდან გაპარულან.

გაიღვიძებს ჩემი ძმა და ისევ კართან დახვდებიან ატუზულნი...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მამუკა წიკლაური

## ვერ ვამოვიცვლით სათავეებს მე და არაგვი

ეჰ, რალა კითხვა არ მოაწყდება
ჩემს სახლს — ლოდივით მოხვდება კედელს...
აი, ამ კითხვამ მთელი სახლი შეაზანზარა
და მიმიმწყვდია რინგის კუთხეში:
— ვთქვათ და არსებობს საიქიო,
ვთქვათ, არაფერსაც არ ტყუიან ძველი წიგნები...
შენ რომ იქ ჩახვალ,
დაგხვდებიან შენი პაპები —
მდგარნი ჰიუხის კლდოვან შიბივით —
საგვარეულო ქედად და ფესვად.
ა, ის პაპები შენ რა თვალით შემოგხედავენ,
დაგიყენებენ გვერდით, თუ არა,
ლაშეებისგან დაძენძილ გულს შეიცოდებენ?..
როგორ დაჩნდება იმათ თვალით შენი ცხოვრება?
...ეჰ, რალა კითხვა არ მოაწყდება
ჩემს სახლს, ლოდივით მოხვდება კედელს...
საქვე ადგილას დგას ჩემი სახლი,
თავს დამგრიალებს მოწამლული ისრების ქარი.
აქ რა მოიყვანს,
აქ რა უნდა ბედნიერებას!..
მაგრამ ეს ჩემი ფუძეა და სხვაგან ვერ წავალ,
ვერ გამოვიცვლით სათავეებს მე და არაგვი.

## მე მხოლოდ ის მწყინს

სასაფლაოზე ჩავიარე და თქვენს ძეგლებზე —
თქვენს სახელებზე ისე შევვარდი,
როგორც სისწრაფით მიმავალი მანქანა ქვებზე.
შემძრეს ფიქრებმა,
შემანჯღრიეს მოგონებებმა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე არ ვეკუთვნი იმ ხალხს, რომელსაც
სიკვდილი ზარავს,
თრთის სიკვდილის გახსენებაზე,
ვისაც არა აქვს ამგვარ შიშის იმუნიტეტი...
მე მხოლოდ ის მწყინს,
რომ უთქვენოდ შევყურებ მთვარეს,
ახლა რომ ნელა ამოდის და ფიქრისთვის მიწვევს.

## დასცვივდა მაღალ კაკალს ფოთოლი

დასცვივდა მაღალ კაკალს ფოთოლი,
ახლა ყვავებით — შავი ფოთლებით
შემოსილა და გასჩხავის სივრცეს.

. . .

თავის კერაზე დაბრუნდა ისევ
დიდი ხნის წინათ წასული კაცი —
მონატრებული, მომშეული, მოწყურებული,
დიდი ხნის წინათ წასული კაცი —
დაჭრილი უცხო სიტყვებით და უცხო ქარებით.
დაბრუნდა კაცი,
მოატანა მშობლიურ სოროს
დაჭრილი დათვის სისხლმა და გენმა,
მაგრამ სადღაა სორო,
წასულა
ყველა, ვისაც კი შეეძლო ეთქვა:
— მოხვედი შვილო?
მოდი, გათბი, შეგცივდებოდა...
დასცვივდა მაღალ კაკალს ფოთოლი,
ახლა ყვავებით — შავი ფოთლებით
შემოსილა და გასჩხავის სივრცეს.

## დაიწყო ფრენა კლდეებსა და ყვავილებს შორის

ისინი სამნი მიდიოდნენ: ცოლ-ქმარი — შვილით.
ნასეტყვ გზას ისევ ასდიოდა ღრუბლების სუნი.
უცებ შეჩერდნენ. — ჩიტი იყო ბუდეზე მკვდარი —
სეტყვას მოეკლა, ჩაეძენძა და ჩაეთელა.
ბარტყებმა მოკლული დედის ბუმბულში
ამოეწიათ თავები და ცას შესწიოდნენ.
ქალი ატირდა, ხოლო კაცმა ყრუდ ჩაიცინა...
თითქოს რეზინის, დერმატინის, ბრეზენტის იყო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის დაცინვა და ქალის გულში ჩაგუბდა კუპრად.
გაიჭრიალა ძვლებში ხერხმა... გულს ლოდი მოხვდა,
ბიჭს მოეჩვენა: დედ-მამას შორის
უეცრად სალი კლდეები ჩადგნენ.
...იმ ღამეს ბიჭი თითქოს იმ სალ კლდეებზე იწვა,
ვერ დაიძინა — შუბებივით სჩხვლეტდნენ კლდეები...
თენებისასღა ჩაეძინა და დაესიზმრა:
ცეცხლისმფრქვეველი ყვითელი გველი
მამას სხეულზე ეხვეოდა, ხელ-ფეხს უკრავდა,
ცდილობდა პირში ჩაძრომოდა და გაერღვია...
იქ იდგა დედაც და გულგრილად იყურებოდა,
როგორც გამვლელი და ამ ბრძოლის შემთხვევით შემსწრე.
თავის ყვირილზე გამოეღვიძა.
დედას და მამას მშვიდად ეძინათ
და გაუხარდა სიმშვიდე, თუმცა
სიმშვიდეს უკვე ახდილი ჰქონდა
ჰერი და წვიმა აქრობდა კერას...
ბიჭის პირველი სევდიანი დღე თენდებოდა,
დრო დადგა, ისიც გაიმეტა ბედმა ტანჯვისთვის.
პირველი ლუკმა სთხოვა ფასკუნჯმა —
დაიწყო ფრენა საკუთარი ტკივილის ფასად,
დაიწყო ფრენა კლდეებსა და ყვავილებს შორის.

## ზამთარი. ფიქრი მშიერ ყვავებზე

თითქმის ყოველდღე —
ყოველ დილით ვხედავ სარკმლიდან,
ჩრდილოეთისკენ როგორ მიცურავს
ყვავების შავი, სწრაფი მდინარე.
ათასი ყვავი — გრძელი ჯაჭვის ათასი რგოლი
მიდის მცხეთის და წიწამურის მინდვრებისაკენ.
მიდის ეს შავი ფლოტილია — მიჰყვება შიმშილს —
მინდორში გლეხებს ორიოდე მარცვალი დარჩათ.
მე მიყვარს მათი გამოჩენა,
მწყინს, თუკი ადრე ვერ გავიღვიძე
და ამ სევდიან გადაფრენას ვერ დავესწარი.
...მიდის მდინარე —
მიყრანტალობს ეს შავი წყალი...
ფიქრით მეც მცხეთის მინდვრებისკენ მივყვები ყვავებს—
იქ ზამთრისაგან გადათელილ ბალახზე ვწვები
და მაკრთობს ძველი არმაზის ძვლები —
გამოქარული თეთრი კლდეები.
აი, ამ დილას ყვავებმა რომ გადაიფრინეს,
ის მთიულები გამახსენდნენ,
ასი წლის წინათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ აიყარნენ — პლასტუნკაში რომ გადასახლდნენ —
სამუდამოდ რომ გამოჯარეს სახლის კარები,
მშიერ დედ-მამას, ცოლს და შვილებს რომ გადაუძლევნენ.
გასცდნენ ყაზიბეგს... ჩაათავეს ლარსის დაღმართი
და პლასტუნკისკენ აიღეს გეზი.
დაემშვიდობნენ საქართველოს მთების ტკბილ ღრუბლებს,
საქართველოს გულს, საქართველოს რძესა და ძუძუს...
გადაეფარნენ, ჩაეფარნენ, ჩავიდნენ, ჩაქრნენ...
ნაკვალევი კი გულზე დარჩა შავი სიმივით
და საშინლად ჟღერს, როცა ფიქრი წამოედება.
ამით ვამთავრებ ამ ლექსს,
რა მოთვლის,
რასაც მე ვფიქრობ, რაზეც გული თრთის ფოთოლივით,
როცა ყვავები დილმის მასივს გადაუვლიან.

## თითქოს ხედ ვიქეც

მე გავიფიქრე —
ახლა მთაში შვინდები ყვავის,
ისევ ადიდდა შავი არაგვი,
ახლა ბზობაა — ხახაბნის ტყეებს
შეეხმიანა გუგულიც, ალბათ...
მე გავიფიქრე —
ახლა მთაში შვინდები ყვავის —
ლაპლაპებს შვინდი,
ღრუბლებისკენ არც იყურება.
...თითქოს ხედ ვიქეც და ამ ფიქრებმა
ყვითლად შეღება ჩემი ტოტები...

## ნაფოტივით მივდევ მდინარეს

არაგვის პირას ამოსულმა ყვითელყვავილამ
ამ გაზაფხულზეც ნაღვლიანად ამოამზევა
შენი ღიმილი და შენი თმები,
შენი სახე და მტკივანი ფილტვი...
და მივხვდი, ვიდრე მე ცოცხალი ვარ,
შენაც იცოცხლებ,
როგორც ფითრი ცოცხლობს ხეებზე.
გავიყურები გზოვნისწვერზე დახრილი მზისკენ —
ეგ მზე ძველია, ჩვენთვის ენთო, ჩამოიცალა
და ნაღვლიანი ღრუბლებიდან გვემშვიდობება —
ჩვენი სინათლის წელიწადი ჩადის ღრუბლებში.
სიზმარი იყო, თუ რა იყო ის სიყვარული...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალარ ვჯანყდები,
ხმალს არ ვიქნევ,
ქვებს არ ვაგორებ,
ალვირს არ ვებრძვი,
ლაგამს ალარ ვასისხლიანებ.
ალარ ვჯანყდები —
ფოთოლივით მივყვები ქარებს...
ალარ ვჯანყდები —
ნაფოტივით მივდევ მდინარეს...
და მკვეთრად ისმის მასპინძლის ხმა:
— წადი, სტუმარო!..

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გენო კალანდია

## ია

ამ უზარმაზარ მუხებს შორის,
ამ ფიჭვებს შორის,
ამ ნეკერჩხლებში
                    და ეკალ-ბარდში,
ამ ათასწლოვან ტყის ნაკრძალში რომ აღმოცენდით
და ლამაზ მხრებზე ღვინისფერი ცა რომ მოისხით,
თქვენ რკინის გული გქონიათ, ანდა
ხართ მეოცნებე,
ან სულელი პატარა კრავი,
ბეთენიასთან წყაროზე რომ ჩამოიარა.

## მე თრიალეთის მეგონეთ კრავი

თქვენ გამახსენეთ: ყვავილი ფშავის
და მარტისპირზე მტირალი ვაზი,
მე თრიალეთის მეგონეთ კრავი, —
ასეთი სუსტი,
ასეთი ნაზი.

თქვენ გამახსენეთ: რომ გული ქრება,
რომ დრო ამოწმებს ყოველგვარ ამბავს,
თქვენ ცოდვილი ხართ...
და ცოდვებს თქვენსას
ვერ წაიღებდა არაგვიც ალბათ.

თქვენ გამახსენეთ: არაგვის წვიმა
და მარტისპირზე მძინარე გველი,
მე გეთხოვებით...
მე გული მტკივა...
მოდით, ცბიერო, მომეცით ხელი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სანამ დრო არის

სად არის ახლა ედიშერი?
სად არის, გულდა?
სად არის ჩვენი ჩანტლაძე შოთა?

მიცვალებულებს არ ვჭირდებით, უფალო ძმანო,
მიცვალებული გვჭირდება ცოცხლებს.

მიცვალებულებს ვერ შეხვდებით მეჯლისზე, ლხინზე,
ვერც დღეობებზე,
სპექტაკლებზე
და თათბირებზე,
თქვენ, —
ცოცხლებს შეხვდით,
მოეფერეთ თვალებით, სიტყვით,
გახსენით შუბლი — ქედმაღლობის ძაფით შეკრული
და მზეზე სული გამოფინეთ, როგორც დროშები,
სანამ დრო არის.

ხეს სიცოცხლისას ჩამოჰკიდეთ თქვენი ღიმილი,
ვით თაიგული, სათამაშო — ფერად-ფერადი
და ყოველ დილით ქუჩებში გადით.

თქვენ,
დღლის ცხენი ნუ გგონიათ წუთისოფელი,
ან უკვდავება ძაღლის კუდი — ყველა რომ ერგოს.

როცა ჩვენ გაეჩნდით: მოგვიზომეს საფლავის მიწა,
საკუთარ მხრებით ვატარებთ სიკვდილს.

ქვეყნიერებას ვერ აწონით ცოდვა და მადლით,
ვერც დიოგენის ფანარი გიხსნით.

თქვენ, —
ძმანო ჩვენო, თვალზე ცრემლი მოწმინდეთ სოფელს
და სიტყვებს, როგორც საკუთარ შვილებს,
მიეცით გულის სითბო და სისხლი.

სად არის ახლა ედიშერი?
სად არის გულდა?
სად არის ჩვენი ჩანტლაძე შოთა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბალადა საკუთარ გულზე

გულო, გეკითხები, როდის?
გულო, ახლოვდება მარტი,
გულო, სიყვარული მოდის, —
ცრემლით, სალამურით, ვარდით.

გულო, დარჩენილა ღია
შენი უსურვაზის კარი,
მინდვრად გამოსულა ია, —
ოცი გაზაფხულით მთვრალი.

გულო, შემოდგომის კოცონს
ჯობდა ნაპერწკალი წინა?
ალბათ სამოთხეში მოგცეს
გულო, სამუდამო ბინა.

გულო, განიძარცვა შინდი,
გულო, არ მოგედოს ხავსი,
გულო, სიჭაბუკე მიდის, —
ღვინით, ყვავილებით, ვალსით.

გულო, სასწაულებს ელი,
გულო, ამიჯანყდე ღამის,
გულო, მეგობართა ხელით
ასგზის მოწამლული შხამით.

გულო, გაჩენილო ბავშვად
ვარდებს ფიანდაზად შლიდი,
გულო, ჩატეხილა შარშან
შენი გადებული ხიდი.

გულო, მოგონებას უხმე,
თოვლი გარეულა თმაში,
გულო, აჩეხილო წუხელ
სამი მუშკეტერის დაშნით.

გულო, აყვირებენ ბუკებს,
გულო, შებინდება მოდის...
გულო, გელოდება უკვე
შავი მარმარილოს ლოდი.

## იალტა

გამახსენდება: ასაკი ჩემი,
ცა გაზაფხულის, ვარდები, ტაში,
თქვენ იალტაში წაბრძანდით გემით,
მე თვითმფრინავით გავქრები ცაში.

. . .

იალტა! — ნაზი, მტრედივით კოხტა,
გამოჩნდა უცებ, ვით უფლის მზითი
და ფარშევანგის კუდივით მომხვდა
სახეზე შავი ზღვის ლურჯი ზვირთი.

იალტა! — მთვარე შემოდგა სერზე,
ვით ნიამორი შემკრთალი ჩქამით,
ქუჩაში მიდის ძველი მეთევზე
მთვრალი ზღვითა და რიჟრაჟის ქაფით.

განთიადისას გავხედავ ქალაქს,
ვით ბედნიერი ყირიმის ხანი,
დავჯდები... დავწერ ანდერძის ქაღალდს
და ციხეს გავხსნი პირველი კარით.

იალტა! — ღამის მძინარე ქალაქს,
თითქო პირველად ვხედავ და ვუმზერ
...და დაფიონზე,ვარსკვლავის დარად,
მე დაგაკვდებით, ძვირფასო, გულზე.

## გასეირნება ბზიფის ხეობაში

*ჯანსულ ჩარკვიანს, ლუკა ხუნდაძეს*

ბიჭვინთაში ვართ... დილა აბრაში
ზღვისპირ შემოგხვდა გამოკვანწული,
როგორც სადოლე ცხენის ფაფარში
მზე ბზიფის ზვირთში იყო ჩაწნული.

თითქო დასდევდა მთაში მიურდებს,
ვილაც ახალი იბნ ალკაზარი,
თამადად გვყავდა ლუკა ხუნდაძე, —
კაცი პურადი, სიტყვა მწყაზარი.

გლეხის პიჰივით ლალი, თამამი
მწვანე ბალახში იჯდა აგვისტო,
და ჩარკვიანი, როგორც იმამი
ხმალს დაჰყურებდა და ამეთვისტოს.

ვიღაც ყვიროდა: წავალ თებედან,
ან გადავხტები მეფის ლანდოდან,
ცოლს გავეყრები ოქროსთმებიანს
თუ მომიძებნით სოფლის მადონას.

წავალ, დავჯდები... დავწერ სონეტებს,
დავწერ ოქტავებს ოქროს ქვიშითა,
ან ვესტუმრები ნამდვილ პოეტებს,
გამოგიგზავნით მარჯანს ჭყვიშიდან.

ვუსმენდით, ცრემლი კრთოდა წამწამზე,
ვით მარგალიტი — თვალი ობოლი...
და სული ჩვენი,
სული წარმართი
ზვირთებს მიჰქონდა, როგორც
ფოთოლი.

## ჩვენი სიმღერა

თქვენ, აბრეშუმი ნუ გგონიათ ცა ივერიის,
ან გაზაფხულის ხასხასა ვარდი,
ეს ჩვენი სული გადაჭიმეს მთებიდან მთებზე,
სამი ათასი წლის წინათ, ძმანო!

ფაზისი, ვანი — ლეგენდებში, ზღაპრებში ყვინთავს,
აღმოსავლეთი ატკაცუნებს ჩვენს მხრებზე შოლტებს,
ვით ხარის ქედზე.

ჩვენი ნალველი, ჩვენი ძმაა — ის მამელუქი
გაღმა ნაპირზე რომ დამდგარა
და არსიანით
ბუდესმოწყვეტილ ფრინველივით რომ იმზირება.

ჩვენი სიმღერა — ვაშლის ხეა აყვავებული,
ქარბორიაა — მწვანე მინდვრებს გაკიდებული,
წარსულის ხმაა — ციხე-კოშკში მიძინებული,
მთვარის ძნა არის, შუაღამით ათრთოლებული,
სიმინდის ტყეა,
ცხენის ჯოგი აჩქარებული.

მდინარეები — ირმებია მთებით მყვირალი,
გამოქვაბული — დევის ხახა გაქვავებული.

ჩვენ, სიხარული მოვაგროვეთ არსენას პეშვით
და დროშასავით გამოვფინეთ წინაპრის სული,
მწუხარებისთვის აღარ გვცალია.

გაზაფხულს ვკოცნით მწვანე შუბლზე
და მუხლებზე ვუჩოქებთ მცხეთას,
როგორც ღვთისმშობელს.

თქვენ, აბრეშუმი ნუ გგონიათ ცა ივერიის,
ან გაზაფხულის ხასხასა ვარდი,
ეს ჩვენი სული გადაჭიმეს მთებიდან მთებზე,
სამი ათასი წლის წინათ, ძმანო!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მურად ნებიერიძე

* * *

მე ბნელზე გაბმულ
    სხივზე მოვრბივარ,
ადრე თუ გვიან
პროჟექტორი შეწყვეტს ნათებას,
უფსკრულმა უნდა დამნთქას
        და გავქრე...
შეგუებული ამ აღმოჩენას,
მზიანი დღეა,
მივაბიჯებ და მივიმღერი:
„იტიროს ღამემ,
მზიანია ყაყაჩოს ველი.
წამო, ვირბინოთ, მეგობარო,
ამ წითელ ველზე
და აღტაცება გამოვტაცოთ
ჩვენს სიჭაბუკეს,
სანამდის გული,
ამ აგვისტოს მზისებრ ჯადოთი
ფეთქავს და ჰყვირის“.

* * *

მზისებრ ჯადოთი შენ აღანთე
ყოვლი სასრული,
მომანათე მარადი ცეცხლი.
და ჩემი სისხლი დაუდეგარი
მოთმენით მარცვლავს
        გაფანტულ ნათელს.
დაუსრულებელ გაგრძელებას
გრძნეულთ ენები მიჩურჩულებენ.

მზისებრ ჯადოთი
შენ აღანთე ყოვლი სასრული
და ქარიშხლების
    მძაფრი სურვილით
მომანათე მარადი ცეცხლი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

ქვითინებს ქარი...
და სიმშვიდე დაკარგული
მიჭიხვინებს
ფიქრების რემა..
შემოძარცვული და მომლოდინე
ვინღა შემორჩა
შმაგი დღეების
ტევრის სიმწვანეს
და ვინ წაშალოს
ჩემ წუხილზე ნატერფალები,
გულგრილთა ბრბოს
რომ ეხეთქება,
ჩემო სიზმრების დედოფალო...

* * *

აენთო ალვა მთვარის ნათელში
ცისკენ მსწრაფი და
ზეცად ქცეული,
აღმატებულა ბინდის ფრინველი
შიშზე და
ნათლის წამოფრენისას...
დაბრუნდი,
ჩემმა ყვავილებმა გადაყვავილეს,
ისევ მიბრუნდი,
ალტაცება გამოიგლოვე.
იმდენ ხანს ენთო მოლოდინი,
გაცვდა სურვილი,
და დუმილიდან მესაზღვრება
მელანქოლია.

* * *

ჯანღმა დაჰფარა
ცის სილურჯის
უტყვი წიაღი,
თოვლის დუმილში გარინდებულ
ბეღურის შიშით,
კრთიან მთვარესთან
თავდახრილი
ჩემი დღეები.
და სად წავიდე
ჩემი წუხილი,
დაუსრულებელ მოლოდინში
ვინ გამათენა,
ვინ მიმატოვა საწყის ბრძოლაში
გაფითრებული ღამის ციმციმით.
დავენთე ნათელს
უსაზღვრობის ოკეანეზე.
ისევ სხვას ეპყრა
მორჩილების თეთრი ყვავილი.

* * *

შემმოსე ნათლით,
გამაოცე
და მიმომფანტე.
უმადლო ჰქმენი
გათენება
ამ ცრუ სხეულით.
გალევიძებული სიზმარეთი
გარდაცვლილია,
სიყვარულისთვის
სიყვარულით
კვალავ დამარხული...
ამოხეთქილი სივრცეებში
სული ყვავილობს...
განცხადებული წარმავალში
დუღს მომავალი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზურაბ ქართლელი

## შენით!..

ო, პოეზიავ, მონა ვარ შენი!
და როგორც მთებში ლაღი არწივი
დაჰქრის და ფრინველთ მეფობა შვენის,
შენს სამყაროში ისე გავწივი:
ვიწყები შენით,
ვმთავრდები შენით!
მიყვარხარ ძველთა-ძველი განძივით!
შენი ვარ სისხლით,
შენი ვარ გენით!
შენით ჟამთასვლის მორევს დავცინი!
შენით და შენით,
ურყევი რწმენით —
ხან ბრძენკაცივით,
ხან ჯამბაზივით;
ხან თეთრი ცხენით,
ხან ლურჯა ცხენით!..
ხანაც მტირალი ქართულ ვაზივით! —
სამშობლო მხარეს შემოვევლები,
შევეწირები მის დიად ნათელს!
როგორც შეჰფერის, როგორც
შეჰფერის,
ნამდვილ პოეტს და
ჭეშმარიტ ქართველს!
და მხოლოდ შენით,
და მხოლოდ შენი, წმინდა სახელით
კოცონებს ვანთებ!
რომ შენი ცეცხლის სიძელგით გავთბე,
რომ შენით მოვკვდე,
და შენით აღვსდგე!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## სიცოცხლის ჰიმნი

თუ ხარ პოეტი, ფიქრთა ღალანი,
სხვაგვარად გხიბლავს, სხვაგვარად
გათბობს!
როგორც ჩანჩქერი ცამდე მაღალი,
ზღაპრულ ხეობის სავანეს ნატრობს!..
აღვირახსნილი კლდე-ღრეს მიარღვევს,
მიიზვირთება, მიექანება,
რომ დაუბრუნდეს მიწის წიაღებს
და მშობლიურმა შთანთქან ქანებმა!
მოკვდავთა ბედი მარადიული,
აქ უკვდავების ზეიმს მოელის!
და ვით მუსიკა ფანტასტიური,
ისე იბნევა ბგერა ყოველი!
მზის სიმხურვალე, თუ მთვარის ყინვა,
ზეცის სიმშვიდე, თუ ალტყინება;
ატყორცნილია სტიქიის ჰიმნად —
მეფე ბუნებამ ასე ინება!
ასე ინება ძალამ განგების —
სამყარო სდუმს და შიშის ზარს თესავს!
სივრცეს გაარღვევს ტკბილი ჰანგები
და გადაარჩენს მთვარესაც, მზესაც!
და ვარსკვლავეთი აციმციმდება!
და სიყვარული აღორძინდება!
ამოენთება ოქროს სხივებად,
სიცოცხლის ჰიმნად ამობრწყინდება!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რევაზ ჯაფარიძე

# მძიმე ჯვარი

რომანი

## წიგნი მეორე

## მუმლი მუხასა

### თავი ოცდამეორე

ბეგლარბეგ იბრაჰიმ-ფაშასთან მოსალაპარაკებლად იმერეთის დედოფალ მარიამის შესაძლო მობრძანების ამბავი რაბათში პირველად ბაღდათის ციხისთავ უსეინის საგანგებოდ გამოგზავნილმა მალემსრბოლებმა მოიტანეს და, როგორც მოსალოდნელი იყო, მალე იგი მთელ ქალაქს მოედო. ახალციხეში, მართალია, ყურმოკრულად იცნობდნენ ნადირობისა და ლაშქრობის ტრფიალ დადიანის ასულს, ჭორისა და მითქმამოთქმის მოყვარულთ არც ის გამოჰპარვიათ, როგორ და რა ვითარებაში დაიდგა მან დედოფლის გვირგვინი, იცოდნენ მარიამის სიტყვის ძალა და გავლენა იმერთა მეფის კარზე, მაგრამ დედოფლის ეს ელჩობა ბევრს მაინც დაუჯერებელ სიზმრად და უგუნურებად ეჩვენებოდა. დრო არეული იყო, უფრო არეული, ვიდრე ოდესმე. ტახტზე ხელახლა ასული სოლომონის მდგომარეობას მტკიცე ვერ ეთქმოდა. მაშ, რის იმედით მოდიოდა აქ დედოფალი? რა სიკეთესა და სარგებელს გამოელოდა?

მალე ხმა გავრცელდა, საფაშოს გზაზე დამდგარ მარიამს ხალხმრავალი და ბრწყინვალე ამალა ახლავსო; გარდა ტახტთან დაახლოებული და სოლომონის უაღრესად ერთგული რამდენიმე დიდებულისა, ამალაში თვით მეფის მღვდელმთავარი ძმა, ბატონიშვილი იოსებიც ურევია, რომელსაც დედოფალზე მეტი მოვალეობა აწევს, ახალციხიდან პირდაპირ კონსტანტინოპოლს აპირებს გამგზავრებას, რათა იქ გიაური სოლომონის თავი ბედნიერ სულთანს შეავედროს, მის მეფედ დამტკიცებას მიაღწიოს და უზენაესი კარისაგან სამეფო ნიშნებიც გამოითხოვოსო.

ხმებს, ეტყობოდა, ვიღაც წინასწარ და განზრახ ყრიდა, ხალხს სამსჯელოსალაპარაკო მასალას აძლევდა და სიტყვასა და სიტყვას შუა შეფარულ მუქარასაც აპარებდა...

რაბათის შინაურ პატიმრობაში მყოფ უწმიდეს კათალიკოს ბესარიონს, ერთი ბეგლარბეგის მეორით შეცვლაზე რომ დიდ იმედს ამყარებდა და სულმოუთქმელად მოელოდა, ან ახლა გამიხსენებს კაპუდან-ფაშა იბრაჰიმი, ან ახლა და სა-

გაგრძელება. იხ. „მნათობი", № 1, 2, 3, 4, 5.

თათბიროდ მიმიწვევსო, ახლო ნათესავ მარიამის საეჭვოდ წამოსვლის ამბავი თეთრით მოსყიდულმა სასახლის საჭურისებმა იმავე ღამეს შეატყობინეს და, ამას გარდა, ყურში ისიც ჩააწვეთეს, აჩიკ-ბაშთა მეფის ამორძალ თანამეცხედრესთან შეყრას ბეგლარბეგი ერთობ სასიამოვნო საქმედ თვლის და, ადვილად შესაძლებელია, ეს უჩვეულო ელჩობა წარმატებითაც კი დაგვირგვინდესო.

რუსუდანისეული სასახლის ოთხკედელშუა გამომწყვდეულმა ეკლესიის მამამ ყველა წვრილმანი მოთმინებით გამოიკითხა და როდესაც შეიტყო, სხვა იმერ დიდებულებთან ერთად, რომელთა ვინაობა ჯერ დანამდვილებით არ იციან, დედოფალს აქეთ გზნათელი მიტროპოლიტი იოსებიც, სოლომონის მარჯვენა ხელი, მისი უწმინდესობის საშიში და დაუძინებელი მტერი, მოჰყვებაო, მაშინვე გადაწყვიტა, თავისი მაღალი სასულიერო წოდება არაფრად ჩაეგდო, თეთრს დახარბებული უბედური საჭურისებისათვის სხვისი ტანსაცმელი მოეტანინებინა და ამ აშმორებული მღვიმედან, რატომღაც სასახლეს რომ ეძახდნენ, როგორმე გადაცმულს გაეღწია.

უკან, იმერეთში, დასაბრუნებელი პირი კათალიკოსს, რასაკვირველია, აღარ ჰქონდა. ერთადერთი საიმედო თავშესაფარი, თუ ალლო არ ატყუებდა, ოდიშს, დისწულ კაცია დადიანთან ელოდა, სადაც ამჟამად რაჭის ერისთავთა მთელი სადედოფლო სახლეულო იჯდა და სოლომონის მიერ ულმერთოდ შევიწროებული განსაცდელისაგან თავის დახსნის უტყუარ გზებს ეძებდა.

ის ამბავი, თითქოს სოლომონმა სიგელი გამოსცა, რომლის თანახმადაც როსტომ ერისთავსა და ერისთვიშვილებს ყმა-მამულსა და ცხელ გულზე ჩამორთმეულ სახელოებს უბრუნებდა, შორსმჭვრეტელ კათალიკოს ბესარიონს წმინდა წყლის თვალთმაქცობად მიაჩნდა, იმერელ ბაგრატიონთა სამეფო სახლს არა ერთიჯერ რომ უკადრია, და შიშობდა კიდეცა, მეფის მოჩვენებით წყალობას როსტომი არ გაებრიყვებინა და მარჯვედ ნასროლ ანკესს ლლავდავით არ წამოჰგებოდა.

ყველაფერი ყველაფერი და, გარე სამყაროსაგან თითქმის მთლიანად მოწყვეტილ ბესარიონს იმის შეტყობა კი არსაიდან შეეძლო, რომ აჩიკ-ბაში მღვდელმთავრის გაპარვის წინააღმდეგი არც თვით ბეგლარბეგი იბრაჰიმ-ფაშა იყო. იმ ამბების შემდეგ, რაც ალაჰის ნებით უკვე მოხდა, ფაშას თავისივე მარჯვენაზე დაყრდნობით ხელახლა აღზევებული სოლომონის მოძულე კათალიკოსი დღეს უსარგებლო მძორად მიაჩნდა და არამცთუ მასთან რაიმე კავშირ-ურთიერთობის დამყარების, უბრალო შეხვედრისა და გამომცნაურების სურვილსაც არ ამჟღავნებდა. განა ათწილ უკეთესი არ იქნებოდა, თუ გიაური ბერი თავად იზრუნებდა, თუნდ წყვარამში ჩაიკარგებოდა და ფაშას საზრუნავს აცილებდა?

შეპირებული ტანისამოსი: ვიღაც ასკერის ნაქონი წითელი მაუდის ხვანჯრიანი შარვალი, ქუსლებმოქცეული აზიური წუღა, ხამის პერანგი, ნაბდის ქუდი და რამდენიმე ადგილას დაკერებული ჩოხა ბეგლარბეგის საპატიო ტუსაღს სწორედ მთვარის ამოსვლის წინ მოუტანეს. გაფაციცებულმა ბესარიონმა, მცველების ყურადღება რომ რითიმე არ მიექცია, სიბნელეში ჩაიცვა. საჭურისებმა ტანსაცმელთან ერთად მოიტანეს კანაფის გრძელი თოკიც, რომლის დახმარებით თითქმის სიბერეში შესული უწმიდესი კათალიკოსი რაბათის შვეულ, ზამთარ-ზაფხულ ნესტიან კედელს ჯამბაზივით მარჯვედ უნდა ჩაჰყოლოდა და ფოცხოვისწყლის კლდოვან ნაპირზე ჩასულიყო. წყალგაღმა თავისიანები დახვდებოდნენ და გათენებამდე ქალაქს შორს გააცილებდნენ. დღეს ლტოლვილი სადმე მოფარებულში დაალამებდა და ჩამობნელდებოდა თუ არა, კვლავ გზას გაუდგებოდა.

მთვარემ რომ შიშველი მთის კორტოხიდან გადმოიხედა და ქალაქის ერთიმეორეზე მიჯრილი სახურავები ვერცხ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლისფრად აალაპლაპა, ყოვლად დამამცირებელ მდგომარეობაში მყოფ კათალიკოსს გაუთვალისწინებელი დაბრკოლების ამბავი ამცნეს. მისი საკნის სარკმელს, ფოცხოვისწყალს რომ გადაჰყურებდა, და სასახლის გლუვ კედელს მთვარე ისერიგად ანათებდა და აკაშკაშებდა, წყალგაღმა მოდარაჯე იანიჩრების შეუმჩნევლად, ქვემოთ კაცი კი არა, ჭიანჭველაც ვერ დაეშვებოდა. გადაწყდა, გაქცევის გეგმა ახლავე შეეცვალათ და ფოცხოვისწყალზე ჩასასვლელად უფრო ადვილად მისადგომი და უშიშარი ადგილი გამოენახათ. ეს ადგილიც მალე იპოვნეს, მაგრამ იქამდე მისაღწევად ბესარიონი სასახლის შიგა ეზოში უნდა გამოსულიყო, რაც გაქცევის ხელისშემწყობებს ახალ სიძნელეებს უქმნიდა. ბოლოს, თვალი ქვითკირის სქელ კედელში დატანებულ მამაპაპურ ბუხარს დაადგეს. ბესარიონი კინაღამ გაიგუდა, სანამ ბუხრის ვიწრო და ჭვარტლით ამოტენილი საკვამურით სასახლის სახურავს აღწევდა. თოკი იღლიებში ჰქონდა ამოდებული და საჭურისები ზემოდან ღონივრად ეწეოდნენ. სივიწროვესა და სულისშემხუთველ სიმყრალეში თავად ვერც ხელს ატოკებდა და ვერც ფეხს, მხსნელთ, მიუხედავად დიდი სურვილისა, ვერაფრით ეხმარებოდა.

მსახურად მიჩენილმა ყრუ-მუნჯმა ბიჭმა, რომელმაც ღამის ამბებისა არა უწყოდა რა, უწმინდესი კათალიკოსის სადგომი დილას ცარიელი ნახა და გულგახეთქილმა ღმუილი ატეხა. შუბმოლერებული კაფიჯები უმალ შემოცვივდნენ და სახტად დარჩნენ. ბუხრის ყვერბზე უამრავი ჭვარტლი ეყარა. გამოუცდელი კაციც კი ადვილად მიხვდებოდა, რომ კათალიკოსმა ბესარიონმა აქედან გასასვლელად ბუხრის საკვამური გამოიყენა, სახურავზე აძვრა და იქიდან როგორღაც თავს უშველა.

ბეგლარბეგმა, ეს რომ მოახსენეს, ყურიც არ შეიბერტყა, ხელი ჩაიქნია და აჩიკ-ბაშიდან სწორედ წინადღეს მოსულ მამედ-ალი კიკიანთან შეწყვეტილი საუბარი განაგრძო.

კიკიანმა საფაშოში ადრე მოტანილი ცნობები დაადასტურა. ასი შეიარაღებული მხედრითა და თხუთმეტი მსახურით ახალციხეს მომავალი დედოფალი მარიამი უკვე გზაში იყო და სულ მალე სამცხის ფარგლებში შემოვიდოდა. ამალაში ბატონიშვილ იოსების ყოფნა ჭორი გამოდგა. სოლომონი, ეტყობოდა, მეტად საჭირო სიფრთხილეს იჩენდა. როგორც ქაღალდის გამოცდილი მოთამაშე, ყველა კარტს ერთბაშად არ ჩამოდიოდა. იმერეთის ციხეებში მდგომი ოსმალების მიმართაც, რაც ქვეყნის საქმე ისევ ხელთ იგდო და უბედური თეიმურაზი მოუსავლეთის გზას გაუყენა, მეფე კეთილმეზობლურ თავშეკავებას იჩენდა და მტრულ ზრახვებს არაფრით ამჟღავნებდა, თუმცა შეუძლებელი იყო, ეს მტრული ზრახვები გულში არა სდებოდა. მამედ-ალი კიკიან-ფაშა სოლომონის ამ საქციელს მოწინააღმდეგის თვალის ახვევად თვლიდა და მწყალობელ ბეგლარბეგს ცხარედ არწმუნებდა. საქმე აჩიკ-ბაშის ციხეებში ჩაყენებული მართლმორწმუნე ჯარის გაორკეცებას და გასამკეცებას მოითხოვსო.

ქუთაისის ციხისთავი, რომელსაც კაპუდან-ფაშა პირველად ხედავდა, რაბათში სწორედ ამ მიზნის მისაღწევად, — ახალი მეციხოვნე ჯარისა და იარაღ-საჭურვლის ახალი მარაგის სათხოვნად იყო მოსული, ამაზე უფრო კი ბეგლარბეგის გულის მონადირებისა და თავისი მდგომარეობის განმტკიცების სურვილს შეეწუხებინა. ამიტომ ხელცარიელი არც მოსულა. ფაშას ოცდაოთხი წყვილი რჩეული ქალ-ვაჟი აახლა და ზედ ორი საპალნე ოქრო-ვერცხლი და თვალმარგალიტი, თორმეტი ურემი აბრეშუმის ნართი, ძვირფასი ტყავეული, ხალიჩები და ენდრო დაურთო.

კიკიანს სათქმელი მალე შემოელია. გვიან-ღა შენიშნა, რომ ცათა სწორი სულთნის ეს ნებიერი დიდებული, ტახტის ადმირალი, ცხოვრებაში ყოველგვარი სიმდიდრე რომ ენახა და ახლა

ვეღარაფრით გააკვირვებდი, რისამე თქმას მოსმენას არჩევდა, ხავერდის მუთაქაზე ნახევრად მიწოლილი იჯდა, ინით შეღებილი თითებით ქარვის კრიალოსანს მარცვლავდა და თავისი ორაზროვანი ღიმილით ინახით მდგომ მოსაუბრეს ძალლონეს აცლიდა.

ციხისთავმა გადაწყვეტილი პასუხი ვერ მიიღო. ბეგლარბეგი რაღაცით უკმაყოფილო დარჩა და ეს უკმაყოფილება კიკიან-ფაშას, შესაძლოა, ძვირადაც დასჯდომოდა.

ენად გაკრეფილ ქვეშევრდომს იბრაჰიმი უსიტყვოდ დაემშვიდობა, თავის ოდნავი დაკვრით აგრძნობინა, დარბაზობა დამთავრებულიაო და საკუთარი სვე-ბედის გაურკვევლობით შეშფოთებული კიკიან-ფაშაც კარისაკენ უკანუკან წავიდა.

რაბათში აჩიკ-ბაშის დედოფალთან შეხვედრის სამზადისი ჰქონდათ. მსახურებმა, რომელთაც ყარაულისაგან თავისუფალ დროს ციხის მცველი იანიჩრებიც ეხმარებოდნენ, საგანგებოდ დასცალეს მწვანე ფიქალით მოპირკეთებული ორსართულიანი სასახლე, ადრე, ჰასან-ფაშას ზეობაში, იანიჩარ-აღა მუთი-ბეგ ფალავანდიშვილს რომ ეკავა, და შიგ სრულიად უხმარი ინდური ავეჯი და ავღანური ხალიჩები შეიტანეს. ახალ იანიჩარ-აღას, ჰაჯი-ალიბეგს, ბინა ციხე-სიმაგრეში ედო, ბეგლარბეგის გემოვნების მიხედვით რამდენჯერმე გადაკეთებული ეს ძველისძველი სასახლე კი ამიერიდან საპატიო სტუმრების მოსათავსებლად უნდა გამოეყენებინათ.

კაპუდან-ფაშა თვით გამობრძანდა და, ყველასდა გასაოცრად, ორჯერ შეამოწმა, როგორ იყო სამზადისის საქმე, ყველაფერი ესწრებოდა თუ არა და რამდენიმე დამატებითი განკარგულება კიდევ გასცა.

საღამოს, ვახშმობის ჟამს, მალემსრბოლებმა მოატანეს ოძრხის ციხიდან. აჩიკ-ბაშის დედოფალი მარიამი თავისი მხლებლებითურთ იქ დაბანაკებულიყო და მის ალმატებულება ბეგლარბეგს ახალციხეში ხლების მიწყალობას შეზარათვას თხოვდა.

კაპუდან-ფაშა თავს ძლივს გაუტყდა, რომ სხვებზე ნაკლებ როდი შეეპყრო ცეცხლივით შემოგზნებულ ცნობისმოყვარეობას, არც სხვებზე ნაკლებ ღელავდა. გურჯი ხათუნი მარიამი თავს იფასებდა, საკუთარ მეფურ ღირსებას და იმას, რომ ქალი იყო და ყოველ თავმომწონე, წესიერად აღზრდილ მამაკაცს, მიუხედავად ასაკისა, მის წინაშე ქედის მოდრეკა მართებდა, შორიდანვე აგრძნობინებდა.

„მაგრად დადექი!“ — აფრთხილებდა თავს უჩვეულოდ აწრიალებული კაპუდან-ფაშა იბრაჰიმი. — ეგ სწორედ მაგ იმედით მობრძანდება, რომ თვალისმომჭრელი სილამაზით თავბრუ დაგახვიოს, აგამჩატოს და ეშმაკის დუდუკზე გაცეკვოს. ახალგაზრდა იყავი, ძარღვებში სისხლი გიჩუხჩუხებდა და ეგ არ მოგსვლია. ქალები შენთვის თითქოს არც კი არსებობდნენ. ახლა რა გემართება?! თუ ერთხელავე გაჯობა და მიხვდა, რომ ხელში ყავხარ, მერე, იცოდე, ყველა საქმე გაუადვილდება!“

მარიამი და მისი ხალხმრავალი ამალა, მომსვლელ-დამხვდურითურთ თითქმის სამასი-ოთხასი ცხენოსანი, რომ ქალაქში შემოვიდა და მთელი ახალციხე — მაჰმადიანი, გრიგორიანი, იუდეველი, კათოლიკე თუ მართლმადიდებელი მას ჟრიამულითა და შეძახილებით შეეგება, თავის სადგომში ჩაკეტილ კაპუდან-ფაშა იბრაჰიმს გარეთ ფეხიც არ გამოუდგამს.

დედოფლის თვალწინ ნაცნობი სახეები ირეოდნენ. თითქოს ყველა სადღაც ჰყავდა ნახული და ვერ მოეგონებინა. ბევრი, ვინც გარს ეხვეოდა, ცხენის სადავეს უჭერდა და ფეხებში უვარდებოდა, სამშობლოდან მოტაცებული და აქ ორიოდე გროშად გაყიდული ქრისტიანები იყვნენ. ქრისტესმოსავი მარიამის ფაშასთან მობრძანების ამბავი მათ ადრევე შეეტყოთ, გულში იმედის ნაპერწკალი გაღვივებოდათ და ცხარე ცრემლებითა და ვაი-ვიშით უსიხარულო

ტყვეობიდან გამოხსნასა და სამშობლოში დაბრუნებას ევედრებოდნენ.

მარიამი კრიჭაშეკრული იჯდა მდიდრულად შეკაზმულ ყაბარდოულ ჰაკზე, ცდილობდა, ისე ევლო, რომ არაფერი დაენახა, არაფერი გაეგონა და აზიმზიმებულ ბრბოში გზას გაჭირვებით მიიკვლევდა.

რაბათის დიდი კარიბჭე ყურთამდე ღია დაუხვდათ. დაწინაურებულ დიდებულთა და სამღვდელოთა გუნდს აქ ბრბო ყვირილითა და კონდახების ტრიალით ჩამოაშორეს, მხლებელი ჯარი, როგორც ნაბრძანები იყო, ორად გაჰყვეს, ნახევარი ციხეში შემოუშვეს, ნახევარი კი ციხის კედლის გარეთ დასტოვეს და რკინის ვეება ფურცლებით შეჭედილი კარიბჭე გორგოლაჭების ღრჭიალით დაკეტეს.

დილაადრიან, ნამაზის შემდეგ, თითქოსდა ბოსფორზე, ოქროს რქის ყურეში ხომალდების ალლუმის მისაღებად გამოწყობილი და ჩაცმულ-დახურული კაპუდან-ფაშა ფალავანდიშვილისეულ სასახლეში დამკვიდრებულ მარიამს თვით ეწვია, თავი მდაბლად დაუკრა და ალაჰის მადლით ცხებულ ქალაქ ახალციხეში მშვიდობით მობრძანება ოსმალურად მიულოცა.

ზომაზე მეტად ხორცსავსე, საშუალოზე საკმაოდ დაბალი, ჭაღარა თმაწვერშეკრეჭილი, მაგრამ მაინც ჭარმაგი და მხნე კაპუდან-ფაშა იბრაჰიმი მარიამს ცოტა არ იყოს, სასაცილოდ მოეჩვენა და ღიმილი ტუჩის კუთხეზე შეაშრა. ფაშას სულთნის ადმირალის საალლუმო მწვანე მუნდირი და ამავე მწვანე მაუდისაგან შეკერილი ლამპასებიანი შარვალი ეცვა, მხრებზე ოქრომკედით ამოქარგული აქსელბანტები უბრწყინავდა და თავადაც სურნელოვანი ნელსაცხებლებით აბზინებულს მაჯებზე სადაფის ღილებით შესაბნევი ქათქათა ხელთათმანების ჩაცმაც არ დავიწყებოდა.

„სატახტო ქალაქიდან მოყოლილ ჩვეულებას აქაც არ იშლის, მაგრამ ნეტავი ხშირად ექნება ამ თავისი თეთრი ხელთათმანებისა და ზიზილ-პიპილების გამოფენის საშუალება?“—გაიფიქრა დედოფალმა მარიამმა, მასპინძელს კი ძლივს შესამჩნევად გაუღიმა და სუფთა იტალიურით მიმართა:

— ჩვენ კი, თქვენო აღმატებულებავ, გვეგონა, რომ ქართული ცოტა მაინც გეხსომებოდათ.

— თქვენ თურქული არ გემარჯვებათ, დედოფალო? — იმავე უზადო იტალიურით უპასუხა კაპუდან-ფაშამ და გაიბერა, მიხვდა, რომ ელჩმა პირველი ისარი სტყორცნა, ხორცსავსე სახეზე თეთრი ტალები დაასხდა, მარცხენა ხელზე ხელთათმანი წაიძრო და შემაღლებულ ადგილას, ხავერდის მუთაქებსა და ყურთბალიშებში მჯდარ მარიამს მსუნაგ კატასავით ქვემოდან ზევით აჰხედა.

— ცოტას ვამტვრევ, თქვენო აღმატებულებავ. ადრე უფრო კარგად ვლაპარაკობდი. ვეცდები აწი ისევ გავიწაფო.

— ეს იტალიური?

— პატარაობიდანვე მასწავლებლებად კაპუჩინელი ბერები მყავდა. იტალიურიც, ხატვაც და კლავისინზე დაკვრაც იმათგან ვისწავლე.

— ბეჯითი და ნიჭიერი მოწაფე ბრძანებულხართ! — შეაქო იბრაჰიმ-ფაშამ.

— ცდას არ ვაკლებდი... — დედოფალმა მარიამმა გაიღიმა და თავისი დიდრონი, ნაღვლიანი თვალები მოხუცებულ ფაშას ისე ალერსიანად მიაპყრო, იბრაჰიმს დასცხა და მუნდირის გაშეშებული საყელოს ქვეშ კისერი ოფლით გაეწურა. — ჩვენ თავს ბედნიერად ვთვლით, თქვენო აღმატებულებავ, და ღმერთს მადლობას ვწირავთ, რომ თქვენი სახით აქ კაცთმოყვარე და დიდად განათლებულ ადამიანთან შეგვახვედრა.

ჭკვიანმა ფაშამ, რასაკვირველია, იგრძნო, რომ ეს უკანასკნელი სიტყვები გულწრფელად არ იყო წარმოთქმული, დედოფალი მათ მეფისაგან დაკისრებული საქმის წარმატებისათვის ამბობდა, მაგრამ გაგონილით მაინც ნასიამოვნები დარჩა, თუმცა სამაგიეროდ ქათინაურისაგან, მსგავს შემთხვევაში აუცი-

ლებლად რომ მიმართავენ ხოლმე, თავი შეიკავა.

მარიამმა ბეგლარბეგის მოლოდინი გაამტყუნა. ის არც უსაშველოდ ლამაზი აღმოჩნდა და არც ასევე უსაშველოდ მაცთუნებელი. იბრაჰიმის გაგებით, დედოფალს ლამაზიც კი არ ეთქმოდა, მაგრამ თვალები, ამაყი, მბრძანებელი, ჭკუითა და გონებით სავსე, თითქოსდა ფარული ალერსით მოყუყუნე დიდრონი თვალები იმოდენა დედაკაცურ კდემამოსილებას და შეუვალ ძალაუფლებას აფრქვევდნენ, რომ ძნელი იყო, მათ წინაშე მუხლების უცნაური სისუსტე არ გეგრძნო და შენი უდიერი ზრახვებისათვის წუთით მაინც ლაგამი არ ამოგედო. საქმე ის გახლდათ, რომ დადიანის ზვიადი ასული თავად სხვებზე უკეთ გრძნობდა ზეხაარისაგან ნაბოძებ საკუთარ ძალას, გამიზნულად იყენებდა და შინაგან გოროზობასთან შერწყმულ დიაცურ სიკეკლუცეს მოწინააღმდეგის დამთრგუნავ მრისხანე იარაღად აქცევდა.

მარიამისა და მის თანხმლებ პირებისათვის გამოყოფილ ბინაში კაპუდან-ფაშა იბრაჰიმი დიდხანს არ დარჩენილა. დედოფლის საპატივცემო დილის ყავა რუსუდანისეული სასახლის იმ დარბაზში იყო გაშლილი, სადაც ოდესღაც სულთნისაგან შერისხულ ფაშა ჰაჯი-აჰმადს თავისი განთქმული წიგნსაცავი ჰქონდა და ახლა კი, რაც გურჯისტანის ვილაიეთს პირველ კაცად იბრაჰიმ-ფაშა მოევლინა, მცირე წვეულებების გასამართავად იყენებდნენ.

ბეგლარბეგის მხრივ ყავას მალ-დევთერდარი და სატახტო ქალაქ კონსტანტინოპოლიდან ახლახან ჩამოსული საფაშოს ორი ახალი მოხელე ესწრებოდა. ესენი, როგორც თვით ფაშა, ყველანი ხანშიშესული კაცები იყვნენ, თავი ისე ეჭირათ, თითქოს აქ შემთხვევით შემოევლოთ, მორთმეული სასმელ-საჭმელის მიმართ გამორჩეულ ყურადღებას იჩენდნენ და სუფრის მეორე მხარეზე შემომსხდარი სტუმრებისა ვინაობაც კი არ იცოდნენ. სამაგიეროდ, დედოფლის მხარე, რომელიც სახლთუხუცეს პაპუნა წერეთლისაგან, მენაპირე თავად ზურაბ მიქელაძისაგან, მეღვინეთუხუცეს სულთამ ავალიანისაგან, იმერეთის საგარეო საქმეთა განმგებელ თამაზა მესხისაგან და ნიკორწმიდელ ეპისკოპოს გერმანესაგან შესდგებოდა, საკმაოდ დაძაბული ჩანდა. დაძაბულობა მხოლოდ მარიამს არ ემჩნეოდა. ისე ღირსეულად იჯდა უცხო მამაკაცებს შორის და შიგადაშიგ ფაშასაც ისე ძალდაუტანებლად ესიტყვებოდა, თითქოს შინ, იმერეთში, ანდა მამისეულ ზუგდიდის ან გორდის სასახლეში თავისიანებს შორის ყოფილიყოს.

„რის იმედი აქვს ამ ქალს? — ეს მერამდენედ ფიქრობდა კაპუდან-ფაშა იბრაჰიმი და დამაჯერებელი პასუხი ვერ ეპოვნა. — ნუთუ თეთრი ვეშაპი ეკატერინე ისე გათავხედდა, გიაურ აჩიკბაშებს ჩვენს წინააღმდეგ დახმარებას პირდება და კიდევაც ათამამებს? სწორედ ასე ჰგავს. გვეყო კატა-თაგვობიას თამაში! ამ დედაკაცმა ახლავე უნდა შეიგნოს, სადაც იმყოფება და ვისთან და რასთან აქვს საქმე!..“

ყავა რომ ჩამოთავდა, მსახურებმა ფერადი ბროლის სასმისები, სპილოს ძვლისტარიანი ვერცხლის დანები, ნაირნაირი ტკბილი სასმელები და ოქროს წყალში გავლებულ სინებზე დახვავებული ხილი ჩამოარიგეს. უცხო სანახავი ვაშლი და მსხალი, როგორც მასპინძელმა ბრძანა და ამით თავიც მოიწონა, მისი მამა-პაპის გაშენებული ასპინძის მამულებიდან იყო მოტანილი, ბროწეული და ცერისიმსხო, შარბათზე უტკბილესი საჩაძიჩე ყურძენი კი ძღვნად აწყურის ალაი-ბეგს გამოეგზავნა.

ყველა ჩუმად, დაგემოვნებით შეექცა. მარიამმაც შეაწყვიტა თხელ, ვარდისფერ მტევანს ცვრიანი კუმპალი, ორად ორი მარცვალი გასინჯა და კუმპალი ისევ თეფშზე დასდო, რადგან ამ დროს დარბაზში მკლავებდაკაპიწებული ჩოხიანი ჭაბუკები შემოვიდნენ და

ფაშასათვის მორთმეული ძვირფასი საჩუქრები შემოიტანეს.

მარიამმა შეიცადა, სანამ სრული სიჩუმე ჩამოვარდებოდა, თეფში, რომელზედაც მარცვლებგამოკენკილი კუმპალი იდო, უკან დასწია და მხოლოდ ამის შემდეგ მიმართა ფაშას:

— ბოდიშს ვიხდით. აქეთ წამოსვლა თითქმის მოულოდნელად მოგვიხდა. მრავალგზის დარბეულ და გაღარიბებულ ქვეყანაში თქვენი აღმატებულების საკადრისი ბევრი ვერაფერი მოვიძიეთ. ასე რომ, შეგვიწყნარეთ, თუ... — და მან მალ-დეფთერდარს საჩუქრად მორთმეული ნივთების გრძელი ნუსხა გადასცა.

ფაშა პირქუშად უსმენდა, თანდათან ილუშებოდა, შემოსასვლელ კარს თვალს არ წყვეტდა, თითქოს იქიდან კიდევ ვიღაცას მოელისო და არც ლაწვებწამონთებულ დედოფალს და არც საჩუქრებს ზედაც არ უყურებდა.

— გოგო-ბიჭები სადღა არის? — უცებ ოსმალურად იკითხა მან და ამ ხმამ დარბაზში ისე დაიჭექა, როგორც მეხმა მოწმენდილ ცაზე. იარაღაყრილ ელჩებს ფერფურმა გადაჰკრა. თვით ჭამაზე გაფაციცებული საფაშოს მოხელეებიც კი შეკრთნენ, ერთმანეთს შეხედეს და თვალები დაახამხამეს. მშვიდობიანი ვითარება, ამ წუთამდე რომ სუფევდა, ანაზდეულად შეიცვალა. — გოგო-ბიჭები სად არის-მეთქი? — როცა დაინახა, ყველას ენა ჩაუვარდა და პასუხის გაცემას ვეღარავინ ბედავდა, კაპუდან-ფაშამ თავისი შეკითხვა ახლა იტალიურად გაიმეორა და პირდაპირ დედოფალ მარიამს შეხედა. — სად არიან ტყვეები, ტყვე გოგო-ბიჭები?!

მარიამის მშვიდ სახეზე ერთი ნაკვთიც არ შერხეულა. „თუ გაიქცევი, ტყის ნადირივით გამოგედევნება და ვეღარსად წაუხვალ, — ჩასძახა მხსნელმა ხმამ დედოფალს. — ჯობს, შეჩერდე და გარდაუვალ ხიფათს პირისპირ შეხვდე!" მან მხოლოდ წამით მოავლო თვალი თავჩაღუნულ იმერ დიდებულებს, ჰაღლონზე მოიკრიბა და პირზე დორბლმომდგარ ბეგლარბეგს სწორედ გასაკვირველი სიმტკიცითა და თავაზით მიუგო:

— ჩვენ ომში არ ვყოფილვართ, თქვენო აღმატებულებავ, რომ ტყვეები წამოგვეყვანა და საჩუქრად მოგვერთმია. კეთილი ინებეთ და გაგვიმარტეთ, რომელ ტყვეებზე ბრძანებთ. ამას გარდა, ნუ მიწყენთ და, ეს ხმის აწევა და მუქარა რას მივაწეროთ? მართალია მაჰმადიანი ბრძანდებით და ჩვენებური ზნე-ჩვეულებები დავიწყებული გექნებათ, მაგრამ, როგორც მე მსმენია, მანდილოსნის წინაშე თვით ყველაზე უფრო თავზეხელაღებული მაჰმადიანიც კი მორიდებას იჩენს და ამოწვდილ მახვილს ქარქაშში აგებს. ეგ მუქარა და წყრომა სწორედ არ შეგფერით და, მართალი მოგახსენოთ, არც მოველოდი.

ეს, რაც დედოფალმა მარიამმა თქვა, დამსწრეთათვის კიდევ უფრო მოულოდნელი იყო, ვიდრე აქამდე კეთილმოსურნის ნიღაბაფარებული ბეგლარბეგის უეცარი აფეთქება. ეჰვიც აღარავის ეპარებოდა, რომ დედოფლისაგან სიტყვის შებრუნებასა და გაკიცხვას ფაშა უპატივცემულ შეურაცხყოფად მიიღებდა და მაშინვე ბრძანებდა, აჩიკ-ბაშის თავგასული მეფის ელჩები, უკლებლივ ყველა, ჯურღმულში ჩაეყარათ და სანამ უფრო შესაფერ სასჯელს არ მოიგონებდნენ, აშმორებულ წყალსა და ჭადის ნატეხზე დაესვათ. მათდა გასაოცრად, მარიამის მიერ მარჯვედ ნასროლ ბადეში გახვეულ იბრაჰიმს არავითარი მსგავსი განკარგულება არ გაუცია. მხოლოდ მსახურებს ანიშნა, საჩუქრების შემომტან აჩიკ-ბაშ მოლაშქრეებთან ერთად დარბაზიდან გასულიყვნენ, რაიც მათ იმავე წამს შეასრულეს. მარიამი კვლავინდებურად მშვიდი და უდრტვინველი იჯდა, მზერა ბეგლარბეგის უკან, რომელიღაც უძრავი წერტილისათვის მიეპყრო და მზად იყო ახალი, თუნდაც მომაკვდინებელი დარტყმის მისაღებად. ქალურმა ალღომ არ უმტყუნა: ეს დარტყმა არ შესდგა. მოხუც ბეგლარბეგს, ეტყობოდა, თავის-

თავი შეებრალა, არასდიდებით არ უნდოდა, ამ თავმოყვარე, ღირსებითა და კდემამოსილებით აღსავსე გიაური დიაცისათვის რაიმე წყენა მიეყენებინა და რაინდულ ღირსებათა გამოვლინების საშუალება წართმეოდა.

— ჩვენს შეკითხვას, დედოფალო, გთხოვთ, განრისხებად ნუ მიიღებთ, — თქვა მან მობოდიშების კილოზე და ინით შეღებილი წითელი ხელები მაგიდაზე შემოაწყო. — მიუხედავად იმისა, რომ მასპინძელი ვარ, მე სრულ უფლებას ვიტოვებ მოვითხოვო ის, რაც კანონით გვერგება და არა მგონია, თქვენ, თავადის ასულო, არ მოგეხსენებოდეთ, თუ რაზეა აქ ლაპარაკი. რაღა სახვალიოდ და სამერმისოდ გადავდოთ, სათქმელი ბარემ აქვე ითქვას: ჩვენი მხარე ამ წუთშივე შეწყვეტს მოლაპარაკებას და ისევ ძალას მიმართავს, თუ ერთ პირობაზე წინასწარ არ შევთანხმდით...

— ბრძანეთ! — კუშტად ესროლა მარიამმა და გულხელი დაიკრდო.

— თქვენმა თანამეცხედრემ, სოლომონმა, რომელმაც ბედნიერი სულთნის წინაშე დადებული ერთგული ყმობის ფიცი დაარღვია და დღესაც, ჩვენდა სამწუხაროდ, ღალატის მოლიპულ გზას ადგას, იმპერიაში მოქმედი შარიათის საწინააღმდეგო, მაღალი ალაჰის განმარისხებელი კანონი გამოსცა. თქვენ მოგეხსენებათ, დედოფალო, მე რომელ კანონსაც ვგულისხმობ — ტყვის გაყიდვა არ იქნებაო. თავად განსაჯეთ, აბა ეს რასა ჰგავს! ვინ მოსთვლის რამდენი საუკუნეა, აჩიკ-ბაშის მეფეები თავიანთ ჰფარველ ბედნიერ სულთანს ყოველ წელიწადს ასობითა და ათასობით რჩეულ გოგო-ბიჭებს უგზავნიან. მეფეებს შორის ერთიც არ ყოფილა, რომ ამ ნებაყოფლობით დადებულ პირობაზე უარი ეთქვას. ანდა რატომ უნდა ეთქვას უარი? განა გულდამშიერ სამშობლოში შიმშილით სულის ამოხდას სხვაგან განცხრომით ცხოვრება არა სჯობს? არის თუ არა დღეს თქვენი მხარე მზად იმის აღსაღიარებლად, რომ ტახტზე ჩვენი სურვილის წინააღმდეგ ასული სოლომონი მაღალი ალაჰის განმარისხებელ თავის კანონს უარჰყოფს და აჩიკ-ბაშისა და ბრწყინვალე პორტას შორის ძველი ალებმიცემობა განახლდება?

მარიამმა ერთხანს შეიცადა, პირდაპირი პასუხის გაცემას თავი აარიდა, ერთხელ კიდევ ასწონ-დასწონა, როგორ აჯობებსო და ისე მიუგო, რომ არც მწვადი დაეწვა და არც შამფური:

— ჩვენ მუდამ მომხრე და მოწადინე ვიყავით, დღესაც, ღმერთია მოწამე, მომხრე და მოწადინე ვართ, ბედნიერი სულთნის დიდ საბრძანებელთან ვაჭრობა და კეთილმეზობლური ურთიერთობა ვიქონიოთ.

ბეგლარბეგმა თვალები მოწკურა. თავისდა უნებლიეთ მას ისევ მრისხანება ეუფლებოდა.

— სიტყვას ბანზე ნუ ავაგდებთ, თავადის ასულო! მომიტევეთ და, თუ შეიძლებოდეს, პირდაპირ და არაორაზროვნად გამეცით პასუხი: არის თუ არა თქვენი მხარე მზად, რომ...

მარიამს სუნთქვა შეუნელდა, ხელებსა და ყვრიმალებზე რაღაც საშინელი სიცივე იგრძნო, თვალებშიაც ბინდი მოეძალა. მტერი ოთხივე კუთხივ უვლიდა, გზებს უჭრიდა, კუნჭულში იმწყვდევდა და გასაქანს აღარსაით უტოვებდა.

— პასუხი გვიბოძე, თავადის ასულო!.. — კაპუდან-ფაშა იბრაჰიმს იმედი გაეღვიძა, ეს ქალი ახლა ჩემი ტყვეა, უკვე ვეღარ წამივაო და ყელზე შემოხვეული საბელი სულ ოდნავ მოქაჩა.

ამასობაში დედოფალმა მარიამმა უკვე მოასწრო საბოლოო გადაწყვეტილების მიღება, მაგრამ პირდაპირ პასუხს თავი ისევ აარიდა და ფაშას თხოვა, თუ თქვენი აღმატებულება წინააღმდეგი არ იქნება, მოლაპარაკება თარჯიმნის დახმარებით განვაგრძოთო.

— რატომ? — გაიოცა იბრაჰიმმა და მაღალზურგიან სკამზე გასწორდა, ინით შეღებილი დიდრონი ხელები მუხლებზე დაიწყო. — განა ერთმანეთს ვერ ვაგებინებთ?

— ჩვენმა ქვეშევრდომებმა იტალიური არ იციან, თქვენო აღმატებულებავ, ხომ უმჯობესი იქნებოდა, მათაც გაეგოთ, რაზე ემსჯელობთ?..

ეს უკახასკხელი სიტყვები მარიამმა ქართულად წარმოთქვა და სუფრის ბოლოში მჯდომ თამაზა მესხს ანიშნა, მისი ნათქვამი ფაშასათვის გადაეთარგმნა.

— მაგრამ ეს პასუხი არ არის! — თურქულად ბრძანა იბრაჰიმმა, როდესაც საქმეში ჩარევით ერთბაშად გამოცოცხლებულ თამაზა მესხს მოუსმინა, ზურგით სკამის საზურგეს მიაწვა და ხელები ტიკივით გაბერილ მუცელზე დაიწყო.

— რას ამბობს? — ჰკითხა თამაზას მარიამმა.

თამაზა მესხი საწყალობლად დაიღრიჯა. ახლა ის ორი ბატონის მსახური იყო და აღარ იცოდა, რომელს უფრო მოფერებოდა, თავისი უყოყმანო ერთგულება და დაუზარლობა რომლისთვის უფრო ეგრძნობინებინა.

— ეგ პასუხი არ გახლავსო, თქვენო სიმაღლევ, თუ შეიძლება, გაისარჯოს და პასუხი გვიბოძოსო.

— მაშინ ასე გადაეცი: მეფე სოლომონისაგან, ვისი ნების აღსასრულებლადაც მის აღმატებულებას აქ, საფაშოში, ვეახელით, ჩვენ საამისო რწმუნება არ მიგვიღია. მეფის მაგიერ ჩვენ ვერას ვიტყვით. არც გვგონია, რომ პირობა, რომელსაც მისი აღმატებულება ფაშა გვიდებს, ბატონ მეფისათვის მისაღები და შესაწყნარებელი აღმოჩნდეს...

თამაზა მესხს ტანზე ეკლები დააყარა.

— პირდაპირ ასე გადავთარგმნო?

დედოფალ მარიამის მაგიერ თავი სახლთუხუცესმა პაპუნა წერეთელმა და თავადმა ზურაბ მიქელაძემ დაუკრეს. თამაზა თარგმნას შეუდგა, სიტყვებს საგანგებოდ არჩევდა, თან თვალს ადევნებდა ბეგლარბეგის სახის გამომეტყველებას, რომელიც შესამჩნევად იცვლებოდა და სულ უფრო და უფრო საშიში ხდებოდა. როდესაც ავი წინათგრძნობით სიმწრის ოფლში გაწურულმა მესხმა თარგმნა დაასრულა, კაპუდან-ფაშა იბრაჰიმმა ჯერ თარჯიმანს შეხედა, მერე მარიამს, ერთხანს იყუჩა და ბოლოს ისევ მესხს მიმართა:

— დარწმუნებული ხართ, რომ თავს არ ილუპავთ? მოფიქრებისათვის ოცდაოთხი საათი მომიცია. ხვალ ამ დროს გადაჭრილ პასუხს ველი. ალაჰს ვფიცავ, მეტი დაცდა მე აღარ შემიძლია! — იგი წამოდგა, დედოფლის წინ ჭაღარა თავი დახარა და დარბაზიდან ისე გავიდა, პასუხისათვის აღარ დაუცდია.

## თავი ოცდამეხუთე

ოცდაოთხი საათი, ფაშამ საბოლოო პასუხის მოსაფიქრებლად რომ დასდო, ორმოცდარვა საათად გადაიქცა, ორმოცდარვა — სამოცდათორმეტად, ბეგლარბეგის მეჰმანდარები კი, თითქოს პირი შეუკრავთო, ფალავანდიშვილისეულ სასახლეს, სადაც მარიამ დედოფალი და მისი თანმხლები დიდებულები იყვნენ ჩამომხდარი და ბეგლარბეგთან ახალ შეხვედრას ელოდნენ, ახლოსაც აღარ გაჰკარებიან.

რას მოასწავებდა ეს, დედოფალთან პირველი შეხვედრებით უკმაყოფილო ბეგლარბეგის რისხვას, შემდგომი მოლაპარაკებისათვის თავის არიდებას, თუ იმერთა მეფის ელჩების არად ჩაგდებას და დროის უბრალო გაჭიანურებას?

ფალავანდიშვილისეულ სასახლეში მხოლოდ მესამე დღეს შეიტყვეს, რომ მისი აღმატებულება კაპუდან-ფაშა იბრაჰიმი ახალციხეში არ ბრძანდებოდა. ის წინა საღამოს კარგა მოზრდილი მცველი რაზმის თანხლებით გასდგომოდა არზრუმის გზას, სადაც იმპერიის

ჩრდილოეთ საზღვრების შემოსავლელად კონსტანტინოპოლიდან მოულოდნელად მოსულ დიდ ვეზირს უნდა შეხვედროდა და მონაწილეობა მიეღო უაღრესად საიდუმლო სახელმწიფო საქმეების გადაწყვეტაში.

მაგრამ იქნებ ეს ჭორი იყო? იქნებ კაპუდან-ფაშა იბრაჰიმს ამ ხნის განმავლობაში შინიდან ფეხიც არ გამოუდგამს? მაშ, რით უნდა აეხსნათ ეს დუმილი და სრული უმოქმედობა? აკი უკანასკნელი პასუხის მოსაფიქრებლად მხოლოდ ოცდათხ საათს ვიძლევით?

დედოფალი მარიამი საგონებელს მიეცა. ცალკე უპატრონოდ, შინამოსამსახურეების ანაბარა დატოვებული ბავშვების ჯავრი აწუხებდა და ცალკე ათასი ფიქრითა და საზრუნავით გარემოსილი თანამეცხედრისა, რომელსაც თვალი და ყური აქეთ ჰქონდა და ახალციხიდან გაგზავნილ ყოველ, თუნდაც სრულიად უმნიშვნელო ამბავს მოუთმენლად ელოდა.

საქმე ერთობ საჩქარო და გადაუდებელი იყო. მოვლენები ახლა ისე სწრაფად ვითარდებოდნენ, რომ დაყოვნებას ბევრი რამის ერთხელ და სამუდამოდ გაფუჭება შეეძლო. რა ისმოდა აშტრახანში მყოფ ეპისკოპოს მაქსიმე აბაშიძისა და თავად დავით კვინიხიძისაგან? სად და როდის იყო მოსალოდნელი დაპირებული რეგულის ჯარის გამოჩენა? თუ რუსები ამჯერად მაინც აპირებდნენ ქედს აქეთ გადმობიჯებას და ურჯულოთაგან შევიწროებული ერთმორწმუნე ძმების ჭირ-ვარამის გაზიარებას, იქნებ უმჯობესი იყო, ახალციხესთან მოლაპარაკებაზე იმთავითვე ხელი აეღოთ და მთელი ძალა, საკუთარი თუ დამხმარე, როგორც თავდაპირველად სოლომონი ანგარიშობდა, მტრის მიერ დაკავებული ციხეების, უპირველეს ყოვლისა, სატახტო ქალაქ ქუთაისის გამოსახსნელად მიემართათ?

ურთიერთსაწინააღმდეგო საჭირბოროტო ფიქრებითა და ვარაუდებით გულგასენილი მარიამი ყოველ დილას იბარებდა სახლთუხუცეს პაპუნა წერეთელს და მას ბეგლარბეგის ამბავს უკითხებოდა. მტრის ბუნაგში უაზრო ჯდომით თავადაც შეწუხებულ პაპუნას პასუხი მუდამ მზად ჰქონდა:

— ეს არის, იქიდან გეახელი, დედოფალო, არა ისმის რა, ისე კი ეგ ურჯულოები სულ სამზადისში არიან, მოელიან. სომხის ტერტერა გვეხვეწება, იწამეთ ღმერთი, დედოფალი მარიამი მანახვეთ, საიდუმლო სიტყვა მაქვსო. თუ ნებას დამრთავ, ბიჭებს ვუბრძანებ და ამ საღამოს შემოუშვებენ.

— სომხის ტერტერა? — გაიკვირვა მარიამმა. — მე აქ მაგისთანას არავის ვიცნობ. ნეტავი რა საიდუმლო სიტყვა უნდა ქონდეს?

— მე არ გამიმხილა. პირადად უნდა მოვახსენოო. ქართულს გვარიანად ლაპარაკობს. ადრე ქუთაისში უცხოვრია, მერე დაქვრივებულა და ობოლი ქალიშვილებით აქ გადმოსულა საცხოვრებლად. ახალციხეში, ღვთის მადლით, მრევლიც მეტი მყავს და თავსაც უფრო უშიშრად ვგრძნობო.

— უსიკვდილოდ შემოუშვი, ბატონო პაპუნა. მე ახლა ვხვდები, ვინც არის. ეგ ის ტერტერა უნდა იყოს, ვინც ჩვენი საწყალი ნატრია საჭურისი შეიკედლა და თავის გასათხოვარ ქალებს ამწყემსვინებდა.

— შენს მეხსიერებას ვენაცვალე, დედოფალო! — განცვიფრებულ სახლთუხუცესს სახეზე შუქი დაადგა. — რა დამემართა, რავა აქამდე ვერ მივხვდი!..

— საწყალ ნატრიას სიტყვა ექნება დაბარებული. იმის თქმა თუ უნდა.

— ნამდვილად!

— კათალიკოს ბესარიონის ხომ ალარაფერი გაგიგიათ?

— არა, აჰ! რომ დეეჭირათ, მტრისას და ავისას, უკან არ მოიყვანდნენ, ბატონო? გასხლტა, გევიდა, გამჩენმა ხელი მოუმართა..

— ღმერთსა ვთხოვ, ახალი ცოდვა აგვაცილოს ჩვენც და ბატონ მეფესაც.

— ჯავრი ნუ გაქვს, დედოფალო, — სახლთუხუცესმა ჭაღარა თმა-წვერით შემოსილი თავი ჩაიქნია და სახე ღიმი-

ლმა დაუნაოჭა. — უწმიდესი კათალიკოსი ბესარიონი ჭკვიანი კაცი გახლავს, მაგ ცოდვას თავად აგვაცილებს.

— ვითომ, დავიჯეროთ, კათალიკოსის კვერთხზე უარს იტყვის? არა მგონია. ეკლესიის საჭეთმპყრობლის ღალატს ხალხს ადვილად ვერ დააჯერებ. იმისთანა ბედი გვარგუნა ღმერთმა, მხრის დამჭერი და კუდის გამსწორებელი ბესარიონს ბევრი გამოუჩნდება.

— რატომაც არა, თქვენო უმაღლესობავ, დედოფალო. თუკი ჩვენმა მწყალობელმა მეფემ თვით მოღალატე ერისთავს და მის შვილებს შეუნდო ყველა შეცოდება, იმათზე მეტი ბრალი არც კათალიკოსს უნდა მიუძღოდეს!..

მარიამმა თვალები ასწია, სახლთუხუცესს სახეზე დააკვირდა.

— წყენას გატყობ, ბატონო პაპუნა. ჩემი სახვეწარი მუდამ ეს იყო და დღესაც ეს არის: გულში ნუ ჩავიდებთ წყენას, ნუ გავბოროტდებით. ვიცი, განა მე კი ვერ ვატყობ, რომ ერისთავისაკენ შემობრუნებით ბატონმა მეფემ ყველა თავის ერთგულ ქვეშევრდომს იმედი გაუმტყუნა, მეტადრე შენ და ბატონ ქაიხოსროს, აგიაშვილს და ორივე წულუკიძეს. არ გინდათ მის გულში ჩაიხედოთ და გაიგოთ, რომ იმ უბედურს არ ჰქონდა სხვა გზა. ვერ ქნა, ვერც ცოლისძმა ოდიშის ბატონი გადაიკიდა და ვერც როსტომ ერისთავის ღონიერი ოჯახი გაიმეტა. ისევე თქვენ, ერთგულ, ჭირში გამოცდილ თავადიშვილებს მოგენდოთ და ტახტის ბედი თქვენს მამულიშვილურ შემწყნარებლობას დაამუძნა. ღმერთმა ნუ ქნას, თქვენც გამოეცალოთ და გაავებულ ურჯულო მტერს პირში მისცეთ!..

— მაგისაგან სწორედ ღმერთმა დაგვიცვას, დედოფალო, — ჭკვიანი სახლთუხუცესი მიხვდა, რომ სწორ გზაზე იდგა და მარიამს სიტყვა ჩამოართვა. — კიდევაც რომ განვუდგეთ და ღმერთი გავარისხოთ, ვის მივუვიდეთ? ტახტს იქით გზა არც ერთს არა გვაქვს, თუ არ გვინდა, დადიანმა, ერისთავმა და გურიელმა ყმა-მამულითა და ეკლესია-მონასტრებით ურჯულოს მიგვყიდონ. წყენას გულში ნუ შევინახავთ, ნუ შევინახავთ! ყაბულს გახლავარ. გვიჭირდა და მაშინ არ წავმხდარვართ, ბატონ მეფეს, ღმერთია მოწამე, მაშინ ვუერთგულეთ, როცა დანა და ყელი ერთად გვქონდა. ჩვენც ხომ ხალხი ვართ და გაგვეხარდება, თუ სიკეთეს არ დაგვივიწყებენ და არ გვეტყვიან, თქვენს თავს ორგულისა და მოღალატის თავი გვირჩევნიაო. ერთგულია, ჩემია და ამიტომ უნდა დავჩაგროო? არა, ბატონო, შენი სახელის ჭირიმე, აგრე რადი ივარგებს, სად გაგონილა!.. კათალიკოს ბესარიონზე მოგახსენებდი. ეგ ხომ იმ პირშავი ერისთავის კუდია და, ღმერთო შემინდე, ძაღლი ძაღლის ტყავს არასოდეს არ დახევს. ერთობ გაჭირდება, თუ ძმები ხელახლა სათავეში მოგვექცნენ და წყალი ისევე სათავიდან აგვიმღვრიეს...

მარიამს თვალები გაეყინა, ჭიქასავით გაუხდა.

— უფრო გარკვევით გვითხარი, ბატონო პაპუნა, რა გნებავდა მაგ სიტყვებით გებრძანებინა?

— რა ვქნათ, გვიჭირს და უნდა გამოგიტყდე: ერთ ქარქაშში ორი ხმალი ვერ ჩაიგება. ბატონმა მეფემ ერთი და ერთი უნდა ირჩიოს...

მარიამი გაწითლდა, შუბლზე აზიდული წარბები შეჰყარა.

— როგორ თუ ერთი და ერთი, თავადო პაპუნა?

— ან ჩვენ, ან ერისთავი!..

— ვინ თქვენ?

— წელან თავად ბრძანებდი.

— სხვას აღარავის ეკითხებით?

— ვეკითხებით, რავა არ ვეკითხებით, შენი ჭირიმე, დედოფალო და ისინიც ამის მახვეწარი არიან. გვეგონა, რაჭაში შესვლით და წეს-ბარაკონის დაკავებით კურთხეული ბატონი მეფე სოლომონი ერისთავის საქმეს გადაწყვეტდა და გაუმაძღარი მოღალატის ბუდეს ძირისძირობამდე მოშლიდა. არ მოხდა ასე. ჩვენ ვისრისებით, ბატონო, ჩვენ ვთესთ, სხვები იმკიან. როდემდე ვიყოთ ასე და

მაგ კურთხეულის უპირულობას გულხელდაკრეფილებმა როდემდე ვუყუროთ?

— მტრის ჯარითა და მსტოვრებით გარემოცულებს დღეს ამ საქმის განსჯა გვმართებს, თავადო პაპუნა? თვით მეფეს რად არ მოახსენეთ, რაც მოსახსენებელი იყო?

— ბევრჯერ დავაპირე, მიცვალებულების სული ნუ წამიწყდება. მარჯვე შემთხვევა არ მომეცა. იმ დალოცვილს სალაპარაკოდ სად სცალია, ბალიშზე თავის მიდება ენატრება. მერე მეც ვიფიქრე და სხვებმაც ასე მირჩიეს, ისევე თქვენი უმაღლესობა ჩაგვერია საქმეში. ამაზე უკეთეს დროს ვერც ვერსად ვიპოვნიდი.

— აგრე რომ გვცოდნოდა, არ ავჩაქარდებოდით და აქ წამოსვლას ცოტა ხნით გადავდებდით. ახლა ბევრ რასმე ვხვდები, მაგრამ ვაითუ უკვე გვიანია. რა დავაშავეთ, ღმერთო, ამის ფასი? ნუთუ ჩვენს საწყალ ერსა და ქვეყანას ერთი წუთი მოსვენება არ უნდა ეღირსოს? სულ ასე ჯვარზე გაკრული უნდა ვიქნეთ? სულ იმის უნდა გვეშინოდეს, რომ ვიღაცა ღვთის მგმობელი ხელსა გვკრავს და ხრამში გადაგვჩეხავს?

დედოფალმა მარიამმა სითრითვანა ტუჩები მოკუმა და თავადაც ვერ შენიშნა, ლაწვზე ცრემლის მსხვილი კურცხალი როდის ჩამოუგორდა. სახლთუხუცესი რომ დაემშვიდობა და აღუთქვა, საღამოს კიდევ შეგაწუხებ, თუ რაიმე სანუგეშო ამბავი შევიტყე, უმალ გაახლებო, მსახური მოიხმო და უბრძანა, სანამ თავად არ დარეკავდა, ოთახში აღარავინ შემოეშვათ. დღის დარჩენილი ნაწილი მხურვალე ლოცვაში გაატარა. ღვთისმშობელ დედას შვილების, მუდამ ტყვის წინ მდგომი სოლომონის, ერთადერთი ძმა კაცია ჯანმრთელობას და სამშობლო ქვეყნის ურჯულო აგარიანთა ბატონობისაგან გამოხსნას შესთხოვდა. ხატის წინაშე დამხობილი და სასომიხდილი თავის თავს აღარ ჰგავდა. ამ დროს რომ ვინმე უცხოს დაენახა, თუნდაც შინაურს, ნიადაგ რაღაც საქმიანობაში გართულ იმერთა მეფის თანამეცხედრეს ყოველ ცისმარე დღე რომ ხედავდა, ვერასგზით ვერ წარმოიდგენდა, თუ ეს ის მხნე, ზვიადი და გაუტეხელი ქალი იყო, ყველაზე უფრო დიდი საშიშროების წინაშეც რომ წარბს არ იხრიდა და თვით დაუძინებელი მტრის გულშიაც კი უსიტყვო მორჩილების სურვილს აღვიძებდა.

მწუხრზე, გვიანი შემოდგომის უძალო მზე რომ ჩავიდა და რაბათის მინარეთზე გადმომდგარმა მეყრმა მართლმორწმუნე მაჰმადიანთ მეჩეთისაკენ მოუწოდა, სახლთუხუცესი პაპუნა წერეთელი დაპირებისამებრ ისევ მოვიდა და სომხის ტერტერა მოიყვანა. ტერტერა შუახანს გადაცილებული სნეული კაცი იყო, დიდი ხნის გაუპარსავ ნაყვავილარ სახეზე ავადმყოფური სიყვითლე გადაჰკრავდა, ტანთ გახუნებული შავი ანაფორა ეცვა და გულზე ვერცხლისწყალში გავლებული ჯვარი ეკიდა. დედოფალს უკვე მოესწრო დამშვიდება. ტერტერა მოწყალედ მიიღო და ხელით ანიშნა, მის წინ, ტყავგადაკრულ რბილ სკამზე დამჯდარიყო. შემდეგ ვინაობა, სადაურობა და მოსვლის მიზეზი ჰკითხა. ასაკისათვის შეუფერებელი ცოცხალი თვალები ტერტერამ სახლთუხუცესს მიაპყრო, რაც იმას მოასწავებდა, რომ დედოფალთან პირისპირ დარჩენას ითხოვდა. მარიამი აიმრიზა, სტუმრის მოთხოვნა უსაბუთოდ სცნო.

— ბრძანე. თავადი პაპუნა სანდო კაცია. ჩვენ არაფერს ვუმალავთ.

ტერტერას გუნება გაუფუჭდა, თუმცა ცდილობდა, ეს არ შეემჩნია. ანაფორა გაიხსნა, შიგნითა ჯიბეში ხელი ღრმად ჩაიყო, იქიდან რაღაც ჩვარში გამოკრული ამოიღო, სახლთუხუცესს, ხომ არ მირისხდებაო, კიდევ ერთხელ შეხედა და შეკვრა დედოფლის ფეხთით ფრთხილად დასდო.

— რა არის? — თითქმის წყრომით ჰკითხა მარიამმა.

ტერტერამ მუხლი მოიყარა და კრძალვით მიუგო:

— იმ საცოდავმა დამიტოვა, დედო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფალო, ნატრია საჭურისმა... ღმერთო, განათლე მისი უმანკო სული! — მოძღვარმა ზე აიხედა და სამგზის პირჯვარი გადაისახა. — მობარებული ქონდა. თუ რამე გამიჭირდეს, მიქენი სიკეთე, ტერტერა-ჯან, ნუ დამიკარგავ, ჩემს ქრისტიან მეფეს გაუგზავნე, ამით ტყვეები გამოიხსნას ჩემ სახელზე და რაღაი მე არ მეღირსა სამშობლოში დაბრუნება, ისინი მაინც დააბრუნოსო. სხვისი ქონება ღმერთმა ნუ მომახმაროს. დღემდე ვერსაით მოგაწვდინეთ. ახლა, როგორც კი შევიტყვე თქვენი დიდებულების მობრძანება, გულმა მაშინათვე აქეთ გამომიწია...

დედოფალს თვალები ცრემლით აევსო. ხმის ამოღების უნარი წაერთვა. ანდა რა შეიძლებოდა თქმულიყო აქ, როცა ყოველგვარი სიტყვა ყალბად აჟღერდებოდა და იმას ვერ გამოხატავდა, რაც უნდა გამოეხატა. რამდენიმე წუთს სამივე ენაჩავარდნილივით დუმდა, თითქოს რაღაც უპატიებელი დანაშაული ჩაუდენიათ და ერთმანეთს თვალს ვეღარ უსწორებენო, და მარიამის ფერხთით მდებარე პაწაწინა ფუთას დასცქეროდა. ბოლოს ისევ ტერტერა მოეგო გონს, მონდომებით განასკვული ჩვარი გახსნა და მარიამმა და პაპუნა წერეთელმა დაინახეს წვითა და დაგვით ნაგროვები ორმოციოდე ყურუში ვერცხლის ფული, ჰაჯი-აჰმადის რომელიღაც ცოლისაგან ნაჩუქარი მარგალიტისთვლიანი ბეჭედი, მარჯნის სამაჯური, ნათლობის ჯვარი, ორი ძეწკვი, ჰარამხანიდან გამოყოლილი რქის წმინდა სავარცხელი, სხვადასხვა ფერის ბრჭყვიალა ღილები და ქობებშემოქარგული მარმაშის პირბადე, სხვის კარზე სამადლოდ მიკედლებულ საჭურისს შავი დღისათვის რომ გადაენახა და შემდეგ ობლად დარჩენოდა.

— ღმერთო მოწყალეო, სასუფეველი დაუმკვიდრე! — მწარედ ამოთქვა მარიამმა და პირჯვარი გადაიწერა. — შენ უქციე ლხინად, რაც ამ ქვეყანაზე ჭირი და ვაება ნახა! სწორედ ღირსია, მისი სახელი წმინდანთა შორის იხსენიებოდეს!..

— გინდაც ახლავე გაღებოდეს სამოთხის კარი, დედოფალო! — გულდათუთქულ სომხის მღვდელს ხმა ვაებზარა. — თქვენი დიდებულების თვალებზე ცრემლს ვხედავ. საწყალი ნატრია, ასი წელიწადიც რომ ეცოცხლა, ამაზე მეტს რას ინატრებდა! შენც დღეგრძელი ბრძანდებოდე, დედოფალო, გიდღეგრძელოს მამაზეციერმა გვირგვინოსანი თანამეცხედრე და ანგელოზი შვილები, ყველა გიდღეგრძელოს, ვისაც შენთვის სიკეთე უნდოდეს და შენი ქვეყნის ბედნიერება გულს არ გვრემდეს!

— გმადლობ, მოძღვარო, — წრფელი გრძნობით უპასუხა მარიამმა. — მაღალი ღმერთი ყოვლის მხილველია. მაგ მამობრივ სიკეთეს, რაც საბრალო საჭურისს გაუწიე, ათასგზის მოგაგებს. ჩვენც შენი მოვალე ვართ და, თუ ზენაარმა დაგვაცალა, ვალს არ დაგიკარგავთ!

— შენ კარგად იყავი, დედოფალო. საწყალი ხალხი გახლავართ, სიმდიდრესა და ფუფუნებას ჩვენთან რა უნდა. ამ გაძაღლებულ წუთისოფელში რა ბევრი ჩვენ გვჭირდება! ნივთებს რა ვუყო, ბატონო, აქ დაგიტოვოთ, თუ...

— რაღაი ამდენი მადლი გვიყავი, მამაო, აქაური საქმისა შენ უკეთ იცი. არც მიცვალებულის უკანასკნელი ნების აღსრულება შეგეშლება. ფულს ჩვენც დაგიმატებთ და ხალხსაც მოგცემთ დამხმარედ. ხვალ ბაზარზე გადით და ღვთით ტყვეები შეისყიდეთ. ბავშვებსა და ქალებს მიეძალეთ. კაცი მაინც კაცია და სადაც არ უნდა იყოს, თავს გაიტანს, ახლა კი, თუ არ დაგვზარდები და თვალიც გიჭრის, წინ გაგვიძეხი, საცოდავი ნატრიას საფლავი გვაჩვენე!

— ვაიმე, შენი ჭირიმე, დედოფალო, შენი გამზრდელი გაანათლოს, აგრე გაგსარჯო, ისიც ამ ცივ ღამეში?

მარიამი წამოდგა და თხუთმეტიოდე წუთის შემდეგ მონოზნის თალხებში გახვეული შემოვიდა. ტერტერამ რაღაც წაილაპარაკა სომხურად, თავისი გაკვი-

რვება და ალტაცება თუ გამოთქვა, პირქვარი ისევ სასოებით გადაიწერა და დაწინაურებულ დედოფალს მაშხალებით გაჩირაღდნებულ შიგაეზოში გამოჰყვა. აქ უკვე ელოდნენ სხვები. დედოფალი და სომხის ტერტერა მათ შუაში მოიქციეს და ჩაბნელებულ კარიბჭისაკენ გასწიეს.

— ვინ არის? ვინ მოდის? — შორიდან დაიძახა კარის მცველმა იანიჩარმა.

— ჩვენ ვართ, — ყველას მაგიერ უპასუხა სულთამ ავალიანმა. — აჩიკბაშის დედოფლის მხლებლები.

— მერე? სად მიხვალთ? ვინ მოგცათ თქვენს ჭკუაზე მისვლა-მოსვლის უფლება? გინდათ, ჩემი თავი დააჭერინოთ? ეს ხათუნი ვინ არის?

— ხათუნი კი არა, მონაზონია, ვერ ხედავ, დაბრმავდი? ენა დაიმოკლე და კარი გაგვიღე, გირჩევნია, გვერდები ხომ არ გექავება?

— ენაც თქვენ დაიმოკლეთ და გვერდებიც თქვენ გექავებათ. აბა, დაიხიე უკან!.. — იანიჩარმა თოფი მოიმარჯვა და თვალისდახამხამებაში ჩახმახი ფეხზე შეაყენა.

— მოეშვი, სულთამ, ხმაურს ატეხს და ხიფათს შეგვამთხვევს, მაგას ჭკუა კი არ მოეკითხება! — წასჩურჩულა ავალიანს მარიამმა. — თეთრი შეაძლიეთ, იქნება მოლბეს...

ამ ხერხმა მართლაც გასჭრა.

— ოჰ, პარონ გარეგინ, შე წვერცამეტავ, აქ რომელმა ქარმა ამოგაგდო? — შესძახა გულმობრუნებულმა იანიჩარმა, წუთის წინ ყველას მიუდგომელ ციხე-სიმაგრედ რომ ესახებოდა, როგორც კი ნაცნობი ტერტერა მიუახლოვდა და ჩოხის ჯიბეში მთელი პეშვი თეთრი ჩაუყარა. — მარტო ბრძანდები თუ შენც ამათთან ერთად გაგატარო? — და პასუხისათვის ყური აღარ უგდია, ჯაჭვი აჩხარუნა, რკინის კარი გახსნა. — ჩქარა, ჩქარა, არავინ დაგინახოთ, თუ არა ჩემ ძვლებს ქორიც ვეღარ იპოვნის, ჯურღმულში ჩამკარგავენ!

შუაღამე უკვე გადასული იყო, მონაზვნად გადაცმული დედოფალი მარიამი და მისი ათიოდე მხლებელი უკან რომ მობრუნდნენ და რაბათის ციხის კარიბჭეზე რახუნი ატეხეს. კარი იმწამსვე გაიღო და საგანგებო გამოკითხვის გარეშე, სად მიხვალთ და რა საქმისთვისო, ყველა ეზოში შემოუშვეს. უზბაში, ყარაულის უფროსი იანიჩარი, მეტისმეტად ფიცხობდა და მოსულთ თავიანთი სადგომისაკენ მიერეკებოდა. ბეგლარბეგი იბრაჰიმ-ფაშა მაინცდამაინც ამათი არყოფნის დროს გამჩდარიყო და ცხენიდან ჩამოხდომის უმალვე აჩიკბაშის მეფის ელჩები მოეკითხა.

— სწორედ მაოცებთ, თქვენო ბრწყინვალებავ, — უთხრა შორეული მგზავრობით საკმაოდ შელახულმა ფაშამ დედოფალ მარიამს, როდესაც მეორე დღეს ელჩები იმავე დარბაზში მიიღო, სადაც პირველ შეხვედრისას ყავას, ხილსა და ტკბილეულს შეექცნენ. — მე გადმომცეს, რომ ერთი ვიღაც ჭუჭყიანი საჭურისის საფლავი მოგინახულებიათ. განა ეკადრება ეგ თქვენს ბრწყინვალე გვარიშვილობას და გვირგვინს?

მარიამმა წარბი შეიკრა, ყოვლისშემძლე ბეგლარბეგს უთვისტომო მიცვალებულის აუგად ხსენება არ შეაწია:

— იმ საჭურისმა ბიჭმა, თქვენ რომ ჭუჭყიანს უწოდებთ, სამშობლოსათვის თავი დასდო. ეს ყველას როდი შეუძლია. არა მგონია სირცხვილი იყოს და ჩვენს მაღალ წოდებას არ შეეფერებოდეს, საფლავის წინაშე მუხლის მოყრით პატივი ვცეთ უდროოდ დაღუპულის ხსოვნას!

— მაგრამ მე ისიც გადმომცეს, რომ ეგ ბინძური საჭურისი მალულად ატარებდა ქრისტეს ჯვარს, თვალთმაქცობდა და სხვათა მოსატყუებლად, როგორც ყველა მართლმორწმუნე მაჰმადიანი, მეჩეთში დადიოდა. ამას გარდა, დანამდვილებით ცნობილია, რომ გიაური სოლომონის მსტოვარი იყო და სიკვდილიც ამით დაიმსახურა.

მარიამი მაგრად დაუდგა, არც ახლა დასთმო:

— ცოდვას ნუ კისრულობთ, თქვენო აღმატებულებავ, სარწმუნოებისა და

სამშობლო ქვეყნისათვის თავშეწირულ ადამიანს, ვინც არ უნდა იყოს, ქრისტიანი თუ მაჰმადიანი, ბინძურს ნუ უწოდებთ. მკრეხელობისათვის ვაითუ ღმერთმა შეგვაჩვენოს!

— სხვას თქვენს ადგილზე მაგ სიტყვებს, დედოფალო, მწარედ ვანანებდი. ვერ დავმალავ, თქვენ ჩემი გული სწორედ პირდაპირობით მოინადირეთ და, თუ დამიჯერებთ, არა მსურს რაიმე გაწყენინოთ. მხედარი კაცი ვარ. მთელი სიცოცხლე ომებში გავატარე. ზღვა აღარ დარჩა, სადაც მე სისხლი არ მექციოს. სიკვდილისთვის ბევრჯერ თვალებში ჩამიხედავს და მომწონს პირდაპირი და გაბედული ადამიანი. მეტადრე... — ფაშა ოდნავ შებორძიკდა. — მეტადრე, თუ ეს ადამიანი თქვენებრ კეკლუცი ქალია. ეს დღეები, რაც შინ არ გახლდით, ბევრი ვიფიქრე. ნუ მომთხოვთ, ბოლომდე გულახდილი ვიყო, ისე კი ზოგი რამ თქვენთვის ვგონებ გავაკეთე და ვიმედოვნებ, უმადურობას არ გამოიჩენთ...

იბრაჰიმ-ფაშას ეს მოულოდნელი აღსარება მარიამმა შეუნელებელი ყურადღებით მოისმინა და როდესაც მან სიტყვა დაასრულა, ფრთხილად ჰკადრა:

— ჩვენ ჯერ არ ვიცით, თქვენო აღმატებულებავ, ჩვენთვის რა გააკეთეთ ან რას გულისხმობთ, როდესაც ჩვენს მადლიერებას მოითხოვთ.

კაპუდან-ფაშამ თავი ასწია, მხრებში გაიმართა და დედოფალს ჭარბად ნახმარი ნელსაცხებლების სუნი ეცა.

— დიდი ვეზირი თანახმაა, შუამდგომლობა გასწიოს ბედნიერი სულთნის წინაშე. თქვენს თანამეცხედრე სოლომონს ძველ ლალატს შეუნდობენ და აჩიკ-ბაშის მეფედ და სერასკირად დაამტკიცებენ.

წუთით სიჩუმე ჩამოვარდა. სახლთუხუცესი პაპუნა წერეთელი, ზურაბ მიქელაძე, სულთამ ავალიანი და ნიკორწმინდელი ეპისკოპოსი გერმანე თამაზა ძესხს მიაჩერდნენ, რომელიც კაპუდანფაშა იბრაჰიმის სიტყვებს თურქულიდან ქართულად თარგმნიდა. დედოფალს სახის გამომეტყველება არ შესცვლია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გვცდით თუ მაგას მართლა გვეუბნებით? — ხმადაბლა იკითხა მან.

— როგორ თუ გცდით? — ბეგლარბეგმა მხრები აიჩეჩა. — ნუთუ არა გჯერათ ჩემი სიტყვა? სწორედ მოგცებთ, დედოფალო! მრისხოს ყოვლის მხილველმა ალაჰმა, თუ... არც ახლა დაიჯერებთ?

— უკეთესი იქნებოდა, თქვენი მდივან-მწიგნობრები მოგვეხმოთ და ქაღალდზე დაგვეწერინებინათ, რაც ეს-ესაა სიტყვიერად ბრძანეთ!..

— ხვალ დილას, რაბათიდან თქვენი გასვლის წინ, ყველა სიგელი მზად იქნება. ჩვენ უკვე გავეცით განკარგულება, ხუთასი იანიჩრისაგან მცველი რაზმი შეადგინონ და ოძრხის ციხემდე პატივით მიგაცილონ!

— აგრე ნუ შეწუხდებით, თქვენო აღმატებულებავ, თქვენგან იმედი იქნეს და ჩვენ თუნდაც დღესავე გზას დავადგებით, ხვალ დილამდე აქ რაღა გაგვაჩერებს!

— ჯერჯერობით არ მინდოდა თქვენი გაშვება. მსმენია, დადიანის ასული მარიამი ცხენოსნობასა და თოფ-დამბაჩის სროლაში ტოლს ვაჟკაცებსაც არ უდებსო. ეს მართალია?

მარიამს თმისძირები აუფერადდა.

— ამბობენ... აზვიადებენ ცოტას. ყმაწვილქალობაში მართლაც მიყვარდა...

— თუ გაგვაბედნიერებდით და... — ფაშა გაიბადრა, სუფთად გაპარსული მსუქანი სახე სულ ერთიანად გაუბრწყინდა.

— მომიტევეთ, თქვენო აღმატებულებავ, ნადირობასა და გართობას რა სჯობს, მაგრამ ამჯერად ვშიშობ, რომ ამის საშუალება არ გვექნება. თავად მიგიპატიჟებთ ჩვენს ტყეებში სანადიროდ. შორს წასვლა კი არ დაგვჭირდება. აჯამეთისა და სალორიის ტყეები ნადირით გამოთქმულია. თუ არჩევსა და ჯიხვზე მოინდომებთ წასვლას, გულს არც ძაძის დაგწყვეტთ, საუკეთესო მონადირეებსა და მარეკებს გაახლებთ,

თავადაც გვერდიდან არ მოგშორდებით, ოღონდ მშვიდობა იყოს და სისხლისაგან დაცლილმა ჩვენმა საცოდავმა ქვეყანამ ერთი შვებით ამოისუნთქოს.

— მიპატიჟებას დიდი სიხარულით ვღებულობ, დედოფალო. გთხოვთ გადასცეთ მეფე სოლომონს, რომ ჩვენს მისაღებად თადარიგი გასწიოს. ვინძლო ეს სტუმრობა სამოყვრო იყოს და არა სამტრო. ჩვენს შორის დადებული ყველა ძველი ვალდებულება განახლდება. გამოსაღებს, თქვენი დიდებულების ნებართვით, ჯერჯერობით იმასვე ვტოვებთ, რაც ადრე, უსიამოვნების ჩამოგდებამდე და ავად მოსაგონარ ხრესილის ომამდე იყო. ტყვეებით ვაჭრობის საბოლოო აღდგენისა და მოწესრიგების საქმეს, როგორც დიდმა ვეზირმა ბრძანა, თვით ბედნიერი სულთნის დივანი გადაწყვეტს. პირადად მე, ვგონებ დარწმუნდით, თქვენი კეთილისმყოფელი ვარ და არ გირჩევდით, ეს დღესავით ნათელი საქმე გაგერთულებინათ. ის, რაც მამა-პაპას დაუდგენია და დღემდე განუხრელად სრულდება, ჩვენ რად უნდა მოვშალოთ? განა ჩათრევას ჩაყოლა არა სჯობია? გვსურს, აჩიკ-ბაშში ყველამ კარგად იცოდეს, რომ ჩვენ, ბრწყინვალე პორტა, ომისა და სისხლისღვრის მოსურნე არა ვართ, მაგრამ რა ვქნათ, თუ ომს თავს გვახვევენ და ჭეშმარიტი ღმერთის გზას აცდენილნი კუთვნილს გვეცილებიან? თქვენ, უძლეველი ოსმალეთის ხელდებულ ქვეყანას, ამიერიდან გეკრძალებათ, რაიმე ურთიერთობა იქონიოთ გიაურ რუსეთთან, რომელიც კარგა ხანია, კავკასიის ქედს აქეთ იყურება და იმპერიის ჩრდილოეთ სამფლობელოებს საფრთხეს უქმნის!..

„ეგ კი წმინდა წყლის სიმართლე წამოგცდა, — გაიფიქრეს ქართველმა ელჩებმა და მათს შორის დედოფალმა მარიამმა, რომელსაც თავისი აზრების ჭეშმარიტებაში ღრმად დარწმუნებული მტარვალის ყოველი სიტყვა გულში შხამივით ეწვეთებოდა და მოთმინების ფიალას უვსებდა. — ეგ არის თქვენი მუცლისტკივილი და იმერეთის ციხეებში ფეხის სამუდამოდ მოკიდებაც სწორედ მაგისთვის გჭირდებათ, მარჯვენადალოცვილ რუსებს სწორედ დროზე არ დაუფეთებიხართ? ჩანს, საქმე არცთუ სახუმაროდ გქონიათ, რაკი ჩვენს წინაშეც ცხვრის ქურქში ეხვევით, თავის დამამცირებლად გვეფერებით და ცდილობთ, რადაც არ უნდა დაგიჯდეთ, მშიერი მგელი უცოდველ კრავად მოგვეჩვენოთ!“

ფაშა ხედავდა, რომ ხელს არავინ უშლიდა, არავინ ეკამათებოდა. ამით დარწმუნდა, პირში მორჩილად შემოჩერებული აჩიკ-ბაშების გულის გასაღებს მივაგენიო და თავისივე მჭევრმეტყველებით გამხნევებულმა კიდევ დიდხანს ილაპარაკა. იბრაჰიმს არ მოსწონდა იმერთა მეფესა და სამეგრელოს მთავარს შორის ჩამოვარდნილი ყრუ უთანხმოება, არც მეფისა და როსტომ რაჭის ერისთავის სამკვდრო-სასიცოცხლო გადაკიდებას იწონებდა, მაგრამ სოლომონს მაინც მოყვრულად უთვლიდა, მოძმეთა სისხლს ტყუილად ნუ დაღვრი, ნურც თავს დაიზარალებ და ნურც მაგათ დააზარალებ, ვინაიდან, ჩემგან არ გესწავლება, დადიანიცა და ერისთავიც შენებრ ერთგული ყმები არიან სულთნისა და მტერიცა და მოყვარეც ისა ჰყავთ, ვინც ნახევარი სამყაროს მფლობელ ბედნიერ სულთანს მტრობს, ანდა მას მოყვარედ მოჰკიდებიაო.

ბეგლარბეგის ეს მოსაზრება, მეგობრულ საფანელში რომ იყო გახვეული შორს უმიზნებდა და იგი, იბრაჰიმის შეფარული მიზანი, არც დედოფალ მარიამს და არც მის დიდებულებს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ. კაპუდან-ფაშა იბრაჰიმს ვითომდა გული შესტკიოდა თავის დაუძინებელ მტერ სოლომონზე, სულთნისადმი ვისი ერთგულებაც ნაკლებ სჯეროდა, ვიდრე აქლემის ხეზე ასვლა, მაგრამ საქმით კი იმერეთის მეფე-მთავრებს გათიშულობისაკენ უბიძგებდა, თავად მათს შორის დგებოდა და, ვით მიუდგომელი მსაჯული, მედიატორობას კისრულობდა. „დაჰყავ და იბატონე!“ — ამბობს ძველი რომაული

ანდაზა. აბა, ისე ვის უნდა სცოდნოდა ამ სამად სამ სიტყვაში ჩაქსოვილი მზაკვრული შინაარსი, როგორც სულთნის კარზე პატივით ცამდე ამაღლებულ, მამა-პაპის რჯულისაგან განმდგარ, გადაგვარებულ ფაშას, აქ, შორეულ გურჯისტანის ვილაიეთში, ქართველობისა და ქრისტიანობის უკანასკნელი ფესვის ამოსაგდებად და ნაკლები დანაკარგით დიდი სარგებლობის მოსატანად რომ გამოგზავნეს!

მიუხედავად იმისა, შინ დასაბრუნებლად თითქმის ყველაფერი უკვე მზად იყო, დედოფალ მარიამს სამიოდე დღით შეყოვნება მაინც მოუხდა. ოძრხის ციხიდან ქალაქში ნუზლის მოსამარაგებლად ჩამოსულმა იანიჩრებმა, რომელთაც ოდიშის ბატონ კაცია დადიანის ელჩებიც მოჰყვნენ და რაბათის ციხისთავის განკარგულებით გაღმა ქალაქში, კათოლიკეთა უბანში დაბინავდნენ, შემაშფოთებელი ამბავი მოიტანეს: ზეკარზე სამი ადლი თოვლი მოსულიყო და გზა შეეკრა. უღელტეხილი ყველაზე ბოლოს ოდიშარებს გადმოელახათ და ამათაც ისე გასჭირვებოდათ, იძულებული გამხდარიყვნენ, რამდენიმე ცხენის საპალნე გზაშივე ჩამოეხსნათ და ქარსა და ბუქში აქეთა კალთაზე ისე დაშვებულიყვნენ.

— როგორ მოვიქცეთ, თავადო, რას მირჩევ? — ჰკითხა სახლთუხუცეს პაპუნა წერეთელს დედოფალმა მარიამმა, რომელსაც ორივე ახალი ამბის შეტყობამ — ზეკარის უღელტეხილზე გზის შეკვრამ და მისი საფიცარი ძმის — კაცია დადიანის მხრიდან ფაშასთან ელჩების მოსვლამ თავზარი დასცა და მოსვენება დაუკარგა.

— გამოზაფხულებამდე აქ მტერმა იყურყუტა, დედოფალო, მანამდე კი კაკასხიდისაკენ გზა და კვალი არ გავა.

— ღმერთო, ეს რა დამემართა, როგორ ხაფანგში გაბმულებივით დავრჩით, ბავშვები ჯავრით დამეხოცებიან, გადაირევა სოლომონი! — მარიამი ხელებს იმტვრევდა, ოთახში წინ და უკან დადიოდა და დროდადრო თვალი გაექცეოდა ხოლმე სარკმლისაკენ, საიდანაც პატარა ქალაქის გაღმა მხარე, უცხოდ ნაგები კათოლიკური ეკლესია და ეკლესიის გარეშემო ერთიმეორეზე მიჭუჭკული ბანიანი სახლები მოჩანდა.

— გზა, მართალია, შორეა, მაგრამ აქ უქმად ჯდომას და ლოდინს ისევ ტაშისკარითა და ალით წასვლა ჯობს. აწყურიდან წინასწარ კაცებს გავგზავნიდით და გავლის ნებართვას გამოვთხოვდით. არა მგონია, ღვთივ კურთხეულმა მეფე ერეკლემ გზა არ მოგვცეს!..

— ნეტავი ეგ ადრევე გვეფიქრა, ბატონო პაპუნა, და დრო ტყუილად არ დაგვეკარგა. მაშ, რა არის კიდევ საჭირო?

— ბრძანე და ჩვენ მზად გახლავართ!

— აქაურობა ისე დავტოვოთ, არ შევიტყოთ, რა უნდათ დადიანის კაცებს, აქ რის სათხოვნა ღმოსულან?

— სათხოვარი და სახვეწარი ყველას ერთი გვაქვს, დედოფალო, თუმცა, თქვენი ბრძანებისა არ იყოს, ურიგო როდი იქნებოდა, ზოგი რამე მაგათი პირიდან გაგვეგო.

— აღარ მეგონა, თუ ჩემი ძმა ყელს გამომჭრიდა და ფაშასთან საჩუმათო საქმეს გაიჩენდა. რაღა პირით წარვდგე მე უბედური ბატონი მეფის წინაშე, რა ვუთხრა, დედმამიშვილი რით გავამართლო, ხომ მიპასუხებს, მაგას მე ორი და სამი წლის წინათ ვწინასწარმეტყველებდიო!

— მოთმინებით აღვიჭურვოთ, დედოფალო, სასოწარკვეთილებას ნუ მიეცემით, ღმერთი მოწყალეა, უნუგეშოდ არ მიგვატოვებს, საშველი გამოჩნდება!

— ღვთის მადლით ის მაინც შეგვეტყო, ვის და ვის დააკისრა ჩემმა ძმამ ელჩობა.

— ერთი და ერთი რომ კაცო ჩიჩუა იქნება, ეს კი ნამდვილად ვიცი, თუმცა ძალიან ფრთხილობენ და ჯერჯერობით ვერავის ვერაფერი დავაცდენინეთ. ფაშა, თავადაც ხედავთ, ერთობ წინდახედულად იქცევა. ეს ყველამ შეამჩნია. დადიანის ელჩები, რავარც ჩვენ, რაბა-

თში კი არ მოიწვია, ბინა ციხის კედლებს გარეთ, გალმა ქალაქში დაუდო. ამითი, თქვენ საწყენად ნუ დაგრჩებათ და, ოდიშარებს პირდაპირ აგრძნობინა, ჩემთვის იმერეთის გვირგვინოსანი მეფე სხვა არის და სამეგრელოს მთავარი დადიანი კიდევ სხვაო.

— ეგ სანამ აქ ვართ, ბატონო პაპუნა, ჩვენ წავალთ და მაგათაც პატივით მოეპყრობიან და ფუჭი დაპირებებით აავსებენ. მართლა ხომ არ უნდა დავიჯეროთ, რომ დადიანს ჩვენი თავი ურჩევნიათ. მთავარია, ორივე ფეხზე ვიდგეთ და ერთმანეთს გასაქანი არ მივცეთ. ფაშასათვის, ღმერთმანი, სულ ერთია, რომელი წინ ვიდგებით და რომელი უკან!

დრო აღარ ითმენდა. იმერეთის დედოფლისა და იმერელი დიდებულების თვალის შესავლებად მომდევნო დილას მთელი ახალციხე ადრიდანვე გამოეფინა. ვაჭრებმა ფარდულები დაკეტეს, დარაბები მიხურეს ხიდს გაღმა და გაღმოღმა გამწკრივებულმა სახელოსნოებმაც. ჭერჭრული საქონლით ავსებული ქულბაქები დაცარიელდა. ხუთასი რჩეული იანიჩრისაგან შემდგარი მცველი რაზმი უკვე ხიდისყურეში იდგა და ნესტოებდაბერილ ცხენებს თავს ძლივს უკავებდა. დედოფალი და მისი მხლებლები იანიჩართა ამ რაზმს აწყურის ციხემდე უნდა გაეცილებინა და, თუ სტუმროება მოითხოვდა, თვით [illegible]დეც კი გაჰყოლოდა. დილის ათ საათზე თეთრ ცხენზე ამხედრებული დედოფალი მარიამი ამალითურთ რაბათის ციხის კარიბჭეში გამობრძანდა. ის ცხენზე თავისუფლად იჯდა, ვერცხლით მოჭედილი სადავე მარცხენა ხელში ეჭირა, სქელი პირბადე ჰქონდა ჩამოფარებული და სახე ხეირიანად ვერავინ დაინახა. დედოფალს მხარმარჯვნივ მოსდევდა სულთნის ადმირალის თვალისმომჭრელ მუნდირში გამოწყობილი და ფარშევანგის ფრთებით მორთული მაღალი ქუდით თავდამშვენებული კაპუდან-ფაშა იბრაჰიმი. მისი აქ, დედოფლის ამალაში, ყოფნა იმერეთის მეფისადმი ბრწყინვალე პორტის დიდი პატივისცემის გამოხატვის ნიშნად უნდა ყოფილიყო გაგებული. თხუთმეტიოდე ნაბიჯის მოშორებით ცხენებს მოაგელვებდნენ თმაშევერცხლილი იმერელი დიდებულები, ხოლო ამ უკანასკნელთ კი კვალში ჩასდგომოდა კონკებში გახვეული ქალებისა და ბავშვების ფეხშიშველი ბრბო. ესენი ის ტყვეები იყვნენ, ნატრია საჭურისის ძველ კეთილისმყოფელ სომხის ტერტერას დახმარებით დედოფალმა მარიამმა თავის კაცებს ნაღდ ფულად რომ შეაძენინა და ბეგლარბეგის მოწყალე ნებართვით ახლა შინ მიჰყავდა.

## თავი ოცდამეექვსე

ბარაქიანი თოვლის მოსვლამ და გზების ნაადრევმა შეკვრამ იმერეთის სამეფოსაკენ მომავალი კიდევ ერთი ხალხმრავალი ასაბია შეაფერხა. ეს იყო ეგერთა სამი ასეული, რომელიც სატახტო ქალაქ სანკტ-პეტერბურგიდან მომავალ ქუთათელ ეპისკოპოს მაქსიმეს და თავად დავით კვინიხიძეს ასტრახანის სამხედრო გენერალ-გუბერნატორმა ნერონოვმა გამოაყოლა და თანაც, როგორც უცხო ხელმწიფის ქვეშევრდომებს, სთხოვა, ყიზლარის სანაპირო ციხე-სიმაგრეში მისვლისთანავე ეგერები უკან დაებრუნებინათ, ხოლო თავად იმერეთში მიმავალ რუსის მხედრობას შეერთებოდნენ.

სამწუხაროდ, ამ ჯარს, ურჯულო ოსმალების წინააღმდეგ იმერთა მეფის

მხარდამხარ ბრძოლა რომ დაეკისრა. ელჩებმა პეტერბურგიდან ვერ ჩამოუსწრეს და, იქნებ დავეწიოთო, როგორც კი გენერალ-გუბერნატორმა ქალაქიდან გასვლის ნება და გზაში მთიელი ყაჩაღების შესაძლო თავდასხმის მოსაგერიებლად საკმაოდ მრავალრიცხოვანი მცველი რაზმიც უბოძათ, წუთი რაა. წუთიც აღარ დაუყოვნებიათ, მაშინვე ქურქებში გაეხვივნენ და საგანგებოდ მათთვის ჩამოყენებულ მარხილებში მოთავსდნენ.

იმერთა მეფის ესოდენ გაჭიანურებული ელჩობა ამჯერად დიდი და თითქმის წარმოუდგენელი წარმატებით დაგვირგვინდა: ხელმწიფე-იმპერატორმა ეკატერინემ, თავისი უავგუსტოესი რესკრიპტით, ოტომანთა პორტა დედა-რუსეთის, ამ მეორე ქრისტესმოსავი ბიზანტიის, შეურიგებელ მტრად გამოაცხადა, სულთნის კარიდან თავისი ელჩები დაიბარა, ოსმალეთთან ყოველგვარი კავშირი გაწყვიტა და სალმრთო ომის დასაწყებად მის საზღვრებზე ჯარების თავმოყრა ბრძანა.

რუსეთის პირველი და გადაუდებელი ამოცანა ყირიმის ნახევარკუნძულის გარემოცვა, ყველა ბოროტების სათავე სახანოს დამხობა და მისი ერთხელ და სამუდამოდ რუსეთისათვის შემოერთება იყო. იმპერატორ ეკატერინეს ძლევამოსილი მხედრობა ყირიმს ორი მხრიდან — ზღვიდან და ხმელეთიდან დაესხმოდა და როგორც კი მისი მიწა-წყალი უკანასკნელი აგარიანისაგან გაიწმინდებოდა, არმიაცა და საზღვაო ფლოტიც პირს უკრაინის ველებისაკენ იბრუნებდა...

ეკატერინეს წინ დიდი მიზნები ედო. ეს ომი, რომელშიაც იმპერიის საგარეო საქმეთა კოლეგია და სამხედრო უწყება ოსმალთა წინააღმდეგ სამხრეთ ევროპის ყველა დიდი და მცირე ქვეყნის ჩარევას ვარაუდობდნენ, ბოსფორის ნაპირებზე, წმინდა ქალაქ კონსტანტინოპოლის აღებით და ურჯულოების მიერ წარყვნილი აია-სოფიის გუმბათზე, თურქული ნახევარმთვარის ნაცვლად ქრისტეს ცხოველმყოფელი ჯვრის აღმართვით უნდა დასრულებულიყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საგარეო საქმეთა ხელმძღვანელი გრაფი ნიკიტა პანინი სოლომონისადმი გამოგზავნილ თავის ცირკულარში, რომელიც ელჩებთან ერთად სანკტ-პეტერბურგიდან წამოსულ იმპერატორის კარის მრჩეველ თავად მოურავოვს მოჰქონდა, დათქმულ დროზე თურქეთის წინააღმდეგ შეიარაღებულ გამოსვლას მოითხოვდა, იმერთა მეფეს ომში ჯარითა და ფულით შეწევნას ჰპირდებოდა და იქვე უავგუსტოესი ხელმწიფე-იმპერატორის სახელით აღუთქვამდა, რომ იმერეთის ყველა მოთხოვნა გათვალისწინებული იქნებოდა საზავო ხელშეკრულებაში, რუსეთი და ოსმალეთი ომის დამთავრების შემდეგ რომ დასდებდნენ.

დადგენილი თანხის გაცემა ასტრახანის გენერალ-გუბერნატორს დაავალეს. მასვე ევალებოდა იმერეთში გასასტუმრებელი ჯარისა და არტილერიის მომზადებაც, ვიდრე ქვეყნის შიგა გუბერნიებიდან ახალი მხედრობა არ მოვიდოდა და საომარი ოპერაციების გასამართავად საქართველო-თურქეთის საზღვარზე არ გაიგზავნებოდა. უზენაესი ბრძანების თანახმად საექსპედიციო კორპუსის სარდლად უკვე დამტკიცებული იყო რუსეთ-პრუსიის შვიდწლიანი ომის მონაწილე, რუსეთის არმიის მაშინდელი მეწინავე რაზმის სარდალი, ბერლინის იერიშის გმირი გენერალ-მაიორი ფონ-ტოტლებენი.

დედაქალაქში ვინ არ უწყოდა, რომ პრუსიელებისაგან ბერლინის დაბრუნების შემდეგ ტოტლებენს უსიამოვნება შეხვდა. ჯერ იყო და, საკუთარმა ხელქვეითმა ოფიცრებმა შეიპყრეს და ღირსება აჰყარეს, შემდეგ კი თვით ხელმწიფე-იმპერატორმა ელისაბედმა სატახტო ქალაქში დაიბარა და, როგორც მოღალატე, მთავარსარდლობიდან ადრევე გადაყენებულ ფელდმარშალ აპრაქსინისა და იმპერატორ ფრიდრიხის კაცი, სამართალში მისცა. ეშაფოტზე სამარცხ-

ვინო სიკვდილი არც ასცდებოდა. ღმერთს რომ არ ენება, იმპერატორ ელისაბედის სული უფრო ადრე არ მიელო და რუსეთის დაცარიელებულ ტახტზე იმავე ფრიდრიხის დიდი თაყვანისმცემელი უფლისწული პეტრე, აწ უკვე იმპერატორი პეტრე მესამე არ ასულიყო. ხელმწიფე-იმპერატორ ეკატერინეს, ვინც ტახტზე თავისი უგუნური თანამეცხედრე შესცვალა და ქვეყნის ყველა სადავე მტკიცე ხელში დაიჭირა, გენერალ ტოტლებენის მიმართ ძველი სარჩელი აღარ განუახლებია, მაგრამ ხელმწიფურ წყალობისგანაც თავს იკავებდა.

ისტორიის სანაგვეზე გადაგდებული მივიწყებული გენერალი ისევ კანცლერმა გრიგოლ პოტიომკინმა გაიხსენა და ყველასგან ათვალწუნებული ეს უსიამოვნო პიროვნება რომ როგორმე თავიდან მოეშორებინა და, ამავე დროს, ქველმოქმედის სახელიც დაეგდო, იმპერატორ ეკატერინეს კავკასიაში გასაგზავნი საექსპედიციო კორპუსის სათავეში მისი ჩაყენება შესთავაზა.

პოტიომკინის ამ წინადადებას, ისევე როგორც ყოველ მის მოსაზრებას, იმპერატორის კარზე მოწონებით შეხვდნენ და საქმის გაჩარხვასაც მეტი არც არაფერი სჭირდებოდა.

მეფის წყალობას გადაჩვეული ტოტლებენი, უოჯახოდ და უთვისტომოდ დაბერებული მარტოხელა, ურჯუკი და უსწორმასწორო ხასიათის კაცი, ახალმა დანიშვნამ ისე გაახარა, აღარც საექსპედიციო კორპუსის შედგენას დაელოდა, უროძლისოდაც შისი ფასი კაპიკი იყო, აღარც სათანადო დოკუმენტების გაფორმებას, იმერთა მეფე სოლომონის ელჩები და საქართველოში იმპერატორის საგანგებო დავალებით მომავალი თავადი მოურავოვიც პეტერბურგში ჩამოიტოვა, დაჰკრა ფეხი და მეორე დღესვე მოსკოვს გაემგზავრა. რაკი საპყრობილედ ქცეული პეტერბურგიდან მშვიდობიანად გასვლის საშუალება ეძლეოდა, ყველასაგან მოძულებული და განაპირებული გენერალი, თავისი ანგარიშით, ყიზლარის სანაპირო ციხე-სიმაგრეში, ძველ თანაპოლკელ ფონ-ფრაუენდორფთან მოიცდიდა და შორეულ აზიაში, როგორც მას წარმოედგინა, საექსპედიციო კორპუსსაც აქედან გაუძღვებოდა.

არარსებული საექსპედიციო კორპუსის სარდალს ასტრახანში გუნება შეეცვალა: ელჩებსა და იმპერატორის საგანგებო განზრახულობით მომავალ თავად მოურავოვს არც აქ დაუცადა, გენერალ-გუბერნატორ ნერონოვს ხუთასი კაცი და არტილერია გამოსთხოვა და გადაწყვიტა, დაპირებული კორპუსის მოსვლამდე, ამ მცირე ჯარით მეჯოგე აზიელებისათვის რუსული იარაღის ძალა ეჩვენებინა.

ნერონოვი ორწყალშუა აღმოჩნდა. არც ის უნდოდა, სატახტო ქალაქიდან ჩამოსული გენერლისათვის ეწყენინებინა და მისი სახით ახალი მტერი შეეძინა და, სანამ ზემდგომ პირთაგან წერილობითი განკარგულება არ მოუვიდოდა, არც საგარნიზონო სამსახურში დაკავებული ჯარის მოხსნა და სადღაც გაგზავნა შეეძლო.

ბოლოს, ყრუ მუქარასთან შერწყმულმა ხვეწნამ მაინც თავისი გაიტანა და შეთანხმდნენ. ასტრახანიდან ყიზლარს მიმავალი ტოტლებენი ას ოცი დრაგუნით, ოცდაათი ქვეითი ჯარისკაცით და ორად ორი მარტორქით — მცირეყალიბიანი საველე ზარბაზნით უნდა დაკმაყოფილებულიყო. ყიზლარში გენერალს დაეწეოდა კიდევ სამასი კაცი თავად რატიევის სარდლობით და თუ კორპუსს აქაც არ დაელოდებოდა, მას შეეძლო, ამ ჯარით ციხე-სიმაგრე დაეტოვებინა და სოლომონ მეფესთან შესაერთებლად საქართველოსაკენ წასულიყო.

იმერთა მეფის ელჩები და იმპერატორის კარის მრჩეველი თავადი მოურავოვი სახტად დარჩნენ, როდესაც უცნაურად აცუნდრუკებულ რუსის გენერალს ვერც ყიზლარში მოუსწრეს. ტოტლებენს ციხის კომენდანტ ფონ-

ფრაუენდორფის ძველი ნაცნობობით ესარგებლა, კიდევ ორი საველე ზარბაზანი მარტორქა ეშოვნა, ჯარი ორასიოდე მოხალისე კაზაკით შეევსო და სწორედ წინადღეს აყრილიყო.

— ეს კაცი, ვატყობ მე, კარგს არას შეგვამთხვევს, თუ არა აგერ ნახე! — თქვა დაღვრემილმა დავით კვინიხიძემ. — უჯაროდ და უზარბაზნებოდ იქ ჩვენც ქე ვართ, ბატონო, მარა ურჯულო ოსმალოს კი ვერაფერი დავაკლეთ!

— ალაგირში მაინც მოიცდის, — შეესიტყვა ძას პეტერბურგში გადატახილი ავადმყოფობით საკმაოდ შეფერთხილი და შორეულ მგზავრობით გალახული მაქსიმე ქუთათელი. — არა მგონია, სულ ასე შეუჩერებლად იაროს!

ჯერ მცირე ყაბარდოში და შემდეგ ალაგირში ტოტლებენი მართლაც შეჩერებულიყო, ზედიზედ ორი ღამეც გაეთია, მაგრამ აქ მამისონის უღელტეხილზე ზვავების ჩამოწოლის ამბავი შეეტყო და, თავი რომ საფრთხეში არ ჩაეგდო, მაშინვე გეზი ეცვალა, ჩრდილოალმოსავლეთისაკენ, თერგისაკენ გაეხვია.

ელჩები თვალნათლივ ხედავდნენ და კიდევაც რწმუნდებოდნენ, რომ შექმნილ ვითარებაში, მთებში თოვლის ჩამოყრას რომ მოჰყვა, სარდალს სხვა საშველი აღარა ჰქონდა, მაგრამ თერგისა და დარიალის გზით მას მხოლოდ ქართლში, მეფე ერეკლეს საბრძანებელში, შეეძლო შესვლა, სოლომონი და მისი სამეფო კი შორს, ქედს გადაღმა რჩებოდა.

გადაწყდა, მათაც ეცვალათ გეზი და დაწინაურებულ მხედრობას იმავე თერგის გზით დასდევნებოდნენ. როგორც ჩანდა, ამპარტავანი, სხვისი აზრის არად ჩამგდები და საკუთარ ძალებში ზედმეტად დარწმუნებული ტოტლებენი თავსაც ზედმეტ უფლებას აძლევდა და ისევე, როგორც ოდესღაც პრუსიაში, აქაც ჯვითნებურ მოქმედებას აპირებდა. არადა, სანამ რუსხელმწიფის ჯარი საქართველო-თურქეთის საზღვარზე საომრად შემოვიდოდა, რათა აქედან აღმოსავლეთ ანატოლიისათვის შეეტია, ჯერ ბევრი რამ იყო დასადგენი და გამოსარკვევი. გარდა იმისა, რომ ქართველ მეფე-მთავართა განწყობილება და ყველა შესაძლებლობა უნდა გაეზომ-აეწონათ, აქ მოსასვლელ გზებსა და ადგილმდებარეობასაც საფუძვლიანი დაზვერვა და შესწავლა სჭირდებოდა. ამ ძნელი, ერთობ საპასუხისმგებლო სამუშაოს შესასრულებლად პეტერბურგიდან ტახტის მრჩეველი თავადი მოურავოვი იყო მოვლინებული და სამხედრო უწყებაც მხოლოდ მისი რელაციის მიღების შემდეგ შესძლებდა საბოლოო გადაწყვეტილების ჩამოყალიბებას და კავკასიის ხაზზე ჯარებისა და არტილერიის გამოგზავნას. ყოველგვარი თვითნებობა საექსპედიციო კორპუსის სარდლად დანიშნული ტოტლებენის მხრივ საქმეს მხოლოდ გააფუჭებდა და ის ისევ თავიდან დასაწყები გახდებოდა.

იმერთა ბატონ სოლომონის ელჩებს, თავად მოურავოვს და მათს თანმხლებ რაზმს თავი აღარ დაუზოგიათ, რომ ტოტლებენს საქართველოს ფარგლებში შესვლამდე როგორმე დასწეოდნენ და მისი ახირებული თვითნებობა ძირშივე აღეკვეთათ. გზა ძალზე ვიწრო და სავალად სახიფათო იყო. დილიდან საღამომდე ოცდათხუთმეტ-ორმოც ვერსზე მეტის გავლას ვერ ახერხებდნენ. ღამით წაღლხსაც და ცხენებსაც დასვენება სჭირდებოდათ. ესეც რომ არა, თოვასა და ქარ-ბუქში გზის გაგნება დღისითაც ჭირდა, სამხრეთული ბნელი ღამის ჩამოწოლის შემდეგ კი პირღია უფსკრულების თავზე მხოლოდ უსულოსა და უხორცოს თუ შეეძლო გავლა. ალაგალაგ ხვდებოდათ ტოტლებენის მიერ აღალისა და ოთხი საველე ზარბაზნისაგან შემდგარი არტილერიის გადასაყვანად სახელდახელოდ გადებული ხიდები. ბევრი ხიდი უკვე ჩანგრეული და გაუქმებული იყო, რადგან უგზოობა და მთის ჩქარ მდინარეებზე ხიდების უქო-

ნლობა ადგილობრივ ოსებს მეზობელი ტომების მოულოდნელი თავდასხმებისაგან იცავდა.

16 ნოემბერს, შუადღისას, ელჩები ვიწრო კლდეკარიდან გამოვიდნენ და მათს თვალწინ ადგილ-ადგილ თოვლით დაფარული და მზის თვალისმომჭრელი სხივებით განათებული გრძელი მინდორი გადაიშალა. მიწას მქრქალი ოხშივარი ასდიოდა. მინდვრის შუაგულში უზარმაზარ მწვანე ლოდებზე გადმოკიდებული ბროლივით ანკარა თერგი მოედინებოდა. მარცხნივ, კარგა შემაღლებულ ადგილზე, ერთიმეორეზე მიჯრილი, ფიქალი ქვით მკვიდრად ნაშენი სახლები მოჩანდა, ხოლო ყოველივე ამას ჩრდილოეთიდან თავს დაჰყურებდა თხემით ცაში აჭრილი თეთრი მყინვარი.

რაზმის წინ მიმავალმა ეპისკოპოსმა მაქსიმე ქუთათელმა ცხენი შეაყენა, თითქოსდა შვება იგრძნოო, ღრმად ამოისუნთქა, მხლებელი მოიხმო, სადავე დააჭერინა, მარცხენა უზანგს მთელი სიმძიმით დაეყრდნო და ძირს ჩამოვიდა.

— სადა ვართ, თქვენო მეუფებავ? — რუსულად ჰკითხა თეთრ ნაბადში გახვეულმა და ამავე ფერის ჩაბალახით თავწაკრულმა მოურავოვმა, რომელსაც თავისი კავკასიური მორთულობა ალტაცებას ჰგვრიდა, და თავადაც მღვდელმთავრის მაგალითს მიჰბაძა, ცხენიდან ჩამოხდა.

— სტეფანწმინდაში მივედით, ბატონო, — მიუგო ქუთათელმა. — ეს გერგეტის მყინვარი გახლავს, სხვანაირად მყინვარწვერსაც ვეძახით, იქ კი, კალთაზე — წმიდა სამების მონასტერი, გწყალობდეთ მისი მადლი! — და პირჯვარი გადაიწერა.

ასევე მოიქცა პეტერბურგის ბრწყინვალე სალონების ფუფუნებას ჩვეული თავადი მოურავოვიც, ოღონდ ყოველ მის მოძრაობას, ეპისკოპოსის მიმოხვრისაგან განსხვავებით, დღეს რაღაც განსაკუთრებული გულმოდგინების ბეჭედი აჯდა.

— აქ ვინმე ცხოვრობს?

— მოხევეები, მთიელი ქართველები. ნუთუ ვერ ხედავთ, ბუხრებიდან კვამლი ამოდის!

— ღმერთო, რა საოცარი სიჩუმეა, ცაც რა უცნაურად წყნარი და იდუმალია, ვგონებ, უფრო მაღალიც! აქ დიდი სიამოვნებით ვიცხოვრებდი!..

„აკი ცხოვრობდნენ კიდევაც თქვენი ბრწყინვალების წინაპრები!“ — უნდოდა ეთქვა მაქსიმე ქუთათელს, მაგრამ თავი დროზე შეიკავა. მას დიდი ხანია შემჩნეული ჰქონდა, რომ უავგუსტოესი ხელმწიფის სამსახურში დაწინაურებულ თავადს მაინცდამაინც არ სიამოვნებდა თავისი არარუსული წარმოშობის გახსენება.

— აქედან შორსაა საქართველო?

— ჩვენ უკვე საქართველოში ვიმყოფებით. ეს, სტეფანწმინდა, ქართლ-კახეთის სამეფოს პირველი სოფელია. აქ ქართლის მენაპირე თავადი ყაზბეგი ზის და ჩრდილოეთის მხრიდან დარიალის კარის დაცვა ევალება. თუ ყაზბეგის ნებართვა არ იქნა, არც იქით და არც აქეთ არავის უშვებენ.

— მაშ, მოვსულვართ და ეგ არის! ნუთუ ის წყეული ქოფაკი აქაც არ შეჩერდა და საქმე ისევ სადავიდარაბოდ გაგვიხადა?

— მაგას ახლავე შევიტყობთ, თქვენო ბრწყინვალებავ. აქედან, როგორც მოგახსენე, ქართველთა მიწები იწყება. არა მგონია, ტოტლებენმა უნებართვოდ შესვლა გაბედოს და თავს მეფე ერეკლეს რისხვა დაიტეხოს. ამას არც პეტერბურგში მოუწონებენ!..

ეპისკოპოსის ვარაუდი სწორი გამოდგა. გენერალ ტოტლებენს ქართლის მენაპირე თავადი ყაზბეგი მოენახულებინა, თარჯიმნის პირით განემარტა, სად და რისთვის მიდიოდა და სტეფანწმინდა დაუბრკოლებლივ გაევლო, მაგრამ იგივე ყაზბეგის რჩევისა და დაჟინების თანახმად აქედან ათიოდე ვერსის მოშორებით, ალოს მინდორზე ბანაკი დაეცა და თავადი რატიევი, დაპირებული სამასი კაცით ყიზლარში რომ დაეწია,

ტფილისს გაეგზავნა. ამ უკანასკნელს, როგორც სტეფანწმინდაში ამბობდნენ, მეფე ერეკლესაგან ქართლის გზით იმერეთში გადასვლისა და სოფლებში სურსათ-სანოვაგის შესყიდვის ნებართვა უნდა მოეტანა.

იმერეთის მეფის ელჩები და ხელმწიფის კარის მრჩეველი თავადი მოურავოვი საკუთარ კარავში განმარტოებულმა, მოუთმენლობით შეპყრობილმა გენერალმა ცივად მიიღო და ორიოდე სიტყვით გაკვირვებაც კი გამოთქვა მათი აქ ყოფნის გამო.

— თვეზე მეტია, შეუსვენებლივ მოგდევთ, თქვენო მაღალაღმატებულებავ, — მიმართა თავადმა მოურავოვმა. — ვერ იქნა და ვერ დაგეწიეთ. გაუვალ მთებში ასე სწრაფ გადაადგილებას თვით ამ ადგილებში დაბადებული და გაზრდილი სახელგანთქმული ფელდმარშალიც კი ინატრებდა!

ტოტლებენმა ვერ შენიშნა დახვეწილი პეტერბურგელი კარისკაცის გამკილავი კილო, ხოლო შექებამ სიამოვნება მოჰგვარა და სამხედრო ბრძანებებს შეჩვეული თავისებური რიხიანი ხმით, მის პირმრგვალ ქინქლილა სახეს. სამართებლით სუფთად გადაპარსულ მბზინვარე თავს, მოელვარე ნაცრისფერ თვალებს და თითქოს კლდის ნატეხისაგან გამოქანდაკებულ ჩაფსკვნილ მხარბეჭს ასე რომ შეეფერებოდა, უპასუხა:

— ჩვენ ბევრად უფრო ძნელ გზებზეც გვივლია, თავადო, აბა რა ნახეთ აქ გასაკვირი!

ტოტლებენი ტანად მაღალი არ იყო, მაგრამ მოსული ვაჟკაცის შთაბეჭდილებას სტოვებდა. მკვრივი ხაკვთები, ჩაკირული მხარ-ბეჭი და მსხვილი ღონიერი კისერი, რომელსაც ძლივს ატრიალებდა, უძლეველი გოლიათისა ჰქონდა. ამისთანაზე იტყოდნენ სწორედ, კისერზე სასაწნახლე ხეს გადაიმტვრევსო. ყურადღებად გადაქცეული მაქსიმე ქუთათელი და თავადი დავით კვინიხიძე პირველად ხედავდნენ კაცს, ვის მხედართმთავრულ ნიჭზე, გამჭრიახობასა და კეთილსინდისიერებაზე ამიერიდან დამოკიდებული იქნებოდა მათი მრავალტანჯული სამშობლოს ბედ-იღბალი და რუსეთის ხელმწიფის ორი გავლენიანი ქვეშევრდომის სიტყვიერ კენწლაობას თვალს შორიდან ადევნებდნენ.

მსუბუქ დაცინვას, სიტყვასა და სიტყვას შორის რომ აპარებდა, მოურავოვმა მალე თავი დაანება, პირდაპირ საქმეზე გადავიდა:

— გაკვირვება უნდა გამოვთქვათ თქვენი ასეთი აუხსნელი სულწასულობის გამო, გენერალო. საით მიგეჩქარებათ? ნუთუ მართალია, რომ ამ ოთხიოდე ასეულით და ოთხი დანჯღრეული მარტორქით, ახლა რომ ვიხილეთ, ოსმალეთის იმპერიასთან შებმას აპირებთ?

არავინ მოელოდა, თუ ეს სპილოსავით მძიმე, ერთი შეხედვით ზედმეტად დინჯი და აუჩქარებელი კაცი, გენერალი ტოტლებენი, ასე უეცრად აპილპილდებოდა.

— რამდენადაც ვატყობ, თქვენ ჩემზე ბევრად უმცროსი ბრძანდებით, თავადო, — უთხრა მან მოურავოვს იმ კაცის ტონით, ვინც სიტყვის შებრუნებას ჯერ არ შესჩვევია და არც აპირებს ოდესმე შეეჩვიოს. — როგორ ბედავთ ჩემთან ასე ლაპარაკს? ვინ გგონივართ? ხომ არ დაგავიწყდათ, რომ მე აქ, ამ მიწაზე, — გენერალმა მიწას ფეხი დაჰკრა. — რუსეთის ხელმწიფე-იმპერატორის სამხედრო წარმომადგენელი ვარ და, თუ საჭიროდ დავინახავ, შემიძლია სხვა ზომებიც მივიღო?

ამაყ და თავმომწონე მოურავოვს, ხელმწიფის კარისაგან ტოტლებენზე ნაკლებ საპატიო და საპასუხისმგებლო მოვალეობა რომ არ ჰქონდა დაკისრებული, სისხლი სახეზე მოაწვა, შეურაცხყოფისაგან ტუჩები გაულურჯდა.

— მე არ ვიცი და არცა მსურს გავიგო, რა ზომების მიღებას აპირებთ, გენერალო, მაგრამ მსურს შეგახსენოთ, რომ აქ ასაკობრივი უმცროს-უფროსობა არაფერ შუაშია, სხვა მხრივ კი მე

მაქვს უფლებამოსილება, თქვენს მაღალ-ალმატებულებას წესრიგისაკენ მოვუწოდო!

ეს უკვე ჩხუბში გამოწვევას უდრიდა, უკეთეს შემთხვევაში, ამის შემდეგ საქმე დუელით თუ დამთავრდებოდა.

— Вон!.. — ჩახლეჩილი ხმით დაიყვირა უცებ გაცეცხლებულმა ტოტლებენმა და ხელით კარზე უჩვენა. — აქედან დამეკარგეთ!.. ახლავე ვუბრძანებ, დაგაპატიმრონ! ბადრაგით ყიზლარში გაგაგზავნი! გაგაციმბირებ! ციხეში ამოგალპობ! რაღას უდგახართ?!

თვალებმოჭუტულმა მოურავომა ცალ მხარზე მოგდებული ნაბადი მოიხურა და თავშეკავებული დაცინვით მიმართა:

— მე წავალ, გაგეცლებით, მაგრამ ვაითუ თქვენთვის საბედისწერო გამოდგეს, რაც ახლა ჩაიდინეთ. ვხედავ, ძალაუფლება თქვენს ხელშია, თქვენ აქ ჯარი გახლავთ. ნახვამდის!..

☐გაგრძელება იქნება☐

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოთარ ჭელიძე

# აია-კოლხიდელი ზღვაოსანი

## პოემა

### IX

მთის კალთაზე საძოვარი
ბურუსს აღარ იფარებს,
შორს გასცქერის ჯადოქარი
ჯოგებს, რემებს, ცხვრის ფარებს.
მოჰგავს დიდი დარდით სნეულს
მეფის ქალი გრძნეული,
სასახლეში მათთან წვეულ
სტუმარს გამოქცეული,
არ შეჰხარის მამისეულ
მხარეს გაოცებული.
გაუშლიათ იალაღზე
მწყემს გოგონებს სამხარი,
მათგან ერთი ძირს წევს განზე,
ცალკე, როგორც საპყარი;
თავქვეშ უდევს ისლის კონა
ნაცვლად ლბილი ბალიშის;
მოეწონა ის გოგონა
აიეტის ქალიშვილს.
მოგვმა იგი იალაღზე
ადრე გამოარჩია,
ვინც მედეას სილამაზე
ლამის წამით დაჩრდილა.
მაგრამ ის სხვა ძალის იყო
მწყემს გოგოსთან დახრილი —
ლამაზ მხრებზე მაჯისსისხო
შავ ნაწნავებდაყრილი.
ვილაც ამბობს წუხილით:
— თავქვეშ ეგრე ეგო კონა,
როცა ჭექა-ქუხილით
დამუნჯდაო ეგ გოგონა.
ჩრდილი მოდგა და წამოხტა
ის ცამეტი წლის ბავშვი;
საოცარი რაღაც მოხდა
დღისით, ხალხის წინაშე.
ანიშნებდა მას მუნჯი:
— ვინ ხარ?... ცხენს აქ აჭენებო.
ჯადოსანმა თქვა გულში:
„ვინც ვარ, ახლავ გაჩვენებო“.
ამ უსაზღვრო იალაღის
მკვიდრთა — მწყემსთა შემომკრებს
ჰვრეტდა ბუბა სიამაყით,
როგორც ღვთიურ შემოქმედს.
მთას წესი და თადარიგი
მოსდგამს რა დიდებული!
მუნჯთა ლაშქარს გავდა ირგვლივ
ხალხი გარინდებული.
თვალი თვალში გაუყარა
ჯადოქარმა და მაშინ,
ძილის სითბომ დაუარა
გაბრუებულ ბალღს ტანში.
— დაიძინე!.. ბრძანა ქალმა
და ხელები გაშალა.
მუნჯი დაწვა, დაამთქნარა,
დაიძინა მაშვრალმა.

---

* გაგრძელება. იხ. „მნათობი“, № 5.

ყველა ერთხმად აჩურჩულდა:
— ო, ღმერთია! ღმერთია!...
— გაჩუმდითო! — ხალხს მუნჯურად
მიანიშნებს მედეა,
ჯადოქარი ჩამოღლილი
სიტყვებს ჩუმად დამარცვლავს:
— სა-თი-თა-ოდ
ჩა-მო-გი-ვლით,
თქვენც მო-გი-ვლით,
და-მა-ცათ.
მზეს გაჰხედა უზენაესს
და გრძნეულმა იკითხა:
— რომელს მოგდევთ სუყველაზე
მჭექარე და დიდი ხმა?
გამოჯარჯდა ერთი ჯილა
მწყემსი უზარმაზარი,
რომლის ხმაზეც მთების მიღმა
მთებს გაჰქონდა ზანზარი.
— მოდი! — ბრძანებს ჯადოქარი, —
გოლიათო, აბა, ჰე,
შეარყიე მთა და ბარი,
ბოლოს სახელი ჩასძახე.
მაგრამ, არა, ჯერ დაიცა,
დრო დადგება საშენო,
ჯერ მზეს უმზერს დედამიწა,
ჩრდილი არ დგას გარშემო.
ხალხი შელალადებს მისანს:
— ჰოი, დიდო მაშველო,
გინდა გაყრა დღეღამისა
სასწაულად გვაჩვენო!...
უცებ ყველა სმენად იქცა,
ჩრდილი მოდგა გარშემო.
ხალხიც მოდგა გუნებაზე,
შორს გამოკრთა აია.
და მჭახე ხმით ბუმბერაზი
სამჯერ დასჭექს „ბა--ა-ი-ი-ა-ა!...
თვალს გაახელს, გაიკვირვებს,
მუნჯი ფიცხლად ახტება,
შიშნაჭამი დაიკივლებს:
— ვინ მეძახის?! რა ხდება?!
ხალხი — ხახადაბჩენილი
ჯერ არ იძვრის, არ ბორგავს
და მოვლენილს, გამჩენივით,
აშტერდება ჯადოქარს.
მეფის ქალის თვალებიდან
ელვის გამოკვესებით,
მწუხრში მზერა დაიბინდა
მოთენთილი მწყემსების.

მზემ დღეის გზა დაამთავრა,
მაშვრალთ ოფლი შეაშრათ,
უცებ, ყველამ დაამთქნარა,
ყველა დაწვა ერთბაშად.
წინ დაუდგათ თავდაყირა
მთები და იალალი,
მეჯოგეთა, მწყემსთა ხვრინვამ
აატალღა ბალახი.
რაღაც არაბუნებრივი
გახლდათ ამ დროს ბუნება,
იყო სასწაულებრივი
მუნჯის აბულბულება.
და ბაიას ლურჯ თვალებში
იმ ბედნიერ საღამოს
ელვარებდა სულ სხვა ეშხით
უსასრულო სამყაროც.
მეფის ქალი უფალს გავდა —
შარავანდით მაშუქარს, —
ნამუნჯარს და ბუბას გარდა
ყველას ძილი აჩუქა.
მოცელილი იწვა ხალხი,
სიზმრებს კრეფდნენ ზეციდან,
გაგებოდათ ძირს ბალახი,
ნეტარებით ეძინათ.
მათთვის ძალზე ბუნებრივი
იყო ამ დროს ბუნება,
მიატოვეს ბუდეები
ლამურათა გუნდებმა;
საწვიმარი ღრუბლებივით
სადღაც ზღვა გუგუნებდა.
იალალზე იდგნენ სამნი
და ის სამი არსება
ღამის სივრცეს სამი სახით
და სამი ხმით ავსებდა.
ხმა ისმოდა ფლოქვთა ცემის,
აჩქარევი ნაბიჯის;
რვა — ერთფერი კოხტა ცხენით
გუნდი მოდგა რვა ბიჭის.
ნამუნჯარი უცბად შეკრთა,
ბინდშიც იცნო რვანივე,
აწრიალდა ლურჯთვალება,
ძმებს შესძახა: — ვაიმე!...
შედგნენ ძმები ბაიასი
შიშით და მორჩილებით,
ბუმბერაზი მწყემსის ხმაზე
ზღვიდან ამოჭრილები.
შეაგება მათ ხელები
და ხმადაბლა, ალერსით

ნამუნჯარმა სახელები
ჩამოთვალა რვავესი.
რვა ძმა — რვავე მებადური
თვალს მიაპყრობს ერთხელაც —
ვინც და მათი, უბედური
მოაქცია მეტყველად.
დაიჩოქეს და ილოცეს
მათ მედეას წინარე,
ბუბა იყო ამის მოწმე
და ის ხალხი — მძინარე
მიყვებოდა სხვა სიცოცხლის
სიზმრით მოცულ მდინარეს.

X

რკალავს მინდორს საჯილდაო,
ხავსგაცლილი ლოდები,
ჰქჳს კოლხური „საჭიდაო“
სისხლში ცეცხლის მომდები.
ხალხს შესცქერის სტუმარი
და ხალხისვე ამაგდარი:
„ნეტავ სადმე თუ არი
სხვა ქვეყანა ამდაგვარი?...“
გარეკაურს, შუაკაურს,
მოგვერდს, კისრულს და ყირას,
ამდენ ილეთს სულ აქაურს
კოლხნი ერთურთს აყრიან.
ხალხში ერთი ჩია-ბიჭი
იდგა მხარმოქცეული,
შესცქეროდა ის მახინჯი
სტუმარს დამორცხვებული...
ფრთხილად წარსდგა წინ ნაბიჯი,
მოიკითხა გრძნეული,
გაუწოდა წმინდა ფიჭა —
თაფლით ამოვსებული.
მოუფერა მას მედეამ,
მერე მშვიდად და დინჯად,
როგორც დიდმა დამ და დედამ
გულისყურით გასინჯა.
კუზიანი იდგა ყოჩად —
ქამარსზემოთ შიშველი.
— რამ დაგცადა?... ჭიდაობამ?...
ჭიდაობა გიშველის! —
თქვა მედეამ და ზღვა ხალხი
გარინდდა უსაშველოდ,
როგორც მიწა და ბალახი
მათ ფეხქვეშ და გარშემო.
შთააგონებს ბიჭს მედეა:
— აბა, კი არ შეშინდე!
ღონით სხვებზე ვინც მეტია,
სწორედ მას დაეჭიდე!...
ტყეც მუნჯდება სასწაულით,
ვითარც ადამიანი —
ველიც, თქორით დამცვარული,
გაშრა, ჩადგა ნიავი.
ზღვამ მოზომა ყრუ დუმილით
სივრცე დაუსაბამო
და სიჩუმემ ურდულივით
გადაკეტა საღამო.
ისე, თითქოს მის გალახვას
წამით არც კი ეჭვობდეს;
ჩია ბიჭმა გადასძახა
იმ გოლიათ მეჯოგეს —
ხმას რომ აწვდენს მთებსგადაღმა
ცად აღმავალ ბეჩოს მთებს:
— არ გეგონოს ეგეთ ახმახს
აქ ვერავინ ვერ გჯობდეს!...
მხრებზე კუზი შენ დამადგი,
გულში ჯავრი არ გაქრა,
ვიყო შენი შეჭამანდი,
მიწას თუ არ გაგაკრა!
— ეჰ! ვაჰ! — ხალხმა ხმა გამოსცა,
თითქო მზის დღე დამთავრდა,
მაგრამ წრე კვლავ გააცოცხლა
ხმამ ბუკთა და დაფდაფთა.
წრეში შეხტა ის ახმახი
მეჯოგე და იმწამსვე
კუზიანი ჩია ბალღი
გააბრტყელა მიწაზე.
დაიმდუღრნენ ბიჭის ცოდვით,
— ოჰ! — აღმოთქვეს მწყემსებმა.
წვრილფეხობა ძირს გაშოლტილ
ჩიას შემოესევა.
ძლივს აგლიჯა წაქცეული
ბუბამ მწვანე ხალიჩას.
დასტაქარი და გრძნეული
მწყემსს ხელახლა გასინჯავს.
კბილებს ალჭენს ბიჭი სიმწრით,
ქალი ადებს მალამოს,
მხარ-ბეჭს უკრავს ფიჭვის ფიცრით,
ბოლოს ეტყვის: — გაამოს...
ეს ამბავი ასე მოხდა,
ცხადად, განა სიზმარში:
შვიდ კვირაში ძალზე კოხტა
ბიჭად იქცა ის ბავშვი,
ვაიმართა ზვიად კოლხთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზღაპრულ წალკოტ-წიაღში
და ამაღლდა, რომ გასწორდა
თავის სწორთა წინაშე,
მაგრამ მაინც ისევ „ჩია“
ჰქვია ეგზომ ტანმაღალს
და არაფრად მიაჩნია
იმ მეჯოგის გალახვაც.

XI

წყარო ხვატმა ამოაშრო,
კლდის ნაპრალიც არსად დის,
ღელის მღვრიე და მომლაშო
წყალს სვამს კაციც, ხვასტაგიც.
ღამის ჩაჰკნეს იალაღზე
ყვავილი და ბალახი,
წარიხოცოს სილამაზის
ჯერ ცოცხალი ნასახი.
ვერ ირწყულებს ხალხი წყურვილს
და თვლემს ველზე დაყრილი:
ჯოგ-რემები დასიცხული,
ცხვარ-ძროხა და ნახირი.
წყელვა-კრულვა და უშვერი
ლანძღვა მზისკენ ცად ადის,
მაგრამ გმინვით რას უშველი?...
ოხვრით მიხვალ სადამდის?...
ცოტა ხნის წინ აქოჩრებდა
ჭავლებს ფსკერგაყინული,
ჰრელ კენჭებში ამოჩქეფდა
ცივ-ცინცხალი ბინული.
ახლა მარტო სისველეღა
ჩანდა მწყურვალთ წინაშე,
ალბათ, წყაროც ისვენებდა
გრილ და მყუდრო მიწაში.
და როდესაც ეძინა
იალაღზე ხალხს დამაშვრალს,
ორი ლანდი ეწვია
ნაწყაროვალს-ხახაგამშრალს.
შედგნენ ბუბა და მედეა
ღამის ღრმა სიჩუმეში,
ჰროლა კენჭებს დაედინა
ნამად მათი ნუგეში.
ცეცხლსა და მზის მსახური
გაწვა ჩამშრალ წყაროსთან,
დააწება მიწას ყური,
დიდხანს აღარ წამოდგა.
იდგა ბუბა, დასცქეროდა,
ლამის წამოეტირა,
უამქალოდ არსებობა
ვეღარ წარმოედგინა
კუნაპეტი ღამე მთაში
მკრქალდებოდა თვალნათლად,
მოდიოდა გარიჟრაჟი
ნელ-ნელ, მთა-მთა, თანდათან.
ესმა მიწის გულისხმა,
ადგა ქალი, ცას ახედა;
განა სიხარულისგან,
სულ სხვა გზნებით ცახცახებდა.
— ვპოვებთ, ალბათ, გამოსავალს.
გამაწვალა ამ წყალმა, —
თქვა და ბუბას ჯადოსანმა
ჯადო კი არ ასწავლა,
ჩუმად უთხრა: — დიდმა მზემან
რაც დააშრო უნაღვლოდ,
ახლა სულ ერთ ციდაზეა,
აქვე არის, სულ ახლოს.
ყურს ვუგდებდი და მესმოდა
სუნთქვა სხვა სამყაროსი,
რომლის მშვიდი ხმა მეცნობა,
ვითარც ჩქამი წყაროსი. —
თქვა მედეამ და ყმაწვილი
კვლავ წარუძღვა მეგზურად.
ვიწრო ბილიკს გაჰყვა წყვილი,
რომ უწყალოდ ეზრუნათ,
რომ სიცოცხლის დასანთებად
და სიკეთის წყალობად
შესძლებოდეთ დაბადება
უკვდავების წყაროთა.
შორ სივრცეებს მისდევდნენ,
როგორც ადრე ნაცნობ ბილიკს,
მომავლიდან ისმენდნენ
წარმოდგენილ წყაროს ლიკლიკს.
ჩადგა ჩამშრალ იმ ორმოში
მკრთალი ჩრდილი ჩინართა.
ბამბუკების გრილ კორომში
წყვილი გაუჩინარდა.
მთაში დილა იდგა უკვე
და მზის სხივებს მოხეთქილს
გარეთ დახვდა სიჭაბუკე
უძველესი კოლხეთის.
მწყურვალ მწყემსებს რად უკვირდათ—
დაკარგული მთის წყალი
ღრმად ჩასობილ ბამბუკიდან
რომ მოჩქეფდა ცინცხალი!
ერთადერთი სალოცავი,
სადაც ყველა ქედს იხრის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩურჩულებდა საოცარი
წყარო უკვდავების ხმით.
და ვინც მხსნელად დაებადათ
ხვატის ცელით მოცელილთ,
ფერხთა მისთა ნატერფალთა
თაყვანს სცემდნენ მლოცველნი.
უჩოქებდნენ, ვითარც უფალს,
ხვეწნით, რიდით, ჩივილით.
მედეასთან იდგა ბუბა
განუყრელი ჩრდილივით.
ზოგი ჭირში სთხოვდა შველას,
ზოგი ხვედრს ემდუროდა;
ზოგს წამალი, ზოგსაც რჩევა,
ზოგს მისი ხმა სწყუროდა;
უსაშველო ხალხს არჩენდა
დიდმკურნალთან სტუმრობა.
მას ებადა ულეველი
წამალი და ღვთის ნიჭი,
მაგრამ განუკურნებელი
დარჩა მარტო ის ბიჭი.
ვისაც ჯერ არ გაუმხელდა
მიზეზს ბერძნის ჩამოსვლის,
ვისაც ჭმუნვა აწუხებდა
გაუღიმარ ჯადოსნის,
ვისიც შურდა ნაკითხობის
წრფელად, ოღონდ არ სძულდა,
ვისაც მართლა კაი მოყმის
მოთმინება ძალუძდა.
ვისაც მთელი ძალით სწვავდა
სიბობოქრე ღვთის ცეცხლის
და მოსმენაც არ ეწადა
დამმობის და ფიცვერცხლის.
მან იცოდა ქვეყნად ქიციც
ქიცმაცურიც, კაცივით:
ახლა უკვე თექვსმეტი წლის,
გველის შხამით აცრილი
იყუჩებდა, ძლევდა სიმწრით
სულის ტკივილს ყმაწვილი —
უწმიდესი ძველი მიწის
უმრწემესი ნაწილი.
მან მედეას ჰკადრა ბოლოს
კრძალვით და მორიდებით:
— სადაც ოქრო ჩააქვს კოდორს
აქაფებულ ზვირთებით,
იქ სწყურია დააგროვოს
სადედოფლო მზითევი,
რომ წარუდგეს ზღვას მდიდარი,
შესთავაზოს ცოლობა,
მაგრამ ზღვისა და მდინარის
ვინ თქვა თანასწორობა!
სულ უკვალოდ წარიშლება,
რაც მას შეაქვს — წვეთია...
ბუბას მეფის ქალიშვილმა
სიტყვა შეაწყვეტინა.
— ეგ იგავი ქარაგმული
სხვამ ვინ უნდა მაკადროს?...
ზღვაში წვეთად დაკარგული
არ ვიქნები არასდროს! —
ამბობდა და უსასოო
ჯადოსანი ღელავდა,
თვალწინ ედგა უსასრულოდ
შორზე შორი ელადა.

XII

ნავით ზღვაში შესული
ასცქეროდა ცას მედეა;
„ავიცხადებ ძველ სურვილს,
დღეს მკათათვის ცამეტია“.
იცინოდა ყასიდად,
ქალი სულში ფიქრჩამკვდარი
და ბოლოს გადასწყვიტა
რაღაც ხუმრობისდაგვარი.
ჩქამი აღარ ისმოდა
შორ ყურეში მზირალ ხეთა;
და ნავს მარადისობა
სადაც ჩუმად მიარხევდა.
და იჯდა ჯადოსანი
ზღვაოსანთან გაწაფულთან;
იცინოდა მგოსანი,
ლექსის არა — სასწაულთა
ფიქრობდა ოდორია:
იმ საღამოს მადლიანმა
მთელი მისი ცხოვრება
როგორ შემოატრიალა.
ველარასდროს გაუბამს
მეფის ასულს მეათასედ
იმ ხომალდზე საუბარს,
რითაც ცოცხლობს ქვეყანაზე,
რომ ეძახის თავისთავს
მეფის კარის შინაბერას —
ცით მოვლენილ ქალღმერთსაც
ალბათ თავი შეაბეზრა...
უცებ, თითქო ცინცხალი
წყარო ჯამით გამოსცალა,
წყვილი პეშვით ზღვის წყალი

ხარბად მოსვა ჯადოსანმა.
რომ დალია მეექვსედ,
ბუბა ბუბას აღარ გავდა,
ნავს მიეყრდნო კედელზე,
ლამის ზღვაში გადაქანდა;
მოისარს და მეთევზეს
უღალატა არაქათმა.
როცა ქალის ხელებზე,
თოვლი თეთრად აქათქათდა.
ფიფქად ხელზე დაყრილი
მოაქცია ჯადოქარმა
წვრილ კენჭებად მარილი
და ბუბასკენ გადმოყარა.
იცინოდა მედეა,
ეგებ სულის დამდაღველი
ახლა გამოედევნა
დიდი გვემა და ნაღველი.
სითბო აკლდა მის სიცილს,
სითბო-მღელვარების, თრთოლვის,
ვითარც იმ თოვლს — სიცივე,
არა — ელვარება თოვლის.
— ზღვას მოვაქცევ მტკნარ წყლად,
წყაროსავით შევსვამ წამლით,
რაც საწუთრომ მასწავლა —
შენთვის მინდა, შენ გასწავლი,
მოკლედ მოვჭრი: არ გასცე,
თუ გაქვს რამე ხვაშიადი!
საიდუმლოს წარგტაცებ?..
განა ეგრე დავჩიავდი?
თქვა გრძნეულმა ქალწულმა
და შეჰლიმა მორიდებით, —
ჩვენ არც დედაკაცურად,
არც ვაჭრულად მოვრიგდებით.
მწამს, ვითარც არავისი,
შენი კეთილ კაცობის,
რა მჭირს, დღემდე არ ვიცი,
დღიდან ჩვენი გაცნობის,
მაგრამ რასაც დღეს გეტყვი,
გულში მწარედ გაგკაწრავს:
მეც ოქროს ვერძს ვეძებდი,
ვეზირს ვგავდი ნაკაცარს, —
ის თქვა მეფის ასულმა,
რითაც სამ თვეს წრიალებდა
და აზრი გაასრულა
მოკლედ, დაუწვრილმანებლად.
ყრუ დუმილი გამეფდა
და ზღვაც ყუჩი იყო, მდოვრე,
ბუბამ ვეღარ გაბედა —
დაერღვია სიმყუდროვე,
ელდამ შესძრა ყმაწვილი
ეროვნული ბიბლიოთეკა
დაავიწყდა სასწაული,
გაშრა, როგორც გაცლილი
მათი ძველი სარწყაული.
არ თქვა ქალმა — საკუთარ
თავს როგორ სჯის, როგორ ებრძვის,
და ამბავიც არ უთქვამს
ბერძნისა და ოქროს ვერძის.
არ თქვა — რისთვის ეჭიდა
მთაში კლდეებს ტიალ გზაზე,
რომ ცისმარდღე ეჭვრიტა
ბუბას თვალთა სილამაზე?
ეს მტრედია ნაშრომი
მიმოფრენი იმ ბარათთა;
აიეტს და მას შორის
სამ თვეს რითაც იფართფატა.
რას ღუღუნებს ფრინველი?
იზეპირებს ეგებ წერილს:
„ოქროს ვერძის მხილველი
ვერ გახდება ეგ ბერძენიც.
როგორც ყველა კარგ სტუმარს
უჯობს დროზე წაბრძანება,
გაემგზავროს კაცურად,
ვიდრე ლხინი ჩამწარდება...
აქ, რომ გასცენ კიდევაც,
თუ აქვთ რამე ხვაშიადი...
ჰე, მზეცხოველს დიდება, —
დამწვას, თუკი დავჩიავდი?“
და თქვა ბოლოს მედეამ:
— ფრთებს საფრენად როგორ გავშლი,
ჩემი ქველმოქმედება
თუ გავწირე მსტოვრობაში?
სამ თვეს ამას ვწონიდი,
თუ სწამს ჩემი, რას დაეძებს?
მომავალი ცოლისთვის
რა სწადია ლამაზ ბერძენს?
სდუმდა ბუბა ოდორია,
რისხვით უდავს მეხავდა:
„იმ ბერძნისთვის ოქროს ქირა
ამ ქალს უნდა ეხადა?!“...
ბოლოს მისანს ეტყვის ბუბა:
— მას არა ვთვლი წმინდანად,
ვისაც შენი ხელი უნდა
ოქროსსაწმისიანად.
არ გაცემა, არ გათქმა
ჯიშად მოსდგამს, ნუ ემდური,
ვინც უკვე გიღალატა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისავ სიბრძნეს უგდე ყური,
მე კი უფრო ხალვათად
ვივლი მზისქვეშ უბედური.
კვლავ გამეფდა დუმილი,
როგორც ზღვაზე — მკრთალი ჩრდილი,
შეცბა დამდუღრულივით
აიეტის ქალიშვილი.
აუწეწავს ეს სიტყვა
სულის ყველა სიმს ცახცახით;
კოლხი ხალხის ძე იდგა
მის წინარე წმინდა სახით,
ვისაც ჯერ არ დაუძრავს
მეწყრად ნატვრა ნაგუბარი,
გრძნეულს აღარ ძალუძდა
მასთან მარტო საუბარი.
და პირველი ალერსი
სიცოცხლეში მას აღირსა —
რისხვით სახეალეწილ
ყმაწვილს — მისივ ასაკისას.
ვისაც წელან აკრთობდა
ზღვაში რხევით მისი ლანდიც,
ახლა მკერდზე აჰკროდა
საუკუნოდ, სიკვდილამდის.
და ჯერ კოცნას უჩვევი,
რომ მიენდო უკარება,
ბუბამ ცხელი ტუჩებით
იგრძნო — რაა უკვდავება!
მიცურავდნენ ორნი,
გაზაფხულის სწორნი,
ბაგეები მათი
უწმინდესი მადლით
ერთდებოდნენ თრთოლვით
და ერთმანეთს მორცხვად
ეხვეოდნენ ტოლნი,
სიყვარულის ლოცვას
ასრულებდნენ ორნი.
მიცურავდა ნავი მათი.
და აიას ერთიან
ჩასული მზის ათინათი
მწუხრთან ერთად ეფინა.
უცებ მისანს უნებურად
თვალდაცრემლილს წამოსცდა.
— თავს მიტომ თვლი უბედურად,
რომ გამთვალე საოცრად?
სიტყვისკაცად მოვლენილი
თექვსმეტიოდ წლის ბალღი,
ქვეყნის ჭირისმომვლელივით,
თავს უბედურს ეძახი?
მე რაღა ვთქვა, ღვთაებავ,
იმ გნიასში და ზრიალში
აიაში დავება,
ვითარც ოქროს გალიაში?
კაცი არ ღირსებია
ჩვენს სასახლეს საარაკოს —
მე, დედაჩემს, ბებიას
კაცურ დაგველაპარაკოს...
ყველას შიში აცახცახებს
ან ვიღაცას აშინებს,
ყველა თავის სრასასახლეს
სხვის საფლავზე აშენებს!
ბოლოს ეტყვის მედეა,
რაც ისარნი გაგისვრია —
ყველა მე მომხვედრია;
ეხლა შველა გაკისრია.
სდუმდა ბუბა ოდორია,
თანაგრძნობდა მის წუხილს,
მაგრამ ბნელი მოსდგომია
ქალაქს, შემდგომ მიმწუხრის.
ზვირთთა რღვევით თვიდან თვემდე
ძველ აიას წვეულნი,
ხომალდები იდგნენ, თვლემდნენ
წყლიდან ცხვირაწეულნი.
ნიშნად ზღვაში გადარჩენის,
როგორც ძველთა წესია,
მათ გარშემო კარჭაპების
მთელი გუნდი ესია.
შემთვრალივით ტორტმანებდა
გრძელი ლანდი მახლობლად.
„კიდევ ბევრი დროსტარება
ელის, ალბათ, მაგ ხომალდს...
ბორგავს, ვითარც გალეშილი
მეკობრეთა თამადა“, —
გულში იტყვის ქალიშვილი,
„არგოს“ როცა დალანდავს.
— ხალხის გუნდად დადევნება
განა გულს დაგვიფეთებს,
მაგრამ მათი აყბედება
არ მოგვიტანს სიკეთეს, —
ჩუმად ამბობს და მედეა
პირზე ნილაბს იკეთებს.
და კიჩოზე ჩამომჯდარი
ბუბა რამ გადარია?
მის წინ იდგა ნამუნჯარი
მწყემსი გოგო — ბაია.
იცინოდა ტკბილად ბალღი:
— ხალხში შენთან გავივლი

როგორც თქვენი იალალის
ფეხადგმული ყვავილი.
ბოლოს, ეტყვის მას მედეა
აიაში მისული:
— დღეს მკათათვის ცამეტია,
იყავ, ვით ხარ, დიდსული.
წამობრძანდი, დამიმშვენე
ჩემი დაბადების დღე.
ჩემი ტყვე ხარ, დამიჯერე,
სამ თვეს ვიყავ შენი ტყვე.
აიეტის სასახლეში
გვიან სტუმართ ოდითგან
ვასმევთ დიდი აზარფეშით,
ადრე მიტომ მოდიან.
ჩაიცინებს მწარედ ბუბა:
— იქ ვის ვნახავ ჩემიანს?
თქვენს ზეიმზე გარეთ მუდამ
მდაბიონი რჩებიან.
აიჩეჩავს მხრებს მედეა:
— გარეთ როგორ დაგტოვო!
ზარზეიმით შეგხვდებიან,
ოქროს ვერძის პატრონო!

XIII

როცა მეფის ქალის თვალწინ
სატახტოს სცა თაყვანი,
მაშინ შემოესმა ყმაწვილს
უცხო ხალხის ყაყანი.
— ბერძნებია! — თქვა მან ზიზღით, —
რას უცდიან ამდენხანს?!
ოდორიას სთხოვდა სისხლი
მათთან ჩხუბის ატეხვას.
ბუბა აილეწა უცებ,
ყბები აუცახცახდა:
თუ კაცი ვარ. წესს ავუგებ,
სისხლს დავანთხევ მაგ ძაღლთა!...
ყალყზე იდგა ერთხანს, მაგრამ
არ აცალა მედეამ:
— აქ პირველად ფეხის დადგმა
ცუდად დაგებედება, —
მოეფერა სანუკვარი
და სისხლფიცხმა ყმაწვილმა
ბოლოს თავი საკუთარი,
როგორც იქნა, დასძლია.
გრძელი „არგო“ თავს ბოლაზის
კარიბჭესთან იქნევდა,
ხმობდა მტერი სამტროდ ყმაწვილს,
განა შესარიგებლად!
ქუჩებს — სუფთას [illegible]
ზღვასთან იკრებს ბოლაზი,
როგორც სითბო ნათესავის,
როგორც კერა მოყვასის.
ყველა სახლთან ელავს კვარი,
შუქი მხეფად ელვრებათ,
ღია არის ყველა კარი
სტუმრის შესაგებებლად.
„ალბათ ყველა მოქალაქე
უვლის თავის აიას,
როგორც ზღვისპირ მოქათქათე
ფართოდ გაშლილ აივანს...“
თეთრმტევნება მარმარილოს
ჩუქურთმათა შეხედვამ
ბუბა ლამის გადარიოს,
კედლებს ხელით ეხება.
მას მედეა ახლავს გვერდზე —
თვალებკაეშნიანი,
მყუდრო ქუჩებს ახალისებს
მწვანე კაბის შრიალით.
ყველა კართან აზიდულა
ჩრდილი ბუბას თანმხლების,
რადგან მისი სამზითვოა
ეს მდიდრული სახლებიც...
უკვირს ყმაწვილს: — მარტო ამდენ
ქუჩას რა დაისწავლის?
თეთრი ფერი რატომ ადევთ?
— დილით რწყავენ ზღვის წყალით.
რიბირაბო როცა დგება,
უბანს რაბი ატბორებს,
ტალღა წამით მოვარდება
და ზღვის მარილს დატოვებს.
გატყობ, დახვალ მოხიბლული,
ალბათ დიდხანს დარჩები?...
აქ ცხოვრობენ კოლხიდური
აბრეშუმის ვაჭრები.
ლრუბლებივით, აფრის გაშლით,
ამ სრასახლთა რიგიდან
აიელნი აფრიკაშიც
და უფრო შორს მიდიან. —
მეფის ასულს არ ენება
ბუბას ვალში დარჩენა,
კვლავ წარუძღვა და ვეება
თეატრონი აჩვენა.
იქით ვაჭართ გადის ქუჩა —
ეტრუსკთ, სპარსთა, ბერძენთა;
ცირკის იქით სახლი მოჩანს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოქრო-ვერცხლის მრეწველთა.
ის კი, არ ღირს დროს დაკარგვად,
ახლოს რომ არ გაიცნო,
შორიდანაც მოჩანს კარგად
ცრუ მისანთა სამისნო.
ჯერ ეგონა ბუბას მთები
და ხმას რიდით არ ძრავდა —
ოცებდნენ გუმბათები
მზის მლოცველთა ტაძართა.
მოიარეს მოედნები
და შეჩერდნენ ერთ სახლთან,
რასაც ხალხი პოეტების
სამლოცველოს ეძახდა.
— ოც წელიწადს ეს ქარვასლა
იმ ვეზირმა აშენა,
ვისაც ლაფი გადაასხა
თავზე ბაბუაშენმა.
აქ ბინა აქვს ყველა მგოსანს,
საგულისხმო მიზეზით —
ყველა შეწყობილად ლოცავს
დიდ მეფეს და მის ვეზირთ.
ერთსაც გეტყვი, სხვა იმედით
მოგიყვანე აქ სტუმრად. —
ყმაწვილს ქალი აიეტის
აცქერდება მაცდურად.
ხელს ჩაავლებს იგი ბუბას
და თითქოსდა გულგრილად
დაატარებს იქით უბანს,
სადაც არ გაუვლიათ.
თეთრსვეტება ბოლაზი
ვერ ისვენებს მწარე ძილით,
სხედან ძირს და კორთაზე
კოლხნი სამოსდაძენძილნი.
ხვრინვა დადის ქალაქში
და კნავილი კატის კნუტთა,
ბნელ ჩიხებში ქალ-ვაჟნი
კოცნაობენ კანტიკუნტად.
ქუჩებიდან შმორის ორთქლი
ათრობს მძინარ ბინადრებს,
და ერთმანეთს ორი ლოთი
ბოლაზისკენ მიათრევს.
როცა სისხლში გაგიჯდება
ჭაჭის ცრემლი წკრიალა,
როცა კიდევ გაგიყება
გინდა ტანსაცმლიანა,
როცა სიცხე ჯანში შევა,
არა მარტო მკათათვის,
ბოლაზია მაშინ შვება
მოწყურებულ კაცთათვის.
ისმის ყეფა და წკმუტუნი
ყურთასმენის წამღები,
ჩრდილებს ყეფენ წაკუნტული
აიური ძაღლები.
— ეს უპოვართ უბანია,
მათი ბუდე აქ არი,
მწირთა ჭირისუფალია
ხვატი, წვიმა და ქარი.
სახლებია მოისლული
და ბოსლებიც ხვასტაგის;
ყველა მხრიდან მოდის სუნი
დამწვრის და სილატაკის.
ბნელში დგანან კახპები;
ქალი სტუმარს აჩქარებს
უმალ გვერდზე გახედვით,
მათ საქმეში რავა ჩარევს.

XIV

სახლს მიადგნენ და შედიან,
სადაც დაგვა-წვით სავსე
ძუძუმწოვარ ბავშვებიან
ქალებს სძინავთ მიწაზე.
ვიღაც თრიაქდანაღევი
სახიჩარი გდია ძირს —
ხელთ უპყრია დალალები
ვიღაც მთვრალი დიაცის.
დგას მოხუცი თავტიტველი
წყნარი და ღვთისნიერი —
მჭლეს და ფერმკრთალს ადრინდელი
სიმწრის დაჰკრავს იერი.
ეჟვნებიან დაირას
ქოსა ბიჭი აყღარუნებს,
ლამაზმანისნაირად
ემანჭება დაყამულებს...
ჭრაქთან სხედან ნაკაცარნი,
ძლივს ხილავენ პერანგებს,
იცინიან და ტკაცანით,
ფრჩხილით წყვეტენ მკბენარებს:
ამღვრევიათ თვალები
და მღერიან მთვრალები.
იქვე გაუხურებიათ
ზარ-ყომარი მათხოვრებს.
— ყველას, რაც აქ მდგმურებია,
ძაღლის ძვლები აცხოვრებს.
ამდენ გლახას რა ვუშველო
ლატაკთ თავშესაფარში?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველას სახლი აგუშენო?
წააგებენ თამაშში, —
თქვა მედეამ და წარუძღვა
სტუმარს სხვა გასასვლელით,
სადაც ხმელმა მჭლე მოხუცმა,
როგორც წუხელ ნაცრემლი,
მათ წინარე გადაყლურწა
რაღაც ლურჯი სასმელი,
დაიღრიჯა და ჩაუწყდა
სუნთქვა უკანასკნელი.
— გაუფრინდა ქაჩალს სული
ცაში, როგორც ფრინველი.
ამდაგვარი დასასრული
აქ არაა პირველი! —
თქვეს და ესე შერაცხადეს
თავზე ხელის ამღები:
ელვისუმალ ფერხთ გახადეს
შავი მეშის წაღები
და ვინ უწყის, კაცი რატომ
მოიკითხა უფალმა?..
ნუ მტოვებო ცაში მარტო —
ეგებ შემოუთვალა.
მის უსისხლო, ცისფერ სახეს
ღრმად დასერილ-დაქანცულს,
დააფენენ ნარმის ნახევს,
რაც არ ნიშნავს დასასრულს.
შედგა აიეტის ქალი
და თქვა მკვდართან სათქმელი:
— ამ საცოდავს ქვეყნის ვალი
დარჩა გადასახდელი.
თუ ვაცოცხლებ, კიდევ ერთ დღეს
გაჭრის ძალა ბუნების,
ბუბავ, შენ ეგ გიანდერძებს
რაღაც სასწაულებრივს.
ქისა გახსნა, რომ ექარგა
შავი ქვეწარმავალი;

ცხედარს პირში ჯადოქარმა
ჩააწვეთა წამალი.
გაახილა თვალი გლახამ,
ადგა ვაივაგლახით,
ბადრი მთვარის არილს გაჰყვა
ქალის თვალთა კარნახით:
— ახლა ბოლაზისკენ წახვალ,
იქ დარჩები კარგახნით,
ვიდრე ოდორია გნახავს,
არ გამოთვრე არაყით.
არ აფრინა კაცმა სული
ცაში, როგორც ფრინველი,
ამდაგვარი სასწაული
აქ არაა პირველი.
ბრბოში ცხედრის გაცოცხლება,
ახლა, როგორც გნიასი,
სხვას არავის აოცებდა,
გარდა ოდორიასი.
— ის ხვალ უნდა დაესახლოს,
მაგრამ ცოცხლებს რა ვუყოთ?
განძი თუ გაქვს სადმე ახლოს,
გლახებს უნდა გავუყოთ, —
აი, ოქრო ამად გვინდა,
მათებრ ბევრი სხვაც არი.
თქვა მედეამ და გარინდდა
მათი ცოდვით დამწვარი.
უცებ ერთმა გლახამ გლახას
ხელი სტაცა ფაფარში,
სილა სტკიცა და ჩასძახა:
— შენ გგონია გადარჩი?!
რომ აგებდი, რაღა ახლა
მოგყავს ბეში და შაში!...
გლახამ გლახა რომ გალახა
გლახაკთ თავშესაფარში,
შეწყდა გლახად და ვაგლახად
ზარ-ყომარის თამაში.

□გაგრძელება იქნება□

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკაკი გეწაძე

# ფეხშიშველა სასიძო

### არც ისე სასაცილო ამბავი

## ორი დედა

იმ დღეს ნესტორა ჩიხრაძის დიდი ეზო ხალხით გაივსო და ზღაპარში რომ ამბები გარბის, იმ სისწრაფით დატრიალდა ბევრი რამ.

შავად მბზინავი „ვოლგიდან“ ჯერ მსუქანი, გრძელ საყურეებიანი დედაკაცი გადმოთახთახდა, მას გადმოჰყვა საშუალო აღნაგობის პირმსუქანი მამაკაცი. ქალმა ჭირისუფალივით მდუმარე ხალხი რომ დაინახა, ხორცსავსე მკლავები მაღლა აისროლა და ცა ჩამოიღო კივილით:

— სადაა ჩემი შვილი, სადაა? დამანახვეთ. ცოცხალი მაინც თუა! ინგა, გოგო, სად ხარ?

აივანზე მდგარმა ინგამ ერთი ამოიბღავლა, დედაო, კიბეზე სირბილით დაეშვა, მივარდა დედას, გადაეხვია და აზლუქუნდა.

ვეღარც დედამ იპოვა სიტყვა, ზლუქუნითვე უპასუხა. კარგა ხანს ეხვეოდა ერთმანეთს და შესტიროდა ფაშფაშა დედა და კაფანდარა ქალიშვილი.

ინგას მამა გაბუსუნებული იდგა იქვე და მარჯვენა ხელის შუა სამი თითით შუბლს ისე ღონივრად ისრესდა, თითქოს იქ გაჩენილი ფიქრის მოშორება სწადიაო.

ხალხი გაირინდა. აქ იყვნენ ნესტორა და ბენია თავიანთი ცოლ-შვილით, პოპინა ვაჟითურთ, კანტორის თანამშრომლები, ბუღალტრები, მოანგარიშეები, აგრონომი, ზოოტექნიკოსი, საწყობის გამგე, მასწავლებლები — მარიამი, აბიათარი, პლატონი და, თქვენ წარმოიდგინეთ, საგანგებოდ ბერხევში ჩამოსული ტერენტი ტაბლაძეც. ცალკე ჯგუფად შეკრებილიყვნენ მაღაზიის გამგე ჯუბიკა, დალაქი აბელა, ბიბლიოთეკარი გულქანა, მწყემსი ინდიკო, პენსიონერი ბერიკაცი ელიზბარი... ყველას რა ჩამოთვლის. ამ დიდ თავყრილობას მხოლოდ ცალფეხა ხარაზი გრიგოლა აკლდა. არც თეონა ჩანდა სადმე.

ჯონი სათვალეს იხსნიდა და იკეთებდა, იხსნიდა და იკეთებდა, აქაოდა, ყველაზე მეტად ვღელავო.

ხალხი იმიტომ გაირინდა და დადუმდა, ჯერ არავინ იცოდა, რა ამბავი დატრიალდებოდა, საითკენ გახდებოდა საჭირო ნაბიჯის გადადგმა, ხელის გამოღება ან სიტყვის სროლა. ბუსილა ამბობდა: რაკილა ჩვენს სტუმარს დედმამამ ჩამოაკითხა, ნამდვილი ცირკი ახლა

დასასრული. იხ. „მნათობი“, № 1, 2, 3, 4, 5.

დაიწყებაო და ხალხი ამ წარმოდგენას ელოდა.

არისტო და მისი ორი მილიციელი ცალკე იდგნენ. ისინი სამზადში დამწყვდეულ ტუხას დარაჯობდნენ. სამზადის წინ იდგა დარიკოც და ხელებს იფშვნეტდა გამუდმებით.

დედა-შვილმა ზლუქუნით გული რომ იჯერა, მარგალიტამ ინგას თავზე მოუჭირა ორივე ხელი და ერთხანს პირისახეზე აკვირდებოდა:

— ჩემი ინგულია, რაკი ცოცხალი მყავხარ, რაკი ცოცხალი!.. შენს უკან არ ვიცოცხლო, შვილო!.. შენი ჭირი შენს დედას, რა დღეში ჩაგაგდეს, რა დღეში ჩაგაგდეს ამ... — კუდი მოაკვეთა სიტყვას, რადგან ჯერ ზუსტად არ იცოდა თავისი გულისწყრომის მისამართი. — წადი, შვილო, წადი, მოისვენე! ნუ იღელვებ! გულს გაუფრთხილდი! მე გავუსწორდები ყველას, ვინც შენ ასე უღირსად მოგექცა!

ინგა ტირილით გაშორდა დედას, კიბეზე ფეხათრეულად ავიდა და ოთახში შეიმალა.

მარგალიტამ თვალი ეზოში შემოატარა და თითქოს კვლავ ინგას ანუგეშებსო, წინანდებურად განაგრძო:

— ჩვენ ის ხალხი არა ვართ, შეურაცხყოფა მარწყვივით გადავყლაპოთ! — მსხვილი მკლავები ცაში აყარა და გაასავსავა. ორივე ხელის თითები ოქროს და ბრილიანტის დიდ-პატარა ბეჭდებით დაუხუნძლავს, ორივე ხელზე ძვირფასი სამაჯურები უბრჭყვიალებს, მარცხენა მაჯაზე მოზრდილი ოქროს საათიც უკეთია. ზურმუხტოვანი გრძელი საყურეები ყელზე შემოხვეულ ოქროს მსხვილ ჯაჭვს ეთამაშება. შეღებილი გრძელი ფრჩხილები სისხლისფრად უელავს. ნაღდად ეტყობა, ეს ქალი იმიტომ უფრო იქნევს ხელებს, დამინახეთ, ვინა ვარო. მთელი თქვენი სოფლის ფასი მარტო ერთი პატარა ბრილიანტის ბეჭედი მიკეთიაო.

ტყლაპებს რომ აქანავებს ჰაერში, მარჯვედ გამოჭრილი და ძაფივით გაწვრილებული წარბები აუდ-ჩაუდის, შეღებილი სქელი ტუჩები [illegible], ღაბაბი უთიმთიმებს, სხეული უთახთახებს და ქალი წვრილქუსლა ტუფლებზე ტორტმანებს.

ბენიას ცოლი ბალიკო კოჭებში მისჩერებია სტუმარს: ეს ნემსივით წვრილქუსლა ფეხსაცმელი ამსისხო დონდროხა ქალს როგორ იკავებსო.

— თქვენ არაფერზე არ იღელვოთ, ბატონო! — ნესტორამ, როგორც იქნა, გაბედა კაპიტონთან მიახლოება და ჭირისუფლური თანამგრძნობელივით გვერდით დადგომა. — ჩვენ ყველაფერს ისე მოვაგვარებთ, რავარც თვითონ ისურვებთ და რავარც თქვენს დიდებულ და სახელოვან ოჯახს ეკადრება.

კაპიტონს თითქოს არაფერი გაუგონიაო, მასპინძელს ცალი თვალითაც არ მიხედა. საერთოდ, ყველას არიდებს თვალს, თითქოს არავის დანახვა არ სურსო.

მარგალიტამ კვლავ მიმოიხედა და აკივლდა:

— ვინ დამიჩაგრა, ვინ გამიუბედურა ჩემი ცქრიალა, კოხტა გოგო! — და ახლა ქმარს დაუტრიალა ხელები ცხვირწინ. — მგელს ქონიანი ტყავიც კი არ ენდობაო, ნათქვამია. ხომ გაგაფრთხილე, გოგოს ველურ ხალხში მარტო ნუ გაუშვებ, მოგვტაცებენ-მეთქი! არ დამიჯერე და, ა! დედა, დედა, ამას რას მოვესწარი, რატომღა მიდგას პირში სული!.. რატომ არ დამევსება თვალები გაუბედურებული შვილის შემყურეს! ჩემი ხელით დავახრჩობ, ვინც ეს უბედურება დამატეხა თავს!..

— გააკავეთ! — ანიშნა ნესტორამ არიშას და ბალიკოს.

ქალებმა ორიოდე ნაბიჯი წადგეს და მსრებაწურულები გახევდნენ, რადგან სტუმარი ქალი არსად მიიწევდა.

— ნუ მაკავებთ, ნუ მაკავებთ! — ისე დატრიალდა მარგალიტა, კინაღამ წაიქცა, მერე დაინახა, ხელს არავინ მკიდებსო და თვითონ ჩადგა ორქალსშუა.

ახლაღა ჩაავლეს ხელი არიშამ და ბალიკომ.

პოპინაც იქვე აიტუზა, გულზე ხელებდაკრეფილი.

მარგალიტა მიხვდა: ესენი მასპინძლის ოჯახის ქალები იქნებიანო და სამივეს ამრეზილად შეხედა:

— ამისთვის მოიპატიჟეთ სტუმრად ჩემი უმწიკვლო ქალიშვილი? რა უქენით, რა! ეს რა სამარცხვინო ამბავი დამატეხეთ თავს მოულოდნელად, შეგირცხვეთ მასპინძლობა! ერთი დამანახეთ მაინც ის თქვენი ტყის კაცი და მაჯლაჯუნა, ადამიანს ოდნავადაც თუ ჰგავს! რა ჰქვია, ტუხიაა თუ ტახია!..

არისტომ ტუხა სამზადის კარში ჩამოაყენა. ბალიკომ თვალით ანიშნა, ის არისო, თან მარგალიტას მკლავში ლონივრად ჩასჭიდა ხელი, არ გამექცეს, ბიჭს არ ებრძოლვნას და თავისი ლაპლაპა წითელი ფრჩხილებით თვალები არ ამოკაწროსო.

მკლავებათახთახებულმა ქალმა გულდაგულ მიაშურა ქანდაკებასავით მოგარ ტუხას, წინ დაუდგა და ახედა. კისერი ისე გადაიგდო, თავზე დაკოსებულ უცნაურ ქუდზე ბალიკომ ხელი შეაშველა, არ გადაუვარდესო.

მარგალიტამ ჯერ ტუხა აზომ-დაზომა ზიზღიანი თვალით, მერე სამზადის კარის გვერდით მდგარი ქალი.

— ეს დედაა? — ჰკითხა ბალიკოს.

თანმხლებმა ქალმა თავი დაუქნია.

— ყველაფერი გასაგებია! ნამდვილად ტყიდან გამოვარდნილ ნადირს ჰგავს ეს უპატრონო! — მარგალიტამ ოდნავ დაიხია უკან. — გასაგებია! გაიგო ამ გაუთლელ-გაურანდავმა სოფლელმა აყლაყუდამ, ინგა მდიდარი დედ-მამის ქალიშვილიაო და იფიქრა, ერთი ღამით გავიტაცებ და მერე იძულებული იქნებიან მომათხოვონო, ლამაზ გოგოს და დიდ სიმდიდრეს ერთად მოვიგდებ ხელშიო. ვიშ! მოერია დევი ნიბლია ჩიტს. არა! ღმერთმა მაშოროს, ღმერთმა! ასეთი ტლუ, ველური და ბოროტი ჯერ არავინ მინახავს!

— ველურები, ბოროტები და უნამუსოები თქვენს გვარსა და ჯილაგში მოიკითხეთ! — მიაძახა მარგალიტას ხარაზის ცოლმა ქუქუნამ. — ტუხასთანა თვინიერი, ფაქიზი და კეთილი ბიჭი ჯერ ქვეყნიერების ზურგზე არ დაბადებულა.

მარგალიტა წამით გახევდა, ქუქუნას მიაშტერდა, ეს ვინ გდია, ასეთ რამეს რომ მიბედავსო, მისი გათათხვა დააპირა და გადაიფიქრა, თავს ყველას ხომ არ გავუყადრებო, დაჰკრა ფეხი და ქმარს მივარდა:

— შეხედე, შეხედე, კაცო, ჩვენს გამაუბედურებელს! რქები აკლია, დანარჩენად ნამდვილი ხარია. თვალებსაც რომ ბუღასავით ატრიალებს!

— ჩუმად, მარგალიტა, აქ მაინც მოეშვი შენებურს, ენად ნუ გაიკრიფე! — ძლივს ამოცოხნა სიტყვა კაპიტონმა. — ჯერ რა იცი, საქმე რანაირად შეტრიალ-შემოტრიალდება.

— რიღასი იმედი დაგრჩა, რიღასი? — პირში ეცა ცოლი. — ჩემი ბრილიანტის გოგოს ეს ასვინტრული დევკაცა ქმრად? ჩემს ბაჯაღლო ოჯახს ტურტლიანი ოჯახის შვილი? ჩემი სამოთხის ანგელოზს ეს ჯოჯოხეთის მაშხალა? დიდუ, დიდუ!

— შინ შევიდეთ, ქალბატონო მარგალიტა და ბატონო კაპიტონ! — შესთავაზა მასპინძელმა. — დავჯდეთ და იქ ვითათბიროთ, ავწონ-დავწონოთ, რომ არც მწვადი დაიწვას, არც შამფური!

კაპიტონმა უხმოდ დაუქნია თავი.

მერე რა, აქამდე რომ არ აქტიურობდა, ტყუილად კი არ იყო, ფიქრობდა, ვარაუდობდა, წონიდა. ჯერ არავის უმხელს, მაგრამ გულში მხოლოდ ერთი აზრი უტრიალებს: რაც შეიძლება ჩუმად მოგვარდეს ეს ამბავი. არ მომხდარიყო, დიახაც კარგი იქნებოდა, ახლა კი რაღას ვიზამთ, ისევ ჯობია, საქმე არ გამწვავდეს და არ გახმაურდეს. რაც უფრო მეტი აყალ-მაყალი ატყდება, უარესი იქნება კაპიტონისთვის. თუ გამწვავდა, იქნებ ავტორიტეტიც შეელახოს, სკამი ქვეშიდან გამოაცალონ

ბიბლიოთეკა

და ძირს დაენარცხოს. ამიტომ ყველაფერი უდავიდარაბოდ უნდა მოგვარდეს და, რაც შეიძლება, მალე.

დიახ, კაპიტონი თანახმაა, მისმა ქალიშვილმა და იმ ხარკაცამ თუნდაც დღესვე მოაწერონ ხელი, ყველაფერს კანონიერების ბეჭედი დაესვას ჯერჯერობით, წესიერების ფარგლებში მოექცეს, მერე კი ვნახოთ, მერე ვინ არ გაყრილა... ახლა ცოლ-ქმრის გაყრა მოდაშიც კია... მთავარია, ამას სიყვარულით მომხდარი ამბავი დაერქვას! რამდენ გოგო-ბიჭს შეჰყვარებია ერთმანეთი უცაბედად და... ველარ მოუზომავს რაღაც და ველარ დაუოკებია ურთიერთლტოლვის მხურვალე გრძნობა... მთავარია მერე ეს ცოლ-ქმრობის ბეჭედმა გაამართლოს თუნდაც დროებით. ამიტომაც მოეწონა მასპინძლის წინადადება სტუმარს და უხმოდ დაუქნია თავი.

ნესტორამ და ბენიამ ინგას მამა ცალკე ოთახში შეიყვანეს.

ეზოში ბენია ჩამოცუნცულდა და ცოლს წასჩურჩულა, მარგალიტაც შინ შეიყვანეო.

ოთახში თითქმის ძალით შეთრეული მარგალიტა ქმარს მივარდა:

— ეს რა ქვეყანა ყოფილა?! სად მომიყვანე, სად?!

— გაჩუმდი, ადამიანო! ჩვენ აქ ვვარაუდობთ, ვფიქრობთ...

— რას ფიქრობ ამდენს? შუბლის ძარღვები არ გაგიწყდეს ამდენი ფიქრით!..

— რა გინდა, ადამიანო, რა? — შეემუდარა კაპიტონი.

— რატომ ხარ ასე უხეირო? ვაი, შენს სკამზე ვიჯდე!.. გამოიყენე შენი ძალა, შეაშინე ან ისე, ან ასე! მარტო მე რომ შემატოვე პირისპირ იმ ტყიურებს, შენც ილონე რამე, სხვანაირად ილონე!

— სხვანაირად რა ვილონო, როცა ეს ხალხი მართალია?!

— ვინაა მართალი?! ორიოდე წუთით მიგატოვე მარტო და უკვე თავის შავ ქვაბში მოგხარშეს?

— ჯერ რიგიანად არ გაგიგია, რაც აქ მოხდა, აურზაური კი ატეხე! საქმეს თუ ვინმე გამიფუჭებს, შენ გამიფუჭებ, დაჯექი!

—-მაინც რა მოხდა? ახალი რა დაადგინე? ჩემმა უმანკო მტრედმა გაიტაცა ის ხარი ულრან ტყეში და ბანჯგვლიანი ტყავი შემოახია?

— გაიტყუა.

— რაც მოგიჩმახეს, უმალვე დაიჯერე?

— სხვებს არაფერი უთქვამთ, თვითონ ინგამ აღიარა...

— რა აღიარა?! ჭკუაზე ხარ?!

— ბიჭი ტყეში მე გავიტყუეო.

— ღმერთო, ნუ გადამრევ?! შეიშალა სამყარო, სულ შეიშალა! — მარგალიტამ ხელები ააკანკალა, — არა მჯერა, არა მჯერა! სად არის ჩემი შვილი?

ქმარმა მუჯკარი გაუღო და ცოლი უფრო პატარა ოთახში შეიყვანა. სავარძელზე დამხობილი ინგა ქვითინებდა.

— მოგიკვდეს, შვილო, დედა, რა ტანჯვაც მოგაყენეს, არ იკმარეს და ახლა ტყუილების თქმასაც გაიძულებენ? ადე, ჩემო გოგო, და მშვიდად მომიყევი, რაც თავს გადაგხდა. შენს თავს არავის დავაჩაგვრინებ! ხომ ხედავ, მამაშენი მშიშარაა, დამყოლიც, ყველა მტრის ჯინაზე მე და შენ ერთად ვიბრძოლოთ!

— დედა, არ გინდა!.. არ გინდა, დედა! — წამოჯდა ინგა, თავი ჩაჰკიდა და ნაცრემლარ თვალებზე ხელები მიიფარა.

— რა არ მინდა, გოგო?! ამომხედე ერთი! რაღაცას მიმალავ!

— რაღაა დასამალი! ჩემი ბრალია...

— შვილო?! შვილო?! გონს მოდი! რა არის შენი ბრალი?!

— ყველაფერი... სიყვარულმა შემაცდინა... მომეწონა, საქმროდ მომეწონა...

— ვინ? ის გაშანტლული ველური ხარკაცა რამ მოგაწონა, შე სასიკვდილე? ისიც საქმროდ! — ველარ მოითმინა და შვილს მუჯლუგუნი წაჰკრა თავში. — თვალებდასაშრეტო, მხეცი, ნადირი და პირუტყვი შეგიყვარდა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სიტყვას დაუკვირდი, დედა! ტუხა ძალიან კეთილი, სათნო, ლამაზი და ტკბილი მხეცია, დედა!

— შენ ბევრი იცი, სულელო!

— ვიცი, დედა, ზოგი რამე მაინც ვიცი უკვე... დაუძახეთ, შევევედრეთ, რომ...

— ისღა გვაკლია, იქით შევეხვეწოთ!..

— ასე შერცხვენილი თბილისში ვერ დავბრუნდები, თავმოყვარეობა კი არ დამიკარგავს... ამიერიდან ჩემი სიცოცხლე აღარ ეღირება, თუ... თავს მოვიკლავ, თავს!

— არც თავს მოიკლავ, არც მისი ცოლი გახდები. რა გაქვს თავის მოსაკლავი, ასეთი პატარა შეცდომა ვის არ მოსვლია, გენაცვალე!

დედისერთა ინგას არ დავიწყნია, აქამდე ოჯახში მეფე რომ იყო. ხელში ჰყავდა აყვანილი დედ-მამა. მისი ყველა სურვილი თუ ჭირვეული მოთხოვნა დაუყოვნებლივ რომ სრულდებოდა. ახლა, ნებიერა გოგომ დედ-მამა რომ დაინახა, ისევ იმ ინგად იქცა.

— მიდით, შეეხვეწეთ!.. თორემ!..

— ღირს კიდევ ამ სამყაროში ჩემი სიცოცხლე? — მარგალიტამ ხელჩანთიდან რაღაც ამოიღო და გადაყლაპა.

ეს შეუმჩნეველი არ დარჩენია ნესტორას და უმალვე გააფრთხილა კაპიტონი:

— ბატონო ხარიტონიჩ, თქვენმა მეუღლემ, მგონი, ჩუმად საწამლავი...

— თავს გვაცოდებს, აქაოდა, აბებით მიდგას სულიო. — სტუმარმა უმალვე გაუქარწყლა შიში მასპინძელს. — შინაც ასე იქცევა ხოლმე.

— თუ ტუხას არ დაითანხმებთ, თავს არ ვიცოცხლებ, არა! — უკვე მერამდენედ იმეორებს ინგა.

მამა თანდათან შეაშინა ამ მუქარამ, დედის სიკერპე კი ჯერჯერობით ვერ მოტეხა:

— ვაი, ვაი! ისე დავეცემი, ამათ გავუყადრო თავი? წამო, წამო! — ხელი ჩაავლო კაპიტონს.

— სად წამოვიდე, ადამიანო?

— მოკიდე ხელი შენს გა[illegible]ბულ გოგოს და ჩაისვი მანქანაში, მოვშორდეთ ამ საგიჟეთს, სანამ ჩვენც გაგვაგიჟებენ... მერე მე ვიპოვი სამართალს! წამო-მეთქი!

— სად წამოვიდე, მარგალიტა? ცოტა მაინც დაუფიქრდი, ამას რა მოჰყვება.

— არაფერი სხვა არ ვიცი, აქაურობას უნდა მოვშორდეთ.

— არა გაცოდინარა ღმერთმა! წამო, ცალკე ვილაპარაკოთ. ასე სახელგატეხილი გოგო თბილისში რომ ჩავიყვანოთ, ზოგი ჩემი ავადმოსურნე ამ შემთხვევას უმალვე თითზე დაიხვევს და ათასნაირ კუდს გამოაბამს, ყოველნაირად შემიბღალავს სახელს. მტრებმა იქნებ ათასნაირი ხრიკიც მომიწყონ და... ჩამომაქვეითონ. მერე, ერთხელვე თუ გამაფუჭეს, ყველა მიგანებს... შენ ბევრი რამე არ იცი. ეს ავი ცეცხლი აქვე ჩავაქროთ უწყინრად. აგერ, ხომ დარწმუნდი, ყველაფერი სიყვარულით მომხდარა, რაც სიყვარულით ხდება, დანაშაული არაა. ახლა უეჭველად ცოლ-ქმრობის უღელში უნდა გაებან. ხომ მართალს ვამბობ, მასპინძელო? — მიუბრუნდა კაპიტონი ნესტორას.

— რა თქმა უნდა, თქვენ მართალს ბრძანებდით, მაგრამ, ბოდიში და, კარგად ვერ გავიგონე, რაზე ბრძანებთ? — იკითხა მასპინძელმა.

— ეტყობა, ჩემი ქალიშვილი აქ ბედმა გადმოაგდო და ჩვენც უნდა შევურიგდეთ ამ ბედს... მივესალმოთ, დავლოცოთ...

— დიახ., ჭეშმარიტად! სრულიად სწორი გადაწყვეტილებაა, ბრძნული! — უმალვე კვერი დაუკრა კაპიტონს ნესტორამ.

იღიმება მასპინძელი და ამ ღიმილში ამჟამად სიყალბის ფიორი არ ურევია. ნამდვილად უხარია, რომ არც კაპიტონისთვისაა ხელსაყრელი ამ ამბის გამწვავება. ეს ყოველმხრივ სასთამოვნოა ჯერჯერობით მაინც. მთავარია, ნესტორამ რაიონის ხელმძღვანელს

შეუსრულოს განკარგულება — არც მწვადი დაწვას, არც შამფური.

— ო, ჩემი ქალბატონი კი ისევ ორჭოფობს... — ეს კაპიტონმა უფრო მარგალიტას გასაგონად თქვა, შეხედე, შენს გარდა ყველა მე მეთანხმება და მოლბიო.

— არა, მე ჩემი ჭკუა მაქვს! — ხელებს ასავსავებს ინგას დედა.

— აჰ, ასე რავა შეიძლება, ქალბატონო მარგალიტა, ფრიად გონიერი ადამიანი ბრძანდებით, მაგრამ, არც თქვენი მეუღლეა ნაკლები! დავუჯეროთ კაპიტონ ხარიტონიჩს, საქართველო ყურალესილი უსმენს და ჩვენ არ დავუჯეროთ? უხერხულიც კია... ამ ეტაპზე მთავარია, ბიჭი როგორმე დავიყოლიოთ.

— არავითარ შემთხვევაში, ამ წუთასვე მიმყავს ინგა თბილისში, ახლავე! ჩემს ანგელოზ გოგოს ქმარს ვერ ვუშოვი? ღმერთო კი მომკალი, ჩემი ცხოვრებისთვის, იცით, თბილისში რამდენი ბიჭი იკლავს თავს? ჩაყვანისთანავე გავათხოვებ და ეს უბედურება მესამე დღესვე დაავიწყდება. ასე პატარა შეცდომისთვის ასე მდიდარი ოჯახის შვილს ვინ დაიწუნებს.

თითქოს იატაკიდან ამოძვრაო, ოთახში მოულოდნელად გაჩნდა ჯონი. ვერავინ შენიშნა, როდის შემოიპარა თუ შემოეხეტა. აგვისტოს სიცხეში კვლავ შავი კოსტიუმი აცვია და გრძელი ჭრელაჭრულა ჰალსტუხი უკეთია. მარცხენა მკლავზე წინანდებურად გადაუფენია საწვიმარი ლაბადა, რომელიც, ეტყობა, ავგაროზივით მუდამ თან დააქვს დარსა თუ ავდარში. მოულოდნელმა სტუმარმა სათვალე მოიხსნა, ისევ გაიკეთა და მარჯვენა ხელი მოწაფესავით ასწია, მასწავლებელს გაკვეთილის მოყოლას რომ სთხოვს:

— ტუხია კატეგორიულ უარს აცხადებს, ინგას არ ვითხოვო, როგორადაც არ უნდა დამსაჯონ, არ შევირთავო. ჩემი ორივე ყურით გავიგონე!..

მარგალიტა გაკვირვებით მიაშტერდა.

— შენ ვინა ხარ და აქ რა გინდა? — ალმაცერად შეხედა კაპიტონმა.

— თქვენ მიცნობთ, ბატონო პატივცემულო კაპიტონ! ერთხელ ნამყოფი ვარ თქვენთან.

— სამსახურში?

— არა, შინ.

— არ მახსოვს. რამდენი ვინმე შემხვედრია და ისიც ერთხელ, ყველას დამახსოვრებას რა თავი ეყოფა. არ მახსოვხარ, ყმაწვილო!

— მე პერსპექტიული კაცი ვარ.

— რა პერსპექტიული კაცი? აქ პერსპექტივა რა შუაშია?

— მაშინ ჯობია სინათლე მოვფინოთ... ოღონდ, ზუსტად არ ვიცი უფრო მარტივად როგორ აგიხსნათ... იქნებ ამჟამად, ბევრი არაფერი ვიყო, მაგრამ ყველაფერი განიხილება მომავლის ჭრილით, პერსპექტიული განხრით... მე ასპირანტურადამთავრებული გახლავართ, მომავალი მეცნიერებათა კანდიდატი, მომავალი დოქტორი და ასე შემდეგ, სულ მომავალი და მომავალი!.. სუვოროვმა თქვა: ის რა ჯარისკაცია, მარშლობაზე რომ არ ოცნებობსო... სამი ენა ვიცი, თანაც ზედმიწევნით, ასე რომ...

— მეცნიერებაში მიბრძანდი, ბატონო, აქ ვინ შემოგიშვა? რას ეძებ? ჩვენგან რა გინდა?

— მე თანახმა ვარ.

— ვისი და რისი? ტუხას გადაწყვეტილებას ექომაგები, თუ...

— ეგ შუშაბანდიანი მომავალი დიდი მეცნიერი ჩემ შერთვაზე თანახმაა აქამდე ვერ მიხვდით? — ამრეზილად წამოიძახა ინგამ.

— აჰა! — მრავალმნიშვნელოვნად თქვა კაპიტონმა.

— დიახ, თანახმა ვარ, თქვენი ასული ვითხოვო, მიუხედავად ყველაფრისა. რაც მოხდა, მოხდა, მიპატიებია! მე მაინც შევირთავ! ჩემს სიყვარულს ვერაფერი შეცვლის!.. მე კარგა ხანია მიყვარს თქვენი ასული... მე პერსპექტიული მეცნიერი ვარ. ბედნიერი იქნებით ბოლოს. მეც ბედნიერი ვიქნები,

მშვენიერი ინგაც. ინგა! ახლა მაინც დამეთანხმე! მე შენს უბედურებაში არასოდეს მიგატოვებ!

ყველა ინგას მიაშტერდა, რას იტყვის ან როგორ მოიქცევაო.

ინგამ ტუჩი მოიკვნიტა, ერთი ალმაცერად გახედა ჯონის, ხელი მოწყვეტით მოუქნია და სილა გამეტებით სტკიცა.

ჯონის სათვალე ჰაერში გაფრინდა, ფანჯრის მინას მიეხალა და რაფაზე დავარდა. არ გამტყდარა.

— მომშორდი! გაეთრიე აქედან!

— შვილო, რას ერჩი?! — გაუკვირდა დედას შვილის სიუხეშე. — პატიოსანმა განათლებულმა ახალგაზრდამ გულწრფელად შემოგთავაზა ხელი.

— ხელი შემომთავაზა! ფეხებზე ჰკიდია, ჩემი ხელი როგორი იქნება, ოღონდაც მამაჩემის ქონებას დაეპატრონოს! უკანასკნელი ნაძირალა! გაეთრიე-მეთქი აქედან! რაღას უყურებ?

— სათვალე, ჩემი სათვალე! — დაბეცებულმა ხელები ნოხდაფენილ იატაკზე აафათურა. .

ნესტორმა სათვალე მიაწოდა.

— მე წავალ, წავალ, მაგრამ... თქვენ დაფიქრდით... დღეს, ეტყობა, ნერვებმოშლილები ხართ და თვითონვე ვერ ანგარიშობთ, რას სჩადიხართ... მიუხედავად ამ დიდი შეურაცხყოფისა, მე მაინც დაგელოდებით, დაგელოდებით! — ჯონიმ ლაბადა მარჯვენა მკლავზე გადაიგდო და გამარჯვებულივით თავაწეული წავიდა.

— ხედავ, მარგალიტა, თბილისში რა სასძოები გელოდებიან! ამ პერსპექტიულ მეცნიერს ის თუნდაც სოფლელი ბიჭი არ გვირჩევნია?

— არ მინდა მაჯლაჯუნა სიძე! — მარგალიტამ ცირკის გოშიას თათებივით აატატა ბეჭდებით დახუნძლული ხელები. — არ მინდა მე, არა!

— მარგალიტა, აქ არტისტობას ნუ დამიწყებ! გონს მოდი და შეურიგდი ბედს! ასე არ მომხდარიყო, დიახაც, ჯობდა, მაგრამ მოხდა და გადავყევით თანა? მიდი ბიჭის დედასთან მშვიდად და მოელაპარაკე. დედა დედას უკეთ გაუგებს ხვაშიადს. ეგებ დაიყოლიოს თავისი ვაჟი, თორემ დაგვეღუპება ქალიშვილი და ჩვენც დავიღუპებით! მიდი-მეთქი, ადამიანო!

— მაშასადამე, იქით შევეხვეწოთ? მიწაზე გავერთხათ და შევევედროთ, როგორც ღმერთს, შვილი გადაგვირჩინე-მეთქი? სხვა ვერაფერი მოიფიქრე? საცოდავი ხარ! — მარგალიტამ არც აცივა, არც აცხელა, დაჰკრა ფეხი, აივანზე გავიდა და სამზადის წინ წინანდებურად მდგარ დარიკოს გადასძახა: — რას დამდგარხარ მათხოვარივით? ვერ გაიგე, შენი ვაჟი რომ არ მინდა სიძედ? ჩემს გოგოს რიყის ქვას ჩავაბამ კისერზე და კატასავით წყალში გადავუძახებ, თქვენ კი არ მოგცემთ, არა!

— ხალხო, ვინ მოატყუა ეს ქალი? გააგებინეთ, რომ ჩემს შვილს არ უნდა მაგის გოგო!.. არც მე მინდა!

მარგალიტამ დარიკოს ყური არ ათხოვა, ისევ მუქარა დაიწყო. ამასობაში კაპიტონიც გამობრძანდა:

— შინ შედი, მარგალიტა, შედი, ადამიანო! ვერც ხვდები, რას სჩადიხარ!

— ცუდი არაფერიც არ ჩამიდენია!

— ხალხს ალიზიანებ და საქმე უკუღმართად მიგყავს. ჩვენ გვაცალე, იქნებ წესიერად რამე გავარიგოთ.

— რა უნდა გაარიგო, რა? მე ვუჩვენებ ამათ სეირს!.. ტყვიით გავუსწორდები, ტყვიით!

— შინ შევიდეთ, იქ მოგელაპარაკები! — ჩუმად, მაგრამ ისეთი გაბრაზებით უთხრა კაპიტონმა, მარგალიტა იძულებული გახდა წინ გასძღოლოდა უხმოდ, მაგრამ სასტუმრო დარბაზში შესვლისთანავე კი აკივლდა.

— აღარ ღირს ჩემი სიცოცხლე თქვენს ხელში, აღარ! თავს დავიხრჩობ! — ხელები ყელში ვითომ მაგრად წაიჭირა და თვალებიც განგებ დახუჭა, მაგრამ სუნთქვა ოდნავადაც არ შეჰკვრია.

— თავს შენით ვერ დაიხრჩობ, ქა-

ლზატონო, თოკი მოიშველიე, — ურჩია ქმარმა მშვიდად.

— დედა, რა გულგრილი და თავშეუდებელი ხალხი მახვევია, არავის ვენაღვლები, თქვენს ჯიბრზე სულაც არ დავიხრჩობ თავს, არა!

— მაშინ საწამლავი დალიე!

— არც საწამლავს დავლევ!.. ვაიმე! — გულზე იტაცა ხელი. — რაღაცამ მახათივით მიჩხვლიტა! ვაიმე!.. — ჯერ შეტორტმანდა მარგალიტა, მერე ისე მოეშვა, თითქოს მას სხეულს ყველა ძვალი გამოეცალაო. ეს უძლო ხორცი ცომივით დაეტყეპა ძირს.

დიახ, მარგალიტა გულშეწუხებული მიესვენა იატაკზე.

— წყალი! — წამოიძახა არიშამ.

— ვალერიანი ასუნთქეთ! — დაიძახა ბალიკომ.

— ნუ შეწუხდებით, არაფერი არ უნდა. ცოტა ხანს დაისვენებს, ადგება და ისევ ის იქნება, რაც იყო. როდესაც სიტყვა და ძალა არ ყოფნის, ასე უწუხდება გული. — დაამშვიდა ხალხი კაპიტონმა.

მერე კარუსელივით დატრიალდა ამბები. ცოლი თვითონ ეხვეწებოდა ქმარს: მიდი ტუხას დედასთან და როგორმე დაიყოლიე, მისმა ბიჭმა ჩვენი ინგა შეირთოსო. აუხსენი, ეს შეცდომა ჩემს გოგოს წრფელი სიყვარულით მოსვლია და ნუ გაწირავთ, დანაშაული აპატიეთ-თქო.

კაპიტონმა ცალკე ოთახში მოიწვია დარიკო და შემარიგებლური საუბარი გაუბა. დარიკომ თავიდანვე ცივი უარი სტკიცა: ჩვენი დამოყვრება არ მოხდებაო.

— უმაღლესში ვასწავლი, კაცს გამოვიყვან! — დაპირდა კაპიტონი.

— ვერ ასწავლი! — თავი გადააქნია დარიკომ.

— ვასწავლი. სამედიცინოზე დავსვამ, ექიმის დიპლომს ჩავუდებ ჯიბეში. ნამდვილად ასე უთხრა, დავსვამო. ჩავაბარებინებ კი არა, დავსვამო.

— ჩემ ბიჭს საშუალოს დამთავრების მოწმობაც არა აქვს.

— მაგაზე ადვილი რა არის, დალოცვილო?! საშუალო სკოლისაც მიზანლისში დავამთავრებინებ... უსწავლელად და უგამოცდოდ ავაღებინებ ატესტატს. ოღონდ შენი ბიჭი ნუ გაჯიუტდება და ყველაფერს გავჩარხავთ. იმდენი ნაცნობ-მოყვარე, ნათესავ-მირონი გვყავს, თუ დაგვჭირდა, მთვარიდან ჩამოვიტანთ იმ რაღაც ფარატინა ქაღალდს, ატესტატი რომ ჰქვია.

კაპიტონმა ამით ისიც ჩაუარაკა — ყოვლის შემძლენი ვართო.

დარიკომ ისევ თავი გადააქნია:

— არა მგონია, ჩემი შვილი ქალაქში წამოგყვეთ!

მერე თვითონ ტუხასაც ესაუბრა კაპიტონი ასევე ცალკე, ოღონდ მეტი დაპირებებით. ტუხამ კიდევ უფრო ცივი უარი სტკიცა.

ჯერი მილიციის უფროსზე მიდგა.

— არისტო, ცალ-ცალკე რომ მევაჭრებით, გგონია, ასე უფრო ადვილად გავიყიდები? — ტუხამ წარბი შეათამაშა.

ამით ამოიწურა ყოველგვარი გარიგების თადარიგი.

მერე სამთა თათბირი შედგა ცალკე. შეიკრიბნენ: არისტო, ნესტორა და კაპიტონი. გადაწყდა ტუხას დაპატიმრება და დაუყოვნებლივ ღარულის ციხეში წაყვანა.

— ოღონდ, ჯერჯერობით მდგომარეობას ნუ გავამწვავებთ, პატიმარს კარგად მოეპყარით, პატივისცემითაც კი. ეშმაკმა უწყის, იქნებ მალე საქმე კეთილად შემოტრიალდეს და მერე უხეშობა სანანებლად არ დაგვირჩეს. ჯერჯერობით იმედს ნუ დავკარგავთ, ამხანაგებო! — ასე დაასკვნა კაპიტონმა ბოლოს, რომელიც კიდევ იმედოვნებდა, დაშინებით თუ სხვა ხერხით ტუხას ჩემს სიძეობაზე უეჭველად დავითანხმებო.

— შვილო, არაფერმა შეგაშინოს, — უსაგზლა დარიკომ შვილს, — თვალიც ისე დაიჭირე, გულგატეხილობის ნატამალიც არ გეტყობოდეს, თორემ ად-

ვილად მოგერევიან. წურც ბოღმას ჩაიდებ გულში, გაბოღმებულმა კაცმა ხშირად თვითონაც არ იცის, რას სჩადის.

— დედა, ისე მარიგებ ჭკუას, თითქოს არ მიცნობდე, — ტკივილნარევი ღიმილით შებედა შვილმა. — პატარა აღარა ვარ.

— ჩემთვის, ბიჭო, შენ ყოველთვის პატარა ხარ და მუდამ პატარა იქნები. შენ რომ ჭკუას გარიგებ, გული მიხალვათდება.

— იმედი გქონდეს, სადაც არ უნდა წამიყვანონ, ჩემს თავს არ დავკარგავ, შენ კი, დედი, ყოველ შემთხვევისათვის, სამ რამესა გთხოვ...

— ათასი მთხოვე, რაც შემიძლია... პირველი?

— არ იდარდო, დედი, რაც არ უნდა მოხდეს, არ იდარდო.

— ეჰ, შვილო, ყოვლად შეუძლებელია, ასეთ დროს დედამ არ იდარდოს. ოღონდ ვეცდები, მოვერიო ჭირ-ვარამს; დიახაც ვიცი, ახლა მეტი სიმხნევე რომ მმართებს... შენ რომ შინ დაგაბრუნონ. მეორე?

— თეონა ინახულე უეჭველად და ანუგეშე. შენთვის არ უღალატნია და არც არასოდეს გიღალატებს-თქო. დიდი გაუგებრობა მოხდა, ამ გაუგებრობის ბურუსს გაფანტავს და ხვალ თუ ზეგ უეჭველად დაგიბრუნდება-თქო. — აქ ტუხას ხმა ჩაუწყდა, ეტყობა, გული შეეკუმშა და ყელში უხილავი ბურთი მოაწვა.

ეს უმალვე იგრძნო დედამ და სიტყვა მიაშველა:

— თეონას უეჭველად ვინახულებ და ყველაფერს ავუხსნი. მე ვიქნები მისი დიდი ნუგეში და, ვეცდები, ის გოგო ჩემს დიდ ნუგეშად გავიხადო. მესამე?

— ჩემს ცელსაც შენ გიტოვებ მოსავლელად. მთაში დამრჩა. იცი, სადაც ვინახავ. თუ შემაგვიანდეს, ჩამოიტანე შინ და მოუარე, არ დაიჟანგოს. რა მოგივიდა, დედი? ცრემლი, ცრემლი არ დამანახო!.. სატირალი მტერს ჰქონდეს.

— ეს არაფერია, შვილო, არაფერი!.. დედის ცრემლები ნუ შეგაშფოთებს, აღარ ვიტირებ, აღარ! ა, უკვე ბრაზობს თოფიანი ხალხი, ნუღარ გვალოდინებთო. წაჰყევი ახლა და, აბა, შენ იცი... თუ შემომიშვეს, იქაც მოგაკითხავ მალე!..

ორი მილიციელის და არისტოს თანხლებით ტუხა თავჩაღუნული გავიდა ნესტორას ჭიშკრიდან.

ორმა მილიციელმა ტუხა ძარადახურულ შავ მანქანაში აიყვანა. მაიორი კაბინაში შეძვრა და პატიმარი ბერხევიდან ღარულასკენ გააქანეს.

## სამყარო ცისფერ გურუსში

რკინის კარებიან საკანში მარტო დარჩა ტუხა. რბილი სავარძელი უდგას, სავარძლის წინ სუფრაა გაშლილი, ჩიტის რძეც არ აკლია. პურ-მარილისკენ ერთხელაც არ გაექცა თვალი.

ეს საკანი იმასთან შედარებით, წინა დაპატიმრებისას რომ მიუჩინეს, თითქმის ოთხჯერ მეტია. ეტყობა, ერთი კაცისთვის არცაა განკუთვნილი.

საკანს ჭერის კუთხესთან გამოჭრილი, რკინის რიკულებით აჭედილი ვიწრო სარკმელი დაჰყურებს. აქედან ღრუბლიანი ცის პატარა ნაჭერი ჩანს და ერთი მუჭა სინათლე ჩამოდის. ეს სინათლეც ყოფნის ტუხას, წარწერებით აჭრელებული კედლები რომ დაათვალიეროს. რაღა არ წერია და არ ხატია — უმრავლესობა უწმაწური. ბევრს დაუტოვებია აქ თავისი კვალი. აბა, საკანში პატიმარმა რა გააკეთოს? რაღაცით ხომ უნდა გაერთოს? მერე კი, ეტყობა, წამშლელიც აღარავინ გამოჩენილა.

სამარისებური სიჩუმეა ახლა აქ. მხოლოდ ბზუილი ისმის ხოლმე. ბორაბუზი ჭერზე თავის ჩრდილს ეხუბება.

ცამ ჭექა-ქუხილი ატეხა. პატიმარმა ყური მიუგდო. წვიმის ხმა ვერ გაიგონა.

„ალბათ, სხვაგან წამოუშინა. იქნებ თეონა მინდორშია და აწვიმს. თავშესაფარს კი არ ეძებს, წვიმაში დგას... ასე ურჩევნია... ჰო, ასე ურჩევნია, მის თავზე ცა რომ ტირის... ჰგონია, ცა რაღაცნაირად თანამიგრძნობსო..."

ფიქრი ფიქრს გადაება.

არის ფიქრი, სიკვდილამდე რომ ეხვიოს, არ მოსწყინდება ტუხას. ახლა ყველა ფიქრით თეონას დასტრიალებს თავს.

გოგო მხარზე კოკაშედგმული მიუყვება აღმართს, დაინახა ტუხა და ტიროლი წასკდა.

— რა მოგივიდა, გულო?

თეონა გაიქცა. კოკიდან წყალი მხრებზე ელვრება.

გაეკიდა ტუხა, დაიჭირა, კოკა ჩამოადგმევინა.

— რა გატირებს, გულო? რა გატირებს-მეთქი? ხმა გამეცი, გულო!..

— უგულო, უგულო!.. ასე სულ გულოს მეძახდი და სიყვარულს მეფიცებოდი, მოულოდნელად კი... წაჰყევი ახლა იმ ქალაქელ მდიდარ გოგოს. იპოვე შენი შესაფერისი?

— მომისმინე, გულო, კარგად მომისმინე!

— ოღონდ არ მითხრა, იმ საღამოს რომ უარი გითხარი — არ გამოგყვები-მეთქი, თითქოს მართალი გეგონა, გული მოგივიდა, გაბოღმებული იმ გომბიოს გადაეყარე და... ყველაფერი უნებლიეთ მოხდა. ტყუილი იქნება ეს.

— რატომ იქნება ტყუილი, გულო?

— ესე იგი, სულით და გულით არ გყვარებივარ. პირველსავე თქმაზე ხომ არ დაგეთანხმებოდი? ქალი ვარ, ყასიდად სამიოდე უარი მაინც არ მეთქვა? განა ისე კი ვერ მატყობდი, რომ მიყვარდი? რაც თავი მახსოვს, შენ მიყვარხარ მხოლოდ. ბავშვობისას ჭინჭრით რომ დამსუსხე, იმის მერე სულ შენზე ვფიქრობ...

— მე კი მეგონა, ვაითუ, მაშინ ჩემს გულოს შევძულდი-მეთქი! — ამას განგებ ეუბნება ტუხა, რომ კიდევ ათქმევინოს ასეთი რამ გოგოს...

და ისიც ეუბნება იმას, რაც თვითონ სწადია. ახლა ტუხას ნება არაა, რას ეტყვის თეონა!

— ჰო, სულ შენზე ვფიქრობდი. ახლა კი, მგონი, გვიანია ყველაფერი...

— რატომ არის გვიანი?

— შენ უკვე სხვისი ხარ.

— არაფერი სხვისიც არა ვარ. მე მხოლოდ შენი ვარ, გულო, მხოლოდ შენი. სხვა მე არავინ არ მიყვარს.

— მე კი რატომ გიყვარვარ, ტუხა, აი, ამიხსენი, ამიხსენი!

— ვერ აგიხსნი. დაფიქრებულა ვინმე, რატომ უყვარს სუნთქვა? მეც ასე მიყვარხარ. შენ ჩემი სუნთქვა ხარ.

— ის ძალიან მდიდარია, ათას წელიწადს რომ იცოცხლო და თითიც არ გაანძრიო, არაფერი მოგაკლდება. ყოველდღე ზღაპარში გეგონება თავი...

— მე ჩემი სიმდიდრეც მყოფნის... ყველაფრად.

— იმასთან ყოველნაირად ბედნიერი იქნები...

— პირიქით, უბედური ვიქნები. რაც არ უნდა მოხდეს, თეონა, მე შენი ვარ, მხოლოდ შენი! — ფიცივით იმეორებს ტუხა. — არ მიღალატო, თუ არა, თავს მოვიკლავ! ხომ არ მიღალატებ?

არ გიღალატებო, თვალებით ეუბნება თეონა; ეს მისი თვალები ეფიცებიან ტუხას უსიტყვოდ, ფიცი კი ცასა და მიწას ესმის.

— ერთადერთი ვის წინაშეც თავს დამნაშავედ ვგრძნობ, შენა ხარ, გულო! არც ჩემ წინაშე, არც სხვის წინაშე, მხოლოდ შენს წინაშე დავაშავე. არ უნდა ავყოლოდი ქალაქელ გოგოს. ეფიქრა ჩემზე, რაც მოეპრიანებოდა, ამით მე რა დამაკლდებოდა. ყველა ადამიანს ხელეწიფება, იფიქროს, რაც სწადია. იმასაც ჰგონებოდა თუნდაც ყველაზე ცუდი რამ... ცუდად შენ რომ გეფიქრა, ის იქნებოდა სავალალო, მაგრამ შენ ასე არც არასდროს იფიქრებდი, მჯერა... მე კი ამქვეყნად შენთვის მოვედი... ამიტომაც მხოლოდ შენს წინაშე ვარ დამნაშავე... მაპატიე! — ტუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხამ მოსახვევად გაიშვირა მკლავები, თეონა გაქრა.

საკნის გასაღებმა გაიჭრიალა და კარი გაიღო. ტუხამ კარისკენ მიიხედა და შაკოს შემოსვლა არ ესიამოვნა, უმალვე შებრუნდა იქითკენ, თეონა რომ ეგულებოდა, მაგრამ ახლა აღარც თეონა ჩანდა სადმე, აღარც მისი ხმა ისმოდა.

მილიციელმა ცემენტის იატაკზე ჭრელი ნოხი დააფინა.

ტუხა შაკოს ადრე არაფერზე ემდუროდა, მაგრამ რაკი ახლა ნეტარი ფიქრი დაურღვია, ისე შეუღრინა, თითქოს თეონა აქედან ამ აყლაყუდა მილიციელს გაეგდოს ნამდვილად.

— ხომ ხარ კარგად, ბიჭო? — ყურადღებისა და გულითადობის ნიშნად ჰკითხა მილიციელმა პატიმარს.

— მეტი რა გზა მაქვს! — მიუგო ტუხამ ისე, მისკენ არც მიუხედავს.

— ამ პატარა ღიოფა ნათურას გამოგიცვლი, დიდს დაგიკიდებ, ბრდღვიალას. ანდა, საკუთრად შენთვის გამოვაყვანინებ ელექტრონის სხვა ხაზს. გავაჩახჩახებ აქაურობას.

— თუ გინდათ, ეს ღიოფაც მოხსენით. მე ის შუქიც მყოფნის, სარკმელში რომ შემოდის. ამ კედლების სიგლახეს ისედაც ვხედავ.

— ღამით? ღამით ხომ გინდა სინათლე?

— ღამით სულ არ მჭირდება შუქი. ღამე ძილისთვის და სიზმრისთვისაა გაჩენილი. სიზმარს რად უნდა ელექტრონი?

— რავარც გინდოდეს, შენი ნებაა.

— რაო? რას ამბობს ხალხი ჩემზე?

— ზოგი ასე ლაპარაკობს, ზოგი — ისე.

— მაინც?

არისტოს არ დაურიგებია შაკო: ასეთი რამ თუ გკითხოს, ასე და ისე უპასუხეო, ამიტომ შეყოვნდა.

— მაინც რაო? — ისევ ჩაჰკითხა ტუხამ.

— ზოგი ამბობს, სწორად მოიქცნენ, რომ ჩასვესო. ასეთი მორიდებული ბიჭი ციხეში უნდა დამალო, რომ ისევ არ მოიტაცოს იმ ქალაქელმა გომბიომო. ზოგიც ჩვენ გვეხვეწება: ურჩიეთ ტუხას, შეირთოს ის გოგო დროებით მაინც, ნურც თავს დაიღუპავს, ნურც ჩვენ გაგვაუბედურებსო.

— ვერ გავიგე, შაკო. ვთქვათ, თავი დავიღუპე, მაგრამ, სხვებს რანაირად გავაუბედურებ?

— დიდ კაცს თუ აწყენინეს, ხომ იცი, გადაემტერება მთელ რაიონს და არაფერს გამოაგზავნინებს აქეთ. მერე, ვინღა გაგიჩერდება სოფლებში ან ამ ჩვენს პატარა ქალაქში, ისედაც ბევრი გარბის...

— ბიჭოს, რამდენი რამე ყოფილა ჩემს ამბავზე დამოკიდებული?!

— აბა, არ იცოდი?

— ნიყვი დაუჭყლეტავად თუ მიუტანე ცოლს?

— უ, ჰუ, ჰუ, ჰუ! რატომ მომაგონე? ასეთი გემრიელი ჩემ სიცოცხლეში არაფერი მიჭამია. შემწვარი მწყერის ხორციც კი. ჩემმა ცოლმა დიდი მადლობა შემოგითვალა. ცოდვა გამხელილი ჯობია, გულში გავივლე: ტუხას მთელი ეს ამბავი, სხვა თუ არაფერი ამ ნიყვისთვის ღირდა-მეთქი. კიდევ დამრჩა. თუ გინდა, შეგიწვამ და მოგირბენინებ.

— ნუ შეიწუხებ თავს.

— იქნებ გეშინია, ბიჭო, ჰა? — გამომცდელად შეხედა შაკომ.

— რისი? — შეკითხვა დაუბრუნა ტუხამ.

— ეჭვს დიდი თვალი აქვს. ამ სუფრისთვისაც არ გიხლია ხელი. არც ჭამ, არც სვამ...

— არაფერი არ მინდა.

— არ გვენდობი? მოწამლული გგონია? — შაკომ საბაბი იშოვა და სუფრას მადიანად დაუტრიალდა. — ა, მიყურე მე!.. — ცოტ-ცოტა ყველა საჭმელი გასინჯა, ღვინოც ყველა დააჭაშნიკა. სასმელმა ჭამის მადა კიდევ უფრო გაუღვიძა და სუფრას გუნებიერად მიუჯდა.

— მოდი, ბიჭო, დამიმშვენე გვერდი! მე და შენ აქ სხვა რა საქმე გვაქვს,

ვიქეიფოთ რჯულზე! ასეთ სუფრას მეორედ ვინღა მაღირსებს, სიზმარშიც კი. გაგიმარჯოს! შენისთანა კარგი ვაჟკაცი, ჩემო ტუხა, არა მგონია, მსოფლიოში მოიძებნებოდეს, შენ ყოველგვარი სიკეთით შემკული ადამიანი ხარ. ხომ მართალია? ჰე, დალოცვილის შვილო, ამოიღე ხმა!

— რა ვთქვა? ალბათ, ვისთვის კარგი ვარ, ვისთვის ცუდი, მავანისთვის კეთილი, მავანისთვის ბოროტი, ერთისთვის ბრძენი, მეორისთვის სულელი...

—დაჯექი, ბიჭო! ჩვენისთანა პატარა ხალხთან პურის ჭამას აღარ კადრულობ? რაც აქაა მოტანილი, თუ არ მოგწონს, სხვა რამეს დავუკვეთავ ახლავე. მითხარი, რა გიყვარს? რას დალევ? ღვინო არც ერთი არ გესიამოვნება? არც წითელი, არც თეთრი, არც შავი? იქნება შამპანური გირჩევნია, ან რომელიმე კონიაკი?

— შამპანური რა ჩემი საქმეა, არც კონიაკს ვსვამ. შენ ის მითხარი, რაო, რა დაგავალეს?

— რაზე ამბობ?

— კარგი მსმელ-მჭამელი და მომლხენი კაცი ხარ და პატიმარი სუფრასთან გაგვიმხიარულეო? განგებ მომიჩინეს შენი თავი, ხომ?

— შენ, ჩემო უმცროსო ძმაო, მგონი, გულთმისანიც ხარ, თუ გულთმისანი არა ხარ, რანაირად მიხვდი ამას? გითხრა ვინმემ?

— ისიც ხომ არ გითხრეს, დაათვრე, იქნებ მერე ჩვენს რჯულზე მოდგესო?

— არა, დედის სული ნუ წამიწყდება, ეგ ქარაგმულადაც არავის უთქვამს. მარტო რომ არ მოეწყინოს, გაართეო. ჰოდა, შენც იცი, პირის გემოს არ ვემდური, მიყვარს ჭამა-სმა და უარს რატომ ვეტყოდი? მით უმეტეს, შენისთანა კაი ადამიანთან ქეიფს რა ჯობია, ბიჭო? შენ შორიდან ანათებ, ტუხა, შენი სულის მზე ანათებს. ღმერთის ნათლული ამირანი ხარ...

— მე საერთოდ არა ვარ მონათლული, — ჩაილაპარაკა ტუხამ.

— ეგ არაფერსაც არ ნიშნავს, — სიტყვის გეზი არ შეიცვალა მილიციელმა, — ღმერთი ისე ნათლავს ადამიანს, ძეხორციელი ვერაფერს იგებს... შენ დევებთან და ქაჯებთან მორკინალი ამირანი ხარ, დედაშენს ტყუილად კი არა ჰქვია დარეჯანი...

— დედაჩემს დარიკო ჰქვია.

— დარიკო და დარეჯანი ვინ გაყო, ბიჭო, ერთი სახელია. შენ დარეჯანის ვაჟი ამირანი ხარ... ტუხა შინაურულად გქვია... მოფერებით. დედ-მამამ ამირანი ღმერთს მოანათვლინა. ღმერთმა კიდევ ამირანს დაანათლა ღ ქანებული ზვავის შეუპოვრობა, თორმეტი უღელი ხარ-კამეჩის ძალ-ღონე და მგლის მუხლი, ბავშვობაში — ობლობა და გაჭირვება, ხოლო ვაჟკაცობაში — ომი და გამარჯვება. კაცმა რომ თქვას, რა გაკლია ამირანობას? შენ ზღაპრის ამირანზე უკეთესიც ხარ, ამირანი ზოგჯერ თავის ღმერთეულ ძალ-ღონეს ბოროტად იყენებდა, შენ კი ეგ შენი ვაჟკაცობა ბოროტად ერთხელაც არავისთან გამოგიყენებია, უკეთური და ავი საქმე არასდროს ჩაგიდენია. ჰოდა, შენი მზიანი სულის სიკეთეს გაუმარჯოს კიდევ! ერთმანეთს არ დაგაშორებთ და შენთან ერთად გაუმარჯოს დედაშენსაც, შენს დამბადებელს, ვინც შენი სიკეთე გაუჩინა ქვეყნიერებას! ის დღეს ყველაზე მეტადაც ღელავს, ალბათ, შენზე მეტადაც კი. ვუსურვოთ, აგანგაშებული გული მალე დაწყნარებოდეს, ყველაფერი ბედნიერად დაგვირგვინებულიყოს! — შაკომ თავი უკან გადაიგდო, თეთრი ღვინით სავსე დიდი გათლილი ჭიქა ტუჩებთან ახლოსაც არ მიუტანია, პირდაპირ ხახაში ისე სწრაფად ჩაისხა, იფიქრებდით, ღვინო კი არ დალია, ჯადოქარივით გააქროო. შაკოს ეს ილეთი განთქმული იყო აქაურ ხალხში. ბევრი დიახაც ცდილობდა მიბაძვას, ვერავინ ახერხებდა და თავს იმით იმართლებდა, ალბათ შაკოს სხვანაირი ხახა აქვსო.

ამ ილეთისათვის შაკოს ხშირად პატიჟობდნენ, რომ წვეულებისათვის ეჩვენებინა და ხალხი გაემხიარულებინა.

თვითონ, როცა შეზარხოშდებოდა, იტყოდა ხოლმე: კიდევ კაი, ღმერთმა ეს მასწავლა, თორემ ასე ხშირად ვინ დამპატიჟებდა და ჩემი მადის პატრონი მუდამ მშიერ-მწყურვალი ვივლიდი.

ტუხას შაკოს სიმარჯვე არ გაჰკვირვებია, ადრევე ჰქონდა გაგონილი, ეს იყო, რომ ახლა თავისი თვალით ნახა და მოეწონა კიდეც.

— ნამდვილი ცირკის კაცი ხარ! — შეაქო პატიმარმა მილიციელი.

— ჰე, აილე, ბიჭო, ჭიქა! დედის სადღეგრძელოს მაინც არ დალევ? — რაკი დაინახა, ტუხამ ხელი არ წამოიღო, თვითონ აიტაცა სავსე ჭიქა და მიაწოდა. — გამომართვი!

— დედას გაუმარჯოს, ყველას დედას! — მოკლედ დაილოცა ტუხა და ღვინო მხოლოდ მოსვა.

გაიხარა შაკომ. თამადობა თვითონ იკისრა და გააჩაღა სადღეგრძელოები.

შაკო სვამდა, ტუხა მხოლოდ სადღეგრძელოს ამბობდა.

— ქეიფს უსიმღეროდ რა ეშხი აქვს. მრავალჟამიეროო! მრავალ ჟამიიი ეი ეროოო! — წამოიწყო შაკომ. — ამყევი, ბიჭო! ერთი პატარა, ჩვენებური მრავალჟამიერი რომ წავიღიღინოთ, ურიგო არ იქნება, ღმერთმანი.

— ჭკუაზე ხარ, შაკო? — ლოყაზე ალერსით მოუსვა ხელი ტუხამ.

— ერთი მეზობელი მყავს, ღვინოს რომ დალევს, კბილებს გაუსაპნავი ურმის ღერძივით აღრჭიალებს, ყველას აგინებს, ნაცნობ-უცნობს, შინაურს და გარეულს. ზემოური გრამიტონა რომ დათვრება, ბოლმა ერევა და სხვებს რომ ვერაფერს უბედავს, ჭიქას აკვრახუნებს შაქარყინულივით. სმაში ყველას რაღაც სჩვევია უცნაური. მე, მაგალითად, ცოტას რომ გადავკრავ, მერე თუ არ ვიმღერე, მარწუხივით მიჭერს ყელში ხელებს რაღაცა და მახრჩობს, კაცო. სულ სიმღერა მინდა. ანდა — ყვირილი, ვიღაცას გავძახ-გამოვძახო. ჰე, ბიჭო. ტუხა, ვიმღეროთ, ნუ დამახრჩობ! მერე იქნება სატრაბახოდაც კი გამიხდეს, ტუხა ხატეველი რომ არის, დიდი კაცი, მაგასთან პატარა სუფრაზე პური გამიტეხია და მიმღერია კიდეც-მეთქი. ადამიანს იმდენი გზა უძევს წინ, რა იცი, ბედი საით წაგაჩანჩალებს. მრავალჟამიეროოო! მრავალ ჟამიიი ეი ეროოო!.. ჰე, ამყევი, ციხეში სიმღერა აკრძალული კი არაა.

— არც მილიციელის და პატიმრის ერთად ქეიფია აკრძალული?

— ვინ გვიყურებს ან ვინ გვისმენს? ამ წუთში მე მილიციელი არა ვარ და შენ — პატიმარი.

— უჩემოდ ქეიფობთ, ხომ? — შემოჩიკორავდა ეზეკია და გაჩაღდა ახალ-ახალი სადღეგრძელოები.

კარგა ხანს იქეიფეს მილიციელებმა და ულმერთოდ დათვრნენ. ტუხას, დიახაც, თავისუფლად შეეძლო, მილიციელებისთვის იარაღი აერთმია და გათოკილები აქვე გუდებივით დაეყარა, თვითონ კი არხეინად წასულიყო შინ ან მთაში, მაგრამ ასეთი რამ ტუხას წამითაც არ უფიქრია, სტუმრები გაისტუმრა, შუქი ჩააქრო და თივაზე დაწვა. არ დაეძინა. წამოდგა და ბოლთის ცემა დაიწყო.

რაღაც შეიცვალა თითქოს. გამოქვაბულს დაემსგავსა საკანი, რომელსაც ერთადერთი ვიწრო საჭიატო თვალი უჩანს. ამ თვალში ჩამოიხედა მთვარემ, მაგრამ გამოქვაბული საკნად ვერ აქცია.

მთვარის დანახვა გაეხარდა ტუხას. როცა მარტო რჩება ადამიანი, ესეც ნუგეში ყოფილა.

მთვარე მალე მიეფარა თვალს და ტუხა ისევ მარტო დარჩა გამოქვაბულში.

მთაში რამდენჯერ დარჩენილა ტუხა მარტო. ის მარტოობა სხვა იყო. მის ირგვლივ მთები იდგნენ და იმ მთებს ვარსკვლავიანი ცა დაჰყურებდა. მთები ტუხას ძმები იყვნენ, ვარსკვლავები — და-ძმანი, აქ კი ოთხი კედელია მხოლოდ და ეს კედლებიც უცხოა ტუხასათვის, ამიტომ დარჩა მარტო.

რაღაც ხმა მოესმა და ყური მიუგდო. ჭრიჭინების ღამეული კრუალი გაიგო-

ნა. ესიამოვნა. ისევ დააღწია თავი მარტოობას. მერე კრუალები მიჩუმდნენ. ახლა წყლის ხმა გაიგონა. საპატიმროს დიდრონი ღელე ჩაუდის გვერდით, ეს — მისი ლიკლიკია. ღამის სიმყუდროვემ გაამკაფიოვა ღელის ხმა და საამო ლიკლიკმა საკანშიც შემოაღწია, რომ ტუხა მარტო არ დარჩენილიყო.

ხმელ ტახტზე წამოწვა და კარგა ხანს უსმინა ღელის ჩუმ გალობას თუ ლოცვას. წარმოიდგინა, რომ ღიღინით მიმავალი რუ ვარსკვლავიან და მთვარიან ცას მიატივტივებს ახლა და მაინც ცა მთვარიან ვარსკვლავებიანად ადგილზე რჩება. ამ ცისნაირი კაბა აცვია თითქოს თეონასაც, გორაკზე დგას და ელოდება ტუხას.

თეონაზე ფიქრის ბურუსში გაეხვია, მერე ეს ფიქრი შემოადნა, გაუნიაღვარდა და იმ ნიაღვარმა ძილეთში წაიღო ტუხა.

გისოსებიან ვიწრო სარკმელში ლურჯთვალა დილამ ჩამოიხედა. ეს ტუხას არ გაუგია.

მოგეხსენებათ, ყველა საკანს კარი აქვს და კარს — საჭვრეტ-სათვალთვალო უპე. ტუხას საკნის კარი მთვრალ შაკოს და ეზეკიას ღია დარჩენიათ და მერე მისი დაკეტვა არც არავის უფიქრია. ციხის ჩოფურა ზედამხედველმა ჩვეულებისამებრ მაინც სათვალთვალო უპე გადასწია დილით და შეიხედა საკანში.

არც ეს გაუგია ტუხას, მშვიდად ეძინა.

მერე ზედამხედველმა ხანგამოშვებით სამიოდეჯერ კიდევ გადასწია საკნის უპე. ტუხას ისევ ეძინა.

პატიმარმა მხოლოდ მაშინ გაახილა თვალი, საკანში მზემ რომ ჩაიხედა და პირისახე გაუნათა. ცივწყალგადასხმულივით წამოხტა და მიმოიხედა. მთაში ეგონა თავი და წარწერებით აჭრელებული კედელი რომ დაინახა, მწარედ გაეღიმა.

მალე საკანში გაჩდნენ არისტო, შაკო და ეზეკია. ქონდარა მილიციელმა ტაშტი მოურბენინა, აყლაყუდამ — დოქით წყალი, არისტომ — პირსახოცი. პატიმარს პირი დააბანინეს, მერე სწრაფად ახალი სუფრა გაუშალეს.

ტუხამ გუშინდელივით პირი არაფერს დააკარა, სხვებმა კი დიახაც გემრიელად მოულხინეს ყველაფერს, სუფრა მალე დააცარიელეს და ტუხაზე ზრუნვის საბაბით კვლავ გაშალეს.

გახშირდა მიმოსვლა. გეგონებოდათ, ტუხა გვირგვინოსანი მეფეაო, კარზე ფრთხილად უკაკუნებდნენ — შემოსვლა თუ შეიძლებაო, იმასაც წამდაუწუმ ეკითხებოდნენ, ხომ არაფერი გნებავთო. უბოდიშოდ ხმას აღარავინა სცემდა.

არისტომ მანამდე იწრიალა ტუხასთან, სანამ წინანდელი მისი დაპატიმრების ამბავი არ გაიხსენა და... მერე მარტოდმარტო შევიდა საკანში.

— იცი, ბიჭო, ახლა შენთან კენტად რატომ მოვედი?.. ბოდიშის მოსახდელად.

— რა გაქვს საბოდიშო?! — გაუკვირდა ტუხას. — შენ შენს მოვალეობას ასრულებ გულმოდგინედ.

— მოვალეობას დიახაც, მაგრამ... ეს წუთია გამახსენდა... აი, მაშინ... პირველად რომ რაღაცა დაგაბრალეს შეცდომით... სახანძრო რაზმელთა შეცდომასთან დაკავშირებით... და მანქანით რომ წამოგიყვანეთ ციხეში... მაშინ მაგ ლოყაზე უნებურად მუშტი მომიხვდა მაგრად... ვაი, რატომ იმ წუთსავე არ გამიხმა ეს უჭკუო ხელი მე დაუკვირვებელს!.. ვიცი, იფიქრებდი, განგებ გამარტყაო, ხინჯად გექნება გულში...

— მაშინდელი ამბავი რა გასახსენებელია! გარდა ამისა, მე არა მჩვევია გულში რაიმე ხინჯის შენახვა.

— რაღაცა უსიამოვნო მაინც დაგრჩებოდა. მოდი, ვაჟკაცურად გამარტყი ახლა! გამარტყი, სადაც გესიამოვნება!

— რატომ გაგარტყა?

— ვალს გამისტუმრებ. მეც მოვისვენებ და შენც. მერე იქნება დავმეგო-

ბრდეთ კიდეც და... ძველიდან ხინჯად რატომ უნდა დაგრჩეს რამე?

— ჩვენ ვერ დავმეგობრდებით! ასე რომ... ნურაფრის გედარდება...

— მთლად შეიძლება ვერ დავმეგობრდეთ, მაგრამ... არც უნდა გეჯავრებოდე... ღმერთმანი, ცუდი კაცი არა ვარ. შეცდომა ვის არ მოსვლია. მაშინდელი ის უხეში ხელის გაქნევა ვერ მიპატიებია ჩემი თავისთვის. გემუდარები, გამარტყი! ასე ნუ დამტოვებ!

— ვერ გაგარტყამ. მაშინ არ შემომიბრუნებია ხელი და დღეს სულ ვერ გაგარტყამ... მე არა მტკენია არაფერი... მგონი, მაშინ შენ უფრო გეტკინა ხელი, ჩემს ლოყას რომ მოახვედრე... გულში იოტისოდენა ბოღმა არ დამრჩენია, მამის სულს გეფიცები... შენ რომ არ გაგეხსენებინა, კარგად აღარც მახსოვდა, ხელი რომ მომიქნიე. ნამდვილად მომარტყი თუ არა, ესეც აღარ მახსოვს... მგონი, ავიცილე...

— ერთხელ კი აიცილე, მერე ცაცია მოგარტყი... შენ თუ არა, მე მიძევს გულში ისევ ხინჯად, მე მესობა გულში დიდ ეკლად... ეკლად კი არა, ხანჯლად. გამარტყი, გეხვეწები!..

— ჯერ მე ხელი არავისთვის გამირტყამს...

ანაზდად არისტომ ორივე ხელი დასტაცა ტუხას მაჯას და მისი სილაქები თვითონ გაირტყა ჯერ ერთ, მერე მეორე ლოყაზე.

კვლავაც აპირებდა ასე თავის გასილაქებას, ტუხამ თავისი ხელი წაართვა.

პატიმარმა ნაიარევი წარბი რამდენჯერმე შეათამაშა, შეაძრწუნა არისტოს ამგვარმა პირფერულმა თვითგვემამ. წამით გაიფიქრა: ამის ნამდვილი გასილაქება, დიახაც, უპრიანი იქნებოდაო, მაგრამ ახლა ესეც ეუხერხულა, სასჯელად თავისი უბადრუკობაც ეყოფაო. ტუხას არისტო კი არ შეეზიზღა, შეეცოდა.

შუადღისას დარიკო მოადგა საპატიმროს ეზოს. კალათა ეჭირა.

— დარეჯან, რამ შეგაწუხა? — მიეგება არისტო.

— სადილი და ხილი მოვუტანე. — მიუგო დარიკომ.

— არ სჭირდება შენი მოტანილი! — შეემუდარა მილიციის უფროსი. — აქ ჩვენ არაფერს მოვაკლებთ, ძვირფასო დარეჯან!

— მოაკლებთ და მეტსაც უზამთ, შიმშილით მომიკლავთ შვილს. მაშინდელი ამბავი დიახაც მახსოვს.

არისტომ ჩაიხვიხვინა.

— რა გაცინებს, ბატონო? სასაცილო რა გითხარი?

— არაფერი, ჩემო დარეჯან... ჩემს ფიქრს გავუცინე.

არისტომ კალათა ჩამოართვა და ხელით ანიშნა, დამშვიდდი, გადავცემო. მაშინვე დააპირა გაქცევა.

— მოიცა, არისტო ბატონო! — კალათას წაეტანა დარიკო. — მევე რომ მივუტანო, ქვეყანა დაიქცევა? მოუკვდეს დედა, იქნებ რა დღეშია, ვნახავ კიდეც, ორიოდე სიტყვასაც დავუტოვებ. სხვა არაფერი, ბატონო, დედისერთა შვილის მზეს გეფიცები! თუ გინდა, გაჩხრიკე კალათა ძირამდე!

არისტო პირველად ენდო ადამიანს, არც კალათა გაუსინჯავს, არც ის უკითხავს, შვილს რა სიტყვა უნდა დაუტოვოო, საკანში შეუძღვა დარიკოს და დედა-შვილი მარტო დატოვა.

— ეს რას ჰგავს, ბიჭო?! — სუფრას გაკვირვებით დახედა დარიკომ. — როდის გამიხდი, დედა, მოქეიფე და დარდიმანდი? ან — საამისო ფული საიდან გაგიჩნდა?! დღემდე არაფერი გაგიყიდია და ახლა?!.

— თვითონ ქეიფობენ აქ! — მორცხვად მიუგო ტუხამ. — მე მხოლოდ ვუყურებ. აქაურობა მაგათია, ვერ დავუშლი.

— ამათსას ხელს ნურაფერს დააკარებ, შვილო!

— ნუ გეშინია, დედა!

— ნაარმს მოერიდე. სანამ ხელი მომიწვდება, არაფერს მოგაკლებ. ძალიან ცუდად გეპყრობიან?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— პირიქით, ზედმეტადაც მეალერსებიან.

— რატომ?

— ეტყობა, ფიქრობენ, იქნებ ოდესმე დიდი სკამის კაცი გახდესო და... მათი ამბავი ხომ იცი...

— ეგ არც იფიქრო, დედა!.. ბობოლაობა არ გინდა! შენ შენი პატიოსანი გარჯითაც არ მოგაკლდება არაფერი!

— ვიცი, დედა. ჩამოჯექი, ა, აგერ! — ტუხამ სავარძელი მიუწია.

დარიკო ხმელა ტახტზე ჩამოჯდა, კედლებს ახედ-ჩამოხედა, ერთი ამოიოხრა და ჩაილაპარაკა:

— საშინელია ციხის საკანი, რაც არ უნდა დიდი იყოს, რაღაცნაირად მაინც კუბოს ჰგავს, ქვის კუბოს... თითქოს სიკვდილზე უარესია... გიჭირს?

— ვუძლებ...

სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა.

— დედი! — დუმილი ტუხამ დაარღვია.

— ჰო, შვილო?

— ის როგორ არის?.. შენთან თეონა ხომ არ მოსულა?

— არა, შვილო...

ტუხამ ისე ამოიოხრა, გეგონებოდათ, გულიც ამოატანაო.

— თვითონ მივაკითხე... აკი დაგპირდი.

— მერე?

— გაოგნებულია. ეტყობა, ჯერ ვერც დაინამდვილა, რაც მოხდა, თითქოს ავი სიზმარი ეჩვენებაო. აივანზე თავჩაღუნული ზის და არარაფრის დანახვა არ უნდა. გეგონება, მთელი ქვეყნიერება ეზიზღებაო. ვიფიქრე, ჩემთან წავიყვან იმ საბაბით, მარტო რომ დავრჩი-მეთქი. მეუხერხულა. ტყუილი იქნებოდა ეს საბაბი. შენ როცა მთაში მიდიოდი მთელი კვირაობით, სულ მარტო არ ვრჩებოდი? მაგრამ ვინმესთვის შემიჩივლია, მარტო ყოფნისა მეშინია და ღამე ჩემთან გაათიე-მეთქი? მერე ის ვიგუმანე, თეონასთან თვითონ დავრჩები-მეთქი. ესეც მეჩოთირა. ერთი კი მოვახერხე, ავუხსენი, რომ ეს ყველაფერი გაუგებრობით მოხდა. მგონი, [illegible]ლია! — დარიკო წამოდგა, გაიარ-გამოიარა და ისევ ჩამოჯდა. — წუხელი ის გოგო იყო ჩემთან.

— თეონა?!

— ქალაქელი.

— ვინ მოიყვანა?

— მარტო მესტუმრა, სულ მარტო.

— როგორ გაბედა?!

— გაბედა... ასეთ დროს რას არ გაბედავს ადამიანი.

— რაო? რა მინდაო?

— ვაღიარებ, დამნაშავე ვარ, მაგრამ გეხვეწებით, ეს დანაშაული მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც მაპატიეთო.

— დანაშაულის ნაწილობრივი პატიება რას ნიშნავს, დედი?!

— ჩემს ცთომილ სიყვარულს ასე ხელაღებით ნუ გასწირავსო, დროებით მაინც შემირთოს, თუნდაც ერთი წლითო... ხელი მოვაწეროთ და თბილისში წამომყვეს, ხალხმა დაინახოს, რომ კანონიერი ქმარი მყავდა და მერე თავის გზას ეწიოსო. შუაღამემდე დარჩა ჩემთან და ეს თხოვნა რამდენჯერმე გამიმეორა.

— ახლა შენს სიკეთესაც წამოეპოტინა? რა უთხარი?

— შემეცოდა, ძალიან შემეცოდა.

— დედა?!

— ჰო, დედა ვარ შენი...

— დამნაშავე შეგეცოდა? იქნებ შეგეშინდა, თუ არ ითხოვა, შვილს გამიციმბირებენო?

— მაგნაირი შიში წამითაც არ გამივლია გულში, შენს მზესა ვფიცავ, შვილო! ადამიანის შეცოდება მისი დანაშაულის გამართლებას როდი ნიშნავს. ის გოგო, დიახაც, შემეცოდა, მაგრამ... აი, დედამისი კი ჭირივით შემძაგრდა, არც მამამისი დამეხატა გულზე. უპირველეს ყოვლისა, დამნაშავენი ისინი არიან, ასე თავკერძად რომ გაზარდეს ერთადერთი ქალიშვილი. დასასჯელნიც ისინი არიან, მაგრამ ვინაა მათი დამსჯელი, საკუთარი თავის გარდა!.. ინგას, ეტყობა, დედ-მამამ ჩაუნერგა

უკუღმართი აზრი, რაც ქვეყნიერების ზურგზე კარგი რამ დაინახო, არ დააყოვნო, უმალვე დაეპატრონე, ხელს ვერავინ შეგიშლისო. გოგო თავიდანვე სურვილების დაზოგვას გადაეჩვია და ცთუნების გზაზეც იმ საღამოს ამან დააყენა. თავისი ჭირვეული ზრახვის მისაღწევად წინააღმდეგობას რომ წააწყდა, ამჩატდა და ისეთი მსხვერპლის გაღებასაც არ მოერიდა, რისი გაწირვის უფლებაც ქალიშვილს არა აქვს. ასე მგონია მე და იმ ცთომილ გოგოსაც ეს ვუთხარი.

— დაგიჯერა?

— კარგა ხანს თავჩაქინდრული იჯდა, მერე ერთი ამოიოხრა, ადგა და კრინტის დაუძრავად გაიქცა. გავეკიდე, სანამ ღელის ხიდი არ გადაიარა, არ მოვშორდი, არც გზაზე ამოუღია ხმა. აღარც მე მითქვამს რამე. დიახაც, ცოდვაა, მაგრამ ჩვენ უფრო ცოდვანი ვართ. ვინმეს წინაშე ოდნავი დანაშაული რომ მიგვიძღოდეს, მაშინ იქნებ სხვანაირად გვეფიქრა, ახლა კი... რა ვიცი, რა ვიცი... შენც დაფიქრდი კიდევ... შვილი ჩემი ხარ, ჭკუა-გონება კი შენი გაქვს... კარგად აწონ-დაწონე... ამ წუთში კი არა, ღამით დაუფიქრდი, როცა ყოველნაირად მარტო დარჩები და შენი ფიქრის მეტს ვერაფერს დაინახავ. ღამით ფიქრი უფრო ღონიერდება და ნათდება, უფრო სწორ გზას გაპოვნინებს.

— ნაფიქრი მაქვს, დედი... კიდევ ვიფიქრებ... ოღონდ შენ ნურაფრის შეგეშინდება...

— არა, შვილო, არ შემეშინდება. წავალ ახლა. ყოჩაღად იყავი!

დედა წავიდა.

ტუხამ სუფრა ყრუ დერეფანში გადგა, რძილი საფარძელი და ნოხიც მიაყოლა. პატიმართან დარჩა დედისმოტანილი კალათა, ხმელა ტახტი, ოთხი გლუვი მაღალი კედელი და პატარა სარკმლიდან ჩამოპარული შუქი. რაღაცნაირად მოახერხა პატიმარმა და კარი შიგნიდან თვითონ ჩაკეტა, აღარავინ შემოვიდესო.

ზედამხედველი წამდაუწუმ იჭყიტებოდა სათვალთვალო უპეში. მხოლოდ ფეხშიშველა მოსიარულე ტუხას ხედავდა და გაკვირვებული მხრებს იწურავდა.

ამდენი სადავიდარაბო საფიქრალი ტუხას არასდროს დასტეხია თავს. მთხი ფიქრით გაიტენა მთელი საკანი. დედამ ურჩია, ღამე იფიქრეო, მაგრამ ფიქრი არავის რჩევა-დარიგებას არ ემორჩილება. დედის წასვლისთავნე ტუხას ათასნაირი ფიქრი შემოეჯარა. ვიდრე დაღამდებოდა, მღვრიე იყო ყველა ფიქრი, მერე თანდათან დაიწმინდა, გამსუბუქდა, განათდა. არა, სარკმლიდან ჩამოპარული მთვარის შუქი არ ანათებდა ამ ფიქრს. ეს შუქი მხოლოდ პირისახეს უნათებდა ხოლმე საკანში ბოლთის ცემით მიმავალ-მომავალ ტუხას .

ბევრჯერ აწონ-დაწონა ეს მრავალფეროვანი ფიქრი და ბოლოს ასე ჩამოუყალიბდა:

„მართალია დედაჩემი. ოდნავ დანაშაული რომ მიგვიძღოდეს ვინმეს წინაშე, მაშინ იქნებ სხვანაირად გვეფიქრა, ახლა კი, თუნდაც გადამასახლონ, იმ ქალაქელ გოგოს ვერ ვითხოვ... ახლა უფრო ვერ ვითხოვ, თუნდაც დროებით. ხალხის თვალში უმალვე ლაჩრად გამოვჩნდები, ციხემ შეაშინა და ხელის მოწერაზე იმიტომ დაეთანხმაო. ეს ჩემი დანაშაულის აღიარებაც იქნება, დანაშაული კი... ცამ და მიწამ იცის, მე არ ჩამიდენია და ტყუილად რატომ ვაღიარო? ინგა თუ ცოდვაა, მე უფრო ცოდვა ვარ... თეონაც. მე კი არავინ ვაცთუნე, თვითონ მე მაცთუნეს და... დამნაშავე რაღაცნაირად უნდა დაისაჯოს... რაკი დედაჩემს ინგას მშობლები მიაჩნია პირველ დამნაშავედ, შვილის გამო მისი დედ-მამაც უნდა დაისაჯოს. ყველამ იცის, მე ჩემი სიტყვა ღმერთად მწამს, რადგან ტყუილს არასდროს ვამბობ და ახლანდელ ჩემს სიტყვასაც ვერ გავტეხავ, რაც არ უნდა მოხდეს. ერთნაირია ჩემი და დედაჩემის ფიქრი, ერთნაირი... ერთ ულელშია შე-

ბმული... სიმართლის უღელში, ჰოდა, არ ეღალატება!"

ამ ფიქრით თავსასთუმალზე ჩაეძინა პატიმარს.

გვიან გაეღვიძა. ირგვლივ სამარისებური სიჩუმე სუფევდა — წინა დღეებთან შედარებით პატიმრისათვის გაურკვეველი და საჩოთირო. კარგა ხანს ელოდა ტუხა, კარის სათვალთვალო უპე გადაიწევა და ჩოფურა ზედამხედველი შემოიხედავსო. არ გამოჩნდა მისი ცნობისმოყვარე თვალი. წინანდებურად საპატიო პატიმრის პირის დასაბანად საკანში წყალი და ტაშტიც არავის შემოუტანია.

იგუმანა ტუხამ, ირგვლივ რაღაც შეიცვალაო. მაგრამ რა?

ანაზდად შეეშინდა, ვაითუ, იმედგაცრუებულმა ინგამ თავი მოიკლაო. სისხლი მოელანდა და წამში რა არ წარმოიდგინა.

„ნუთუ, ნუთუ უნებლიეთ ცოდვილი გავხდი?"

ის-ის იყო ამბის გასაგებად ტახტიდან უნდა წამომხტარიყო, მივარდნოდა კარს და მუშტები დაეშინა, კარი თვითონ გაიღო ფრთხილად და ყურებამდე პირგახეული, გაბადრული შაკო საკანში ქურდულად შემოიპარა.

— ეგრეა, რა! გაუმარჯოს ბერხეველთა რაინდს! — დაწეული ცალი მხარი შეათამაშა.

— იცოცხლე, შაკო! რამ გაგახარა?

— შენს გაუტეხელ მზიან სიმართლეს ვენაცვალე, ბიჭო, ვინ შენ და ვინ ციხე? მოდი, ერთი გემრიელად გაკოცო! — მილიციელი მოულოდნელად გადაეხვია პატიმარს.

ტუხამ უმალვე მოიშორა მოძალებული მოალერსე კაცი:

— შაკო, არ მიყვარს, კაცი რომ კაცს ჰკოცნის. კოცნა დიაცების მოგონილია.

— შუბლზე მინდა გემბორო, შე ღმერთძაღლო, შუბლზე! მე კი არა, ჩემი სიხარული გკოცნის შენ. დუნიაზე ნეტავ ყველა შენისთანა დადიოდეს! იქნება მაშინ მილიციაც აღარავის დასჭირდეს. მიმიშვი, ბიჭო! — მე შენ ერთი სამაღარიჩო ამბავი მოგიტანე ერთად და, დიდი ამბავი, ერთხელ მაგ ნათელ შუბლზე თუ მაკოცნინებ.

— რა მოხდა, აღარ იტყვი?

— მგონი, ცა გაგვეხსნა და მამაზეციერმა ღიმილით გადმოგვხედა. შენი ამბების გამო შინაგან საქმეთა სამინისტროდან საგანგებოდ ჩამოვიდა ერთი კაი კაცი. ის და შენი დამკითხავი მთელი ღამე ცალკე იყვნენ ჩაკეტილები. არავინ გაიკარეს, არისტოც კი. ღმერთმა კაი ყურით მისმინოს და ეს რაღაც საბედნიეროს უნდა ნიშნავდეს. ეგრეა, რა!

— მეორე? მეორე რაღაა?

— მეორე მთლად ნაღდია, წყალი არ გაუვა. ინდიკო-მწყემსს ბენია ბრიგადირი დაუმარტოხელებია გიჟურას კბოდესთან და დამუქრებია, უნდა გადაგაგდოო. რას მერჩიო, უკითხავს ბრიგადირს. სიზმარში ანგელოზი გამომეცხადა და მაუწყა: ხარები ბენიამ მოგპარაო. ინდიკოს თავისი ეჭვი გაუსაღებია სიზმრად და არც შემცდარა. ბენიას ცურვა არ სცოდნია და გიჟურას მორევისკენ რომ გადაუხედავს, შიშისაგან ელდა სცემია და მაშინვე გამოტეხილა: ოღონდ ნუ დამღუპავ და ყველაფერს გეტყვიო. ხარები მე და ფერმის გამგემ მოგპარეთ ნესტორას დავალებითო. ჯერ მთაშივე გადავმალეთ და მერე ნახევარ ფასად გავატანეთ ერთ უცხო კაცს, რომელიც ხორცით ვაჭრობს თბილისის ბაზრებშიო. მართალია, ხარები ჩვენ მოგვეპარია, ფული მთლიანად თვითონ ჩაიჯიბაო. ასე რომ, ბენიას თავისი ღმერთი ნესტორა ორ კაპიკად გაუყიდია. ახლა ნესტორას ნამდვილად მოხსნიან და არა მარტო ნესტორას, ალბათ, მის მფარველებსაც მიაყოლებენ... მოხსნა თუ აკმარეს, წმინდა გიორგის ცხვარი დაუკლან კოლექტივოდ.

— შაკო, სიზმარსა ჰყვები თუ ზღაპარს? არ მომატყუო?!

— სიმართლეში რას მაძლევ, რომ

ტყუილი გითხრა? ეგრეა, რა! ჩემო ტუხა, ამ ამბავში მე მხოლოდ ერთი რამე მიკვირს, ნესტორას ბერხევის კოლმეურნეობიდან არაფრის წაღება არ აშინებს მუქთად დღისით-მზისით და თავის მწყემსისთვის ხარების მოპარვა რატომ დასჭირდა, კაცო?!

— ინდიკოს სახელის გასატეხად, შაკო, ინდიკოს სახელის გასატეხად, და... გასაღიზიანებლადაც. იქნებ ბერხევიდან გავექციოთ. დახა-სისხლად იყვნენ გადაკიდებული, ნესტორას ამ კაცის მოშორება უნდოდა და, ეტყობა, სხვა რომ ვერაფერი იღონა, ხარები მოპარა და ზარალი მწყემსს დააწერა. შენ ბევრი რამ არ იცი.

— აჰა! ახლა გავიგე, ყველაფერი გავიგე. იმიტომაც გაიძახის ინდიკო ასე ამაყად: რაკი ქურდები ვიპოვე და ჩემი სიმართლე დავამტკიცე, აწი მე ვიციო. ტუხაც ჩემსავით უდანაშაულოა და დღესვე გაათავისუფლეთო. მერე ის რომ გაიგო, შენი ამბების გასარკვევად შინაგან საქმეთა სამინისტროდან საგანგებო გამომძიებელი რომ გამოუგზავნიათ, მთელი ამალით იმ კაცს მიადგა...

სალაპარაკოდ დაქოქილ გახარებულ შაკოს კიდევ უნდოდა, რაღაც ეთქვა, მაგრამ არ დააცალეს. კარი ისევ გაიღო და საკანში ეზეკია შემოვიდა. კრინტი არ დაუძრავს, ტუხას კონვერტი გადასცა და უხმოდ წაჩიკორავდა.

პატიმარმა უმალვე გახსნა ყვავილებით მოხატული კონვერტი.

შიგ ინგას წერილი იდო.

„მთელ ღამე თვალი არ მომიხუჭავს, თეთრად გავათენე. ვფიქრობდი, ვფიქრობდი და ისევ ვფიქრობდი. ასჯერ გავაანალიზე ჩემი ცხოვრება, იმ დღევანდელი ჩემი საქციელიც მრავალჯერ გავჩხრიკე, შევამოწმე, გავზომე, ავწონე და ბოლოს დავასკვენი, რომ შენთვის ეს ბარათი გამომეგზავნა. ეს, ალბათ, ჩემი ალსარებაცაა, სხვა რამეც. ყველაზე მეტად დედაშენთან საუბარმა ამაფორიაქა და ჩამაფიქრა, იმ ღამეს ბევრი რამ სულ სხვანაირად დავინახე... ჩემი თავი დავინახე სხვანაირად. დედაშენის თქმისა არ იყოს, რაც ქვეყნად მოგვეწონება, გონმიუცემლად ყველაფერი თუ მარტო ჩვენთვის მოვინდომეთ, ცხოვრება სად წავა? ახლაღა ამეხილა თვალები და პირველად დავინახე, რაც ნამდვილად ჩავიდინე. ახლაღა დავრწმუნდი, რომ ადამიანი თავისი სურვილების ყურმოჭრილ ყმად არ უნდა იქცეს, თავის ყველა ჟინს განუსჯელად არ უნდა აჰყვეს. გულის წადილს ზოგჯერ ლაგამის ამოდებაც სჭირდება, რომ არ გაჭენდეს და ხრამში არ გადაგჩეხოს. რატომღაც მეგონა, რომ შემიყვარდი. თუ შენ ჩემი არ გახდებოდი, მოვკვდებოდი. ეს სიყვარული კი თურმე მხოლოდ მოჩვენება იყო. ჩემი ჭირვეული სურვილის მონად ვიქეცი და ეს მეგონა სიყვარული. ჩემი ქალური თავმოყვარეობით გავღიზიანდი და ამან გადამადგმევინა მცდარი ნაბიჯი. ვინც ჭეშმარიტად შეუყვარდებათ, ასე არ იქცევიან, როგორც მე შენ მოგექეცი. დავრწმუნდი: რაც ჩავიდინე სიყვარულის ვნებათაღელვით არ მომხდარა, ეს იყო სულელური თავმოყვარეობით გაღიზიანებული ქალის ქარაფშუტული ატროვება: ქალაქში ამდენი ბიჭი მეთაყვანება, ჩემთვის ყველა გიჟდება, თავს იკლავს, ეს სოფლელი ტუხა კი ვინ არის ისეთი, ზედაც რომ არ მიყურებს, სულ არაფრად რომ არ მივაჩნივარ-მეთქი. ამან გამიხელა ზრახვა: რადაც არ უნდა დამიჯდეს, ეს ვაჟკაცი ჩემს ნება-სურვილზე უნდა ვათამაშო-მეთქი. ადვილად რომ ვერ ჩაგიგდე ხელში, ეშმაკობის გზას დავადექი. დედაშენმაც სამართლიანად დამტუქსა. ისეთ რამეს წავეპოტინე, რაც მე არ მეკუთვნოდა, თავკერძოების ეგოისტური ჟინით დაბრმავებული წავეპოტინე. მეგონა, მარტოოდენ ჩემს ნება-სურვილზე ტრიალებდა მთელი სამყარო, ჩემი თავი პატარა ღმერთი მეგონა და ამისათვის ვისჯები.

რატომ, რატომ ადრევე არ დავუფიქრდი, რომ ჩვენი ნამდვილი სიყვარული საერთოდ, შეუძლებელი იყო! სისულელე ჩავიდინე და მერე ამ სისუ-

ლელის გასამართლებლად შენი დაღუპვაც დავაპირე.

ადამიანს თურმე ყველაზე მეტად უჭირს სამი სიტყვის თქმა: მართალი არ ვიყავიო. მე დღეს დიდი სინანულით, მაგრამ თამამად ვამბობ ამ სამ სიტყვას.

შენ ცამდე მართალი ხარ, მე — მტყუანი. ერთობ უხერხულ მდგომარეობაში ჩაგაგდე. უფრო მეტიც, შენი ნამდვილი ბედის დამსხვრევა მოვინდომე. ამიტომ ბოდიშს ვიხდი შენი გულისსწორთანაც... მე დამნაშავე ვარ შენს წინაშე, ჩემს წინაშე და სხვების წინაშეც. ამ დანაშაულისათვის კი მხოლოდ მე უნდა დავისაჯო, მხოლოდ მე. ყველას წინაშე ვაღიარებ, რომ შენ ბეწვისოდენა დანაშაულიც არ მიგიძღვის არაფერში. არა მგონია, ჩვენი ამბავი სასამართლომდე მივიდეს, მაგრამ თუ ეს ვინმემ დაიჟინა. იქაც ამას ვიტყვი. მე დავმარცხდი და დამამარცხა ჩემმავე თავმა.

რაც მოხდა, მოხდა. გასროლილი ტყვია უკან აღარ ბრუნდება, ჩემი შეცდომის გამოსწორება, სამწუხაროდ, უკვე შეუძლებელია, მაგრამ... ალბათ, ეს მწარე გაკვეთილი ჭკუას მასწავლის, რომ ცხოვრების მომავალ გზაზე მაინც ვიარო სწორად და ასეთი სულმოკლეობა აღარ ჩავიდინო.

ნეტავი შენ! რა დედა გყოლია, რა დედა!..

ახლაც, ამ ბარათს რომ ვწერ, თითქოს კვლავ გვერდით მიზის და ზიზღით ან სიძულვილით კი არა, დედაშვილური სიყვარულით მეჩურჩულება: ცოლქმრის შუა თუ ნამდვილი ურთიერთსიყვარული არ სუფევს, იქ არც ბედნიერებაა და წესიერ ოჯახზეც ლაპარაკი ზედმეტიაო. ტუხა იძულებით კიდეც რომ დაგთანხმდეს ქმრობაზე, რად გინდა ასეთი უბედური ოჯახი, თავს ორივე ჯოჯოხეთში იგრძნობთო. უსიყვარულოდ ქვეყანაზე მადლი არაფერს ურევია, ხოლო ნაძალადევი სიყვარული სიძულვილზე უარესიაო.

გამიგრძელდა სიტყვა. მე შენს ბედნიერებას ხელს არ შევუშლი, არა! ჩემს დანაშაულს თუ შეცდომას ვერ მოგახვევ თავზე! ამითღა შემიძლია ჩემი დანაშაული გამოვისყიდო შენს წინაშეც და ჩემს წინაშეც.

მე წავაგე სიყვარულობიანასთან თამაში, რადგან თავიდანვე აკრძალული ხერხი ვიხმარე და ვერც ვითამაშე წესიერად.

ჩავიდინე შეცდომა და ამ შეცდომის გასამართლებლად პატიებაც ვითხოვე. მაგრამ შეცდომაც არის და შეცდომაც. ახლაღა მოვეგე გონს, თურმე არსებულა დანაშაულებრივი დიდი შეცდომაც, ადამიანს რომ არასდროს მიეტევება.

ადრე, როგორც ამჟამად დავრწმუნდი, ერთობ სუსტი ვიყავი, საკუთარი ნებასურვილების ყურმოჭრილი მონა, ამ საჩოთირო ამბავმა კი ჩემ სულში ყველაფერი გადაატრიალა, თანაც, მე მგონია, სასიკეთოდ. ვიმედოვნებ, ამიერიდან თანდათან გავძლიერდები და მაშინ ჩემი დამარცხება ყოვლად შეუძლებელი იქნება. ამ იმედითღა ვსულდგმულობ.

მივდივარ. როგორც იქნა, დავაჯერე, დედ-მამა, რომ ახლა აქედან ჩვენი წასვლა აუცილებელია. არ გეუბნები, ნახვამდის-მეთქი: მშვიდობით!“

ტუხამ ფურცელი დაკეცა და კარგა ხანს გაოგნებული იდგა, ფიქრის თავიც კი აღარ ჰქონდა. მერე წარწერებით აჭრელებულ ციხის კედელს ესლა წასჩურჩულა:

— მეცოდები, ძალიანაც მეცოდები, სტუმარო, მაგრამ მეც რა ვქნა? გული არ იყოფა! აგერ, ბოლოს თვითონაც ხომ აღიარე, რომ მე არაფერში ვარ დამნაშავე!..

— რას ამბობ, ტუხა? — ჰკითხა იქვე მდგარმა შაკომ.

— არაფერს... შენ არაფერს. ერთობ რთული ყოფილა ცხოვრება, ერთობ რთული!

— ეგრეა, რა!

საპატიმროდან გამოსულმა ტუხამ ღარულას პატარა მოედანზე აჩოჩქო-

ლებული ხალხი დაინახა. უმალვე იცნო ბერხეველები. ხალხის შუაგულში ინდიკო დავლიანიძე იდგა და ცერს სქელ ულვაშზე ხშირ-ხშირად·ისვამდა. დიდებთან ერთად ბერხევიდან აქ ჩამოსულიყო ყველა ბავშვი, ვისაც ტუხა რიყზე ათამაშებდა, სოფელიც და ქალაქიდან საგარაკოდ ჩამოსულიც. ბავშვებში ორი ბიჭი გამოარჩია — კაფანდარა და ხოზიკა. ახლა ისინი ხელიხელ გადახვეულები იდგნენ.

ამ ხალხის დანახვამ სულიან-ხორციანად შესძრა ადამიანი. ორივე თვალზე ცრემლი დაეკიდა და ხალხი ამ ცრემლებში ალივლივდა. მერე კი მთელი სამყარო ცისფერ ბურუსში გაეხვია.

ხალხმა ტუხას თვალზე პირველად დაინახა ცრემლი.

## ეპილოგი

მოხდა მოსახდენი. ნესტორას მოხსნა არ აკმარეს, გისოსებიანი პატარა სარკმლიდან დაანახეს ცა. კარგი დღე არც სხვებს დაადგათ.

დარუბლას მიწა-წყალზე ჭადრაკული ცხვირსახოცების ფრიალი მალე შეწყდა.

ბერხეველებმა თავჯდომარედ ინდიკო დავლიანიძე აირჩიეს. ინდიკომ მთიბავთა ბრიგადირად ტუხა ხატეველი დანიშნა.

ბერხევში მომხდარმა საჩოთირო ამბავმა ტუხას და თეონას ქორწილიც დააჩქარა. გაიხარა სოფელმა.

და, აი, დღეს მთის ბილიკს მაღლა და მაღლა მიუყვებიან ტუხა და თეონა.

გაღმა ფერდობზე თივის ზვინების ლაშქარი დგას.

ეს ლაშქარი სამიოდე დღეში შემოუსიეს ფერდობს ტუხამ და თეონამ.

ახლა გამოღმა მთაზეც უნდა გააჩინონ ზვინების ლაშქარი.

ორივეს სჯერა: ამ ლაშქარს უკვე ვეღარავინ დაამარცხებს.

— აქეთ გაიხედე, ბიჭო, საქორიას მთის წვერზე რა ლამაზად ამოდის მზე! მკლავზე ხელი მოჰკიდა თეონამ.

ტუხას გაეღიმა. თავის ფიქრს გაუღიმა. მის ფიქრში კი მთა ამ დროს უზარმაზარ ძუძუსა ჰგავდა, დედამიწის ძუძუს. ეს დედამიწა აწოვებდა თავის ძუძუს ჩვილ მზეს და მზეც ახლად გაღვიძებული ბავშვივით იფშვნეტდა თვალებს.

მალე ტყეში ჩაწოლილი რძისფერი ბურუსიც გაანათა მზემ და იქ, მუქ სიმწვანეში, საოცარი სილამაზე გაჩნდა. ტყის მკრქალი ბურუსი ანგელოზების სულს დაემსგავსა.

— რა საოცრებაა?! — წამოიძახა თვალებგავარსკვლავებულმა თეონამ, — თითქოს წუხანდელ სიზმარში ვარ... რაღაც ამნაირი სიზმარი ვნახე წუხელ, უცნაური სიზმარი. მე და შენ თითქო გვირგვინით თავშემკობილ მწვანე ტყეში მივდიოდით და ანაზდად ყველა ხე სანთლად იქცა, ანთებულ სანთლად. ცა და მიწა იმ ტყის სანთლებმა გააჩახჩახეს. იმ სანთლებში თითქოს თაფლის ის სანთლებიც ელვარებდა, ქორწილში რომ აგვიჩახჩახა დედაშენმა. დედაშენის ანთებული სანთლები სასიამოვნო სურნელებას აფრქვევდა, მათრობელა სურნელებას, ხოლო სიზმრის სანთლებს შუქი ჰქონდათ, სუნი კი სულ არა. რას უნდა ნიშნავდეს ეს?!

ტუხამ მხრები აიწურა უხმოდ.

მერმე ერთხანს ტყის ზღაპრულ-სიზმრულ სილამაზეს მდუმარედ უყურეს, სული დაიპურეს იმ საოცარი მშვენიერებით და კვლავ შეუტიეს საცალფეხო ბილიკს.

წინ თეონა მიდის, ფიწალი და ფოცხი უჭირავს. ტუხა დინჯად მიჰყვება. დაკეცილი ცელი მხარზე გაუდევს. ბილიკი მიდის მაღლა და მაღლა. ჰაერი თანდათან მსუბუქდება, ცაც უფრო და უფრო ლამაზი და გამჭვირვალე ხდება, ახლო მთები და ქედები დაბლდებიან და შორს სხვა მთები ჩნდებიან. თოვლით თავშემკობილ მთებს ლურჯი სისხლივით გადმოსდით ნაკადულები.

ავიდნენ. ტუხამ გამოღმა ფერდობზე ჩვეულებრივად ღიღინით დაიწყო თიბ-

ვა, ცელს არც ანელებდა, არც აჩქარებდა. ცელის შხუილზე კალიები აქეთ-იქით ისე მიხტი-მოხტოდნენ, გეგონებოდათ, ლაპლაპა ცელი მწვანე ნაპერწკლებს ისვრისო.

თეონა გამოღმა ფერდობზე გუშინწინდელ ნათიბს ბულულებად აგროვებდა. ფიწალსაც და ფოცხსაც მარჯვედ იქნევდა. ახალ თივას ნაზი სურნელი ასდიოდა და მათრობელა სურნელება საამოდ ელამუნებოდა ქალის სულს. ამ თივას ბრელო — გამხმარი ბალახის მტვერი, ჯერ არ გასჩენოდა და თეონას წინანდებურად უბზინავდა მზით გაფიცხებული ხორბლისფერი პირისახე, თითქოს სულიც რომ მზითა აქვს დაპურებული, ეს პირისახეზეც ახატიაო.

ფერდობის ჩავაკებაზე ერთმანეთის მიყოლებით გამწკრივდნენ ზვინები.

ასე გახარებული ტუხა არასდროს ყოფილა, წამდაუწუმ თეონასკენ გაურბოდა თვალი. დღეს აქ ისეთი ამბავი გაიგო...

მთაში ორნი მოდიოდნენ ეგონა, თურმე უკვე სამნი ყოფილან. ნეტავ ქალია თუ ვაჟი? სულ ერთი არაა! სოფელშივე რომ გაეგო ეს ამბავი ტუხას, თეონას მთაში აღარც წამოიყვანდა.

— გულო, ეგრე მაღლაც ნუ ისვრი ფიწალს, მზეს თვალი არ მოსთხარო! — აღრინდელივით ჩამოსძახოდა ზვინზე მდგარი ჭაბუკი.

თეონა პასუხად მხოლოდ უღიმოდა და ფიწალს უფრო მაღლა ისროდა.

ტუხა ახლა ყველა მთაზე მაღალი ჩანდა, თითქოს ცა მის მხრებზე ესვენა, ადამიანი დედამიწასა და ცარგვალს ხიდივით აერთებდა.

კვართგაღეღილმა ჭაბუკმა ბოლო ზვინს თივისავე ქუდი დაახურა და...

— გულო, აბა, დამიჭირე !— გადმოიძახა ზემოდან. — მეყოფა ცაში ყოფნა, მიწაზე მწადია! ჰა, დამიჭირე!

— როდის იყო, ბიჭო, მე შენ გიჭერდი? — ფიწალი დადო თეონამ.

— დღეს დამიჭირე! გამშალე მკლავები!

— გეყოფა ცაში ყოფნაც და მასხრობაც, ჩამოხტი, ბიჭო!

მიწაზე ჩამოხტომისას ტუხას მუხლი ოდნავადაც არ ჩაუხრია, განგებ მერელა წაფორხილდა და ვითომდა თავის შესაკავებლად თეონას მკლავები მაგრად მოხვია.

— რა მოგივიდა, ბიჭო? — რატომღაც გაეცინა თეონას, ქურციკივით დაუსხლტა გულგაღეღილი ვაჟის მკლავებს და გაიქცა. გაიქცა და წამით შეჩერდა. — აბა, თუ ბიჭი ხარ, ახლა შენ დამიჭირე!

ზვინების გარშემო დაიწყეს სირბილი. ტუხამ კვართი გაიხადა და მოისროლა. სხეული ხორბლისფრად ულაპლაპებდა. თეთრკოპლებიანი ლურჯი კაბა ხან რომელ ზვინთან გაიფრიალებდა, ხან რომელთან. ორივე ფეხშიშველა იყო, ორივე იცინოდა და ამ სიცილს ექოდ ამრავლებდა ტყე და კლდე, ხევი და მთა...

i

დიახაც მეწადა, აქ დამემთავრებინა ტუხას თავს გადამხდარი არც თუ ისე სასაცილო ამბავი: სოფლის მიწაზე ალალ-მართლად გაზრდილი ეს ქალ-ვაჟი ბოლოს და ბოლოს სანუკვარ საწადელს ეწია და ახლაც ბედნიერად ცხოვრობს-მეთქი. მეწადა, აქვე შენც დამელოცე, ამ წიგნის წამკითხველო: დაე, ღმერთმა თუ ბუნების ძალამ ყველას ასე შეგისრულოთ გულწმინდა ნატვრა და პატიოსანი სურვილი-მეთქი. აკი თავიდანვე ეს ამბავი ზღაპარივით იყო და არაიყორათი დავიწყე კიდეც, რამეთუ მეწადა, ყველა ზღაპარივით კეთილად დამთავრებულიყო, მეწადა, ტუხას დიდხანს და დიდხანს ეცოცხლა, დიდხანს და დიდხანს ევლო მიწაზე, ევლო ბედნიერად თავის თეონასთან ერთად, მაგრამ... სამწუხაროდ, ყველაფერი ჩემს ნება-სურვილზე როდია ქვეყნად, არ დამიმთავრდა ეს არც თუ ისე სასაცილო ამბავი ზღაპარივით, სადაც

ბოლოს უეჭველად კეთილი იმარჯვებს. ზღაპარი ხალხის ნატვრაა, კეთილი სურვილია, ოცნებაა და ცხოვრება ხშირად ყურს არ უგდებს ზღაპარს, რამეთუ ცხოვრებას თავისი გზა აქვს.

ბედნიერი ქალ-ვაჟის ალერსიანი, თამაშ-თამაშა სიცილი თოფის სამჯერ ზედიზედ დაქუხებამ გაწყვიტა.

შემზარავად ამოიხავლა ფერდობის ფერხთით ტყემ. ხევმა ხევს ესროლა ხავილა ექო, მერმე იგი გამრავლდა, გაძლიერდა და მთიდან მთაზე გრიალით გადაგორდა.

ტუხა შებარბაცდა და ნაპირა ზვინის მეზობლად გულაღმა წაიქცა. ჭაბუკთან ერთად მთებიც შეცახცახ-შეტორტმანდნენ. წაქცეულმა ბიჭმა ეს რომ დაინახა, ამოიგმინა და ნაიარევი წარბი გამალებით აუცახცახდა. იმავე წამს მოეჩვენა, თითქოს დედამიწამ დაიჩოქა და მზისკენ ხელები უხმო ვედრებით აღაპყრო.. თითქოს ლოცულობსო.

ტუხამ თვალი დახუჭა და უმალვე გაახილა.

გაღმაც და გამოღმაც ზვინებმა ფეხი აიდგეს და მისკენ გამოეშურნენ.

ზვინები თანდათან გაიზარდნენ, მთებად გაიზარდნენ... მთებად კი არა, თითქოს დედამიწას ერთბაშად უამრავი ძუძუ გაუჩნდა და მზე ჩვილი ბავშვივით დაეწაფა დედამიწის ხან ერთ, ხან მეორე ძუძუსო...

— მიშველეთ! — მიშველეთ! — გაოგნებულმა თეონამ კი არ იკივლა, ტყესავით ამოიხავლა, ტუხას მივარდა და ჩაფერხილმა მისი სისხლიანი თავი ჩაიხუტა. — მიშველეთ! ადამიანებო,! თუ სადმე ხართ, მიშველეთ!

ახავლებული ყვირილი ხევმა ხევს გადასცა, მერმე მთებმაც გაიმეორეს:

— მიშველეეეეთ!

— ტუხა! ტუხაა! ხმა ამოიღე, ბიჭო! ტუხააა! — ისევ ამოიხავლა თეონამ.

— ხააა! — დაიხავლა შემოგარენმა.

ეს ხავილი ტუხამ ყრუდ გაიგონა. სადღაც უსასრულო სიცარიელეში გაფრინდნენ ზვინები, გაფრინდნენ მთები, გაფრინდა მიწა, გაფრინდა ცა. ტუხამ წამით თვალი მოჰკრა მხოლოდ წკვარამივით დაბურულ ტყეს. ტყე სანთლებად იქცა, ოღონდ თეთრ და მზისფერ სანთლებად კი არა... ჩანახშირებული მთელი სათვალხილეთი შავ ცეცხლად აბრიალდა. ცივი იყო ეს შავი ცეცხლი, ყინულივით ცივი...

ჩანახშირებული ტყის სანთლების შავ და ცივ ცეცხლში იწვა ახლა ტუხა.

— ვინ? ვინ?... — ვის რა დავუშავეთ?! — თვალებად იქცა თეონა.

— ჩვენს შვილს მოუარე, გულო, ჩვენს... დედობა არ მოუშალო ჩვენს...

— ესღა წაიჩურჩულა ტუხამ და დადუმდა, თეონას თვალიააყოლ-ჩამოაყოლა, ერთადერთი ობოლი ცრემლი დაეკიდა წამწამზე და იმ ცრემლში ჩაიძირა მთელი ქვეყნიერება, ცა და მიწა. ამ ცრემლამდე კი ერთხელაც დალანდა, დედამიწა მზეს კვლავ რომ აწოვებდა ძუძუს და... მაინც იმედიანად დახუჭა თვალი.

## მინაწერი

კაცმა და ღმერთმაც იცოდეს, მე არ მინდოდა ამ ბიჭის დაღუპვა, საერთოდაც არ მინდოდა მისი სიკვდილი, მით უმეტეს, იმ ბედნიერების ჟამს...

ღმერთმანი მე არ მომიკლავს ტუხა, არც შემომკვდენია!

მომიკლეს, მომიკლეს! მომიკლეს ფეხშიშველა ბიჭი, ვისაც თოფი ხელში ერთხელაც არა სჭერია... მაგრამ ვინ მომიკლა, არ ვიცი. კარგა ხანია მკვლელს ვეძებ და ვერ მიპოვნია. იმედს მაინც არ ვკარგავ: უეჭველად ვიპოვიმეთქი. მე თუ არა, ტუხას შვილი მაინც იპოვის, თეონას და ტუხას ბიჭი, პატარა ტუხა. ჯერჯერობით ამქვეყნიერებისა რომ არაფერი გაეგება, ძუძუს წოვის მეტი რომ არაფერი იცის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვლადიმერ ჯანჯღავა
გენერალ-ლეიტენანტი
საბჭოთა კავშირის გმირი

# ე რ თ გ უ ლ ე ბ ა

## დივიზიის მეთაურის ჩანაწერები

## ორმოცდაორი წელი

### ახალი დანიშვნა

ორმოცდაორი წლის მარტის პირველი დღეები უსაშველოდ ყინვიანი იყო. მერე ოდნავ დათბა და მკვრივი ხორხოშელა თოვლი წამოუშინა. ღამ-ღამობით ქროდა სტეპის ძლიერი ქარი და ნახშირის მტვერში არეული თოვლით ადამიანებს სახეს უსუსხავდა. ბრძოლებში, რა თქმა უნდა, ამინდისთვის არავის ეცალა, — იგი ომის ანგარიშში არ შედიოდა. ყინვები კი სულ უფრო ძლიერდებოდა. მედსანბატში, სადაც მე სამსახურის გამო დროდადრო მიხდებოდა ყოფნა, ზოგჯერ დაჭრილებთან ერთად მოყინვით დაშავებული ჯარისკაცებიც მოჰყავდათ. ისინი, მართალია, ბევრნი არ იყვნენ, მაგრამ ბოლო თვეებში საგრძნობლად შეთხელებული ასეულებისა და ათასეულებისათვის ერთი კაცის დაკარგვაც კი დიდ დანაკლისად ითვლებოდა.

დნეპრსა და მდინარე სამარის დაჭაობებულ ჭალებში მიმდინარე ბრძოლების მხარდამხარ ჩვენი მეთხუთმეტე სივაშის დივიზიის პოლკები შეუპოვრად იცავდნენ თავს „კაზაკთა ჭალასთან", დრუჟკოვსთან, რაზდორებთან, არტემოვსკის რაიონსა და ჩრდილო დონბასის სხვა დასახლებულ პუნქტებთან.

პოლკებისა და ბატალიონების უზრუნველყოფა შეიარაღებითა და საომარი მასალებით მთლიანად და უშუალოდ ჩვენ გვევალებოდა, მაგრამ აქაც გაჭირვება გვქონდა: არ გვყოფნიდა შაშხანები, ტყვიამფრქვევები, პოლკებისა და დივიზიების ქვემეხები, ჭურვები, ნაღმები და თვით შაშხანის ვაზნებიც კი. ყველაფერი ეს უნდა „გვეშოვა", გამოგვეთხოვა და არმიის მომარაგებისათვის „გამოგვეგლიჯა ხელიდან".

მე ხშირად მივდიოდი დივიზიის მეთაურთან პოლკოვნიკ ა. ნ. სლიშკინთან და დაწვრილებით მოვახსენებდი, რა გაკეთდა ზურგის ძალებით. აფანასი ნიკიტას ძე ჩვეული ყურადღებით მომისმენდა და იქვე ახალ, უფრო ძნელ დავალებას მომცემდა.

დივიზიის შტაბის მეხუთე განყოფილების უფროსის თანამდებობაზე მუშაობა საკმაოდ საინტერესო იყო და, როგორც დივიზიის მეთაური ამბობდა, მოვალეობას არც ცუდად ვასრულებდი. მაგრამ მე არა მარტო განათლებით, სულითაც მწყობრის მეთაური ვიყავი და სულ იმას ვფიქრობდი, რომ საერთო საქმეს სამწყობრო სამსახურით უფრო მეტად გამოვადგები-მეთქი. არა ერთხელ ვთხოვე პოლკოვნიკ სლიშკინს, რომ პოლკში ნებისმიერ სამეთაურო თანამდებობაზე გადავეყვანე.

ძველი კადრის მეთაური, ჭკვიანი და პრინციპული კაცი აფანასი სლიშკინი მშვენივრად ხვდებოდა ჩემი სურვილის საფუძველს, მიწონებდა კიდეც, მაგრამ დაკმაყოფილებას არ ჩქარობდა. არც ტყუოდა: გამოცდილი მეთაურის მონახვა, რომელიც ზურგის სამსახურისთვის გაძღოლას შეძლებდა, იმ ძნელ დროში არც ისეთი ადვილი იყო.

— მე გაგგზავნი პოლკში, ვლადიმერ ნიკოლაევიჩ, — მეტყოდა ხოლმე დივიზიის მეთაური, — ოღონდ ღვთის გულისათვის, ნუ ამაჩქა-

* გაგრძელება. იხ. „მნათობი", № 5.

რებ. თვითონაც იცი, შენს ახლანდელ თანამდებობაზე ყველას ვერ დავნიშნავ.

მე მოთმინებით ვიცდიდი. და აი ერთხელ, სადღაც მარტის ბოლოს, დივიზიის საკომანდო პუნქტზე სასწრაფოდ გამოცხადების ბრძანება მივიღე. ბლინდაჟში პოლკოვნიკ სლიშკინის გარდა, იყვნენ პოლიტგანყოფილების უფროსი ნიკოლოზ რომანოვი და დივიზიის კომისარი ნიკოლოზ კოვალიოვი.

— მაგიდასთან ახლო დაჯექი, მაიორო, მოვილაპარაკოთ, — მითხრა სლიშკინმა და ერთადერთ თავისუფალ ტაბურეტზე მიმითითა. მაიორობა 1941 წლის ბოლოს მქონდა მიღებული. მაგრამ დივიზიის უფროსმა რატომ მომმართა წოდებით — მაიოროო და არა ჩვეულებრივ სახელითა და მამისსახელით? — დავინტერესდი მე, — მუშაობაში შეცდომა ხომ არაფერი გამეპარა? მგონი, არა. დივიზიის მეთაური როგორღაც კარგ ხასიათზე ჩანს. ხოლო დივიზიის პოლიტგანყოფილების უფროსს სახეზე კეთილი ღიმილიც დასთამაშებს.

— გმადლობთ, — ვთქვი ჩვეულებრივ, ტაბურეტი მივიწიე და მაგიდასთან დავჯექი.

— აი ასეა საქმე, — ხელახლა ალაპარაკდა პოლკოვნიკი სლიშკინი, — შენი თხოვნა დაკმაყოფილებულია. დღეს მივიღეთ არმიის სამხედრო საბჭოს ბრძანება. შენ დანიშნული ხარ 676-ე მსროლელი პოლკის მეთაურად. ჩაიბარე შენი „მეურნეობა" პოლკოვნიკ ჟდანოვისაგან.

პოლკის მეთაური! ამიხდა დიდი ხნის ნატვრა.

დივიზიის მეთაური და პოლიტგანყოფილების უფროსი მელაპარაკებოდნენ პოლკის საერთო მდგომარეობაზე. ვისმენდი მათს დარიგებებს და გუნებაში ვფიქრობდი: „შევძლებ კი? რაც არ უნდა იყოს, პოლკი რთული მეურნეობაა. თუმცა, არც დივიზიის შტაბის მეხუთე განყოფილების უფროსობა და ზურგში ფაქტიურად დივიზიის მეთაურის მოადგილის მოვალეობის შესრულებაა ადვილი, მით უფრო საბრძოლო ვითარებისა და ჯარების იძულებითი უკან დახევის პირობებში..."

პოლკში პირველი შემხვდა სამხედრო კომისარი ივანე მაზნიჩენკო. ჩვენ საკმაოდ დიდი ხნის ნაცნობები ვიყავით, მაგრამ ახლა, რამდენადაც ერთად უნდა გვემუშავა და გვეხელმძღვანელა პოლკისათვის, ერთიმეორე თითქოს ხელახლა გავიცანით.

ივანე მაზნიჩენკო ჩემზე რამდენიმე წლით იყო უფროსი. ომამდე პარტორგად ემუშავა დონბასის ერთ-ერთ მოზრდილ ქარხანაში. იგი საუკეთესო სამხედრო კომისარი იყო. ბრძოლის თვით ყველაზე უმძიმეს წუთებშიც კი შეეძლო თავის ირგვლივ სრული სიმშვიდისა და ზომიერების ატმოსფერო შეექმნა. როცა საჭირო იყო, პირველი გადავიდოდა იერიშზე და მამაცურად და თავგანწირვითაც იბრძოდა. პოლკის მებრძოლებს ისე უყვარდათ, როგორც მამა და დამრიგებელი და ყველაზე გააფთრებულ ბრძოლაში უშიშრად და უყოყმანოდ მიჰყვებოდნენ.

პოლკის მეთაურად ჩემი დანიშვნის პირველსავე დღეს, ათასეულის კომისარმა მაზნიჩენკომ, როგორც წესი, საკმაოდ დაწვრილებით გამაცნო პოლკის საქმეების მდგომარეობა, შტაბის უფროსი კაპიტანი ვასილ ფომინი დაახასიათა, როგორც მომწიფებული, დაკვირვებული, თავისი საქმის მცოდნე და სხვაფრივაც ფართოდ ერუდირებული ადამიანი. კაპიტანი ფომინი, რომელსაც ომამდე ნოვგოროდის ერთ-ერთ საშუალო სკოლაში მასწავლებლად ემუშავა, სინამდვილეში ასეთიც იყო.

მოკლედ რომ ვთქვათ, უკეთეს სამხედრო კომისარსა და შტაბის უფროსს ვერც ვინატრებდი. თუმცა არც ერთი და არც მეორე კადრის სამხედრო მუშაკები არ იყვნენ, მაგრამ ომის ცხრა თვის გამოცდილებამ მათ ყველაზე აუცილებელი და მთავარი რაღაც ასწავლა: მტერთან უკომპრომისო ბრძოლა, რთულ მდგომარეობაში ყოფნისას — სწორი გადაწყვეტილების სწრაფი მიღება.

ჩემი ბრძანებით კაპიტანმა ფომინმა ქვეგანაყოფების მეთაურები და პოლიტმუშაკები შეკრიბა. მე არა მარტო უნდა გავცნობოდი მათ, არამედ თვითეულისათვის მკვეთრად უნდა ამეხსნა თუ რა აუცილებელი პრაქტიკული საკითხების გადაჭრას უნდა შესდგომოდა პოლკი დაუყოვნებლივ.

მთავარი საკითხი, რომელზეც მე თათბირზე შეკრებილი მეთაურების წინაშე ყურადღება გავამახვილე, იყო პოლკში დისციპლინის მდგომარეობის საკითხი, რომელიც, სამწუხაროდ, სრულიადაც ვერ შეესაბამებოდა პოლკის წინაშე მდგარ სერიოზულ ამოცანებს. სწორედ ამიტომაც გადააყენეს თანამდებობიდან ჩემი წინამორბედი პოლკოვნიკი ჟდანოვი. რა თქმა უნდა, ამ საქმეში მარტო ის არ იყო დამნაშავე, არამედ — ასეულებისა და ათასეულების მეთაურები და პოლიტმუშაკებიც. საჭირო იყო სასწრაფო ზომების მიღება, რომ საწესდებო დისციპლინის ყოველგვარი დარღვევა დროულად აღმოგვეფხვრა.

შემდეგ მეთაურებს ველაპარაკე პირადი შემადგენლობის საბრძოლო სწავლების მდგომარეობაზე, რომ აუცილებლად უნდა ვისარგებლოთ დროით და სანამ პოლკი მეორე ეშელონზე დგას, მებრძოლებისა და მეთაურების სამხედრო-პოლიტიკური მომზადება გავაძლიეროთ-მეთქი.

ნახევარწლიანმა ომის მაგალითებმა დაგვარწმუნა, რომ ჩვენმა წითელარმიელებმა, განსაკუთრებით თადარიგიდან მოსულებმა, ზოგჯერ ხელყუმბარების ტყორცნაც არ იცოდნენ, ცუდად ფლობდნენ ავტომატს და ტყვიამფრქვევს, ვერ ახერხებდნენ გადარბენებს, მუცლით ხოხვას, სირბილისა და სვლის დროს სროლას და იერიშზე გადასვლას. მეთაურებს დაევალათ

ყველა ამ საკითხის დამუშავება, სანამ პოლკი მეორე ეშელონზე იმყოფებოდა.

დიდი მუშაობა მიმდინარეობდა ახალგაზრდა მებრძოლების აღზრდაზე წითელი არმიის უძველესი შენაერთის — სივაშის დივიზიის სახელოვანი ტრადიციების სულისკვეთებით; მათი დაცვისა და შემდგომი განვითარების სულისკვეთებით.

## ისევ ფრონტზე

ორმოცდაორი წლის აპრილის პირველ რიცხვებში სივაშის მსროლელი დივიზია, სარდლობის ბრძანებით ლისიჩანსკის მისადგომებიდან ვორონეჟის სამხრეთ-აღმოსავლეთით, პატარა ქალაქ ბობროვში გადაისროლეს. ჩვენი პოლკი სადგურ იკორეცის მახლობლად, ამავე სახელწოდების მდინარის აღმოსავლეთ ნაპირზე განლაგდა.

ამ დროისათვის მდგომარეობა ფრონტზე მკვეთრად გართულდა. მოწინააღმდეგე ახალი გენერალური შეტევისათვის ემზადებოდა და მოსკოვთან დამარცხების სანაცვლოდ რევანშის აღებას ესწრაფვოდა.

საბჭოთა უმაღლესი მთავარსარდლობა ამას ითვალისწინებდა, ითვალისწინებდა აგრეთვე იმასაც, რომ მოწინააღმდეგე შეეცდებოდა თავისი მთავარი დარტყმა ამჯერად სამხრეთის მიმართულებით განეხორციელებინა და ყველა ზომებს იღებდა იმისათვის, რომ მტრის ეს ჩანაფიქრი ჩაეფუშა, მტრის სავარაუდო მთავარი დარტყმის მიმართულებით გადმოჰყავდათ ჯარები. ამიტომ ჩვენს დივიზიასაც პროგრამით გათვალისწინებული საველე და სამოსწავლო მეცადინეობების დასრულებამდე, 11 მაისს მოუვიდა ბრძანება, რომ დაბარგებულიყო რკინიგზის ეშელონზე და ვორონეჟის მიმართულებით წასულიყო.

არც სარდლობამ და არც შტაბმა დივიზიის მომავალი ამოცანების შესახებ წინასწარ არაფერი იცოდნენ, განკარგულება იმის შესახებ, რომ დავჯგუფებულიყავით სადგურ სტუდიონის რაიონში და გადავსულიყავით ბრიანსკის ფრონტის მეცამეტე არმიის სარდლობის განკარგულებაში — ჩვენ უკვე გზაში მივიღეთ.

დანიშნულების ადგილზე 13 მაისს ჩავედით. ის იყო, გადმოვბარგდით ეშელონიდან, რომ მეცამეტე არმიის წარმომადგენლის ბრძანებაც მივიღეთ, რომ გადავსულიყავით თავდაცვაზე და დაგვეკავებინა კრასნის, ბერეზოვის, ლესკის, კრუტეტის, გრეკოვისა და მდინარე ფოშნიას შესართავის ზღუდეები. ამასთანავე დაზუსტებული იყო დივიზიის ამოცანაც.

27 მაისის ღამეს სივაშელებმა შეცვალეს 143-ე მსროლელი დივიზია ვიშნე-დოლგოესა და ლუგოვოის ფრონტზე. 676-ე მსროლელი პოლკის ქვედანაყოფებმა დაიკავეს თავდაცვის თოთხმეტკილომეტრიანი მონაკვეთი მდინარე ტიმის აღმოსავლეთ ნაპირზე. პატარა მდინარის კასორჯას შესართავთან.

თუმცა პოლკი საკმარისად იყო დაკომპლექტებული პირადი შემადგენლობით, ჰქონდა იმ დროისათვის აუცილებელი შეიარაღება, მაგრამ მეც და შტაბსაც თავდაცვის უბნის ასეთი უსაზომო გაჭიმვა მაინც გვაშფოთებდა. ჩვეულებრივ ნორმას იგი ორმაგად და მეტად აღემატებოდა. გარდა ამისა, პოლკისავე ძალებით უნდა შეგვენარჩუნებინა კიდევ მცირე ზომის პლაცდარმი მდინარე ტიმის დასავლეთ ნაპირზე, შოლოხოვოს რაიონში, რომლის მდინარისპირა მონაკვეთის ერთი ნახევარი ჩვენ გვეკავა, ხოლო მეორე ნახევარი — მოწინააღმდეგეს.

ფრონტის სიფართოვის გამო, თავდაცვის მოწყობა და გამაგრება ერთ ხაზზე მოგვიხდა. არც მეორე ეშელონი, არც რეზერვია. ცუდად გვქონდა კავშირგაბმულობის საქმეც: არ გვყოფნიდა სატელეფონო კაბელები, ბევრ შემთხვევაში მის ნაცვლად ვიყენებდით მავთულხლართისათვის განკუთვნილ ჩვეულებრივ ეკლიან მავთულს, რომელსაც ხარიხებსა და სარებზე ვკიდებდით. მაგრამ კარგად ვიცოდით, რომ პირველსავე საარტილერიო დაბომბვაზე ეს პრიმიტიული ნაჯახირალი თავდაყირა დადგებოდა და პოლკი უკავშიროდ დარჩებოდა. მართალია, რეზერვში რამდენიმე რაცია გვქონდა, მაგრამ ისინი ჩვენს საჭიროებას ვერ დააკმაყოფილებდნენ.

ბევრ სადავიდარაბო საქმეს უჩენდა პოლკის მეთაურობას მდინარე ტიმის დასავლეთ ნაპირზე მდებარე პლაცდარმიც. ჩვენი ჯარების შეტევაზე გადასვლის შემთხვევაში, ამ პლაცდარმზე ორი მსროლელი ბატალიონის განლაგება შეიძლებოდა, რაც ბრძოლას და შეტევას საგრძნობლად გაგვიადვილებდა. მიუხედავად ყველა სიძნელისა, ჩვენ მაშინ, ესე იგი, ორმოცდაორი წლის პირველ ნახევარში, უკვე ვოცნებობდით შეტევითს ბრძოლებზე, იმედი გვქონდა, რომ მოსკოვთან შემუსვრისა და განადგურების შემდეგ ფაშისტურ ურდოებს ძალა აღარ შესწევდათ და ვერც გაბედავდნენ ორმოცდაერთი წლის ავანტიურის გამეორებას.

დღე და ღამე თავაუწევლად ვმუშაობდით და სულ უფრო სრულვყოფდით თავდაცვის ხაზს ჩვენს უბანზე, ვთხრიდით ახალ სანგრებს, ვაღრმავებდით ტრანშეებს და სამიმოსვლო თხრილებს, ვაშენებდით ბლინდაჟებსა და თავშესაფრებს, ვაწყობდით ნაღმებს, ვდგამდით მავთულხლართის ღობურებს და ვფიქრობდით, რომ წითელი არმიის შემდგომ უკან დახევებს უკვე ბოლო მოეღო. მაგრამ ივნისის პირველ დეკადაში ეს საოცნებო იმედები რამდენადმე გაგვიცრუვდა. ხაზაერო დაზვერვის მასალებიდან ცნობილი გახდა, რომ მოწინააღმდეგე ჯარებს უყრიდა თავს დასახლებული პუნქტების — კოლპინისა და იუნნოეს რაიონში და წინა ხაზიდან

20-30 კილომეტრის დაშორებით, თავიანთი თავდაცვის სიღრმეში, ქმნიდა დაჯგუფებას, სწორედ იმ ზღუდის პირისპირ, რომელზეც ჩვენი მეთხუთმეტე მსროლელი დივიზიის თავდაცვის ხაზი გადიოდა.

მე და პოლკის სხვა მეთაურები დივიზიის მეთაურმა გამოგვიძახა. ჯერჯერით მოვახსენეთ თავთავიანთ უბნებზე არსებული საბრძოლო მდგომარეობის შესახებ.

— დაზვერვის საქმე როგორღაა? რატომ არ არის „მოენეები?“ — გაჯავრებით იკითხა სლიშკინმა.

ყველამ თავთავისებურად ვუპასუხეთ, მაგრამ ყველა პასუხის აზრი ერთი იყო: მოწინააღმდეგე ყოველწამს ფხიზლობს, მზვერავთა ჯგუფებმა ვერაფრით ვერ მოახერხეს მათს განლაგებაში ფარულად შესვლა.

— გამოდის, რომ ასე „თვალხუჭულებმა უნდა ვითამაშოთ“, არა? — დაუფარავი საყვედურით თქვა პოლკოვნიკმა სლიშკინმა და ყველანი მკაცრი მზერით ჩამოგვათვალიერა, — ომში ეს ნაღდი წაგებაა.

რა თქმა უნდა, ჩვენ თვითონაც ვიცოდით, რომ „მოენე“ აუცილებელი იყო.

მართალია, საჰაერო დაზვერვამ კი განსაზღვრა მტრის ჯარების თავმოყრა ჩვენი მეცამეტე არმიის პირისპირ, მაგრამ ტყვედ ჩავარდნილი ცოცხალი ჰიტლერელი მაინც სხვა იყო, შეეძლო ზოგიერთი რამ განემარტა, აეხსნა, დაკითხვისას შეიძლება ზოგად ფორმებში ჯარის თავმოყრის მიზანიც ემხილებინა.

მაშ ასე, „მოენე“ ჰაერივით გვჭირდება. მაგრამ სად ვიშოვოთ იგი? ჯერ კიდევ დივიზიის მეთაურის გამოძახებამდე, რამდენიმე დღით ადრე, ამის შესახებ შტაბის უფროსს ვასილ ფომინსა და დაზვერვის უფროსს უფროს ლეიტენანტ გიორგი პილიპენკოსაც ველაპარაკე. ყველას აზრი ასეთი იყო: თუ ვერ მოვახერხებდით „მოენის“ ჩუმათ შეპყრობას, მაშინ უნდა მოგვეწყო გაძლიერებული დაზვერვა და იგი ბრძოლით მოგვეპოვებინა. სწორედ ამის თქმას ვაპირებდი დივიზიის მეთაურისათვის, მაგრამ მან დამასწრო.

— არმიის სარდალმა გვიბრძანა, რომ მოვაწყოთ ბრძოლითი დაზვერვა, — აგვიხსნა პოლკოვნიკმა სლიშკინმა, — მე მგონი, ვლადიმერ ნიკოლაევიჩ, საამისოდ ყველაზე ხელსაყრელი ადგილი შენი პოლკის უბანია. მოიფიქრე გეგმა: სად, როგორ და რა ძალებით. შვიდ ივნისს, დღის ოთხ საათზე ყველაფერს წესისამებრ მომახსენებ და საბრძოლო გეგმის ნუსხასაც წარმომიდგენ.

## ᲓᲐᲖᲕᲔᲠᲕᲐ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲗ

თავდაცვის უბანს, რომელიც ჩემს 676-ე მოტომსროლელ პოლკს ეჭირა, უკვე საკმაოდ კარგად ვიცნობდი, ამიტომ დიდხანს ფიქრი არ დამჭირვებია, იმავ წამს გადავწყვიტე, რომ დაზვერვის მოწყობა ყველაზე უფრო სოფელ შოლოხოვოს მიდამოებში აჯობდა. მაგრამ გადაწყვეტილების სისწორეში რომ დავრწმუნებულიყავი, მე, შტაბის უფროსი, დაზვერვის უფროსი, არტილერიის უფროსი და ჩემი ადიუტანტი ივანე ევზანოვი — გაბედული, დაკვირვებული და სამხედრო საქმეშიც კარგად მომზადებული კაცი — დაბნელებისთანავე ადგილმდებარეობის დასაზვერად წავედით. მოწინააღმდეგის შეუმჩნევლად გავედით მდინარე ტიმის ნაპირზე და ბუჩქებიდან მთელი საათი ვაკვირდებოდით მტრის თავდაცვის წინა მხარეს: მანათობელი შუშხუნების შუქზე, რომლებსაც გერმანელები, როგორც წესი, სიბნელეში განუწყვეტლივ ისროდნენ, ნეიტრალური ზოლი და თავდაცვის წინა მხარე ხელის გულივით მოჩანდა.

დაზვერვამ ერთხელ კიდევ დაგვარწმუნა, რომ ამ მიმართულებით მოწინააღმდეგეს არავითარი მნიშვნელოვანი თავდაცვითი ნაგებობა არ გააჩნდა. მისი თავდაცვის მთავარი რგოლი ოდნავ სამხრეთით მდებარე, სოფელი შოლოხოვო იყო. ამ ადგილას მდინარე ტიმი ღრმა არ არის და შიგ გასვლა უნავოდაც შეიძლებოდა, ხოლო დამრეცი ნაპირები ხშირი ბუჩქნარით აქვს დაფარული. გერმანელთა სანგრებიც ზედ ნაპირზე იყო, დროზე ადრე თუ არ დავაფრთხობდით ფაშისტებს, შეიძლებოდა ჯიქური იერიშიც მიგვეტანა.

— ადგილი სწორედ ბრძოლით დაზვერვისათვის არის ზედგამოჭრილი, ამხანაგო მაიორო, — გამოთქვა თავისი აზრი შტაბის უფროსმა.

— ჰოდა, ჩვენც ასე ჩავთვალოთ, — დავთანხმდი მე, — ახლა კი მოდით, შტაბში დავბრუნდეთ და დავაზუსტოთ, რა და როგორ.

როცა დავბრუნდით, შტაბის უფროსმა კაპიტანმა ფომინმა თავის მიწურში გამოიძახა დანარჩენი მეთაურები, რომლებსაც მომავალი დაზვერვა უნდა განეხორციელებინათ; მე მათ რამდენიმე სიტყვით გავაცანი მომავალი ბრძოლის სავარაუდო გეგმა და მის მომზადებისა და განხორციელების შესახებ თვითეულს პრაქტიკული დავალებაც მივეცი.

დათქმულ დროს მომზადებული საბრძოლო გეგმით მივედი დივიზიის მეთაურთან. სანამ ჩემს მოხსენებას მოისმენდა, პოლკოვნიკმა დაურეკა შტაბის, პოლიტგანყოფილებისა და დაზვერვის უფროსებს, იმხანად დანიშნულ, ჩემთვის ჯერ კიდევ უცნობ პოლკოვნიკს არტილერიის უფროსს კოლესნიკოვს, და ყველანი გეგმის განხილვაში მონაწილეობის მისაღებად მოიწვია.

— აბა, მაიორო, ახლა მოგვახსენე, რა დაგეგმეთ თქვენ იქ, — მითხრა დივიზიის მეთაურმა, როცა ყველანი შეგროვდნენ.

მოვახსენე სწრაფად, სიტყვის გაუგრძელებლად, რამდენადაც გეგმა საკმაოდ გულდასმით მოფიქრებული და აწონილ-დაწონილი გვქონდა.

დავასახელე ბრძოლით დაზვერვის დაწყების დროც — ღამის ორი საათი და ოცდაათი წუთი.

ვილაცამ იკითხა: რატომ ასე ადრე? მე ავუხსენი, რომ ბრძოლის მონაწილეები გათენებამდე, ღამის სიბნელეში მდინარეს წყნარად, თავიანთ თავის გაუმჟღავნებლად გადალახავენ და, თუ ყველაფერი კარგად წავიდა, ჭიქურ შეიჭრებიან მტრის განლაგებაში, გაუმართავენ ხელჩართულ ბრძოლას, ხელთ იგდებენ ტყვეებს და გათენებამდე უკანვე დაბრუნდებიან-მეთქი.

გეგმის თანახმად, ბრძოლით დაზვერვაში მონაწილეობის მისაღებად გამოყოფილი იყო ჩვენი პოლკის პირველი მსროლელი ბატალიონის ორი ასეული, საარტილერიო დივიზიონი, ნაღმტყორცნელთა ასეული, მზვერავთა ჯგუფი, მესანგრეთა ოცეული და ქიმიკოსთა განყოფილება.

— არ იქნებოდა ცუდი, ამხანაგო პოლკოვნიკო, რომ ღამის ბომბდამშენებსაც ჩავრთავდეთ, — ვუთხარი დივიზიის მეთაურს და მორიდებით შევხედე, რადგან ამ თხოვნის შესრულების დიდი იმედი არ მქონდა.

— ღამის ბომბდამშენებიც შეიძლება, — დამთანხმდა სლიშკინი, — მოველაპარაკები არმიის სარდალს, შეიძლება ერთი ორიოდ „მესიმინდე" გამოგვიგზავნოს. სხმელეთო ძალებზე რას ფიქრობ, გეყოფა?

—მე მგონი, საკმარისია, — მივუგე დივიზიის მეთაურს, — ჩვენ ხომ შეტევას არ ვაპირებთ, მხოლოდ ბრძოლით დაზვერვას ვაწარმოებთ.

აზრთა ხანმოკლე გაცვლა-გამოცვლის შემდეგ დივიზიის მეთაურმა ჩვენი წარდგენილი გეგმა დაამტკიცა.

— და აი კიდევ რა, მაიორო, — დაუმატა დასასრულს დივიზიის მეთაურმა, — ბრძოლის დროს ბატალიონში შტაბის მეთაურებიდან ვინმე უფრო გაბედული გაგზავნე, რომელსაც შეეძლება აუცილებლობის შემთხვევაში ბატალიონის მეთაურს ქვედანაყოფების მართვაში წაეხმაროს. აქ საჭიროა არა მარტო კარგი ტაქტიკოსი, არამედ მამაცი და გაბედული კაცი. მოიძებნება კი ასეთი ვინმე?

— მოიძებნება, — მივუგე მე და იმავ წამს ჩემი ადიუტანტი ივანე ევზაროვი გამახსენდა.

უფროსი ლეიტენანტი ევზაროვი, როგორც ჩემთვის ცნობილი გახდა, წინანდელ პოლკის უფროსთანაც ადიუტანტად ყოფილა. მე მალე დავრწმუნდი, რომ ივანეს თავისი მოკრძალებული სამსახურებრივი მოვალეობა საკმაოდ ფართოდ და ღრმად ესმოდა. იგი გონიერი, მამაცი, დაკვირვებული ადამიანი იყო და საბრძოლო საკითხებშიც მშვენივრად ერკვეოდა. მალე იგი ჩემი მარჯვენა ხელი და ყველაზე საიმედო თანაშემწე გახდა. ბრძანებამ იმის შესახებ, რომ უშუალოდ მიეღო მონაწილეობა ბრძოლით დაზვერვაში, პირდაპირ აღაფრთოვანა.

8 ივნისის გვიან საღამოს პირველი მსროლელი ბატალიონის სამ ჯგუფად გაყოფილმა ორმა ასეულმა დაიკავა საწყისი მდგომარეობა. უფროს ლეიტენანტ კორნევის მესანგრეებმა დანაღმულ ძინდორსა და მავთულხლართის ღობურებში გასასვლელები გააკეთეს. მე, შტაბის უფროსმა და არტილერიის უფროსმა დროებითი საკომანდო პუნქტი დავიკავეთ, რომელიც მდინარიდან ასი მეტრის დაშორებით იყო განლაგებული.

9 ივნისის ღამე ზედმეტად წყნარი და თბილი იყო. მდინარის პირას მშვიდად ყიყინებდნენ ბაყაყები, ასევე მშვიდად და უზრუნველად ჭრიახობდნენ ჭრიჭინობლები. ახლად ამოსული მუქწითელი ბადრი მთვარე თანდათან ფერს იწმენდდა და ნათლიერდებოდა. ხოლო შუაღამისას ისე განათდა, რომ გაღმა ნაპირის ბუჩქნარში პაწაწინა გორახებიც კი თვალნათლივ მოჩანდა. რა თქმა უნდა, გაღმიდან ასევე კარგად ჩანდა ჩვენი ნაპირიც. სულ მცირე გაუფრთხილებლობას შეეძლო მიეპყრო მოწინააღმდეგის ყურადღება. მაგრამ მიუხედავად ასეთი ნათელი ღამისა, ჰიტლერელები, როგორც ყოველთვის გარკვეულ შუალედებში, ახლაც უშვებდნენ შუქმხუნებს ჰაერში, რომელთა მკვეთრი შუქი ვარდნისას მდინარის ნაპირს მომწვანო-მოწითალო ფერით აფერადებდა. დროდადრო მოპირდაპირე მხრიდან ტყვიამფრქვევის მოკლე კაკანიც მოისმოდა, მანათობელი ტყვიების ცეცხლისფერი წყვეტილი ხაზი მდინარის კალაპოტს გარდიგარდმო კვეთავდა.

ორ საათსა და ოცდახუთ წუთზე პოლკოვნიკმა სლიშკინმა დარეკა.

— აბა, როგორ გაქვს მანდ საქმე?

— ანათებს, ეს წყეული, — ვუპასუხე მე.

— ვინ? — ვერ მიხვდა აფანასი ნიკიტას ძე.

— მთვარე.

— შენც ადექი და ნაბადი მიაფარე, — გამეხუმრა დივიზიის მეთაური.

მართალია, არ მეხუმრებოდა, მაგრამ პოლკოვნიკს მეც ხუმრობის კილოზე ვუპასუხე.

— ნეტა მქონდეს და მივაფარებდი.

— ხომ არ გაუგია გერმანელს თქვენი სამზადისი?

— ჯერ, მგონი, არა.

— მაშ კარგი, იმოქმედე. ღმერთმა ხელი მოგიმართოს.

როგორც კი ტელეფონის ყურმილი ადგილზე დავდე, საიდანღაც შორიდან მოტორების გუგუნი მოისმა. გუგუნი თანდათან იზრდებოდა და სულ უფრო ძლიერდებოდა. მალე ზედ მდინარის თავზე აუჩქარებლად გაიშალნენ ღამის ბომბდამშენები. ესენი იყვნენ მცირე ზომის, ნელა მავალი, ახლანდელი თვალსაზრისით სრულიად არა საშიში მანქანები, ფრონტზე „მესიმინდეების" სახელით ცნობილი პო-2 ტიპის თვითმფრინავები. ამ მსუბუქ და უბრალო თვითმფრინავებს, მტრის თვითმფრინავების გამოდევნებისას, მართლაც შეეძლოთ სიმინდის

ხშირ ყანაში დამალვა. მაგრამ ჰიტლერელებს მათი მაინც უზომოდ ეშინოდათ, რადგან ღამით ბომბის ზუსტ სროლაში მათ ბადალი არ მოეპოვებოდათ. მთვარის სინათლეზე „მესიმინდეები" ერთმანეთის მიყოლებით ახლაც ზუსტად დაუპირდაპირდნენ სამიზნეს და თავიანთი ცეცხლიანი ტვირთი მტრის ხანგრებსა და ტრანშეებს აუცდენლად დააყარეს.

საჰაერო დაბომბვისთანავე მტრის ხანგრებსა და ტრანშეებს არტილერისტებმა გაუხსნეს მასირებული ცეცხლი. ამ უეცარმა ცეცხლდაშენამ გერმანელები უცბად დააბნია და კარგა ხანს ორგანიზებული წინააღმდეგობის გაწევა ველარ მოახერხეს.

არტილერიის ცეცხლსაფარქვეშ სამივე ჯგუფი შოლოხოვოში შეიჭრა, თუმცა ყველა ჯგუფმა ერთნაირ წარმატებას ვერ მიაღწია. მარჯვენა ფლანგის ჯგუფმა **400** მეტრით წაიწია წინ და მტრის ხანჯლისებურ ცეცხლში მოხვდა, საგრძნობლად დაზარალდა და იძულებული გახდა, მავთულხლართის ღობურასთან ჩაწოლილიყო. ცენტრალურ ჯგუფს პირველსავე შეტაკებაში მეთაური მოუკლეს. უხელმძღვანელოდ დარჩენილმა ჯგუფმა საწყისი პოზიციისაკენ დაიხია და ბრძოლაში მხოლოდ გვიანღა ჩაება. წარმატება მხოლოდ მარცხენა ფლანგის ჯგუფმა მოიპოვა, რომელიც შოლოხოვოს სამხრეთ-აღმოსავლეთის მხრიდან უტევდა. ბრძოლით შეიჭრა სოფელში და ორი ტყვე გაბაწრა, ცოტა ხნის შემდეგ კი მესამეც დაუმატა.

ჩვენ საკომანდო პუნქტზე ვიმყოფებოდით და მოუთმენლად ველოდით ცნობას გაღმა ნაპირიდან. და აი ბოლოს „გაღმაური" ზარიც გაისმა. უფროსი ლეიტენანტი ევზანოვი მოგვახსენებდა:

— ეს-ეს არის შევიპყარით ტყვეები. გრძელდება ბრძოლა მტრის ტრანშეების დასაუფლებლად. ფაშისტები იძულებული არიან უკან დაიხიონ. თითქმის მთელი შოლოხოვო ჩვენს ხელთ არის.

ბრძოლა გრძელდებოდა. მთელი ძალით ქუხდა საარტილერიო კანონადა. ახლა ჩვენი ნაპირიდან ცეცხლს უშენდა ორი დივიზიონი. მოწინააღმდეგე რამდენიმე საარტილერიო და ნაღმსატყორცნი ბატარიების ცეცხლით პასუხობდა.

რვა საათსა და ოცდაათ წუთზე მივიღეთ დივიზიის მეთაურის პოლკოვნიკ სლიშკინის ბრძანება ბრძოლის შეწყვეტისა და ქვედანაყოფების უკან გამოყვანის შესახებ.

— ტყვეებს, როგორც კი აღმოსავლეთ ნაპირზე გამოიყვან, დაუყოვნებლივ ჩემთან, — შემახსენა დივიზიის მეთაურმა.

ტყვეები ჯერ არ მოუყვანიათ. ახლა მთელი ჩვენი ყურადღება მიქცეულია იქითკენ, რომ ბატალიონი როგორმე ჩქარა გამოვიყვანოთ ბრძოლიდან, მაგრამ განა ასე ადვილია შეაჩერო ბრძოლაში ადამიანები, რომელთაც უკვე გარკვეულ **წარმატებას მიაღწიეს — განდევნეს მო**წინააღმდეგე მისივე ხანგრებიდან, ტრანშეებიდან და სოფლიდანაც გადარეკეს. თუმცა სწრაფი უკან დახევაც საჭიროა, თორემ შეიძლება უბედურება მოხდეს. პოლკს შოლოხოვოს შენარჩუნება არ შეუძლია, საამისო ძალები არა ჰყავს. ხოლო თუ გერმანელებმა მაშველი ძალაც გამოიყვანეს, ჩვენი ბატალიონი მდინარეს მთლიანად მოწყვეტილი აღმოჩნდება. გერმანელები მართლაც ემზადებოდნენ დარტყმისათვის. სტერეომილში გარკვევით მოჩანდა, როგორ მოისწრაფოდნენ ბრძოლის ადგილისაკენ მათი ქვეითი ნაწილები; და გამოჩენას ალბათ აღარც ტანკები დააყოვნებდნენ.

მეკავშირე ჯიუტად ატრიალებს ტელეფონის აპარატის სახელურს. მავთულის მეორე თავში ყურმილი ისევ უფროსმა ლეიტენანტმა ევზანოვმა აიღო. მე ხმამაღლა ვუყვირი:

— როგორმე ჩქარა გამოიყვანეთ ყველა მებრძოლი ჯგუფი საწყის ზღუდეზე.

— რატომ? — მეკითხება იგი.

მე ვუმეორებ:

— გამოიყვანეთ ადამიანები საწყის ზღუდეზე. ახლავე, დაუყოვნებლივ! უბრძანეთ ჩემი სახელით — დაიხიონ უკან თან წამოიყვანეთ დაჭრილები. უკან დახევას არტილერია დაიფარავს.

— არის, დავიხიოთ საწყისზე! — ისმის ყურმილში არც თუ კმაყოფილი ხმა ადიუტანტისა.

ჩვენი არტილერისტები გადამღობ ცეცხლს უშენენ ტიმის გაღმითა ნაპირის ფლანგებს. ქიმიკოსებმა კვამლის ფარდები აღმართეს. შავი, ხშირი კვამლი კილომეტრიან, მკვრივ კედლად გაწვა სოფელსა და მდინარეზე.

ბუნებრივია, ყველა ჩვენგანს ერთი ფიქრი გვაღელვებს: შეძლებენ კი მზვერავები ტყვეების გამოყვანას? მთელი ეს ბრძოლა ამისათვის მოხდა და ვაითუ ამ არეულობაში ისევ ხელიდან დაუსხლტნენ.

ტიმის აღმოსავლეთ ნაპირზე პირველი დაბრუნდა უმცროსი ლეიტენანტის იასინის მძებნელთა ჯგუფი. თავით ფეხებამდე სველმა და ტალახში ამოგანგლულმა მებრძოლებმა სანგარში სამი ხელფეხშეკრული ტყვე დააგდეს.

— რას შვრებიან სხვა ჯგუფები? ბრუნდებიან? — ვკითხე მაღალ, მხარბეჭიან მზვერავ სერჟანტს, რომელსაც მრგვალი სახე ოფლით ულაპლაპებს.

— წესრიგია, ამხანაგო მაიორო, — მპასუხობს იგი ბოხი ხმით, — ყველა ასეული მდინარეზეა. კვამლის საფარქვეშ დაჭრილები გადმოჰყავთ, მალე ყველანი აქ იქნებიან.

კვლავ რეკავს დივიზიის მეთაური, აინტერესებს, მოიყვანეს თუ არა ტყვეები.

— კი, მოიყვანეს, სამი ჯარისკაცი.

— სამივენი ახლავე ჩემთან. ბრძოლაში თავგამოჩენილი წითელარმიელები, მეთაურები და პოლიტმუშაკები წარმოადგინეთ ჯილდოზე.

სანგართან შეკრებილი კომენდანტის ოცეუ-

ლის მებრძოლები და შტაბის მეთაურები ათვალიერებდნენ ტყვეებს, რომელთაც მზვერავებმა უკვე გაუხსნეს ხელ-ფეხი. ტყვეებიც წყლითა და ტალახით იყვნენ გალუმპულები, მაგრამ ტანსაცმელი სამივეს ახალი ეცვა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ფრონტზე ისინი სულ ახლახან მოყვანილები უნდა ყოფილიყვნენ. მინდა ჩქარა დავკითხო მათ, მაგრამ ბრძანება ბრძანებაა: რამდენიმე ჯარისკაცის თანხლებით ჰიტლერელებს დივიზიის საკომანდო პუნქტში ვაგზავნი.

ტყვეები გერმანელთა 279-ე და 385-ე ქვეით. პოლკების ჯარისკაცები აღმოჩნდნენ. დაკითხვისას თქვეს, რომ შოლოხოვოს რაიონში მათი ნაწილები არასრული შემადგენლობით მოვიდნენ რამდენიმე დღის წინ. უახლოეს დროში მოსალოდნელია 279-ე და 587-ე ქვეითი დივიზიის დანარჩენი პოლკების მოსვლაც, რომლებიც ახლა დასასვენებლად ზურგში იმყოფებიანო. ორივე დივიზია საკმარისად არის შევსებულ-გაძლიერებულიო. მათი თქმით, ივნისის ბოლოსთვის მზადდება შეტევაზე გადმოსვლა. ამისათვის გადმოჰყავთ სხვა ნაწილებიც და მათ შორის სატანკო და საარტილერიო შენაერთებიცო.

ამ ჩვენებებს, რა თქმა უნდა, შემოწმება და ჯერ საჰაერო დაზვერვის მონაცემებთან შეჯერება ჰირდებოდა. მაგრამ ასე იყო თუ ისე, ტყვეებისაგან მაინც მნიშვნელოვანი ცნობები მივიღეთ. ოდნავადაც აღარ იყო საეჭვო ის, რომ მოწინააღმდეგე ძლიერ დარტყმას ამზადებდა არმიის მარცხენა ფლანგზე. საჭირო იყო ყოველ წამს მზადყოფნა გააფთრებული ბრძოლისათვის.

დაზვერვითმა ბრძოლამ დაგვანახვა, რომ ჩვენი პოლკის პირადი შემადგენლობა მთლიანად მომზადებულია ასეთი გამოცდისათვის. ამ ბრძოლაში არა მარტო ვეტერანები მოქმედებდნენ მამაცურად და თავგანწირვით, არამედ ახალბედებიც, რომელთა გამო მე ყველაზე მეტად მეშინოდა. 13 ივნისს არმიის სარდალმა ბრძოლაში ყველა თავგამოჩენილ მეომარს პირადად გადასცა მთავრობის ჯილდოები — მედლები „მამაცობისათვის".

მომავალი თავდაცვითი ბრძოლების გათვალისწინების საფუძველზე მეცამეტე არმიის სარდლობის 20 ივნისის ბრძანებით თითქმის სამჯერ შემოკლდა მეთხუთმეტე მსროლელი დივიზიის თავდაცვის უბანი. ამან საშუალება მოგვცა, შეგვემჭიდროვებინა საბრძოლო რიგები, გაგვედიდებინა მათი სიღრმე და მცირე რეზერვის მქონე მეორე ეშელონიც შეგვექმნა.

მაშასადამე, ახლა ჩვენ უკვე ვიცოდით, რომ მოწინააღმდეგე შეტევისათვის ემზადებოდა და მალე მტრის ახალი დარტყმების მოგერიება მოგვიწევდა. საამისოდ გაძლიერებით ემზადებოდა დივიზიის პირადი შემადგენლობა და, რასა თქმა უნდა, ჩვენი პოლკიც. ვემზადებოდით აგრეთვე, რამდენადაც კი საფრონტო პირობები ამის საშუალებას იძლეოდა, სივაშის დივიზიის დაარსების 24 წლისთავის საზეიმოდ ჩატარებისათვის. ამასთან დაკავშირებით, ბევრ მებრძოლსა და მეთაურს შემოჰქონდათ განცხადებები და პარტიასა და კომკავშირში მიღებას თხოულობდნენ, თან იქვე ფიცს დებდნენ, რომ შემდგომშიც მამაცური თავგანწირვით იბრძოლებდნენ მტერთან, წმინდად დაიცავდნენ წითელი არმიის უძველესი დივიზიის სახელოვან საბრძოლო ტრადიციებს. ოღონდ დივიზიის მე-24 წლისთავის საზეიმოდ აღნიშვნა მაშინ არ მოგვიხერხდა, იმიტომ, რომ ივნისის ბოლოს შედარებითი სიწყნარე დასრულდა და სისხლისმღვრელი ბრძოლები დაიწყო.

## შეხვედრა პირველი და უკანასკნელი

ფრონტული შეხვედრები! ომის რამდენ მონაწილეს ანცვიფრებენ ფრონტული შეხვედრები თავიანთი მოულოდნელობით. მეც მქონია ერთი ასეთი შემთხვევა: სადღაც, შორს მშობლიური და ნაცნობი ადგილებიდან, მუდმივი შფოთითა და საშიშროებით აღსავსე ფრონტულმა ცხოვრებამ შემახვედრა ადამიანს, რომელთან შეხვედრას ოცნებითაც ველარ წარმოვიდგენდი. ალბათ ამაში თავისებური კანონზომიერებაც არის — ფრონტზე ქვეყანა თითქოს ვიწროვდება და უმანძილო ხდება.

ეს მოხდა 1942 წლის 27 ივნისს, სწორედ მტრის იერიშის დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე. ის-ის იყო დავბრუნდი ჩემი პოლკის საკომანდო პუნქტში კაპიტან ბელოუსოვის მსროლელი ბატალიონიდან, სადაც დღის უმეტესი ნაწილი გავატარე. გული მიშფოთავდა. ტყვეთა ჩვენებებიდან ჩვენ ვიცოდით, რომ ფაშისტები იერიშს ამზადებდნენ, მაგრამ როდის მოხდება ეს? თავდაცვის რომელ უბანზე? გაუძლებს კი პოლკი მტრის დაწოლას? სანამ ორდინარეცი ვახშამს ამზადებდა, მე ერთხელ კიდევ ტელეფონით დავუკავშირდი ბატალიონთა მეთაურებს და ყველასაგან ერთნაირი პასუხი მივიღე — ჯერჯერობით სიწყნარეა. სიწყნარე მაინც და მაინც სასურველი არ იყო, პირიქით, ყოველ წამს ყური მზირედ უნდა გვჭეროდა და არც ერთი ცალკეული გასროლა თუ საეჭვო ჩქამი არ გამოგრჩენოდა.

უცბად მოტორის გუგუნი გაისმა და უცბადვე შეწყდა მიწურ-ბლინდაჟთან. ალბათ რომელიმე უფროსი იქნება-მეთქი გავიფიქრე. მოსულმა მორიგეს ჰკითხა, ადგილზეა თუ არა პოლკის მეთაური? და იმავ წამს მიწურში მაღალი, ხრული, ოცდაათიოდე წლის ტანკისტის ფორმიანი მაიორი შემოვიდა.

— პოდპოლკოვნიკი ჯანჯღავა ბრძანდებით? — მკითხა მაიორმა.

— გახლავართ, — ვუპასუხე მე და სტუმრის შესახვედრად წამოვდექი, რომელშიც უმალ ქართველი შევიცანი, — ვისთან მაქვს პატივი?

— მაიორი სტურუა, — დაასახელა ვინაობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მისალმების შემდეგ დაუმატა, — ბორის გიორგის ძე სტურუა.

ჩვენ არც ნაცნობები ვყოფილვართ და არც ერთიმეორეს როდისმე შევხვედრივართ, მაგრამ რომელმა ქართველმა (და არა მარტო ქართველმა) არ იცის გვარი სტურუა. ხოლო როცა ტანკისტმა თავისი სახელი და მამის სახელიც დაასახელა, უკვე ეჭვი აღარ მეპარებოდა, რომ ჩემს წინ საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის გიორგი სტურუას შვილი იდგა.

ბორის გიორგის ძე სტურუაზე მაშინ მე ძალიან ცოტა რამ ვიცოდი. მართალია, გაგონილი მქონდა, რომ ხანგრძლივი დროით იგი მივლინებული იყო საზღვარგარეთ, რომ ომის დაწყების ცოტა ხნის წინ დაბრუნდა მოსკოვს და ჯავშანსატანკო აკადემიაში შევიდა.

— მთელ დღეს თქვენი დივიზიის თავდაცვის ზოლზე ვმუშაობდი, — როგორღაც სხვათაშორის მითხრა ბორისმა, ქუდი მოიხადა და ხშირ ქერა თმაზე ხელი გადაისვა, — სატანკო კორპუსის მეთაურმა გენერალმა კატუკოვმა ადგილმდებარეობის წინასწარ დაზვერვა დამავალა, რომ თუ მტერი ჩვენი თავდაცვის გარღვევას მოინდომებს, ვისარგებლოთ აქაური გზებითა და შესასვლელებით და მოწინააღმდეგეს კონტრდარტყმით ვუპასუხოთ... საშინლად დავიღალე. თუ უარს არ მეტყვით, თქვენთან ორი საათით დავისვენებ.

— ასე, რომ თქვენ პირველ სატანკო კორპუსში მსახურობთ? კორპუსი უკვე მოვიდა?

— დიახ, პირველ სატანკოში ვარ, დაზვერვის უფროსად. ამიტომაც მოვედი ნაადრევად. კორპუსიც უკვე გზაშია, აქ ორი-სამი დღის შემდეგ იქნება.

„ორი-სამი დღის შემდეგ! — გავიფიქრე მე, — ვთქვათ და, მოწინააღმდეგემ ადრე დაიწყო? შევძლებთ კი მის შეჩერებას მდინარე ტიმზე ტანკების მოსვლამდე?"

ბორისი განაგრძობდა თავის თავზე საუბარს. კორპუსში პირდაპირ მოსკოვიდან გადმოსულა, გადმოსვლამდე ლენდ-ლიზის კომისიაში უმუშავია, წამოსვლის წინ უნახავს მამა, რომელიც სამსახურის საქმეზე ყოფილა მოსკოვში ჩამოსული. სწორედ მამას მოუხერხებია მისი ფრონტზე გადაყვანა, თორემ არ უშვებდნენ. თვითონ დაუწერია მოხსენება ვოროშილოვის სახელზე, მაგრამ პასუხი უარყოფითი მიუღია: ლენდ-ლიზის კომისიაც ფრონტისთვის მუშაობსო. მერე მამა ჩამოსულა მოსკოვში და ფრონტზე მისი თხოვნით გაუშვიათ...

მინდოდა ქართული წესით ძვირფას სტუმარს გავმასპინძლებოდი და ორდინარეცს ვუთხარი, ვახშამი დააჩქარე და რამე ისეთი გამოგვინახემეთქი. თუმცა კარგად ვიცოდი, რომ გამასპინძლებისათვის ბევრი არაფერი გამაჩნდა.

— ნუ შეწუხდები, — მითხრა ბორისმა, როცა ორდინარეცთან ჩემი საუბარი გაიგონა და ადვილად გადავიდა „შენობით" ფორმაზე. მოსკოვიდან წამოსვლის წინ კაი გვარიანი ულუფა მივიღე, ახლავე მოვიტან.

ჯავშნოსან მანქანაში გადავიდა და მიწურში ორი ქილა ამერიკული კონსერვი, შოკოლადის ფილები და რამდენიმე კოლოფი ამერიკული სიგარეტები შემოიტანა. თავის მხრივ ორდინარეცმა სუფრაზე მოიტანა შემწვარი კარტოფილით სავსე ტაფა და „განსაკუთრებული შემთხვევისათვის" გადანახული ერთი ბოთლი არაყი.

ვახშამზე მე და ბორისი ვიგონებდით საქართველოს, თბილისს, ჩვენს საუბარს წამდაუწუმ წყვეტდა ტელეფონის ზარი: ღამის პირველ საათზე მესამე ბატალიონის მეთაურმა უფროსმა ლეიტენანტმა ივანე შვენდიკმა დარეკა და მომახსენა, რომ შოლოხოვოს ჩრდილო-აღმოსავლეთით მძლავრი მოტორების გუგუნი ისმის და ეჭვგარეშეა, ტანკები უნდა იყოსო. ივანე შვენდიკს ხმაზე დაუფარავი შეშფოთება ემჩნეოდა. პირველი ბატალიონის მეთაურმა კაპიტანმა კონცედალოვმა შემატყობინა, რომ მას აშფოთებს გერმანელების რეჟიმის მკვეთრი ცვლილება.

— როგორც სჩვევიათ, მდინარესაც კი აღარ აშუქებენ შუშხუნებითო.

— წინა ხაზზე მკვდრული სიჩუმეა. ეს რაღაც არ მომწონს. ხომ არაფერს აპირებენ ჰიტლერელები? — მშვიდად, მაგრამ იმის აშკარა სურვილით, რომ რაიმე მითითება მიეღო, გამოთქვა თავისი ეჭვი მეორე ბატალიონის მეთაურმა კაპიტანმა ბელოუსოვმა.

ბატალიონების სამივე მეთაურს რიგრიგობით ვაძლევ განკარგულებებს — გააძლიერეთ დაზვერვა, გააფრთხილეთ არტილერისტები, დაზვერეთ მოწინააღმდეგის წინა მხარე და აქვე ვატყობინებ დივიზიის მეთაურს მოწინააღმდეგის რეჟიმის შეცვლის შესახებ. პასუხად დივიზიის მეთაური კვლავ სიფხიზლის გაძლიერებას ბრძანებს.

ვახშმის შემდეგ გაუხდელად მივწექით ჯარისკაცების ხელით ნაჯახირალ ტახტებზე. საათნახევრის შემდეგ კი ჯოჯოხეთურმა გრუხუნმა ორივენი ფეხზე წამოგვაგდო.

დაიწყო! საათი ღამის სამ საათსა და 10 წუთს უჩვენებს. მაიორ სტურუასთან ერთად გარეთ გამოვვარდი, თან გზა-გზა ქამარს ვიკრავდი: ირგვლივ ყველაფერი გუგუნებდა, ხრჭიალებდა, კვნესოდა — მოწინააღმდეგე გაძლიერებულ საარტილერიო მომზადებას აწარმოებდა.

— მშვიდობით, მეგობარო! — დამიძახა ბორისმა, როცა თავის ჯავშნოსან მანქანასთან მიირბინა, — იმედი მაქვს, კიდევ შევხვდებით.

მანქანა მკვეთრად შემობრუნდა და სიბნელეში დაინთქა. მე მისი გაცილების დრო აღარ მქონდა. იმავ წამს მიწურში შევბრუნდი, რომ ბრძოლისთვის მეხელმძღვანელა. ჰიტლერელებს წუთი-წუთს შეეძლოთ გადმოელახათ

მდინარე ტიმი და პოლკის პოზიციებზე იერიში მოეტანათ.

ბორის სტურუას ნახვა მეტად აღარ მომიწია. რამდენიმე დღის შემდეგ ჩემამდე მხოლოდ სამწუხარო ამბავმა მოაღწია: მაიორი ბორის სტურუა ტიმთან ბრძოლაში მძიმედ დაიჭრა და საველე ჰოსპიტალში გონსმოუსვლელად გარდაიცვალა.

## ტიმიდან კშენამდე

სანამ გრძელდებოდა საარტილერიო მომზადება, რომელმაც მთელი გააფთრებით ერთ საათს მაინც გასტანა, ივნისის მოკლე ღამეც დასრულდა და განთიადი დაიწყო. მდინარე, მართალია, ჯერ კიდევ ნისლში იყო გახვეული, მაგრამ ურიცხვი ჭურვისა და ნაღმის აფეთქების გამო ნისლი მალე გაიფანტა.

გვიან გახდა ცნობილი, რომ მარტო ჩვენი დივიზიის თავდაცვის უბანზე გერმანელ-ფაშისტთა სარდლობამ თავი მოუყარა სამ ქვეითსა და ერთ სატანკო დივიზიას, უზრუნველყოფილს არტილერიისა და ქვეითის სამმაგალ ჭარბი ძალებით; მთავარი დარტყმა მოახდინეს მეცამეტე და მის მარჯვენა მომიჯნე მეორმოცე არმიების შესაყარზე, სწორედ მეთხუთმეტე სივაშის მსროლელი დივიზიის ნაწილების თავდაცვის უბანზე, რომლის მარცხენა ფრთას 321-ე პოლკი იცავდა, ცენტრს 70-ე და მარჯვენა ფრთას — ჩვენი 676-ე პოლკი. კიდევ უფრო მოგვიანებით ისიც გახდა ცნობილი, რომ მტერს ამ გარღვევით ვორონეჟზე შეტევა ჰქონდა განზრახული.

ყველაფერი ეს გაირკვა გვიან. იმჟამად კი, ცოტა თუ ბევრად ცხადად მხოლოდ და მხოლოდ ის ჩანდა, რომ საარტილერიო მომზადებისთანავე ჩვენს პოზიციებს მტრის უამრავი ტანკი და ქვეითი მოაწვა. „შეძლებს კი პოლკი თავდაცვის საკუთარ უბანზე მტრის მოძალების შეჩერებას?" — ეს ფიქრი წამითაც არ მშორდებოდა, სანამ მე და პოლკის არტილერიის უფროსი კოვრიგინი სოფელ კუბანოვოსთან მდებარე საკომანდო პუნქტისაკენ მივდიოდით.

საკომანდო პუნქტიდან კარგად ჩანდა, საარტილერიო ცეცხლის ჩვენი თავდაცვის სიღრმეში გადატანისთანავე, როგორ დაიძრა მტრის ტანკები, ქვეითი და მოტოქვეითი ნაწილები ბატალიონების თავდაცვითი პოზიციებისაკენ. დაიწყო მტრის ჭარბ ძალებთან უთანასწორო, სასტიკი ბრძოლა, ბრძოლა, რომლისთვისაც ჩვენ ხანგრძლივი დროის მანძილზე საგულდაგულოდ ვემზადებოდით, გამუდმებით ჩავაგონებდით პირად შემადგენლობას აქტიურ თავდაცვას და თავდაცვითი პოზიციებისა და მანევრების დაცვა-შენარჩუნების აუცილებლობას.

მტრის პირველი იერიში პირველად იმ ასეულს დაატყდა თავზე, შოლოხოვოს მდინარისპირა მხარეს რომ იცავდა. ბოლო დღეებში იგი მეტყვიამფრქვევეებით გავაძლიერეთ, თვით პირადი შემადგენლობაც მთელი თავგანწირვით იბრძოდა. მაგრამ მტრის ჭარბი ძალებისათვის ხანგრძლივი წინააღმდეგობის გაწევა მაინც ვერ შეძლო, თავდაცვის გეგმის მიხედვით, არტილერიის ცეცხლსაფარქვეშ, ორგანიზებულად დაიხია ტიმის აღმოსავლეთ ნაპირზე და თავდაცვა ბატალიონის საბრძოლო მწყობრში დაიკავა.

გერმანელ-ფაშისტთა ქვეითმა ნაწილებმა დაუყოვნებლივ დაიწყეს მდინარე ტიმის გადმოლახვა ჯერ შოლოხოვოს, ურინოკის, ბისტრისა და კრასნაია კოსარჟას მიდამოებში, შემდეგ კი დასახლებული პუნქტების — რუსანოვის, პირველ ნიჟნი დოლგიესა და ოზერკის მახლობლად. დილის ექვს საათზე კაპიტან შვენდიკის მარჯვენა ფრთის ბატალიონიდან მოვიდა ცნობა, რომ ჰიტლერელები ტიმს გადმოვიდნენ ზიბროვოსა და პიატინოს რაიონში და უფროსი ლეიტენანტის შკირკოს მეშვიდე ასეულის პოზიციებს უტევენო. თითქმის იმავე წუთს ჰაერში მტრის ავიაციაც გამოჩნდა, გამანადგურებლებით დაცული ბომბდამშენების მოზრდილი ჯგუფებ დაუბრკოლებლად გაიშალნენ ფართო ფრონტით და ჩვენი ჯარების მოწინავე პოზიციებსა და ზურგს ბომბები დააყარეს. ხანგრძლივი საარტილერიო მომზადებისა და ჰაერიდან ამ გააფთრებული დაბომბვის შემდეგ თითქმის ყველაფერი დედამიწაში აირია. ჰიტლერელებს ეგონათ, ცოცხალი ძეხორციელი აღარ გადარჩებოდა და თავხედობამდე გათამამდნენ.

მდინარე რომ გადმოლახეს, სიფრთხილე სრულიად დაკარგეს; მთვრალი ჰიტლერელები უწესრიგოდ ისროდნენ ავტომატებით, დაიმედებულები, რომ არავითარი ორგანიზებული წინააღმდეგობა აღარ დაგვხვდებათ, ხშირ შემთხვევაში, როგორც სასწავლო მეცადინეობაზე, მთელი ტანით ამართულები გამორბოდნენ ჩვენი პოზიციებისაკენ. მაგრამ ეს თავხედობა ძვირად უჯდებოდათ — ან იქვე ეცემოდნენ მსროლელების ცეცხლით მოცელილები, ანდა დამფრთხალები უკანვე გარბოდნენ.

თუ ჩვენი 676-ე პოლკის მაგალითით ვიმსჯელებთ, დივიზიის იმ ნაწილებს, რომლებიც თავიანთ თავდაცვის უბნებით მტრის გარღვევის ზოლში მოჰყვნენ, საათიანი საარტილერიო მომზადებისა და შემდეგ საჰაერო დაბომბვის შედეგად საკმაო ზარალი მოუვიდათ. ზარალს, რა თქმა უნდა, არასასურველი შედეგი მოსდევდა, მაგრამ ამით საბჭოთა მეომრების სიმამაცე, გაბედულება და თავგანწირვა ოდნავადაც არ დაქვეითებულა, არ დაძაბუნებულა.

გაბედულებისა და სიმამაცის შესანიშნავი მაგალითები აჩვენეს კომუნისტი ლეიტენანტის შკრიკოს მერვე ასეულის მებრძოლებმა და მეთაურებმა. ოდნავ წინ წამოწეული შვენდიკის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბატალიონის ეს ასეული პირველი ჩაება მდინარეზე გადმოსულ ჰიტლერელებთან ბრძოლაში. ფაშისტებმა მის პოზიციებზე იმავ წამს მიიტანეს იერიში, რომელშიც ტანკებითა და არტილერიის ცეცხლით გაძლიერებული, სულ მცირე, ერთი ბატალიონი მაინც მონაწილეობდა. ასეულის მებრძოლებმა მტრის ლაშქარს შაშხანისა და ტყვიამფრქვევის ცეცხლი შეაგებეს და აიძულეს დაწოლილიყო. იგივე ბედი ხვდა წილად ორ მომდევნო იერიშსაც. ბოლოს ბატალიონის მეთაურმა კაპიტანმა შვენდიკმა თავდაცვის გეგმის შესაბამისად, ბატალიონის უკან დახევინა და შეკრიბა ასეულისად ზიბროვის რაიონში, მეორე თავდაცვით ზღუდემდე გადაიყვანა. ბატალიონის უკან დახევას მთელი ორი საათის მანძილზე ტყვიამფრქვევის ცეცხლით იცავდა და მტრის ქვეითი ჯარების შემოტევას მარტოკა აკავებდა სპეციალურად საამისოდ იქ დატოვებული მეტყვიამფრქვევე სერჟანტი ჩუმაკი. იგი ჯერ სავეცხლე ძელმიწურში იჯდა და მტერს იქიდან ცელავდა. ფაშისტებმა საცეცხლე წერტს ნაღმსატყორცნების მასირებული ცეცხლი გაუხსნეს. ჩუმაკის ტყვიამფრქვევი რამდენსამე ხნით ჩაჩუმდა. მაგრამ წამოყვეს თუ არა ჰიტლერელებმა თავები, რომ კვლავ წინ გამოჰრილიყვნენ, ჩვენი ტყვიამფრქვევის საცეცხლე წერტიც უმალვე „გამოცოცხლდა“, ისევ გაისმა რიტმული კაკანი და ჩუმაკის ზუსტად ნასროლმა ტყვიებმა მტრის ქვეითი ჯარი ისევ მიწაზე დააწვინა. რამდენი ჰიტლერელი მოსპო ჩუმაკმა იმ დღეს, რა თქმა უნდა. ეს არავის დაუთვლია. მთავარი აქ უფრო ის იყო. რომ 166-ე ბატარეასთან ერთად, რომელიც პირდაპირ დამიზნებაზე იყო წამოწეული, შეაჩერა მტრის მოძრაობა, რითაც შესაძლებლობა მისცა ბატალიონს, ორგანიზებულად დაეხია უკან და მტრის ახალი იერიშების მოსაგერიებლად ზიბროვო-პიატინოს თავდაცვით ზღუდეზე გამაგრებულიყო.

ჰიტლერელებს განუწყვეტელი იერიში მიჰქონდათ კაპიტან ბელოუსოვის მეორე ბატალიონის პოზიციებზეც, მაგრამ ბატალიონი უძლებდა და განაგრძობდა მტრის იერიშების უკუგდებას. ბატალიონის თავდაცვის ზღუდის მისადგომთან მტრის ორი ცეცხლმოკიდებული ტანკი ბოლავდა. ბატალიონი უკანასკნელ ძალებს იკრებდა და თავს ისე იცავდა, მაგრამ ტელეფონში კაპიტანმა ბელოუსოვმა მაინც მშვიდად მიპასუხა: „ჯერჯერობით ყველაფერი ნორმალურად არის“.

მეორე ბატალიონის მეთაური ივანე ბელოუსოვი წყნარ და აუღელვებელ შვენდიკს ოდნავადაც არ ჰგავდა. ამაყი და ფიცხი ხასიათისა იყო. ბრძოლის თვით ყველაზე მძიმე წუთებშიც კი არ ღალატობდა თავის თავს — უკანასკნელ შესაძლებლობამდე იდგა პოზიციაზე და მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში, ყველა საშუალებას რომ ამოწურავდა, მაშინ თუ მთხოვდა ახალი ზღუდისაკენ დახევის უფლებას. ბატალიონში იგი უყვარდათ სიმამაცისათვის, ცოცხალი, მხიარული ხასიათისა და მიზნის მიღწევაში მტკიცე ნებისყოფისათვის.

მე ვიცი, რომ ბელქვეითებისაგან ზოგჯერ იგი თხოულობდა ყოველგვარ ადამიანურ შესაძლებლობას აღმატებულ, არაჩვეულებრივ სიმტკიცეს და გამძლეობას, მაგრამ ამაზე კაციშვილი არ საყვედურობდა, პირიქით, მის ბრძანებას ყველა ბოლომდე ასრულებდა. ტიმზე ბრძოლაში მთელი სიცხადით გამომჟღავნდა ივანე ბელოუსოვის მხედრული ნიჭი და ღირსება, მისი მეომრების გაბედულება და სიმამაცე. მეორე ბატალიონის მეომრები თავიანთ თავდაცვით ზღუდეს შეუპოვრად იცავდნენ თვით მას შემდეგაც კი, როცა პოლკთან, დივიზიასთან და მომიჯნე ბატალიონებთან კავშირი მთლიანად გაუწყდათ.

ბრძოლის დასაწყისში რამდენსამე საათს თავდაცვის საკუთარ უბანს, დივიზიის 47-ე პოლკის შესაყარზე მედგრად იცავდა კაპიტან კონცედალოვის ბატალიონიც. მაგრამ მტერმა ბატალიონის წინააღმდეგ მეორე, გაცილებით ძლიერი იერიში წამოიწყო, რომლის საკუთარი ძალებით მოგერიება ბატალიონს უკვე აღარ ძალუძდა. ხოლო მე, პოლკის მეთაურს, იმჟამად არავითარი დამხმარება არ შემეძლო — არსებითად არავითარი რეზერვი არ გამაჩნდა. ლეიტენანტ გობრუშინის მეავტომატეთა ასეული, რომელიც ბრძოლის დასაწყისში ჩემთან დავტოვე, უკვე ბრძოლაში იყო ჩაბმული. რეზერვი არც დივიზიის მეთაურს, პოლკოვნიკ სლიშკინს ჰყავდა ერთადერთი, რისი იმედიც მქონდა, იყო 208-ე პოლკის მეორე დივიზიონი, რომლის ძალებითაც ჯერჯერობით ვეხმარებოდი ჩემი პოლკის გასაჭირში მყოფ ბატალიონებს.

მტრის ტანკებმა ნიკოლსკოეში მოახდინეს გარღვევა, ჩვენმა მომიჯნე 47-ე პოლკმა ამ გარღვევის შედეგად ალყაში რომ არ მოჰყოლოდა, იწყო უკან დახევა სამხრეთ-აღმოსავლეთით. ამით ისარგებლეს მტრის ტანკებმა, ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ დაიძრნენ და კონცედალოვის ბატალიონის ალყაში მოქცევას შეეცადნენ.

ბატალიონის გადარჩენის ერთადერთი სახსარი ის იყო, რომ დაუყოვნებლივ მეორე თავდაცვის ხაზზე გადაგვეყვანა. მაგრამ სატელეფონო კავშირი გაწყვეტილი იყო. სწორედ ამ დროს ბელოუსოვის ბატალიონიდან პოლკის დაზვერვის უფროსი ლეიტენანტი გრიგოლ პილიპენკო დაბრუნდა.

— ახლავე კონცედალოვთან გაჩნდი! — ვუბრძანე მას, — გადაიყვანოს ბატალიონი მეორე ხაზზე.

ამ ბრძანებას რომ ვაძლევდი, ისიც კარგად ვიცოდი, რომ მისი შესრულება მეტისმეტად ძნელი იყო. ბატალიონში მისვლამდე პილიპენკოს, რომ იტყვიან, ათასი სიკვდილი მაინც უნდა გადაელახა. მაგრამ მან მაინც შეასრულა დავალება, მოძებნა კაპიტანი კონცედალოვი და მოსალოდნელი საფრთხე აცნობა. სულ ბოლო წუთებში ბატალიონი მტრის ნახევარალყიდან გა-

მოვიდა, გამოიყვანა დაჭრილებიც და მალინოვკასთან, კუდინოვო-ბოლშაკის ზღუდეზე დაიკავა თავდაცვის ხაზი.

დღის მეორე ნახევარში მდგომარეობა უფრო გართულდა. იმ მიზნით, რომ ურინოკის, ნიკოლსკის, ბისტრასა და სადგურ დოლგაიას მიმართულებით გარღვევა გაეფართოებინათ, მტრის ტანკების სამი ჯგუფი, თვითეული 50-60 მანქანის შემადგენლობით, მეორმოცე არმიასა და ჩვენს დივიზიას შორის გაჩენილ ღია ზოლში, ეგრეთწოდებულ რღვეულში შეიჭრნენ, მარჯვენა ფრთას საშიშროება შეუქმნეს და ვოლოვოს მიმართულებით გაემართნენ. ტანკებს მხარს უჭერდა ავიაციაც, რომელიც ჰაერიდან მთელს ჩვენს თავდაცვით სიღრმეს ბომბავდა. დაკვირვებისა და ცეცხლის კორექტირებისათვის მოწინააღმდეგე აეროსტატებს იყენებდა.

მტრის ტანკებთან ბრძოლით ქანცგაწყვეტილი 47-ე და 321-ე მსროლელი პოლკების ნარჩენები სამხრეთ-აღმოსავლეთით იხევდნენ. დივიზიის შტაბმა დაკარგა მათთან კავშირი.

ამ დროისათვის ჩვენმა 676-ე მსროლელმა პოლკმა შედარებით ორგანიზებულად დაიხია ზიბროვის, კრასნი დონეცისა და ნიკოლსკოეს ზღუდეზე. ეს იყო თავდაცვის მეორე ხაზი. არტილერიისა თითქმის არაფერი შემოგვრჩა. იძულებითი უკან დახევის გამო, ჩვენ დავკარგეთ კავშირი დივიზიის შტაბთანაც და მეზობლებთანაც, მაგრამ, მიუხედავად ყველაფრისა, საკმაოდ შეთხელებული პოლკის პირადი შემადგენლობა ირგვლივ თავდაცვაზე გადავიდა და ბრძოლას განაგრძობდა.

განსაკუთრებით მედგრად და გაბედულად იბრძოდნენ კაპიტან შვენდიკის ქვედანაყოფები. რამდენიმე საათის განმავლობაში მათ უკუაგდეს მტრის თორმეტი იერიში, რომლის დროსაც ტანკსაწინააღმდეგო ხელყუმბარების კონებითა და აალებადი სითხით სავსე ბოთლებით მოსპეს რამდენიმე მტრის ტანკი და ჯავშნოსანი ავტომობილი, გაანადგურეს სულ ცოტა მოწინააღმდეგის სამასი ჯარისკაცი და ოფიცერი. ბრძოლის პირველ დღეს არანაკლები ზარალი მიაყენა მოწინააღმდეგეს კაპიტან ბელოუსოვის ბატალიონმაც.

მზის ჩასვლამდე ცოტა ხნით ადრე ჩვენს ზურგში შემოაღწია გერმანელ-ფაშისტთა ერთ ბატალიონამდე ქვეითთა რაზმმა. პოლკის საკომანდო პუნქტის, შტაბისა და ზურგის ქვედანაყოფების დასაცავად, ვისი გამოყვანაც კი შეიძლებოდა, ყველა ფეხზე დავაყენე: შტაბის მუშაკები, გადამწერები. თავდაცვით ბრძოლას სათავეში ჩაუდგა მევეტერინარე ასეულის მეთაური ლეიტენანტი გორბუშინი. ბრძოლა თითქმის ორ საათამდე გაგრძელდა. მოწინააღმდეგემ ამ ბრძოლაში დაკარგა ორასზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი, რის შემდეგაც იძულებული გახდა იერიში შეეწყვიტა.

კარგად მახსოვს, რა დიდი დახმარება გაგვიწია ბრძოლის პირველ დღეს ჯავშნოსანმა მატარებელმა, რომელიც რკინიგზის [illegible] თ მცირე მონაკვეთზე, ნიკოლსკოე-დოლგოეს უბანზე მიმოდიოდა. საბორტო ზარბაზნების ცეცხლით იგი სპობდა მოწინააღმდეგის ტანკებს, ანადგურებდა ქვეითთა რაზმებს, რითაც ჩვენს მსროლელ ნაწილებს უზარმაზარ დახმარებას უწევდა. ჯავშნოსან მატარებელს განუწყვეტლივ დასტრიალებდნენ თავს „მესერები" და „იუნკერები" და ბომბებს დაუზოგავად აყრიდნენ, მაგრამ ვერაფერს აკლებდნენ — ფოლადის ჯავშანი ყოველგვარ დარტყმას უძლებდა და მატარებელიც ცოცხლობდა და მოქმედებდა. ასე იბრძოდა მატარებელი, სანამ ფაშისტები რკინიგზის ვაკისს დაანგრევდნენ, მერე კი ეკიპაჟმა თვითონვე ააფეთქა მატარებელი და მეთხუთმეტე ხივაშის მსროლელი დივიზიის შტაბთან ერთად ნიჟნი ოლშანოეში დაიხია.

ამასობაში, ჩვენი 676-ე მსროლელი პოლკის ირგვლივ, რომელიც ზიბროვოს, კრასნი დონეცისა და ნიკოლსკოეს ზღუდეზე განაგრძობდა თავდაცვას, თანდათან ალყის საშიშროება იქმნებოდა. დღის ბოლოს დაზვერვის მონაცემებით ცნობილი გახდა, რომ გარემოცვის სალტე ჯერ კიდევ შეკრული არ იყო მცირე მონაკვეთზე რკინიგზის განშტოების სტუდიონის რაიონში. დაბნელებისთანავე მზვერავებმა ერთხელ კიდევ მოინახულეს განშტოების ადგილი. ჰიტლერელები იქ ნამდვილად არ აღმოჩნდნენ, ამას კი ჩვენთვის უზარმაზარი და განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა: ჩვენ არა მარტო უკან უნდა დაგვეხია, რომ მოწინააღმდეგეს მოვწყვეტოდით, არამედ დაჭრილების საკმაოდ დიდი რაოდენობაც თან უნდა წაგვეყვანა.

მოწინააღმდეგემ ჩვენი მანევრი ვერ აღმოაჩინა და სრულიად უბრძოლველად და მშვიდობიანად გამოვედით. გამთენიისას დივიზიის შტაბთან კავშირიც დავამყარეთ.

## მდინარე კშენზე

როგორც კი ჩვენი დივიზია მდინარე კშენის აღმოსავლეთ ნაპირზე გადავიდა, პოლკებს მიეცათ საბრძოლო ამოცანა, რომ გადაეღობათ მოწინააღმდეგისთვის ლივნისაკენ მიმავალი გზა სამხრეთით და არ მიეცათ მისთვის შეტევის განვითარების საშუალება ჩრდილო და ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით. ასეთი ამოცანის შესრულება სრულფასოვან, სისხლსავსე დივიზიასაც კი გაუჭირდებოდა, თორემ ჩვენსას, მეთხუთმეტეს, რაღა თქმა უნდა, რომლის ნარჩენები იმხანად ერთ სრულ პოლკსაც ვერ შეადგენდა. ამასთანავე, ისე იყვნენ მებრძოლები დაღლილი სამდღიანი განუწყვეტელი ბრძოლით, რომ ფეხზე დგომა უკვე ნამდვილად აღარ შეეძლოთ.

არმიისა და დივიზიის სარდლობისათვის ეს ყველაფერი კარგად იყო ცნობილი. ცნობილი იყო აგრეთვე ისიც, რომ მოწინააღმდეგე კვლავ ბევრად უფრო ჭარბი ძალებითა და სამხარი შესაძლებლობებით გვიტევდა, მაგრამ ამისდა მიუხედავად, ბრძანება „გადავუღობოთ გზა ლივნისკენ“ უნდა უსათუოდ შესრულებულიყო.

დივიზიის მეთაურმა პოლკოვნიკმა სლიშკინმა, პოლკის მეთაურებს ბრძანებას რომ გვაძლევდა, თან გაგვაფრთხილა:

— კშენი პატარა მდინარეა და მოწინააღმდეგეს მისი გადმოლახვა დიდად არ გაუჭირდება, მაგრამ მაინც უნდა გავუძლოთ, მეგობრებო! ვიცი, გაგიჭირდებათ. მაგრამ ახლა არმიაში შეგვპირდნენ, კატუკოვის სატანკო კორპუსს მოგაშველებთო. ტანკები მოგვივა და აღარც ჩვენ გაგვიჭირდება.

ტანკები! ჩვენი ტანკები!.. როდის მოვლენ ისინი? მანამდე კი მტერი უნდა შევაჩეროთ, წინ არ გავუშვათ.

ფაშისტებმა მდინარე კშენი 2 ივლისს, საღამოს გადმოლახეს და იმავ წამს შეტევაზე გადმოვიდნენ. მარტო ჩვენი 676-ე პოლკის წინააღმდეგ ფაშისტებმა ბრძოლის ველზე გამოიყვანეს ორმოცდაათი ტანკი და რამდენიმე ქვეითთა ბატალიონი.

პირველი იერიში გაჭირვებით მოვიგერიეთ საღამოს რვა საათამდე, ცოტა უფრო ადრეც. მის უკუგდებას დაახლოებით ერთი საათი მაინც მოვანდომეთ. ჭეშმარიტად, ეს იყო მთელი პოლკის გმირული ბრძოლა, უფრო სწორად, იმათი გმირობა, ვინც ამ პოლკიდან კიდევ გადარჩა. ზარბაზნების ქუხილი, ჭურვებისა და ნაღმების აფეთქების ხმა, ტყვიამფრქვევების გაბმული კაკანი, ტანკთა მოტორების ღმუილი, ავტომატებისა და შაშხანების ტკაცუნი — ყველაფერი ერთ საშინელ, ჯოჯოხეთურ გუგუნად გადაიქცა, გეგონებოდათ ტყვიებისა და ფოლადის ნამსხვრევის უჩინარი, სასიკვდილო ზოლებით დასერილი კიდით-კიდემდე კვამლსა და ცეცხლში გახვეული ზეცა გუგუნებსო.

ჰიტლერელები გვიტევდნენ. მათ უნდოდათ გაეტეხათ ჩვენი თავდაცვა, გამოვედევნეთ კშენის ნაპირებიდან და თუ მოახერხებდნენ, გავენადგურებინეთ. პოლკის მეომრები კი ცდილობდნენ, რადაც უნდა დასჯდომოდათ, ბოლომდე გამკლავებოდნენ მტერს და თავიანთი პოზიციები მისთვის არ დაეთმოთ.

საარტილერიო ჭურვები, ხელყუმბარების კონები და აალებადი ნივთიერებით სავსე ბოთლები ხშირ-ხშირად აჩერებდნენ მოწინააღმდეგის ტანკების სვლას, რომლებიც ხან იმავ წამს აინთებოდნენ ძლიერი ალით, ხან საბრძოლო მასალებსა და ეკიპაჟებთან ერთად ფეთქდებოდნენ, ხან კი შავ კვამლში გახვეულები ადგილზევე რჩებოდნენ. ასეთ შემთხვევებში, თავისი სიმრავლით გულმოცემული ფაშისტი ქვეითები მაინც წინ მიიწევდნენ. სადაც კი შემოაღწევდნენ პოლკის წყობაში, ჩვენი მეომრები ყველგან ხელჩართულ ბრძოლას უმართავდნენ და ზოგჯერ ხუთისა და ექვსი კაცის წინააღმდეგ მარტონი იბრძოდნენ.

გერმანელებმა დაღამებისთანავე შეწყვიტეს იერიში. ფაშისტი დამპყრობლები იმხანად ჯერ კიდევ მყარად იცავდნენ ომის თავიანთ წესს — იბრძოლე მხოლოდ დღისით.

ჩვენ კი დასვენებისათვის არ გვეცალა. საჭირო იყო ძალთა გარკვეული გადაჯგუფება, თავდაცვის ზღუდის უფრო გამაგრება, სამხარი მასალების მიღება, დაჭრილების მეღსანატში გაგზავნა და დაღუპულთა დასაფლავება. რა თქმა უნდა, საეჭვო არ იყო, რომ ფაშისტები გათენებისთანავე განაახლებდნენ იერიშებს და უფრო გაზრდილი ძალებითაც.

ღამის განმავლობაში, რამდენადაც კი შეიძლებოდა, თავდაცვა გავამაგრეთ. მაგრამ შესაძლებლობები მეტისმეტად შეზღუდული გვქონდა — პოლკში ძალიან ცოტანიღა დარჩნენ. თუმცა ამით მებრძოლებს გული არ გასტეხიათ და არც მათი საბრძოლო განწყობა დაქვეითებულა. განსაკუთრებით გამხნევდნენ ისინი მას შემდეგ, როცა პოლკში 120 მილიმეტრიანი ნაღმსატყორცნების ასეული მოვიდა... გარდა ამისა, მებრძოლებს გენერალ კატუკოვის ტანკების ჩქარი მოსვლის იმედიც ჰქონდათ.

— ჩაებმებიან ბრძოლაში ჩვენი ტანკები და მაშინ თვით ეშმაკიც ვეღარ შეგვაშინებს, — ამბობდნენ მებრძოლები.

დილას, მეორე ბატალიონის მეთაურთან, კაპიტან ბელოუსოვთან ერთად, უვნებლად გადარჩენილი ერთ-ერთი სახლის სხვენზე ავედი, სადაც ჩვენი სათვალთვალო პუნქტი იყო მოთავსებული. ირგვლივ ნაადრევი დილის ბრძოლისწინა სიწყნარე იდგა. თითქოს ისმოდა, როგორ ეჩურჩულებოდნენ ერთმანეთს მარცვლით სავსე თავთავები ჭვავის ფართოდ გაშლილ ყანაში, რომელიც იქვე სოფლის ნაპირიდან იწყებოდა. სრულიად მშვიდად და უზრუნველად ჟივჟივებდნენ ბეღურები, ღუღუტებდნენ დარის მაცნე მერცხლები და ჭრიჭინებიც თავის მარადიულ სიმღერას მღეროდნენ. ზაფხულის ადრეული დილის ამ საოცნებო სიწყნარეს მეტისმეტად უხეშად ამახინჯებდა ცაში ატყორცნილი შავი კვამლის გრეხილი სვეტები, რომელიც გუშინდელი ბრძოლის ჯერ კიდევ ჩაუმქრალ ნახანძრალს ასდიოდა.

სიწყნარე ფრონტზე მუდამ მაცდურია. მალე ბრძოლის ჭექა-ქუხილად შეიცვლება ხოლმე. ახლაც სწორედ ასე მოხდა. მზის პირველი სხივი რომ აკიაფდა, იმ მშვიდად გადაშლილ ჭვავის ყანაში, ჩვენს თვალწინ გამოიშალა სამხრად დაწყობილი მტრის ლაშქარი — ასეულობით ტანკი, ჯავშნიანი მანქანები და ათიოდე ბატალიონი ქვეითი ჯარის ნაწილები. გათენებისთანავე ცაში უამრავი „იუნკერსი“ გამოჩნდა. თანდათან გაიშალნენ, გადავიდნენ პიკირებაზე და

ეროვნული

პირველსავე შემოსვლაზე ჩვენს პოზიციებზე არა ნაკლებ ორასი ბომბი ჩამოაგდეს. იმავდროულად მტრის სახმელეთო ძალები შეტევაზე გადმოვიდნენ.

და იწყოდა კვლავ ტანკები, ჯავშნიანი მანქანები. ფაშისტებმა საპასუხო ცეცხლს ვერ გაუძლეს. ჯერ რამდენსამე ხანს მიწაზე გაწვნენ, მერე სამარცხვინოდ მოკურცხლეს და არა მარტო დახოცილები, დაჭრილებიც კი ადგილზე მიატოვეს. ბატალიონების პოზიციის წინ მტრის რამდენიმე ტანკი და ჯავშნოსანი ავტომობილი ბოლავდა. დილის პირველი იერიში უკუგდებული იქნა.

მაგრამ არ გასულა ნახევარი საათი, რომ მეორე იერიშიც დაიწყო. იმავ დროს ჰაერში გამოჩნდა მაკორექტირებელი აეროსტატი. მტრის ქვეითმა ნაწილებმა ამჯერად შეძლეს ჩვენს საბრძოლო მწყობრში შემოჭრა. დადგა კრიტიკული წუთი. პოლკს დაკავებული ზღუდის შენარჩუნების ძალა აღარ შესწევდა. მოწინააღმდეგე ყოველ იერიშს ახალი ძალებით ავსებდა, ჩვენ კი, მიუხედავად იმისა, რომ მტრის იერიშების მოგერიებისას უკიდურესად ვიყავით დაზარალებული, არავითარ შევსებას არ ვღებულობდით და არც მოველოდით. თანაც, ამ გასაჭირში ისევ გაგვიწყდა კავშირი მეზობელ პოლკებთან.

ბრძოლის შეუწყვეტლად სოფელ ოგრიზკოვოსაკენ პირველებმა დაიხიეს კაპიტან კონცედალოვის ბატალიონის ნარჩენებმა, შემდეგ შვენდიკისა და ბელოუსოვის ბატალიონებმა.

როგორც უკვე ვთქვი, 2 ივლისს ბრძოლის რაიონის თავზე, ჰაერში გამოჩნდა მაკორექტირებელი აეროსტატი. დღის უმეტეს დროს იგი წყნევლასავით ეკიდა ცაში და მებრძოლებს, მეთაურებსა და პოლიტმუშაკებს უზომოდ აღიზიანებდა, უფუჭებდა ხასიათს.

— ჰკიდია წყეული და ვერაფერს კი ვერ ვუშვებით. — ჯავრიანი სინანულით ამბობდნენ ისინი, — მეტისმეტად მაღლა აიწია. აი აქ რომ ორიოდე გამანადგურებელი იყოს, ამ ვეებერთელა ჯადოს ისინი მოუღებდნენ ბოლოს, თორემ დაბლიდან ვერაფერს დააკლებ...

დიახ, დედამიწიდან აეროსტატის განადგურება მართლაც შეუძლებელი იყო. უფროსი ლეიტენანტის ზუბჩენკოს საზენიტო ოცეულმა რამდენჯერმე სცადა აეროსტატის მოსპობა, მაგრამ სულ ამაოდ. მსხვილყალიბიანი მანათობელი ტყვია აეროსტატამდე ვერ აღწევდა. მხოლოდ დღის ბოლოს გამოჩნდა ცაზე ერთადერთი საბჭოთა გამანადგურებელი, დაარტყა ერთი წრე, მეორე, აიწია კიდევ უფრო მაღლა, როგორლაც გვერდის ავლით გაჰკრა ტყვიამფრქვევის ჯერი და აეროსტატი კაშკაშა ალში გაეხვია. ორ-სამ წუთს ეკიდა ცის გუმბათზე გიგანტური ჩირაღდანივით, ხოლო როცა ჩაქრა, აღარც აეროსტატი იყო სადმე და აღარც მისი მაკორექტირებელი კალათები, რომლებმაც ჩვენ ამდენი ჯავრი და უსიამოვნება მოგვაყენეს.

ამასობაში პოლკი განაგრძობდა უკან დახევას. ეს იყო ერთადერთი შესაძლებლობა, რითაც უნდა გადაგვერჩინა მისი უკანასკნელი ნარჩენები. ჩვენ საგრძნობლად ბევრი ხალხი დავკარგეთ. ვიხევდით უკან მწუხარებითა და შეურაცხყოფის მწარე გრძნობით... განა სამარცხვინო არ არის — დაკარგო მთელი ძალა, ენერგია, დაკარგო ამდენი ხალხი და ბოლოს კი მაინც უკან დახევა მოგიხდეს?

თავდაპირველად ვვარაუდობდით, რომ სოფელ ოგროზკოვოსა და კოლმეურნეობა „ნოვაია ჟიზნის" მისადგომებთან თავდაცვის ახალი ზღუდე დაგვეკავებინა, მაგრამ არც ეს მოხერხდა, უკან დახევის მეტი სხვა აღარაფერი შეგვეძლო. შეიძლება რომელიმე ზღუდეზე მცირე ხანს კიდევ გაგვეძლო, მაგრამ ერთი-ორი ბრძოლაც და პოლკისაგან აღარაფერი აღარ დარჩებოდა.

მაგრამ, ანდაზისა არ იყოს, ზოგი ჭირი მარგებელია. ჩვენ თურმე სწორედ იმ მიმართულებით ვიხევდით, ფრონტის რომელი მხრიდანაც გენერალ კატუკოვის სატანკო კორპუსი მოდიოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სერგი ჭილაია

# აკაკი და საქართველო

აკაკი საქართველომ წარმოშვა, ხოლო აკაკიმ ქართველი ხალხის მაღალი გონება და გრძნობა საქვეყნოდ გამოაბრწყინა; აკაკი, ილიასთან ერთად, წინ წაუძღვა მე-19 საუკუნის საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, ქართველმა ხალხმა ერის ამ სასიქადულო შვილებს ჩააბარა და მიანდო თავისი ბედი და მომავალი.

აკაკი! იყო რაღაც სასოება, თაყვანისცემა და იმედი ამ სიტყვაში. აკაკი წერეთელმა თავისი მაღალი შემოქმედებით თქვა ის, რაც აფიქრებდა და აღელვებდა მე-19 საუკუნის ქართველ კაცს და ყველაფერი ეს გამოხატა ისეთი სინათლითა და სისადავით, რომ მას განიცდიდა და გრძნობდა მთელი ქართველი ხალხი, როგორც ერის ფიქრსა და ტკივილებს. პოეტი იწამა ქართველმა ხალხმა, შეიყვარა და შეითვისა. აკაკის ბაძავდნენ, მას მაგალითად სახავდნენ, მის კვალს მიჰყვებოდნენ, და ისიც, როგორც მამა ხალხისა, ისე ეფერებოდა და ზრდიდა თავის ერს; უაღრესად დიდი იყო აკაკის გავლენა მომდევნო თაობების პოეტებზეც — აკაკი პოეზიის მეტრი, პოეზიის საზომი გახდა.

ილიამ და აკაკიმ არა მარტო გამოხატეს და გამოსახეს მე-19 საუკუნის საქართველო, არამედ აღზარდეს და აზაზრდოეს ქართველი ხალხის გრძნობა და გონება. ჩვენი ფიქრი და მისწრაფება, ჩვენი აზროვნება და მეტყველება ბავშვობიდანვე ილიასა და აკაკის სულიერ სალაროში იშედება, ყალიბდება და ფორმდება. და იმასაც, რაც ილიასა და აკაკის შემდეგ შეიქმნა, ყველაფერს კარგსა და ღირსეულს ამ ბუმბერაზების ღვაწლსა და მადლს მიაწერდა ხალხი.

ძველს, შავბნელ დროში ცარიზმის მიერ ფეხქვეშ გათელილ ქართველ ხალხზე ამბობდა აკაკი: „არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს, გაიღვიძებს ისევ ერი", ხალხმა ირწმუნა თავის საყვარელი პოეტის სიტყვები, იარაღი აისხა, ეროვნული და სოციალური განთავისუფლებისათვის იწყო მზადება. მთელს ამ ისტორიულ ბრძოლაში აკაკი წინ მიუძღოდა თავის ერს ლექსებით, პოემებით, წერილებით, მგზნებარე სიტყვებით, პოეტი დადიოდა სოფლიდან სოფლად, ქალაქიდან ქალაქად. უყიოდა მებრძოლებს, მოუწოდებდა, ეროვნულ განგაშსა ტეხდა. აკაკი თავის სიცოცხლით და თავის პოეზიით განუყოფელი იყო ხალხისაგან და ხალხმაც იწამა მისი პოეზიის სასწაულებრივი ძალა. აკაკიმ პოეზია აქცია ხალხის კუთვნილებად, ხოლო პოეტი — ერის წინამძღოლად. მან მღელვარე ცხოვრების შუაგულში აღმართა პოეზიის ტრიბუნა და ამ ტრიბუნაზე შემდგარ აკაკის მთელი საქართველო უსმენდა.

ჭეშმარიტი პოეტი ის არის, ვინც ხალხისა და მკითხველის ასეთ სახალხო სიყვარულს დაიმსახურებს. ამ მხრივ აკაკი იყო და მუდამ დარჩება საბჭოთა მწერლების მისაბაძ მაგალითად.

დიდი რევოლუციონერი-დემოკრატი აკაკი მომავლის რწმენას უნერგავდა ხალხს. თვითონაც სწამდა და ხალხსაც არწმუნებდა პოეტი — „არ მომკვდარა საქართველო, აყვავდება ერთხელ კიდევ". მაგრამ დიდმა პოეტმა იცოდა, რომ საქართველოს აყვავება, მისი ეროვნული და სოციალური განთავისუფლება, თავისუფლების მოპოვება უბრძოლველად არ მოხდებოდა. თავისუფლების საქმე დიდ მსხვერპლს მოითხოვდა და პოეტიც რუსთველური აფორიზმებით ქადაგებდა:

ცოცხალ მონაზე უმჯობესია
თავისუფლების ძებნაში მკვდარი.

აკაკი თავის მებრძოლი პოეზიით, დაფითა და ნაღარით აფხიზლებდა, აქეზებდა, ჩააგონებდა, ამხნევებდა, მოუწოდებდა თავის საყვარელ

ხალხს, თავდადების იდეას თესდა ხალხში პოეტი გულწრფელად ამბობდა:

მაგრამ ვინც მამულს სულსაც არ წირავს,
იმას არ ქვია მამულიშვილი.

საქართველოს ისტორია იცნობდა სამშობლოსათვის თავდადებულ გმირებს: დავით აღმაშენებელსა და თამარ მეფეს, თორნიკე ერისთავსა და ცოტნე დადიანს, პატარა კახსა და დიმიტრი თავდადებულს, ბიძინა ჩოლოყაშვილსა და სხვებსა და სხვებს; დიდებით მოსავდა პოეტი მამულისათვის ამ თავდადებულ გმირებს, რომელთაც თავიანთი სიცოცხლე სამშობლოს ზვარაკად შესწირეს. აკაკი თავის ისტორიულ პოემებსა და მოთხრობებში აცოცხლებდა მათ გმირულ საქმეს და მაგალითად უსახავდა თანამედროვე საქართველოს.

აკაკი ყოველგვარ მონობისა და სოციალურ უსამართლობის წინააღმდეგ შეუპოვარი მებრძოლი იყო; ბატონყმობისა და ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლას შეალია მან თავისი ლამაზი სიცოცხლე და ულამაზესი შემოქმედება. პოეტმა საჯაროდ შეაჩვენა ადამიანის დამამდაბლებელი ბატონყმური წყობილება. ბატონყმობის წინააღმდეგ შეუპოვარ ბრძოლაში აღზარდა მან თავისი ხალხი, ხოლო 1905 წლის რევოლუციის დღეებში, როცა საბრძოლველად იარაღასხმული ქართველი ხალხი იხილა, იგი აღტაცებით მიესალმა რევოლუციის გმირებს:

აღსრულდა თითქმის, რასაც ვნატრობდით
ჩვენ ამ ნახევარ საუკუნეში...

სამოცდახუთი წლის მოხუცი პოეტი გვერდში ამოუდგა საქართველოს რევოლუციურ მუშათა კლასს და თავისი საბრძოლო ლექსებით აღაფრთოვანებდა, ჩააგონებდა იარაღასხმულ საქართველოს:

აღსდეგ ყოველი მხრის მუშავ!
გაიღვიძე, პროლეტარო!
ჩვენვე უნდა მოვუპოვოთ
ჩვენ თავს აწ დრო სანეტარო!

აკაკის რევოლუციური ლექსები 1905 წლის ქარიშხლიან დღეებში მუშათა კლასის საბრძოლო იარაღი იყო და მან არანაკლები როლი შეასრულა, ვიდრე შაშხანამ, რომელიც ეპყრა მუშის მარჯვენას. ამაში იყო აკაკის რევოლუციურ-დემოკრატიული პოეზიის უმთავრესი პათოსი. და მან თავისი ვალი პირნათლად მოიხადა რევოლუციური საქართველოს წინაშე.

უსაზღვრო იყო აკაკის სიყვარული და თავდადება დედა-სამშობლოსადმი. იგი თავისი ლექსებით და პირადი მაგალითითაც ნამდვილი განსახიერება იყო სამშობლოსათვის ზვარაკად შეწირული კაცისა; პოეტი ლოცვასავით ამბობდა:

ცა ფირუზ, ხმელეთ ზურმუხტო,
სულის ჩამდგმელო მხარეო,
შენი ვარ, შენთვის მოვკვდები,
შენზედვე მგლოვიარეო.

და მთელი საქართველო იმეორებდა სასოებითა და აღტაცებით, ჩურჩულითა და ხმამაღლა, იმედითა და რწმენით აკაკის ამ სიტყვებს. აკაკი მთელი ნახევარი საუკუნე სიტყვითა და საქმით იბრძოდა თავისუფალი, ერთიანი, ძლიერი საქართველოსათვის; იგი თავის უანგარო პატრიოტიზმს უთავსებდა გულწრფელ ინტერნაციონალისტურ გრძნობებს და ხალხშიაც ამ განწყობილებას ნერგავდა.

ჩემი ხატია სამშობლო,
სახატე — მთელი ქვეყანა.

თავის ერის დიდი პატრიოტი აკაკი, ამავე დროს, ხალხთა ძმობისა და მეგობრობის გულწრფელი მქადაგებელი იყო. იგი წერდა: „შენი ერი უნდა გიყვარდეს, მაგრამ, არა შოვინისტურად, არამედ მამულისადმი შენს სიყვარულს სხვა ერებისადმი სიყვარული, ძმობა, ერთობა უნდა უძღოდეს წინ“, ასე ზრდიდა დიდი პოეტი ჩვენს ხალხს პატრიოტიზმისა და ხალხთა ძმობის მოწინავე იდეალებით.

ხალხს სწამდა აკაკის პოეზიის სასწაულებრივი ძალა. აი ერთი მაგალითი: აკაკი ერთხელ სამეგრელოს ესტუმრა; დილით მასთან ახალგაზრდა ჭაბუკი გამოცხადდა, თაყვანი სცა პოეტს და შემდეგ თავისი გასაჭირი გაანდო; უიმედოდ შეყვარებულმა ჭაბუკმა თურმე ვერაფრით მოიგო სატრფოს გული: „— ბატონო აკაკი მთელი საქართველო თქვენს ლექსებს მღერის, თქვენი ლექსების ძალა უებარია და სასწაულმოქმედი; დამიწერეთ ერთი სასიყვარულო ლექსი, ამ ლექსს სატრფოს მივართმევ და ეგებ გული მოიბრუნოს ჩემზეო“. დიდმა პოეტმა შეუსრულა ახალგაზრდა ჭაბუკს სათხოვარი, გახარებულმა ვაჟმა სატრფოსაკენ მოკურცხლა; ის სრულიად დაიმედებული იყო, რომ აკაკის ლექსების ძალა ჯადოსავით გასჭრიდა. ასე სწამდათ საქართველოში აკაკის ლექსის ძალა.

ეს დიდი სიყვარული და თაყვანისცემა ერისა აკ. წერეთელმა იმით მოიპოვა, რომ მან ზედმიწევნით სრულად გამოხატა ქართველი კაცის ფიქრი და ოცნება, მისი სიხარული და აღტაცება, მისი გასაჭირი და მწუხარება, მისი ეროვნული და სოციალური ტკივილები, გამოხატა ისე ნათლად, გასაგებად და განზოგადებულად, რომ ქართველმა ხალხმა მასში დაინახა თავისი ეროვნული და სოციალური იდეალების ერთ-ერთი მედროშე და მეთაური.

* * *

უფრო ნათელი და გასაგები რომ იყოს ჩვენთვის აკაკის პოეტური სამყარო, უნდა ვცადოთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამდენიმე სიტყვით დავხატოთ მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის მთავარი კონტურები.

აკაკი წერეთელი დაიბადა 1840 წელს, 22 ივნისს, სოფ. სხვიტორში, საჩხერეს რაიონში, ზემო იმერეთის ამ ერთ-ერთ უმშვენიერეს კუთხეში, პატარა მდინარე ჩიხურას პირად. აქ პოეტს მივცეთ სიტყვა: „სწორედ ამ ჩისურის პირას, მაღლობზე, დგას ორსართულიანი ქვიტკირის სახლი; ამ უშნო შენობას პატარა კოშკის სიმაღლე აქვს, სიგრძე ლარბაზისა და სისქე ციხისა, მაგრამ არც ერთ მათგანს კი არ მგავს... აი ამ სახლში დავბადებულვარ მე 9 ივნისს, განთიადისას, 1840-ში, თუმცა ნათლობის მოწმობაში კი 1841 მიწერია".

ა. წერეთლის მამა საწერეთლოს ერთ-ერთი ცნობილი მებატონე, თავადი როსტომ წერეთელი იყო, — დედა — ეკატერინე ივანეს ასული აბაშიძე. აკაკის მოგონებითა და აღწერით, დედისა და მამის ხასიათი დიდად განსხვავდებოდა ერთი-მეორისაგან. ობლობაში გამოზრდილი, ცოტა ფიცხი, მაგრამ კეთილი მამა — როსტომ წერეთელი დიდად განსხვავდებოდა გულჩათხრობილი, მაგრამ შინაგანად ნაზი და კეთილი, ფხიზელი და მარჯვე, ქართული წერა-კითხვის მცოდნე და ქართული მწერლობის დიდად მოყვარული დედის — ეკატერინესაგან.

„ევროპულად განათლებულმა და გონებაგანვითარებულმა მეცნიერებმა დედაჩემზე დიდი გავლენა იქონიეს: მათი მეოხებით შესწავლილი ჰქონდა, სხვათა შორის, ექიმობა და მეურნეობა; რაც კი იმ დროში ქართველი ქალის ხელიდან გამოვიდოდა, ყველაფერი ზედმიწევნით იცოდა: იყო კარგი მწიგნობარი, მეოჯახე, მოხელსაქნარე და მასთანაც კარგი აღმზრდელი. ცნობისმოყვარეობასთან შრომისმოყვარეობაც შეთვისებული ჰქონდა. დილას მამლის ყივილზე რომ წამოდგებოდა, დაღამებამდე ფეხზე იდგა და უსაქმურად კაცი ვერ ნახავდა. სიზარმაცე და უსაქმურობა დედა არის ყოველგვარი ბოროტებისაო, — იტყოდა ხოლმე; კეთილი საქმე კი იგივე ლოცვა-ვედრებააო. მოსამსახურეებს ყოველთვის თვალყურს ადევნებდა რომ ცუდი არა ჩაედინათ-რა. უსაქმოდ არავის გააჩერებდა, ყოველგვარ ხელობას ასწავლიდა მათ, და ზოგს წიგნსაც აკითხებდა. მაშინ, ბატონყმობის დროს, ამგვარი ქცევა საარაკო იყო და დედაჩემის მოქმედებაც ბევრს თვალში ეჩხირებოდა".

აკაკი სულ მცირეწლოვანი იყო, როდესაც იგი მახლობელ სოფელში, გლეხი ფარსადან ყანჩაველის ოჯახში გააბარეს. ასეთი იყო საერთოდ ჩვეულება. ბატონიშვილები აღსაზრდელად თავიანთ შვილებს სოფლის გლეხობაში აბარებდნენ. „რა თქმა უნდა, — წერს ა. წერეთელი, — რომ ამ გონივრულ ჩვეულების მიზეზი იყო ჩემი სოფელში გაბარება და კურთხეულიც იყოს ეს ჩვეულება... არ შემიძლია არ გამოვტყდე, რომ თუ კი რამე დარჩა ჩემში კარგი და კეთილი, უფრო იმის წყალობით, რომ მე სოფელში ვიყავი გაბარებული და გლეხების შვილებთან ვიზრდებოდი... აქ ავიდგი მე ფეხი, აქ ამოვიდგი ენა და აქედანვე იწყება ჩემი მახსოვრობაც. თვალწინ მიდგას ისლით გადახურული ხის სახლი წინა და უკანა კარებით, უფანჯრო, უსარკმელო, მხოლოდ ორი საკვამურით, ანუ საფახურით, საიდანაც კვამლი გადიოდა და სამაგიეროდ სინათლე შემოდიოდა. შუა კერაზე მხართეძოზე წამოწოლილი მდევივით იდვა დიდი უზარმაზარი ჯირკვი და დაუსრულებლად ზამთარ-ზაფხულ ცეცხლი გუზგუზებდა. გლეხის ოჯახი დილიდან საღამომდი სულ მოძრაობაშია, საქმე არ გამოელევათ და ამიტომაც ბავშვის გრძნობა-გონება სუყოველთვის გართული იყო". ასეთ ვითარებაში იზრდებოდა აკაკი სოფლად და მას ბოლომდე დარჩა ყველაფერი ეს სასიამოვნო მოგონებად, — ეს სოფელი და მისი აღმზრდელი ძიძა (სახელად მას მანო ერქვა), აკაკის პოეტურ სულში ღრმად აღიბეჭდა სოფლის სიყვარული, მშრომელი კაცის სიყვარული.

ექვსი წლისა იყო აკაკი, როდესაც თავის საყვარელ ძიძას, ყვავილებით მოჩითულ ველს, მდინარესა და საყვარელ გარემოს მოაცილეს. ბავშვი სრულიად სხვა გარემოებაში აღმოჩნდა: ძველებური ბატონის როსტომ წერეთლის სასახლე, ურიცხვი მოახლეებისა და ყმების ფუსფუსი, ბატონყმური წესი და ადათი, თავადიშვილური რეჟიმი და ურთიერთ დამოკიდებულება მასართმევდა იმ თავისუფლებას, რომელიც სოფელში ჰქონდა, როგორც ბუნების ნამდვილ შვილს. აკაკი აქაც გულით შეიყვარებს და დაუმეგობრდება შინამოსამსახურეებს, ყმა გლეხებს, მათთან ერთად ატარებს დღეებს, ისმენს მათ ხალხურ ზღაპრებს, თქმულებებსა და ანდაზებს; აქვე, დედის და უფროსი დის დახმარებით, შეუდგება ქართული ანბანის პირველ მოხაზულობათა გაცნობას, ხოლო სულ მალე ის „ვეფხისტყაოსნის" კითხვას იწყებს. უკვე გათვითცნობიერებული ბავშვი ლექსებსაც წერს მოურავის უკულმართობის, თუ სხვა ავკაცობის შესახებ. ამავე დროს, ალერსითა და სიყვარულით სავსე სტრიქონებს უძღვნის დედას, რომელმაც წერა-კითხვა შეასწავლა, რომელმეც „ვეფხისტყაოსანი" შეაყვარა.

ცხრა წლისა აკაკი უკვე ქუთაისშია: იგი ქუთაისის საგუბერნიო გიმნაზიაში შეჰყავთ. ეს იყო 1850 წელი. ა. წერეთელს თავის ცნობილ ნაწარმოებში „ჩემი თავგადასავალი" დაწვრილებით აღწერილი აქვს ის სასტიკი რეჟიმი, რომელიც სუფევდა ქუთაისის გიმნაზიაში; ხსენებულ ნაწარმოებში აკაკი წერდა: „ტყუილად კი არ არის ნათქვამი, ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო; იმ დროს მთელი რუსეთი დარწმუნებული იყო, რომ ჭკუა და სიკარგე როზგის ნაყოფიაო, გიმნაზიებშიც. მას, რასაკვირველია, პირველი ად-

გილი ეშირა.., დღე არ იქნებოდა, რომ ყმაწვილების წივილ-კივილით იქაურობა არ ყოფილიყო გაყრუებული. როტაში არ უნდებოდათ იმდენი წკეპლა, რაც თითოეულ კლასში, სტოროჟებს ურმებით მოჰქონდათ ყოველდღე ახალ-ახალი; მოსწავლის გალახვა ყველას შეეძლო დირექტორიდან დაწყებული სტოროჟამდე, მიზეზს არავინ კითხულობდა. ვინ იცის, რამდენი დასნეულებულა, რამდენი დამახინჯებულა, და რამდენს კიდევ ხასიათი გაფუჭებიათ საუკუნოდ". მაგრამ აქ აღმოჩნდნენ ცალკეული მოწინავე მასწავლებლები, რომელთა კეთილმყოფელმა გავლენამ დიდი მნიშვნელობა იქონია აკაკის აღზრდაზე. გიმნაზიის მე-7 დამამთავრებელი კლასიდან, 1859 წელს აკაკი პეტერბურგში მიემგზავრება.

როგორც უკვე ვთქვით, ა. წერეთელი ბავშვობიდან წერდა, გიმნაზიაში ყოფნის დროს კი მან უკვე გამოაქვეყნა თავისი პირველი ლექსი ჟურნალ „ცისკარში", ხოლო 1858 წელს ამავე ჟურნალ „ცისკარში" დაიბეჭდა ა. წერეთლის თარგმანი — ლერმონტოვის „რტო პალესტინისა";

და აი, ახალგაზრდა პოეტი რუსეთისაკენ მიემგზავრებოდა. მისი განზრახვა და მშობლების განზრახვაც იყო მას სამხედრო განათლება მიეღო. პოეტი პეტერბურგში ჩვეულებრივი გზით არ წასულა. მაშინ „ჩვეულებრივი გზა" თბილისიდან ყაზბეგით, ე. ი. ხმელეთით მიიმართებოდა"; აკაკი ზღვით გაემგზავრა, ოდესაში ჩავიდა. აქ მას ვორონცოვის ქვრივი ეგულებოდა; „იმ დროს, საზოგადოდ, ქართველებს ისეთი სიყვარული და ხსოვნა ჰქონდათ ვორონცოვის, თუ რუსეთში მყოფი ან მიმავალი ქართველი, ვორონცოვის ქვრივს არ გაუვლიდა, ვერც კი წარმოედგინა. ჩვენმა მშობლებმაც იმიტომაც დამავალეს, რომ უთუოდ მივსულიყავი კნეინასთან და მათ მაგიერ მოკითხვა გადამეცა". და აი, აკაკი ვორონცოვის ოჯახშია; კავკასიის მთავარმართებლისა და მეფის ნაცვალის სახელი იმ დროს დიდად პოპულარული იყო. აკაკი აქ ქვრივსაც გაეცნო და მის გარშემო თავმოყრილ წრესაც, საკუთარი ყურით მოისმინა მათი ქება საქართველოსი და თვითონ ა. წერეთელს ბოლომდე შერჩა დიდი პატივისცემა და სიყვარული ვორონცოვისადმი და მას სიკვდილის ბოლო წლებში პოემაც უძღვნა — „ვორონცოვი".

ა. წერეთელი პეტერბურგში ჩავიდა 1859 წლის დეკემბერში, აქ მას თავისი უფროსი ძმა დახვდა, რომელიც პეტერბურგის სამხედრო სასწავლებელში სწავლობდა; საკუთარი დაკვირვებითა და ძმის შთაგონებით დარწმუნდა აკაკი, რომ სამხედრო სამსახური არ იყო მისი მოწოდება და ის ამავე წელს ჩაირიცხა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთის ენების ფაკულტეტზე. ეს ის წლებია, როდესაც რუსეთის საზოგადოებრივ ცხოვრებას ახალმა ქარიშხალმა დაუარა. ამ წლებში აქ ოცდახუთამდე ქართველი ახალგაზრდა სწავლობდა, მათ შორის იყვნენ ილია ჭავჭავაძე, გიორგი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, კირილე ლორთქიფანიძე და სხვები. აკაკი ამ წრეს შეემატა.

1861 წელს ქართველი სტუდენტების ჯგუფი იმ რევოლუციურ წრეში აღმოჩნდა, რომელიც ცარიზმის წინააღმდეგ ხმას იმაღლებდა, ბატონყმობის წინააღმდეგ ირაზმებოდა. ამ რევოლუციური იდეების გავლენით მოეწყო პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტთა გაფიცვა, რუს სტუდენტებთან ერთად, ქართველი სტუდენტების ერთი ჯგუფი — ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი, კირილე ლორთქიფანიძე, კრონშტადტის ციხეში აღმოჩნდნენ. სტუდენტთა ამ აჯანყებამ დიდი გახმაურება ჰპოვა მაშინდელ რუსეთში, თვით გერცენი მიესალმა მათ და „ბუმბერაზის გამოღვიძება" უწოდა ამ მოძრაობას. ა. წერეთელი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ამ რევოლუციურ წლებს, რომელთა მოწმე და მონაწილე იგი იყო, თუმცა უშუალოდ ა. წერეთელი ამ დასჯილ სტუდენტთა რიცხვში არ მოხვედრილა.

იმ დროის ვითარებაზე აკაკი წერეთელი შენიშნავდა: „ყირიმის ომმა თვალი გამოახელინა რუსეთს. პეტრე დიდისაგან გამოჭედილი სარკმელი მაშინ აიხადა, და როგორც იქნა, ძალაუნებურად შემოაშუქა განათლებამ ბნელეთში, თუ პარიზის ტრაქტატს არა, ბატონყმობა, ეგებ დღესაც არ ყოფილიყო გადავარდნილი რუსეთში; იმ დროს, ე. ი. მესამოცე წლებში იტალია და უნგრეთი ცდილობდნენ განთავისუფლებას და ებრძოდნენ ავსტრიას. გარიბალდი, მაძინი და კოშუტი გაუხდიათ ყველა შეგნებულ მამულიშვილებს იდეალად. სწორედ ამ დროს გამოვიდა სარატოველი სემინარიელი ჩერნიშევსკი, ჩაუდგა სათავეში ჟურნალ „სოვრემენნიკს" და დობროლუბოვთან, ანტონოვიჩთან, ნეკრასოვთან და სხვებთან ერთად დასცა რუსეთს კიჟინა. ამოძრავდა რუსეთი". მთელი ამ ისტორიული მოვლენების მოწმე იყო ა. წერეთელი, 1862 წელს იგი ქუთაისში ჩამოვიდა და აქ მომრიგებელ მოსამართლე რაფიელ ერისთავთან ერთად პირველი ქართული წარმოდგენები გამართა. იმავე წელს ის ისევ დაბრუნდა პეტერბურგში, ხოლო 1868 წელს პეტერბურგიდან მოსკოვში გადავიდა და ცოლად შეირთო პეტრე ბაზილევსკის ასული — ნატალია ბაზილევსკაია.

პეტერბურგში, პროფესორ ნიკოლოზ კოსტომაროვის ბინაზე შეხვდა ა. წერეთელი უკრაინის რევოლუციურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მეთაურს, თავისი ქვეყნის მგზნებარე პატრიოტს, გამოჩენილ პოეტს ტარას შევჩენკოს. მათ მეგობრულად გადაუშალეს ერთმანეთს გული და გააცნეს თავიანთი ხალხების ცხოვრება,

მდგომარეობა და მისწრაფება. აკაკი ამის გამო წერდა: „ვაღიარებ, რომ მე პირველად მისი სიტყვებით გავიგე, თუ როგორ უნდა სამშობლოსა და საკუთარი ხალხის სიყვარული“. აქ, პეტერბურგში ყოფნის დროს, ა. წერეთელი ინტენსიურ ლიტერატურულ მუშაობას ეწევა — წერს ლექსებს, წერილებს, მხარს უჭერს საქართველოში იმჟამად დაარსებული ახალთაობის ჟურნალის „საქართველოს მოამბის“ პოზიციას, რომელსაც სათავეში ი. ჭავჭავაძე ედგა; აკაკი აქტიურად მონაწილეობს „მამების“ — არქაისტების წინააღმდეგ ბრძოლაში.

1868 წელს ა. წერეთელი ისევ სამშობლოში ბრუნდება; 1871 წელს ა. წერეთელს თბილისში იმჟამად დაარსებულ „დროების“ რედაქციაში სერგეი მესხი იწვევს მუდმივ თანამშრომლად. მთელი გაზეთი თითქმის აკაკის ზურგზე გადიოდა; მისი ლექსები, „ცხელ-ცხელი ამბები“, ფელეტონები, ყოველ ნომერში უხვად იბეჭდებოდა. ამის გამო ამ ჟურნალის რედაქტორი სერგეი მესხი წერდა: „თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ყველა ახლანდელ ჩვენს მწერლებში, აკაკი ყველაზე უფრო ნიჭიერია და ყველაზე უფრო გამოსადეგია გაზეთისათვის. ამისთანა ცოცხალი კალამი, მარჯვე, მკვირცხლი სიტყვა, ირონია და ადვილი წერის ნიჭი, არც ერთ ჩვენს მწერალს არა აქვს. ამიტომ ძვირფასად მიმაჩნია ის გაზეთისათვის და, საზოგადოდ, ჩვენი ახლანდელი ლიტერატურისათვის“.

ა. წერეთელი თბილისში ამ წლებში დიდ ინტენსიურ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწეოდა. ეს ის წლებია, როდესაც ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლისა და სხვა სახელოვანი ქართველ მოღვაწეთა თაოსნობით გამოცოცხლდა ქართული საზოგადოებრივი და ლიტერატურული ცხოვრება. ი. ჭავჭავაძესთან, რ. ერისთავთან ერთად ა. წერეთელი სისტემატურად გამოდის ლიტერატურულ სალამოებზე თავისი მგზნებარე ლექსებითა და სიტყვებით. ამავე მწერლებთან ერთად თაოსნობს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსებას, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოში სწავლა-განათლებისა და წარსული მემკვიდრეობის შესწავლისა და გავრცელების საქმეში. 1879 წელს არსდება, ანუ უფრო სწორად, განაახლებს მუშაობას მუდმივი ქართული დასი; ამ დასისათვის აქტიური მხარდაჭერა აკაკის მხრივ განაპირობებს ქართული თეატრის წარმატებას. აკაკი თვითონ მონაწილეობს ამ დასში, წერს პიესებს; ერთი სიტყვით, ქართული დასის ერთ-ერთი მეთაურიც, მესვეურიც და წინამძღოლიც აკაკი იყო. 1889 წელს, იონა მეუნარგიასთან ერთად, ა. წერეთელი ხელმძღვანელობს გ. ერისთავის დრამატულ თხზულებათა კრებულის გამოცემას, რომლის წინასიტყვაობა თვითონ დაწერა. აკაკი ასევე ერთ-ერთი მეთაური და ხელმძღვანელი იყო „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიისა.

მადლიერმა ქართველმა ხალხმა 1908 წელს თბილისში, ახლანდელ ოპერის თეატრში აკაკი წერეთელს იუბილე მოუწყო. ეს იუბილე მართლაც მთელი ქართველი ხალხის ზეიმად გადაიქცა. ქართლში, კახეთში, რაჭა-ლეჩხუმში, სამეგრელოში — ყველგან იწვევდნენ აკაკი წერეთელს და მადლიერი ხალხი თაყვანისცემით ეგებებოდა თავის საყვარელ პოეტს. აკაკი წერეთელი უთუოდ ბედნიერი პოეტი იყო იმით, რომ მას თავის სიცოცხლეშივე წილად ხვდა ხალხის დიდი სიყვარული და პატივისცემა. თავის „თავგადასავალში“ აკაკი შენიშნავდა: „დღეს, რომ არ დამიმსახურებია, იმისთანა პატივისცემაში და სიყვარულში ვარ საქართველოში... მართალია, მტრები დღესაც მყავს, მაგრამ უმეტესობაზე ვამბობ და ღრმა მოხუცი სამარისაკენ მივდივარ ჩემი სამშობლოს ლოცვა-კურთხევით“.

უზომო და უანგარო იყო ხალხის სიყვარული თავის პოეტისადმი. ჯერ კიდევ 1878 წელს, როდესაც „დროების“ რამდენიმე ნომერში აკაკი წერეთლის ლექსი არ დაიბეჭდა, მკითხველებისაგან საქართველოს ყოველი კუთხიდან შეკითხვები შემოვიდა რედაქციაში: „სად არის და რას აკეთებს აკაკი, რატომ უფრო ხშირად არა ჩანს ჩვენი ნიჭიერი მწერალიო“.

ამის გამო რედაქცია იტყობინებოდა: „ასეთი შეკითხვები ყოველდღე მოგვდის და ჩვენ სათითაოდ ყველას ვერ ვუპასუხებთ, ამიტომ გაზეთის საშუალებით ვაცხადებთ, რომ აკაკი წერეთელი ახლა თავისი ოჯახური საქმის გამო პეტერბურგში იმყოფება, და როგორც შევიტყვეთ რამდენიმე ახალი ლექსი, ორი ისტორიული დრამა უკვე დამთავრებული აქვს და იმედია, რომ ჩვენი გაზეთის მკითხველებს მალე გავაცნობთ აკაკის ამ ახალ ნაწარმოებებს“.

1896 წელს აკაკი წერეთელი ხარკოვის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტებთან შეხვედრისას ამბობდა: „რაც შეეხება პირდაპირ ჩემს შრომასა და ღირსებას, როგორც საზოგადო მოღვაწისა, გადაჭარბებულად არის დაფასებული. მართალია, აგერ ორმოცი წელიწადი შესრულდა, რაც ვემსახურები ჩვენს ქვეყანას, მაგრამ შეიძლება ბევრჯერ კიდევაც შემცდარი ვიყო, და რომ უნდა, ის ნაყოფი ვერ მომეტანოს?! ეს კი არის მხოლოდ, რომ პირადობა არ უნდა დამეწამოს, რადგან საზოგადო საქმეში ყოველთვის გულწრფელი და პირდაპირი ვყოფილვარ; მართალია, ბევრი ტანჯვაც და უსამართლობაც გამივლია, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ სიამოვნებაც არ მენახოს. დატრაბახებით ნუ ჩამომართმევთ, მაგრამ ბევრს ვუყვარვარ ჩემს სამშობლოში“ („კვალი“, 1897 წ.).

აკაკი მთელი ერის სათაყვანებელი და საყვარელი პოეტი იყო და როდესაც იგი 1898 წელს პირველად ავად გახდა, მთელი საქართველო

ფეხზე დადგა. ა. წერეთელი ამის გამო წერდა: „არის იმისთანა გრძნობა, რომელიც არც კალმით გამოიხატება და ვერც ენით გამოითქმის. სწორედ ამ გრძნობით აღვსილი ვუძღვნი მე უგულითადეს მადლობას ყველა იმათ, ვინც ავადმყოფობის დროს თანაგრძნობას მიცხადებდნენ. მით უფრო, რომ იმათმა თანაგრძნობამ, ჩემს მცირეოდენ ღვაწლს, რომელიც სახსენებელი არც კია, გადააჭარბა; ვწუხვარ, რომ ბევრი აღარც ღონე და აღარც ხანი დამრჩენია, რომ აწინდელი ერთგულებითა და სამსახურით გადავიხადო ვალი და მით ოდნავ მაინც გავამართლო ჩემი თანამგრძნობლების იმედი. აგრეთვე არ შემიძლია, რომ სიკვდილამდე დავივიწყო ის მოვლა და პატრონობა, რომელიც ბ-ნ თოფურიას სავადმყოფოში გამიწიეს“ („ივერია“, 1898 წ.). აკაკის სახელი ჩვენს ქვეყნის ფარგლებს მიღმაც იყო გასული. დამახასიათებელია ამ მხრივ აკაკის ერთი საინტერესო ცნობა. „შორეულ აღმოსავლეთში მყოფ ქართველებს მუკდენიდან გამოუგზავნიათ ჩემს სახელობაზე არსებული ფონდისათვის ასი თუმანი. მათი სახელი და გვარი მოხსენებულია წერილში ვლადიმერ თავართქილაძისაგან; რადგანაც აქ საგულისხმოა ჩემგან სხვების მიერ მოგონება პატივისცემის ნიშნად და არა ფულის რაოდენობა, უგულითადეს მადლობას ვწირავ ყველა მათ ერთად და თითოეულ მათგანს ცალ-ცალკე. მაგრამ აღარ ვიცი რით უნდა გადავუხადო თანაგრძნობა იმ უცხოელ ჩინელებს, რომელთაც არ დაუშურებიათ თავის მხრივ მათი წვლილი. ალბათ, ჩვენს თანამემამულეთ კეთილად ვუხსენებივარ მათთან და მეც მათ პატივისცემას სამარეში თან ჩავიტან. ეს უცხოელები არიან ააან-იუ, ჯან-პოლინ, ძიუ-ჯენ-დინ და სი-ვან-პო“. ეს ადგილი კომენტარებს არ მოითხოვს.

ამგვარი სიყვარული და პატივისცემა მხოლოდ რჩეულთა ხვედრია და აკი ი. ჭავჭავაძემ 1888 წელს აკაკისადმი მიწერილ პირად წერილში ჩვენს დიდებულ პოეტს „ჩვენი ქვეყნის რჩეული“ უწოდა. იგი მართლაც, პოეტისა არ იყოს, „ტკბილისა და გრძნობიერი სიტყვით ატკბობდა ქართველის სულს, აფხიზლებდა გონებას და მართავდა ქართველის გულს ქართველობისა და საქართველოს სიყვარულისათვის“. აკაკი იყო დიდი და ჭეშმარიტი პოეტი, სახალხო პოეტი, ხალხის დიდი ტრიბუნი, მისი სულიერი ტკივილების, ვნებების, ფიქრებისა და ოცნების გამომხატველი და ეს დიდი სიყვარული ხალხისა პოეტისადმი კი არ ბერდება, არამედ რაც დრო და ჟამი გადის, მით უფრო მცხუნვარე და მხურვალე ხდება.

* * *

აკაკიმ, ილიასთან ერთად, საფუძველი ჩაუყარა ახალ, რეალისტურ პოემას, სადაც ყველაფერი ხალხურობის საწყისებსა და ეროვნულ პრინციპებს ეფუძნება.

„ბაგრატ დიდი“ ისტორიული პოემაა; მასში გამოხატულია თავდადება და პატრიოტული ღვაწლი ჩვენს ისტორიაში ცნობილი ბაგრატ მეფისა. აქ აღწერილია მონგოლთა შემოსევის ეპოქა, როცა ბრძოლის ველზე თითო ქართველ მეომარზე ას-ასი მონგოლი მოდიოდა. უთანასწორო ომში დამარცხებული ბაგრატ დიდი ტყვედ წაიყვანა თემურ-ლენგმა და უბრძანა მიეღო მონგოლთა სარწმუნოება. ბაგრატ დიდი თითქოს ბედს დამორჩილდა, წვერი ინით შეიღება და მუსულმანობა მიიღო. ქრისტიანობის მესვეურნი ქართველთა მეფეს უსაყვედურებდნენ — რად უღალატე ქრისტეს რჯულსო. ბაგრატ დიდი ერთგულ თანამებრძოლებს უმჟღავნებდა თავის იდუმალ განზრახვას, მას სურდა შეეცდინა თემურ-ლენგი, და მართლაც მიაღწია ამას. მოჩვენებით ერთგულ მეფეს, ბაგრატ დიდს, ჯარით ისტუმრებს თემურ-ლენგი საქართველოს ასაოხრებლად, მაგრამ პატრიოტმა მეფემ თავის შვილს, გიორგის საიდუმლოდ ამცნო თავისი განზრახვა, და აი, ქართველებმა მოსპეს მტერი, ამბის მაცნედაც არ დატოვეს ერთი მონგოლი. ასე აღასრულა თავისი პატრიოტული ვალი ბაგრატ დიდმა და, თამარის შემდეგ, იმერეთი და ამერეთი კვლავ გააერთიანა.

„ბაგრატ დიდი“ დიდებული პოემაა. ასევე შესანიშნავია „პატარა კახიც“, მაგრამ აკაკის პატრიოტული პოემების ზენიტს წარმოადგენს ქართული პოეზიის მართლაც ობოლი მარგალიტი — „თორნიკე ერისთავი“. ამ პოემაში ზუსტად არის დაცული ისტორიული რეალიები, ყოფითი დეტალები, აღწერილია ძველი ტრადიციები და ჩვევები, საქართველოს მეზობელ სახელმწიფოებთან დამოკიდებულების ცნობილი ისტორიული ფაქტები; ყველაფერ ამას აკაკი წერეთელმა ჩაჰბერა უკვდავი პოეტური სული და ასე ამაღლებულად გამოხატა ჩვენი ხალხის ისტორიული წარსული და იგი თანამედროვეობის სამსახურში ჩააყენა.

პოემის შესავალი ნაწილი, რომელიც სულ რამდენიმე სტრიქონისაგან შედგება, წარმოადგენს აკაკისათვის დამახასიათებელი წარსულისა და აწმყოს ურთიერთშენაცვლების პოეტური ხერხის, უკეთ ორიგინალური ჩანაფიქრის ბრწყინვალე განხორციელებას; და ეს ისეთი ოსტატობით არის შესრულებული, რომ მისი გადმოცემა სხვა სიტყვებით შეუძლებელია; ჩვენ მოგვყავს ეს ადგილი მთლიანად, რომ კიდევ ერთხელ ვიგრძნოთ და დავტკბეთ აკაკის მუსიკალური ენით და გადამდები ემოციური ძალით:

ვინ დასთვალოს ზღვაში ქვიშა
და ან ცაზე ვარსკვლავები?
ვინ შეამკოს ღირსეულად
ქართველ გმირთა მხარ-მკლავები?
ვინ მოგვითხროს მათი საქმე,
უთვალავი, საგმირონი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ან მათზე გადმოსული
მადლი ღვთისა და მირონი?
ნაშთი ძველი დიდებისა,
არ გამქრალა ჯერაც ყველა...
დღესაც მისი შარავანდით
ნიშანს გვაძლევს ცისარტყელა!
შვიდ სამთავროს მოგვაგონებს
მოელვარე ის შვიდფერი,
და გვამღერებს: „არ მომკვდარა,
გაიღვიძებს ისევ ერი!“
ამ იმედით ფრთაშესხმული,
ჩვენი გული სიამით ძგერს,
და ოცნებაც ლაჟვარდ-ფერად
წარმოგვიდგენს ქართლისა ერს.
წარსულ ნერგზე ახალ ნერგის
ველოდებით შეხორცებას,
მით ვიქარვებთ აწმყო ნაღველს
და ვეძლევით ალტაცებას!

ეს სტრიქონები იყო თავისებური მანიფესტი მე-19 საუკუნის საქართველოსათვის, იგი ზრდიდა ჩვენს ხალხს მომავლის რწმენით, სამშობლოს აღორძინების ნათელი იმედით.

ხსენებული პოემის ძირითადი პათოსი — ეს არის დაუცხრომელი სწრაფვა და ტრფიალი ძლიერი და ერთიანი საქართველოს იდეისადმი. ავტორი ამ იდეას გადმოგვცემს პოემის გმირის — თორნიკე ერისთავის თავგადასავლის მოთხრობით. ამბავი იწყება დავით კუროპალატის ეპოქის საქართველოს აღწერით; ეს ის დროა, როცა გარეშე მტერი დათრგუნვილი იყო და თვით საქართველო კი გაერთიანებული.

სიმხნევე და ერთგულება, თავგანწირვა მამულისათვის არა ერთხელ დაუმტკიცებია თორნიკეს, მაგრამ მოხუცებულს ახლა გადაუწყვეტია გზა ახალგაზრდებს დაუთმოს, დროა ბრძოლის ველზე ახლა სხვებმა ისახელონ თავი. თორნიკე გასწევს ათონისაკენ. მწირის, გლახაკის სამოსელში გამოეცხადება სახელოვან წინამორბედს, ამჟამად ათონის მთის ბერების წინამძღვარს — იოანეს. იოანე მას პატივისცემით მიიღებს; ამას პოემაში მოსდევს ამბავი საბერძნეთის დიდი სახელმწიფოს დაუძლურებისა; უჭირს საბერძნეთს და ამ განსაცდელის დროს მას საქართველო და ქართული ჯარი იხსნიან. ათონის მთაზე ბერად დაუუდებული თორნიკე კვლავ ხათავეში ჩაუდგება ქართველთა ლაშქარს. ქართველებმა დაამარცხეს ბერძენთა მტრები და სამშობლოში გამარჯვებული დაბრუნდნენ; პოემის ფინალში, გამარჯვებულ ქართველთა ჯართა სიმღერაში, ერთიანი საქართველოს აღორძინების სურათია დახატული:

დედაო ღვთისავ, შენი ხვედრია
ეს საქართველო დიდ ჭირნახული,
შეუნდე ცოდვა... ნუ აალებ ხელს,
ლმობიერებით იბრუნე გული...
მოეც კურთხევა ზეცით, მაღალო,
და გარდმოსახე ძიერად ჯვარი,
რომ აღადგინო ქართველთა ერი,
დღეს დაცემული და ცოცხალ-მკვდარი.
მისსა მხნეობას, მისსა ზნეობას
განუმტკიცებდა ალმაფრენასა,
და შენს საქებრად, სადიდებელად
ნუ დაივიწყებ იმ ტკბილ ენასა,
რომლითაც თამარ ბრძანებას სცემდა,
ქეთევან მარად შენ გადიდებდა,
და ნინო ძისა შენისა მცნებას
შენგან რჩეულ ერს უქადაგებდა.

ეს არის პატრიოტული ლაღადისი ერთიანი საქართველოს შესახებ, ეს არის მუხლმოდრეკით ლოცვა საქართველოს მომავალზე. ამ ლოცვას პოეტი ამთავრებს უმტკიცესი რწმენის გამომხატველი სურათით:

რომ გაათავეს თურმე ეს ლოცვა,
ზეცას შეხედეს სამთავემ ნელა,
და დაინახეს, რომ ძველ ადგილზე
გამოესახათ მათ ცისარტყელა.

ასეთი ოპტიმისტური აკორდით ამთავრებს აკაკი ამ უბრწყინვალეს პოემას. ამ პოემის გარდა სხვა რომ არაფერი დაეწერა აკაკის, ამითაც დარჩებოდა ის ქართულ ლიტერატურაში, როგორც უდიდესი ოსტატი ქართული ლექსისა, როგორც სამშობლოსათვის თავგანწირული რაინდი, პოეტი, რომელმაც ხელთუქმნელი ძეგლი აუგო ქართველი კაცის სიმამაცეს.

შეუძლებელია დავასახელოთ სალიტერატურო მოღვაწეობის ისეთი დარგი, სადაც აკაკის არ ემუშაოს და არ შეეტანოს უდიდესი წვლილი თავისი დიდი პოეტური ნიჭით. ლირიკა, პროზა, დრამა, პუბლიცისტიკა, სალიტერატურო კრიტიკა — აი ის მრავალფეროვანი ლიტერატურული სფეროები, სადაც ტრიალებდა აკაკი. ბრწყინვალე ტალანტი და დაუდეგარი ბუნება ვერ ეტეოდა სალიტერატურო მოღვაწეობის ერთ განსაზღვრულ რკალში. აკაკი წერეთელმაც მწერლობას ძირითად თემად და საკვლევ ობიექტად საზოგადოებრივი ცხოვრების „ყოველდღიური ავკარგიანობა“ დაუსახა. „მწერლობას ნება არა აქვს, — წერდა აკაკი, — რომ ყოველდღიურ საერო მოვლენას, რაგინდ წვრილმანიც იყოს, თვალი აარიდოს“. აკაკი წერეთელმა, ილია ჭავჭავაძესთან ერთად, დაფუძნა ხელოვნებისა და ლიტერატურის ახალი გაგება.

„ზოგიერთები, — წერდა აკაკი, — საზოგადოდ იმ აზრისა არიან როგორც სხვაგან, ისე ჩვენში, რადგან ჩვენები მხოლოდ მიმბაძველები არიან, რომ რეალიზმი მოითხოვს მწერლობაში მხოლოდ პროტოკოლურ აღწერილობას — უმეტ-ნაკლებობით, ისე როგორც ხედავს და ესმის მწერალს, ისე, რომ იქ თავისი არ უნდა გაურიოს-რა. მაგალითად, სოფლის ცხოვრება გინდა აღწერო? მიდი გლეხისას, რაც ნახო ან რაც გაიგონო, უტყუარად ჩასწერე და ეს იქნე-

ბა ნამდვილი ხელოვნებაო. ეს რომ ასე იყოს, მაშინ ფოტოგრაფიულ სურათებს უპირატესობა ექნებოდა ხელოვნებით მხატვრობაზე და უბრალო ფოტოგრაფი ემჯობინებოდა გამოჩენილ მხატვარს რაფაელს. მაგრამ ეს ასე არ არის. მართალია ფოტოგრაფია სწორად აღწერს, ერთ ფიორსაც არ დააკლებს, მაგრამ გამაცხოველებელ სულს ვერ ჩაუდგამს იმას, რასაც მიბაძვით უახლოვდება და ხელოვანი მხატვარი კი, მისთანა რამ დამახასიათებელ ნიშანს აიღებს, შეურჩევს, მისთანა წამს გრძნობა-გონების გამომეტყველებისა, რომ სულს ჩაუდგამს და განახორციელებს ნახატს. ამაშია მისი შემოქმედების საიდუმლო ძალა, რომელსაც უფრო სწრაფი გადამცემი, მაგრამ უსულო ფოტოგრაფი ვერ მიწვდება. ასევე უნდა ვთქვათ მწერლობაზეც. ნიჭიერმა მწერალმა სტენოგრაფიულად კი არ უნდა გადაიღოს ყველაფერი, რაც კი გაიგონა, რაც ნახა; არა, ასი ათასი სიტყვა-ფრაზისაგან უნდა აარჩიოს ისინი, რომელნიც უკეთ დაახასიათებენ მისგან აღებულ საგანს".

აქ გადმოცემულია კლასიკური რეალიზმის დიდი სიბრძნე, ის მაღალი პრინციპები ხალხურობისა, სინამდვილისადმი ერთგულებისა, რომელსაც აკაკი მუდამ მტკიცედ იცავდა.

აკაკი წერეთელი 60-იანი წლების მებრძოლი დემოკრატიული ახალგაზრდობის ერთი ლიდერთაგანი იყო და თავის პოეზიაში მან ბოლომდის შეინარჩუნა შეუპოვარი ბრძოლის პათოსი, მიმართული ყოველივე არქაულისა, დროგადასულისა და იმის წინააღმდეგ, რაც რეალიზმს უპირისპირდებოდა. თავისი ლექსებითა და წერილებით აკაკი გვერდში ამოუდგა ილია ჭავჭავაძეს და მასთან ერთად გაკაფა რეალიზმის გზა საქართველოში. 70-იან წლებში, როდესაც უთანხმოება და ბრძოლა რეალისტებსა და არქაისტებს შორის გადამწყვეტ ფაზაში შევიდა, აკაკი წერეთელი ყველაზე შეუპოვარი აღმოჩნდა მამების წინააღმდეგ ბრძოლაში. იგი წერდა:

მიმავალნო მშვიდობით,
გზა გვიტიეთ მომავალს!
რად წუხდებით რჩევისთვის,
ჩვენ ვპოვებთ ჩვენს გზას და კვალს.

აკაკი დაუნდობლად ებრძოდა გარდასული, დახავსებული იდეების მოტრფიალეებს, მაგრამ იგი როდი იყო ნიჰილისტი; ამავე დროს, იგი დიდად აფასებდა მამების დამსახურებასა და ღვაწლს. აკი თვითონ აცხადებდა ერთ ლექსში:

თუ საფუძველი კარგია ძველი,
წუნს როგორ დასდებს ხუროთმოძღვარი?
ეცდება კიდევ რომ ზედააგოს
სამშვილიშვილო წმინდა ტაძარი.

აკაკის პოეზიაში დიდი ადგილი უჭირავს სატრფიალო ლირიკას, სიყვარულის მოტივს. პოეტი არა ერთხელ ანთებულა სიყვარულის უჩრდილო გრძნობით, არა ერთხელ სიყვარულის ნესტარით გულდაჩხვლეტილს სევდიანი და მწუხარე ხმები დაუღერქვევია. სიყვარულის თემაზე დაწერა მან ერთ-ერთი პირველი ლექსი, ჩვენ მხედველობაში გვაქვს აკაკის ცნობილი „საიდუმლო ბარათი", ხოლო მისი შედევრები — „ციცინათელა", „სულიკო", „სიყვარული", „ერთ ქალს" მუდამ დარჩებიან ქართულ პოეზიაში, როგორც ქართული ლირიკის ობოლი მარგალიტები. მაგრამ აკაკის პოეზიაში ინტიმური ლირიკაც გამსჭვალულია სამშობლოსადმი ტრფიალით. უაღრესად გულწრფელი იყო აკაკი, როდესაც აცხადებდა:

მაგრამ იცით, ჩემი სატრფო ვინ არი?
ძველი ტურფა, დღეს მკვდარივით მძინარი!
ფეხშიშველი, თავზე ლეჩაქმოხდილი;
უგრძნობლად ხდის საწყალს სალათას ძილი.

აკაკი წერეთელმა მთელი თავისი ნათელი ცხოვრება ქართველი ერის სამსახურში გაატარა, მისი დაუცხრომელი სურვილი იყო თავისი ქვეყნის განთავისუფლება, თავისუფალი და აღორძინებული საქართველოს ხილვა. პოეტი ოცნებობდა:

მინდა რომ ჩემსა სატრფოსა
ვხედავდე თავისუფალსა,
რომ ძალით ვერ აშინებდნენ
ვერც ნებით უხვევდნენ თვალსა,
მინდა, რომ მისი სახელი
გაისმას ძველებურადა,
და მისიანი ყველანი
ერთად ცხოვრობდნენ ძმურადა.

ამ ნატვრის განხორციელებას ვერ შეესწრო პოეტი; იგი წავიდა ამ ქვეყნიდან გულდათუთქული, სევდით აღვსილი და თან წაიღო თავისი ქვეყნის, თავისი სათაყვანებელი საქართველოს დიდი სიყვარული; მაგრამ სიცოცხლის ბოლო წუთებამდე სწამდა და სჯეროდა საქართველოს მომავალი, მისი ხვალინდელი დღე. და ისიც სწამდა, რომ ეს ხვალინდელი საქართველო, თავისუფალი და აღორძინებული ქვეყანა, პატივისცემით მოიგონებდა მის სახელს და დიდებით შემოსავდა. აღსრულდა პოეტის ოცნება. დღეს თავისუფალი და ბედნიერი საქართველო სიყვარულით და პატივისცემით იგონებს მის ამაგს, დიდების გვირგვინით ამკობს ახალ საქართველოს მშენებელთა რიგში ჩამდგარ ჩვენს დიდ მამულიშვილს.

გვიყვარდეს ჩვენი თანამედროვეობა, ვიყოთ ახლად აღორძინებული და გამშვენიერებული საბჭოთა საქართველოს გულწრფელი პატრიოტები, — ამას მოითხოვს ქართული საბჭოთა მწერლობისაგან აკაკის დიდი პოეტური აჩრდილი, რომელიც შარავანდედად თავს ადგას ჩვენს მწერლობას, როგორც პატიოსნებისა და ერის უმწიკვლო სამსახურის უსპეტაკესი მაგალითი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვახტანგ ვახანია

# ხან მიწისა ვარ, ხან ცისა

## აკაკი წერეთელი პოეტის როლისა და დანიშნულების შესახებ

ცნობილია, რომ როგორც რუსეთში, ისე საქართველოში პოეტის როლისა და მოვალეობის, შემოქმედისა და სინამდვილის ურთიერთობის საკითხი მწვავედ იდგა მთელ მე-19 საუკუნის მანძილზე, განსაკუთრებით 50-იანი წლებიდან. ჯერ დეკაბრისტები, შემდეგ გერცენი, ბელინსკი და 60-იანი წლების რუსი რევოლუციონერ-დემოკრატები მწერლობას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ განმათავისუფლებელ მოძრაობაში.

საქართველო მე-19 საუკუნეში განიცდიდა არა მარტო სოციალურ, არამედ ეროვნულ ჩაგვრასაც. ამის შესაბამისად ქართველმა სამოციანელებმა, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დიდმა მესვეურებმა ახალ სიბრტყეზე დასვეს და საგანგებოდ განიხილეს პოეტის როლისა და დანიშნულების პრობლემა, შემოქმედის მოვალეობის საკითხი თავისი ხალხისა და სამშობლოს წინაშე. პოეტი უნდა ყოფილიყო ხალხის გულწრფელი ქომაგი და ერთგული წინამძღოლი, ეროვნული და სოციალური ჩაგვრისაგან მშრომელთა განთავისუფლებისათვის თავდადებული მებრძოლი. ქართველ სამოციანელთა ღრმა რწმენით, მხატვრული სიტყვა იყო უებარი საშუალება ხალხის რევოლუციური თვითშეგნების, მებრძოლი სულისკვეთების გაღვივებისა და ამაღლებისათვის. ასე ფიქრობდა ილია, ამას ასაბუთებდა აკაკი წერეთელიც.

სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარული, მისთვის თავდადების იდეა განსაზღვრავდა აკაკი წერეთლის ყოველ ნაბიჯს, გადადგმულს ცხოვრების სარბიელზე. 19 წლის ჭაბუკი ოცნებობდა გამხდარიყო სარდალი და ხმლით გამოდგომოდა მამულს; მაგრამ შემდეგ, როცა დარწმუნდა, რომ მეომრად კი არა, პოეტად იყო დაბადებული და კალმით მეტ სარგებლობას მოუტანდა თავის დაჩაგრულ მხარეს, ერთხელ კიდევ შესცვალა სამოქმედო გეგმა: „და ხელი მივჰყავ მწერლობას, ის მიჩნდა ნეტარებადა; და მას შევსწირე ყოველი, რაც მქონდა და რაც მებადა“ (ლექსი „ჩემი თავგადასავალი“).

ეს არ იყო ლიტონი, დეკლარაციული განცხადება. აკაკიმ, მართლაც, პოეზიას შესწირა ყველაფერი — მთელი თავისი დრო, ნიჭი, შრომა და ენერგია. პოეტური ჩანგი მან მთლიანად სამშობლოს ამსახურა და ასე აკეთა ის დიდი საქმე, რომლის შესრულებაც რომანტიკულად მეოცნებე ახალგაზრდას იარაღით ეწადა. რად ღირს იმ ფაქტის აღნიშვნა, რომ ა. წერეთელს არასდროს არ უმსახურია, რომ ის არის ჭეშმარიტად პირველი პროფესიონალი პოეტი საქართველოში. ამ პირადი მაგალითით ბევრად აამაღლა პოეტის პრესტიჟი, რასაც მაშინ განუზომელი მნიშვნელობა ჰქონდა. კარგად ამბობს ამის შესახებ პროფ. ვ. კოტეტიშვილი: „მას (აკაკის — ვ. ვ.) უნდოდა, რომ ლიტერატურა გადაქცეულიყო სასიცოცხლო საქმედ, რომელსაც „თავისუფალ დროს“ კი არ მოანდომებდნენ, არამედ დროს, და რომ ამ საქმეს მდგომარეობაც შეექმნა და უზრუნველეყო ის ხალხიც, რომელიც საამისოდ იყო მოწოდებული. ეს კი ნიშნავდა ლიტერატურის ამაღლებას სახელმწიფო საქმემდე. „დიდი“ მოხელეების გვერდით მწერლების დაყენებას, როგორც საზოგადოებრივი საქმის ხელმძღვანელების და ამმაღლებლებისა. შეიძლება დღეს ბევრისთვის გაუგებარი იყოს ამ საგნებისთვის ბრძოლის მნიშვნელობა, მაგრამ იმ დროს, როდესაც „კოლეჟსკი რეგისტრატორობა“ უფრო საპატიო იყო, ვიდრე პოეტობა, და ამ უკანასკნელს „მჯღაბნელობას“ უწოდებდნენ, დიახ, იმ დროს ლიტერატურას დამოუკიდებლობისათვის ამხედრებას უდიდესი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მნიშვნელობა ჰქონდა. აკაკი წერეთელი სიტყვით კი არ გამოვიდა ბრძოლის ველზე, არამედ თავისი პოეტობით და ისე იმოღვაწა ნახევარი საუკუნის განმავლობაში, რომ სამსახურში არ შესულა, თუმცა ხშირად ძალიან უჭირდა კიდეც ჯიბის „ლაზათი". მისი სახელმწიფო და საზოგადოებრივი სამსახური იყო შემოქმედება, და მისი ერთადერთი წოდება პოეტი".1

გასაგებია, რომ აკაკი წერეთელი მაღალი შეხედულებისა იყო პოეტზე, ანიჭებდა რა მას უდიდეს როლს საზოგადოების გაჯანსაღებისა და განვითარების საქმეში. „მე საზოგადოდ მწერალს ისე ვუყურებ, — წერს აკაკი, — როგორც პედაგოგს, სხვების გამზრდელსა და გამწვრთნელს, მხოლოთ იმ განსხვავებით, რომ მწერლის სარბიელი უფრო დიდია. მასწავლებელი რამდენსამე მოწაფესა წვრთნის და მწერალი კი — მთელ ხალხს და არა თუ მარტო აწმყოში, — მომავალშიაც". მსგავსად ი. ჭავჭავაძისა, ა. წერეთელსაც მიაჩნია, რომ „მწერალი მთელი ხალხის მოძღვარია", ერის მამა და წინამძღოლია.

პოეტი, აკაკი წერეთლის მტკიცებით, ვალდებულია დღენიადაგ ხალხში ტრიალებდეს და საზოგადოების ავ-კარგზე, მიმდინარე საჭირბოროტო საკითხებზე წერდეს და ფიქრობდეს. „მწერალი მუდამ თვალ-ყურს ადევნებს მისის ქვეყნის ცხოვრება-მოძრაობას; შეუნიშნავი არა ურჩება-რა და ყოველს მოვლინებას თავისს საკადრისს პასუხს აძლევს". აკაკი კატეგორიულად და დაჟინებით მოითხოვს, რომ მწერალი მაშინათვე, დაუყოვნებლივ გამოეხმაუროს თანამედროვეობის ყველა ცოტად თუ ბევრად საყურადღებო მოვლენას. თვით ისეთი ამბავიც კი, რომელიც წვრილმანად და მეორეხარისხოვნად გვეჩვენება, არ უნდა დარჩეს სათანადო რეაგირების გარეშე. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში მართებულადაა მითითებული, ეს არის ა. წერეთლის ესთეტიკური ნააზრევის ერთი მნიშვნელოვანი თავისებურება.2

წერა ყოველდღიურ საჭირბოროტო მოვლენებზე, მიმდინარე საკითხებზე პოეტის არა მხოლოდ პირდაპირი მოწოდება, უშუალო ვალდებულებაა, არამედ, ამავე დროს, მისი ნიჭისა და უნარის თავისებური საზომიცაა. „მწერალს ნება არა აქვს, რომ ყოველდღიურ საერო მოვლინებას, რაგინდ წვრილმანიც იყოს, თვალი აარიდოს. — რაც უფრო ნიჭიერია პოეტი, უფრო ძლიერად ექვემდებარება ამ ზემო მოყვანილ პირობებს". თვითონ ა. წერეთელი, როგორც შემოქმედი, ამ მხრივ მაგალითს აძლევდა სხვებს. „კალამი ისე მეჭირა ხელში, როგორც ყოველდღიური სამუშაო იარაღი", — წერს მგოსანი და იქვე, სხვათა შორის, შენიშნავს, ეს გარემოება ხშირად იძულებულს მხდიდა, სახელდახელოდ დამეწერა და გამომექვეყნებინა ნაწარმოები.

ცხოვრება, რომლის ასახვაც მწერალს მოეთხოვება, მრავალმხრივი და მრავალფეროვანია. ჯანსაღისა და მშვენიერის გვერდით იქ არაიშვიათად გვხვდება მახინჯი, დაგმობისა და გაკიცხვის ღირსი. პოეტი არ შეიძლება საგნებისა და მოვლენების მიმართ ინდიფერენტულად იყოს განწყობილი. „გარჩევა უნდა ავ-კარგსა!" — ხმამაღლა აცხადებს აკაკი. ეს იმას ნიშნავს, რომ ნაწერში რელიეფურად უნდა ჩანდეს პოეტის იდეური პოზიციები დადებითი და უარყოფითი მოვლენების მიმართ. ამიტომაც მოუწოდებდა აკაკი მწერალს: „როცა გულში უნებურად გაიშლება ვარდი, ია... მაშინ უნდა ბულბულივით ჩაიჭიკჭიკ-ჩაიმღერო", მაგრამ მწერალი ვალდებულია „კარგი აქოს, ავი დაგმოს", ჭირში ზარი უნდა თქვას და ლხინში — მრავალჟამიერი (ლექსი „პოეტის პროგრამა").

ავის დაძებნა და დაგმობა პოეტისათვის, ცხადია, თვითმიზანი არაა, არამედ ნაკარნახევია კეთილშობილური საქციელით — დაეხმაროს ხალხს ნაკლოვანებათა გამოსწორებაში, ხელი შეუწყოს საზოგადოების წინსვლასა და განვითარებას. ამ შემთხვევაში პოეტი ისე იქცევა, როგორც მოძღვარი და მკურნალი. პირველი ამათგანი არ ერიდება მოწაფის წყენას, და კიცხავს მას ცუდი საქციელისათვის, ხოლო მეორე თავის პაციენტს „ძირმწარასა და ნაღველს ასხამს ძალდატანებით პირში". ეს იმიტომ, რომ მოძღვარი (თუ კი ის ნამდვილი მოძღვარია და არა ფარისეველი) მოწაფის საუკეთესო მომავალზე ფიქრობს, ხოლო მკურნალი — ავადმყოფის გაჯანსაღებაზე. „ეს ორივე ძალა და ღირსება, როგორც მკურნალისა, ისე მოძღვრისაც, ერთად უნდა ჰქონდეს შეთავსებული მწერალს. ერთსა და იმავე დროს უნდა უმოძღვრებდეს და სამკურნალო წამალსაც აძლევდეს ხალხს. უნდა დაუფარავად ამხილებდეს მის ავსა და კარგს... ვისაც ეს არ შეუძლიან, ის ნურც გამოდის საზოგადო ასპარეზზე.

თავის შემოქმედებით პრაქტიკაში აკაკი წერეთელი ყოველთვის ერთგულად იცავდა ზემოაღნიშნულ პრინციპს. ეს გასაგებიცაა. იმ ისტორიულ ეპოქაში ,როდესაც ხალხი ორმაგ ჩაგვრას განიცდიდა და მწარედ კვნესოდა, პოეტისთვის მარტო „ტკბილხმოვანება" — „ბულბულობა" სრულებით არ იყო საკმარისი. ასე რომ, სწორედ გარემოებით, ეპოქის ავბედითობით იყო გაპირობებული, რომ აკაკი — ეს ჭეშმარიტი „მგოსანი", საამო ხმის მქონე ბულბულად გაჩენილი — ხშირად იძულებული ხდებოდა

1. ვ. კოტეტიშვილი, რჩეული ნაწერები ,წიგნი პირველი, პროფ. ღ. გამეზარდაშვილის რედაქციით, 1965 წ. გვ. 371.

2 А. Кутелия, Эстетические взгляды Акакия Церетели, «Литературная Грузия». 1969 г., № 7—8, стр. 121.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყორანივით „ეჩხავლა“; „განა მე თვითონ არ მეჩხვლიტება ჩემი ეკლი, მაშინ როდესაც ბუნებას ბულბულად გაუჩენივარ?“, — წერს აკაკი და შემდეგ უმატებს: „გაძალღებული დროვ, შენ მოგეცა ჩემი ცოდვა, რომ წინააღმდეგ ჩემის ბუნებისა, მაძალღებ და მაყეფებ“. ეს იყო პოეტის მიერ გაღებული თავისებური მძიმე ხარკი, რომლის შესახებაც მან საკმაოდ გასაგებად თქვა „ტკბილ მგალობელ“ წინაპრის ალ. ჭავჭავაძისადმი მიძღვნილ ლექსში („ალექსანდრე ჭავჭავაძის საფლავზედ“):

ტკბილო პოეტო,
ნათლისა სვეტო!
შენ არ დაგწვია ჩვენსავით გული,
რომ ჩვენი ერი,
დღეს სხვის ფეხთ მტვერი,
შენ არ გინახავს ასე ჩაგრული!
თორემ სხვაგვარად,
მწარედ და მარად
ეგ შენი გულიც იწყებდა ძგერას...
და შენც ჩვენსავით
სიტყვებით ავით
გესლით და ნაღვლით იწყებდი მღერას.

გამოდიოდა რა თავისი ქვეყნისა და ხალხის სასიცოცხლო ინტერესებიდან, ა. წერეთელი, როგორც შემოქმედი და როგორც მოქალაქე, მუდამ მოწოდების სიმაღლეზე იდგა. „სადაც ძაღლივით ყეფა იყო საჭირო, იქ ზევსური არ მიმღერია და, სადაც გალობა, იქ ყეფა არ დამიწყია“, — წერდა აკაკი, და მისი მხატვრული მემკვიდრეობის გაცნობა უფლებას არ გვაძლევს არ დავეთანხმოთ მგოსანს.

აკაკის მრწამსი ცხოვრების დადებითი და უარყოფითი მოვლენების მიმართ დამოკიდებულების საკითხში, რა თქმა უნდა, ისეთივეა როგორიც იყო სხვა ქართველი სამოციანელების თვალსაზრისი. მაგრამ როგორც სიტყვის დიდოსტატს, აკაკის აქვს ის საკუთარი, ორიგინალური რამ, რასაც თვითონ პოეტი „აკაკურს“ უწოდებდა. „ჩემი კალამი ბატის ფრთისაა — ფრინველის! და მიტომაც მსუბუქი ალმა-მფრენი და ხან და ხან ჩიტივითაც მოჭიკჭიკე!.. ტარი ძაღლის ძვლისა აქვს და მისი ბრალია, რომ ყეფა-ღრენაც ეხერხება!... მაგრამ ორივე კი, ყეფაც და ჭიკჭიკიც აკაკურია“. ამ „აკაკურობისთვის“ აკაკის მოყვარეც ბევრი ჰყავდა, მაგრამ მოძულრავი — უფრო მეტი, და პოეტიც, როგორც ცნობილია, განაწყენებული ადამიანების მხრივ ყოველთვის დევნასა და შევიწროებას განიცდიდა; მაგრამ აკაკი არ ნანობდა თავისი საქციელის გამო, პირიქით, კმაყოფილი იყო კიდეც და გულწრფელად ამბობდა: „ხელახლა რომ თავიდან მომაყოლონ ცხოვრებას, მაინც ისევ იმ გზით გავივლი, რომლითაც მივლია — ყეფითა და ჭიკჭიკით. თუმცა მეცოდინება, რომ ჭიკჭიკი ვერას შემძენს და ყეფას კი ბევრს დამაკლებს ცხოვრებაში“.

მაგრამ განვაგრძოთ პოეტის როლისა და მოვალეობის შესახებ ა. წერეთლის შეხედულებათა გადმოცემა. ძალიან უყვარდა აკაკის პოეტის შედარება ფუტკართან: „რაც ბუნ-მწერებში დანიშნულება აქვს პატარა ფუტკარს, ისევე ადამიანებში აქვს მგოსნებს, ესე იგი პოეტებს“. ასეთ შედარებას ჰქონდა თავისი საფუძველი. ფუტკარი შრომისმოყვარე და დიდი სარგებლობის მომტანი მწერია. მთელი დღე მოუსვენრად დაბზუის, ეძებს, აგროვებს მასალას, რომ „მოამზადოს თაფლი პირის ჩასაგემრიელებლად და სანთელი — ბნელის გასანათებლად“. მაგრამ ეს კეთილი არსება ამავე დროს იკბინება კიდეც. ამიტომ ხალხი, რომელიც სარგებლობს თაფლითა და სანთლით, ახლოს არ იკარებს ფუტკარს. „სწორეთ ამგვარივე ბედი ჰრგებიათ მგოსნებსაც ადამიანებში“. ეს აზრია გატარებული აგრეთვე აკაკი წერეთლის ლექსებში: ფუტკარი დილიდან საღამომდე შრომობს, სულ იმის ცდაშია, რომ მოუმზადოს „ქვეყანას თაფლი, ზეცას —სანთელიო, რომ იქ წმინდად შეიწიროს და ანათოს აქ ბნელიო“ („ხარაბუზა და ფუტკარი“); მაგრამ ფუტკარი შხამიანი ისრით უმასპინძლდება იმათ, ვინც შრომაში ხელს უშლის, კეთილ საქმეში წინ ეღობება. ამიტომაც მას ხშირად მტრული თვალით უყურებენ; აქედან უკვე გასაგები ხდება პოეტ-ფუტკარის ანალოგია: „შენც, პოეტო, კაცთა შორის ფუტკრადა ხარ გაჩენილი; ენა-ისარ-ნაღვლიანსა ნაყოფს გაქვს ნათელ-ტკბილი“ („შედარება“).

პოეტი, აკაკის აზრით, უნდა იყოს გამჭრიახი, ბრძენი, წინასწარმეტყველი. მხოლოდ ასეთ ადამიანს შეუძლია ღრმად ჩაიხედოს ქვეყნის „საიდუმლოებაში“, უშეცდომოდ გაიგნოს გზა სინამდვილის რთულ ლაბირინთში, დროზე გამოიცნოს ცხოვრების ავ-კარგი... შორსმჭვრეტ მგოსანს დიახაც აქვს უფლება თქვას: „ქვეყანამ გული გამიხსნა, — საიდუმლოთა სალარო, — შიგ ჩამახედა. გამაცნო ავის და კარგის სამთავრო“ („მგოსანი“). მაგრამ ერთი საქმეა ავკარგის გამოცნობა, ხოლო მეორე — ავის დაგმობა და კარგის შექება. ამისთვის კი საჭიროა პოეტი, ერთსა და იმავე დროს, იყოს გველივით ბრძენი და მტრედივით უმანკო (ბიბლიიდან მომდინარე შედარებას იყენებს აკაკი, როცა ამბობს: „იყავ უმანკო, ვითარცა მტრედი, და მეცნიერი, ვითარცა გველი“). ადამიანი სრულყოფილი არ იქნება თუ ერთ-ერთი ამათგანი (ან სიბრძნე, ან უმანკოება) აკლია. მხოლოდ იმისი „სიცოცხლე არის ორკეცი, ვინც უმანკოა და მეცნიერი“. თუ პოეტი ამგვარი სიბრძნით არის აღჭურვილი მაშინ

ავიც და კარგიც მას ეყურება,
თვით არ იზამს ავს, სხვის ავს იცილებს,

მოძმეთ უმანკოდ ემსახურება
და სიცოცხლესაც მითი იტკბილებს,
ხან მტრედებრ ალმა ჰფრენს მოწონებით,
ხან გველივითა ქვესკნელში ძვრება,
მაგრამ ყოველთვის თვის მოქმედებით
ის მხოლოდ მამულს ემსახურება!
ვერ შეაშინებს მას სოფლის ღელვა,
მხნედ მიაცურებს იგი თვის წრფელ ნავს
და, გზას უნათებს რა საღმრთო ელვა,
ის სიბნელიდან ნათლად გამოჰყავს.
(„პასუხი ქალადიდელისადმი“).

აი, ამ გზით სიარული, ე. ი. ხალხისა და მამულისადმი უანგარო სამსახური უნდა იყოს პოეტის მიზანი. ჭეშმარიტ პოეტს ყოველთვის ჰქონია და ექნება თავისი იდეალი, რომელსაც „უჭერებს“ და ერთგულად მიჰყვება. „შენ გყავს შენი იდეალი, დაუჭერე მხოლოდ იმას“, — მიმართავს აკაკი მგოსანს. პოეტი, რომელსაც გარკვეული მიზანი და იდეალი არა აქვს, კალამს არც უნდა ჰკიდებდეს ხელს: „წერა მხოლოდ მაშინ უნდა, წინ რომ გედგას იდეალი“ („მწერალი“). აქ, ცხადია, იგულისხმება მაღალი, კეთილშობილური იდეალი, თორემ „თუ იდეალი მწერლისა მხოლოდ პური და გროშია“, მაშინ ის სხვა არაფერია, „თუ არ წუპაკი, პურისთვის მყეფი ვოშია“ (1898 წელს დაწერილი უსათაურო ლექსი).

მაღალი იდეალების მატარებელი მწერალი ისაა, ვინც თანმიმდევრულად ამხილებს და ებრძვის ყოველგვარ საძაგლობასა და ანგარებას, სიცრუესა და ორპირობას, ფარისევლობასა და გაიძვერობას... ყველაზე დიდი ბოროტება მაინც ჩაგვრაა (იქნება ის სოციალური თუ ეროვნული), ამიტომაც აცხადებდა პოეტი ჯერ კიდევ 60-იანი წლების დასაწყისში: „ბოროტების მტერი ვარ... მიყვარს გაჭირვებული“ („უდარდო კაცი“). აკაკი დასცინის იმ ვაი-კალმოსნებს, რომლებსაც არ ესმით დაჩაგრულის გულისტკივილი, არ ფიქრობენ ქუჩაში მიმავალი „იტვირთმოდებული, ფეხშიშველა მუშაკის... კარგსა და ავზედ“ („ახალი პოეტების მიბაძვა“). არ შეიძლება პოეტის საპატიო სახელს ატარებდეს ის, „ვინც დაეძებს გამორჩენას, საქმით სხვაა, სიტყვით სხვაა, ორლესულად ხმარობს ენას, პირმოთნეობს უფროსებთან, ერიდება დიდთა წყენას, თვალს არიდებს დაჩაგრულსა, მის ოხვრას და ცრემლთა დენას“ („პასუხი“).

მაგრამ საკმარისი როდია მშრომელი ადამიანებისადმი უბრალო თანაგრძნობა. პოეტი ვალდებულია, ერთი მხრივ, დაიცვას და მხარი დაუჭიროს დაჩაგრულს, სიმართლესა და სიკეთეს, მეორე მხრივ, მოუხამთლი ისრით შეებრძოლოს მჩაგვრელის უსამართლობასა და ძალადობას. ა. წერეთელს ჩანგური სწორედ იმისთვის უნდა,

რომ სიმართლეს მსახურებდეს,
განამტკიცოს აზრი წმინდა,
გულს სიწმინდით ახურებდეს,
რომ დაჩაგრულს იმ სამართლით
თვალთ ცრემლები ეშრობოდეს
და მჩაგვრელს კი გულში ძგერით
ისარივით ესობოდეს. („ჩანგური“).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტიც, პოეტმა უნდა მოუწოდოს მშრომელ მასას ჩაგვრისა და ძალმომრეობის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ. ნამდვილი პოეტი კი არ უფრთხის, არამედ, პირიქით, მიესალმება სახალხო რევოლუციას, ვინაიდან ღრმადაა დარწმუნებული იმაში, რომ იგრალია „ერთადერთი იმედი“ — ბოროტების მომსპობი და ბედნიერების დამამკვიდრებელი. „ზღვაო, ალელდი, ალელდი!... აამთაგორე ტალღები, კიდეებს გადააცილე!“, — მიმართავს აკაკი ზღვას (ე. ი. ხალხს), ხოლო შემდეგ უმატებს: „პოეტო! ნურც შენ ეკრძალები მრისხანე ვულის ღელვასა!... ძილის დროს ქუხილს ნუ მოშლი და სიბნელის დროს ელვასა“ („ზღვაო, ალელდი, ალელდი“). და მართლაც, პოეტის ბასრ კალამს — ამ ძლიერ ძალას — ბევრი რამის გაკეთება შეეძლო „დასამხობელის“ (უსამართლობისა და ბოროტების) წინააღმდეგ ბრძოლაში. როგორც ჰიმნი, ისე ჟღერს აკაკის სიტყვები:

ოქრო და ვერცხლზე ძვირფასო
პატარა ბატის კალამო!
შხამ-ისარა ხარ მჩაგვრელის
და ჩაგრულების მალამო!...
ახალე ავ-კარგს პირ-ბადე,
ნურაფერს ნუ დამალამო.
დაამხოს დასამხობელი
შენმა სიმართლის ძალამო!

მოკლედ, ა. წერეთლის აზრით, პოეტს უნდა ექადაგნა რევოლუციურ-დემოკრატიული იდეები. მაგრამ ამ დიდი მისიის შესრულება, ბრძოლა ჩაგვრისა და უსამართლობის წინააღმდეგ, მშრომელთა ინტერესების დაცვა და მოწოდება აქტიური მოქმედებისაკენ ადვილი საქმე როდი იყო. ყველაფერი ეს პოეტისაგან მოითხოვდა მუდამ დაძაბულ მდგომარეობაში ყოფნას, უკომპრომისო პრინციპულობასა და ობიექტურობას, პირდაპირობას და გამბედაობას, საჭირო შემთხვევაში საერთო-სახალხო ინტერესების სამსახვერპლოზე საკუთარი თავის ზვარაკად მიტანას. პოეტისათვის საჭირო ამ თვისებებზე აკაკის ბევრგან აქვს საუბარი (როგორც ლექსებში, ისე კრიტიკულ-პუბლიცისტურ წერილებში), მაგრამ საილუსტრაციოდ, ვფიქრობთ, ზემომოტანილი მაგალითებიც საკმარისია. საერთოდ, გვგონია, რომ პოეტის როლისა და მოვალეობის შესახებ ქართველ მწერალთაგან იმდენი არავის უწერია, რამდენიც ა. წერეთელს. ეს პრობლემა აკაკის მრავალ განაზრში აქვს განხილული.

ახლა კი გვინდა შევეხოთ ერთ მტკივნეულ საკითხს. აკაკი წერეთლის მიერ პრობლემის რა-

მეცნიერებაში სწორხაზობრივად დაყენებამ — პოეტის გამოცხადებამ „გარემოების საყვირად", ხელოვნების აღიარებამ დღიური მოვლენების (ავისა და კარგის) ამსახველად და სხვა — სამეცნიერო ლიტერატურაში ერთგვარი გაუგებრობა დაბადა. საქმე მივიდა ი. ჭავჭავაძისა და ა. წერეთლის შეხედულებათა დაპირისპირებამდე. პროფ. ვ. კოტეტიშვილი წერდა: ა. წერეთელი, „მისივე თქმით „არც მიწისა იყო და არც ცის". იმ დროს, როდესაც ილია ჭავჭავაძეს თავისი მოწოდება სხვაგვარად ჰქონდა წარმოდგენილი: „მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის, მიწიერი ზეციერსა, ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ, რომ წარუძღვე წინა ერსაო".[3] ეს აზრი უფრო მკვეთრად გამოთქვა (კოტეტიშვილზე ადრე) კრიტიკოსმა კ. აბაშიძემ: „პოეტს რეალისტს, აკაკი წერეთელს, პოეტზედ სრულებით სხვაგვარი შეხედულება აქვს. მისთვის გაუგებარია პოეტის „ღმერთებთან ლაპარაკი". იგი სრულებით წინააღმდეგია იმ აზრის, რომ პოეტს „ცა ნიშნავდეს და ხალხი ზრდიდეს, მიწიერი — ზეციერსა", როგორც ამბობს მეორე ჩვენი დიდი პოეტი".[4]

აქ რომ მხოლოდ ორი ლექსის (ი. ჭავჭავაძის „პოეტის" და ა. წერეთლის „პოეტის") დაპირისპირებასთან გვქონდეს საქმე (როგორც ეს ჩვეულებრივ გვგონიათ), კიდევ არა უშავდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არაა. საილუსტრაციოდ ზემოაღნიშნული დებულებისა კ. აბაშიძეს იქვე მოჰყავს სათანადო ადგილები ა. წერეთლის არა მარტო „პოეტიდან", არამედ სხვა ლექსებიდანაც და აგრეთვე კრიტიკულ-პუბლიცისტური წერილებიდან. ასე რომ, კ. აბაშიძე ი. ჭავჭავაძის „პოეტს" უპირისპირებს არა მხოლოდ ა. წერეთლის იმავე სახელწოდების ლექსს, არამედ, საერთოდ აკაკის ესთეტიკურ მრწამსს.

სპეციალურ ლიტერატურაში აქა-იქ თუმცა მითითებულია, რომ ეს შეხედულება მცდარია, მაგრამ მითითებულია მხოლოდ ზოგადად, გაკვრით, სათანადო დასაბუთების გარეშე. მეტიც, კრიტიკოსთა და მკვლევართა ერთი ნაწილი არამცთუ არ უკუაგდებს, არამედ, პირიქით, იზიარებს და შემდგომ ავითარებს კიდეც ამ თვალსაზრისს. ასე მაგალითად, გ. ასათიანი ნარკვევში „აკ. წერეთელი და XIX საუკუნის პოეტური ხელოვნება" წერს: „ცნობილია, რომ იგი (აკაკი — ვ. ვ.) არა თუ „ტკბილ ხმათა" საწყისს ეძიებდა პოეზიაში, მისთვის ნაწილობრივ მიუღებელი იყო თვით ილიასეული ფორმულირება პოეტის დანიშნულებისა: „მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის მიწიერი ზეციერსა, ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ, რომ წარუძღვე წინა ერსა". აკაკის ცნობილი სიტყვები: „არც მიწისა ვარ, არც ცისა" — ილიასთან „შინაურ" პოლემიკას წარმოადგენდა. ხოლო უფრო გვიან იგი ერთგან მისთვის ჩვეული ირონიით (რომლის მისამართი ძნელი გამოსაცნობი არ არის) აცხადებს: „საკვირველია!... ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც მე ლექსებს ვწერ, სხვა ხელობა არა მაქვს რა და ერთხელაც არ მახსოვს, რომ ღმერთი დამლაპარაკებოდეს".[5]

რა გვეთქმის ყოველივე ზემოაღნიშნულის შესახებ? ჩვენი ღრმა რწმენით, ილიასა და აკაკის ესთეტიკურ შეხედულებათა დაპირისპირება (თუნდაც ერთი რომელიმე კუთხით) თვალსაზრისი, რომელსაც სამეცნიერო ლიტერატურაში ჯერ კიდევ აქვს გასავალი, აშკარად არასწორია. შეუძლებელია წარმოვიდგინოთ, რომ ზემოდამოწმებულ სიტყვებში აკაკის სახელდობრ ილია ჰყოლოდა მხედველობაში. ჯერ ერთი, სტატია „ნადული", საიდანაც ეს სტრიქონებია ამოღებული, დაწერილია 1918 წელს და განა შეიძლება ვივარაუდოთ, რომ აკაკი (ამ დროს უკვე ღრმად მოხუცებული) ეკამათება აწ განსვენებულ თანამებრძოლს, მის მიერ (და არა მარტო მის მიერ) გულმდუღარედ დატირებულ სახიქადულო მამულიშვილს? ხოლო მეორე, რაც მთავარია: შეუძლებელია წარმოვიდგინოთ, რომ აკაკის სახელდობრ ილიას „პოეტი", ნახევარ საუკუნეზე წინ დაწერილი ლექსი, ჰქონდა მხედველობაში, რომ „განთიადის" ავტორს სწორად არ ესმოდა უფროსი თანამოკალმის ეს საპროგრამო ნაწარმოები, არ გაეგებოდა, თუ რომელ ღმერთზე იყო აქ საუბარი. ძნელია ამის დაჯერება.

აკაკი წერეთლის ზემოდამოწმებული წერილი არავითარ ეჭვს არ სტოვებს, რომ მასში განქიქებული არიან ის ვაი-კალმოსნები, რომლებიც სერიოზულად ფიქრობენ, რომ „ზეგარდმო ჩაგონებით არიან გამსჭვალულნი და ღმერთი ელაპარაკებათ". აქ უკვე „ღმერთი" მისტიკური მნიშვნელობით გაიგება და აკაკის ირონიული რისხვაც თავზე ატყდება სწორედ იმ იდეალისტ-ესთეტიკოსებს, რომელთა რიცხვი მაშინ („ნადულის" დაწერისა და გამოქვეყნების პერიოდში, ე. ი. რევოლუციის მძიმე წლებში) საკმაოდ ბევრი იყო როგორც რუსეთში, ისე ჩვენში.

ა. წერეთელი პოეტის როლისა და დანიშნულების, საერთოდ, პოეზიის ბუნების გაგების საკითხში სავსებით ეთანხმება ი. ჭავჭავაძეს, რაც, სხვათა შორის, გარკვეულად ჩანს ესოდენ საკამათოდ გამხდარ ლექს „პოეტშიც". „სულ სხვა ჰყავს ხელისუფალი ამ ჩემს გონებაგრძნობასა", — ამბობს აკაკი აქ და ძნელი მი-

3 ვ. კოტეტიშვილი, რჩეული ნაწერები, წიგნი პირველი, პროფ. დ. ვამეზარდაშვილის რედაქციით, 1965 წ., გვ. 369.

4 კ. აბაშიძე, ეტიუდები, პროფ. დ. ვამეზარდაშვილის რედაქციითა და შესავალი წერილით, 1962 წ., გვ. 220.

5 გ. ასათიანი, პოეზია და პოეტები, 1963 წ., გვ. 12.

სახვედრი არ არის, რომ ეს „სხვა ხელისუფალი“ არის სწორედ ის „ღმერთი“, რომელთანაც ილიას პოეტი ლაპარაკობს.

ი. ჭავჭავაძის მსგავსად, ა. წერეთელიც არაერთხელ საგანგებოდ უსვამს ხაზს პოეზიის სპეციფიკურ ბუნებას, მის „ზეგარდმო“ მოვლინებას, „ციური ტკბილ ძალას“ („ავადმყოფი მგოსანი“). პოეზია ესაა „საიდუმლო ღვთიური ძალა“, „ცისა და ქვეყნის შუამავალი“, „ციური ნიჭი, გამოუთქმელი კაცთა ენითა“, „ციური მალამო“, „უცნაური ჰანგი“...

მხოლოდ აკაკი წერეთლის მსგავს ჭეშმარიტ შემოქმედს, „ციური ნიჭით“ ასე უხვად მომადლებულ მგოსანს შეეძლო დაეწერა ლექსი „ქებათა-ქება“ და პოეზიის შესახებ შემდეგი სიტყვებით ემსჯელა:

რამ აღამაღლა? ვინ მაგრძნობინა
ეს საიდუმლო, ღვთიური ძალა?...
ადამის ცოდვით მკრთალი ბუნება
ძლევამოსილად გარდამიცვალა?!..
შენ, სიყვარულო, ცისა და ქვეყნის
კავშირო და თან შუამავალო!
შენ, რომლის ერთ წამს, იმ სანეტაროს,
მზა ვარ, სიცოცხლე მთლად ვანაცვალო!...
შენ, ვისაც უგნურთ უმეტესობა
ვერ გიგრძნობს, ვერც გცნობს, მხოლოდ
ცილს გწამებს
და შენ მაგიერ შენის სახელით
ის აღიარებს პირუტყვულ წამებს!
შენ და მხოლოდ შენ, ციურო ნიჭო,
გამოუთქმელო კაცთა ენითა...
შენგან მგოსანი ფრთეზმესხმული ვარ
და მონავარდე ალმაფრენითა,
რომ მეც, გედივით სიკვდილის წინეთ
უცნაურ ჰანგზე ჩავიხმატკბილო...
გცხო წმინდა სიმებს ციურ მალამოდ
და ვსთქვა გალობა საშვილიშვილო.

ჭეშმარიტად რომ პოეზიის საგალობელია, პოეზიის ქებათა ქებაა ეს ლექსი. შეიძლებოდა მას სხვა სათაურიც მისცემოდა: „ჰიმნი პოეზიას“.

მგოსნის კალამი, ჩვეულებრივისაგან განსხვავებით, „ოქროს წყალშია ნაბანი, შიგ გულად ჩასმულ თვლებითა.,. თილისმურ ძალით გონების და გრძნობის ამაღლებითა“ („ჩემს კალამს“). პოეტური მუზა „უცნაური ძალით“ გამოცხადებული „უცხო სტუმარია“ („ჩემს მუზას“), ხოლო პოეტი — „ციურის ნიჭით გზნობილი“ („ალბომში“), ამქვეყნად „განგებით მოვლენილი“ სულმნათი, მესაიდუმლე ერისა. „სულმნათო, — მიმართავს აკაკი რუსთაველის აჩრდილს, — შენ ნიშნად უკვდავებისა ერს მოვლენიხარ განგებით, ვით ცისარტყელა წარღვნისა უცნაურისა ჰანგებით“ („რუსთაველის სურათზე“), ხოლო სხვა ლექსში პირველი პირით საუბრობს: „მამად მზე მყავს, დედად — მთვარე, ვარსკვლავები — წვრილ და-ძმადა“ („გამოცანა“). ეს ნიშნავს, რომ ჭეშმარიტი შემოქმედი ჩვეულებრივ მოკვდავთაგან განსხვავებული არსებაა. პოეტის არსებაში ორი ძალა (გონება და გრძნობა) მუდამ იბრძვის, ამიტომ გვეჩვენებიან მგოსნები დაუდგრომლებად. მაგრამ პოეტებს აქვთ „დრო ხან-და-ხან, როდესაც მათი თავი და გული ერთმანეთს უთანხმდებიან, მაშინ ისინი ემსგავსებიან მაღალს ზეგარდმო ჩაგონებულ-ქმნილებაებს და მაშინ კი, დიახ უტყუარად მიგვაჩნია მათი სიმღერა“. ამრიგად, პოეტის „მოქმედებაში ორგვარობა იხატება“, ის ხან დაუდგრომელია, ხან — ზეგარდმო ჩაგონებული. ვფიქრობთ, ესაა ნათქვამი „პოეტშიც“: „ხან უგნური ვარ, ხან ბრძენი“.

პოეტი არის „საიდუმლო მადლით“ მოსილი (ტ. 13, გვ. 433), ღმერთის მიერ „უმანკო ქნარით“ დაჯილდოებული რჩეული: უფალმა ღმერთმა „მოსეს მახვილად, არონის კვერთხად ხელთ მისცა რჩეულთ უმანკო ქნარი“ („მგოსანი“). ბევრგან, ძალიან ბევრგან აქვს აკაკის ნათქვამი, რომ პოეტურ ნიჭსა და ენას „ღმერთი— ბუნება აძლევს მხოლოდ მისგან რჩეულებს“. ან კიდევ: „მისთვის მომცა ღმერთმა ენა“.,. და სხვა. ერთი გამოჩენილი საზოგადო მოღვაწის მისამართით ამბობდა აკაკი: „შენებრ რჩეულებს ათასში ერთხელ ზეცა უგზავნის მიწას იმედად, ვით უდაბნოში გზადაბნეულებს, გზის მაჩვენებლად და ნათლის სვეტად“ (შდრ. „მეც ა მნიშნავს...“).

მსგავსი თვალსაზრისი თანმიმდევრულადაა ვატარებული ა. წერეთლის როგორც მხატვრულ, ისე კრიტიკულ-პუბლიცისტურ ნაწერებში, მაგრამ საილუსტრაციოდ, ვფიქრობთ, ზემოდმოტანილი მაგალითებიც საკმარისია.

როგორც ვხედავთ, აკაკი წერეთლის შეხედულება ამ საკითხზე ისეთივეა, როგორც ი. ჭავჭავაძისა (ძნელი შესამჩნევი არაა, რომ შეხედულებათა ეს მსგავსება ზოგჯერ ამ დიდ სამოციანელთა გამონათქვამების ფრაზეოლოგიურ დამთხვევამდეც კი მიდის).

ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, რომ ასეთი მრწამსი აკაკის მხოლოდ გვიან, ხანდაზმულობის პერიოდში ჰქონდა, ხოლო ადრე, „ახალგაზრდობაში.., ი. ჭავჭავაძეზე უფრო რადიკალურ აზრს ადგა აღნიშნული საკითხის გადაწყვეტისას“.

ყოვლად შეუძლებელია ამ მოსაზრების გაზიარება. ამას აშკარად ეწინააღმდეგება, კატეგორიულად გამორიცხავს საქმის ფაქტიური მხარე. ჩვენს მიერ ზემოდამოწმებული ლექსების და სტატიების მეტი წილი ქრონოლოგიურად გაცილებით ადრეა შექმნილი (სახელდობრ: „ჩემს მუზას“ — 1868 წ., „ნადული“ — 1870 წ., „ქებათა-ქება“ — 1882 წ., „რუსთაველის სურათზე“ — 1882 წ. „სიტყვა გრიგოლ ორბელიანის დასაფლავებაზე“ — 1883 წ., „გამოცა-

ნა“ — 1885 წ.), ხოლო აკაკის ვითომდა უფრო რადიკალიზმის მაჩვენებელი ნაწერები — პირიქით, მოგვიანო პერიოდში (სახელდობრ: „პოეტი“ — 1886 წ., „ნადუღი“ — 1913 წ.).

ასე რომ, შეხედულებათა რამე ევოლუციასთან აქ საქმე არა გვაქვს. როგორც ახალგაზრდობის, ისე ხანდაზმულობის წლებში აღნიშნულ პრობლემატურ საკითხზე ა. წერეთელი ერთ გარკვეულ თვალსაზრისს ატარებს. ცხადია, ამ თვალსაზრისში აბსოლუტურად არაფერია დეკადენტურ-მისტიკური. როგორც ზევითაც გვაქვს ნათქვამი, ი. ჭავჭავაძის მსგავსად, აკაკიც ხაზს უსვამს მხოლოდ პოეზიის სპეციფიკურ ბუნებას, მის „ზეგარდმო“ მოვლინებასა და „საიდუმლოებას“.

აკაკი წერეთელი „ზეგარდმო“ მადლით მოსილ ნამდვილ შემოქმედს მკვეთრად განასხვავებს იმ „მწერლუკაებისაგან“, რომლებიც, მოკლებული არიან რა შთაგონება-ალმაფრენას, მხოლოდ სხვების მიმბაძველებად გვევლინებიან. „წერა ყველას შეუძლია, მაგრამ ნამდვილი შემოქმედებითი მწერლობა კი არა! — შენიშნავს აკაკი, — ნამდვილი მწერალი, ანუ მხატვარი, ბუნებისაგან არის მოწოდებული და თვით ისევე უდგა სათავეში!“ თუ მგოსანს ხელს არ უწყობს „საკუთარი შემოქმედებითი ძალა“, მაშინ ის უნებურად რომელიმე დიდ თანამოკალმეს ბაძავს. მაგალითად, აღორძინების ეპოქის ქართველი პოეტები „ისე ბრმათ გატაცებული იყვნენ რუსთაველისაგან, ისე ძლიერათ დამონებული, რომ ვეღარც კი წარმოუდგენიათ, თუ კიდევ შეიძლებოდა სხვა გვარი ლექსის წერა, თუ არა თექვსმეტ მარცვლოვან და ოთხ ტაეპიან შაირისა. მიდიოდენ რუსთაველისაგან ერთხელვე გათელილ გზაზე, უდგენ კვალში, მაგრამ იმოდენი ფეხმარჯვეობა არა ჰქონდათ და მათი მსვლელობა, შედარებით რუსთველის მსვლელობასთან, კოჭლობა იყო“.

ნამდვილ შემოქმედსა და „კაჭკაჭურ მიმბაძველს“ (აკაკის სიტყვებია) შორის ისეთი განსხვავებაა, როგორიც ნამდვილი ბულბულის გალობისა და „ხელოვნური“ ბულბულის (ბულბულის მსგავსად მომღერალი ბავშვის სათამაშოს) ხმა შორის (ლექსი „მწუხრი“); მაგრამ ეს განსხვავება (ნიჭიერ და უნიჭო ხელოვანს შორის არსებული), ა. წერეთლის აზრით, „ისე ნათლად არსად ჩანს, როგორც სცენაზე, სადაც ხშირად წამხედურა-მსახიობი იმავე როლს თამაშობს, რომელსაც შემოქმედების ძალით აღჭურვილი“. თუ ეს უკანასკნელნი „თვითონ ჰქმნიან როლებს, სულს უდგამენ... სხვები კი ამათ მხოლოდ ბაძავენ“. ასე რომ, „მიმბაძველობა ნიშანია ხშირად უნიჭობისა“ (ტ. 14, გვ. 41). კიდევ უფრო დიდი უბედურებაა, თუ მწერალი „სხვის სიტყვებს უგულოდ იძახის, როგორც შოშია“. ასეთი მჯღაბნელები, რომლებიც, სამწუხაროდ, ძალიან მომრავლდნენ, ისე გვანან ნამდვილ მწერლებს, „როგორც ლომს და ვეფხვს გოშია“ (1893 წელს დაწერილი უსათაურო ლექსი).

ა. წერეთლის მტკიცებით, მხოლოდ რუსთაველის მსგავს დიდ შემოქმედთ, ნამდვილ პოეტებს ესმით ის „საიდუმლო ჟღერისა“, რომელიც ლექსის მკეთებელ „ვითომდა პოეტებისთვის“ სრულიად მიუწვდომელია. ამ უკანასკნელთა ნაწერებში ერთი შეხედვით, გარეგნულად ყველაფერი რიგზეა, „კითხულობ ლექსებს და მოგწონს: აქ ენაც კარგია, ლექსთა წყობაც და აზრიც. გრძნობაც არის და გონებაც. ჰხედავ, რომ დამწერი ჭკვიანიც არის და ნიჭიერიც! მაგრამ პოეტი კი არ არის!... აკლია ის საიდუმლოება, რომელიც დამწერსა და წამკითხველს შუა საიდუმლოდ გადაჯაჭვულია“. ე. ი. გარდა საყოველთაოდ ცნობილი წესებისა, „ლექსს აქვს თავის კანონები და თავისი საიდუმლო“ („მოლექსე“), რომლის გაგების გარეშე ნაწარმოები ვერ მიდის მკითხველის გულამდე, ვერ აღაფრთოვანებს, ვერ მოხიბლავს ადამიანს. „მაგრამ ლექსი რა ლექსია, თუ რომ გულს არ დაესობა?“ („მოლექსე“). სულ სხვაა ნამდვილი და ნიჭიერი მწერალი, იგი „ძალაუნებურად, თავის თავად, გზას იკვლევს მკითხველის გულისაკენ და გულის ფიცარზე დაუვიწყარი ასოებით ებეჭდება“.

მკითხველთა გულისაკენ ასე ძალდაუტანებლად, ტრიუმფით იკვლევდა გზას ა. წერეთლის პოეტური სიტყვაც და ამიტომაც ჰქონდა ამ სიტყვას უდიდესი ზემოქმედებითი ძალა ფართო საზოგადოებაზე. ცნობილი ქართველი სამოციანელი ნ. ნიკოლაძე ამბობდა: „რასაც მე, სერგეი მესხი თუ გიორგი წერეთელი გრძელგრძელი წერილებით ძლივს გამოვთქვამდით, ანდა ზოგჯერ სულაც ვერ გამოვთქვამდით იმდროინდელ ცენზურის პირობებში, იმას აკაკის ჩანგი „ერთი სიმის ჩამოკვრით“ ააძგერებდა და აანთებდა ხალხის გულში“.6

ახლა რამდენიმე სიტყვა, კერძოდ, პოეტური ზეშთაგონების შესახებ. აკაკის ნაწერებიდან ჩვენს მიერ დამოწმებული ადგილები თუმცა გასაგებს ხდის, მაგრამ აქ მაინც საჭიროდ მივაჩნია უფრო სრულად გავეცნოთ დიდი მგოსნის შეხედულებას „ზეგარდმო“ შთაგონებაზე. პოეტური ზეშთაგონების „საიდუმლოება“ ყოველთვის იპყრობდა ხელოვნების პრობლემებით დაინტერესებულ პირთა ყურადღებას. პოეტები და კრიტიკოსები (და არა მარტო ესენი) ბევრს მსჯელობდნენ მასზე, მაგრამ ადგილი ჰქონდა აზრთა სხვადასხვაობას. ა. წერეთელს, ისე როგორც მის უფროს თანამოკალმეს ი. ჭავჭავაძეს, ამ საკითხშიც სავსებით სწორი პოზიციები ეჭირათ. აკაკი, ერთი მხრივ, თანმიმდევრულად იბ-

6 „ლიტერატურის მატიანე“, 3-4, რუსუდან ნიკოლაძის მოგონება, გვ. 111.

რძოდა იმათ წინააღმდეგ, ვინც ამცირებდა ანდა მთლიანად უარყოფდა პოეტური ზეშთაგონების მნიშვნელობას შემოქმედებით პროცესში, მეორე მხრივ, იგი ასეთივე შეურიგებლობით ამხილებდა იმ ადამიანებს, რომლებიც „ზეგარდმო" შთაგონებას აშკარად გადაჭარბებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, აცხადებდნენ რა მას პოეტური შემოქმედების ერთადერთ განმსაზღვრელად. „სიტყვას" „ზეგარდმო შთაგონებას", — წერს აკაკი, — დაცინებითი მნიშვნელობა აქვს მიცემული ზოგიერთებისაგან, მაგრამ, რადგანაც მე არ ვეკუთვნი მათ რიცხვს, ამის გამო უნდა მოგახსენოთ, თუ როგორ მესმის მე ეს ზეგარდმო შთაგონება და რა მნიშვნელობას ვაძლევ საზოგადოდ მას". ქვემოთ ა. წერეთელი იძლევა „ზეგარდმო შთაგონების" ისეთ განმარტებას, რომელიც კატეგორიულად გამორიცხავს ყოველგვარ იდეალისტურ-რელიგიურ თვალსაზრისს ამ საკითხზე: „როდესაც პოეტი შეუდგება რომელიმე საგნის ხელოვნებით გამოხატვას, მაშინ მისი გონება ექვემდებარება მხოლოდ იმ ერთს მხატვრობის საგანს, არის მისგან გატაცებული და იმ დროს პოეტის ფიქრები სხვა რამეებზედ ჩვეულებრივად აღარ გადადიან; ის ერთი საგანია მხოლოდ მაშინ მისი გულისთქმა, მისი სურვილი, გარეშე ფიქრები ველარ ეხებიან მღელვარე გულს და აღშფოთებულ სულს, თითქმის უნებურ-გრძნობით განმსჭვალული პოეტი, მხოლოდ თვის მხატვრობაში, თვის ქმნილებაში ჰხედავს თვის ჯოჯოხეთს და თვის სასუფეველსაც"...

როგორც ვხედავთ, შემოქმედებითი პროცესი ა. წერეთლის მიერ აქ არსებითად მატერიალისტურადაა ახსნილი. და არა მარტო აქ, არამედ აკაკის კრიტიკულ-პუბლიცისტურ და მხატვრულ მემკვიდრეობაში მსგავსი თვალსაზრისი, საერთოდ, თანმიმდევრულადაა გატარებული. „ზეგარდმო შთაგონება" ღმერთის წყალობა როდია, იგი ადამიანის ისეთი განსაკუთრებული უნარია, რომელსაც მუდამ სჭირდება სწავლითა და შრომისმოყვარეობით ხელის შეწყობა, გაზრდა და განვითარება. „ზოგიერთებს გაუგონიათ, — წერს აკაკი, — რომ მწერლისათვის ზეგარდმო შთაგონებაა საჭირო, და ის კი აღარ იციან, რომ იმასაც კიბე ეჭირვება მაღლით ჩამოსასვლელად და ეს კიბე არის, ნიჭს გარდა, სწავლა, ცოდნა და შრომისმოყვარეობა".

საგანგებოდ ეხება აკაკი სახელდობრ ნიჭისა და სწავლის ურთიერთ ზეგავლენის საკითხს და აკეთებს საყურადღებო დასკვნებს. მისი აზრით, მარტო სწავლა-მეცადინეობითა და შრომისმოყვარეობით ხელოვანი (პოეტი იქნება ის თუ მხატვარი, მსახიობი თუ მუსიკოსი) დაფნის გვირგვინს ვერ დაიდგამს, ისე როგორც არც მარტო ბუნებრივი ნიჭით წავა შორს. საუკეთესო შემთხვევა ისაა, როდესაც ნიჭი და შრომისმოყვარეობა ერთმანეთს მხარში უდგანან და, ასე ვთქვათ, ერთმანეთს ავსებენ. „რა არის ნიჭი, თუ კაცი ხელს არ შეუწყობს და შრომას მოერიდება?", — კითხულობს აკაკი და იქვე თვითონვე პასუხობს: „მართალია, მარტო შრომით, თუ სულ უნიჭოა კაცი, ბევრს ვერას გაარიგებს, მაგრამ პატარა ნიჭის პატრონს კი შეუძლია გაადიდოს მისი ნიჭი, გაზარდოს და ანაყოფიეროს". ა. წერეთელი მრავალგზის დაჟინებით იმეორებს და აფრთხილებს ყველას, განსაკუთრებით ახალგაზრდებს, რომ „ნიჭი, უსაზრდოოდ დარჩენილი, ნელ-ნელა ჰკნება", რომ „განუვითარებელი ნიჭი — ფრთაშეკვეცილი შევარდენია, რომელიც მაღლა ველარ ჰფრენს და დაბლა სიარულსაც ვერ ახერხებს. როგორც ყვავილი უცვარნამოთ, ისე ნიჭი უსულიერ-საზრდოდ სჭკნება და ნაყოფი ველარ მოაქვს".

მოკლედ, აკაკის აზრით, მწერლისათვის პირველ რიგში აუცილებელია ბუნებრივი (თანდაყოლილი) ნიჭი, სწავლა-განათლება და მშობლიური ენის კარგი ცოდნა. მაგრამ ეს სრულებითაც არაა საკმარისი, საჭიროა აგრეთვე სხვა მონაცემები: მაღალი მოქალაქეობრივი გრძნობა, პრინციპულობა და სხვა (რაზედაც ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი). საერთოდ, კითხვაზე, თუ „რა ეჭირვება მწერალს?" აკაკი შემდეგ პასუხს იძლევა: „1. უნდა ნიჭი ჰქონდეს; 2. დრო და ჟამის შესაფერათ უნდა იყოს ნასწავლი და განვითარებული; 3. უნდა შესწავლილი ჰქონდეს ის ენა, რომელზედაც აპირებს წერას; 4. გულწრფელი უნდა იყოს... თავის თავს ისე უნდა უყურებდეს, როგორც მოციქულსა და ქვეყნის მოძღვარს: უშიშარი უნდა იყოს, შეუპოვარი, მტერ-მოყვრობის გადაუყოლელი, რასაც ხალხს ეუბნება, ის უნდა გულისწმინდით იყოს ნათქვამი, ისე როგორც აღსარებაა ქრისტეს წინაშე, პირადობა შესწიროს საზოგადოს და მზათ იყოს, რომ გაჭირვება და უსამართლობა აიტანოს ხოლმე".

მოტანილი ამონაწერი ამ წერილის დასკვნაცაა, ვინაიდან აქ, მართალია, მოკლედ, მაგრამ საკმაოდ რელიეფურადაა ჩამოყალიბებული აკაკი წერეთლის თვალსაზრისი პოეტის როლისა და დანიშნულების შესახებ. როგორც ვნახეთ, ა. წერეთელს 60-იანი წლების იდეური პოზიციებიდან აქვს გაშუქებული შემოქმედისა და სინამდვილის ურთიერთობის პრობლემა, მწერლის მოვალეობის საკითხი სამშობლოსა და ხალხის წინაშე და სხვა. ყველაფერი ეს კიდევ უფრო სრულყოფს ჩვენს წარმოდგენას აკაკი წერეთელზე, როგორც რეალიზმის დიდ თეორეტიკოსზე და სახელოვან სამოციანელზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი ციციშვილი

# მგოსანი სრულიად საქართველოისა

ერთ ძველის-ძველ ქართულ ნუსხას, ასეთივე ძველი მინაწერი ახლავს. ამ მინაწერში — და იგი არ წარმოადგენს მარტოოდენ ფრთიან სიტყვას, — ნათქვამია: „რამდენი მუჭა ხორბალიც დასაბამიდან აქამომდე საქართველოში დათესილა, ორი იმდენი ხელჩართული ბრძოლა აქვს ქართველობას გადახდილიო“.

ხელჩართულ ბრძოლაში კი, ხმლის პირველი მოქნევა ჩვენს წინაპრებს საბედისწეროდ მიაჩნდათ. ამიტომ იყო, რომ ხმლის პირველ შემოქნევას, ისევე როგორც პირველ ხნულს, პირველ სვეს, პირველ კვალს, პირველ კვერს, რაღაც სასწაულმოქმედ ძალას მიაწერდნენ.

ძველი ქართველი მწერლები, რომლებიც ამავე დროს უშიშარი მეომარნიც იყვნენ, თხზულების სათაურსა და თხზულების პირველ სტრიქონს ხმლის პირველ შემოქნევას ადარებდნენ.

მათ მსგავსად, ლექსთან ჭიდილი გიორგი ლეონიძესაც სამკვდრო-სასიცოცხლო ორთაბრძოლად მიაჩნდა, ხოლო სათაურსა და პირველ ბწკარს ხმლის პირველ შემოქნევას უწოდებდა. ეტყობა ამიტომაც დააკავშირა მან თავისი ზეშთაგონებული პოეზიის დედაძარღვი თავისივე მუქნათელი ლექსების ზოგად სახელთან:

მშობელ მიწაში მიდგას ფესვები,
როგორც წყალში დგას წნორის ძირები,
სიცოცხლეს ვერვის დავესესხები,
თუ სამშობლოსგან გავიწირები.
გულის ნათელი მე მიპოვნია,
ქართლის დიდების მე ვარ მნახველი,
სამშობლო — ჩემო გულის ფეთქვაა,
სამშობლო — ჩემი ლექსის სახელი.

სამშობლო მარად იყო ყოველი მამულიშვილის უზეშთაესი სანატრიონი. მას ყველა მგოსანი უმღეროდა, და დაე, ნურასოდეს ნუ შემწყდარიყოს სულის ამამაღლებელი და კაცურიკაცობის შთამაგონებელი ეს გალობა. მაგრამ ლეონიძისეული ლირიკული აღსარებები მაინც გამოირჩევა სხივოსნობით, ელვარებით, ძარღვიანობით, გულშიჩაწვდომის რაღაც განსაკუთრებული უნარით. ლეონიძის პატრიოტული ლექსალური ნიმუშები მთიდან გადმომსკდარი ნიაღვარივით ეხლება კაცის გულს:

მე ჩავისუნთქე შენი მზის სიტკბო,
დე, გულის ოქრო დამიბადაგოს,
დე, მან დაფერფლოს, გული დადაგოს,
თავისუფლების დროშის ქადაგო,
ახალო ქართლო, მიწავ ქართლისა,
ჩემო დიდებავ სანიადაგო!

ჭეშმარიტი პოეზია მხოლოდ გულის ქურაში იჭედება, მხოლოდ გულის ცეცხლში იწრთობა. გიორგი ლეონიძემ, დიახაც რომ უზარმაზარი ღვთიური ძალა გაიღო, უამრავი გულის ცეცხლი დახარჯა ქართველი ხალხის პოეტური პროფილის გამოსაკვეთად. ტყუილად როდი ამბობდა იგი: „დავხარჯე გულის ზოდები, ვწვი ოცნებათა ზვინებიო“; მისი უპირველესი ოცნებაც ლოცვასა ჰგავდა:

მიცოცხლოს იგი, რასაც ველოცე,
ხანგით და გულით რასაც ვფერობდიო.

როგორ ეხმიანება ლეონიძის ეს სტრიქონები მისი დიდი წინამორბედისა და პოეტური ნათლიის, ვაჟა-ფშაველას, გრძნეულ სიტყვებს:

ხარს ვგევარ ნაიალაღარს,
რქით მიწასა ვჩხვერ, ვბუბუნებ:
ღმერთო, სამშობლო· მიცოცხლე,
მძინარეც ამას ვდუდუნებ.

ლეონიძის პოეზიაზე ვაჟას გავლენის კვალი, შემთხვევითი არ არის. ვაჟა-ფშაველა იყო პირველი, ვინც შეამჩნია გიორგის პოეტური პოტენცია და ჯერ კიდევ 1912 წელს ლექსი უძღვნა ჭაბუკ გოგლას:

სიჭაბუკის დროს პირველად,
როს ვახილებდი თვალებსა
და ვუცქეროდი მტირალი
სამშობლოს განაწამებსა —
ვეძებდი აქეთ-იქითა,
ქვეყნის დამხმარე ძალებსა,
არვინ უჩანდა დამხმარეთ
ამ ჩვენს დაჩაგრულ მხარესა.
დღეს, ვხედავ, გაჰმრავლებიან
მშობელ ქვეყანას შვილები;
მტერს არ მისცემენ სათელად
თავის სამშობლოს გმირები
მირჩება წყლული გულისა,
ვყურდები ანატირები.

ლეონიძისეულმა ოპტიმიზმმა, ცხოვრების მძაფრმა ჟინმა, მისმა მებრძოლმა ბუნებამ მხნეობა შეჰმატა დიდ მგოსანს და მომავლის სიხარული განაცდევინა. დიდი ვაჟას ეს სიტყვები ეროვნული მწერლობის ახალი ძალების სასაპარეზოდ დალოცვას მოასწავებდა. გიორგისათვის კი მათ პოეტურ და მამულიშვილური ატესტატის მნიშვნელობა ჰქონდათ.

გიორგი ლეონიძემ ღრმად შეისისხლხორცა და ორგანულად შეიწოვა კლასიკური ეროვნული ლიტერატურის, განსაკუთრებით მისი უბრწყინვალესი ოსტატების — შოთა რუსთაველის, თეიმურაზ პირველის, არჩილის, ვახტანგის, საბა ორბელიანის, დავით გურამიშვილის, ბესიკ გაბაშვილის მდიდარი მემკვიდრეობა. ტყუილად კი არ იყო იგი ძველი ქართული მწერლობის უდიდესი მცოდნე, მისი უნიჭიერესი მკვლევარი. მან, როგორც გამოჩენილმა მეცნიერმა-ლიტერატურათმცოდნემ, ძველი ქართული კულტურის კვლევას ფასდაუდებელი ამაგი დასდო.

XIX საუკუნის მწერლობის გამოჩენილ მოღვაწეებთან, განსაკუთრებით, ილიასთან, აკაკისთან, ვაჟასთან — გიორგის ანათესავებს პატრიოტიზმის მაღალი გრძნობა, რომელიც თავიდანვე სვებედნიერად დაენათლა მის შემოქმედებას და მთელი ლეონიძისეული პოეზიის გვირგვინად იქცა, მის ნამდვილ ჯავარს წარმოადგენს, ამიტომ ვპოულობთ ამდენ ოქროს მის მწყაზარ ლექსებში, ამიტომაც უყვარს მას სიტყვები — ოქროცურვილი, ოქრონაფერი, ოქროვარაყოსანი, ოქროში მოლივლივე, მოოქროილი. და მთელი ეს სახეები სამშობლოს მიუძღვნა:

პირველ მოწყვეტილ იების დღიდან
მე ვარ ერთგული შენი მსახური;
შენი თაფლი და მარილი მზრდიდა,
მზე შენ დამწერე და გაზაფხული;
შენ, უკვდავი რძით დამაძუძურე,
შხეფი ნათლისა სულში დასძარი,
ჩემი დროშა ხარ მოიერიშე,
ჩემი ვენახი, ჩემი ტაძარი.

ამ ზემძლავრი გრძნობითვეა დანაღმული ლეონიძის უშესანიშნავესი პოემები — „ფორთოხალა“, „სამგორი“, „კახური განთიადები“, „ნუშნარა“, „რატომ არის საქართველო ლამაზი და მდიდარი“, „ბავშვობა და ყრმობა“, რომელთაც მთელი ეპოქა შექმნეს ქართული ეპიკური პოეზიის განვითარებაში.

სიტყვამ მოიტანა და დავძენ, რომ პოემა „ბავშვობა და ყრმობა“, ეს საოცარი შთაგონებისა და პოეტური ალმაფრენის ნაწარმოები, უპირველესყოვლისა, და უმთავრესად ქართველი ხალხის ისტორიული ცხოვრების ასახვას ემსახურება, ხალხის შრომისა და ბრძოლის სურათს წარმოადგენს და ამიტომ არ უნდა გავაიგივეოთ სახოტბო პოეზიის იმ მაამებლურ ნიმუშებთან, რომლებიც გარკვეულ პერიოდში იწერებოდა.

ამ პოემათა ჭეშმარიტმა ხალხურობამ, მხატვრულმა სიმკვეთრემ, შინაგანმა მღელვარებამ, ლირიზმმა და ფერადოვანმა მოზაიკურობამ პოეტის პროზაშიც გადაინაცვლა და მოგვევლინა მოთხრობების მართლაც სანატრელ წიგნად, „ნატვრის ხედ“, პოეტიზირებული პროზის ბრწყინვალე ნიმუშად.

ლეონიძის პოეზიის ერთ-ერთ მთავარ ნიშანდობლივობას ღრმა ეროვნულობა წარმოადგენს. გიორგი ეროვნული პოეტური ფორმის ნამდვილი ჯადოქარია. მართალია, ყოველი ხალხის პოეზია ეროვნულ სახეს ატარებს და ყოველი პოეტი მეტნაკლებად ეროვნულობის ბეჭდით არის დატვიფრული, მაგრამ ყველა პოეტს როდი მოსდგამს ეს ზეგარდმო მადლი. ზოგიერთის ეროვნულობა ნაციონალური ენით იფარგლება, ხოლო ხასიათის ადამიანური შინაბუნების სხვა მხარეები მკაფიო ეროვნულობით არ გამოირჩევა. გადათარგმნი ასეთ პოეტს სხვა ენაზე და მისი ეროვნულობისაგან აღარაფერი გრჩება.

ასეთი პოეტები ეროვნული ხალხური ნიადაგიდან არ არიან ამოზრდილნი. ამიტომ ეროვნული ენა მათთვის მხოლოდ გარესამოსია, ფორმის ნეიტრალური კომპონენტია.

გიორგი ლეონიძისათვის, ისევე როგორც სხვა გამოჩენილი ქართველი პოეტებისათვის,

მშობლიური ენა გარესამოსი კი არ არის, ამერიკელ კომპარატივისტების მსგავსად, არამედ ეროვნული ბუნების გამოვლენა, უდიადესი ეროვნული და სააზროვნო ფენომენი.

გიორგი ლეონიძის პოეზია ამ მხრივაც სანიმუშოა. იგი მარტოოდენ ეროვნული ენით როდი იფარგლება. ამ პოეზიაში ეროვნულია შთაგონების წყაროც და შესხმის საგანიც, აზრიც და იდეაც, ფორმაც და შინაარსიც, ყოველი დეტალი და ყოველი ბანგი.

ლეონიძისათვის ენა, უპირველესყოვლისა, მშობელი ხალხის გულში შესაღწევი საშუალებაა, ხალხის ნაციონალური სპეციფიკის გახსნის იარაღია, ყოვლად აუცილებელი, რათა ჩასწვდე ხალხის წარსულს, განჭვრიტო მისი აწმყო, შეიცნო მისი მომავალი.

გიორგიმ კარგად იცოდა, რომ თანამედროვე საბჭოური მსოფლმხედველობის საფუძველზე მართებულად გაგებული და სწორად გააზრებული ეროვნულობა, სოციალისტური კულტურის აუცილებელი მხარეა, ნაციონალური ფორმის მყარი საფუძველია.

ღრმად აღქმული და შესისხლხორცებული ეროვნული სპეციფიკის წყალობით გიორგის ლექსებში მკაფიოდ ცნაურდება ქართველი კაცის მჩქეფარე ტემპერამენტი, მისი ცხოველი მგზნებარება, დაუოკებელი ძალა, მათრობელა ოცნება, შიმშილი სიყვარულისა, სიმაღლე აღმაფრენისა, დანაღმულობა გულისა:

გახელებული ხარი ვარ,
გეშს ვიღებ ნიავქარზედა,
მაჩვენეთ ჩემი ოცნება,
რქა ზედ მივაფშვნა რქაზედა!
სულ მივამტვრიო, მივლეწო,
გულში რაც გადაირაზა,
შევყვირებ,
როგორც ირმები
ჰყვირიან ყარაიასა!

მაგრამ გულთმისანმა გოგლამ ისიც კარგად იცოდა, რომ ჩვენს დროში, — გიგანტურ რევოლუციურ გარდაქმნათა დროში და სოციალისტური აღმშენებლობის ეპოქაში, როცა ხალხთა ძმობა ჩვენი სოციალური და პოლიტიკური სისტემის საფუძველს წარმოადგენს, — მხოლოდ ეროვნული გრძნობის ამარა ვერც ერთი მწერალი ფონს ვერ გავა, მოქალაქეობრივ ვალს ვერ მოიხდის, ხალხის მეგზურად და სულიერ მესვეურად ვერ გამოდგება.

ამიტომაც ქადაგებდა გიორგი ლეონიძე ხალხებს შორის ძმურ თანამშრომლობას, ამიტომ იყო დაჯერებული ინტერნაციონალისტი, ჭეშმარიტი საბჭოთა პატრიოტი, აქტიური მოქალაქე და სოციალისტური იდეალებისათვის მგზნებარე მებრძოლი.

მას არაერთხელ უთქვამს:

„შენს ხალხს რომ სხვა ხალხი შეაძულო, ეს არც თუ ძნელი საქმეაო. გაცილებით უფრო ძნელია შენს ხალხს, სხვა ხალხი შეაყვარო, ხოლო იმას კი შენი ერიო. მწერლების ამოცანა კი სწორედ ეს არისო“.

მისი სიყვარული სამშობლო ქვეყნისადმი არასოდეს არ გადაზრდილა ნაციონალური განსაკუთრებულობის ამპარტავნულ გრძნობაში, არ ჩაკეტილა ვიწრო ეროვნულ ნაჭუჭში. იგი იყო ხალხზე შეყვარებული მოღვაწე, რევოლუციური სწრაფვის ადამიანი, ღრმად დაჯერებული კომუნისტურ სიმართლეში.

მამულიშვილობა ოდნავადაც არ უშლიდა ხელს საკაცობრიო იდეალებისადმი, ზოგადადამიანური მიზნებისა და განცდების გამოხატვაში. ყოველივე ამასთან ერთად იგი იყო უაღრესად თვითმყოფი და საოცრად კოლორიტული შემოქმედი. მისი პოეზიის უჩვეულო სურნელი მართლაც განუმეორებელია. ტყუილად კი არ ამბობდა: „მე არც ფრანგების ვარ ნაყმევარი, არც წიგნის მტვრიდან ფეთქვა მსმენიაო“. იგი, როგორც სამშობლოს ჩუქურთმის მჭრელი, მხოლოდ და მხოლოდ ქართულ ჩუქურთმას ჭრიდა.

გიორგი ლეონიძის ბობოქარი ბუნება, მისი უნაპირო ტემპერამენტი, გოლიათური ძალა, მწველი მგზნებარება — მის ლექსებს ხან გრიგალთან აძმობილებდა, ხანაც იმ პოეტურ მეწყერს ემსგავსებოდა, ტიციან ტაბიძეს ლექსის გვირგვინად რომ მიაჩნდა. წამლეკი ტალღის ძალა გოგლას არა ერთ ლექსს მოსდგამს.

ყურღანებიდან გნოლი აფრინდა,
ყაბარდოს ველი გადაიარა.
ისევ აღვსდექი!
მუხრანის ბოლოს
ჩასაფრებული ვსინჯავ იარაღს!
...ხოხბობას გნახე,
მიწურვილ იყო
როცა ზაფხული რუსთაველისა...
ნეტამც ბადაგი არ დამელია
და იმ დღეს ხმალი არ ამელესა!
ტრამალ და ტრამალ გამოგკიდევნე,
შემოვამტვერე გზები ტრიალი,
მცხეთის ვუმტვრიე საკეტურები,
ვლეწე ტაძრები კელაპტრიანი!
მაგრამ თვითონაც დაილეწება,
დაბადებულა ვინც კი ყიჩალად,
მუზარადიან შენს ქმარს შემოვხვდი,
თავი შუაზე გადამიჩეხა!
მოდი, მომხვიე ხელი ჭრილობას,
ვეღარა გხედავ, სისხლით ვიცლები
როგორც სამროხე ქვამს ოხშივარი
ქართლის ხეობებს ასდით ნისლები.
მოდი!
გეძახი ათას წლის მერე,
დამნაცრის ელვამ შენი ტანისა,
ვარდის ფურცლობის ნიშანი არი-
და დრო ახალი პაემანისა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ ლექსში გულგადაღეღილი პოეტი მოჩანს — დამწიფებული სიცოცხლისა და უნაპირო სიყვარულის მეხოტბე. მაგრამ ამ ლექსში მოჩანს არა მარტო გულსაყოლილი ქართველი მამაკაცის ჭაბუკური ვნებანი (ყოველ ასაკს რომ იმორჩილებს და სადავეს რომ გტაცებს, რათა უსაზღვრო ტრამალებზე გაგაქროლოს), არამედ ის დაგუბებული სევდა და ტკივილებიც გარდასულმა საუკუნეებმა რომ გადმოულოცეს ჩვენს ეპოქას. სწორედ ამ ტკივილებზე მიუთითებდა პოეტი „ნინოწმინდის ღამეში“.

ნინოწმინდა... ჩვენ როგორც ხაზარები...
ოჰ, იმ ღამეს როგორ აგვაბრიალა
საქართველოს ლექსის მეხანძრენი
ძმობამ, ცრემლმა, იმ პატარა იარამ!

გიორგის უყვარდა ეს ლექსი და ხშირადაც კითხულობდა თავისი ბოხი, ოდნავჩახლეჩილი, ბუბუნა ხმით. როცა ბოლო სტრიქონს მიადგებოდა, მრავალმნიშვნელოვნად გაიმეორებდა: „იმ პატარა იარამ“, თუმცა ყველამ უამისოდაც კარგად იცოდა, რომ ეს „პატარა იარა“ იყო სატკივარი მარაბდისა და სისხლი კრწანისისა, ელდა ბაზალეთისა და სევდა მუღანლოს ველისა, ტკივილი მტრისგან მიტაცებულ ქართული მიწაწყლისა, გლოვის ზარი თავისუფლებისათვის დაღუპულ ქართველი მებრძოლებისა.

ეს „პატარა იარა“ გიორგი ლეონიძეს ღია ჭრილობასავით მუდამ თან დაჰქონდა; პოეტს ცალი ფეხი რომ მომავალში ჰქონდა გადაბიჯებული, მეორე წარსულში ედგა და როგორც, საკუთარი სხეულის რომელიმე ნაკვთს, ისე გრძნობდა წარსულის ყოველ წამს, მშობლიური მიწის ყოველ გოჯს.

ამიტომაც მოისმის მის პოეზიაში ასე ძალუმად მშრომელი ხალხის ვაება, მოჩანს მისი ხაუკუნოებრივი ჭირვარამი:

ჰეი, სად ხართ, თქვენმა გულმა
რომ ვერასდროს გაიხარა!
თქვენს დახეულ ქალამნებში
შავი მიწა ჩაიყარა!
თვალს ითხრიდით, გულს ითხრიდით,
სულ მზე გქონდათ საძებნელი,
დალალულნო, დალარულნო,
ვერ გაჰკაფეთ სახრით ბნელი!

პოეტს მოსვენებას არ აძლევდნენ წარსულის ბნელ მრუმეებში ჩანავლულ-ჩანაცრული ჩოხოსანი მხედრები და ლეჩაქოსანი დედაწულები, ოჯახისათვის თავგადამკვდარი ფორთოხალები, ნუშნარები, თოლიები, ის ქართველი დედები, დები და შვილები, რომელთა ბედიც არაჩვეულებრივი ძალით დაიტირა ლექსში „პატარა ქვაო პატარძეულში“ და პოემაში „ფორთოხალა“, ამ ჭეშმარიტ ჰიმნში ქართული კერიის გადამრჩენელი, ჩვენი ერის გადამრჩენელი — ქართველი ქალისადმი:

ათასი წლის მანძილიდან
შვილურ ალერსს გაგიბედავ,
საქართველოს დიდ ცხოვრებას
შენა ჰქმნიდი ტკბილო დედავ!
დიდ ვაჟკაცებს, დიდ ოსტატებს,
შენი კაბის კალთა ზრდიდა,
ვინც ეტრატზე სწერდა ქართულს,
ვინც ჩუქურთმას ქვაზე სჭრიდა.
მეშინოდა შენი ძვლები
დავიწყებამ არ გთელოს.
შენ ხომ ქოთანს უდუღებდი,
პურს უცხობდი საქართველოს!

გიორგი ლეონიძის ლექსებში მოჩანს არა მარტო წარსულის კალოსავით გალეწილი, ნატყვიარი და ნაწამები, მაგრამ უდრეკი და უტეხი საქართველო, არამედ საბჭოეთის დიდ ოჯახში მოქიაფე რესპუბლიკაც — მშენებელი და მხვნელ-მთესველი, მეტალურგი და მეჩაიე, მეშახტე და მევენახე, მკვდრეთით აღმდგარი და ახალი ეროვნული კულტურით გასხივოსნებული.

თუ სიჭაბუკეში გიორგი მესიანისტური იდეებით იყო გატაცებული, ახლა მან ქვეყნის მხსნელად ლენინური ერთობისა და ბორკილახსნილი შრომის ის ყოვლისშემძლე ძალა დასახა, რომელსაც ყველა გამარჯვებას უნდა ვუმადლოდეთ.

„დახედეთ თბილისს, ხრამსა და რუსთავს, როგორ ჩახჩახებს ქართლის ნათელი“, — აღტაცებით ამბობდა პოეტი და შემხაროდა, რომ „მზე მარჯნისფერად ისევ ბდღვრიალებს“.

გიორგი ლეონიძის სატრფიალო ლირიკამ ქართულ პოეზიას არაერთი მარგალიტი შესძინა. გასახსენებლად „თოლია“, „მე შენს სიყვარულს, ძვირფასო“ და „ნინო ჭავჭავაძესაც“ კმარა.

ლეონიძის ამაღლებული, რომანტიზებული, ახანძრებული სიყვარული მარტო ხორციელი ლტოლვა როდია (თუმცა არც ამას უარყოფს), მისი ტრფობა აღსავსეა იმ უბიწოებითა და კლდემამოსილებითაც, რომელიც ქართველ ხალხს უკვდავმა შოთა რუსთაველმა უანდერძა. სწორედ ასეთ სიყვარულს, განუყოფლად რომ მოიცავს სულიერსაც და ხორციელსაც, შესტრფოდა პოეტი. ასეთ სიყვარულს ხედავდა წარსულში და მასვე ქადაგებდა აწმყოში.

გიორგი ლეონიძე იყო არა მარტო დიდი პოეტი, არამედ განსაცვიფრებლად კოლორიტული პიროვნებაც. ეს ძალოვანი და გულოვანი მოღვაწე-შემოქმედი თავის თავში აერთიანებდა თითქოსდა შეუთავსებელ თვისებებს. ეს უნარი ყველაზე მეტად ვლინდებოდა წარსულისა და თანამედროვეობის მტკიცე შეკვრა-შეხამებაში. იგი იყო ტრფიალი საქართველოს იმდენადვე ბედკრული, რამდენადაც ბრწყინვალე ისტორიისა: — „მე ძველი სვლის მაჭრით ვარ მთვრალი, გულს ვივარაყებ ძველი ოცნებო-

თო“, მაგრამ, ამავე დროს, იყო კიდევ უფრო ერთგული დღევანდელისა და ხვალინდელისა:

მარტო ჩვენი დღე? — არა ხვალეშიც
მეტი გატანა უნდა ლელოსი,
მე შვილიშვილთა მბრწყინავ თვალებში
ვჭვრიტე დიდი მზე საქართველოსი.

გუშინდელი, დღევანდელი, ხვალინდელი — აი ის საგნობრივი ტრიადა, რომელიც ალამაზებდა პოეტის სულს, სძენდა მას აღმაფრენას, შთააგონებდა საპოეზიოდ.

გიორგი ლეონიძის მუზამ პოეზიის უმაღლესი მწვერვალები დალაშქრა. მაგრამ ამ მწვერვალებზე ასვლა უშუალოდ წინამორბედებმა გაუადვილეს, იმათ, ვინც XX საუკუნის პირველ ორ ათეულში ქართული ლექსის რეფორმაცია ჩაატარეს: გალაკტიონ ტაბიძემ, იოსებ გრიშაშვილმა, სანდრო შანშიაშვილმა, ალექსანდრე აბაშელმა; გიორგი ლეონიძის შემოქმედებით ევოლუციაზე კეთილისმყოფელი გავლენა იქონიეს მისმა თანატოლმა თუ თანამედროვე ქართველმა პოეტებმაც. და ეს სავსებით ბუნებრივი და კანონზომიერი პროცესია: პოეტთა ურთიერთზემოქმედების გარეშე, ე. წ. პოეტური კონტამინაციის გარეშე პოეტური კულტურა ვერ განვითარდება.

გიორგის უყვარდა ერთი უცნაური ამბის გახსენება. 1920 წლის გაზაფხულზე, იგი და მისი მეგობრები: ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი და სანდრო შანშიაშვილი აღდგომა დილით ლიტანიობიდან ბრუნდებოდნენ. სიონიდან ანჩისხატის ქუჩით წამოსულნი, ნიკოლოზ ბარათაშვილის სახლს რომ გაუსწორდნენ, გოგლამ და პაოლომ ღია ფანჯარაში ჩასძახეს: — ტატო, ქრისტე აღსდგა! და მოზდა სასწაული: ფანჯარას ჩიხტაკოპიანი მანდილოსანი მოადგა და გაოცებულ „ცისფერყანწელებს“ მოუბოდიშა: — ტატო სახლში არ გახლავთ, ეს-ეს არის მეგობრებმა გამოუარეს და თან გაიყოლიესო..

ყველა შეცბა. რას წარმოიდგენდნენ, რომ ბარათაანთ სახლში ახლა თურმე უკვე სხვა ტატო ცხოვრობდა!

ტიციანი მუხლებზე დაეცა, მიწას მუშტები დაუშინა.

როცა გიორგი ამ ამბავს მოგვითხრობდა, ღელავდა, თვალები უფართოვდებოდა და ერთთავად გაიძახოდა: — ასე გაიბა ძაფი და „აღდგნენ კავშირნი“ გუშინდელსა და დღევანდელს შორისო!...

გრძნეული სიტყვებია — კავშირი დღევანდელობასა და წარსულს შორის! გიორგი ლეონიძემ მთელი თავისი დაუღგრომელი სიცოცხლე ამ კავშირის დამყარებას, მის განმტკიცებას შეალია, და თუ ქართველი საზოგადოებრიობის გულსა და გონებაში ეს კავშირი დღესაც ცოცხლობს და კვლავაც იცოცხლებს, ამას ჩვენს სახელოვან მწერლებს, და მათ შორის ერთ-ერთ პირველს გიორგი ლეონიძეს უნდა ვუმადლოდეთ.

მშობლიური კუთხის სიყვარული არ არის კუთხურობა. კუთხურობა იქ იწყება, სადაც შენი პატარა ბუდის სიყვარული ყოველივე სხვას გავიწყებს, და როცა მის სასიკეთოდ, ნებსით თუ უნებლიედ, დანარჩენ კუთხეებს ამცირებ ან აზარალებ. გიორგის თავდავიწყებით უყვარდა კახეთი.

გინახავს გომბორის მთიდან
დანაბინდარი შვენება?
გინახავს გადაშვინდული
ცისკრული ამონათება...
ალაზნის ველი ბრწყინვალე
ოქროს მზის ამოსახედი,
ვაზდაბურული სამშობლო,
ჩემი უკვდავი კახეთი.

მაგრამ ტრფობას კახეთისადმი თუ პატარძეულისადმი ერთი მისხლითაც არ შეუმცირებია მისი სიყვარული და ერთგულება დედასაქართველოსადმი. გიორგი ლეონიძე ზოგად ქართველის ნიმუში იყო და მას ერთნაირად აქვირფასებოდა, ერთნაირად ესახელებოდა სამშობლო ქვეყნის ყოველი კუთხე-კუნჭული. იგი იყო ქადაგი, პოეტი და ჭარისკაცი ერთიანი, მთლიანი და განუყოფელი საქართველოსი — „სრულიად საქართველოჲს“ — როგორც უყვარდა თქმა.

ქართველი ბრძენნი ამბობდნენ, რომ გამორჩეული პიროვნება მხოლოდ იგია, ვისაც ოთხი იმგვარი გასაღები მოეპოვება, რომლითაც ყველა ადამიანის გულის კლიტეს გახსნისო. ასეთ გასაღებებად მათ მიაჩნდათ: ბასრი გონება, შეუდრეკელი გული, ხალხისადმი ერთგულება და საქვეყნო ბედნიერების მარადი წადილი.

გიორგი ლეონიძე ოთხივე ამ გასაღებს ფლობდა და ამიტომაც შეაღწია მრავალზემრავალი ადამიანის გულში, ამიტომ დაიდო იქ ბინა, ამიტომ გარხადა თავისი პოეზიის მოზარკეებად. მან თავი შეაყვარა არა მარტო თავის ხალხს, არამედ მრავალი სხვა ერის შვილებსაც.

მას ჰქონდა განსაცვიფრებელი უნარი სხვა ხალხთა შვილების საქართველოსთან დაახლოვებისა, მათი გაერთგულებისა, საქართველოს სასიკეთოდ მათი დარაზმვისა და ამუშავებისა. „ყოველმა ხალხმა, — ამბობდა გიორგი — ვინც აფასებს თავის კულტურას, უნდა იზრუნოს ამისათვის, უნდა ვამრავლოთ ჩვენი ეროვნული საუნჯის მოერთგულენიო. ტყუილად როდი უთქვამს ჩვენს სულმნათს: „ვინც მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია“.

მე მქონდა ბედნიერება გიორგის სიცოცხლის უკანასკნელი ათი წლის მანძილზე თითქმის ყოველდღიურად შევხვედროდი მას ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორად მისი მუშაობის

პერიოდში. ვახლდი მას სხვა ქალაქებშიც — ყრილობებზე, დეკადებზე, კონფერენციებზე. თათბირებზე; ამის წყალობით გავხდი მოწმე გიორგი ლეონიძის ინტიმური თუ ოფიციალური შეხვედრებისა მრავალ გამოჩენილ პიროვნებასთან: შოლოხოვსა და ლეონოვთან, პასტერნაკსა და ტვარდოვსკისთან, ტიხონოვთან და შოსტაკოვიჩთან, ერენბურგსა და პაუსტოვსკისთან, ავეტიკ ისააკიანსა და მარტიროს სარიანთან, სამედ ვურღუნსა და მირზა იბრაგიმოვთან, გოროდეცკისა და სვეტლოვთან და მრავალ უცხოელ მწერალთან, ისეთ გამოჩენილ ლიტერატურათმცოდნეებთან, როგორიც იყვნენ აკადემიკოსები ა. ი. ბელეცკი, ვ. მ. ჟირმუნსკი, ნ. ი. კონრადი, ნ. კ. გუდზიი, გ. ბ. ხრაპჩენკო, ი. ი. ანისიმოვი, ბ. ლ. სუჩკოვი, ი. ნ. გოლენიშჩევ-კუტუზოვი, ირაკლი ანდრონიკოვი და სხვები.

გიორგის ფენომენალური ცოდნა მსოფლიო ლიტერატურისა, ხელოვნებისა, ისტორიისა, განსაკუთრებით რუსული ლიტერატურისა, კერძოდ, რუსული პოეზიისა, მათ დაუფარავ აღტაცებასა და გაოცებას იწვევდა.

ისედაც რიხიანი გოგლა კი ამ დროს კიდევ უფრო რიხიანი ხდებოდა და თავს ისე გრძნობდა, როგორც თევზი წყალში. ასეთ წუთებში იგი შთაგონებულ ბუმბერაზსა ჰგავდა. და არ შეიძლებოდა არ გეამაყა მისით...

სიცოცხლის ბოლო წლებში სულ უფრო ხშირად ესტუმრებოდა ხოლმე სევდა. გარდა ყველაფრისა, საოცრად წყინდა ქართველი კაცის ამაყი სახელის შელახვა, ქვენაგრძნობათა ატალღება, იმ დროისათვის ნიშნეული უკეთურობის მომრავლება. სიბერის კლანჭებიც თანდათან საგრძნობი ხდებოდა. აუხშირა თავისი საყვარელი სტრიქონების გახსენებას:

...ორმა გუნდმა კიდევაც
მდინარეში გასტოპა,
ჩქარა, თორემ წასულა
ჩემი ახალგაზრდობა!.

გიორგი ლეონიძე ჩვეულებრივი სიკვდილით არ მომკვდარა. იგი დაიწვა და დაიფერფლა საქართველოს სიყვარულში, ქართული მხატვრული სიტყვის სიყვარულში.

მასზე ზედგამოჭრილია ის ბწკარები, რომელიც მან თავის სათაყვანებელ მწერალს, უდიდეს ქართველ პროზაიკოსს, მიხეილ ჯავახიშვილს უძღვნა: „შენ საქართველოს ტრფობა იცოდი... გიყვარდა განა? — არა, იწვოდი". ასე დაიწვა ჩვენი დაუვიწყარი გოგლაც, მაგრამ მარად იცოცხლებს გიორგი ლეონიძის დიდი სახელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შალვა მარკოზაშვილი

# სად და როდის დაიბეჭდა ლეონიძის პირველი ლექსი

ქართული ჟურნალისტიკის ისტორიაში ერთ-ერთი საპატიო ადგილი უჭირავს ცნობილ მწერალს, პედაგოგსა და საზოგადო მოღვაწეს ივანე პავლეს ძე როსტომაშვილს, რომელიც თავდადებული, უანგარო შრომით ხელს უწყობდა მშრომელ ხალხში მეცნიერული ცოდნის გავრცელებას, ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის გაძლიერებას.

ფრიად თვალსაჩინოა ივ. როსტომაშვილის დამსახურება ქართული კულტურის წინაშე, იგი იყო ჟურნალ „მოგზაურის", გაზეთ „სინათლის", „სკოლისა და ოჯახის" რედაქტორი და გამომცემელი. მან დიდი შრომა მოახმარა ქართულ-რუსული ენციკლოპედიური ლექსიკონის გამოცემას, გამოაქვეყნა „ქართული ანბანი", დაწერა ნაშრომი „პედაგოგიკა და ფსიქოლოგია", მასვე ეკუთვნის არითმეტიკისა და ბუნებისმეტყველების სახელმძღვანელოები. არ დარჩენილა ჩვენს ლიტერატურასა და კულტურულ ცხოვრებაში ისეთი კუთხე, რომ მისი შორსმჭვრეტელი თვალი არ მისწვდომოდა. სწორედ ამიტომ ჩვენი ერის დიდმა მოჭირნახულემ ილია ქავჭავაძემ ივანეს შრომა ფუტკრის შრომას შეადარა, ივანეს სიყვარულით „ჩვენი ფუტკარი" უწოდა.

1910 წელს ივანე როსტომაშვილმა ახალი გაზეთის გამოცემის ნებართვა ითხოვა. მალე თანხმობაც მიიღო. 1910 წლის 30 დეკემბერს გამოვიდა ამ გაზეთის პირველი ნომერი. მოწინავე წერილში, რომელიც გამოქვეყნებული იყო „რ" ინიციალის ხელმოწერით, აღნიშნული იყო:

„დღეიდან ჩვენი გაზეთების რიცხვს კიდევ ერთი ემატება; სახელი ამ ახალი გაზეთისა არის „სინათლე". ჩვენ ტყუილად არ ავირჩიეთ ეს სახელი... სადღეისოდ, უპირველეს პირობად ჩვენი წინსვლისა და აღორძინებისათვის, ჩვენ მიგვაჩნია „სინათლე" გაზეთის გამოცემა. ეს იმიტომ, რომ ჩვენ გვეძლევა საშუალება მოვფინოთ სინათლე ქველა იმ უტყუარ პირობებსა, რომელიც დიდი ხანია აღიარებულია მეცნიერებისაგან ჭეშმარიტ საფუძვლად, მაგრამ რომელზედაც, სამწუხაროდ, ან არავითარი წარმოდგენა არა აქვს ჩვენს ხალხსა, ან თუ აქვს, მეტად ბუნდოვანი... გაზეთი გვინდა უმთავრესად ხალხის საუკეთესო შვილების ნააზრევის ხალხშივე გასავრცელებლად, მეტადრე მის ახალ ცხოვრება-მოქმედების შესახებ. ასე გვესმის ჩვენ გაზეთის დანიშნულება და „ზინათლეც" მთელი ძალღონით ეცდება მის განხორციელებას".[1]

იქვე, მეორე უსათაური წერილში ვკითხულობთ:

„...ჩვენს მიზანს შესრულებულად ჩავთვლით, თუ მასში კულტურული მოძრაობა გამოვიწვიეთ, სინათლე მოვფინეთ ჩვენი დანთებული ჩირაღდნით".

თავიდანვე განსაზღვრული იყო, რომ გაზეთის ღირებულება კაპიკი უნდა ყოფილიყო. ამასთან დაკავშირებით რედაქტორი მკითხველებს აუწყებდა: ჩვენს ქვეყანაში ეს პირველი მაგალითია, ასე იაფად გამოეცეს ვისმეს გაზეთი და

---

1 გაზ. „სინათლე", 1910 წ. № 1.

ისიც ყოველდღიურადო. რედაქცია იქვე მოუწოდებს ხალხს, რომ გამოეწერათ გაზეთი „სინათლე“.

ივანე რედაქტორ-გამომცემლის ყოველდღიურ დამქანცველ შრომას არ გაურბოდა, ჩვეულებრივი ხალისით საქმიანობდა რედაქციაში, მაგრამ გაზეთის ფასი სრულიად ვერ ფარავდა მისი გამოშვებით გაწეულ ხარჯს და რედაქტორი იძულებული ხდებოდა ოჯახიდან წაეღო ფული. იგი მუდამ მზად იყო თუნდაც ეშიმშილა, ოღონდ ხალხისათვის მიეწოდებინა სულიერი საზრდო.

ივ. როსტომაშვილის ქალიშვილი, ანასტასია როსტომაშვილი-ახმეტელი იგონებს:

„მახსოვს 1911 წლის ერთ მშვენიერ დღეს, როცა გაზეთ „სინათლის“ მორიგი ნომერი უნდა გამოსულიყო და უკვე ხანდაზმული მამა რედაქციისაკენ მიიჩქაროდა, დედაჩემმა შეაჩერა და შეახსენა:

— ვანო, გეთაყვა, დღეს ბავშვებისათვის პურის ფული არა გვაქვს.

დაფიქრებულმა მამამ ღრმად ამოისუნთქა, მერე ჯიბეში ჩაიყო ხელი, მუჭით კაპიკიანები ამოიღო, გაუწოდა დედას და უთხრა:

— აჰა. ლიზავ, აიღე ფული, მაგრამ დღეს გაზეთი კი ველარ გამოვა...

— ოჰ, არა, არა, წაიღე ეგ ფული, ოღონდ გაზეთი გამოვიდეს, ჩვენ იქნება როგორმე იოლად გავიდეთ“.2

ივ. როსტომაშვილმა გაზეთის რედაქციის ირგვლივ შემოიკრიბა იმ დროის ცნობილი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები, მათ შორის, გიორგი ქუჩიშვილი. ლეო ქიაჩელი, ნოე ჩხიკვაძე. ზაქარია ჭიჭინაძე, იოსებ იმედაშვილი, იპოლიტე ვართაგავა და სხვ.

რედაქტორს გაზეთის გამოცემა-გავრცელების საქმეში აქტიურად ეხმარებოდნენ ოჯახის წევრებიც. შრომისმოყვარე, მცოდნე და გულისხმიერი მეუღლე ელისაბედ ჩოლოყაშვილი ივანეს მხარში ედგა, რედაქტორთან ერთად დიდი ყურადღებით ეცნობოდა საგაზეთო მასალებს. ხშირად საქმიან რჩევას აძლევდა ქმარს. ივანეს უფროსი შვილები — დავითი და ბარბარე გულდასმით კითხულობდნენ წერილებს, ცდილობდნენ გაზეთის ფურცლებზე მეტი ადგილი დაეთმობოდა თავისუფლებისათვის მებრძოლი ახალგაზრდების ცხოვრებას. გაზეთის გავრცელების საქმეში მამას განსაკუთრებით ხელს უწყობდა უმცროსი ქალიშვილი ტასო, რომელსაც ივანე თავის საიმედო თანაშემწედ თვლიდა. იმისათვის, რომ გაზეთს არსებობა შეენარჩუნებინა, მისი ღირებულება გაიზარდა და გახდა ორკაპიკიანი.

გაზეთ „სინათლეში“ გამოქვეყნებულ ლექსების ნაწილს აკლდა ლიტერატურული დახვეწა, მაგრამ მათი შინაარსი ნათლად გამოხატავდა ავტორთა გულწრფელ სწრაფვას თავისუფლებისა და ნათელი მომავლისაკენ. ლექსში „ჩემი ნატვრა“ ნათქვამი იყო: „ნეტავ იმ კაცს, ვინც სიცოცხლეს მოძმეთათვის არ დაზოგავს“; მეორე ავტორი ასევე კაცთმოყვარულ იდეალებს ქადაგებდა და ასე მიმართავდა გაზეთ „სინათლეს“: გვინათე, ჩვენო სანთელო, გვინათე, ნულარ გაჰქრები... სადაც აქამდე გვინათე, კვლავაც გვინათე დღესავით, არ დავივიწყებთ შენს სახელს, გინდა გავთავდეთ შენსავით“; მესამე ავტორი წერდა: „სინათლევ, ჩემო იმედო, გასწმინდე ქვეყნის წყვდიადი, რომ დავინახოთ ნათელი მზის ბრწყინვალება დიადი“.3

„სინათლის“ ფურცლებზე ქვეყნდებოდა წერილები სამეცნიერო თემებზე, სოფლის მეურნეობასა და საყოფაცხოვრებო საკითხებზე, აქვე პერიოდულად იბეჭდებოდა წერილები ჩვენი მწერლების მუშაობის შესახებ, ახალი ამბები, გასართობები, ნარევი და სხვ.

გაზეთში ინტერესით იკითხებოდა დიდი რუსი მწერლის ლევ ტოლსტოის ნაწარმოებთა, უმთავრესად, პატარა წერილების თარგმანები.

უნდა აღინიშნოს, რომ გაზეთ „სინათლის“ ფურცელზე პირველად აიდგა ფეხი მომავალმა დიდმა ქართველმა პოეტმა გიორგი ლეონიძემ.

ათი თუ თერთმეტი წლის პატარა გოგლა გატაცებით კითხულობდა „სინათლის“ ახალ-ახალ ნომრებს, იზეპირებდა ლექსებს, უფროს მეგობრებთან ერთად დაიარებოდა გაზეთის რედაქციაში და ყურადღებით ისმენდა ტკბილმოუბარი რედაქტორის საქმიან საუბრებს. ცნობისმოყვარე და გონებამახვილი გოგლა ლეონიძე შვილივით შეიყვარა ივანემ. მას დიდად აკვირვებდა ბავშვის ჭკვიანური შეკითხვები, გულისხმიერება.

ერთ დღეს პატარა პოეტმა თავისი ნაწერები მოკრძალებით გაუწოდა რედაქტორს და გულისფანცქალით მოელოდა მის მსჯავრს.

ივ. როსტომაშვილმა დიდი ყურადღებით წაიკითხა ბავშვის ნაწერი, მოიწონა, გაულიმა ავტორს და შეპირდა, რომ გაზეთის უახლოეს ნომერში უსათუოდ გამოაქვეყნებდა. მართლაც, 1911 წლის ნომრებში (18, 20, 22) დაიბეჭდა გიორგი ლეონიძის მიერ რუსული ენიდან გულდასმით თარგმნილი მასალა „მკვდრის პასუხი“. შემდეგ კი იმავე გაზეთში გამოქვეყნდა გოგლას პირველი ლექსი „მცხეთა“. იგი ხუთსტროფიანია, აშკარად ეტყობა, რომ ახალბედა, ჩამოუყალიბებელი პოეტის ნაწერია; ავტორი ჯერ აღწერს მცხეთის მიდამოებს, უწოდებს ამ ქალაქს „ქართველი ერის მზეს“, შემდეგ ხა-

---

2 ტასო როსტომაშვილი-ახმეტელის მოგონება, ინახება ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახლ-მუზეუმში.

3 „სინათლე“, 1911 წ. № 18, 14, 20.

ტავს მტკვრის და არაგვის შეერთებას და ამბობს:

მტკვარი ტალღას სცემს არაგვსა,
არაგვი მოდის ჩქარადა,
ერთმანეთისთვის არიან
თოფ-იარაღად, ფარადა.

გოგლამ დიდად გაიხარა, როცა გაზეთ „სინათლეში“ იხილა დასტამბული თავისი ნაწერები, გახალისებულმა გადაწყვიტა, რომ კალმისათვის უფრო მარჯვედ მოეკიდა ხელი, მეტი ეწერა.

გ. ლეონიძის მიერ თარგმნილი „მკვდრის პასუხი“, რომელიც გამართული ქართული ენით არის დაწერილი, ინტერესით იკითხება და არა თუ წარსულში, ახლაც გაკვირვებას იწვევს, თუ როგორ შეძლო ბავშვმა რუსული ენიდან ასე კარგად თარგმნა.

„მკვდრის პასუხში“ რამზეს მეფის პასუხია შვილისადმი:

„...დაიწყო ომი. ტიროდნენ ცოლები და შვილები... გიქოსმა უთხრა მეფეს, მამაშენს ვკითხოთ, თუ ნებას მოგცემს, წადი, იომეო.

— მკვდრები არ ლაპარაკობენო, — უპასუხა მეფემ, მაგრამ მაინც წავიდეთო.

მეფე და გიქოსი ჩაეშვენ ქვესკნელის ტაძარში, სადაც ოქროს კუბოში იწვა დიდებული მეფე რამზესი, რომელიც სიცოცხლის დროს შიშის ზარს სცემდა ქვეყანას; გიქოსმა ახადა კუბოს სახურავი და თვალწინ წარმოუდგა მუმია, ჩაცმული ძვირფას ტანსაცმელში... იმ დროს დაინახეს ქაღალდი, რომელიც ხელში ეჭირა მუმიას (ეს ქაღალდი, რამზეს მეფის ბრძანებით, გიქოსმა თან ჩაატანა გარდაცვალების დროს), იქ ეწერა:

ოხ, ჩემო შვილო, ცოცხლები ხანდისხან ჰმალავენ სიმართლეს, მაგრამ შენ შეგიძლიან გაიგო იგი მკვდართა ბაგეთაგან, აქციე ნეტარ მხარედ ის ქვეყანა, სადაც შენ დაიბადე, არ გამოხვიდე შენი სამეფოდან, არ დაღვარო სისხლი. რამდენი სახელმწიფოც არ უნდა დაიპყრო, მაინც ჩამოხვალ ბოლოს აქ, სადაც მე ჩამოვედი და იქცევი ქვად, როგორც მე.

...მეფე მიუბრუნდა გიქოსსა და უთხრა, წადი ახლავე მემფისში, გადაეცი, რომ მე ვთხოვ ჩემს ჯარს, ომი საჭირო არ არის, წავიდნენ თავიანთ სახლებში და იმუშაონ თავიანთი ცოლშვილის სასარგებლოდო“.

„მცხეთის“ დაბეჭდვის გამო მოწინააღმდეგეებმა აუგად მოიხსენიეს „სინათლის“ რედაქტორი, ივანემაც არ დააყოვნა პასუხი. მან გაზეთ „სინათლეში“ შემდეგი სტრიქონები გამოაქვეყნა:

„გაგონილი ექნება მკითხველს, რაც არის ფშუტურა. ფშუტურა რომელიმე ცხოველის ან ფრინველის მთლიანი ტყავია, გამოტენილი ბზით, ჩვრით, ბამბით თუ მატყლით. შეხედავ, ცხოველი თუ ფრინველი გეგონება, მაგრამ რა წამსაც კარგად დააცქერდები, ნახავ, რომ იგი ფშუტურაა, ხელოვნურად გაკეთებული ნაგებობაა ამა თუ იმ ცხოველისა. სწორედ ასეთი ფშუტურები ბრძანდებიან „ახალი საქმისა“ და „ეშმაკის მათრახის“ სულისჩამდგმელნი, შეხედავ, მათი ნაწერები წერილი გგონია, მაგრამ რა წამსაც დააკვირდება, წაიკითხავ, ნახავ, რომ სრული ფშუტურებია, ისე ვერა ნახავ მათში აზრსა. სიმართლეზე ხომ ნულარას იტყვით, რასაც სხვებს პრესის გათახსირებას უკიჟინებენ, სწორედ ის არის. „ხე ნაყოფით იცნობაო“, ნათქვამია, სად არის ნაყოფი თქვენის შაურიანის თუ ორშაურიანის გაზეთისა?“ შემდეგ ივ. როსტომაშვილი ეხება გ. ლეონიძის მიერ თარგმნილ „მკვდრის პასუხს“ და უმატებს: მისი ავტორი ისეთი გამოვა, რომ თქვენ იმისი ღირსი არ იქნებით, თასმა შეუკრათ ქალამანზეო.

პოეტი გიორგი ლეონიძე იგონებდა:

„...როცა ჩემი ლექსი „მცხეთა“ გაზეთ „სინათლეში“ დაიბეჭდა, უსაზღვრო სიხარულს განვიცდიდი, გაზეთის ის ნომერი დიდხანს ჯიბით დამქონდა და სიამოვნებით ვუკითხავდი მეგობრებს.

როგორც ცნობილია, „სინათლეში“ ჩემი ლექსის გამოქვეყნების გამო ივ. როსტომაშვილს მოწინააღმდეგეებმა მკაცრად უსაყვედურეს, ეს უსუსური ლექსი გაზეთში რა დასაბეჭდი იყოო. მართალია, რედაქტორმა საკადრისი პასუხი გასცა მათ, მაგრამ კარგა ხანს ძია ვანოსთან შეხვედრას ვერ ვბედავდი, მეხათრებოდა და ვწუხდი, ჩემი ლექსის გამო რატომ გალანძღეს-მეთქი.

ერთ დღეს „სინათლის“ რედაქტორს შემთხვევით ქუჩაში შევხვდი. მან ჩვეულებრივ ახლობლურად მომიკითხა და თან შენიშვნაც მომცა, რატომ ჩვენსა აღარ მოდიხარო. მე საპასუხოდ ვერაფერი ვკადრე და მოკრძალებით თავი ჩავღუნე. ძია ვანომ თავზე ხელი შემახო და ღიმილით მითხრა: ვიცი რატომაც გერიდება ჩემთან მოსვლა და ეგ ნუ გაწუხებსო. მისმა ნათქვამმა გამამხნევა და კვლავ განვაახლე მასთან სიარული“.[5]

რეაქციის საშინელ პირობებში „სინათლე“ გაბედულად ქადაგებდა მოწინავე იდეებს, მოუწოდებდა მშრომელებს თავისუფლებისათვის საბრძოლველად.

**1911** წლის „სინათლის“ ერთ-ერთ ნომერში ივ. როსტომაშვილმა მოათავსა მეთაური წერილი სათაურით: „ერთობა ღვთაებაა, პატივ ეცით მას“. ივ. როსტომაშვილის ამ გაბედულმა წერილმა ჟანდარმერიის თვალსხმა გამოიწვია. ივანე დააპატიმრეს და მეტეხის ციხეში მოა-

---

4 გაზ. „სინათლე“, 1911 წ., № 61.

5 გ. ლეონიძის მოგონება ივ. როსტომაშვილზე, ინახება ილ. ჭავჭავაძის საგურამოს სახლ-მუზეუმში.

თავხეს, შემდეგ გაასამართლეს, ჩამოართვეს ყველა უფლება და მიუსაჯეს ხამუდამო ციმბირში გადასახლება. ასე გაუსწორეს ანგარიში გულმართალ ადამიანს, რომელიც დღენიადაგ მშრომელი ხალხის განათლებისა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის იღვწოდა.

თბილისში მცხოვრები გავლენიანი ინჟინერი ზავრიევი გაზეთ „სინათლის" რედაქტორის დაპატიმრებამ ისე აღაშფოთა, რომ მეფისნაცვალს დაბეჯითებით თხოვა: დაუყოვნებლივ მოხსენით ბორკილები და გაათავისუფლეთ როსტომაშვილი, თორემ მთელი ქალაქი აგიჯანყდებათო.

ერთ დღეს, როცა პატიმარი ივანე თოფმომარჯვებულმა პოლიციელებმა გოლოვინის პროსპექტზე გაატარეს და ნაცნობ-მეგობრები ცრემლიანი თვალებით აცილებდნენ მას, მოულოდნელად ერთმა ქართველმა ოფიცერმა გაარღვია ხალხის რკალი და მთელი ძალით იყვირა: — ხალხო, შეხედეთ რა უქნიათ ამ მხეცებს, ბატკანივით უწყინარი ჩვენი მასწავლებელი დაუჭერიათო. ამ სიტყვებთან ერთად სასწრაფოდ იშიშვლა ხმალი და გაიწია პატიმრის გამოსახსნელად, მაგრამ პოლიციელებმა არ მიუშვეს.

იოსებ იმედაშვილი თავისი მეგობრის, ივ. როსტომაშვილის პატიმრობას ასე იგონებს:

„ციხეში შემოყვანილი ივანე მეორე თუ მესამე დღეს თავისი თხოვნისამებრ ჩემს საკანში გადმოიყვანეს (მტკვრის ნაპირას, ფრიალო კლდეზე, ძველი ციხის მეორე სართულის მე-11 ოთახში). ციხეში არც ერთ წუთს უქმად არ ჰკარგავდა... კითხულობდა, წერდა... აქ დაწერილი ერთი წიგნაკი რუსულად გამოსცა კიდეც. ამ დროს იგი 60 წლისა იყო, მაგრამ ხალისიანობით 20-25 წლის ენერგიულ ჭაბუკს მოგაგონებდათ. პატიმართა შორის იშვიათი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა.[6]

დატრიალდნენ ნათესავები და ნაცნობ-მეგობრები, ეძებდნენ საშუალებას, რომ ეხსნათ ივანე ციმბირის საშინელებისაგან, მაგრამ, სამწუხაროდ, სასურველ მიზანს ვერ მიაღწიეს. შეშფოთებულმა მეუღლემ თავის მზითვის უკანასკნელი ნივთი — ძვირფასი ხალიჩა გაყიდა და პეტერბურგს გაემგზავრა. მან იქ ინახულა ქმრის საყვარელი ნამოწაფარი, იმ ხანად განთქმული ვექილი ლუარსაბ ანდრონიკაშვილი და პროფესორი ალექსანდრე ხახანაშვილი, მათი დახმარებით შეძლო პატიმარი ქმრის საქმის სენატამდე მიტანა.

სენატმა ივ. როსტომაშვილს შეუმსუბუქა სასჯელი, ციმბირში გადასახლების ნაცვლად სამშობლოში უნდა დარჩენილიყო და ერთი წელი ციხეში გაეტარებინა.

როგორც ცნობილია, ივ. როსტომაშვილის დაპატიმრების შემდეგ მისი საყვარელი ორგანო — გაზეთი „სინათლე" ერთხანს ცნობილი მწერლის სოფრომ მგალობლიშვილის ხელმძღვანელობით გამოდიოდა, მაგრამ მთავრობის მოხელეები მტრული თვალით უყურებდნენ და დახურვით ემუქრებოდნენ, მალე სიბნელის მოყვარულებმა მიზანს მიაღწიეს — „სინათლე" გააუქმეს.

ივ. როსტომაშვილი აღტაცებით შეეგება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას.

**1924** წლის ზაფხულში ლოგინზე მიჯაჭვული მძიმე ავადმყოფის — ივანე როსტომაშვილის სანახავად ყოველდღიურად მიდიოდნენ მისი ახლობლები და, როგორც კი შეეძლოთ, ანუგეშებდნენ მას. გიორგი ლეონიძესთან უკანასკნელად შეხვედრის დროს დიდად გაიხარა ავადმყოფმა, გაიხსენა გაზეთ „სინათლეში" გოგლას პირველი ლექსი „მცხეთა", მასზე ატეხილი დავა და მერე დასძინა: აი, ხომ გამართლდა ჩემი მოლოდინი, გიორგი ლეონიძე ახლა საქართველოში ცნობილი პოეტიაო.

იმავე წლის 26 აგვისტოს ივანე როსტომაშვილი გარდაიცვალა.

---

6 საქართველოს სახალხო განათლების მუზეუმი: ი. იმედაშვილი — „ხალხის განმანათლებელი მებრძოლი პედაგოგი და მწიგნობარი ივანე პავლეს ძე როსტომაშვილი" ფონდი № 167.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტარიელ ჭანტურია... 

# სამი დღე ლეონიძის გვერდით

1957 წლის აპრილის ერთ დღეს ბინაზე დამირეკა გიორგი ლეონიძემ და მითხრა, ლაგოდეხში ჩემს ამომრჩევლებთან შესახვედრად მივდივარ და ხომ არ წამოხვალო. მან იცოდა, რომ მე იქაური ვარ და ერთად მგზავრობა ამიტომ შემომთავაზა. ჩემთვის ეს წინადადება დიდი პატივი იყო და მყისვე დავთანხმდი.

დანიშნულ დღესა და საათზე თბილისიდან ლაგოდეხში გავემგზავრეთ გიორგი ლეონიძე, მისი ძმისწული ნიკო (ახლა მეცნიერებათა დოქტორი და თბილისის უნივერსიტეტის პროფესორია), პოეტის მძღოლი თეიმურაზი (გვარი არ მახსოვს) და მე. გიორგის მაშინ ყავისფერი „პობედა" ემსახურებოდა და ჩვენ სწორედ ამ მანქანით წავედით.

ცხადია, სამდღიანი მოგზაურობისა და ერთად ყოფნის დროს ყველა ნათქვამსა და განცდილს დაწვრილებით ვერ ავწერ და არც არის ამისი აუცილებლობა. მაგრამ მგონია, რაც პოეტის ბუნებასა და მის მოქალაქეობრივ თვისებას წარმოაჩენს, მოვუთხრობ მკითხველს. გიორგი ლეონიძის მომავალ ბიოგრაფებსაც ეს ნაამბობი ეგებ რამეში გამოადგეს.

პოეტის თანამედროვეთათვის ცნობილია, გიორგი ლეონიძე იმდენად აღიარებული, ჭეშმარიტად სახალხო სიყვარულით გარემოსილი პიროვნება იყო, რომ საქართველოს ყველა ოჯახის კარი მისთვის მუდამ ღია იყო. მისი სტუმრობა ყველას ენატრებოდა. ლაგოდეხშიც მას დიდი სიყვარულითა და პატივისცემით მოელოდნენ. მე მაინც ჩემს დას თებროს დავურეკე, რომ ამ სახელოვან კაცთან ერთად მოვდივარ და ოჯახში თადარიგი დაიჭირე მეთქი. ის სიხარულით შეხვდა ამ ამბავს, და, მართლაც, მოწადინება არ დაუკლია, რომ პოეტს მისი ოჯახი ღირსეულად დახვედროდა.

ლაგოდეხში მიმავალმა კაცმა პატარძეულში უნდა გაიაროს. შევედით პატარძეულში და გიორგიმ მძღოლს უთხრა, შეუხვიეო. ისიც ადვილად მიხვდა, სადაც უნდა შეეხვია. მამისეულ სახლ-კარის წინ დადგა პოეტი და ჩვენც მის ზურგს უკან სულგანაბულნი ავიტუზეთ. იდგა მდუმარედ, გარინდებით და არ იძვროდა. ჩვენც ვიდექით. ერთხანს ასე გასტანა, მერე მკვეთრად მოტრიალდა, მოიბოდიშა და ეზოში შეგვიძღვა მასპინძლად. ავედით აივანზე, დავიარეთ ორივე ოთახი, გამოვედით და წამოვედით. მაშინ იქ სახლ-მუზეუმი არ არსებობდა, პოეტის მშობლიური სახლი თითქმის მიტოვებულს ჰგავდა, რადგან მასში არავინ ცხოვრობდა. მანქანაში ჩავსხედით და გზა განვაგრძეთ. სოფლის სასაფლაოს რომ გავუსწორდით, მძღოლს მანქანა შეაჩერებინა, გზის ნაპირზე გადავიდა და მეც გადმოსვლა მთხოვა. ხელი სასაფლაოსკენ გაიშვირა და შორიდან დამანახა ერთ საფლავზე დადებული მოზრდილი ქვა. მერე მითხრა:

— ტარიელ, აი იმ ქვის ქვეშ განისვენებს დედაჩემი!..

მდუმარედ ვიდექით, ვუყურებდით საფლავებს. მე თვალს ზოგჯერ პოეტისაკენ გავაპარებდი და მის თვალებში იმხელა სევდასა და მასთან შეზავებულ სინაზეს ვხედავდი, რომ კინაღამ ტირილი წამსკდა.

ამ მოგზაურობიდან სულ რამდენიმე კვირა გავიდა და ჩვენს ლიტერატურულ გაზეთში გამოქვეყნდა გიორგი ლეონიძის შესანიშნავი ლექსი „პატარძეულში ერთი ქვა არის", რომელიც ლირიკულ შედევრად შეიძლება ჩაითვალოს. ეს ლექსი რომ წავიკითხე, მივხვდი, რომ იგი სწორედ მაშინ იბადებოდა, როცა პოეტი თავისი დედის საფლავის ქვას მაჩვენებდა და იქ გარინდებით იდგა.

ლაგოდეხის რაიონის ხელმძღვანელობა პოეტს დიდი ამბით შეხვდა, მაგრამ ჩემმა დამ თავისი გაიტანა და ყველანი ოჯახში მიგვიწვია. სადილს ვახშამი გადაება. გიორგი ლეონიძე ენამზეობდა.

ლხინი ეზოში შედიოდა. აქ ერთი დეტალია საინტერესო. პოეტის საპატივცემლოდ მოწვეული იყო ერთი ხანში შესული ქალი, რომელსაც ქათქათა ლეჩაქი ეხურა და, ასაკის მიუხედავად, პეწიანად გამოიყურებოდა. მას ყველა მოკრძალებით ექცეოდა, განსაკუთრებით კი ჩვენი პოეტი, იმ ქალის სადღეგრძელო რომ ითქვა, ალინიშნა, რომ მას ათი შვილი აღუზრდია. ამაზე პოეტმა ყური ცქვიტა. მართლა ათი შვილი აღზარდეთ, დააოჯახეთ და დააბინავეთო? მანაც უპასუხა, მართლაო. ადგა პოეტი, სიტყვა მოითხოვა და საოცარი გზნებითა და შინაგანი რწმენით წარმოთქვა იმ ქალის სადღეგრძელო, დალოცა მისი შთამომავალნი და მისი სპეტაკი ლეჩაქი. ეს სიტყვა იმდენად შთამბეჭდავი გამოვიდა, რომ თანამეინახენი სულგანაბულნი ისმენდნენ, ბოლოს ტაშმა იგრიალა. მანდილოსანი დინჯად, ღირსებით იფერებდა პოეტის ქებას. მოგვიანებით, როცა ღვინომ თავისი ძალა და სიცელქე გამოამჟღავნა, გიორგი ლეონიძე სულ იმ ქალს შეჰფოფინებდა. ბოლოს შეზარხოშებულმა პოეტმა მას შეჰკადრა:

— ისე, ძალიან მოუსვენრები ყოფილხართ თქვენ და თქვენი ქმარი, ამდენი შვილი როგორ დააჩინეთ...

პოეტმა სიტყვა ითხოვა და ქართველი დედების სადღეგრძელო წარმოთქვა. განსაკუთრებით ილაპარაკა მრავალშვილიან დედებზე, რომლებსაც საქართველოს გაძლიერების ძალა შესწევთ; ისე დამაჯერებლად ლაპარაკობდა პოეტი, რომ იქ მყოფთაგან ბევრმა აღუთქვა მას, ათ-ათ შვილს ვიყოლიებთო.

მეორე დღეს სოფელ ბაისუბანში დანიშნული იყო ამომრჩეველთა შეხვედრა თავიანთ დეპუტატთან — გიორგი ლეონიძესთან. აქ თავი მოიყარეს არა მარტო ბაისუბნელებმა, არამედ მახლობელი სოფლების წარმომადგენლებმაც. სკოლის ეზო გაივსო. იყო მოლიმარი სახეები. მოკითხვა, სიცილი და სიხარული. სკოლის აივანზე პრეზიდიუმი მოთავსდა, ხალხი ეზოში იდგა და სიტყვებს იქიდან ისმენდა. ჭეშმარიტად ხალხი სიყვარული დახვედრეს პოეტს. რაიონის ხელმძღვანელების შემდეგ ხხვებმაც ილაპარაკეს. ბოლოს გიორგი ლეონიძე გამოვიდა. თავისი ბუხუნა ხმით, მზიანი თვალებით, დიდი გონებით პოეტმა ყველა მოხიბლა. ორატორის სიტყვა რამდენჯერმე გააწყვეტინეს ტაშით. ეს იყო მამულიშვილობის, სპეტაკი ზნეობის, შრომისმოყვარეობის, ერთგულების გრძნობების მქადაგებელი სიტყვა, წარსულისა და ღღევანდელობის მაგალითების მოხდენილი მოხმობით რომ იყო სავსე და ასე შთამაგონებლად არწმუნებდა მსმენელთ.

საღამოხანს სუფრასთან მიგვიწვიეს. წიქარიშვილების დიდი სახლი სტუმრებს ძლივს იტევდა. რაიონის ხელმძღვანელები, აქტივი, სოფლის ინტელიგენცია — ყველა აქ იყო. მკვიანი სიტყვა, სიმღერა, აზრთა გაცვლა-გამოცვლა ერთმანეთს ენაცვლებოდა. გიორგი ლეონიძე ყურადღების ცენტრში იდგა.

დილა რომ გათენდა, გიორგი ლეონიძემ თქვა, ახლა ყვარელში უნდა გავიდეთ, შემოდგომაზე ილია ჭავჭავაძის იუბილე ტარდება, მე საიუბილეო კომისიის წევრი ვარ და ყვარლის რაიკომის მდივანს უნდა შევხვდე, ბევრი რამ უნდა დავგეგმოთ საიუბილეოდო. ასეც მოვიქეცით. ბაისუბნიდან ყვარლამდე რა დიდი გზაა, რომ მალე არ მივსულიყავით. პირდაპირ რაიკომში მივედით და პირველ მდივანთან, ალიხან ავაზაშვილთან შევედით. პოეტს აქაც კრძალვითა და პატივით შეხვდნენ. ალიხანიც საიუბილეო კომისიის წევრი იყო, რადგან მომავალი იუბილე ყვარელშიც უნდა ჩატარებულიყო და აქ ჩასატარებელი ღონისძიებების მოფიქრება ყვარელშივე უნდა მომხდარიყო. გიორგი ლეონიძე ალიხანს ფაქტიურად კარნახობდა თავის აზრებს, ის კი იწერდა, როგორც დავალებას და შესასრულებლად იღებდა! ამ შეხვედრაზე ხელშესახებად ვიგრძენი, თუ როგორ აფასებდა გიორგი ლეონიძე ილიას, როგორ ეთაყვანებოდა მის სახელს და რა მოწადინებული იყო, რომ დიდი მამულიშვილის იუბილე წარმატებითა და მისი სახელის საკადრისად ჩატარებულიყო ღირსეულად.

ყვარელში დარჩენას არ ვაპირებდით, მაგრამ მასპინძლებმა რა არ მოიმოქმედეს, რომ ძვირფასი სტუმარი არ გაეშვათ, თავის გვერდით დიდხანს ყოლოდათ.

საღამოს ირაკლი ზაუტაშვილის ოჯახში თეთრი ქინძმარაული გვასვეს. ღვინო საუკეთესო, პირდაპირ ღვთაებრივი იყო. მასპინძელს დაგრეხილი ვაზებიც დავულოცეთ, ქვევრ-მარანიც და ჯალაბიც, დურუჯიცა და სრულიად საქართველოს მიწა-წყალიც. ვადღეგრძელეთ მისი მზეც და ზეცაც, ისტორიაც და წინაპრებიც, ახლანდელობა და გმირი მამულიშვილები... გავლაღდით, მოვილხინეთ და ყველანი იმ საღამოს პოეტებად ვიქეცით დიდი პოეტის გვერდით.

მომდევნო დღეს ყვარლიდან ველისციხეზე გამოვიარეთ, ბაკურციხისა და ბარჯისხევის გამოვლით თბილისისაკენ ვქენით პირი. მზისჩასვლისას პატარძეულში მოვედით და ისევ თავისი სახლისკენ გაგვიძღვა პოეტი. ბინდდებოდა. სახლი ჩაბნელებული და გაყუჩებული იდგა. პოეტი ისევ ფიქრმა წაიღო. ჩვენც მდუმარედ ვიდექით. გუმანით ვწვდებით მასპინძლის ფიქრებს. მერე ვიღაც შავკაბიანი დედაკაცი მოვიდა.

— გოგლავ, შენა ხარ: განა არა, შორიდანვე გიცანი და გადმოვედი. დამაცა, ლამფას ავანთებ, ახლავე, ახლავე ყველაფერს ვიღონებ, შენ არაფერზე ინაღვლო!..

პოეტი მიესალმა, მიეფერა ამ დათალხულ ქალს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აივანზე ავედით, ოთახში სინათლემ იფეთქა. შიგნით შევედით და ჩამოვსხედით. მერე მოხდა სასწაული: ეს მიყრუებული სახლი ისე გამოცოცხლდა, თითქოს დიდი ჯალაბით ყოფილიყოს სავსე და სასურველ სტუმრებს ხვდებოდნენ — ერთმა კაცმა ბატკანი მოიყვანა დასაკლავად ,მეორემ სავსე ტიკი შემოიტანა ოთახში, ზოგმა შოთიპურები, ზოგმა გუდის ყველი, მწვანილი და ზოგმა რა არ მოიტანა. თითქოს ვილაცამ დაუძახაო, თითქოს რაღაც ძალამ შეკრიბაო, კაცები და ქალები ემატებოდნენ პოეტის სახლს... გიორგი ლეონიძის სახეზე ყინული გალხვა, სახე და თვალები ნათლით აევსო, შუბლი გახსნა, მოილხინა და მოგვალხინა. სიყრმის მეგობრები ძველ ამბებს იგონებდნენ...

მაშინ დავრწმუნდი, თუ რა ძვირფასი და საყვარელი იყო პატარძეულელთათვის მათი გოგლა, რომელმაც არა მარტო ამ სოფელს, არამედ მთელ საქართველოს შორს გაუთქვა სახელი. მერე კი, როცა გიორგი ლეონიძის „ნატვრის ხე“ წავიკითხე, მივხვდი თუ როგორ უყვარდა პოეტს თავისი თანასოფლელები და რა სითბოს ატარებდა გულში მათ მიმართ. ეს მოთხრობები ხომ შესანიშნავი ძეგლია მათი უკვდავებისა. ვფიქრობ, ეს წიგნი სწორედ იმ საღამოს იბადებოდა.

სულით ამაღლებულნი და შთაბეჭდილებებით დატვირთულნი გვიან ღამით თბილისში დავბრუნდით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ემზარ კვიტაიშვილი

# ქართული ლექსი 1979 წელს

## („ლიტერატურული გაზეთი“, „მნათობი“)

ძველი თაობის რომელიმე პოეტის ბიოგრაფიას რომ გავცნობივართ, ხშირად წაგვიკითხავს ხოლმე ასეთი ფრაზა: საფუძვლიანმა კლასიკურმა განათლებამ დიდი როლი შეასრულა მისი პიროვნების საბოლოო ჩამოყალიბებასა და გემოვნების დახვეწაშიო. სამწუხაროდ, ჩვენ სწორედ ეს კლასიკური განათლება გვაკლია, უშუალოდ არა ვართ ნაზიარები კულტურის უდიდეს წყაროს, ურომლისოდაც ძნელია მოიშორო უკმარისობისა და არასრულყოფილების განცდა. კარგად ვიცი, სკოლებში ე. წ. „მკვდარი ენების“ — ბერძნულისა და ლათინურის შემოღება პრაქტიკულად შეუძლებელია, მაგრამ კლასიკური ფილოლოგიის სწავლებას უმაღლეს სასწავლებელშიც ფორმალური ხასიათი აქვს და ახალგაზრდა ლიტერატორი ზოგჯერ უნივერსიტეტს ისე ამთავრებს, ბერძნული ასოები აღარც ახსოვს. არადა, რამდენს კარგავს შემოქმედი კაცი, ვინც დედანში ვერ კითხულობს ჰომეროსსა და საფოს, ვერგილიუსსა და კატულუსს...

მართალია, რუსული (ნაწილობრივ ქართული) თარგმანები რამდენადმე ავსებენ ამ ხარვეზს, მაგრამ თარგმანი მაინც თარგმანია, მითუმეტეს პოეზიისა. ეს საკითხი, რა თქმა უნდა, პირდაპირ არ უკავშირდება წინამდებარე წერილის თემას, მაგრამ ჩვენი მწერლობის საერთო დონესთან მაინც გარკვეულ მიმართულებაშია და, ამდენად, ანგარიში უნდა გაეწიოს.

ერთი ფართოდ გავრცელებული სენის აღნიშვნაც საჭიროდ მიგვაჩნია — მეტისმეტად დაგვიქვეითდა უნარი საკუთარი ნამოღვაწარის კრიტიკულად შეფასებისა. ამან მოამრავლა პანეგირიკები, ათასნაირი აღმატებითი ხარისხით დახუნძლული ეპითეტები. კრიტერიუმის დაკარგვის, კრიტიკის ეპითეტის გაუგონარი გაუფასურების გამო, კრიტიკოსმა ჯანსულ ღვინჯილიამ თავის უაღრესად პრინციპულ წერილში „გაზვიადების ვნებათაღელვა“ — უკიდურესად მწვავედ დასვა საკითხი. ამის თაობაზე, უფრო ადრე, ჟურნალ „ცისკარში“ ასევე მწვავედ წერდა პოეტი მურმან ჯგუბურია. ბოლო დროს სულ უფრო აიმაღლეს ხმა კრიტიკისა და, საერთოდ, ლიტერატურის ბედით დაინტერესებულმა ჩვენმა მწერლებმა. ზოგჯერ იმედი მოგეცემა — ეგებ რაიმე ეშველოს საქმეს. ჯერჯერობით, საკუთარ ნაკლზე სიმართლის გაგონება დიდად არავის სიამოვნებს.

ვისაც რაიმე ღირებული არ შეუქმნია, იმაზე ლაპარაკი არც ღირს. ხდება ხოლმე: რომელიმე ჩვენი პირველხარისხოვანი ოსტატი შიგადაშიგ „ხელს წაიხდენს“ — ისეთ ნაჩქარევად დაწერილ და უფერულ ლექსებს გამოაქვეყნებს არაფრით რომ არ ეკადრება მის შემოქმედებას. ამისი შეფარვით, მორიდებულად თქმაც კი ჭირს, ისე გადავეჩვიეთ გულახდილ საუბარს.

კრიტიკის ასეთ მდგომარეობამდე მიყვანაში, მეტ-ნაკლებად, ყველა ჩვენგანს უდევს წილი. პირადად მე, სიყმაწვილეში, რომელიმე ფსევდო-პოეტის გასაბუქავად ნაირ-ნაირი ეპითეტები მიტრიალებია და პარალელებისათვის ბევრი ძვირფასი სახელი შემიწუხებია. მოწიფულობის დროსაც, რედაქციის თხოვნითა და ხათრით თუ საკუთარი ხასიათის გამო ზოგჯერ ისეთ რამეზე მოვმცდარვარ, სულაც არ იყო ჩემი საქმე.

მართალია, დღევანდელ ლიტერატურულ პროცესებში ძირფესვიანად გარკვევა და ამჟამად მოღვაწე ნამდვილი შემოქმედის ყოველმხრივი და უტყუარი შეფასება მერე ხდება, მომავლის საქმეა, მაგრამ აქ გასათვალისწინებელია ერთი უნიკალური, განუმეორებელი მომენ-

ტი — რა შთაბეჭდილებას ახდენს ესა თუ ის ნაწარმოები ავტორის ცოცხალ თანამედროვეზე.

ამ კუთხით კიდევ შეგვიძლია შევხედოთ დღევანდელ ქართულ პოეზიას, მაგრამ შეუცდომელ მსჯელობას ვერასგზით ვერ ვიკისრებ.

თავის დროზე მონტენი გაკვირვებული იყო: „უცნაური ამბავია, — წერდა იგი, — პოეტები უფრო ბევრი გვყავს, ვიდრე პოეზიის მცოდნენი და გამსჯელნი. მისი შექმნა უფრო იოლია, ვიდრე გაგება. ისეთ პოეზიაზე მსჯელობა, ჩვეულებრივ საშუალო დონეს რომ არ აჭარბებს, პოეტური ხელოვნების წესებისა და დანიშნულების მიხედვითაც შეიძლება. ხოლო მშვენიერი, გამორჩეული, ღვთაებრივი პოეზია კი — წესებსა და ჩვენს გონებაზე მაღლა დგას".

მე ასეთ დიდ ამოცანას ვერ დავისახავ მიზნად: შევეცდები გზადაგზა გამოვთქვა ჩემი შეხედულება გასული წლის „ლიტერატურულ გაზეთსა" და „მნათობში" გამოქვეყნებულ პოეზიაზე, ყველაფრის აღნუსხვა და გარჩევა აღემატება ჩემს ძალ-ღონეს და მკითხველთა მოთმინებასაც. ცხადია, სრულებითაც არ ვფიქრობ, რომ ყველა ნაწარმოები, რომელსაც მე არ შევეხები, მოკლებული იყოს მხატვრულ ღირსებას, თავისთავადობას.

ზოგადი შთაბეჭდილება, რასაც „ლიტერატურულ საქართველოში" დაბეჭდილი პოეზიისაგან ილებ, ის გახლავთ, რომ რედაქცია საკმაოდ ხელმომჭერილად, მკაცრი შერჩევით აქვეყნებს ლექსებს, რაც მცირე მოცულობის კვირეული გაზეთისათვის გამართლებული მეჩვენება. აქ თავმოყრილი მასალა ნამდვილად იძლევა საბაბს, დღევანდელ ქართულ პოეზიაზე სერიოზული მსჯელობა გაიმართოს. აღსანიშნავია, რომ ასეთ სიმჭიდროვეში მაინც მოზრდილი ადგილი აქვს დათმობილი ჩვენი ახალგაზრდობის შემოქმედებას, თუმცა მეჩვენება, რომ ამ შესაძლებლობას დამწყები ავტორები მაქსიმალურად ვერ იყენებენ.

როგორც პოეზიის მოყვარულს შეეფერება, ლექსებზე ვიტყვი ჩემს აზრს მოკლედ და არა მათ ავტორთა პირად დამსახურებაზე, თუმცა ალბათ, ბევრ შემთხვევაში სუბიექტური ვიქნები.

სათქმელი რომ არ ამიჭრელდეს და გარკვეული თანმიმდევრობა დავიცვა, ასაკობრივ პრინციპს გავყვები, მითუმეტეს ჩვენი პოეზიის უფროსი თაობის თვალსაჩინო წარმომადგენელი კარლო კალაძე დაბეჭდილია გაზეთის ერთ-ერთ ადრეულ ნომერში. პოეტის ახალი ციკლიდან — „ზღვის ლურჯი რვეული", — ჩემის აზრით, გამოირჩევა საკმაოდ მოზრდილი (შეიძლება ითქვას, ოდნავ გაჭიანურებული) ლექსი „ჩემი ახალი მეზობლები".

ამ ნაწარმოებში ძალუმად იგრძნობა ავტორის ახალგაზრდული ჟინი, მოძალებულ სევდასთან შეურიგებელი ბრძოლა; ყველაფერი ულვთოდ დალუპულ ვაჟს აგონებს — ჩვენს დიდად ნიჭიერ მოქანდაკეს — გულდა კალაძეს, წამითაც არ წყდება პირმშოსთან კავშირი — თვალწინ უდგას თითქოსდა სალოცავად აღმართული მისი „ქვის ქალი", ხელში რომ ყურძნის მტევნები მოუმწყვდევია. ამაღელვებელია შვილთან სულიერი განდობის წამები:

დრო იყო, აგრე მხოლოდ მე მწამდი,
დრო გვიან დადგა ქება-დიდების,
თიხას, ღმერთქალად შენ რომ ძერწავდი,
თრთოლვაც კი აჩნდა შენი თითების.

პოეტს სანუგეშო მაინც რჩება ამ ქვეყანაზე. ახლა მისი ახალი მეზობლები და შვილის მეგობრები აკითხავენ, ისინი ახმიანებენ ზღვისპირა კარ-მიდამოს, ისინი უწევენ ძვირფასი ვაჟის მაგივრობას.

თავისთავად ბუნებრივია „მოეცნება რუსი პოეტის სწრაფვა" ზღვისპირეთში მეგობრებთან დასახლებისა, მაგრამ სათქმელს ფორმაც შესაფერისი უნდა მოეძებნოს. მაგალითად, იუმორისტულ პასაჟივით აღიქმება ამავე ლექსში შემდეგი სტროფი:

ხან ლონდონშია ჩვენი ევგენი,
ხან ზღვის ამ მყუდრო ავანსცენაზე,
მარჯვნივ ეგაა აგრე მეტყველი,
მარცხნივ გვიმაგრებს გვერდს ბანძელაძე.

აქ ტონი აშკარად დარღვეულია, ზიანდება სტრიქონთა ლაღი მდინარება, რაც ერთხელ კიდევ ადასტურებს ძველი ინდოელების მიერ გამოთქმულ სიბრძნეს, რომ პოეტურ ქმნილებაში ერთი განწყობილება უნდა იყოს გაბატონებული.

ამ ლექსის საერთო პათოსი, ათას ჭირში გამოვლილი გაუტეხელი კაცის რწმენა ყველაზე მკაფიოდ ორ სტრიქონშია გადმოცემული:

ახალგაზრდობა ნიჭია მართლაც
და არა ნიში სალოცად ჩვენდა.

სასიამოვნოა, რომ კარლო კალაძემ სიჭარმაგეშიც არ დაკარგა სიცოცხლის ხალისი და მის სიტყვას დღემდე შერჩა ყმაწვილკაცური ცეცხლი.

პოეზიის მოყვარულნი ჭეშმარიტად გაახარა გრიგოლ აბაშიძის გასულ წელს გამოქვეყნებულმა ლექსებმა. ცხადი გახდა, რომ მათი ავტორი პოეზიაზე ფიქრს წამითაც ვერ შელევია და მისი სულის მასაზრდოებელი და მამოძრავებელი ისევ და ისევ ლექსია.

მკაცრი, ზუსტი კომპოზიციითა და ღრმა აზრით გამოირჩევა „ორი სახლი". განვლილი წლების გაუხუნარი შთაბეჭდილებები, ცხოვრების ნაირფერი სურათები, რომელთაც ვურა და ვერ გათიშვია პოეტი, მის მეორე სახლად, მყუდრო თავშესაფარად ქცეულა. ნათელი, ადამიანური სევდა დაბუდებულა ხმაში:

ორთავ სახლს უტევს წლების გუნდები,
დროის ლაშქარი დაძრულა მათკენ...
მეორე სახლში უხმოდ ვბრუნდები,
პირველი სახლი როცა გულს მატკენს.

ეს როდია სინამდვილიდან გაქცევა; აქ ჩანს წლობით დაგროვილი სიბრძნე, ასაკში შესული ადამიანის მიმართება ძველ საწუთროსთან, ცხოვრების მდინარეში მუხლჩაუხრელად დგომა.

„ფიქრები ლისაბონის კარეტების მუზეუმში“ მშვენიერი ნიმუშია იმისა, თუ როგორ უნდა იყოს შეხამებული სათქმელი ფორმასთან. ამ ნაწარმოების წამკითხველს შორეულად მაინც გაახსენდება გრიგოლ აბაშიძის ერთი ადრინდელი საუკეთესო ლექსი „ჯიგთახათუნი“.

და შედგა ჩემი ეტლის ბორბალი,
შეჩერდა შენი თმით დახლართული...

თვით ეტლი ბედის ძველისძველი სიმბოლოა და ცხადია, ოქროთი მოვარაყებული ამდენი კარეტის ერთად ხილვა პოეტის ფანტაზიას გარდასულ ეპოქათა მთელ ბრწყინვალებას გადაუშლიდა, დაანახვებდა რაინდთა ალმოდებულ სახეებს, ჩამოქროლილი და ფანჯრიდან მზირალი სატრფოს დანახვაზე გულს რომ ვერ ტევდნენ მკერდში. არც ქალები იქნებოდნენ გულგრილნი ხიდებთან და ციხე-კოშკებთან მოდარაჯე თაყვანისმცემლების მიმართ:

და იმ ერთ წამს თითქოს მზეც
შეირყა და დაბნელდა...
იქით — გულის წუხილი,
აქეთ — თვალის დაბნელა.

სტრიქონთა ლაღ დინებას შიგადაშიგ ენაცვლება თავბრუდამხვევი ტემპი, თითქოს ქვაფენილზე გრიალი გაჰქონდეს ბორბლებს, ჩამავალი მზისგან აბრჭყვიალებულ მტვერში ეხვეოდეს „ოქროსფერი კარეტა“.

სევდიანი სიმღერის კილოთი და სინატიფით იქცევს ყურადღებას ცხოვრების მეგობრისადმი მიძღვნილი ლექსი „შენ რომ ჩემთან არ იყო“, რომელიც შინაგანად პოეტისავე ადრინდელ, ეგვიპტეში მოგზაურობის შემდეგ დაწერილ ერთ ლექსს ენათესავება.

„ტრიპტიხი გურამიშვილს“ და „ჩარხებრ მბრუნავი ლექსი“... მოწმობს, რომ გრიგოლ აბაშიძე კვლავაც გვევლინება რთული სალექსო ფორმების გამოცდილ ოსტატად.

პოეტის სიტყვას ფერი და ძალა, სისავსე არ დაკლებია. სხვანაირად არ დაიწერებოდა „რისთვის სტიროდა?“ „ჩემს მზეს გრძელი დღე თუ არ ექნება“, „ვერ დავეხსენი ხვალის მოლოდინს“...

ამ ლექსების ავტორმა კარგა ხანია მოიპოვა „სიკვდილზე ხმალდახმალ მისვლის“ უფლება და ძალაც შესწევს ხმამაღლა თქვას:

ვაშა, სასწორზე ბედის შეგდებას,
ოღონდ სამშობლოს სასიქადულოდ.

ყველა პირობაა ვიფიქროთ, რომ გრიგოლ აბაშიძე კიდევ არაერთ გულწრფელ და გამძლე სიმღერას შემატებს საკუთარ შემოქმედებას.

ფრიად ნაყოფიერი გამოდგა რევაზ მარგიანისთვის შარშანდელი წელიწადი. პოეტის უპირველესი სათქმელი, მთავარი ძარღვი მუდამ მამულთან იყო დაკავშირებული და ახალ სტრიქონებსაც ამ სიყვარულის ნათელი ადგას:

ისევ შენს გამო... ხელი შევახე
სიტყვას და ძლივსღა დავიმორჩილე,
ხელი შევახე მღვიძარ ვენახებს
და ტყეებს, თითქმის თმააქოჩრილებს.

სასიამოვნოა, რომ სამოც წელს გადაცილებული შემოქმედი მყუდრო სავანეს არ ეძებს, კვლავაც ერჩის „სვანური მუხლი“ და ჯერ ცხოვრების დაღმართი არ დაწყებია.

კეთილშობილებითა და სითბოთია აღსავსე რევაზ მარგიანის ფრონტული ბალადა „ამბავი საველე სტამბის ასოთამწყობისა“, ქერჩში დაღუპული კეთილი და მოკრძალებული უბრალო კაცის — ვასო ჯაფარიძის — ხსოვნას რომ ეძღვნება. განსაკუთრებით შთამბეჭდავია ნაწარმოების ფინალი:

დასრულდა ის დღეც,
როცა დუღდა თვითონ ლითონიც,
ვარამმა კითხვის ნიშანივით
წელში მომხარა.
და სხვამ ააწყო
შენს მაგივრად ერთი სტრიქონი:
„მნიშვნელოვანი
დღეს ფრონტებზე არა მომხდარა“.

ეს მცირე დეტალი კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ თვით მშრალი, სტერეოტიპული ფრაზაც სიმბოლურ მნიშვნელობას იძენს, თუ იგი თავის ადგილზეა გამოყენებული. აქ ჩანს ომის მთელი ულმობელობა — როგორ იწირავს ეს სასაკლაო ათასობით ადამიანთა სიცოცხლეს და ეს ჩვეულებრივ ამბადაა მიჩნეული.

რევაზ მარგიანის ბოლოდროინდელი ლექსებიდან განსაკუთრებით ჩამრჩა გულში „ლეონიძის მონატრება“ — იმის გამოხატულება თუ როგორ გვენატრება დროდადრო ერჟოლის მომგვრელი ცინცხალი პოეზია. დიდი სიყვარულით გაუცოცხლებია ავტორს უფროსი მეგობრის სახე, რომელსაც კვლავ ლოცვას და ხელხვავიანობას შესთხოვს. „ქორფლიანი კვერცხებით სავსე შოშიის ბუდე“ ზედმიწევნით ზუსტი, მშვენიერი სახეა დღედაღამ ლექსებზე მოფუსფუსე შემოქმედისა. ორიოდე შტრიხით დახატულია მამულზე გადაგებული განუმეორებელი პიროვნება:

ღმერთო, ნუ მოაკლებ სიზმარშიაც
სოფლის წყაროებზე ზრუნვას,
მან ხომ ნაპურალში მიმაჩვია
პრიჭინობელების ზურნას.

უშუალობით, მხატვრული ძალმოსილებით გამოირჩევა რევაზ მარგიანის ორი სხვა ლექსიც — „ღამით“ და „ძველებური სვანური ტირილი“.

რამდენიმე ლექსი, რომელიც „ლიტერატურულ გაზეთში“ შარშან გამოაქვეყნა იოსებ ნონეშვილმა, უთუოდ ახალ ფერს შემატებს მის ლირიკას. მათგან განსაკუთრებით ერთს გამოვყოფდი „მას ეძახიან ბედნიერ პოეტს“. ეს ლექსი იოსებ ნონეშვილის უტყუარ ავტოპორტრეტად გვესახება, ისე მარჯვედ, ხელშესახებად გადმოუცია პოეტს საკუთარი ხასიათის მთავარი შტრიხები. ვგრძნობთ, რომ გარეგნული უდარდელობის მიღმა ღრმა ადამიანური წუხილი და სევდა იმალება. ლექსის ავტორი გვერდიდან, გარეშესავით აკვირდება თავის თავს:

იგი რუსთველზე ღიმილით მიდის,
ნაცნობს თუ უცნობს დაასწრებს სალამს...

ასევე ზუსტი, კონკრეტული და ალსარებამდე მართალია შემდეგი სტრიქონებიც:

ვით მსახიობი,
რამპის ძკვეთრ შუქზე,
ისე გამოდის სახლიდან გარეთ...
. . . . . . . . . . .
ჰაი, ჰაი, რომ ჰგონია ყველას
ქუდბედნიერი და დარდიმანდი,
მაშ მის ლექსებში რად ღვივის ცრემლად
ადრე დაღუპულ მშობლების დარდი.

აქ კიდევ ერთხელ გამოკრთება სიჭაბუკის ლამაზი სიმღერის ანარეკლი, ხელოვნების უმაღლესი იდეალის, მიუწვდომელის წვდომის მძაფრი სურვილი; ცოცხლდება წამები, როცა სიყვარულის გამაღმერთებელი შემოქმედი დიდ ტანჯვასთან ერთად ენით გამოუთქმელ ნეტარებასაც განიცდის:

მას ეძახიან ბედნიერ პოეტს,
აქვს საკუთარი დვრიტა და ჭერი,
მაშ მის ლექსებში უხვად რად ჰპოვებთ
იდუმალ ნაღველს ჩუქურთმისმჭრელის?!

მესამე სტრიქონი („მაშ მის ლექსებში უხვად რად ჰპოვებთ“) დანარჩენთან შედარებით მოდუნებული მეჩვენება.

მრავლისმთქმელი, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სხვადასხვაგვარად აჟღერებული რეფრენი ამთავრებს ამ ლექსს: „მას ეძახიან ბედნიერ პოეტს“...

ჩვენ მაინც ვფიქრობთ, იოსებ ნონეშვილს სწორად ეძახიან ბედნიერ პოეტს. უიღბლოს და ბედთან შერიგებულს ვერავინ უწოდებს კაცს, ვინც თამამად უსწორებს თვალს წარსულს, ვინც ზნეს იმის მიხედვით არ იცვლიდა თუ სად და როდის გადაეყრებოდა წვრილმანი უსამართლობანი, ვისაც შეუძლია თქვას განვლილ ცხოვრებაზე:

ეცადნენ და ვერ გამხადეს ბოროტი,
ეცადნენ და ვერ გამხადეს ფლიდი,
წუთისოფელს კაცად შერჩე ბოლომდე
თურმე ესეც გმირობაა დიდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შოთა ნიშნიანიძე მუდამ გამოირჩეოდა პოეტური შემართებითა და შემოქმედი კაცისთვის ეგზომ საჭირო ნაყოფიერებით. გასულ წელს მას 50 წელი შეუსრულდა და არაერთი კარგი ლექსიც გამოაქვეყნა: „ლიტერატურულ საქართველოში“ დაბეჭდილთაგან ყველაზე მეტად მომეწონა „სიმღერა აბრეშუმის ჭიაზე და მარადიულ მეტაფორაზე“. მიუხედავად იმისა, ეს გაშლილი მეტაფორა მაინცდამაინც ორიგინალური არაა (ამ სახის მსგავსი გააზრება გვაქვს, მაგალითად, ტარიელ ჭანტურიას ერთ პოემაში), თვით ლექსი ძალზე სახოვანი და შთამბეჭდავი გამოვიდა. ძალდაუტანებლად, ბუნებრივად ჩნდება ფრთიანი სიტყვის ცოცხალი ხატება. ემოციურ კავშირს აძლიერებს ფრთებიანად გაჩენილი, პეპელად გარდაქმნილი ჭიისადმი მიმართვის ფორმა:

შენ, აბრეშუმის სარკოფაგის
უკვდავ ბინადარს,
ჭიათა ფარაონს,
თაყვანს გცემ პირადად,
ჰა, თუთის შტოები
იჩრდილე მარაოდ!

პოეტი აქ თავისი მეტყველების, აზროვნების მანერის ერთგულია; მკვიდრად ნაქსოვი ატლასის ჯურღმულიდან „განგების ჯილდოდ“ გამოყოლილი ფრთები ზეშთაგონებისა და ღვთაებრივი ნიჭის განსხეულებადაა წარმოსახული:

არცერთ განდეგილს დღემდე
და მითუმეტეს ტუსაღს
არა სწვევია, მენდეთ,
ასე მაღალი მუზა.
არა სენაკით, ციხით,
(თუნდაც განგების ნებით)
ჯერ ხორციელი ვინმე
არ გამოსულა ფრთებით.

ძლიერი პოეტური სახეები და მახვილგონივრული მიგნებებია მოზრდილ თეთრ ლექსში „შეშლილი პოეტის მონოლოგი სამი ფაბულით“, მაგრამ, პირადად მე, ამ ნაწარმოებს ვერ დავაყენებდი შოთა ნიშნიანიძის საუკეთესო ლექსების გვერდით.

შეუმცდარია ტონი, ცვარიული ირონია და თვით ხატვის პრინციპი, ერთ განკვებასაც მიამიტურ შეკითხვას რომ მოსდევს:

რაა პოეტი?
თავდაყირა მდგარი უფალი.
თუმცა ორივე ფეხზე დგახარ მთლად
ჩვეულებრივ.

მაინც უკულმა გეჩვენება მთელი სამყარო,
ამიტომ ბრბოსთვის შეშლილი და
უკუღმართი ხარ.

აქ აშკარად საგრძნობია ორმაგი პლანი, სიტყვის ორლესულობა, ე. წ. ამბივალენტურობა. მომდევნო სტრიქონები, სადაც ზედმეტადაა გაშიფრული ირონია, ნათქვამია, რომ „გაუგებრობას ბრბო ყოველთვის სიღრმედ აღიქვამს“ და ამიტომაც ლექსი ბუნდოვნად, დახლართულად უნდა დაიწეროს, არა მგონია აღწევდეს თავის მიზანს.

ირონია პოეზიის ერთ-ერთი უძველესი და შეუცვლელი იარაღია და მისი გამოყენებისას განსაკუთრებული სიფრთხილე გვმართებს. კერძოდ, ამავე ლექსში არ მეჩვენება გამართლებული პლაგიატორთა — ქურდობისა და ბაცაცების კატეგორიებად დაყოფა და ამას მოდევნებული მსჯელობა ქურდობის ღვთაებრივ წარმომავლობაზე (პრომეთეს მაგალითი).

შოთა ნიშნიანიძეს იმ თავითვე ლონიერი, ფერხორციანი სიტყვა მოსდევს და მისი ნაფიქრ-ნაგრძნობი, ვიმედოვნებთ, კიდევ ბევრ სიხარულს მიანიჭებს მკითხველს.

„ლიტერატურულმა გაზეთმა“ გასულ წელს უხვად გამოაქვეყნა ლექსები ჯანსულ ჩარკვიანის ახალი წიგნებიდან „ერთგულების ულელი“. ამ ლექსებში, პირველ ყოვლისა, გამოვარჩევდი ადამიანის უერთგულეს ცხოველზე, ძაღლზე დაწერილ ლექსს „პონი, ძვირფასო, პონი“. ძაღლზე არაერთი საუკეთესო ნაწარმოები შექმნილა. კერძოდ, ქართულ პოეზიას გალაკტიონ ტაბიძის, ნიკოლოზ მიწიშვილის, ვალერიან გაფრინდაშვილის, კოლაუ ნადირაძისა და სხვათა მშვენიერი ლექსების წყალობით შემორჩა ასეთი ძაღლთა სახელები („ალზორა“, „ჩიბისი“, „ემირი“ და ა. შ.).

ჯანსულ ჩარკვიანს ძალზე ბუნებრივად გადმოუცია ხალისით სავსე ლამაზი არსების მოულოდნელი დაღუპვით გამოწვეული სევდა. ყოველ სტრიქონს ნაღვლიანი განწყობილება მსჭვალავს:

ღღეს უპირველეს ყოვლის,
ხასიათზე ვარ ღვინის,
გუშინ დავმარხე პონი, —
იაპონური ხინი.
. . . . . . .
მე სიმართლის თქმა მიყვარს,
ვერ ვუღალატებ სინდისს,
რა მაყეფარიც იყავ,
ისე ვერ შეხედი სიკვდილს.
. . . . . . .
დაცარიელდა სახლი,
სახლიდან მინდა წასვლა.
შენზე ლამაზი ძაღლი
არც შემხვედრია არსად.

ამ ლექსმა პოეტის მეორე, სხვა კარგი ლექსიც გამახსენა, კანარის ჩიტზე დაწერილი. ეს ლექსები თავისებური დასტურია ცნობილი ჭეშმარიტებისა, რომ არ არსებობს დიდი და პატარა თემა და ერთი შეხედვით უმნიშვნელო შემთხვევაზე შეიძლება შეიქმნას ღირსეული ნაწარმოები.

ჯანსულ ჩარკვიანი მუდამ მძაფრად ეხმაურება ჩვენი ცხოვრების საჭირბოროტო საკითხებს. ბუნებრივია, რომ იგი გულგრილი ვერ დარჩებოდა ისეთი შემზარავი ფაქტისადმი, როცა მტკაველი მიწის გამო ძმა ძმას თოფით კლავს („მწუხარება“).

როგორც ჩანს, ზოგიერთ ხარბ ადამიანს დროდადრო უნდა შევახსენოთ ძველი სიბრძნე და პოეტი ერთგან კიდევაც აკეთებს ამას ხალხური სიმღერის კილოზე გაწყობილი, ეპიტაფიასავით ჩამოქნილი სტრიქონებით:

ეს საწუთრო რა ყოფილა,
ცოტა მიწა მამყოფინა,
რაც მეგონა ჩემი იყო,
თურმე ჩემი არ ყოფილა.

ამავე ლექსში („საწუთრო“) გვეჩოთირება, ხელოვნური მოჩანს და ყურს გვჭრის ერთი ადგილი:

ჩემი სისხლის ნიაღვარმა
მარილი და პური მომცა,
სიტყვა სიტყვას მიახალა,
მ ი ფ ე შ ქ ა შ ა უ რ ი თ მ ო ც ა.

მომწონს, როცა ჯანსულ ჩარკვიანის სიტყვას დარდიმანდული სილაღე ახლავს. ასეთია „ცეროდენას ზღაპარში“ რეფრენად გამოყენებული სტროფი:

შენ — ვაშლი სამოთხისა,
მე კი ვაშლის ნათალი,
მერე მთელი ცხოვრება —
შემოდგომა, ზამთარი...

რა თქმა უნდა, ყველა ლექსი და ყოველი სტრიქონი ერთნაირი ღირსებისა არაა. უკეთესთაგან კიდევ უნდა დავასახელოთ სიმღერასავით ძალდაუტანებელი და უაღრესად კოლორიტული ლექსი „ქურთების ქორწილი“. ვინც თბილისს კარგად იცნობს, შეუძლებელია მისთვის ნაცნობი და მახლობელი არ იყოს ამ ლექსის თვითეული დეტალი, ასე ოსტატურად რომ არის დახატული:

ოხშივარი ასდით თუჯის ქვაბებს,
ოხშივართან ცეკვავს ფეხის მტვერი
და დაკეცილს გარშენივით კაბებს
ფარშავანგის დასდით კუდის ფერი.

ლექსში მთელი სისავსითაა გადმოცემული ზურნის გაბმულ ჭყვიტინსა და დოლის ამაფორიაქებელ ბაგუნს მონატრებული კაცის განცდა, ასეთი სიყვარულით რომ იხსენებს დილმისა და

გლდანის მასივებში მიმოფანტულ თავის ყოფილ, მრავალშვილიან მეზობლებს.

ბუნებრივია, დროის სიმცირის გამო, ჩვენ ვერ შევეხებით ჯანსუღ ჩარკვიანის ყველა იმ ლექსს, ყურადღებასა და გულდაგულ გარჩევას რომ იმსახურებს.

ვახტანგ ჯავახაძის ლექსებს მუდამ ხალისით და სიამოვნებით ვკითხულობ. თავისი თაობის რამდენიმე პოეტთან ერთად (ზაურ ბოლქვაძე, გივი გეგეჭკორი, ჯანსუღ ჩარკვიანი, ტარიელ ჭანტურია, ოთარ ჭილაძე...) მას მკვეთრად განსხვავებული ხელწერა აქვს და ყოველთვის ადვილად იცნობ. მის ბოლოდროინდელ ლირიკაში ძალზე მომძლავრდა ირონიული ნაკადი, ბოროტებისა თუ მანკიერებათა მხილების პათოსი, რასაც შესაფერი ფორმაც მოუძებნა.

ამ მხრივ ტიპიურია თუნდაც ლექსი „თქვენ თამადა ბრძანდებით“, სადაც ჩვეულებრივი ყოფითი დეტალები — სუფრასთან დაჯდომა თუ არდაჯდომა, ხელის დაბანა თუ ტაშის დაკვრა უჩვეულო კონტექსტში ექცევა და ადამიანს უმაღლესი ზნეობის დასაცავად — უსამართლოდ აღზევებული რეგვენის ჰკუაზე მოსაყვანად და ასევე უსამართლოდ დაწინაურებული ადამიანის გამოსაქომაგებლად მოუწოდებს.

შეიძლება ზოგჯერ პოეტის სათქმელი ზედმეტად „დამიწებული“ იყოს, მაგრამ მისი იუმორი ლაღია, მიმტევებელი და თითქმის მუდამ კონკრეტული, ცხოვრებისეული მისამართი აქვს:

გვართობს ტელევიზორი
„ორერა“ და „რეროთი“,
აწყობაზე მეტი ღირს
როიალის რემონტი.
მუშა ითვლის სართულებს,
სხვა ხარჯებიც ჩატენა
და რემონტზე მეტი ღირს
როიალის ჩატანა.

„ყირაზე დამდგარი ქვეყნიერების“ უძველესი მოტივი ძალზე თავისებურადაა ხორცშესხმული ლექსში „ეს რა ხდება, ღმერთო ჩემო“. ამ ცხოველმყოფელ მოტივს საუცხოოდ მოერგო ვახტანგ ჯავახაძის აზროვნების მანერა, ადამიანურ სიბრიყვეთა მოხერხებულად ჩვენების უნარი.

აქვე ერთ გარემოებას მინდა გავუსვა ხაზი: პოეტი ცოტა ზედმეტადაა გატაცებული ციფრებითა და გამოჩენილ პიროვნებათა ჩამოთვლით, რაც მისი ლექსების ერთ ნაწილს ერთფეროვნების დაღს ასვამს, თვითმიზნურ ვარჯიშად გადაქცევის საფრთხეს უქმნის. ამაზე ალბათ იგი დაფიქრდება.

გივი გეგეჭკორის სამი ლექსი, განსხვავებული მიზანდასახულობითა და ტემპერამენტით დაწერილი, ვფიქრობ, დიდხანს ემახსოვრება მკითხველს.

მამულის სიყვარულს ახალი კუთხით წარმოაჩენს პირველი ლექსი. „ქალი, რომელიც მუზეუმში იჯდა და ქსოვდა“. მრავლისმთქმელია წარსულთან მიმართება, რომლისკენაც გაჰირვების ჟამს ჩვენ მივეშურებით —

როგორც ორაგულები
ზღვიდან სათავისაკენ
და იქა ვყრით ქვირითს.

პოეტის აფორიაქებულ გულს ამშვიდებს კუთხეში მიმჯდარი ჭაღარა ქალის დანახვა, ყაისნალი და ძაფის გორგალი რომ მოუმარჯვებია და უშფოთველად ქსოვს. ამ ლექსმა ერთი ფილოსოფოსის ჩანაწერი გამახსენა, რომ დროს ყველაზე მეტად ქსოვაში გართული ქალი იმორჩილებსო.

ძალზე მძაფრია ფსევდო-პატრიოტთა მხილების პათოსი ლექსში „ვინ იდგამს თავზე ეკლის გვირგვინს“. პოეტის ხმა მრისხანეა; იგი ხალხს აფრთხილებს, რომ „ანგარებით დაკრუნჩხული ხელების“ პატრონი წამებულის პოზას არ უნდა მიელტვოდეს და ეკლის გვირგვინს არ უნდა ეპოტინებოდეს.

ამ ლექსის დაწერას შესაძლოა ბიძგი მისცა ჩვენს ცხოვრებაში საკმაოდ მომრავლებულმა ცალკეულ პარაზიტთა უმსგავსმა საქციელმა, მაგრამ პოეტი მავნე ტენდენციებს ებრძვის და არა რომელიმე კონკრეტულ პიროვნებას უპირისპირდება.

ხელოვანის ბუნება, ავტობიოგრაფიული შტრიხები დიდი ოსტატობითაა გადმოცემული ლირიკულ აღსარებაში „ლექსი იმის შესახებ, თუ რა ზიანი და სიკეთე მოაქვს წიგნის კითხვას“.

წიგნების გარდა, მის არაპრაქტიკულ პიროვნებად ჩამოყალიბებაში, მეოცნებედ ქცევაში, ბრალი მიუძღვის იმ ქალსაც: —

ვისი თმების სხივებსაც
იტაცებდა ბუდეში
ჩასაფენად ჩიტი.

სამივე ლექსი პოეტის შემოქმედებით მიღწევად მესახება. გივი გეგეჭკორის ლექსების ყოველ პუბლიკაციას დიდი ინტერესით მოელის ყველა, ვისაც პოეზია უყვარს და ესმის.

მედეა კახიძე შედარებით ცოტას წერს, ცოტას აქვეყნებს, მაგრამ მის სტრიქონს მუდამ ახლავს უშუალობა და გულისხმიერი სითბო. მის ლექსებში მკვეთრად იგრძნობა გარდასულის გამო სინანული, ალონებს კავშირის გაწყვეტა სიყრმესთან, მამაპაპეულ ფუძესთან; დრამატულად გადმოსცემს შუქისა და ჩრდილის, სიკვდილ-სიცოცხლის მარადიულ ჭიდილს და ერთიანობას; მის მთავარ თემად კვლავ რჩება წმინდა, ამაღლებული სიყვარული, იგი კვლავაც ერთგულია თავისი იდეალისა:

ქართლის ფერდობებზე
თოვლი მომლღვალია,
მოვედი, თვალს სინათლე ემატება,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მადლობა ღმერთს,
ჯერ ისევ ცოცხალია,
ვისთან შეხვედრაც მენატრება.

ამავე თემას ეძღვნება მედეა კახიძის სხვა, ხადა მხატვრული ხერხებით განხორციელებული, უკვდავი გრძნობის წარუვალი მშვენიერებით ალბეჭდილი უაღრესად წრფელი ლექსი „სიყვარულის მოტივებზე“:

რომ დაგცდეს გულის მოსაფონარი,
გაფრენილ იმედს კვლავ მივეწევი,
შენს ღარიბ ქოხთან ძველი ბორანით
კვლავ გადმოვცურავ ღმერთის შეწევნით.

ერთი თავისი წიგნის ანოტაციაში თამარ ერისთავი წერდა, ჩემი ფუტკარი ხელოვნურ ყვავილებს არ ეტანებაო. ეს ცხადად ეტყობა გაზეთში გამოქვეყნებულ მის მცირე ციკლს „სვანეთის მთებში“. საერთოდ, თამარ ერისთავს იზიდავს საქართველოს მთიანეთის ბუნება, იქაურ მკვიდრთა რაინდული ხასიათი, კეთილი ზნე. ეს ლექსებიც ლაღად, სასიამოვნოდ იკითხება. მათგან, ვფიქრობ, საუკეთესოა რევაზ მარგიანისადმი მიძღვნილი ლექსი, სადაც ავტორი თავის უფროს თანამოკალმეს შეხუმრებით სვანეთის სიყვარულში ეზიარება. ბუნებრივად ახხმულ სტრიქონებში სისადავე, ქალური კდემამოსილება და დიდი უშუალობა გამოსჭვივის:

ბატონო რევაზ მარგიანო,
ენამზიანო,
მინდა სვანეთის სიყვარული
შეგეზიაროთ.
გაგეშაიროთ? ვერ გავბედავ,
არ ვარ გულადი,
ვიცი, დამჯაბნით პირველივე
„მირანგულათი“.

თამარ ერისთავი შედარებით ცოტას წერს, ცოტას აქვეყნებს. მაგრამ ეს ალბათ იმით უნდა ავხსნათ, რომ მისი მთავარი მოწოდება მაინც თარგმანია, რაშიც მას არაერთხელ გამოუჩენია თავი.

რაკი თარგმანი ვახსენე, აქვე მინდა ვთქვა, რომ „ლიტერატურულ გაზეთში“ დაბეჭდილია გიორგი ნიშნიანიძის მიერ სანიმუშო ოსტატობით თარგმნილი რამდენიმე ინგლისური ხალხური ლექსი: „ბრეის ვიკარი“, „დევს ჯიბეში ექვსი პენსი“, „შეწუხებული სამარე“... სასურველია, ჩოსერის მთარგმნელმა ენერგია არ დაიშუროს და ინგლისური პოეზიის მცირე ანთოლოგია მაინც გააკეთოს.

ძველ კოლხურ მოტივზე დაწერილი იორამ ქემერტელიძის „ტყაში მაფა“ არა მარტო შარშან გამოქვეყნებულ მის ლექსებში, მთელს მის პოეზიაში ერთ-ერთი საუკეთესოა. აჩქარებული სიმღერის ტემპი, რომლისთვისაც ზედგამოჭრილ ია მაღალი შაირი, საუცხოოდ მიესადაგა ტყის ქალის გრძნეულებისაგან გონწართმეული ჭაბუკის თავაწყვეტილ ვხებას:

ჩემო გულით სანატრელო,
ჩემო თვალით უნახავო, —
ტყე-ტყე ცხენით დავშლიგინებ
უუნაგირ-ულაგამო.

. . . . . . .

ტყის სულო და დედოფალო,
მთვარეულო, მთვარის ქალო, —
დამენახე, რომ სიკვდილით
და სიგიჟით გავიხარო.

ცხოველ ფანტაზიას და ასოციატური აზროვნების კარგ უნარს ავლენს პოეტი ენერგიული რიტმით დაწერილ ლექსში „ზაფხული — ყირიმი, კოკტებელი“, სადაც ოსტატურადაა გაცოცხლებული შორეული წარსულის, მითრიდატე პონტოელის დროინდელი სურათები, ცხვირწაგრძელებულ ხომალდზე თითქოს გარუჯული, ტუაპუჭიანი მოისრები ამობლებულან და საცაა უიუინას დასცემენ მთქნარებამორეული დამსვენებლებით მოფენილ სანაპიროს.

ცოტათი გაქიახურებული, გაწელილი მეჩვენება თავისთავად აზრიანი და საჭირო კრიტიკული პათოსის მქონე ლექსი „ლტოლვა“. იორამ ქემერტელიძეს შეეძლო უფრო შეკუმშულად გადმოეცა სათქმელი.

უთუოდ მნიშვნელოვან ნაწარმოებად უნდა ჩაითვალოს შარშანდელ „ლიტერატურულ გაზეთში“ გამოქვეყნებული ბესიკ ხარანაულის ლიდი ლექსი „კარტოფილის ამოღება“. დედის სახეს იგი არაერთხელ მიუბრუნდება, მაგრამ ეს ლექსი ამ მხრივაც გამოირჩევა. ერთი მცირე დეტალი — საწოლში კედლისკენ გადაბრუნება — პოეტს ადრეული სიჭაბუკის ხანას ახსენებს, როცა დედასთან ერთად დაშლილ ჯაფას ეწეოდა, ნამცეცა მიწის გულიდან წლის სარჩო რომ ამოეღო. ეს არის შრომის ნამდვილად პოეტური გარდასახვა. მკაცრად შერჩეულ ფერით, თითქოსდა ნატურალისტურ სურათებს უჩვეულოდ ლამაზი ელფერი დაკრავს; ღრმა აზრს იძენს, ერთი შეხედვით, პროზაული სტრიქონები:

ვერა და ვერ დავიმახსოვრე,
რომ ძილს თავი უნდა შეატყუო...

დაუვიწყარია ფრაგმენტულად მოხაზული ეპიზოდი, როცა ნახირიდან დაბრუნებულ საქონელს დედა-შვილი გომურში ამწყვდევს, გვერდით ჩაუტარებს „თავის გაწველენაზე მომდგარ სიმინდებს“. თვით პროცესი კარტოფილის ამოღებისა ზოგადდება, სხვა ჟღერადობა ეძლევა, იგი აღიქმება, როგორც თავდაუზოგავი შემოქმედების ჯილდო, „შედეგი, ძიება, სიხარული“. მიწაში განტოტილ, დაქსაქსულ ნაყოფს დაეძებს დედის „გრძნეული თითები“ და ამ უზომო სიხარულის წმინდა განცდას ვერაფერი ამღვრევს:

...ვილივლივოთ მზეში, ჰაერში,
ამოვთხაროთ ჩვენი წარსული,

ამოვყაროთ ოქროები,
პირი ვუჩინოთ,
ოთხ-ხუთ საათს მოვიწყინოთ, გული
დავიტკბოთ
და მერე ისევ გაისამდე მიწაში ჩავფლათ.

დიდის სახესთან საოცარ კონტრასტს ქმნის ამ მიწასთან მიჯაჭვული ადამიანის შვილიშვილი, რომელსაც მშობელ ნიადაგთან კავშირი უკვე შესუსტებული აქვს და ეზო-გარემოს ისე აღარ უყურებს, როგორც საარსებო წყაროს.

„კარტოფილის ამოღება" ალაგ-ალაგ ზედმეტად უბრალოვდება, ფრაზა ლექსსა და პროზის შუა ექცევა, სიმკვეთრე აკლია, მაგრამ მას გაარჩნია კანონზომიერი და ძნელად დასაჭერი შინაგანი რიტმი, ოსტატურად მოფიქრებული კომპოზიცია.

ბესიკ ხარანაულის ეს ლექსი ახალი დაბეჭდილი იყო, როცა მის თანატოლზე, ირლანდიელ პოეტ შეიმუს ჰინზე დაწერილი სტატია წავიკითხე. ზოგი რამ ახლობელი მეჩვენა: „პოეტი, უპირველეს ყოვლისა, მიმართავს მიწას, წყალს, მცენარეულ სამყაროს, სიცოცხლის უმარტივეს ფორმებს, ადამიანებს, ვისიც ცხოვრებაც სისხლხორცეულად უკავშირდება მიწასა და ცხოვრებას, მათ, რომელნიც თხრიან კარტოფილს, დღვებავენ კარაქს... მინდორში ნახირს მიდენიან".

შეიმუს ჰინი ერთ ლექსში იხსენებს გამძლე წინაპრებს, ტორფიან მიწას ბარებით რომ ჩიჩქნიან, ნედლ ძირებს აჭრიან კარტოფილს და სამზეოზე ამოაქვთ. „მე ბარი არა მაქვს, კალმისტრით უნდა ამოვთხაროო", წერს პოეტი და ჩვენთვის ნათელი ხდება ამ მარჯვედ მიგნებული მეტაფორის აზრი.

ბესიკ ხარანაულის სხვა ლექსებიდან („ათასი სიმღერის დილა"), ჩემი აზრით, საუკეთესოა მცირე ფორმის ლექსი „ყარყატი", ბავშვობიდან გამოყოლილი უმძაფრესი შთაბეჭდილების განსხეულებას რომ წარმოადგენს.

ასევე დასრულებულ ლირიკულ სურათებად იშლება „შაშვი" და „გაზაფხულის კარი". აქ არსად არ ირღვევა განწყობილების მთლიანობა და ბუნებრიობა. იმის გასახსენებლად თუ როგორ არის შერწყმული პოეტური აზრი და ხატი, მოვიტანთ უკანასკნელ მათგანს:

ვინ ულებს კარს გაზაფხულს?
ჩვენ ზამთრის დარბაზებში ერთ
გალურსულები,
იქნება ქალები
ეს ციხეთა პირველი გამცემნი,
გასაღებთა მკერდში შემნახავები.

ბესიკ ხარანაულის პოეზიაზე კიდევ მოგვიხდება ზოგი რამის თქმა.

გრიგოლ ჯულუხიძე თავიდან თითქოს მელოდიურობას არ ესწრაფვოდა, მაგრამ მე მის სხვა ლექსებზე მეტად მომეწონა სატრფიალო ლექსი „ფასანაური", სადაც წინა პლანზე სწორედ მელოდიაა წამოწეული. აქ ერთგვარად იცნობა გალაკტიონის „თეთრი პელიკანის" ინტონაცია, მაგრამ ავტორი მაინც ინარჩუნებს თავისთავადობას:

როგორ მიდის ეს საწუთრო
სევდიანი ფერებით.
სხვა მიყვარდა,
სხვას ვუყვარდი
და სულ სხვას ვეფერები.

ასევე სასიამოვნოდ იკითხება პატარა თეთრი ლექსი „მიმოზა", განსაკუთრებით მისი ერთი აქცენტირებული სახე: „მიმოზა ჩემი თოვლიანი გაზაფხულია". აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ზოგ შემთხვევაში („ნუ მოიხედავ", „სპექტაკლი") გრიგოლ ჯულუხიძეს სიტყვის მეტი მომჭირნეობა და სიზუსტე მართებს.

მომეწონა მურმან ჯგუბურიას მცირე ჩანახატი, „გვიანი ღამით, საწერ მაგიდასთან გაფიქრებული", სადაც იგი პირმშოთა უდრტვინველ ძილს გადმოსცემს:

სძინავს ცირუს,
სძინავს ლელას,
სძინავს ბექას,
სძინავს ხვიჩას —
სძინავს ციცქნა საქართველოს —
იმის ცას და იმის მიწას.

სასიამოვნოა მისივე „კარგი ამინდი", მშობლიურ სოფელში გაზაფხულის სურათებს რომ გვიხატავს, კარგია რეფრენად გამოყენებული სტრიქონები:

არ ხარ პოეტი, მაგრამ ლექსები
გიზუზუნებენ მხიარულ გულში.

შედარებით მოიკოჭლებს პოეტური სინტაქსი:

რა ფიქრი გქონდა და რა ოცნება,
ყოველი ახდა ამჯერად თითქოს.

მურმან ჯგუბურია კვლავაც თავგამოდებული ერთგულებით დასტრიალებს სოფლის თემას და უნდა გვწამდეს, რომ ეს ერთგულება და სიყვარული მომავალში კიდევ უფრო სასურველ ნაყოფს გამოიღებს.

ჯარჯი ფხოველის მოზრდილი ლექსი „სამშობლო" სამი ნაწილისგან შესდგება და ძირითადად ვერლიბრს წარმოადგენს. მე უფრო ბოლო, მესამე ნაწილი მომეწონა, ტრადიციულ ლექსს რომ მიუყვება და მეტი სიმძაფრით გადმოსცემს პოეტის სულის მღელვარებას:

ჯიუტო, უხვო, ბაგედამსკდარო,
თავს დაგფრიალებს ფიქრი ფრთალალი...
მე შენი გზების მტვერმა დამფაროს,
ძვლებს მიხვრეტავდეს შენი ბალახი.

სათქმელი აქ უფრო ჩამოქნილად, სხარტად არის გადმოცემული.

საინტერესო ქვეტექსტის შემცველია მეორე ლექსის „ხმელი ფოთოლის" ფინალი:

მწუხარებაც ხომ სიხარულის ფოთოლია, — ხმელი ფოთოლი.

ჯარჯი ფხოველი უფრო მცირე მოცულობის ლექსებში ავლენს თავის ნამდვილ სახეს და თავისი შესაძლებლობანი, მეტწილად, აქეთკენ უნდა მიმართოს.

ვერლიბრს ხშირად მიმართავს გივი ალხაზიშვილიც. მისი ლექსის ძირითადი ნიშნებია შენიღბული, განგებ მოყრუებული მელოდია, ხელშესახები პლასტიკა, რბილად შემოგარსული სავნები. წიგნიდან წიგნამდე იგი შესამჩნევად ოსტატდება.

განსახილველი ლექსებიდან კარგად იკითხება: „მე შენთან მოვალ ხმაურის მერე", „ჩამოიტანდა სხვენიდან ვაშლებს", „მამის ოცნება", „შენ ხარ მგზავრი"...

მისი აზროვნების მანერისათვის ტიპიურია ასეთი, ვიზუალურად იოლი წარმოსადგენი სტრიქონები:

> როგორც მზის სხივი,
> ბროლის ლინზაში გაქონილი,
> წვავს ხეს და თივას,
> ასე ხარჯავ ათი წლის ძალას
> წუთში, საათში და ნაადრევად,
> შეუმჩნევლად და უხმოდ იწვი...

გივი ალხაზიშვილის ლექსებში ზოგჯერ გამოერევა მოშვებული, შინაგან დრამატიზმს მოკლებული სტრიქონები, რომელთა ალკვეთა თავისუფლად შეუძლია. ჩემი სურვილი იქნებოდა, მისი ფრაზა უფრო მკვრივი და ენერგიული გამხდარიყო, თუმცა შესაძლოა პოეტს ისეთ რაიმეს ვთხოვ, რასაც შეგნებულად ემიჯნება.

ჩვენი ახალგაზრდა პოეტებიდან საგრძნობი წინსვლა ეტყობა ვახტანგ ხარჩილავას. ამის დასტურად შეგვეძლო მოგვეტანა რამდენიმე თავისუფალი ლექსი: „ჩემო ნაღვლიანო სახლო", „აქ რომ ტყე იყო" და სხვები. გარკვეულ იმედებს აღძრავს „მერანის" მიერ გამოცემული მისი პირველი წიგნი „ალტერნატივა". უკანასკნელ წლებში ვახტანგ ხარჩილავას ლექსი აშკარად დაიხვეწა, დაიწმინდა, მაგრამ მას კვლავაც ბევრი, თავდაუზოგავი მუშაობა დასჭირდება, საწადელს რომ მიაღწიოს. ოსტატობისკენ მიმავალ გზას ბოლო არ გააჩნია.

ბევრს და ნაყოფიერად მუშაობს ახალგაზრდა პოეტი ქალი დალილა ბედიანიძე. მას ჭარბად შემოაქვს ლექსში პროზაული ელემენტები, რასაც ხშირად არ მოაქვს სასურველი ეფექტი. პროზაიზმები ღრმად გაცნობიერებული სტილისტური ხერხია და მისი გამოყენებისას დიდი ტაქტი და ოსტატობაა საჭირო. ახალგაზრდა ავტორის ლექსების ერთ ნაწილს („დანაკარგების ბიუროს განცხადება". „წერილი ჩემი სკოლის მასწავლებლებს"...) გულუბრყვილობის ბეჭედი აზის. შედარებით უკეთეს შთაბეჭდილებას ტოვებს „წარწერა ფოტოს მეორე მხარეზე". აქ მეტია პოეზია, სიმძაფრე, ენერგია, ხატვაც.

დალილა ბედიანიძეს თავად აწუხებს მომავალი გამარჯვების საწინდარი — უკმარობის გრძნობა და ამიტომაც ერთგან დაუფარავად აცხადებს:

> სად არის ლექსი, რომ დაარტყამ,
> ცოცხალივით დაიკვნესოს
> და თუ დაჭრი, გადმოსკდეს სისხლი...
> სად არის, სად?
> მე ველოდები.

ამ სტრიქონების ავტორს სხვებზე არანაკლებად მოეხსენება, რომ ასეთი ლექსის დაბადებას მხოლოდ ლოდინი ვერ უშველის. დალილა ბედიანიძის ზოგი ლექსი ჯერ კიდევ ხელოვნურად გამონაგონის იერს ატარებს, მისი უმთავრესი ნაკლია შინაგან კონტროლს დაუქვემდებარებელი მრავალსიტყვაობა. ეს არ გახლავთ ისეთი ხარვეზები, რომელთა დაძლევა ნიჭიერმა შემოქმედმა ვერ შეძლოს.

ძირითადად ასეთია ჩემი მოკლე შთაბეჭდილება „ლიტერატურული საქართველოს" შარშანდელ ნომრებში გამოქვეყნებულ ლექსებზე.

ჟურნალ „მნათობს" მეტი ადგილი აქვს, ლექსები რომ დასტამბოს და თავის მოცულობას იყენებს კიდეც. ამიტომ იგი მეტ საშუალებას იძლევა, როგორც ნაკლზე, ასევე ღირსებაზე ლაპარაკისა. შევეცდები ძალზე კონკრეტული ვიყო და კვლავ არსებითზე გავამახვილო ყურადღება.

გასულ წელს დიდი ზეიმით აღინიშნა ირაკლი აბაშიძის დაბადების 70 წლისთავი. სასიხარულოა, რომ პოეტი თავის სახელოვან იუბილეს ხელდამშვენებული და ახალგაზრდული ძალღონით ეგებება შეხვდა. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის ერთი ლექსი („იდგა გელათი, იდგა ურბნისი"... „მნათობი", № 11) რომ გამოუქვეყნებია და ხალხის გენიით განათებული, საუკუნეების ქარცეცხლში გამოვლილი და გაუხუნარი ჩვენი დიდებული ძეგლების საგალობელივით გაისმის. მართლაცდა, ამ უბერებელი ხელოვნების ფონზე უფრო დღემოკლენი ჩანან სხვადასხვა „იზმები", ფარვანებივით რომ ჩნდებიან და ასევე მალე ამთავრებენ არსებობას — ვერ უძლებენ დროის თავბრუდამხვევ დინებას, მარადისობის დამაბრმავებელ შუქს. ამიტომ ჟღერს ასე მშვიდად და დაჯერებულად ამ ნაწარმოების ფინალური სტრიქონები:

> ნაირ-ნაირი, ფერად-ფერადი
> იყო,
> არ არის,
> იყო,
> არ ისმის...
> და დგას ურბნისი, და დგას გელათი,
> და დგას ბოლნისი და დგას დმანისი.

ირაკლი აბაშიძის ბოლოდროინდელი ლირიკის საუკეთესო ნიმუშები, განსაკუთრებით ღრმად განცდილი ძლიერი ლექსი „შავეთის გზებზე“ შემდგარ მამის აჩრდილის გამოცხადებაზე, გვარწმუნებს, რომ ჟამთა სვლამ ვერ შეასუსტა მისი შთაგონება და პოეტს ბევრი სიმღერა „კიდევ დარჩა შესასხარი“.

„მნათობში“ გამოქვეყნებული რევაზ მარგიანის ლექსებიდან აღსანიშნავია „მახვში“ (№ 9) — ას წელს მიტანებული სვანეთის პატრიარქის ნათელი პორტრეტი. მოდის შვილთაშვილებით დახუნძლული საუკუნოვანი ბერიკაცი, წკრიალს გამოსცემს მისი „ცელი — ყვავილების სისხლით შეღებილი“ და გაოგნებულია, თვალის ერთ დახამხამებაში გაუვლია ას წელს.

მიჯრით ლაგდება მკვეთრ ფერწერულ ტილოებად ჩაფიქრებული სტრიქონები:

ფიწლით, ორთითებით
    ღვთიურ სინათლეში
მალლა აუსერია
    თივა მოცახცახე...
. . . . . . .
ქერი მოუმკია,
    ფეტვი მოუმკია
და ძლივს გაუძლია
    ხახა კიდობნისა...

ამომავალი მზის შესახვედრად დაძრული ბიბლიური გარეგნობის ბერიკაცი, ვინც მშობელ მიწაზე უამრავ ნერგს — „ლილეს“ გუგუნში გაზრდილ შთამომავლობას ტოვებს, უკვდავების სიმბოლოდ აღიქმება. რევაზ მარგიანის აქ წარმოდგენილი ყველა ლექსი თანაბარი ღირსებისად ვერ ჩაითვლება, გვხვდება შედარებით ნაკლებ მნიშვნელოვანებიც, მაგრამ ორ მათგანზე („სიზმარში ვვლიდი საკალმასოდ“ და „მესიზმრა თითქოს“) შეიძლებოდა ცალკე გველაპარაკა.

თუმცა ამჯერად გარჩევას ვერ შევუდგებით, მაგრამ უთუოდ საყურადღებოა ლადო სულაბერიძის პოემა „მარიუჩა“, საქართველოს ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე ტრაგიკულ ეპოქას (ქეთევან დედოფლის წამების დრო), რომ ეხმიანება. პოემის გმირი, სპარსეთში გადასახლებული ქართველი ქალი მარიუჩა — XVII საუკუნის იტალიელი მოგზაურის პიეტრო დელა ვალეს (1586-1661) მეუღლე, ვინაც თოთხმეტი შვილი აღუზარდა იტალიას, დიდი სითბოთი და სიყვარულითაა დახატული. აკაკი გაწერელიას თავისი ერთი საინტერესო წერილის ბოლოს „დედოფალი თამარი“ („გურჯი ხათუნი“) და პოეტი ჯელალ ედ-დინ რუმი“. მითითებული აქვს, რომ პიეტრო დელა ვალესა და მის ქართველ მეუღლეს „თინათინ და წიბას“, იგივე მარიუჩას თვით გოეთე იხსენიებს „დასავლურ-აღმოსავლური დივანის“ შენიშვნებსა და განმარტებებში“. (იხ. ა. გაწერელია, რჩეული ნაწერები, I, თბილისი, 1962. გვ. 440).

პოემაში შორეულად (თემის გამო) ისმის გიორგი ლეონიძის „ფორთოხალას“ მოტივები, აგრეთვე, გალაკტიონ ტაბიძის „ნიკორწმინდას“ ინტონაციები. ეს ფაქტი წინამორბედთა გამოცდილების ათვისებად და შეგნებულ მხატვრულ ხერხად მესახება.

პოემის მდინარება, ძირითადად, ლაღია, უშუალო, გულშიჩამწვდომი:

ვაი შენ ჩემო
    დაო შორეულო,
ჩამქკნარო ფესვო,
    ვაზო მოლეულო,
ჩემთვის დაკარგულო,
    სხვისთვის დახარჯულო,
ნესტრით დანესტრილო,
ხანჯლით დახანჯლულო.

ალაგ-ალაგ გვხვდება ხელოვნურად გართულებული ადგილები; იმის გამო, რომ რითმა გამართული, ჟღერადი გამოვიდეს, ზოგიერთი სიტყვის ფორმა უხერხულადაა ნაწარმოები:

ღრმა ღამეებიდან
ამომზირეულობ.
. . . . . . .
შენ აგშორდეს ავი ქარი
სულის ს ა თ ო შ ი რ ა ს ი... და სხვ.

სიტყვათა ასეთ მოქცევას ბევრად ჯობს ხალხურ მეტყველებაზე დამყარებული სტრიქონები, რაც პოემაში უხვადაა, მაგალითად:

კარი გამიღე ქოხისა
უცხომ უცხოსა მხარესა.
შენმა ლოცვებმა ნუგეშის
ფოთლები შემაყარესა.

ყველა ჩვენთაგანისათვის მახლობელი და საგებია ამ ნაწარმოების მიზანდასახულობა — ასეთი ქალები და დედები ყველაზე მეტად დღეს ჰირდება ჩვენს ერს და ამიტომაცაა, ავტორი მარიუჩას „ხვალინდელი ქართლის“ იმედად და მხსნელად რომ სახავს.

ლადო სულაბერიძე ოსტატურად აკეთებს მხატვრულ აქცენტებს — საზომების ხშირი მონაცვლეობა პოემას უფრო დინამიურს ხდის. ჩემის აზრით, პოეტს შეეძლო თავიდან ბოლომდე თანაბარი ძალით დაეწერა ეს პოემა, აეცდინა ცალკეული ჩავარდნები, რაც უეჭველად გაზრდიდა პოემის ღირსებას.

„მარიუჩა“ დაწვრილებითი ანალიზის ღირსია და მაშინ ალბათ უკეთ გამოჩნდება ამ საინტერესო ნაწარმოების როგორც ნათელი, ასევე ჩრდილოვანი მხარეები.

როცა დროისგან ჩარღვეულ მშობლის საფლავზე დაწერილი მურმან ლებანიძის ახალი ლექსი („ერთი ზამთარი, ალბათ, იმდენს ვერაფერს იზამს“, № 7) წავიკითხე, მისი ადრინდელი მშვენიერი ციკლი მომაგონდა — „მამა, ბავშვობა, გოგოლის ქუჩა“ — და კიდევ ერთხელ

დავრწმუნდი, რომ ნამდვილი ტკივილი არ ძველდება.

მის მიერ ადრევე დამუშავებულ მოტივებს ორგანულად ერწყმის და ალრმავებს „დათვზე ნადირობა“.

ამ ლექსს რომ ჩაიკითხავ, შეუძლებელია არ აგაფორიაქოს ადამიანთა უსულგულობამ, უაზრო სისასტიკემ. ბუნების წიაღში მოკლეს ცხოველი, რომელიც არცერთ სულიერს არაფერს უშავებდა, ჩირგვებში „ყვავილთან ერთად იზრდებოდა... მისი საარაკო, მშვენიერი ქერო“ და ბალახს „ხბოსავით ძოვდა“. ბევრს ნიშნავს რაიმეს ღრმად განცდა და განცდილის ქაღალდზე უტყუარად გადატანა.

ასევე განცდილი, სულიერი მღელვარებას ნაყოფია მცირე, მრისხანებით სავსე ლექსი „პასუხი“ (№ 7), ვილაც ხელმოცარულის, „სხვისი კაცობის მწუნელის“ გასაკიცხად რომ არის დაწერილი. ერთხანს ვფიქრე, რომ მურმან ლებანიძეს არ უნდა მოეცალა საამისოდ, არ უნდა გაეყადრებინა ბოროტად მჭლაბნელისთვის თავი, მაგრამ აქ ერთი მეტად ტევადი, სიმბოლური აზრით დატვირთული სახოვანი თქმაა:

სხვა თუ არა და, სოფლისთვის
ჩვენ — ძერა აგვიქშევია.

მურმან ლებანიძეს რომ ბევრჯერ გაუწევია ნამდვილი ქირისუფლობა თავისი მამულისთვის, ამის მოწმე ყველანი ვყოფილვართ. მან გულისტკივილითა და მთელი სიმძაფრით დაგვანახა ტყედადავლილი, ბოქლომდაკიდებული სოფლები. აძრწუნებს იმაზე ფიქრი, რომ საქართველოს სხვა მთიანი კუთხეების (თუშეთი, ფშავი, ხევსურეთი) ხვედრი რაჭამაც არ გაიზიაროს. მართლაც სიბრიყვე იქნებოდა, რომ პოეტს, ვინც დაცარიელებულ მშობელ კუთხეში სახლს იშენებს, კერძომესაკუთრული ინტერესები დავწამოთ. მას უნდა ხალხი მიაბრუნოს მამა-პაპათა ნაფუძარზე, ახმაურდეს იქაურობა, „ყრუ ხეობაში — ჭიორაში, გლოლაში, ღებში“.. — აკვნები გაითვალოს. პოეტისავე ლექსებიდან ჩანს, რომ ეს სახიქეთო ძვრა დაწყებულია, ძილის გაფრთხობაში მასაც უდევს წილი. ქართული სოფლების დაცლა და გაველანება ყველა ჩვენგანის უპირველესი სატკივარია, ჩვენი სასიცოცხლო პრობლემა და ქართველმა მწერლებმა მანამდე უნდა შემოკრან განგაშის ზარი, სანამ მის გუგუნს ჩვენს მიტოვებულ მთა-ველებში გამრავლებული ბალღების ჟრიამული არ დაფარავს.

„ანისის ალების“ ავტორს აქვს მშვენიერი თვისება — ერთი სიტყვით, ერთი მისებურად დატრიალებული ზმნით მთელი სურათი გააცოცხლოს. ეს განსაკუთრებით მის პეიზაჟურ ლირიკაშია შესამჩნევი:

დაგრძელდა შემოდგომა, ზამთარი იგვიანებს,
საჩუქრად
ოქროსფერმა
დღეებმა
იკრიალეს...

ყველაზე ბუნებრივად ზმნებს რითმებად იგი იყენებს, ოღონდ ვფიქრობთ, ამ ხერხის გაბატონება ვზას უხსნის ინერციას, სათქმელის ზედმეტად გაიოლებას, რაც ზოგჯერ ერთფეროვნების წყარო ხდება.

მურმან ლებანიძის ტალანტს ჩვენთვის ბევრი სიამოვნება მოუნიჭებია და მისგან მომავალშიც არაერთი სიხარული მოგველის.

ოთარ ჭელიძის ლექსები, მხატვრულ სახეთა ორიგინალურობას რომ თავი დავანებოთ, ადვილად იცნობა თუნდაც განსხვავებული რიტმის გამო, რასაც ჩვეულებრივ საზომებში (შაირი და ათი მარცვალი) სიტყვათა თავისებური განლაგება ქმნის.

ჩანს თვით პოეტს უკვე გაუჩნდა საკუთარ პოეზიაში წლობით დამკვიდრებული რიტმების გადახალისების სურვილი, რაკი ერთ ლექსში იგი ცნობილი თემებისა და მოტივების ახლებურად გარდაქმნას გვპირდება, „ჯერარგაგონილი რიტმით სიტყვის წონადობის შეცვლას“ ფიქრობს.

ერთ პატარა ლექსში ოთარ ჭელიძე მძაფრად გადმოგვცემს ტრაგედიას შემოქმედისა, ვისაც სნეულებამ და ჟამთა სიავემ ვერაფერი დააკლო, მაგრამ „კალმის პაწაწინა წვერმა უღალატა“.

ოთარ ჭელიძის მუზას ასეთი ღალატი არ ემუქრება. ამის საწინდარია თუნდაც „ზამთრისპირის წვიმის“ (№ 6) შთამბეჭდავი, მართალი განწყობილების გადმომცემი სტრიქონები:

მოდის შემოდგომა, მცივა
და ეს უსიამო წვიმა
ჩუმად მიგუბდება სულში,
რომ არ დავემგვანო ცხედარს,
მტკივან თვალებიდან შუშის
წვრილი ნამსხვრევები მწვეთავს.

დასამახსოვრებელი, სურათოვანი ლექსია „კიმპალობა“, ძველ მეგობართან ერთად ჩავლილი წლებისა და ყრმობის ორღობეების გახსენება. ამ ლექსის სტრიქონებში არ გაგვიჭირდება დავინახოთ სიმბოლური პლანი ცხოვრებისეული შემოდგომის ლადგომისა:

კერკად აიშანწლა ალუბალი,
შაშვმა ლეინობისთვე გვიგალობა,
როგორც აუშლელი ნასუფრალი,
რთველმა გვიფეშქაშა კიმპალობა.

მიუხედავად პოეტის გამოცდილი ხელისა და ოსტატობისა, ალაგ-ალაგ ხელოვნური მეჩვენება ბალადა „ჯანღაბის ციხის ღრეობა“. საერთოდ, სასურველი იქნებოდა, თუ ოთარ ჭელიძე ერთგვარად შეამსუბუქებს იმ მონოტონურობას,

ელექტრონული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც ზოგჯერ მის თვითმყოფად პოეზიაში იგრძნობა.

მიხეილ ქვლივიძის პოეზიაში აშკარაა ზოგიერთი მოვლენის პაროდირებისკენ მიდრეკილება. „მნათობში" №( 11) დასტამბული ლექსების ნაწილი სწორედ ამგვარი ხასიათისაა. ერთგან აღწერილია თუ როგორ ყალბ იერს აძლევს „ენად გაკრეფილი მიტინგის თავმჯდომარე" ბლოკის საიუბილეო დღესასწაულს პოეტის მშობლიურ სოფელში. სარკასტულადაა გადმოცემული ვაიორატორის უაზრო ბლუკუნი:

„ბლოკი... ბლოკმაო... ბლოკსო...
ბლოკითო... ბლოკივითო..."
ბლოკს უკავშირებს კოსმოსს
(გაგარინია ვითომ!)...

ჩვენი საუკუნის უდიდეს რუს პოეტს ყველაზე მეტად სწორედ ასეთ ადამიანთა ხელში ჩავარდნა ზარავდა, ეშინოდა არ გამხდარიყო უმეცართა, ხარისხისმაძიებელ ფსევდო-სწავლულთა ლუკმა. გავიხსენოთ ბლოკის ერთ-ერთი უძლიერესი ლექსი „მეგობრებს":

**Печальная доля — так сложно,**
**Так трудно и празднично жить,**
**И стать достоянием доцента,**
**И критиков новых плодить...**

მიხეილ ქვლივიძის სხვა ლექსებიდან გულწრფელობით გამოირჩევა „პირველყოფილი რომ ვიყავ ბიჭი", ოღონდ რითმაში გატანილი ერთი სიტყვის გამო, ხელოვნური მეჩვენება სტრიქონი „ცხოვრება — ყოვლის გამთანაბრელი". კარგი ლექსებია, აგრეთვე, „ვარიაციები", „№-ს", „ჩემი დავთარი". უკანასკნელში რამდენიმე მახვილი, ირონიით შეფერილი ავტობიოგრაფიული შტრიხია.

ერთ შარშან დაბეჭდილ სადა, გარეგნულ ბრწყინვალებას არიდებულ მცირე ლექსში მიხეილ ქვლივიძე ამბობს:

ვერ ამოვედი ქვეყნის ვალიდან,
ვერ გავამართლე მგოსნის წოდება.
ალბათ მე თვითონ შესაბრალი ვარ, —
მე კი რატომღაც სხვა მეცოდება.

ასეთი თავმდაბლობა და კეთილშობილური მოქალაქეობრივი პოზიცია ბუნებრივია მისგან, ვინც იმ „სხვაში" საკუთარ თავსაც ხედავს და მოყვასის სიყვარული ადამიანის უმაღლეს დანიშნულებად მიაჩნია.

მორის ფოცხიშვილის ლირიკამ ბოლო ხანებში მეტი სიმძაფრე შეიძინა. ეს „მნათობში" (№ 1) გამოქვეყნებულ ლექსებშიც („არიქა, ჩქარა", „გარინდება", „დოლი" და სხვ.) შეიმჩნევა.

მეორე თვალშისაცემი თვისებაა უკიდურესად მცირე ფორმებისკენ ლტოლვა, ზოგჯერ სათქმელის ორ ან ერთ სტრიქონშიც გადმოცემა. ამ დროს ფრაზა მაქსიმალურად ტევადი ხდება, სურათი მკვეთრი, ასოციაციათა მთელი ჯაჭვის აღმძრავი.

იაპონურ „ტანკას" გვაგონებს სამ სტრიქონად დანაწილებული „უამინდობა", რომელშიც ერთადერთი დეტალი წარმოგვიდგენს უამურ დღეს — ღრუბლის ჭუჭრუტანიდან დასხლეტილი სხივი ფიზიკური სიცხადით შეიგრძნობა:

სულ ერთი პეშვი მზე გდია გზისპირ
და ხვლიკი
სწორედ ამ მზეზე თბება.

სიცოცხლის ხანმოკლეობის განცდა და ყოველივეს მოსწრების მძაფრი სურვილი ჩანს გონებამახვილურად მოფიქრებულ მინიატურაში „ტრასაზე":

ნუ გადამირბენ წინ, გაზაფხულო! —
ჩემი ცხოვრება
ასი ცხენის ძალის სიჩქარით
თავს იმტვრევს ახლა
იმ დიდ ტრასაზე,
სადაც ცალმხრივი მოძრაობაა, —
მიდიან იქეთ,
მაგრამ აქეთ არავინ მოდის.

„ცალმხრივი მოძრაობის ტრასა" — ცხოვრება — მარჯვედ მიგნებული მეტაფორაა და ქართული ზღაპრის ცნობილი ფორმულაც („იმ გზაზე წასული ბევრი მინახავს და მობრუნებული — არავინ") ოსტატურად არის სახეცვლილი და გამოყენებული ბოლო სტრიქონში.

რა თქმა უნდა, ეს არ არის მორის ფოცხიშვილის ძირითადი ხაზი, მაგრამ მაინც ასეთი დასამახსოვრებელი გამონაკლისები სრულიად სხვა ელფერს აძლევს მის პოეზიას.

ზურაბ კუხიანიძის ლექსებს ხშირად მელოდია წარმართავს, თითქოსდა სასიმღეროდ დაიწერათ. სწორედ ასეთია „მნათობში" (12) გამოქვეყნებული პირველივე ლექსი „უკან ნუ იხედები", რომლის დედააზრი ის არის, რომ კაცმა საკუთარ რწმენას და სალოცავს არ უნდა უღალატოს, საკუთარი თავი და ნაფიქრალი არ გაყიდოს. რეფრენის ვარიაციებში იგრძნობა გაფრენილი სიჭაბუკის სევდანარევი მოგონება:

უკვე თვალს მიეფარა
უნაზესი ხედები...
უკან ნუ იხედები,
უკან ნუ იხედები.

გარდაცვლილ ახლობელთა ძვირფას სახეებს აცოცხლებს ლექსი „გადიდებული სურათები". მზეგადასულთა პორტრეტები „ძველი ხატების" მსგავსად ჰკიდია კედლებზე, ისინი თვალებში შემოგვცქერიან და სულს გვიფორიაქებენ.

წყვდიადში კიდევ უფრო მძაფრდება მათი სიახლოვის განცდა და უძველესი მეტაფორაც ახალ შეფერილობას იღებს:

როცა საფიქრალს გადაურჩები
და დაივიწყებ ხატებს სრულებით...
ფანჯრებს აწყდება ღამის პეპლები —
მოხეტიალე მათი სულები.

ურიგო ლექსი არაა „ცხენი თოვლში“, სადაც მანქანისგან გატანილი ცხოველის წამებით სიკვდილია აღწერილი. დაუვიწყარია ტკივილისგან ყბააკანკალებული „თეთრ სუდარაში გახვეული ცხენის“ აგონია, მაგრამ ამ ლექსში გვხვდება ზოგიერთი ხელოვნური ადგილი:

ვით „ი“ „დედაენიდან“
გადმომხტარი მალვით,
თოვლში ეგდო დღეიდან
უსარგებლო ნალი.

ზურაბ კუხიანიძეს აღარ ეპატიება ასეთი დაშვებული სტრიქონები; მეტი უნდა მოსთხოვოს საკუთარ თავს.

ვახტანგ ჯავახაძეზე დაახლოებით იგივე უნდა გავიმეორო, რაც ადრე ვთქვი. „მხათობის“ ციკლში (№ 8) კიდევ უფრო ჭარბია ირონიული ნაკადი. დაუვიწყარია ერთი იუმორესკა, რომელშიც „დანომრილი მუზების“ სამკვიდროა აღწერილი: მეცხრე სართულზე მცხოვრები ლიტერატურული აშორდია ნათურას მთელი ღამით ანთებულს ტოვებს და ათას სანერვიულოს უჩენს რამდენიმე კოლეგის ცოლებს, რომელთა ქმრებმაც სიტყვასთან დაძაბულ ჭიდილს ძილი ამჯობინეს. სტრიქონებში დროდადრო კრთება თითქოს უწყინარი, მაგრამ გულში მოსახვედრი ირონია. აი ერთი დეტალი:

ღამე ავსებს უჯრედებს — დღისით
გამორჩენილებს,
ისე სძინავთ ცნობილებს, როგორც
გამოჩენილებს.

მეცხრე სართულზე კი, სხვების გულის გასახეთქად, ისევ და ისევ ანთია შუქი.

ერთ საყურადღებო ლექსში („კვლავ მომენატრა წვიმა“) მტვრიან ქალაქიდან გაქცევისა და თავსხმით ახმაურებულ ტყეში ხეტიალის მძაფრი სურვილია გამოთქმული, რათა კაცმა სული გაინედლოს, გათავდეს „ლექსების გვალვები“. ნიშანდობლივია, რომ სახლ-კარს მოშორებულს აზროვნება და მეტყველება კვლავ დიდ ქალაქში მცხოვრებისა რჩება, ურბანისტული; ბუნების მოვლენებსაც ამ თვალით უყურებს: „და წავიკითხავთ ერთად ელვის კ ა რ დ ი ო გ რ ა მ ა ს“.

„რიცხვთა მაგიით“ გატაცება თუ ცნობილ ხელოვანთა და ლიტერატურულ პერსონაჟთა დაწყვილებული ჩამოთვლა ვახტანგ ჯავახაძის ლექსებში ზოგჯერ ძალზე ეფექტურია, მაგრამ ყოველთვის ვერ აღწევს სასურველ შედეგს, ავტორის სურვილის საპირისპიროდ, სხვა ელერადობა ეძლევა, სიტყვების თამაშს გვაგონებს. მაგალითად:

იწყება რეპეტიცია:
იწვევენ ბახი და ბიზე
ეროვნული ბიბლიოთეკა
ტაბიძეს (არა ტიციანს),
ტიციანს (არა ტაბიძეს).

ადრე ნახსენებთა გარდა, აქ დაბეჭდილი ლექსებიდან, პირადად მე მომეწონა „წადი, ნახე სახელმწიფო მუზეუმის სეიფი“, „რეჟისორებო, სცენაზე“, „ზოგიერთმა სტრიქონმა“... „წიგნების კედელს მისდგომია წიგნების ჭია“... ვახტანგ ჯავახაძისაგან ყოველთვის ველი ნამდვილ, საინტერესო სიახლეს.

ორიოდე სიტყვა მინდა ვთქვა ჯემალ ინჯიაზე. უბრალოებითა და მართალი გრძნობით გამოირჩევა მისი ლექსი „სიცოცხლის ხარება“ (№ 7) — გაუხარელი და მაინც ხალისიანი ბავშვობის მონატრება, გახსენება ომის წლებისა, როცა ნახერხით გატენილ ჭინჭის ბურთს ბოშა ქალები ათ შაურად ყიდდნენ და უბნის ბიჭები ერთმანეთს ასკდებოდნენ შეჯიბრებაში. ავტორი ზუსტად ამბობს: „ორცხობილასავით გადამალული ფულით ჩვენსავე სიყრმეს ვიძენდითო“.

ჯემალ ინჯიას ადრინდელ ლექსებში გაბატონებული იყო ზედმეტად გრძელი და ხელოვნური, კალამბურის ზღვარზე მისული რითმა, რაც ხშირად, არასასურველ ეფექტს აზდენდა. ამას ახლა შესამჩნევად იკლო, მაგრამ „რეციდივები“ მაინც შეინიშნება. ერთ ლექსში („საჭიდაო“) ნათქვამია, რომ ვიღაც მოჭიდავე გორაზე სრასახლეს იშენებს. საძირკვლის გათხრისას ბარს ადამიანის ძვლები ამოყვება. შემდეგ წარმოსახვაში ჩნდება სურათი — თავის ფართო აივანზე ეს გაბღენძილი მოჭიდავე კმაყოფილი პრესას ათვალიერებს — რასაც მოსდევს პოეტის შეგონება:

ვის საფლავზეც ვხარობთ, როგორც
ფარვანანი,
იქნებ თავი გულუბრყვილოდ ჰგონია შინ,
ის ვაჟკაციც იქნებ იყო ფალავანი
რომელიმე წონით კატეგორიაში.

ეს პოეზია ნამდვილად არ არის. ასეთ სტრიქონებზე შეიძლება მხოლოდ გაგვეცინოს, ხოლო სიკვდილთან ხუმრობა, თუნდაც უნებლიე, არ ვარგა. სასურველია, სხვა დროს, ჯემალ ინჯიამ მეტი დაკვირვება გამოიჩინოს.

კარგ საქმედ მიმაჩნია ნოდარ ჯალაღონიას მიერ დამუშავებული „ძველი კოლხური ჰანგები“ (№ 5) ავტორი წინათქმაში ამბობს „ზოგიერთი სტრიქონი და სტროფი თარგმნილიც კი არისო“. ასეთად პირველ რიგში უნდა მივიჩნიოთ ცნობილი სიმღერა „დიოვ, ნანა“:

დიო, დიოვ, დიოვ, ნანა,
დიოვ, რას მემართლები.
შეაჭამე ტურებს განა,
ჩემი თეთრი ბატები?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბუნებრივად იკითხება ხალხური კარნავალური აზროვნებით აღბეჭდილი ლექსი „ულელში შებმული ბულბული“:

ღმერთო ჩემო, რას ვუყურე,
გული ახლაც დამაქვს მკვდარი,
მაყშალია ება ურემს,
ვარდს უმღერდა სახედარი.

კონტრასტებზე, ადგილშენაცვლებაზე დამყარებული აზროვნება თავისი წარმოშობით ხალხურია და იგი ძალზე ხშირად გვხვდება აკაკის შემოქმედებაშიც.

შეიძლება ნოდარ ჯალაღონია კოლხური მოტივებისადმი სანიმუშო ერთგულებას იჩენს, მაგრამ ზოგიერთი სტროფი აშკარად არაესთეტური გამოვიდა:

შენი ჩონგურის სიმი მქნა,
ზედ ბროლის თითებს მისვამდე,
ან შენი ფეხსაცმელი მქნა,
ყოველდღე ფეხზე მიცვამდე.

სასურველია, ნოდარ ჯალაღონიამ გააგრძელოს „ძველი კოლხური ჰანგების“ დამუშავება და ცალკე წიგნადაც გამოსცეს.

სასიამოვნოდ დამრჩა ნელი გაბრიჩიძის რამდენიმე ლექსის წაკითხვა (№ 8). მართალია, მათში უფრო მინორული განწყობილება შეიგრძნობა, მაგრამ ეს სევდაც ადამიანურია, პოეზიამდე ამაღლებული. კარგია პირველივე ლექსი „მე ვარ დონორი“, სადაც ნათქვამია თუ როგორ წვეთ-წვეთად მიაქვთ პოეტის სისხლი ფერმკრთალ სტრიქონებს, გაზაფხულის სიმწვანე რომ ჩადგეს ლექსების ღეროში.

მახვილგონიერი და ღრმა ქვეტექსტის შემცველი მეჩვენება ფინალი:

კაცმა არ იცის,
რომელი ჯგუფის სისხლს ითხოვს ია...

გულწრფელ ალსარებად გაისმის მეორე ლექსიც „ჩემსავ სურვილებს განვერიდე“..., მაგრამ აქ ყურს უხეშად ხვდება ერთი ხელოვნური შესიტყვება: „შუქთ მტანჯაობით“.

ყველაზე გულწრფელ ნაწარმოებად მიმაჩნია ერთი ვერლიბრი „ღელეებიდან ამოსული მწვანე ჭინკებო“, რომელშიც პოეტი ყრმობის ჭალაკებს, სოფლის კრიალა ცას მისტირის. აქ განსაკუთრებით მგრძნობიარე და დრამატულია სტრიქონები:

რა მეგობრობა შემიძლია ან რად მენდობით,
როდესაც ლექსში აღებული რაღაც გროშებით
ხორბლის მარცვალს კი არ ვყიდულობ
ბეღურებისთვის,
არამედ აბებს საძინებელს
და თვითვე ვკენკავ?!
თქვენც ეს მოგელით,
თუ მშობლიურს დატოვებთ მინდვრებს.

სხვა ლექსებიდანაც შეიძლებოდა რამდენიმე კარგი სახის ამოწერა, მაგრამ საერთო შთაბეჭდილების შესაქმნელად, ვფიქრობ, მოტანილი მაგალითებიც საკმაოა.

იზა ორჯონიკიძე „მნათობის“ (№ 11) რკალშიც ინარჩუნებს და აღრმავებს თავისი ლირიკის საუკეთესო თვისებებს; პოეტის შეგნებაში თანდათან მძაფრდება და იზრდება „ომივით გადახდილი ახალგაზრდობის“ ფასი, კვლავ გაიელვებს მოულოდნელი ხილვები, მაღალი პოეტური ძაბვით დამუხტული სტრიქონები. მის ლექსებში ადვილია მღელვარე პოეტური ტემპერამენტითა და ხელშესახები პლასტიკურობით აღბეჭდილი, განწყობილებისმიერი ფრაგმენტების გამოცალკევება. ეს ზოგჯერ ხელსაც კი უშლის ლირიკული კომპოზიციის მთლიანობას, მაგრამ მეტწილად ამგვარი ემოციურად დატვირთული ადგილები ლექსის აღმავალ რიტმს ემსახურება:

უკანასკნელო ჩემო მაისო,
გადამიმწვანე
ლოდი და რიყე,
მინდა
სამარე
ვარდით ამივსო,
მინდა,
ქორწილი ეგონოთ ბრიყვებს.

კარგად დამამახსოვრდა სხვა ლექსიდან ასეთი თავისებურად დანახული სურათი:

და შეფერილი
სიცოცხლის ფერად,
მიმორბის ხვლიკი,
ოდითგან მფრთხალი...

„პროზაული ეტიუდებიდან“ აზროვნების სიღრმითა და ხატოვანებით გამოირჩევა მე-6 და მე-7 პაწია თავები. საერთოდ, იზა ორჯონიკიძემ მეტი უნდა იფიქროს ნაწარმოების შინაგან მთლიანობაზე. ზოგჯერ მისი სტრიქონი ისე, რომ ამის საჭიროება არ ჩანს არც ინტონაციურად და არც გრაფიკული თვალსაზრისით, ზედმეტად არის დატეხილი, დანაკუწებული. ამას იოლად მოევლება.

კარგია, რომ „მნათობმა“ ტრადიციულ მარტის ნომერში ასე უხვად დაუთმო ადგილი ჩვენს პოეტ-ქალებს; გვახარებს რამდენიმე მათგანის (ნანა ლვინეფაძე, ბელა შალვაშვილი, ქრისტინე ჭინჭარაული და სხვ.) გულწრფელი სტრიქონები.

უთუოდ საყურადღებოა ბესიკ ხარანაულის ორი დიდი ლექსი „გაზაფხულის პირველი დღე“ და „სირცხვილის შემდეგ“ (№ 7), რომელთაც კვებავს კაცთა მოდგმის ყოვლისმომცველი და უბერებელი თემა — „სიყვარული, რომელიც აკლია სუყველას“. ორივე მიმართვის ფორმითაა დაწერილი, მაგრამ შინაგან მონოლოგად აღიქმება.

პირველში თითქოს ავანსცენაზე გამოსული მოხეტიალე პოეტის იმპროვიზირებულ აღსარე-

11. „მნათობი“, № 6.

ბას ვისმენდეთ. აქ მოხერხებულად არის შეზავებული ლირიზმი და ირონია. იგრძნობა ხაზგასმულად დინჯი მეტყველება, პროზაული ელემენტებიც ჭარბია.

მეორე ლექსი — „სირცხვილის შემდეგ" მარადი ქალწულისადმი მიმართული, მეტი ექსპრესიით დაწერილი, მე უფრო მომეწონა. ალაგ-ალაგ შეგნებულად არის გამოყენებული სახარების ინტონაციები („რატომ დამივიწყე, მე, მარიამ"...), მაგრამ ეს მაინც გარეგნული მსგავსებაა. სადად, ფერ-უმარილის გარეშეა გადმოცემული უპასუხოდ დატოვებული ძლიერი გრძნობის ჩუმი ამბოხი:

მაგრამ წავიდა...
დღე წავიდა,
ღამე წავიდა,
მთვარე წავიდა,
სატრფო წავიდა,
და ცხოვრებამაც წარმავალ
გრძნობების ხეივანებით
ჩაიარა, წავიდა.

ეს ერთადერთი ზმნა („წავიდა") დიდ ტვირთს ეზიდება, მჭიდროდ იტევს თავის თავში გრძნობების, მთელი ყოფის ეფემერულობას. შორეულად „ეკლეზიასტეს" ცნობილი ფორმულა გვახსენდება („ნათესავი მოვალს და ნათესავი წავალს...).

სხვაგან პოეტი უფრო კონკრეტულია და მცირე დეტალს ზემოქმედების ასეთივე ძლიერი უნარი გააჩნია:

როცა ქარი ქრის,
იგი ვიცი, საიდანაც ქრის,
მას შეუძლია
მე ქალაღდის ნახევთან ერთად
შემაგდოს უცხო სადარბაზოში,
რათა ვიხილო ქალი — ზევით,
სადაც კიბე უჩინარდება...

ზოგიერთი ადგილი ამავე ლექსში უფრო მიამიტური თუ ხელოვნური მეჩვენება. კონტაქსტს ამორიდებული ციტატა, ჩვეულებრივ, აგებს, მაგრამ ეს სტრიქონები, მე მგონია, სახამუშოა:

გზაჯვარედინზე
სიგარეტს რომ ვუკიდებდი
მანქანების გამოჯავრებით,
მაშინა მნახე?!

თითო-ოროლა არაზუსტი სტრიქონის მოტანა კიდევ შეიძლებოდა ორივე ლექსიდან. მაგრამ ეს მათს ნამდვილ ღირსებას ვერაფერს დააკლებს.

„მნათობში" №( 4) დაბეჭდილი ლექსები ვერ გვიქმნის სრულ წარმოდგენას თედო ბექიშვილის შესაძლებლობებზე, იმ ნაირგვარ ფორმებსა და გამოსახვის ხერხებზე, რასაც იგი ფლობს, თუმცა პოეტის ოსტატობაზე თამამად შეიძლება ვილაპარაკოთ იმ თეთრი და თავისუფალი ლექსების მიხედვითაც, უშუალობითა და ლაღი მდინარებით რომ გვიზიდავს, ასეთებია: „თქვენ ახლა გძინავთ", „შენ ჩაიარე", „აქ ბედნიერი ფრინველი სტვენდა"... ერთ მათგანში მეტად ზუსტი, ნიშანდობლივი თვითდახასიათება გვხვდება: „ჩემი სტრიქონის ყრუ მელოდია". ეს თვისება თანაბრად მოიცავს თედო ბექიშვილის, როგორც ურითმო, ასევე რითმიან ლექსსაც მისი სტრიქონი მართლაც არ არის ევფონიურად ხაზგასმული, ჟღერადი, მაგრამ სხვანაირი ღირსება და სილბო გააჩნია, თავისებური ხავერდოვნება, ნახატი სუფთაა და წახნაგებმომრგვალებული, თვალში ზედმეტად არაფერი გეჩრება. მისი მეტყველება საგრძნობლად უახლოვდება საუბრო ინტონაციას, მაგრამ ამით მიმზიდველობა არ აკლდება:

აქ ბედნიერი ფრინველი სტვენდა.
მისი გალობის თვითეულ ბგერას,
როგორც ხიჟარა ზღვების შრიალს —
ისე ვაგროვებ.
ამქვეყნიური ყაყანისაგან დაოსებული.

ჩნდება სურვილი — თედო ბექიშვილის ლექსებმა დროდადრო მეტი სიმკვრივე და ენერგია შეიძინოს, უფრო მძაფრად გადმოსცეს პოეტის მგრძნობიარე სულის მღელვარება.

დილარ ივარდავას ლირიკული პოემა „რტოები არ იმსხვრევიან", წინაპართა კერასთან სისხლხორცეულ კავშირს ეხება. საზომთა მონაცვლეობა აზალისებს, დინამიზმს მატებს ამ ნაწარმოებს. ზომიერად, თავის ადგილზეა გამოყენებული კოლხური მოტივები, ავტორის მრწამსი სადად, გულახდილი საუბრის ტონით არის გადმოცემული მშობელი მიწის სიყვარულით გამთბარ სტრიქონებში:

მამის კზოვ და
წარსულის სუნთქვავ,
ჩემო სევდავ და ჩემო იმედო,
ფიფქივით მინდა რომ დარჩე სუფთა
და წუხილისთვის არ გამიმეტო.

ამ ნაწარმოებზე ალბათ მაშინ ილაპარაკებენ უფრო კონკრეტულად, როცა თანამედროვე პოემის პრობლემებზე გაიმართება საუბარი.

გივი ალხაზიშვილის მოზრდილი ურითმო ლექსი „დიალოგი — ფიქრში" (№ 5), შემოქმედი ადამიანის დროსთან და სივრცესთან, გარემომცველ სამყაროსთან მიმართებას ეხება; უზენაესი საიდუმლოსა და ციური მნათობებიდან დაძრული, მოუხელთებელი მუსიკის წვდომას ესწრაფვის ლირიკული გმირი. თემის სირთულიდან გამომდინარე, ლექსს აკლია კონკრეტულობა. ზოგიერთი მონაკვეთი („მდუმარებაში როგორც აკორდი", „მე ვემატები წარსულს თანდათან") ნამდვილად ოსტატურად არის დაწერილი. საერთოდ, მიმაჩნია, რომ გივი ალხაზიშვილს მეტი ხარჯვა და მსხვერპლი მოეთხოვება, თუმცა ამავე ლექსში თვითონვე ამბობს, რომ ადამიანმა

„ღვთით ბოძებული დაუნანებლად“ უნდა გაილოს.

ოსტატობა და განცდა თითქოს არ აკლია, მაგრამ ნაკლებად მომეწონა ჯარჯი ფხოველის თავისუფალი ლექსი „ცათამბჯენის ფუძის ანგელოზი“ (№ 5). აქ დამაჯერებლადაა გადმოცემული დიდი ქალაქის სმოგითა და უძილო ღამეებით გაწამებული კაცის შფოთვა, მაგრამ ზოგიერთი სტერეოტიპულად აგებული სახე („უხსოვრობის ხეობებიდან“.., „მოლოდინის გრდემლზე ნაკვერი“..., „ბეტონის ღმერთის ფარეხიდან“... და სხვ.) ანელებს ემოციას.

სამაგიეროდ, სხვა შემთხვევაში, მისმა სათქმელმა მეტი ძალა და აზრი შეიძინა, როცა ზუსტი ტონი და ფორმა მოუძებნა ზნედაცემულ ნაძირალებისგან ჩაპლინის ცხედრის მოტაცებას ტელეკამერებისა და მაგნიუმის შუქზე ალაპლაპებული ობიექტივების წინ გენიალური მსახიობის გადამალული კუბოს გამოჩენისას პოეტს მარჯვედ და ძლიერად აქვს მოხმობილი ქრისტეს აღდგომის მისტერია. ვფიქრობთ, ჯარჯი ფხოველმა მეტი უნდა წეროს ასეთი მცირე მოცულობის ლექსები.

ურიგოდ არ არის დაწერილი ირაკლი ბაზაძის მოზრდილი ვერლიბრი „მონოლოგები“ (№ 7), სადაც ახალგაზრდა კაცის მარადიულ პრობლემებზე დაფიქრება ჩანს; თავისებურადაა არეკლილი სამყაროს მრავალსახეობა, ერთმანეთზე გადაჯვარედინებული სიკვდილ-სიცოცხლე. მეტყველი სიმბოლოა „მკლავლონიერი ქაბუკების“ მიერ ბალახის ცელვა, მაგრამ მზე ჩადის და ამოდის, მდინარეც ზღვას ერთვის და ამ სიცოცხლისა თუ დავიწყების ბალახის ამოსვლას ვერაფერი დააკავებს:

> კარგია, როცა სწერს ბალახი ყველაზე
> ძვირფას
> მიწის სიმღერას
> დავიწყებულ სამარის ბორცვზე.

ყველა სტრიქონი, სამწუხაროდ, ასეთი ლაღი და გამჭვირვალე როდია, ალაგ-ალაგ რიტმი იბორკება, არც ისე იშვიათად გვხვდება უსაგნო, ცარიელი სტრიქონები, რაც ამ ნაწარმოების მთლიანობას ხელს უშლის.

საინტერესო პოეტურ აზროვნებას ამჟღავნებს მზია ხეთაგური. იგი ხშირად მიმართავს ვერლიბრს, მაგრამ ფლობს ტრადიციულ ფორმებსაც. ეს გვაჩვენა მისმა პირველმა წიგნმაც. „მნათობში“ (№ 11) სულ სამი ლექსია გამოქვეყნებული. ჩანაფიქრითა და დაწერის მხრივაც უფრო მომეწონა „მეტროში“. შედარებით მოშვებული და მიამიტური მეჩვენა „ნივთი“, სადაც ავტორი რომელიღაც ქონებაზე დახარბებულ ქალბატონს უმტკიცებს, რომ ოქრო-ვერცხლზე და ბრილიანტებზე გამოდევნება არ ღირს, რადგან ადვილად შეიძლება ეს სამკაულები ერთ დღეს დავკარგოთ ან სულაც მოგვპარონ — ამიტომ ისეთ „სამკაულებთან“ უნდა იქონიოს საქმე, მუდმივი რომ არის: „სიკვდილი“, „ლალატი“, „ერთგულება“, „სიყვარული“ და ა. შ. რაც საკვირველია, პოეტი ქალის კეთილშობილურ განზრახვასთან და თვით ლექსის პათოსთან არაფერი მაქვს საწინააღმდეგო. უბრალოდ, ზუსტი ტონი ვერ მონახა ავტორმა, ზედმეტსიტყვაობაში გადაიჭრა.

ბალათერ არაბულმა პირველივე წიგნით მიიქცია ყურადღება და „მნათობში“ (№ 4) გამოქვეყნებული ხევსურულ მოტივებზე დაწერილი ლექსები მისი მთავარი თემის ნაირსახეობას წარმოადგენს. უფრო ნიშანდობლივი და მეტი ტკივილის დამტევია ლექსი „ხევსურეთი“:

> დაშლილ ლობეზე იჯდა მამალი,
> (მამალი, რა თქმა უნდა, ამალით)
> . . . . .
> ბევრის მომსწრე და
> ბევრის მომთმენი
> იქვე ლობესთან იჯდა თოთელიც.
> თოთელს გულ-ღვიძლში ეჯდა მაცილი,
> თოთელს შვილ-ბოლო ჰქონდა გაცლილი.

ერთხელ რევაზ ინანიშვილმა თქვა, მთიდან მოსულმა ახალგაზრდა პოეტებმა ძალზე ლამაზად დაიტირეს თავიანთი უნუგეშოდ მიტოვებული კუთხეო. ქირისუფლობა კარგია, მაგრამ ზარისა და ვლოვის ხმას სჯობს მათვე იზრუნონ, რათა ჩვენს დაცარიელებულ მთიანეთში სიცოცხლე აღორძინდეს.

ბალათერ არაბულს ბევრი გარჯა და შემოქმედებითი წვა მართებს, საკუთარი სახე რომ გამოკვეთოს, მისმა სტრიქონმა მეტი ძალა და სიახლე შეიძინოს.

ვანო ჩხიკვაძის პოეტურმა ოსტატობამ საგრძნობლად იმატა ბოლო წლებში. ეს „მნათობის“ (№ 7) ლექსებსაც ეტყობა. ერთი ლექსის ფარგლებში სხვადასხვა საზომებს იგი ბუნებრივად უხამებს ერთმანეთს და განწყობილებაც ძალდაუტანებელი ჩნდება, ხატი მიმზიდველი და იოლად წარმოსადგენი:

> ჩამოიარა ძველმა მევალემ —
> ჩამოაშავა უფოთლო ხე ნოემბრის წვიმამ...

ან კიდევ:

> გაცვივა მწიფე ალუბალი,
> მიტყუპებულ მუხლისთავებზე,
> პეპლის ფრთებივით კანკალებენ შენი
> ხელები.

გამახსოვრდება მცირე ლექსი „სარკე“, სადაც ქალს აძრწუნებს შეუმჩნევლად გაჩენილი ნაოჭი და მისი დანაღვლიანებული ორეულის ალმბეჭდავი ნივთი სხვა, „შედარებათ ბნელ ოთახში“ გააქვს.

ყველაფერი ეს კარგია, მართალი და ლამაზი, მაგრამ ვანო ჩხიკვაძის ლექსებს არ ავნებდა, მათში მეტი გულისშემძრავი დრამატიზმი და დინამიურობა რომ იყოს. ამის მონაცემები პოეტს აქვს.

* * *

ზედიზედ ორჯერ გამოვიდა კრებული „პოეზია უპირველეს ყოვლისა“. იგივე „პოეზიის დღე“, რომელმაც მკითხველი საზოგადოების დიდი ინტერესი და მოწონება დაიმსახურა. იმთავითვე აშკარა გახდა კრებულის უპირატესობა ერთდროულ გაზეთთან შედარებით, მანამდე რომ გამოდიოდა.

ამჯერად ჩვენ საშუალება არა გვაქვს ცალკცალკე მიმოვიხილოთ თუნდაც ბოლო კრებულში შეტანილი მასალები, ზოგად შთაბეჭდილებას უნდა დავჯერდეთ. პოეზია ღარიბულად არ გამოიყურება, დასაწუნებელი ნამდვილად არ გახლავთ, მრავალი სხვადასხვა ასაკის, ტემპერამენტისა და ხელწერის პოეტია დაბეჭდილი, ჩანს ის დონე და ძირითადი ტენდენციები, ჩვენს დღევანდელ ლირიკას რომ გააჩნია. და მაინც, უფრო მრავალფეროვანი და საინტერესო, ჩემის აზრით, კრებულის წერილებია. არა მგონია, მარტო მე გამჩენოდა. ამგვარი აზრი. ამ გარემოებას სამომავლოდ ანგარიში უნდა გაეწიოს. მოწონების ღირსია თარგმანების განყოფილებაც. თარგმანი, როგორც ვიცით, ლიტერატურის გამდიდრების ერთ-ერთი უმძლავრესი წყაროა და მას შემდგომ კრებულებშიც საპატიო ადგილი უნდა დაეთმოს.

კარგი იქნება თუ „პოეზიის დღის“ გასარჩევად საგანგებოდ მოიცლიან ჩვენი მწერლები და თავიანთ კონკრეტულ წინადადებებს გამოთქვამენ იმ პრობლემებზე, ასეთი ტიპის კრებულის გამოცემისას რომ წამოიჭრება.

უთუოდ დიდი მადლობის ღირსნი არიან „პოეზიის დღის“ შემდგენელნი — პოეტები — ტარიელ ჭანტურია და ვახტანგ ჯავახაძე, რედაქტორი — ჯანსუღ ჩარკვიანი; აგრეთვე, გამომცემლობა „მერანის“ კოლექტივი, რომელთა უანგარო მეცადინეობითა და მონდომებით ეს კარგად გაფორმებული კრებულები დროულად გამოვიდა.

აქვე სინანულით გვინდა აღვნიშნოთ, რომ „პოეზიის დღის“ ტირაჟი (7.000 ეგზ.), ოდნავადაც არ შეესაბამება იმ გაზრდილ მოთხოვნილებას, რასაც ამ კრებულების მიმართ ჩვენი ხალხი იჩენს. ვისურვოთ, მომავალში მაინც მოგვარებულიყოს ტირაჟის საქმე, რათა პოეზიის ყველა მოყვარულმა შესძლოს ამ წიგნის შეძენა.

* * *

„მნათობისა“ და „ლიტერატურული საქართველოს“ მხოლოდ შარშანდელ ნომრებს რომ გავადევნოთ თვალი, დავრწმუნდებით, რომ დღევანდელ ქართულ პოეზიაში თემატური მრავალფეროვნებისკენ ლტოლვის გარდა, ინტენსიურად მიმდინარეობს ფორმისმიერი ძიებანი. შესამჩნევად მომძლავრდა ვერლიბრი, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, ტრადიციულმა ლექსმა დათმოს თავისი პოზიციები და შემდგომი გაღრმავება-განახლება არ განიცადოს.

მათ მიმართ, ვინც გვერდს უვლის, ხელაღებით უარყოფს ტრადიციულ ლექსს, ერთი ეჭვი იბადება; საზომებში ჩაჭედილი „არტახების“ გარღვევა, ბგერითი ჰარმონიის, მკაცრად მოწესრიგებული მუსიკალობის დარღვევა რომ მოგინდეს დროდადრო, ეს გასაგებია, მაგრამ არცერთხელ რომ არ ეცადო საუკუნეობით განმტკიცებული ჰარმონიულობის მიღწევას (ვგულისხმობ კლასიკური ფორმების ახლებურ ფორმას), ეს ნაკლებად მესმის.

ძნელი დასაჯერებელია, ქართველ პოეტს ყველაფერი ვერლიბრის სახით და ტონალობით მოსდიოდეს თავში. თუმცა ამაზე ამჯერად არ ღირს სიტყვის გაგრძელება. ვერლიბრის პრობლემას, ტრადიციული ლექსისადმი მის მიმართებას საგანგებო, კარგად ორგანიზებული დისკუსია უნდა მიეძღვნას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

**ზაქარია შერაზადიშვილი**
პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი

# „არჩევანი-არადანის“ განმარტებისათვის

„არჩევან“-„არადანის“ წესით მოთამაშეთა გუნდებად განაწილების სიხარული ვისაც უგემნია, ალბათ ამ სიტყვების ნამდვილი მნიშვნელობის გაგებაც მოსურვებია, მაგრამ ვერაფერს გამხდარა, რადგან მათი თავდაპირველი შინაარსი დიდიხანია ყველა ქართველს დაავიწყდა. ამიტომაც ეს სიტყვები თითქმის აუხსნელი დარჩა თვით ქართულ განმარტებით ლექსიკონსაც, რამდენადაც სიტყვა „არადანზე“ მოცემული ახსნა ამ სიტყვის სრულ ახსნად, განმარტებად ვერ ჩაითვლება:

„არადანი... ორგუნდიანი თამაშობისას — თამაშობის დაწყებამდე ერთ-ერთის „დედა“ დაასწრებს და დაიძახებს „არჩევანი მე“-ო, მაშინ მეორე იტყვის: „არადანი მე“-ო. ამის შემდეგ „დედები“ დაიწყებენ მოთამაშეთა არჩევას (გაყოფას). პირველად ირჩევს „არჩევანის“ მთქმელი, მერე — „არადანისა“... გადატ. არჩევის უფლება მეორე რიგში, ვისმე შემდეგ...“

ეს არის და ეს!

„არდის“ ჯერჯერობით ყველაზე ადრინდელი განმარტება მოცემულია სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში:

„არდი, აწ (კავშ.). (წამთან ნახე) B.“ „არდიფრე. მყის (კავშ.) (+იჩქითი B)“

„წამი. აქუს ჟამსა ერთსა **წამი** სამოცი; წამსა ერთსა — **წუთი** სამოცი; **წუთსა** ერთსა — **კესი** სამოცი; კესსა ერთსა — **მასი** სამოცი; მასსა ერთსა — **არდი** სამოცი; არდსა ერთსა — **მეყი** სამოცი“... „თვალის ქუთუთოთა ნიშნება“.

მაშ, სიტყვა „არდი“ ორივე შემთხვევაში დროის გარკვეულ მონაკვეთზე მიუთითებს.

არდის დაახლოებით ასეთსავე მნიშვნელობას ადასტურებს ნიკო ჩუბინაშვილის განმარტებაც:

„არდი“, არდიფრუ ანაზდი (ნახე ჟამი) (კავშ.)...

„ჟამი, დრო განსაზღვრებული... ჟამსა აქვს 4 წენტილი, წენტილსა — 15 წამი, ანუ მინუტი... წამსა — 60 წუთი, ანუ სეკუნდი... ნახევარწუთი არს 1 კესი, ნახევარკესი — 1 მასი, ნახევარმასი — 1 არდი, ნახევარარდი — 1 მეყი“...

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს სიტყვა „არდის“ ივანე ჯავახიშვილისეული განმარტება. იგი წერდა: „...საყურადღებოა ტერმინი „არდადეგი“. ამ სიტყვიდან იგი ცალკე გამოჰყოფდა სიტყვა „არდს“:

„არდადეგი“ ჩვეულებრივი კანიკულების მნიშვნელობით იხმარება, ე. ი. იმ დროს აღსანიშნავად, როდესაც სირიუსი ანუ ძაღლი-ვარსკვლავი მზესთან ამოდის და ჩადის, ე. ი. 22 ივლისთგან 23 აგვისტომდე...

ს. ორბელიანის სიტყვით — არდადეგი მზე რა ლომში შევა გასვლამდის ასეთ მდგომარეობას ეწოდებოდა“[1]

ივ. ჯავახიშვილი განაგრძობს: „ქართული ტერმინის აგებულება ცხადყოფს, რომ იგი ორნაწილედი სიტყვაა, რომელთაგან მეორე ნაწილი „დეგი“ ან „დადეგი“ უნდა იყოს... „არდადეგი“ თავდაპირველად არდის დადგომის, დგომის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო, რომელიც რეალურად, თუ ზაფხულს ვიგულისხმებთ, მზის კირჩხიბზე დგომას ეწოდებოდა. თუ ეს მცდარი აზრი არ არის, მაშინ, მაშასადამე, ისე გამოდის,

---

1 ივანე ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი 1, თბილისი, 1928, გვ. 121.

რომ მზეს ქართულად ოდესღაც „არდი“ უნდა ჰრქმეოდა.

ყურადღების ღირსია, რომ ხალხურ წარწერებშიც მზეს „არდი“ ეწოდება, რომლის სრულ ფორმადაც „არდინ“-ი ითვლება“.[2]

ივანე ჯავახიშვილი იქვე სქოლიოში წერს: „ამ საკითხის დამუშავების დროს სამწუხაროდ ჩემ ამონაწერებში, რომლებშიც „არდადეგი“-ს — ხმარების მაგალითები იყო ძეგლებითგან მოყვანილი, გულდასმით ძებნისდა მიუხედავად, ველარ ვიპოვე. ამიტომ იძულებული ვარ ამ ცნობას დავემყარო, ამ მიზეზის გამოვე ამ ტერმინის ეტიმოლოგიისა და პირველადი მნიშვნელობის აქ მოყვანილი განმარტების სისწორის სრული რწმენა არა მაქვს და მხოლოდ შესაძლებელ ჰიპოთეზად მიმაჩნია. მკითხველს ეს გარემოება გათვალისწინებული უნდა ჰქონდეს“.

მეორე სქოლიოში შენიშნულია: „ასტრონომიულ მოსაზრებათა მიხედვით შეიძლებოდა ტერმინი „არდადეგ“-ის წარმოშობის ხანა გამორკვეულიყო, მაგრამ ამაზე საუბარი აქ ჯერ ნაადრევად მიმაჩნია“ (იქვე).

როგორა გვაქვს ამ მხრივ საქმე ამ ჟამად?

ამ სიტყვის დამოწმების სხვა შემთხვევა მოცემული არ არის; ამ მიმართულებით ჩვენმა ცდამაც ჯერჯერობით რაიმე შედეგი ვერ გამოიღო.[3] და, საერთოდ, როგორც ჩანს, ეს იოლი საქმე არაა, თორემ თვით ივანე ჯავახიშვილი მასალების მეორედ პოვნას როგორმე მოახერხებდა. სამაგიეროდ, მისი ამ შესანიშნავი ვარაუდის დასადასტურებლად ძვირფას მასალას წარმოადგენს ქართული თამაშობრივი ფოლკლორისათვის დამახასიათებელი ჯგუფებად განაწილების წესში დაცული სინამდვილე. ამ სინამდვილის შესახებ რაჭაში ჩაწერილი მასალების მიხედვით, 1965 წელს გამოქვეყნებულ ქართულ ხალხურ თამაშობათა კრებულში ვწერდით: — „არჩევანი (ან „არჩი“) მე, — ამბობს ერთ-ერთი „დედა“ (რომელიც დაასწრებს).

არადანი (ან „არდი“) მე“ — უპასუხებს მეორე.

— გიორგი მე.

— არსენა მე.

ამის შემდეგ არჩევანის თქმაც და არჩევანიც ეკუთვნის მეორეს, არადანი კი — პირველსა და ასე რიგრიგობით, ვიდრე ყველას არ გაინაწილებენ.

თითოეული „დედა“ ცდილობს, თავისი ჯგუფისათვის საუკეთესო მოთამაშენი შეარჩიოს.

ასევე ვწერდით 1970 წელსაც,[4] მაგრამ არცერთხელ არ მიგვითითებია, თუ რას უნდა ნიშნავდეს სიტყვები: „არჩევანი“ (ანუ „არჩი“, როგორც ამას ამჟამადაც ამბობენ რაჭაში), „არადანი“ (ანუ „არდი“, როგორც ამას ამბობენ იქვე).

აშკარაა, ჯგუფებად განაწილების ამ ქართულ ხალხურ წესში საქმე გვაქვს ქართველთა წინაპრების მიერ მნათობებისადმი თაყვანისცემის შორეული პერიოდის ანარეკლთან, რაც ზეპირსიტყვიერებას თითქმის პირველყოფილი მნიშვნელობით შემოუნახავს. ეს სინამდვილე ქართველი ტომების ხალდეველებთან, ურარტელებთან ნათესაური სიახლოვის ერთ-ერთ ძვირფას საბუთად შეგვიძლია მივიჩნიოთ.

მაშ, „არდი“ მზეა და „არჩევან-არადანში“ მხოლოდ მეორე რიგში დგომით კმაყოფილდება, მეორე რიგში არჩევის უფლებას იძლევა; იგი ხომ მეორე ჯგუფის „დედის“ სიმბოლური სახელწოდებაა. ეს არცაა გასაკვირი, რადგანაც ამასვე უნდა ადასტურებდეს მზის ის სახელწოდებანიც, რომლებიც დღეისათვის ქართველურ ენებში კარგადაა შემონახული.

ივანე ჯავახიშვილი წერს:

„სამწერლობო ქართულ „მზე“-ს მეგრულში „ბჟა“ უდრის... ჭანურად ამის შესატყვისად გვაქვს „მჟორა“, „ბჟორა“ და „ჟორა“...[5]

აქედან გამომდინარე, შესაძლებლად მიგვაჩნია, რომ მზის, ამ მითითებულ სახელწოდებათაგან („მჟორა“, „ბჟორა“, „ჟორა“), რომლებიც, როგორც ჩანს, თავდაპირველი საერთო წარმოშობის ქართველური ცნებებია, განვითარებულიყოს დღევანდელი ქართული რიცხვითი და რიგითი სახელები“. „ორი“ და „მეორე“.

მზის სახელწოდების რიცხვით და რიგით სახელებად ასეთი გადასვლა კი, ბუნებრივ მოვლენებად უნდა ჩაითვალოს, თუ გავითვალისწინებთ, რომ ძველთაგან მომდინარე კვირის შვიდი დღის წარმართული რიგითი თანამიმდევრობა და სახელწოდებანი სწორედ მნათობთა ქართული პანთეონის სახელწოდებებისა და რიგისაგან მომდინარეობს. მაშასადამე, მსგავსი გზით შეიძლებოდა წარმოშობილიყო სხვა უმთავრესი ქართული რიცხვითი და რიგითი სახელებიც.

მაგრამ თვით მზესაც კი, სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვა რიგითი ადგილი ეჭირა მნათობთა სხვადასხვა ქართულ განლაგებაში. მაგალითად, ს. ორბელიანის მითითებით „მზე... ესე არს მეოთხესა ცასა ზედა“. ჩვენც ასეთი მოვლენები უნდა გამოვიყენოთ ქართველი ერის უძველეს ისტორიაში წყალგამყოფი ეპოქების დასადგენად. სავარაუდებელია, რომ „არჩევან-არადანის“ (თავდაპირველად: „არჩი-არდის“) წესი წარმოშობილიყო ეპოქაში, როცა მზემ

2 იქვე.

3 თუ ვინმე შეძლებდა ამ საქმეში დახმარებას, დიდად დავუმადლებდით.

4 იხ. ჩვენი — „ლახტი“ (თბილისი, 1905, გვ. 141; 1070, გვ. 127).

5 ივანე ჯავახიშვილი, „ქართველი ერის ისტორია“, წიგნი I, თბილისი, 1928, გვ. 116.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მნათობთა განლაგებაში მეორე ადგილი დაიჭირა.

ეს თუ ნამდვილად ასე იყო, მაშინ, რომელ მნათობ-ღვთაებას ეჭირა პირველი ადგილი? ამის საძებნად შორს არ დაგვჭირდება წასვლა, რამდენადაც ივანე ჯავახიშვილი გვასწავლის, რომ „მთვარის ვითარცა მთავარ მეუფისა და ღვთაების თაყვანისცემა, ყველა ქართველი ტომების უუძველეს რწმენად უნდა ჩაითვალოს“.[6]

რაკი ეს ასეა, გამოსავალი ერთადერთია: — მოვძებნოთ გზა, თუ როგორ უკავშირდებოდა სიტყვა „არჩი“ ამ უპირველეს მნათობ-ღვთაებას. ამ შემთხვევაში კი, დახმარება შეუძლია გაგვიწიოს ივ. ჯავახიშვილის მეორე ძვირფასმა მითითებამ, რომ „ყველა ქართველ ტომთათვის, მათ შორის მეგრელთა და სვანთათვისაც, საერთო წარმართობა არსებობდა... რომ ამ წარმართობას საერთო ტერმინოლოგიაც, საერთო ენაც ქართული ჰქონია“.[7]

ამ შემთხვევაში საშუალება გვაქვს მოვიშველიოთ მეგრულ-ჭანური მასალა. აკად. არ. ჩიქობავა წერს, რომ როგორც ჭანურად, ისე მეგრულად „რჩ“ ძირი ნიშნავს დაგებას, დაფენას“.[8]

ჩვენი თხოვნით პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატმა ალ. შანავამ წინადადება: „მთვარე სხივებს ჰფენს“, „რჩ“ ძირის გამოყენებით, მეგრულად ასე თარგმნა: „თუთა ჩხორიას ორჩანს“: ამასთან დასძინა, რომ ეს მხატვრული ხასიათის თარგმანი უფროა.

ჩვენ სწორედ მხატვრული თარგმანი გვაინტერესებს, რამდენადაც, სულ ერთია, იმაზე უფრო მხატვრულს ვერაფერს ვიტყოდით, რასაც ძველთაგან წარმოადგენს ერთადერთი სიტყვა „ნთოვარე“, რომელშიც კონდენსირებულია — სხვების თეთრი თოვლივით მფრქვევის, მფენის მთელი წინადადება.

მაშ, „მთოვარეს“ ექვივალენტი ან მიახლოებითი ექვივალენტია „ორჩანს“. შევამოწმოთ:

„თუთა ჩხორიას ორჩანს“...

„თუთა ორჩანს“...

„თუთარჩეა“...

„თუთარჩელა“...

ათასი წლების მანძილზე, ასეთი გადასვლები, რა თქმა უნდა, შეიძლებოდა მომხდარიყო. უამისოდ „თუთარჩელაც“ და „თუთარჩეაც“ სავსებით გაუგებარი დაგვრჩებოდა, რამდენადაც ქართველური ენებისათვის სიტყვათა არასწორ განლაგებად ჩაითვლებოდა და ყველა შემთხვევაში უნდა გვქონოდა სიტყვების შებრუნებული რიგი: „ჩე (რჩე) თუთა“ („თეთრი მთვარე“) და არა — „თუთა რჩე“ („მთვარე თეთრი“), რაც ქართველური ენებისათვის სავსებით არაბუნებრივია.

ასეთ ვითარებაში, შესაძლებლად მიგვაჩნია, რომ სიტყვა „ორჩანს“ „მთოვარეს“ შესატყვისი სინონიმი, ან იქნება თავდაპირველი სახელწოდებაც ყოფილიყო. ამ სიტყვიდან ან მისი მსგავსი ვარიანტიდან სიტყვა „არჩის“ განვითარებამდე კი, გრძელი გზა აღარ უნდა რჩებოდეს.

არსებობდა მეორე გზაც...

ივანე ჯავახიშვილი წერდა:

„ძველ ქართულ ქრისტიანობის ხანის მწერლობაში ღვთაების ერთადერთ სახელად იყო და არის ეხლაც სიტყვა „ღმერთი“, რომელიც მეგრულში გამოითქმის „ღორონთი“, ჭანურში — „ღორმოთი“ და „ორმოთი“, სვანურში კიდევ „ღერმეთ და ღერბეთა“-დ. ამ სიტყვაში ძირითადი ნაწილი არის ქართულში „ღმერ“ (წარმომომდგარია თავდაპირველ „ღამარ“-ისაგან“).[9]

არ შეიძლება აქვე არ მივუთითოთ თვალში მოსახვედრ გარემოებაზე, რაც, ერთი შეხედვით, უბრალო დამთხვევადაც შეიძლება მოგვეჩვენოს. ესაა სიტყვა „ერთი“, ან „ართი“, რომელიც თავს ვერ მალავს ღვთაების მითითებულ ზოგადქართულ თუ მეგრულ-ჭანურ-სვანურ სახელწოდებებში.

ეს გარემოება სავსებით კანონზომიერ მოვლენად მიგვაჩნია, რამდენადაც ამით, ჩანს, თავიდანვე გვქონია მინიშნება მხოლოდ ერთ ღვთაებაზე, ღმერთზე, რომლის „ერთადერთობაზე“ თვით ივანე ჯავახიშვილი მიგვითითებს.

ამ მოვლენას კიდევ უფრო თვალსაჩინოდ აცნობიერებს ის გარემოება, რომ რიცხვითი სახელი „ერთი“ მეგრულად გამოითქმის როგორც „ართი“, ხოლო „ართაშა“ ანუ „არჩა“ იგივეა, რაც „ერთხელ“ და, ამრიგად, აქაც საქმე გვქონია მთვარის სახელწოდების რიცხვით და რიგით სახელებად გადასვლასთან.

რაც შეეხება სიტყვა „არჩა“-დან „არჩი“-ს მიღებას, გასაგებია, რომ ეს ხანგრძლივი დროის მანძილზე ძნელი არ უნდა ყოფილიყო.

ეს მით უმეტეს სავარაუდებელია, რომ მეგრულად თეთრი ფერი გამოიხატება სიტყვით: „ჩე“ ან „(რ)ჩე“. ღლეისათვის ეს დიდ გაკვირვებასა და გაუგებრობას იწვევს.

მართლაც, „თეთრს“, რაც საერთო ქართველურ სიტყვას (სვანურად „თვეთვნე“) წარმოადგენს, საიდან უნდა შერქმეოდა ეს მეგრული

6 იქვე, გვ. 54.

7 იქვე, გვ. 108.

8 არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბილისი, 1938, გვ. 310.

9 ივანე ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი I, თბილისი, 1928, გვ. 74.

სახელწოდება, ასეთი გამონაკლისი ხომ არაკანონზომიერია.[10]

ვფიქრობთ, „არჩა“ „არჩე“ ან „არჩი“ იყო რა უძველეს წარსულში მთვარის თავდაპირველი, ან ერთ-ერთი სახელწოდება, თანდათან იქცა „მთოვარეს“ თეთრი ფერის (თოვლის) მომფენის გამომხატველ ჭანურ-მეგრულ სინონიმად და ასე მოაღწია ჩვენამდე. ეს მით უფრო სავარაუდებელია, რომ აკად. არნ. ჩიქობავას მეგრული „რჩე“ და ლაზური „ხჩ“, „ქჩ“ ძირეზის შესატყვისად მ-„ხცე“ მიაჩნია როგორც ჭალარით გათეთრება“[11]

ამრიგად, სიტყვა „ორჩან“-ს ან „არჩს“ ჯერ უნდა მიელო „არჩი“-ს, შემდეგ (გვიან) კი — „არჩევანი“-ს მნიშვნელობა და გაგება. მაგრამ ამ შემთხვევაში საძებარია, მთვარის დღევანდელი სვანური სახელწოდების „დოშდულ“ წარმოშობის გზა-კვალი.

ჩვენს ამ მოსაზრებას მასალების შემდგომი ძიება კიდევ უფრო შეავსებს და დააზუსტებს, მთავარია ვიდგეთ კვლევის სწორ გზაზე.

მაშ, თავდაპირველად გვქონია ჯგუფებად განაწილების (და, იქნებ საერთოდ განაწილების) ქართული წესი, როცა:

„არჩი მე“ — ნიშნავდა „მთოვარე მე“-ს.
„არდი მე“ — ნიშნავდა „მზე მე“-ს.

დროთა ვითარებაში, მთვარისა და მზის თავდაპირველ სახელწოდებათა მივიწყების გამო, დავიწყებული იქნა ამ სიტყვების პირდაპირი მნიშვნელობა შინაარსი და „არჩმა“ — მიიღო მხოლოდ „არჩევან“-ის (პირველ რიგში არჩევისა), „არდმა“ კი „არადანისა“ (ანუ „აწ“ კავშირის, მეორე რიგში არჩევის) უფლების გაგება და შინაარსი და ასე მოვიდა ჩვენამდე. ქართული ხალხური თამაშობების უაღრესად დიდ მრავალფეროვნებას, მოთამაშეთა განაწილების მათთვის დამახასიათებელ ამ ერთ-ერთ თავისებურ წესს უნდა ვუმადლოდეთ, რომ, არამც თუ შინაარსი და გაგება, თვით ეს სიტყვებიც არ დაგვავიწყდა და ამით არ დავკარგეთ ჩვენი უძველესი ისტორიის კიდევ ერთი უნიკალური გასაღები.

ჩვენ, ჯერჯერობით ამით გვსურს კვლევის დამთავრება. ეს მცირე მოცულობის შრომა მიგვაჩნია წინასწარ ვარაუდად, წინასწარ თვალსაზრისად. აქ ყველაფერი როდია წარმოდგენილი, ანდა — სრულ წესრიგში მოყვანილი, მაგრამ ნაშრომის ამ სახით გამოქვეყნებას მაინც ვჩქარობთ, რადგანაც მიგვაჩნია, რომ მრავალრიცხოვანი ქართული ხალხური თამაშობების, მათი ყოველი აქსესუარისა და შემადგენელი ნაწილის პოვნას, ჩაწერას, შესწავლასა და გამოყენებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურის ისტორიის უძირითადესი საკითხების გასარკვევად და დასადგენად.

10 მადლობას მოვახსენებთ მეცნიერებათა კანდიდატებს ალ. შანავას, ჯ. დადიანს, რ. გაბეჩავას, ო. ბერაძეს და ე. ვერლიანს მეგრულ და სვანურ ენაზე კონსულტაციებისათვის.

11 არნოლდ ჩიქობავა, დასახელებული წიგნი, გვ. 235, 343, 345, 433.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ივანე ენიკოლოფოვი

# გელათის რკინის კარები

ქუთაისიდან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით, ტყიბულისაკენ, მთებში, ბუნების თვალწარმტაც წიაღში მდებარეობს გელათის დიდებული მონასტერი. მას ადრე გაენათი ეწოდებოდა, რაც „სხივით განათებულს" ნიშნავს.

გელათის მონასტერი აშენა საქართველოს მეფე დავით IV (1073-1125 წ.), ისტორიაში აღმაშენებლად სახელდებულმა — ძლიერი ცენტრალიზებული სახელმწიფოს შემქმნელმა. მას სახელსავე უკავშირდება ქართული კულტურის აყვავების პერიოდი: გელათში არსებობდა განთქმული აკადემია, სადაც იქმნებოდა მეცნიერული შრომები, იწერებოდა წიგნები, ითარგმნებოდა იმ დროისათვის ცნობილი ნაწარმოებები. გელათის აკადემიაში მოღვაწეობდა ბრწყინვალე ქართველი ფილოსოფოსი იოანე პეტრიწი და ბევრი სხვაც. დღემდე შემონახულია აკადემიის გარეთა კედლების ნაწილი და მდიდრულად მოჩუქურთმებული პორტიკი.

გელათში ახლაც შეგიძლიათ ნახოთ ფრესკა, რომელიც წარმოგვიდგენს სამეფო ტანსაცმლით მორთულ დავით აღმაშენებელს. მას თავზე სამეფო გვირგვინი ადგას, მარცხენა ხელში კი გელათის ეკლესიის მოდელი უჭირავს.

შესანიშნავ ანსამბლს ქმნიან გელათში ამჟამადაც არსებული სამი ტაძარი, სამრეკლო და სხვა ნაგებობანი, რაც გარსშემოვლებულია გალავნით. ამ შესანიშნავი კომპოზიციის ცენტრში მოთავსებულია XII საუკუნეში აგებული მთავარი ტაძარი. იგი დაუზიანებლად გადარჩენილი ძეგლია ქართული კულტურისა. ამ ტაძარს აგვირგვინებს თორმეტ სარკმლედატანებული, მაღალწვეტიანი დიდი გუმბათი. ტაძარი აშენებულია მკვრივი მორუხო-მოყვითალო ფერის თლილი ქვით. შენობა, განსაკუთრებით კი მისი კუთხეები, ნაგებია უზარმაზარი ქვებით, მაგალითად, ერთ იმათთაგანს დაახლოებით ოთხი მეტრი სიგრძე და მეტრნახევარი სიგანე აქვს. ტაძარი გამოირჩევა თავისი შესანიშნავი არქიტექტურული კონსტრუქციით.

ტაძრის შიგნით ვხვდებით დეტალების განსაცვიფრებელ ჰარმონიულობას, რაც შეიძლება ხუროთმოძღვრული ჩანაფიქრის საუკეთესო განხორციელებად ჩაითვალოს. ტაძარი დიდი და ვრცელია — სავსეა ჰაერით, კაშკაშა სინათლე უხვად იღვრება სარკმელთაგან. საკურთხეველი სამ ნაწილადაა გაყოფილი. ქვის კანკელი არაა მაღალი. განცვიფრებას იწვევს მხატვრული შესრულების სრულყოფით, ზემოთ, კომპოზიციის ცენტრში, ღვთისმშობლის გამოსახულება: ოქროს ფონზე მთელი ტანით არის წარმოდგენილი ღვთისმშობელი. მას ხელთ უჭირავს მსუბუქი გადასაფარებელი, რომელზედაც წევს ყრმა, რომელსაც აქეთ-იქიდან, გვერდებზე უდგას ორი ანგელოზი. ყველაფერი ეს შესრულებულია მოზაიკით, სადაც ვარდისფერი და ცისფერი სჭარბობს.

აკად. შ. ამირანაშვილი თავის ცნობილ ნაშრომში — „საქართველოს ხელოვნების ისტორია" — წერს: „გელათის მოზაიკა მხატვრული თვალსაზრისით წარმოადგენს მონუმენტური ფერწერის ღრმად გააზრებულსა და სრულყოფილ ნაწარმოებს, რომელიც თავისი საერთო კულტურული დონით მე-12 საუკუნის პირველი ნახევრის კედლის მხატვრობის მოწინავე ნაწარმოებთა დონეზე დგას". ტაძრის დანარჩენი ნაწილი მოფენილია ფრესკული ფერწერით. დავით აღმაშენებლის მარჯვნივ გამოხატულია მისი თანამედროვე, აფხაზეთის კათალიკოსი ევდემონ, რომელიც მონაწილეობდა გელათის ტაძრის მშენებლობაში, შემდეგ მოდის გიორგი ლაშას, რუსუდანის, ბაგრატ მესამის და მისი მეუღლე-

სა და სხვათა ფრესკები. ფრესკული და მოზაიკური ფერწერის ისეთი შერწყმა, როგორიც გელათშია, ძალზე იშვიათად თუ სადმე გამოუყენებიათ.

გელათის მონასტერში დავითი ინახავდა უძვირფასეს განძეულობას. გელათის ტაძარშია დავით აღმაშენებლის საფლავიც.

საუნჯის, წიგნის განძის, ნადავლ ძვირფასეულობათა გელათის მონასტერში შენახვის ტრადიცია დავით აღმაშენებლის მემკვიდრეებსაც გადაეცათ. ამ მხრივ განსაკუთრებით შეივსო ტაძარი დავითის შვილის — დემეტრე მეფისა და შვილიშვილიშვილის — თამარ მეფის დროს.

ხატებს შორის თავისი სინატიფით ყველაზე მომხიბლავია ე. წ. ხახულის ღვთისმშობელი: იგი კლარჯეთიდან არის წამოღებული. აქ ღვთისმშობელი ყრმის გარეშეა წარმოდგენილი. ეს ხატი არანაკლებ საინტერესოა წარწერებითაც, რომელთაც დიდი ისტორიული მნიშვნელობა აქვთ. თვითონ ხატი პატარაა, მაგრამ ჩასმულია ძვირფასი ქვებით მოოჭვილ ფართო ოქროს ჩარჩოში. ხატი დამშვენებულია აგრეთვე მინანქრული გამოსახულებებით. ამ ხატის უსაზღვროდ მდიდრულ შემკულობას თამარ მეფის გულუხვობას მიაწერენ.

ძვირფასი ქვებისა და მინანქრის გარდა, ხატის მოოქროვილი ვერცხლის ჩარჩოზე ჰარმონიულადაა განლაგებული პატარ-პატარა გამოსახულებები, მცირე ხატები, მედალიონები, ბალთები.

ხახულის ხატის გვერდით, გელათში ქართველ შემოქმედთა ხელით შესრულებული, ვერცხლის ჭედურობით შემკული ბევრი სხვა შესანიშნავი ხატიცაა; თავისი ფერწერული გამოსახულებით ყურადღებას იქცევს ხატი, რომელზედაც ღვთისმშობელი წარმოდგენილია მთელი ტანით, ხელში ყრმა უპყრავს, მის წინ კი დაჩოქილია მეფე ბაგრატი. მთელი ჩარჩო და არშიები ხატისა დაფარულია სხვადასხვაგვარი ჭედური ფირფიტებით. დიდ ინტერესს იწვევს ქართველი ოსტატების მიერ XI-XII ს.ს. შესრულებული ვერცხლის დისკო (მედალიონის მსგავსი), ახალგაზრდა მწირის პორტრეტით; მას მარჯვენა ხელში ჯვარი უპყრავს და ლომზე ამხედრებული მიემგზავრება. იქვეა მიტრები, დავით აღმაშენებლის ოქროს ბეჭედი, რომლითაც სიგელ-გუჯრებს ადასტურებდა დიდი მეფე და სხვ.

საცავში ინახება გვირგვინები, ძვირფასი ქვებით შემკული ფიალები, მიტრები, კვერთხი და საეკლესიო დანიშნულების სხვა ნივთები.

არანაკლებ განთქმულია გელათის სახელი იმითაც, რომ იქ განისვენებს თამარ მეფე. „დამარხეს ახალსა მონასტერსა გელათს" („ქართლის ცხოვრება", I, გვ. 369).

ხალხური გადმოცემა მოგვითხრობს, რომ თამარ მეფის დაკრძალვის ცერემონიალი, ერთ და იმავე დღეს, შვიდ ეკლესიაში შესრულდა — და ეს იმ მოსაზრებით რომ გაესაიდუმლებინათ თამარის დაკრძალვის ნამდვილი ადგილი, რათა შემდგომში მტრებს ვერ მიეგნოთ მისი ცხედრისათვის. შვიდ ეკლესიათაგან ერთი გელათი იყო.

ცნობილი რუსი მწერალი ანდრეი მურავიოვი, რომელიც გასული საუკუნის 40-იან წლებში საქართველოსა და სომხეთში მოგზაურობდა, წერს: „მიტროპოლიტი დავითი მარწმუნებდა, რომ სოლომონის მამის, ალექსანდრეს მეფობამდე, ყოველ წელს, თამარ დედოფლის ხსოვნის დღეს, იღებდნენ საფლავის ქვას და პანაშვიდს იხდიდნენო. ასეთი მტკიცე გადმოცემა კი არ შეიძლება საფუძველს მოკლებული იყოს".

გელათის ტაძრის ღირსშესანიშნაობებს მიეკუთვნება ეგრეთწოდებული „რკინის კარები", რომელიც სამხედრო ნადავლის სახითაა მოტანილი. ამ ჭიშკარზე შექმნილია მთელი რიგი ლეგენდები. თითქმის ყველა უცხოელი მოგზაური, რომელიც კავკასიაში მოხვდებოდა, თავის თავს ვალდებულად თვლიდა მოენახულებინა გელათი სწორედ ამ კარების გამო.

დიდ ქართველ მწერალს აკაკი წერეთელს საინტერესო ლეგენდა აქვს გადმოცემული ამ კარების თაობაზე თავის „კრებულში". მისი სათაური ასეთია: „დარუბანდის კარების ჩამოხსნა და გელათში მოტანა დავით აღმაშენებლისაგან (ლეგენდა)"[1]; მოგვყავს ეს ჩანაწერი მთლიანად:

„ერთ ქართველ ვაჭარს საქონელი წაელო დარუბანდში გასაყიდად, გზაში თურმე ლეკები დაეც[...] და თუ რამე ებადა, ყველაფერი წაართვეს. ვაჭარი მიიქცა ლეკის უფროსისადმი თხოვნით: შენს საბრძანებელში მოვედი, საქონელი მოვიტანე გასაყიდათ და შენმა ხალხმა სულ წამართვა; სამართალს ვითხოვ, წართმეული დამიბრუნეთო.

— შენ სადაური ხარ: — ჰკითხა ლეკის უფროსმა.

— მე ქართველი ვარ.

— ჰო, აბა, მიდი საქართველოში და შენს მეფეს, დავითს ფეხქვეშ ჩაუგორდი და სამართალი იმას თხოვეო, — უთხრა ლეკმა.

— სამართალს მე შენა გთხოვ, თვარა, დავითს რომ ეს ვუთხრა, საქმე ცუდათ წავა.

— ჰმ! ცუდათ წავა! რას მიზამს დავითი? დარუბანდის კარები არ ჩამომიხსნას!..."

ვაჭარი დაბრუნდა საქართველოში და ყოველივე უამბო დავითს; ისიც დასძინა, ლეკმა რომ თქვა: „დავითმა დარუბანდის კარები არ ჩამომიხსნასო". დავითმა ვაჭარს უბრძანა: „რადგან

1 აკაკი, ყოველთვიური „კრებული", 1897 წ. № 4.

შენ ლეკებმა საქონელი წაგართვეს და მათმა უფროსმა შენი თხოვნა არ შეიწყნარა, ამისთვის მე იმ დაკარგულ საქონელს უკან დაგიბრუნებო". ეს თქვა და მიაყვანინა ათასი ცხენი, ათასივე მათი წინამძღოლი, გააკეთებინა ორი ათასი კიდობანი და თითოში ჩასვა თითო შეიარაღებული ქართველი; ცხენების წინამძღოლები გამოაწყო ვაჭრულად; ყველა ამაებს წინ გაუძღვარა მომჩივანი ვაჭარი და გაისტუმრა დარუბანდში, თითონ — კი უკან წაჰყვა. როცა დარუბანდს მიუახლოვდნენ, დავითმა გაგზავნა კაცი ლეკის უფროსთან, საქონელი მომაქვს გასაყიდად და ქალაქის კარები გააღეო. ლეკებს გაეხარდათ, უფრო მეტ საქონელს ვიშოვითო და გააღეს კარები. დაღამდა. შუაღამისას დავითმა გაახსნევინა კიდობნები და ამოაშვებინა იქიდან შეიარაღებული კაცები. ფეხზე იდგა სამი ათასი გულოვანი მეომარი. ამათ აიღეს დარუბანდი, წაართვეს ქალაქის კლიტეები ლეკთა მთავარსა და ნადავლით დაბრუნდნენ შინ. დავითმა ჩამოახსნევინა რკინის კარი, რომელიც დარუბანდში შესავალ გზას იცავდა, ჩამოიტანა იგი გელათში.

ლეკების მთავარს მეფე ლმობიერად მოეპყრო, დანაშაული აპატია, დაჭერილი ჰყავდა და გაუშვა, მაშინ გათავისუფლებულმა უთხრა მეფეს: „რადგან ამდენი სიკეთე მიყავ, ეს მადლიც ზედ დასძინე: ერთი ხარის ტყავის სიფართე ადგილი მიბოძე დასასახლებლადო". დავითმა უბოძა. ლეკთა მთავარმა მოატანინა ხარის ტყავი, დაჭრა იგი წვრილ-წვრილ თასმად, გადააბა ერთი მეორეზე და ამ სახით თასმა იმ სიგრძე შექმნა, რომ მთელ დარუბანდს გარსშემოუარა, დავითმა ვერაფერი ველარ თქვა და დარუბანდი ისევ ლეკებს დარჩათ".

ეს ლეგენდა ძალზე პოპულარული იყო. ცნობილი ქართველი ისტორიკოსი ვახუშტი ბაგრატიონი თავის „გეოგრაფიაში" წერს: „...ჰკიდავს ზღუდის კარი ბჭესა მისსა რკინისა, აღმაშენებლის მოტანილი დარუბანდიდამ".

რუსი მოგზაური ტოლოჩანოვი, რომელმაც იმერეთში ელჩად ყოფნის დროს გელათი მოინახულა, ორჯერ იხსენიებს ამ კარს და ხაზს უსვამს, რომ იგი ჩამოტანილია დარუბანდიდან. 1651 წლის 13 ივნისის ჩანაწერში ნათქვამია: „კარს რკინის დიდი ურდული აქვს, მასზე წარწერაა ამოკვეთილი. იმერეთის მიტროპოლიტი ზაქარია ამბობდა, რომ ეს კარები ყიზილბაშების ქვეყნიდანაა ჩამოტანილი ქალაქ დერბენდიდან, როცა მეფე დავითი იქ საომრად იყო წასული".

შემდეგში იმერეთში ნამყოფი ყველა მოგზაურის ყურადღების ცენტრშია გელათის რკინის კარები. დაწვრილებით აღწერს მას ფრანგი კონსული და მოგზაური გამბა თავის წიგნში „Voyage"... (პარიზი, 1826 წ.). გამბამ გელათი მოინახულა 1823 წელს. დასახელებულ წიგნში იგი ეხება ამ კარებსაც და აღნიშნავს: „თუ იქ არსებულ ლეგენდას დავუჯერებთ, კარის ეს ორი ფრთა სწორედ ისაა, რომელიც თავის დროზე კასპიის ხეობას ამშვენებდა. ისინი საქართველოს ერთ-ერთმა მეფემ, სახელად დავითმა, ჩამოიტანა, როცა ერთხელ დაღესტანში შეიჭრა და დარუბანდი აიღო. ამ მეფის სახე ფრესკაზეა ეკლესიაში გამოხატული, საფლავი კი ტაძრის კარიბჭესთანაა".

გამბა ახსენებს აგრეთვე კარის რკინის ფურცელზე შემორჩენილ არაბულ წარწერას.

გამბას შემდეგ გელათის რკინის კარის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის პოლკოვნიკი როტიე (წარმოშობით ბელგიელი) წიგნში „Itineraire" (ბრიუსელი, 1829 წ.); როტიემ კავკასიაში 7 წელი იმსახურა. 1818 წ., როცა სამშობლოში ბრუნდებოდა, მან გელათში შეიარა. აღწერს რა ე. წ. დარუბანდულ კარებს, იგი იხსენიებს კარებზე არსებულ წარწერებსაც — არაბულსა და ძველ ქართულს.

1833 წელს კავკასიაში იმოგზაურა ცნობილმა მეცნიერმა დიუბუა დე მონპერემ. შემდეგ, იგონებდა რა ამ „შესანიშნავ" (ასე უწოდებს) რკინის კარებს, წერდა, რომ იგი გელათში მოხვდა როგორც ნადავლი და, როგორც მას არწმუნებდნენ, „დარუბანდიდან". „ისინი შედგებიან ძელაკებისაგან, რომლებიც ფარავენ თხელ ფურცლოვან რკინასო".

ასე, საუკუნეების მანძილზე თაობიდან თაობას დაბეჯითებით გადაეცემოდა თქმულება გელათის მონასტერში დაცული კარების შესახებ; ამავე დროს, კარებზე შემორჩენილი წარწერების ამოკითხვით ბევრი არავინ დაინტერესებულა.

პირველი ნაბიჯი ამ მიმართულებით გადადგა გვარდიის ოფიცრის — ვლ. ვოლხოვსკის უახლოესმა თანაშემწემ, ივანე ბერტენევმა.

ბერტენევს დავალებული ჰქონდა რიონის მიმდებარე მხარის სამხედრო-სტატისტიკური აღწერილობის შედგენა. იგი დაინტერესდა გელათში არსებული ძველი კარებით. მან გადაიღო საგდულის კუფიური წარწერები, აგრეთვე ძველ-ქართული წარწერა იმ შენობის გარე კედლისა, რომელზეც შეკიდული იყო რკინის კარები. და ყველაფერი ეს გაუგზავნა პროფესორ-ორიენტალისტს ქრ. ფრენს, მეცნიერებათა აკადემიაში.

1835 წელს მეცნიერებათა აკადემიის სექციის სხდომაზე ქრ. ფრენმა გააკეთა საინფორმაციო მოხსენება გელათის რკინის კარების თაობაზე, რითაც საგრძნობლად შეარყია ასე მტკიცედ დამკვიდრებული აზრი მისი დარუბანდული წარმომავლობის შესახებ.

ფრენმა გაშიფრა გელათის ძეგლის კუფიური წარწერა, თარგმანი ასე გამოიყურებოდა:

„გულმოწყალე, კეთილისმოსურნე ალაჰის სახელით მიბრძანა ბატონმა ჩემმა, ამირამ და უგანათლებულესმა სეიდმა შავერმა, ფაზლევის ვაჟმა — დაე, განამტკიცოს ალაჰმა მეფობა მისი სამუდამოდ — აბდალ-აჰის შვილის აბულ-ფარაჯ მუჰამედის ხელმძღვანელობით — დაე, განამტკიცოს ალაჰმა ყოველივე სიკეთე მისი საუკუნოდ — გამეკეთებინა ეს კარები. იმუშავა იბრაჰიმმა, ოსმანის ვაჟმა, ანკვეის შვილიშვილმა, მჭედელმა, ოთხას ორმოცდა თხუთმეტ წელს“ (1063 წ. ჩვენი წ. აღ.).

პროფ. ფრენის განმარტებით, „შავერი, ფაზლევის ვაჟი, შედადიდების დინასტიას ეკუთვნის, ამ დინასტიას საფუძველი ჩაუყარა ბენიშედადმა, დაახლოებით მე-10 საუკუნის პირველ ნახევარში, არანში (ყარაბახში); შავერი მეფობდა იქ 1076 წლამდე, „ხალიფებისაგან სრულიად დამოუკიდებლად“ (მეგრტი-ზადეს ხელნაწერიდან, სადაც ამ დინასტიის მეფეთა სრული სიაა მოცემული).

ამრიგად, ფრენი ამ კარებს არანული წარმოშობისად თვლის.

ფრენის მოსაზრება ავტორიტეტულად მიიჩნია თვალსაჩინო მეცნიერმა, ყაზანის უნივერსიტეტის პროფესორმა ე. ეიხვალდმა, რომელიც კავკასიაში მოგზაურობის დროს, 1826 წელს გელათსაც ეწვია: თავისი წიგნი „Reise“... გამოსცა მხოლოდ 1837 წ., ამ დროისათვის მას უკვე ჰქონდა საშუალება გასცნობოდა გელათის რკინის კარების აკადემიკოს ფრენის მიერ გაშიფრულ წარწერას.

აგვიწერს რა გაკვრით კარებს და იხსენიებს რა მასზე არსებულ არაბულ წარწერას, ხოლო მის ქვეშ ძველ ქართულ მინაწერს, ეიხვალდი ამტკიცებს, რომ ცალი კარი, რომელიც აღარ არსებობს, გადაუდნიათო.

ფრენის ჰიპოტეზამ, რომელიც ერთეულებისათვისაც ძნელად ხელმისაწვდომ ხელნაწერს ეყრდნობოდა, ძველი ქართული წარწერის უგულებელყოფამ, კუფიური წარწერის არც თუ მთლად ზუსტმა თარგმანმა ბევრ მკვლევარს ვერ შეაცვლევინა აზრი იმ გადმოცემის ნამდვილობაზე, რომელიც ზემოთ დასაწყისში მოვიყვანეთ.

საქართველოს იმდროინდელი უდიდესი ისტორიკოსი პლატონ იოსელიანი გაზეთ „კავკაზსკი ვესტნიკის“ 1845 წ. მე-6 ნომერში გელათის ტაძრის რკინის კარების შესახებ გამოთქვამდა მოსაზრებას, რომ ის ნამდვილად დარუბანდიდან არის ჩამოტანილიო.

ცნობილი მწერალი ა. მურავიოვი, ავტორი წიგნისა „საქართველო და სომხეთი“, რომელმაც გელათი დაათვალიერა 1847 წელს, აგრეთვე თვლის მას „დარუბანდის რკინის კარებად“.

მხოლოდ აკადემიკოსმა მარი ბროსემ შესძლო გაერჩია წარწერის გაურკვეველი ადგილები და შესძლო ამომწურავი პასუხი გაეცა გელათის რკინის კარების წარმოშობის საკითხზე. იყენებს რა ფრენის მიერ გაშიფრულ კუფიურ წარწერას, ბროსე უარყოფს ვერსიას კარების დარუბანდული წარმოშობის შესახებ. „მეფე დავით აღმაშენებლის ვრცელი ბიოგრაფიის არც ერთი ადგილიდან არ ჩანს, — წერს ის, — რომ მას ოდესმე დარუბანდი დაერბიოს“.

არასწორია, მისი აზრით, ის შეხედულებები და დასკვნები, რომელთა მიხედვითაც ფრენს კარები ყარაბახიდან (იქ მთავარი ქალაქი ბარდა იყო) ჩამოტანილად მიაჩნია.

ბროსეს შეხედულებით, ზემოხსენებული კარები ბანიშედადების დინასტიის სატახტო ქალაქიდან — განჯიდან იყო ჩამოტანილი. ამ დინასტიამ ხალიფებისაგან დამოუკიდებლობა შეინარჩუნა თითქმის 125 წლის მანძილზე (951-1076 წ. წ.); ბროსე იმოწმებს მე-13 საუკუნის სომეხი ისტორიკოსის კირაკოს განჯელის ნაშრომს, სადაც აღნიშნულია, რომ საქართველოს მეფემ, დემეტრემ 1139 წელს, მორიგი ლაშქრობის დროს ჩამოხსნა ქალაქის კარები და თან წაიღო.

თავის ვარაუდს, რომ კარები განჯური წარმოშობისაა, ბროსე ადასტურებს რკინის ფურცელზე ამოკითხული ქართული წარწერითაც. შემორჩენილი ასოები წაიკითხა ბროსემ და შეადგინა შემდეგი წინადადება.

1. მაიმენემან დემეტრემ დავით აღმაშენებ
2. ელის მეფის ძემან
3. . . . . . . . .
4. დასაბამითგან...

ბროსეს შემდეგ იმავე დასკვნამდე მივიდა ცნობილი ქართველი ისტორიკოსი თედო ჟორდანია, რომელმაც გულდასმით შეისწავლა აღნიშნული წარწერა.

ბროსეს მიერ გამოთქმული აზრი, რომ აღნიშნული კარები განჯიდან არის წამოღებული და რომ წამოიღო იგი არა დავით აღმაშენებელმა, არამედ მისმა შვილმა დემეტრემ, შემდგომში სწორად და უტყუარად იქნა მიჩნეული.

ივ. ჯავახიშვილი ამ კარების გამო წერდა:

„1138-1139 წ. როდესაც ადარბადაგანსა და რანში საშინელი მიწის-ძვრა მოხდა, ქ. განძა (განჯა) დაინგრა და მრავალი მცხოვრები დაიღუპა, იმავე 1138-1139 წელს დემეტრე მეფეს ქ. განძის წინააღმდეგ გაულაშქრია და იქითგან საქართველოში ძლევამოსილი დაბრუნებულა. მეფეს თან ქ. განძის კარები წამოუღია. ეს კარი ეხლაც გელათის მონასტერში ინახება და ზედ ამ ამბის დამამტკიცებელი დაზიანებული ქართული წარწერა აქვს. ამ წარწერაში ნათქვამია, რომ დემეტრე მეფეს ეს კარი მოუტანია „წელსა მეფობის... იგი: (13)ხ დასაბამითგან“... (იქვე) ანუ მართლაც 1138-1139 წ.“

ავტორთა კოლექტივის (ნ. ბერძენიშვილი,

ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, პ. რატიანი) მიერ შედგენილ „საქართველოს ისტორიის“ სახელმძღვანელოში ნათქვამია:

„...1138 წელს ქართველებმა განძა აიღეს და ქალაქის კარი გამარჯვების ნიშნად საქართველოში მოიტანეს (ეს კარი დღესაც გელათშია დაცული), მაგრამ ქალაქი და მისი მიმდგომი ქვეყანა ვერ შეინარჩუნეს და განძა მას შემდეგაც დიდხანს მაჰმადიან მეტოქეთა საყრდენ პუნქტად რჩებოდა საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლაში“.

განჯელი ამირები ხშირად იხსენიებიან საქართველოს ისტორიაში, როგორც სელჯუკების მოკავშირეები საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლებში. საქართველოსა და ალბანეთზე მეორედ თავდასხმის დროს (1069 წ.), სელჯუკმა ალფ-არსლანმა, სამშობლოში დაბრუნებისას, თბილისი განჯელ ამირას გადასცა და უბრძანა ხშირ-ხშირად ერბია საქართველო.

1071 წელს განჯის ამირამ ომი გამოუცხადა საქართველოს. ომის სასწორი ორივე მხარეს თანაბრად იხრებოდა, რასაც თან ახლდა ორივე ქვეყნის ქალაქების განადგურება.

1088 წელს სპარსელი მელიქ-შაჰის მხედართმთავარმა ბუზალმა დაიპყრო განჯა და საბოლოოდ დაუმორჩილა სელჯუკთა იმპერიას.

როგორც ჩანს, ამ ხშირი მტაცებლური თავდასხმების საპასუხოდ, მეფე დემეტრე თავს დაესხა განჯას და რკინის კარებიც თან წამოიღო.

მიუხედავად სიძველისა, გელათის რკინის კარები შედარებით კარგადაა შენახული; ოსტატის ხელოვნება წინ აღუდგა დროის გამანადგურებელ მოქმედებას.

რკინის კარებს ერთი ნახევარი დიდი ხანია აკლია. არსებობდა აზრი, რომ ეს ნახევარი თურქებმა წაიღეს იმერეთზე ერთ-ერთი თავდასხმის დროს. იმასაც ვარაუდობდნენ, გადაადნესო, მაგრამ, როგორც პლ. იოსელიანმა სავსებით სამართლიანად აღნიშნა, „შეუძლებელია ნაჭედი ფურცლოვანი რკინის გადადნობა“. სხვა მოსაზრებათა შორის შედარებით ყურადღებას იმსახურებს პროფ. ფრენის მიერ მოხმობილი ისტორიული ცნობა: „იმპერატრიცა ეკატერინე II გაუგზავნა იმერეთის მეფეს სოლომონს დახელოვნებული ოსტატი გელათის მთავარი ტაძრის გადასახურავად. როცა ეს ოსტატი მოკვდა, მუშებს ლურსმანი შემოაკლდათ, ბერებმა სხვა ვერაფერი იღონეს და იძულებული გახდნენ კარების ნახევარი მიეცათ ლურსმანის დასამზადებლად“.

დიუბუა დე-მონპერეს, რომელიც გელათში იყო 1833 წელს, ეს ვერსია ყველაზე მეტად მისაღებად მიაჩნია.

გაზეთ „კავკაზის“ კორესპონდენტმა, გელათის დათვალიერების დროს, 1850 წელს კითხვაზე — „სად არის კარების მეორე ნახევარი?“ ასეთი პასუხი მიიღო — მონასტრის ტაძრის სახურავის გასაახლებლად გამოიყენესო.

კარების დარჩენილი ნახევრის სიმაღლე 3,33 მეტრია, სიგანე 1,72; ორ საბჯენზე, გარდიგარდმო ჩასმულია შვიდი ძელი, და ზედ აკრულია ფურცლოვანი რკინა. კუფიური წარწერა კარების მეორე და მესამე სიბრტყეზეა გაკეთებული. კარი დაყენებულია ბლოკზე.

აკადემიკოს ბროსეს სურვილი, რომ კარი შეებრუნებინათ და ახალი ასლი გადაეღოთ, დიდი ხანი არ არის, რაც შესრულდა. კარი შებრუნებულია და წარწერაც გადაღებულია წინაპირიდან, რამაც წარწერის ამოკითხვა გააიოლა.

გამოჩენილმა ქართველმა არაბისტმა, აკადემიკოსმა გიორგი წერეთელმა ამოიკითხა წარწერის ყველაზე საინტერესო ადგილი: ამირ ასსეიიდ შავერ (საურ, სავერ, სავარ) იბნ ალფადლ.

კარები არც მხატვრული შესრულებით გვხიბლავს და არც სიდიადით. ცხადია, ეს კარები არ შეიძლებოდა „კასპიის ხეობის“ ჩამკეტი ყოფილიყო. კარების, როგორც ნადავლის წაღება კი საუკუნეთა მანძილზე, ხალხთა უმრავლესობაში, ტრადიციად იყო ქცეული. ამას სიმბოლური მნიშვნელობაც ჰქონდა. ქართველი მეფეები, ერისთავები და სარდლები ხანდახან ასე სჯიდნენ თავდამსხმელებს; გაიხსენეთ თუნდაც მეჩვიდმეტე საუკუნის ხალხური მოლექსის ნათქვამი ზურაბ არაგვის ერისთავზე:

ზურაბისთანა ბატონი
ვინლა გამოვა ხმლიანი,
განჯა მისთანად ამტრივა,
დღესაც კი სახელი არი.
ერთი ურჯულო ბელადი
დაუხვდა ყაწიმიანი:
„სალამს რად მივცემ ზურაბსა,
რა ჩემი ბატონი არი“.
იმისი ციხე შემუსრეს,
ხევი აავსეს ქვიანი,
იკვეხდა — „ციხე კარგი მაქვს,
კარი აბია კლდიანი“,
მაგრამ ცოლიც კი წაართვეს,
ზურაბ ბატონის ტყვე არი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლევან ასათიანი

# უბის წიგნაკიდან

ჩვენი დროის იმ მოწინავე მწერალთა შორის, რომლებიც ათეული წლების მანძილზე გამოდიოდნენ როგორც აქტიური და დაუცხრომელი საზოგადო მოღვაწენი, უაღრესად თვალსაჩინო ადგილი ეჭირა ლევან ასათიანს (1900-1955); ეს მაღალნიჭიერი მკვლევარი, ისტორიკოსი და კრიტიკოსი როდი კმაყოფილდებოდა საკითხების მარტო იმ წრით, რომელსაც თავის ნაშრომებში აღძრავდა; იგი, იმავე დროს, დაუღალავად იღვწოდა, რათა თავის თანამოკალმეებთან ერთად გულითადად და მზრუნველად მოევლო იმ დიდი მეურნეობისათვის, რომელსაც ქართული მწერლობა ეწოდება; წლების მანძილზე იგი იყო „მნათობის" რედაქციის პასუხისმგებელი მდივანი, წლების მანძილზე ფაქიზი სიყვარულით და მზრუნველობით დასტრიალებდა თავს ყოველ ახალსა და კარგ ნაწარმოებს, რა ჟანრისაც უნდა ყოფილიყო და რომელი თაობის მწერალსაც უნდა დაეწერა. ეს იყო ჩუმი, დაუცხრომელი მუშაობა, რომელიც ერთი შეხედვით არც ჩანს, მასზე თითქოს მიღებულიც არ არის ლაპარაკი, ის თითქოს თავისთავად იგულისხმება, მაგრამ ეს არის დაუცხრომელი და მძიმე ჯაფა სხვის ხელნაწერზე ზრუნვისა, რაც ლევანმა საოცარი გულისხმიერებით და გულთბილობით იცოდა.

ლევან ასათიანი თითქოს დაბადებული იყო რედაქციისათვის, რადგანაც მის ბუნებაში მაღალ ერუდიციასა და დიდ ინტელექტუალურ კულტურასთან შეთავსებული იყო შესანიშნავი ადამიანური თვისებები — ის ჩუმი სიყვარული, რომელიც შინაგანად ათბობს და სტიმულს აძლევს ლიტერატურის შრომას.

არა ერთი მწერალი, გარდა თავისი, სიცოცხლეშივე გამოქვეყნებული მთავარი ნაწარმოებებისა, გარდაცვალების შემდეგ სტოვებს ხოლმე ზოგი დღიურს, ზოგიც უბის წიგნაკებს, რომლებშიც მას ალუბეჭდავს ყველაფერი ის, რაც თავისი ცხოვრების მანძილზე გაუგონია, დაუნახავს და საინტერესოდ მიუჩნევია. ასე, მაგალითად ცნობილია დიდი რუსი კლასიკოსის ა. პ. ჩეხოვის უბის წიგნაკები, რიცხვით ოთხი, რომლებიც გამოქვეყნებულია ამ მწერლის თხზულებათა სრულ კრებულში და იკითხება ისეთივე ინტერესით, როგორც ამ მწერლის შესანიშნავი ნოველები. ასე ითქმის ცნობილი საბჭოთა მწერლის ილია ილფის უბის წიგნაკებზე, რომლებიც დაბეჭდილია ი. ილფისა და ე. პეტროვის თხზულებათა ხუთტომიან გამოცემაში (1961 წ.)

ლევან ასათიანმა, თავისი შესანიშნავი გამოკვლევების გარდა, დასტოვა 17 უბის წიგნაკი, რომლებშიც მას შეუტანია უმთავრესად იმ დროის ლიტერატურული ცხოვრების ამბები. ერთი ნაწილი მისი ჩანაწერებისა ამ უბის წიგნაკებიდან გამოქვეყნდა „მნათობში", 1969 წლის მერვე ნომერში. ამჟამად ვაქვეყნებთ უბის წიგნაკების მომდევნო ჩანაწერებს. კიდევ ერთი რამ უნდა აღვნიშნოთ: ლევან ასათიანი ცოცხალი იუმორის გრძნობით იყო დაჯილდოებული და გასაგებია, რომ მის უბის წიგნაკებშიაც ამ გარემოებას თავისი კვალი დაუმჩნევია — ბევრი რამ აქ კეთილი ღიმილით არის გამთბარი. (რედ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ანასტასია გედევანიშვილის მოგონებანი ილია ჭავჭავაძეზე

ანასტასია გედევანიშვილი ქვრივია ექიმ მიხეილ გედევანიშვილისა, რომელმაც 1913 წელს გამოსცა ილია ჭავჭავაძის თხზულებანი, გაფორმებული მდიდრულად.

ანასტასია არის და დრამატურგ იოსებ გედევანიშვილისა; ჯერ კიდევ გათხოვებამდე ის იცნობდა ილიას, მსვლელობა ჰქონდა მასთან ოჯახში; მისი ქმარი მიხეილ გედევანიშვილი მეგობრულ ურთიერთობაში იყო ილიასთან.

ანასტასია 80 წლამდე მიღწეული მოხუცია. მასთან საუბარი მქონდა 29 VIII 1944 წ. მისი ნაამბობიდან ქვემოთ მომყავს ზოგიერთი ეპიზოდი.

1.

მამაჩემი, კოტე გედევანიშვილი, კარგად იცნობდა ილიას და მასთან მეგობრულ ურთიერთობაში იყო.

დედაჩემი გიქიმყრელის ქალი გახლდათ. შინაური განათლება ჰქონდა მიღებული, მაგრამ მეტად ნაკითხი და განათლებული ადამიანი იყო. ამასთან შესანიშნავი მცოდნე ქართული ენისა.

ილია ხშირად მინახავს ჩვენს ოჯახში: მცხეთაში, ძველი ხიდის მახლობლად გვქონდა სახლი.

როდესაც საგურამოდან მცხეთის სადგურზე მიდიოდა ილია, თბილისისაკენ მატარებლით გასამგზავრებლად, ჩვენთან შეაჩერებდა ეტლს და გვესტუმრებოდა ხოლმე. მას ძალიან უყვარდა დედაჩემთან ლაპარაკი. გამიგონია, დედაჩემისთვის უთქვამს: „ქართულს თქვენთან ვსწავლობო“.

2.

პირველ ოქტომბერს ილია ჩამოდიოდა მცხეთობაზე, დღესასწაულზე დასასწრებლად. ამ დღეს უსათუოდ ჩვენთან მოვიდოდა.

მახსოვს, ერთხელ მცხეთობა დღეს მრავალი სტუმარი იყო ჩვენსას. ილიაც მობრძანდა. იყო აგრეთვე ალექსანდრე ეპისკოპოზი, რომელთანაც ის მეგობრულ განწყობილებაში იმყოფებოდა. იმ დღეს ძალიან იმხიარულეს, იხუმრეს, კარგად გაატარეს დრო.

3.

ერთხელ მამამ წამიყვანა საგურამოში. ილია ძალიან ხალისიანად შეგვხვდა, იმ დღეს აღარ გამოგვიშვა, ეტლი გააბრუნებინა მამაჩემს მცხეთაში, ხვალ ჩემი ეტლით გაგისტუმრებო.

მეორე დღეს გავემზადეთ წამოსასვლელად. ეზოში გამოვედით. ილიას ეტლი არსად ჩანდა, არ ვიცი გაფუჭდა თუ რა მოხდა, მხოლოდ ორი შეკაზმული ცხენი გამოიყვანეს.

მე ახალგაზრდა გოგონა ვიყავი, უცნობ ცხენზე შეჯდომა შემეშინდა.

— ამ ცხენს არ ვიცნობ, როგორ შევჯდე, — ვთქვი მე.

ილიას გაეცინა:

— ოჰ, არ იცნობ? მაგაზე ადვილი რა არის, შე კაი ქალო, ახლავ გაგაცნობ.

მან თავაზიანად ხელი მომკიდა მკლავში, ცხენთან მიმიყვანა და სერიოზული სახით მომმართა:

— გაიცანით, ეს არის, — და ცხენის სახელი მითხრა.

მერე ცხენს მიუბრუნდა:

— ახლა შენც გაიცანი, — ჩემზე მოათითა, — ეს არის ტასიკო გედევანიშვილი... ახლა ხომ ნაცნობები ხართ? — მკითხა სიცილით. შეგიძლია გულდამშვიდებით შეჯდე.

4.

ილიაობას, 20 ივნისს ხშირად ვყოფილვარ საგურამოში.

მახსოვს ერთხელ, არტურ ლაისტი ახალი ჩამოსული იყო; საგურამოში ცხოვრობდა, ილიამ ურემი შეაბმევინა, ზედაზენში წავედით. ვიყავით: ილია, ოლგა, ლაისტი და მე. ზედაზენის გზა მეტად ვიწრო და ძალიან ძნელად გასასვლელი იყო. ლაისტი სულ აქეთ-იქით იყურებოდა შეშინებული, ურემი არ გადაბრუნდეს და ხრამში არ გადავიჩეხოთო.

ილია არხეინად წამოწვა ურემში. კამეჩები ნელა, მძიმედ მოაგორებდნენ ურემს აღმართში.

ილიამ თქვა:

— ამ კამეჩებს რომ ვუყურებ, ჩვენი გლეხი მაგონდება. ისიც ასე ნელა და გაჭირვებით ეზიდება ჭაპანს, მასაც ესეთი მძიმე ტვირთი აქვს ქედზე მოკიდებული.

ზედაზნიდან რომ ვბრუნდებოდით, ურემს უკან ფოთლიანი ხე გამოაბეს. თავდაღმართში ამ ხეს მუხრუჭის როლი უნდა შეესრულებინა (მას „ნალო“ ან „სათარი“ ეწოდება — ლ. ა.).

ილია ამ ხეს გადააჯდა ხუმრობით, ისე მოგვყვებოდა.

ლაისტს შეეშინდა:

— რას სჩადით, თავადო ილია, რას სჩადით, — მიმართა შეშფოთებულმა თავის მასპინძელს,

— რომ გადმოვარდეთ და დაიმტვრეთ, რა პასუხს აძლევთ თქვენს ხალხს?

ილია იცინოდა, ყურადღებას არ აქცევდა თავის სტუმრის გაფრთხილებას და საყვედურს.

ასე იმოგზაურა ერთხანს, სანამ არ მოეწყინა.

5.

ინსტიტუტი რომ გავათავე, ერთ ხანს თბილისში ეპარქიალურ სასწავლებელში ვიყავი მასწავლებლად.

მოწაფე-ქალების მამები უმეტეს ნაწილად მღვდლები იყვნენ. მათ ხშირად მოქონდათ ჩვენთვის ძღვენი: დაკლული ქათმები, ხაჭაპურები.

ერთხელ ეს ამბავი მე ილიას ვუთხარი, ასეთ პატივს მცემენ ჩემი მოწაფეების მშობლებითქო.

მან გაიცინა და მითხრა:

— ასე გადაეცი შენი მოწაფეების მამებს, რომ ახლავე წაიღონ რაც მოგიტანეს, — ყველაფერი ეგ საწყალი გლეხებისათვის წართმეული საკუთრები არის და პატრონებს დაუბრუნეთქო.

6.

ერთხელ, — მაშინ ჯერ კიდევ ინსტიტუტში ვსწავლობდი, — მამას მივყავდი მცხეთიდან თბილისში.

მცხეთის სადგურზე რომ მივედით, მამამ მითხრა, მე აქ პატარა საქმე მაქვს, შენ ვაგონში ადი, ჩქარა მოვალო.

შევედი ვაგონში. ჩემს კუპეში უკვე შესულიყვნენ მგზავრები: ერთი მათგანი ილია იყო, ორ დანარჩენს არ ვიცნობდი, შემდეგ გავიგე, რომ ვლადიმერ მიქელაძე და გიკო ყიფშიძე ყოფილან.

მე მომერიდა მათი და ფანჯარაში დავიწყე ყურება. მერე კუთხეში მივჯექი და ვცდილობდი მათთვის არ მეცქირნა. მრცხვენოდა. ილია ძალიან მხიარულ გუნებაზე იყო, ემასლაათებოდა, ეხუმრებოდა თავის მეგობრებს.

მერე მე მომაქცია ყურადღება, რასაკვირველია, ვერ მიცნო. არ ვიცი, რატომ, უცხო ტომის ქალად მიმიჩნია.

— რა ვქნა, ნეტავ ვინ უნდა იყოს ეს ქალი, ალბათ ვინმეს გუვერნანტკაა. მაგრამ მცხეთაში ვის უნდა ჰყავდეს გუვერნანტკა?

მე სირცხვილით ხმა ვერ ამოვიღე, ვითომ ვერ გავიგე, რომ ეს სიტყვები მე მეხებოდა. როგორც ჩანს, ილია დარწმუნდა ჩემს უცხოობაში — მას „ფრანცუჟენკა“ ვეგონე.

მამაჩემი რომ მოვიდა, ილიამ მიმართა:

— კოტე, გეთაყვა, ვინ არის ეს უცხო ქალიშვილი, მცხეთაში დაჯდა ვაგონში.

— ვინა და ჩემი ქალიშვილიაო, — უპასუხა მამაჩემმა.

ილია დიდის თავაზით გამეცნო და თავისი მეგობრებიც დიდი ცერემონიით გამაცნო, რასაკვირველია, ხუმრობით.

— ეს მიქელაძეა, — მეუბნებოდა ის, — ეს ლამაზი და მოყვანილი ვაჟკაცი კი, — მიმითითა დაბალ და ულამაზო გიგოზე, — ჩვენი გრიგოლ ყიფშიძეა.

მთელი გზა ხუმრობდა და ხალისიანად იყო.

7.

თბილისში ილიასთან და კნეინა ოლგასთან ხშირად დავდიოდი.

იმავე დროს მაჩაბლების სტუმარიც ვიყავი ხოლმე.

და აი, ერთხელაც, მაშინ გახურებული „ბანკობიადა“ იყო, — ილიასთან რომ მივედი, ილიამ განგებ საყვედურით მომმართა:

— ქალბატონო, გავიგე, შენ ჩემი მტერი ყოფილხარო.

— რადა ბრძანებთ მაგას, — შევეკითხე შემკრთალი.

— იმად, რომ მითხრეს, თურმე შენ ვანო მაჩაბელთანაც დაბრძანდები სახლში, მე ეს არ მომწონს. ან იქ უნდა იყო, ან ჩვენთან.

— ბატონო, — ვუპასუხე მე გულწრფელად, — მაჩაბელს მე ღრმეს პატივსა ვცემ, როგორც მწერალს და შექსპირის მთარგმნელს, ხოლო თქვენს სახეში კი მთელ საქართველოს განსახიერებას ვხედავ; ამიტომ არ შემიძლია ორივეს პატივი არ გცეთქო. მხოლოდ რაც შეეხება თქვენს ბანკს და მის გარშემო დავას, ეს მე არ მეხება და არც გამეგება მაგ საქმის რამე.

ილიას გულით გაეცინა, შუბლი გახსნა:

— აი, შე კუდრაჭავ, შენა! მართალს ამბობ, ვანო მაჩაბელი საპატივცემულო კაცია და კიდეც უნდა სცე პატივი! გეხუმრები, იარე მათთან ოჯახშიო.

მე არ მახსოვს, რომ ილიას შინაურობაში ცუდი რამ ეთქვას როდესმე ვანო მაჩაბლის შესახებ.

8.

1895 წელს მე გავთხოვდი ექიმ მიხეილ გედევანიშვილზე. გათხოვებისთანავე საზღვარგარეთ წავყევი ქმარს და იქ ორ წელიწადს ვმოგზაურობდით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა ჩამოვედით, ბინად ილიას გვერდით (ნიკოლოზის ქ. № 21) დავიწყეთ ცხოვრება.

„ივერიის" რედაქცია ქვედა სართულში იყო მოთავსებული, ჩვენ მეორე სართულზე ვცხოვრობდით, სწორედ ილიას კარების პირდაპირ იყო ჩვენი ბინის შესასვლელი.

ერთხელ ილიამ მითხრა, აი შენ უცხოეთში იყავი, ენები იცი, მოდი, გადამითარგმნე რამე, გაზეთში მოვათავსებო.

მართლაც, მისი წინადადებით, რამდენიმე ნაწარმოები გადავთარგმნე ფრანგულიდან.

ილიამ ისინი „ივერიაში" დამიბეჭდა.

9.

1906 წელს ტფილისის გუბერნიის თავადაზნაურობამ სახელმწიფო საბჭოს ამომრჩევლად, ილიასთან ერთად, ჩემი ქმარიც, მიხეილიც აირჩია.

მიხეილი ილიასთან ერთად გაემგზავრა პეტერბურგს.

სადგურზე გავაცილე. სამნი მიდიოდნენ: ჩემი ქმარი, ილია და ვლ. მიქელაძე.

მე კარგი საგზალი გავატანე ქმარს, ვთხოვე, რომ გზიდან მოეწერა თავისი ამბავი.

მართლაც გზიდან მივიღე ბარათი. მწერდა, ძნელი საქმე დამავალე — გზაში წერილების წერაო. ბარათში, სხვათაშორის, მაცნობებდა, ჩემს თანამგზავრებს, ილიას და მიქელაძეს ძალიან მოეწონათ შენი გაკეთებული საჭმელებიო.

10.

ილიას შავი თმა და წვერულვაში ჰქონდა. თვალებიც მუქი ფერისა.

ჩემს მეხსიერებაში ილია დარჩა იმ სახით, როგორიც ის გიგო გაბაშვილმა დახატა. ძალიან ჰგავს ეს პორტრეტი ილიას.

* * *

**ელისაბედ ჩერქეზიშვილი:**

**(მიამბობს ეპიზოდებს ილიას ცხოვრებიდან).**

1

— ერთხელ საგურამოში ვიყავით ილიასთან, მე და ჩემი მეუღლე, ნიკო ხიზანიშვილი.

აივანზე ვისხედით.

ილიამ მიმოიხედა და იქ მყოფთა შორის ზოგიერთი სტუმარი მოისაკლისა.

— არტურ ლაისტი და ალექსანდრე ხახანაშვილი სადღა არიან? — ჰკითხა მან მეუღლეს.

— შკაფშია შენახული, — უპასუხა ოლგამ.

ილიას მეუღლე ყრუ იყო, მას ეგონა, ილია თამბაქოს ჰკითხულობსო.

ილიამ არაფერი შეიმჩნია, წარბშეჭმუხნული ადგა და ოთახში შევიდა.

— თითონვე შეინახა და დაავიწყდა, — ღიმილით გადმომილაპარაკა ოლგამ.

2.

თბილისში, ნიკოლოზის ქუჩაზე რომ ცხოვრობდა, ილიას ძროხა ჰყავდა, საგურამოდან ჩამოყვანილი.

თავლა ეზოშივე ჰქონდა, იქება ძროხა.

3.

ნიკო და მე იმავე სახლში ვცხოვრობდით, სადაც ილია იყო. სახლი ილიას დას, ელისაბედს, ეკუთვნოდა — ნიკოლოზის ქ. 21.

ჩვენ პირველ სართულზე გვქონდა ბინა, ილიას მთელი ზედა სართული ეკავა. იქვე იყო „ივერიის" რედაქციაც.

ნიკოს ხშირად ეძახოდა ხოლმე ილია სადილად. ძალიან უყვარდა მასთან ყოფნა.

შემდეგ ჩვენ პანასევიჩის ქუჩაზე გადავედით. სიკვდილამდე (1906 წ.) ნიკო იქ ცხოვრობდა.

* * *

**ერთად ვსაუბრობდით — ლ. ქიაჩელი, პ. ინგოროყვა, რ. გვეტაძე, ილია ალლაძე, მე.**

ილია ალლაძე გვიამბობს ცალკეულ მომენტებს ილია ჭავჭავაძის ცხოვრებიდან. აი ერთი მათგანი:

ილია თავის შრომას „სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ღაღადი" წერის პროცესში ბეჭდავდა ფელეტონების სახით (1899 წ.).

მე მაშინ „ივერიის" რედაქციაში ვმუშაობდი; მახსოვს, ავდიოდი ხოლმე დილით ილიასთან კაბინეტში „ქვათა ღაღადის" შემდეგი თავის წამოსაღებად.

ილია ვიწრო, გრძელ ფურცლებზე სწერდა თავის შრომას. ათი-თორმეტი დაწერილი ფურცლიდან ის ამოარჩევდა ოთხ-ხუთ ფურცელს და გადმომცემდა ხოლმე ასაწყობად.

როგორც ჩანს, ის ბევრჯერ ასწორებდა, აშალაშინებდა, ასუფთავებდა თავის ნაწარმოებს.

მთელი ღამეობით მუშაობდა.

როდესაც კორექტურას მივუტანდი, ის კვლავ შეუდგებოდა სწორებას.

**12. „მნათობი", № 6.**

ხშირად კორექტურაში იმდენი შესწორება შეჰქონდა, ისე გადააკეთებდა ტექსტს, რომ ანაწყობს ვეღარა ვცნობდით.

* * *

**10 აგვისტო, 1944 წ.**

1.

ილია ზურაბაშვილმა (ელეფთერიძემ) მიამბო ზოგი რამ ნიკო ცხვედაძის გამო.

ერთხელ ქართულ თეატრიდან (თავადაზნაურთა არწრუნისეულ შენობიდან) გამოდიოდნენ მაკო საფაროვა და ვანო მაჩაბელი. წინ შემოეყარათ მაღალი, ახალგაზრდა კაცი.

ვანომ გააჩერა, ლაპარაკი დაუწყო. მერე მაკოს მიუბრუნდა:

— არ იცნობ? ეს არის იაკობ გოგებაშვილი.

— ახ, თქვენ ბრძანდებით ცხვედაძე-გოგებაშვილი? — დაუფიქრებლად შეეკითხა ალერსიანად მომღიმარე მაკო.

საქმე იმაშია, რომ იმ ხანში, როგორც პრესაში, ისე საზოგადოებაში ამ ორი ქართველი პედაგოგის სახელი სულ მუდამ ერთად იხსენებოდა: ცხვედაძე-გოგებაშვილი, ცხვედაძე-გოგებაშვილიო .მაკოს უნებლიე შეკითხვაც ამ უკვე განმტკიცებული ჩვეულების შედეგი იყო.

2.

ნიკო ცხვედაძე მთელი თავისი სიცოცხლე გადაგებული იყო ერთ მთავარ საქმეზე: მომავალი უნივერსიტეტის შენობის აგებაზე.

როდესაც სათავადაზნაურო ბანკის ყრილობა დაინიშნებოდა, ყრილობის დაწყებამდე ორი კვირის წინ ჩაიცვამდა თავის შავ სერთუკს და გაჩნდებოდა თავადაზნაურთა წრეებში. ის გახურებულ აგიტაცია-პროპაგანდას ეწეოდა წინასწარ, რათა თავადაზნაურობა — მომავალი ყრილობის წრეები, მიემხრო და დაეყაბულებინა — რომ სათავად-აზნაურო ბანკს თავისი მოგებიდან საგრძნობი თანხა გაეღო საუნივერსიტეტო შენობის ასაგებად.

ერთმა მოთმინებიდან გამოსულმა თავადიშვილმა სვიმონ ანდრონიკაშვილმა ნახევრად სერიოზულად იხუმრა თურმე ცხვედაძის შესახებ:

— ეს დალოცვილი სულ აშენებს და აშენებს იმ სახლს, ჩვენ კი ლამის დაგვაქციოსო.

* * *

**13 აგვისტო**

ვიყავი მ. გედევანიშვილის ოჯახში, ექიმის ქვრივმა დაწერა მოგონებები თავის ქმარზე და ილია ჭავჭავაძეზე, საჭირო იყო მისი წამოღება.

შვილი — მიტო და რძალი თამარ ციციშვილი გულითადი მასპინძლები იყვნენ.

სხვათაშორის, თამარმა მიამბო:

1.

1935 წელს კრემლში ვიყავი მიღებაზე. ი. ბ. სტალინმა მკითხა, ვისი შვილი ვიყავი, შემდეგ მკითხა, ლევან ციციშვილი თუ გაგიგონიათო.

მე ვუპასუხე, რომ ლევან ციციშვილს ვიცნობდი, აგრეთვე მის ქალიშვილებსაც, რომლებიც ახლა თბილისში ცხოვრობენ, კარგად ვიცნობთქო.

სტალინმა თქვა:

შესანიშნავი კაცი იყო ეს ლევან ციციშვილი, ის იყო ერთი პირველი მარქსისტთაგანი საქართველოში. მას თბილისში ცხოვრება აკრძალული ჰქონდა, ამიტომ მუდმივად ცხოვრობდა ს. წრომში.

და აი, ჩვენ, გორის სასულიერო სასწავლებლის მოსწავლეები, 16-17 წლის ბიჭები ფეხით დავდიოდით მასთან გორიდან, რამდენიმე ათეული კილომეტრის მანძილზე. ის მარქსიზმს გვასწავლიდა. ის იყო ჩვენი პირველი მასწავლებელი მარქსიზმისა.

— ეს იყო 1896 წელში, — თქვა სტალინმა, — არა, 1897 წელში. მერე ცოტახანს დაფიქრდა და თქვა: 1896 წელშიაც და 1897 წელშიც.

მე, სხვათაშორის, ვუთხარი სტალინს, რომ ლევან ციციშვილი მოჰკლეს 1918 წელს.

მას, ეტყობა, ეწყინა ეს ამბავი და იმ წუთში არაფერი თქვა.

ერთი საათნახევრის შემდეგ, როდესაც ვახშამად ვისხედით, ის უცებ დაფიქრდა და თქვა:

— Это безобразие, что убили Левана Цицишвили. Второе безобразие — это убийство Ильи Чавчавадзе.

ვახშამზე სტალინმა გვთხოვა, გვემღერნა. მან მოისურვა ერთი ქართული ხალხური სიმღერის გაგონება. აღმოჩნდა, რომ არავინ იცოდა ეს სიმღერა. მაშინ თვითონ დაიწყო მოტივი და სიმღერის ტექსტი საუცხოოდ ახსოვდა.

2.

მიტო გედევანიშვილმა დასძინა თავის მეუღლის ნაამბობს:

ვახშმის შემდეგ სერგო ორჯონიკიძემ მკითხა, თქვენ რომლის შვილი ხართ, მიხეილის თუ დავითისაო.

მე ვუპასუხე, რომ მიხეილის.

მაშინ მან ხელი მომკიდა, მითხრა — წამოდი, სტალინთან წარგადგენო, მან მიმიყვანა მასთან.

სტალინმა ხელი ჩამომართვა და მითხრა, რომ მიხეილ გედევანიშვილს ვიცნობდიო. სამწუხაროდ, მისი გამოცემული ილია ჭავჭავაძის თხზუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებათა ტომი არა მაქვსო. მე მოვახსენე, რომ თბილისში ჩასვლისთანავე გამოგიგზავნითქო. მას ესიამოვნა.

მართლაც, თბილისში დაბრუნებისთანავე ავასრულე სტალინის სურვილი.

სტალინმა, სხვათაშორის, საუბარში მოიგონა:
— მამათქვენთან საავადმყოფოში ფერშლად მსახურობდა თეოფილე ჩიჩუა, ჩვენი პარტიული ამხანაგი. მიხეილმა იცოდა მისი კონსპირატიული მუშაობის შესახებ და იფარავდაო. ჩვენ ამ თეოფილე ჩიჩუასთან ხშირად ვიკრიბებოდით და არალეგალურ სხდომებს ვმართავდითო.

გედევანიშვილის სამკურნალოს სახელზე სამედიცინო ჟურნალები მოდიოდა. თეოფილემ მოახერხა, რომ საზღვარგარეთიდან ამ ჟურნალებთან ერთად ეგზავნათ არალეგალური ლიტერატურა. ამ ლიტერატურას თეოფილეს საშუალებით ჩვენ ვღებულობდით და ვავრცელებდითო.

* * *

**14 აგვისტო**

ერთხელ აკაკიმ განცხადება შეიტანა წერა-კითხვის საზოგადოებაში დახმარების შესახებ. იაკობ გოგებაშვილმა მის განცხადებას წააწერა: „უარი ეთქვასო", ის ზოგავდა წ. კ. საზოგადოების ფულებს და აკაკისთვისაც კი ენანებოდა მიცემა. მაგრამ, სამაგიეროდ, თავისი ფული ამოიღო ჯიბიდან — ხუთი თუმანი და გადასცა თანამშრომელს, — აკაკი მოვა და მიართვიო.

მართლაც აკაკიმ მიაკითხა თავის განცხადებას და წაიკითხა იაკობის რეზოლუცია. ეწყინა:
— ვიცოდი ასე იქნებოდა! აბა, ბერწი კაცისაგან რა ხეირს უნდა მოელოდე! (აკაკიმ გადაჰკრა იაკობ გოგებაშვილის უცოლშვილობას).

წ. კ. საზოგადოების თანამშრომელმა ამასობაში ფულიც ამოიღო.

— ბატონო აკაკი, გოგებაშვილმა აი ეს დამიტოვა თქვენ გადმოსაცემად.

აკაკი მოლბა. ხელად იცვალა გუნება:

— არა, მართალია, თითონ უცოლშვილოა, მაგრამ მთელი საქართველოს ახალგაზრდობა განა მაგის შვილები არ არიან ყველანი? იაკობი სათნო და კეთილი ადამიანია.

(რ. გვეტაძისაგან გაგონილი).

* * *

**19 აგვისტო**

**1.**

დღეს ჩემთან რედაქციაში მოვიდა ივანე პოლუმორდვინოვი, მთარგმნელი. მოიტანა ჩეხოვის ნოველების თარგმანები. მე დავიტოვე „პალატა № 6.

ვისაუბრეთ .

ივ. პოლუმორდვინოვმა მიამბო, რომ 1903 წელს ის დაესწრო მრავალრიცხოვან ბანკეტს, რომელიც ვერის ბაღში გაუმართა ქართველმა ინტელიგენციამ მოსკოვიდან ჩამოსულ ალ. სუმბათაშვილ-იუჟინს.

ბანკეტზე თამადად იყო ილია.

მან გამოსთქვა სინანული, რომ ისეთი დიდი ხელოვანი, როგორიც ალ. სუმბათაშვილია, თავისი ნიჭით უშუალოდ მშობელ ქართველ ხალხს არ ემსახურება.

— გაძლევთ სიტყვას, — უპასუხა ილიას ალ. სუმბათაშვილმა, — რომ სულ მოკლე ხანში დაგიმტკიცებთ, რომ მე არ დამვიწყებია ჩემი ქვეყანა და ჩემი ხალხი. მე ვწერ ახალ პიესას, სადაც საქართველოს წარსული მაქვს ასახული.

მართლაც, ამის შემდეგ რვა თვესაც არ გაუვლია, რომ სუმბათაშვილმა დაამთავრა თავისი ახალი პიესა „ღალატი".

**2.**

ჩვენი საუბარი რატომღაც შეეხო ქართველ ცენზორებს მეფის დროს. მე გამოვთქვი გაკვირვება, როგორ ათავსებენ ასეთ ორმაგობას თავის ბუნებაში ეს ადამიანები: ერთი მხრივ, დიდი პატრიოტობა, მეორეს მხრივ — ჩვენი ქვეყნის დამჩაგვრელი ცარიზმის სადარაჯოზე დგომა და მისი ინტერესების დაცვა. მე გავიხსენე ცენზორები — რაფიელ ერისთავი, დიმიტრი ბაქრაძე და სხვები.

— აქ ორმაგობას არ ჰქონდა ადგილი, — მიპასუხა პოლიმორდვინოვმა, — ქართველ ცენზორებს ბევრი სარგებლობა მოჰქონდათ ქართული პრესისათვის, რადგან ისინი, უმეტეს წილად, დიდ შეღავათს ანიჭებდნენ თავისუფალ აზროვნებას. აი, მაგალითად, მე თვითონ ცენზორი გახლდით 1905 წლიდან 1917 წლამდე. ჩემს პრაქტიკაში ბევრი დახმარება გამიწევია ქართული რედაქციებისა და გამომცემლობებისათვის. როდესაც ჩემი კანდიდატურა დაასახელეს ცენზორობაზე, მახსოვს ჩემთან მოვიდა სამსონ ფირცხალავა („სიტყვა") და მთხოვა უსათუოდ დავთანხმებულიყავი ამ თანამდებობაზე, რადგან მისი აზრით მე ბევრი სარგებლობის გაწევა შემეძლო მათთვის, შემდეგ ასეც მოხდა.

ერთხელ სევერიანე ჯუღელი მოვიდა ჩემთან და მთხოვა, რადგან ჟანდარმები ხშირი სტუმრები არიან ჩვენი რედაქციისა, ამიტომ გთხოვთ რედაქციის ხელნაწერები შენთან შევგინახო ბინაზე და საჭიროების მიხედვით წავიღებთ ხოლმე დასაბეჭდათ ნაწილ-ნაწილო. ამით მაგ ხელნაწერებს გადავარჩენთ მუდმივ ჩხრეკას და კონფისკაციასო.

მე დავთანხმდი და მართლაც სევ. ჯუღელმა მთელი ხვავი მომიტანა რედაქციის ხელნაწერებისა. მე მათ ვინახავდი ჩემთან.

**3.**

ერთხელ ერთი გამომცემელი პასუხისგებაში მისცეს პუბლიცისტური წერილების კრებულის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოცემისათვის; საქმეს არჩევდა სასამართლო პალატა. მე, როგორც ბეჭდვითი საქმის კომიტეტის (ასე ეწოდებოდა 1905 წლის შემდეგ ცენზურას) წარმომადგენელი, მოწმედ ვიქენ გამოძახილი.

სასამართლოში მე განვაცხადე (ტყუილი ვთქვი), რომ ეგ ნაწერები გამოცემამდე მე, როგორც ცენზორმა, წინასწარ განვიხილე და დაბეჭდვის ნება მივეცითქო.

პროკურორმა ფედოროვმა მოითხოვა ჩემი პასუხისგებაში მიცემაც, მაგრამ ვეღარ მოახერხა, რადგან კანონის ძალით არც ცენზორის, არც მოსამართლეს პასუხისგებაში მიცემა არ შეიძლებოდა, რადგან პირველსაც — ნაწარმოებების გაშვებისას და მეორესაც დამნაშავის გამართლების დროს, შეეძლო უნებლიე შეცდომა დაეშვათ და ეს არ ეთვლებოდათ დანაშაულად, რომლისთვისაც პასუხისგებაში შეიძლებოდა ყოფილიყვნენ მიცემულნი.

ამგვარად, ჩემი განცხადებით მე პასუხისმგებლობიდან დავიხსენი როგორც გამომცემელი, ისე ავტორი წიგნისა.

* * *

ერთხელ ზესტაფონში ადგილობრივი ადვოკატი ბესარიონ გაჩეჩილაძე სასამართლოში ვილაც ქურდს იცავდა.

ბესარიონმა ძალიან პათეტიკური სიტყვა წარმოთქვა პატიმრის დასაცავად.

— ეს კაცი, — მიმართა ბესარიონმა მოსამართლეს, — ეს კაცი ყველაფერს იზამს, ყველაფერს ჩაიდენს, მხოლოდ ქურდობას კი არ იკადრებს...

დაგხვდება გზაზე, მოგკლავს, გაგცარცვავს, მაგრამ ქურდობას არ იკადრებს.

ცეცხლს წაუკიდებს თქვენს სახლს, გადაგწვამს, ყელს გამოგჭრის, მაგრამ ქურდობას კი... რა სათქმელია, — არავითარ შემთხვევაში არ იკადრებს.

სასამართლო გავიდა სათათბიროდ. ჩქარა ისევ დაბრუნდნენ და გამოაცხადეს განაჩენი. პატიმარს 10 წლის ციხე მიუსაჯეს.

— თქვენ გეძლევათ უკანასკნელი სიტყვის უფლება, — ბრძანეთ, მიმართა მოსამართლემ პატიმარს.

ის მძიმედ წამოდგა ზეზე, გაფითრებულმა თვალი მიაპყრო მოსამართლეს და მწარე ღიმილით წარმოსთქვა:

— ამისთანა დამცველის ხელში სულაც დახვრეტა რომ არ მომისაჯეთ, დიდ მადლობას შემოგწირავთო!...

13. IX-44 წ.

* * *

დღეს გაზეთში გამოქვეყნებულია ავიოკონსტრუქტორ ა. იაკოვლევის „შეხვედრები ამხანაგ სტალინთან".

აი ერთი ადგილი იაკოვლევის მოგონებიდან:

„ერთხელ საუბარი ჩამოვარდა სათავგადასავლო ლიტერატურაზე, მაინ-რიდისა და ფენიმორ კუპერის ნაწარმოებებზე,

სტალინმა სთქვა, რომ ბავშვობაში იგი გატაცებული იყო ამ მწერლების რომანებით. ბავშვობისას მეც მიტაცებდა ეს წიგნები .მეც ავიღე და ვუთხარი:

— დიახ, ეს ძალიან საინტერესო და სასარგებლო წიგნებია. სამწუხაროა, რომ ახლა არა თუ ახალ ასეთ წიგნებს არ სწერენ, არამედ ძველებსაც არ ბეჭდავენ.

სტალინმა დამცინავად გაიღიმა:

— აბა, როგორ გამოუშვებენ ჩვენი გამომცემლობანი მაინ-რიდსა და კუპერს, იქ ხომ კოლმეურნეობებსა და ტრაქტორებზე არაფერი სწერია?"

17. IX. 44.

* * *

ტასო გედევანიშვილისაგან დღეს მივიღე ავტობიოგრაფია, რომელიც მან ჩემის თხოვნით დასწერა.

აი, მისი ბარათიც:

„პატივცემულო ბატონო ლევან! ბოდიშს ვიხდი, რომ დავაგვიანე თქვენი დავალების ასრულება, მაგრამ თვალებმა მიღალატა, სათვალებითაც კი ცუდად ვხედავ. მაპატიეთ ასეთი ჯღაბნა.

თქვენი მშვენიერი წიგნი წავიკითხე, სადაც თქვენ მოგვითხრობთ, ქართველი ქალი რას აკეთებდა რამდენიმე საუკუნის განმავლობაში თავის სამშობლოში. იქნება თქვენ დაგაინტერესოთ, რას აკეთებდნენ მეოცე საუკუნის ქართველი ქალები, რომ შეეტანათ თავისი პატარა წვლილი საზოგადო საქმეებში თავის სამშობლოსათვის. ტასო გედევანიშვილი. 22 სექტემბერი 1944 წ. თბილისი.

23. IX. 44.

* * *

1.

დღეს, საუზმის დროს, რატომღაც საუბარი ჩამოვარდა ტელემაკ გურიელზე; შალვა ღამბაშიძემ და გერონტი ქიქოძემ საინტერესო ეპიზოდები გაიხსენეს ამ კაცის ცხოვრებიდან.

ტელემაკი უმცროსი ძმა იყო პოეტ მამია გუ-

რიელისა. სულ რამდენიმე ძმები იყვნენ მთავრის შთამომავალნი: მამია, ვახტანგი, ვარდენ, ჯაბა, ტელემაკი. ერთი მათი დათაგანი დედა იყო კრიტიკოსის და საზოგადო მოღვაწის კიტა აბაშიძისა.

გარეგნულად ძალიან მიმზიდველი სანახავი იყო ტელემაკი. სქელი ხუჭუჭა თმა გვირგვინივით ედგა თავზე, მუდამ ჩოხას იცვამდა, განუშორებელ ფაფანაკს ატარებდა ბეჭზე, ხან მხარს უკან.

ნაკითხი კაცი იყო ტელემაკი, შინ ნასწავლი, მაგრამ დიდი მწიგნობარი ადამიანი. ძველი ქართული მწერლობა კარგად იცოდა. რუსთაველს ზეპირად გეტყოდათ. მაგრამ შესაფერ შემთხვევაში მთელ მონოლოგებს წარმოთქვამდა შექსპირიდანაც.

ტელემაკს ბილწი სიტყვის გაგონებაც კი ეზარებოდა, თითონ ხომ არასოდეს წამოცდებოდა რაიმე უმსგავსი.

როდესაც რეჟისორი ალ. წუწუნავა იღებდა სურათს „ჯანყი გურიაში", მსახიობებად მოწვეულნი იყვნენ, სხვათაშორის, ისეთი კოლორიტული და ტიპიური წარმომადგენელნი ძველი თავადაზნაურობისა, როგორც ტელემაკი, კოწია ერისთავი და სხვები.

ერთხელ სურათის ეპიზოდის მიხედვით, მასობრივ სცენაში, მონაწილეთ უნდა ეყვირათ საგინებელი სიტყვები: „ჰაი, თქვე მამაძაღლებო!" და სხვა ამგვარი.

ტელემაკმა კატეგორიული უარი განაცხადა ასეთი სიტყვების წარმოთქმაზე.

დაუწყეს ხვეწნა.

ტელემაკი იძულებული შეიქმნა დათმობაზე წასულიყო. ის ყვიროდა:

— ჰაი, თქვე ნაცარქექიებო, თქვე მხდალებო!

ცუდი სიტყვა მაინც ვერ წამოაცდენინეს.

2.

ტელემაკი აღტაცებით წარმოსთქვამდა ხოლმე რუსთაველის აფორიზმებს, აგრეთვე ცალკე ადგილებს.

— ბატონო, — იტყოდა ის, — აბა რა შეედრება თავისი პოეტურობით და სიმკვეთრით ქალის სილამაზის ასეთ გადმოცემას:

თინათინ მზესა სწუნობდა
და მზე კი თინათინობდა...

ტელემაკი ფიქრობდა, რომ ქართულ ენას შეუდარებლად მდიდარი და მრავალფეროვანი ნიუანსები ახასიათებს და ეს საშუალებას იძლევა ადამიანის სულიერი განწყობილების ზედმიწევნითი გამოხატვისას ამ ენაზე.

3.

ყოველ ახალ წელიწადს, კალანდობას, ძმები გურიელები — ტელემაკი, ჯაბა და სხვანი, მიიპატიჟებდნენ ხოლმე გლეხებს, დასვამდნენ გრძელ სუფრაზე და აქეიფებდნენ.

თითონ ფეხზე იდგნენ და ისე ემსახურებოდნენ თავის სტუმრებს.

ამ ერთ დღეს წელიწადში გლეხები მათი ბატონები იყვნენ, ისინი კი მორჩილი და მომსახურე ყმები.

ეს ოჯახის ძველი ტრადიცია იყო და ძმები მას წმინდად ინახავდნენ.

5. IX. 43 წ.

* * *

ბ. ქლენტმა და პ. ინგოროყვამ მიამბეს ერთი ამბავი რუსთაველის მკვლევარ იუსტინე აბულაძეზე.

ვიღაც ახალგაზრდა კაცს მომღერალ ძუკუ ლოლუას ბიოგრაფია შეუდგენია და ცალკე ბროშურად გამოუცია.

ბროშურას წინასიტყვაობად დართული ჰქონდა იუსტინე აბულაძის წერილი ავტორის შესახებ. იუსტინე, სხვათაშორის, წერდა თურმე: „ეს ნაწარმოები ხელით საგოგმანებელ მარგალიტად დარჩება ჩვენს ლიტერატურაშიო".

ბროშურის გამოცემის რამდენიმე დღის შემდეგ იუსტინეს შეხვედრია ალ. აბაშელი და კ. გამსახურდია.

— ეს რა დაგიწერია, იუსტინე, ის უხეირო ნაჯღაბნი რა ხელით საგოგმანებელ მარგალიტად იყო მისაჩნევიო, — უსაყვედურებია აბაშელს.

იუსტინეს თავი უმართლებია:

— გაუგებრობა მოხდა. მე ის წინასიტყვაობა დავუწერე იმ კაცს არა ძუკუ ლოლუას ბიოგრაფიისათვის, არამედ ლექსთა კრებულისათვის, რომლის გამოცემასაც ის წინათ აპირებდა. მაგრამ ეს კრებული ველარ გამოუცია რაღაც მიზეზით და ჩემი წერილი ამ ბროშურისათვის დაურთავს.

— თუნდაც ლექსები ყოფილიყო, განა იმ უნიჭოს ლექსები მარგალიტებად უნდა ჩაგეთვალა? — არ ეშვებოდა აბაშელი.

იუსტინე აპილპილდა:

— რა გგონია, შენ თითონ რა ლექსებს სწერ, დიდ პოეტად ხომ არ წარმოგიდგენია თავი?

ასე შეჰყვნენ ლაპარაკს და ერთმანეთი კარგად გალანძღეს თურმე, კ. გამსახურდიამ გააშველა ისინი. მეორე დღეს აბაშელი ქუჩაში შეხვდა იუსტინეს, წყენა უკვე გადაჰყროდა გულზე და ჩვეულებრივ თავი დაუკრა აბაშელმა.

იუსტინე, როგორც მუდამ, ღრმად ჩაფიქრებული მიდიოდა და თავის დაკვრაზე სალამითვე უპასუხა. მაგრამ ამ დროს გაახსენდა თავისი წყენა და თავში შემოიკრა ხელი:

— ჰეი! მე თქვენ ხმას არ გცემთ!

6. IX. 43.

* * *

ერთხელ კონსტანტინე გამსახურდიამ გვიამბო:

— თქვენც ხომ იცით, რომ არსებობენ ადამიანები, რომლებიც ჰიპნოტურ ძალას ატარებენ თავისდაუნებურად, ან სავსებით შეგნებულად.

ერთი მაგალითი:

ამ სამი წლის წინათ მე და ა. მაშაშვილი ცხენებით მივსეირნობდით ბეთანიისაკენ, გვინდოდა გაგვევლო, თანაც კიდევ ერთხელ გვენახა თამარის ფრესკა, გრიგოლ ორბელიანმა რომ უძღვნა თავის შესანიშნავი ლექსი.

სამი კილომეტრით ვიყავით დაშორებული ბეთანიას, რომ უეცრად გზაზე ერთი ჭროლათვალებიანი გლეხი შემოგვეყარა.

მისი შეხვედრა და ცხენის გაჩერება ერთი იყო.

როგორ არ შევუტიე ცხენს, როგორ არ ვეცადე, — არაფერი გამოვიდა. გაჩერდა და გაჩერდა ერთ ადგილას, არ იქნა მისი დაძვრა.

გლეხმა უცქირა ამ ამბავს, მერე მოვიდა და მითხრა:

— ტყუილად ნუ უჯავრდებით მაგ ცხენს, ეგ ერთ ნაბიჯსაც აღარ გადადგამსო. მე ისეთი თვალი მაქვს, პირუტყვს რომ შევხედავ, ის წინ ველარ წავაო, პირუტყვის ასეთ გაჯიუტებას „გაჰქირი" ეწოდებაო. თქვენმა ცხენმა ეხლა „გაჰქირი" ქნა. უმჯობესია დაჰყევით მაგის ნებას და საიდანაც მოგიყვანათ, იქით წაჰყევითო.

ამ სიტყვებთან ერთად გლეხმა ცხენს სადავეში მოჰკიდა ხელი და პირი უკან აქნევინა.

რაღას გავაწყობდი.

იმ დღეს ბეთანიაში აღარ მივსულვართ, დავბრუნდით ქალაქში.

13. IX. 43.

* * *

ი. გრიშაშვილმა მიამბო ეპიზოდები თავისი ბავშვობიდან.

— თოთხმეტი წლის ვიყავი, როდესაც დავობლდი. მამა მომიკვდა, დედა ხელმეორედ გათხოვდა და წავიდა სახლიდან. მე მარტო დავრჩი ხარფუხში. ზედა სართულში მდგმურები იდგნენ, მე ქვედა სართულში ვცხოვრობდი. მდგმურები ცოტა სახლის ქირას მაძლევდნენ, ის იყო ჩემი სარჩო.

ძალიან მიყვარდა წიგნი, კითხვა, დავდიოდი ხარფუხში, დალაქებსა და მიკიტნებს წიგნებსა და გაზეთებს ვუკითხავდი ხოლმე ხმამაღლა.

ამ დროს ავლაბარში, შავსოფელში, ვიღაც ივაშკოს ფიცრული ჰქონდა გახსნილი, იქ წარმოდგენები იმართებოდა. ქართულ პიესებსაც სდგამდნენ, — იქ ქართველ სცენისმოყვარულთა წრეც არსებობდა.

ერთხელ სუფლიორი ავად გამხდარიყო, მე გავხსენებოდით, მოვიდა ჩემთან წრის წარმომადგენელი და ძალად წამიყვანა, გვისუფლიორეო, შენ კარგი კითხვა იციო.

წავედი. წარმოდგენაზე დიდი არეულობა იყო, მაყურებლების დარბაზში ვიღაც დარდიმანდები იყვნენ, სუფლიორის ჯიხურს ხელს დაჰკრავდნენ ხოლმე და, თავზე დამახეთქებდნენ.

მეც ძალიან გატაცებით ვსუფლიორობდი, რამდენიმეჯერ გავერთვე და ჯიხურიდან კინაღამ ამოვძვერი.

ასე დაიწყო ჩემი მოღვაწეობა თეატრში.

მერე სხვა თეატრშიც ვმუშაობდი ავლაბარშივე, არაქსიანის თეატრში, სადაც ქართული და სომხური წარმოდგენები იმართებოდა.

ერთხელ სომხური ვოდევილები ვნახე, ისე მომეწონა, შინ რომ მივედი, იმავე შინაარსის ვოდევილი დავსწერე ქართულად, ზეპირად. ეს არის „ტიმოთეს ლელვი".

ლექსების წერა 1906 წელს დავიწყე. პირველი ჩემი ლექსი წავუკითხე ლადო დარჩიას, ის სოციალ-დემოკრატების პროპაგანდისტი იყო იმ დროს ავლაბარში.

ყრმობისა და ჭაბუკობის წლებში ბევრი გაჭირვება და ხელმოკლეობა განმიცდია.

ერთხელ ხარფუხში მე თვითონ გავმართე შინაური წარმოდგენა, პატარა გამოცდილება მაშინ უკვე მქონდა ავლაბრის სუფლიორობის შემდეგ.

ერთ ზაფხულს ამხანაგებმა მითხრეს, წავიდეთ დილომში, წარმოდგენები გავმართოთ, ცოტა ფული შემოგვივაო.

მართლაც, შევაგროვე ხუთი ამხანაგი და წავედით დილომში. იქ მამაჩემის პირველი ცოლის ნათესავები მეგულებოდნენ და იმათთან მივედი.

გავმართეთ დილომში წარმოდგენა. თურმე ამ წარმოდგენას დასწრებია იმ დროს ბავშვი ჭიაურელი. ამ რამდენიმე წლის წინათ, ხელოვანთა სახლში ჭიაურელის შემოქმედებითი საღამო იყო. მე არ დავსწრებივარ. ჭიაურელს თავისი ბიოგრაფია გაუცვნია დამსწრეებისათვის და, სხვათაშორის, უთქვამს: პირველი წარმოდგენა, რომელიც ჩემს ცხოვრებაში ვნახე, ეს იყო გრიშაშვილის მიერ გამართული სპექტაკლი დილომშიო.

როდესაც ქართულ თეატრში დავიწყე სიარული გუნიასთან, მახსოვს ეზოში ერთ მხარეს წიგნების და ჟურნალ-გაზეთების კიოსკი იყო, სადაც გამყიდველად მუშაობდა შიო მღვიმელი; მეორე მხარეს — წერა-კითხვის საზოგადოების წიგნთსაცავიც კი იყო. ამ წიგნთსაცავში ხშირი სტუმარი გახლდით, სულ გადაკითხული მქონდა ძველი ჟურნალ-გაზეთები, მათ შორის გაზეთ „ივერიის" კომპლექტები.

2. IX. 43 წ.

* * *

საღამოს მე და რ. გვეტაძე ვესტუმრეთ ლეო ქიაჩელს. ლეო მარტოა. რძალი და შვილიშვილი წყნეთში ჰყავს. ვაჟი ოთარი მეორე წელიწადია სევასტოპოლში დაიკარგა.

საკვირველია, ლეო არასოდეს არ იხსენებს

ვაჟს. არც ამ საღამოს უთქვამს რაიმე მის შესახებ. მე მგონია, ლეო ამას განგებ სჩადის. არ უნდა იფიქროს ერთადერთ ვაჟის ბედზე, ის თავიდან იშორებს ამ ფიქრს...

ვითამაშეთ ნარდი.

შემდეგ ლეომ თითონ გამოაცხო ერთი ჭადი. ერთი ბოთლი ღვინო ჰქონდა, ყველი და ჭადი შევატანეთ.

ლეო სამეგრელოში იყო, ახლახან დაბრუნდა. უნახავს ცნობილი ქიონია სარსანია, მსოფლიო რეკორდსმენი ჩაის ფოთლის კრეფაში.

— ქიონიასთან რომ მივედი, ის შინ არ დამხვდა, ზუგდიდში იყო წასული, ზუგდიდიდან ხუთი კილომეტრის მანძილზეა დაშორებული ქიონიას სახლი.

ეზოში დავჯექი ,ვესაუბრებოდი ქიონიას ქმარს. ის ერთი გამხდარი საწყალი მოხუცია.

ჩქარა ქიონიაც დაბრუნდა. მე წინათაც ვიცნობდი მას. მივესალმეთ ერთმანეთს. დავსხედით ჩრდილში, საუბარი დავიწყეთ.

ქიონიამ მიამბო, რომ ის 12 წლის ასაკიდან ჰკრეფს ჩაის; როცა წამოიზარდა ,თავის საკარმიდამო ნაკვეთზე ჩაის პლანტაცია გააშენა, ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლებამდე მას მოჰყავდა ჩაი და ზუგდიდში ჰყიდდა, ამით არჩენდა ოჯახს.

კოლექტივიზაციის დროს მან მთლიანად შეიტანა თავისი ჩაის ნაკვეთი კოლექტივში და თვითონაც შევიდა წევრად.

ლეომ თქვა, რომ ქიონიამ ძლიერი შთაბეჭდილება დასტოვა მასზე. ეს პატარა თხელი ქალი, 45-46 წლისა, მთლიანად გამოხატულებაა ენერგიისა და მოძრაობისა.

არ არის წუთი, რომ მოძრაობაში არ იყოს მისი სახის ან სხეულის რომელიმე ნაკვთი.

ლეო აპირებს მისი პორტრეტის დაწერას.

4. IX. 43 წ.

* * *

**ბესო ჟღენტი:**

ერთხელ თბილისში მაიაკოვსკი ჩამოვიდა. რამდენიმე ამხანაგი, მაიაკოვსკისთან ერთად, წავედით სადილის საჭმელად ერთ სარდაფში.

მიკიტანმა სუფრა გაგვიწყო. მოიტანა ჭურჭელი, საუზმე. ჩვენ ოთხნი ვიყავით, მან კი შეცდომით ხუთი ჭიქა დაგვიდგა წინ.

მაიაკოვსკიმ მოიხმო მიკიტანი და ქართულად უთხრა:

— ამხანაგო, ან ერთი კაცი მოიტანე, ან ერთი ჩიქა ცეილე.

21 სექტემბ.

* * *

1

ვესაუბრე ნატო მესხს, კოტე მესხის მეუღლეს .ის ღრმად მოხუცია, დაბად. 1868 წ. ნატომ მიამბო შემდეგი:

კოტემ და მე ჯვარი დავიწერეთ 1882 წლის 17 ოქტომბერს. იმავ ღამეს დიდი ქორწილი გვქონდა. ვცხოვრობდით გრიბოედოვის ქუჩაზე, ყოფილ არშაკუნის სახლში, ეხლა რომ სამხატვრო აკადემიაა მოთავსებული.

ჩვენ ქორწილს დაესწრნენ ილია, ალ. ყაზბეგი, დ. სარაჯიშვილი, ასიკო ცაგარელი, ნატო გაბუნია-ცაგარელისა და ბევრი სხვა მწერალი და მსახიობი.

ალ. ყაზბეგი თამადა იყო.

ნატო გაბუნიამ ქორწილზე ბევრი იმღერა თავისი ტკბილი ხმით.

ასიკო ოხუნჯობდა და აცინებდა საზოგადოებას.

ილიამ ძალიან მხიარულად გაატარა დრო. როცა გათენდა, დილის რვა საათი იქნებოდა, ილია და მისი მეგობრები ეტლში ჩასხდნენ და ქეიფის განსაგრძობად ორთაჭალის ბაღებში გაემგზავრნენ.

2.

ილიასთან ხშირად ვყოფილვართ კოტე და მე, როგორც საგურამოში, ისე აქ, თბილისშიაც.

ერთხელ საგურამოში ვესტუმრეთ, ეს 90-იან წლებში იყო. მასპინძლები ძალიან გულთბილად დაგვხვდნენ. ოლგამ, ილიას ცოლმა, წამიყვანა ბაღში, დამათვალიერებინა თავისი კარ-მიდამო. მაშინ ახალი სახლი აგებული ჰქონდათ.

ოლგა ყრუ იყო, როცა ველაპარაკებოდით, ყურზე ხმის გამადიდებელ მილაკს მიიდებდა ხოლმე, ისე გვისმენდა. ის ძალიან კეთილი და თავაზიანი ქალი იყო.

კოტე უფრო ხშირად დადიოდა ილიასთან. კოტეს ოხუნჯობა უყვარდა. ილია და კოტე ერთმანეთს ხშირად ეხუმრებოდნენ. ჭადრაკში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. დიდხნობით ისხდნენ და თავაუღებლად, გატაცებით თამაშობდნენ.

ილია ხშირად ეთამაშებოდა ხოლმე ჭადრაკს თავის ახალგაზრდა ნათლულს, ივერიკო მიქელაძეს, 18 წლის ყმაწვილს, დავით მიქელაძის (მევედლეს) შვილს. ეს ყმაწვილი კარგად თამაშობდა ჭადრაკს და ილიასაც ძალიან აინტერესებდა მასთან შეჭიდება.

3.

1894 წელს მარჯორი უორდროპი ჩამოვიდა საქართველოში. მას დედა და ძმა ახლდა თან.

ქუთაისში რომ ჩამოვიდნენ, ჩვენ დიდი წვეულება გადავუხადეთ. კოტე მაშინ ქუთაისში დასს ხელმძღვანელობდა. ვცხოვრობდით გენერლის ქუჩაზე, ექიმ ნაზაროვის სახლის პირდაპირ.

მახსოვს, მარჯორი რომ გვეწვია, ახალწლის დღესასწაულები იყო. ამას წინ მარჯორი ვიზიტად იყო გაბრიელ ეპისკოპოსთან, არქიელის გორაზე. იქიდან გადმოეხედნა და დამტკბარიყო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქუთაისის სანახაობით, გაბრიელის ნახვითაც მეტად ნასიამოვნები იყო მარჯორი. მე მითხრა თავისი არქაული გამოთქმით:

— ეპისკოპოსთან ვიყავ... საუცხოვო სანახაობაა!

ნადიმზე ქუთაისის რჩეული ინტელიგენცია დაესწრო.

მარჯორის ყველანი დიდ პატივს სცემდნენ და უნდოდათ რაც შეიძლება მეტი სიყვარული გამოემჟღავნებინათ „ვეფხის ტყაოსნის" პირველი მთარგმნელისათვის ინგლისურ ენაზე.

* * *

დღეს დრამატურგებისა და სათეატრო მოღვაწეების თათბირზე, ცენტრალური კომიტეტის მდივან პ. შარიასთან, აკ. ვასაძემ, სხვათაშორის, თქვა:

— ორი წლის წინათ მე საუბარი მქონდა თბილისში ჩამოსულ, აწ განსვენებულ ვლ. ნემიროვიჩ-დანჩენკოსთან შექსპირის ერთ-ერთი პიესის შესახებ.

ნემიროვიჩ-დანჩენკომ მითხრა, რომ შექსპირის ყველა პიესა დაწერილია თავისი ეპოქის სასცენო ტექნიკის შესაძლებლობასთან შეფარდებით.

დააკვირდით, თუ გნებავთ, იმ ფაქტს, რომ შექსპირის ყველა პიესაში მოქმედი პირები სურათის დასაწყისში გამოდიან სცენაზე და სურათის დასასრულს გადიან სცენიდან. ეს გარემოება ნაკარნახევი იყო სწორედ იმ ეპოქის სასცენო ტექნიკის მოთხოვნილებით.

ამჟამად სასცენო ტექნიკა შეუდარებლად მაღლა დგას შექსპირის დროინდელ თეატრთან შედარებით. ამიტომ თანამედროვე თეატრს შეუძლია დაუშვას შექსპირის პიესების ისეთი მონტაჟი, რომელიც ეგუება თანამედროვე სცენურ ტექნიკას. ასეთი მონტირება შექსპირის პიესისა მოცემულ სიუჟეტურ და იდეურ კონცეფციის ფარგლებში დარჩენით, აუცილებლად საჭიროა და სავსებით გამართლებულიცაა.

11 ოქტ.

* * *

ნინო მაყაშვილმა მიამბო ერთი გადმოცემა სოფელ ყვარელის შესახებ.

ყვარელში ერთი ეკლესია არის, იმის აგების გამო ხალხში დარჩენილია თქმულება.

ერთხელ ყანის მუშები დამსხდარან იმ ადგილას, სადაც ეკლესია დგას, დასასვენებლად და სადილის საჭმელად.

ქვაბში, სადაც კერძი იხარშებოდა, თურმე გველი ჩავარდა და ჩაიხარშა, მუშებმა ეს ვერ შეამჩნიეს.

აშლიდნენ ქვაბიდან საჭმელს, გაავსებენ ჯამს, მაგრამ ამ დროს ჩამოუფრენს ყვავი, გაჰკრავს ფრთას, კერძს დააქცევს. ეს რამდენიმეჯერ განმეორდა. მუშებმა მაინც არ მოიშალეს.

მაშინ ყვავი ჩამოფრინდა და ადუღებულ ქვაბში ჩავარდა. მუშები იძულებულნი გახდნენ საჭმელზე ხელი აეღოთ. გადაღვარეს ის კერძი და მხოლოდ მაშინ ნახეს, რომ ქვაბში გველი ყოფილა ჩახარშული.

მუშებისათვის გასაგები გახდა, რატომ უშლიდა ყვავი მათ იმ ქვაბიდან საჭმლის მიღებას.

იმ ადგილას, სადაც ეს ამბავი მოხდა, ხალხმა შემდეგ ეკლესია ააგო და ყვავის საყდარი უწოდა.

13 ოქტომბერი.

* * *

კონსტანტინე გამსახურდიამ მიამბო:

„სასწავლებელი 19 წლისამ გავათავე და იმ წელსვე გავემგზავრე უცხოეთში. გერმანული ენა იმდენად ვიცოდი, რომ კენიგსბერგში ჩასვლისთანავე შევედი უნივერსიტეტში და იქ ერთი სემესტრი მოვისმინე.

საქართველოში საერთოდ ენების სწავლა მეხერხებოდა: ლათინური ბრწყინვალედ ვიცოდი, ციცერონის სიტყვა კატილინას წინააღმდეგ ნახევრამდე ზეპირად შემეძლო მეთქვა, ხოლო ტიტ ლივიუსის შვიდი წიგნიდან რომელიც არ უნდა გადაგეშალათ, შემეძლო კითხვა და თარგმნა.

სასწავლებლის გათავების დროს ორი უცხო ენა ვიცოდი.

როცა უცხოეთში დავაპირე წასვლა, წინ ევროპის რუკა გადავიშალე, თვალი დავხუჭე და ისე დავადევი თითი. თვალი რომ გავახილე, ვნახე კენიგსბერგზე მედვა თითი. მეც ამ ქალაქისაკენ გავემგზავრე.

კიტა აბაშიძე მირჩევდა იტალიაში წავსულიყავი სასწავლებლად, მაგრამ მე არ დავიშალე, გერმანიაში ვარჩიე სწავლა.

ჩემი მოგზაურობის შესახებ ფელეტონები დავბეჭდე ქუთაისის გაზეთში. იქ ერთ ადგილას, სადაც საუბარი მქონდა ევროპის საზღვარზე გადასვლის შესახებ, მე ვწერდი: „ისეთი გრძნობა მქონდა, თითქო სინათლის მხარეში შევდიოდი-მეთქი".

18 ოქტომბერი.

* * *

ალ. აბაშელმა მიამბო:

— ამ დღეებში ცენტრალურ კომიტეტში დავესწარი კომისიის სხდომას ჰონორარის გადიდების საკითხზე. სხდომას ესწრებოდნენ მწერლები და გამომცემლებიც. გამომცემლობათა წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ყველაზე „მომგებიანი" მწერალი მათთვის არის კონსტანტინე გამსახურდია. უკანასკნელი სამი წლის მანძილზე მისი წიგნების გამოცემისაგან სახელგამმა 200 ათასი მანეთი მოგება ნახა. მისი წიგნებისაგან მიღებული მოგებით სახელგამს შეუძლია გამოსცეს ზოგიერთი სხვა მწერლების წიგნები, რომელთა ბეჭდვა დეფიციტს იძლევა. ეს დეფიციტი შეიძლება

აანაზღაუროს სავსებით ამ ერთმა ავტორმა, ამიტომ ჩვენ მზათ ვართ კ. გამსახურდიას წიგნები დავბეჭდოთ მაღალი ტირაჟებით, დავადვათ მათ მაღალი ფასები, — სულ ერთია ისინი მოკლე ხნის განმავლობაში გაიყიდებიან.

ალ. აბაშელმა მიამბო აგრეთვე კ. გამსახურდიას პოპულარობის საილუსტრაციოდ:

— მე და კონსტანტინე მოვდიოდით გზაზე. ამ დროს შემოგვხვდა უცნობი ახალგაზრდა ქალი, ეტყობოდა სტუდენტი იყო. მან შეაჩერა კონსტანტინე, ბოდიში მოიხადა და უთხრა: პატივცემულო ბატონო კონსტანტინე, ეს არის დავამთავრე თქვენი „დავით აღმაშენებლის“ კითხვა. ამ წიგნმა ჩემზე უდიდესი შთაბეჭდილება დასტოვა. ნება მიბოძეთ ულრმესი მადლობა მოგახსენოთ იმ დიდი სიამოვნებისათვის, რომელიც თქვენ მომანიჭეთ!..

ეს თქვა და ქალი წავიდა, ჩემს შეკითხვაზე კონსტანტინემ მიპასუხა, ჩემს დღეში არ მინახავს, არ ვიცი ვინ არის ეს ქალიო.

25 ოქტომბერი.

* * *

საღამოს ჩემთან იყო ლეო ქიაჩელი .ვისხუბრეთ .ის ახლა წერს ახალ მოთხრობას, რომლის თემაა კავკასიის დაცვა გერმანელებისაგან.

ჩვენი საუბარი შეეხო მის წინანდელ მოთხრობებს. მე ვკითხე, რომელი შენი ნაწარმოები უფრო გიყვარს და მიგაჩნია უკეთესადთქო. მან დამისახელა „თავადის ქალი მაია“, „ჰაკი აძბა“ და „გვადი ბიგვა“. წინანდელ მოთხრობათაგან მან განსაკუთრებული სიყვარულით ახსენა „დახურული წარმოდგენა“. მე გავახსენე „ტარიელ გოლუა“. ლეომ მითხრა, რომ ეს ერთი ყველაზე ადრინდელ ნაწარმოებთაგანია და მას ბევრი ხაკლი ახასიათებს; სტილისა და სიუჟეტური ოსტატობის თვალსაზრისით, აგრეთვე ხასიათების დახატვით ყველაზე ძლიერად მიმაჩნია „გვადი ბიგვაო“.

წერით მე ძალიან ცოტას ვწერო. ეს იმიტომ, რომ თვითონ წერის პროცესს დიდხანს ვუნდები. მაგალითად, „ჰაკი აძბა!“ — ამ პატარა მოთხრობას მთელი ერთი წლის განმავლობაში ვწერდი. ასეთი ჩვეულება მაქვს, სანამ ყოველ მხრივ სრულყოფილად არ მივიჩნევ იმას, რაც უკვე დავწერე, მანამდე წინ არ მივდივარ. დავწერ ერთ გვერდს, მერე შიგ შესწორებები შემაქვს, მერე იმ გვერდს ისევ გადავწერ, ისევ ვასწორებ, შემდეგ ისევ გადავწერ იმავეს და ასე ამგვარად ხშირად ერთსა და იმავე გვერდს ათჯერ ვაკეთებ. ამიტომ მეხარჯება ძალიან ბევრი ქაღალდი, ამიტომ ვწერ ასე ნელა და ბევრი ენერგიის დახარჯვით.

წერა 1909 წელს დავიწყე. ერთი ყველაზე ადრინდელი მოთხრობათაგან იმ ხანებში გამოაქვეყნეს სოციალ-დემოკრატიულ გაზეთში (მგონი „მერცხალი“ ჰქვიოდა, კარგად აღარ მახსოვს), მას სათაური ჰქონდა „წარსული აწმყოში“. ხელს ვაწერდი ფსევდონიმით — ლ. მიხაძე. — სუსტი მოთხრობა იყო.

გაზეთ „თემშიც“ მაქვს გამოქვეყნებული მოთხრობები. რუსეთში ყოფნის დროს თბილისში ვუგზავნიდი მოთხრობებს სოციალ-დემოკრატიულ გაზეთს. მომწერეს: მაგ მოთხრობებს რომ გვიგზავნი, უკეთესი არ იქნებოდა კორესპონდენციები გამოეგზავნათ და მანდაური ამბები გვეცნობებიათო?

უცხოეთში 1912 წელს წავედი. ქუთაისის ციხიდან გავიპარე გვირაბის საშუალებით, რომელიც რევოლუციონერებმა გაიყვანეს ციხის პირდაპირ მდგომი სახლის სარდაფიდან ჩვენს საკანში.

ახლა ერთ მოთხრობას ვწერ, კიდევ ორ მოთხრობას დავსწერ და ძველ საუკეთესო მოთხრობებთან ერთად ცალკე წიგნად გამოვცემ. ამის შემდეგ მინდა მოგონებების ტომი დავწერო. ეს იქნება და ეს. მეტს მე აღარაფერს დავწერ და აღარც შემიძლია. მე მგონია, უკვე ამოვწურე ჩემი თავი.

20. XI. 43.

* * *

დღეს „მნათობის“ რედაქციაში სიმონ ჩიქოვანმა მიამბო: მაიაკოვსკი რომ ჩამოვიდა თბილისში, პაოლო იაშვილმა სათარგმნელად გამოართვა მისი ლექსი „მზე“ (В сто сорок солнц закат пылал); მაიაკოვსკიმ მთხოვა, წამეკითხა მისთვის ეს თარგმანი. ქართული მას კარგად ესმოდა, მაგრამ კითხვა არ შეეძლო. წავუკითხე, არ მოეწონა თარგმანი. მითხრა, ბევრი ზედმეტი სიტყვები ჩაურთავსო, ეტყობა ნაჩქარევად უთარგმნიაო. ამ ლექსზე მე თითონ შვიდი თვე ვიმუშავე, ზედ ბევრი შრომა მაქვს დახარჯულიო, მაშინ, როდესაც ზოგიერთი სხვა ლექსები ერთ ღამეში დამიწერიაო. მაიაკოვსკის განსაკუთრებით უყვარდა ეს ლექსი, როგორც მნიშვნელოვანი ნაწარმოები მთელ თავის შემოქმედებაში.

* * *

დილას ქუჩაში შემხვდა ელისაბედ ჩერქეზიშვილი. მივესალმე. გაჩერდა, მითხრა: „ვერ ისარგებლე, ისე გარდაიცვალა ის ქალი. გუშინ დავმარხეთ საცოდავი ბაბალე ცაგარელი...“

მეწყინა. ბაბალე ცაგარელი, ოდესღაც, წლების მანძილზე, ილია ჭავჭავაძის ახლო მეგობარი იყო. სულ მინდოდა მისვლა მასთან, აი დღეს, აი ხვალ და დამაგვიანდა, წავიდა ის ქალი. თან ჩაიტანა საფლავში მრავალი ძვირფასი ცნობა ილიას შესახებ, რაც ისე ძვირფასი იყო ჩემთვის, ჩემი წიგნისათვის ილია ჭავჭავაძეზე, რომელზედაც ამ ჟამად ვმუშაობ.

ელისაბედ ჩერქეზიშვილს რამდენიმე მოგონება ვათქმევინე და ჩავიწერე. მან მიმითითა

ბამალეზე, მიდი გამოჰკითხე, ბევრ რამეს გეტყვის საინტერესოსო.

ვერ ვისარგებლე, გამოუსწორებელი დანაშაული ჩავიდინე. დაე, ეს გაკვეთილი იყოს ჩემთვის .საჭიროა მოხუცებს დავუტრიალდე, სანამ სხვებიც არ წასულან. ვინდა — არიან? — ანასტასია ერისთავ-ხოშტარია, სანდრო ყანჩელი, ილია ალლაძე (ჯიუტობს, ვეხვეწები დამიწეროს რამ ილიაზე, მაგრამ რომ ვერ დავითანხმე), ნინო ნაკაშიძე, თედო სახოკია... ეს არის და ეს.

8. XII. 43.

* * *

28 ნოემბრიდან 1 დეკემბრამდე თეირანში სწარმოებდა სამი მოკავშირე სახელმწიფოს — ამერიკის, ინგლისისა და საბჭოთა კავშირის მეთაურთა — (რუზველტის, ჩერჩილისა და სტალინის) კონფერენცია.

დღეს მწერალთა კავშირში ირაკლი აბაშიძემ და დემნა შენგელაიამ მიამბეს ერთი ფაქტი, გადმოცემული ვასო ეგნატაშვილის ძმის მიერ, რომელიც ირანში ჩასულ სტალინის ამალაში იმყოფებოდა.

როდესაც სტალინი ირანში ჩაფრინდა, თვითმფრინავის კაბინიდან გამოსულმა მიიხედ-მოიხედა გარშემო და თურმე ქართულად წამოიძახა:

— ჰაი, დედასა, სადა ხარ ახლა გიორგი სააკაძევ!!

10. XII. 43.

* * *

საავადმყოფოში ვინახულეთ ნიკო ლორთქიფანიძე — ვიყავით გ. ლეონიძე, ს. ჩიქოვანი, შ. აფხაიძე, ბ. ჟღენტი და მე.

ცუდად არის საწყალი. გამხდარა, სრულიად დაბერებულა. მან არ იცის — პროფესორს უთქვამს, რომ მას კიბო აქვს ნაწლავებში.

ძალიან სუსტად გრძნობს თავს. გვითხრა, წერა მინდოდა, მაგრამ ოთხი ფურცელი დავწერე, მეტი ველარ შევძელიო.

12. XII. 43.

* * *

დღეს უშანგი ჩხეიძე ვინახულე. მახლდა დიტო ჯანელიძე. უშანგის დამ გაგვიღო კარი, ცოტა ყოყმანი დაიწყო, გვითხრა, ეს ერთი კვირაა, ცუდად არის, ლოგინში წევს. მერე მაინც გვთხოვა, მობრძანდით, იქნებ იამოს თქვენი ნახვაო. შევედით. უშანგი ლოგინში იყო წამომჯდარი, ჟურნალს კითხულობდა. ძალიან ხალისით მოგვესალმა, გაეხარდა ჩვენი მისვლა.

ათი წელიწადი შესრულდა, რაც ეს კაცი ავად არის, კარში აღარ გამოდის, პატიმარია თავისი ოთახის და ლოგინის. ოდესღაც ბრწყინვალე, სახელოვანი აქტიორი, უკვე დავიწყებას მიეცა ამ ხნის განმავლობაში, ახალი თაობა მას არ იცნობს, როგორც მსახიობს. იცნობენ მას მხოლოდ როგორც ავტორს კარგი პიესისა „გიორგი სააკაძე“, რომელიც მან ამ რამდენიმე წლის წინათ დაწერა და ასე წარმატებით მიდიოდა მარჯანიშვილის სახელობის თეატრში.

ვისაც ის არ უნახავს სცენაზე ჰამლეტის, ურიელ აკოსტას, ჩენჩის და სხვა როლებში, ის ვერასოდეს წარმოიდგენს, თუ რა დიდი ტალანტისა და შთაგონების მსახიობი გავიდა ქართული თეატრალური ხელოვნებიდან, გავიდა ჯერ კიდევ ცოცხალი, ახალგაზრდა, თავისი შემოქმედების ზენიტისაკენ ისეთი სისწრაფით და გენიალური ბრწყინვალებით მომქროლავი.

ათი წლის წინათ ის დაავადდა ნერვიული ავადმყოფობით, და განშორდა სცენას.

მე შევსცქეროდი უშანგის ლოგინში — იგივე სახე, ოდნავ გამხდარი, იგივე შვილდივით გადაჭიმული შავი წარბები, დიდრონი, ცეცხლოვანი თვალები, ფოლადნარევი ბარიტონი ხმაში..

უშანგის და თინა, რომელმაც თავისი ახალგაზრდა ქალობა, პირადი ცხოვრება შესწირა ძვირფასი ავადმყოფი ძმის მოვლას, ჩვენი მისვლისას მჭადს აცხობდა ნავთ-ქურაზე. ჩქარა მჭადი მზად იყო, უშანგიმ მოატანინა სკამი, ზედ სუფრა გააშლევინა, ღვინოსთვის ბოდიში მოიხადა და გაგვიმასპინძლდა საუზმით: მჭადი, ყველი, ხილი, მჟკნარი ყურძენი...

უშანგი ცხოველი ინტერესით მეკითხებოდა ჩვენი ლიტერატურისა და თეატრის ამბებს, ეტყობა ის ყოველდღიურად ადევნებს თვალს პრესას. ყველა ფაქტი, ყველა ახალი ამბავი იცის, საქმის კურსშია.

თავისი სასიცოცხლო ინტერესებით, ლაპარაკით მსჯელობით, ყოველივე ადამიანური გამოვლინებით ის ჯანსაღი კაცის შთაბეჭდილებას სტოვებდა, მაგრამ ის მაინც ავადმყოფია... უიმედო, ჩემის აზრით.

მან მთხოვა ჟურნალში დაუბეჭდო პიესა „გიორგი სააკაძე“ იმ პირვანდელი ვარიანტით, როგორც მას დაწერილი აქვს, და არა იმ ტექსტით, როგორც თეატრმა დადგა. შემდეგ დიტომ ჩამოაგდო საუბარი უშანგის მიერ დაწერილ მოგონებებზე, რომლებიც შეეხებიან კოტე მარჯანიშვილს, მის მუშაობას ჰამლეტზე, ურიელ აკოსტაზე, ქუთაისის სეზონს 1928 წელს კოტე მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით...

უშანგიმ მთხოვა წავიკითხო ის მოგონებები და თუ შეიძლება მათი გამოქვეყნება, დავბეჭდო ისიც. თუმცა, თქვა, იქნებ არა ღირს მაგათი პუბლიკაცია; ჩემის აზრით, ბევრგან გადაჭარბებულად ვაფასებ ფაქტებს, ზოგან კი გაკვრით ვეხებიო. სტილისტურადაც არ არის დამუშავებული. მოგონებები რამდენიმე რვეულად გადმომცა უშანგიმ. მე შევპირდი მათს გამოქვეყნებას.

საუბარი შეეხო წარსულ მუშაობას. უშანგიმ თქვა, ახლა რომ ვითამაშო ურიელი, ისე აღარ ვითამაშებდი, როგორც კოტეს დროს. კოტეს თავისი ესთეტიკური მიზნები ჰქონდა და ბევრ-

ჯერ ამ მიზნებს უმორჩილებდა პიესის შინაგან დედააზრსო. მე ახლა ურიელის თამაშის დროს უფრო მკვეთრად გავუსვამდი ხაზს მის ღრმა ფილოსოფიურ მხარეს, ვეცდებოდი მეჩვენებინა სრულყოფილად ეს გმირი, როგორც მოაზროვნე ადამიანი.

ოცდაექვსი წლის ვიყავი, როდესაც ჰამლეტი ვითამაშე პირველად. ჩემთვის ეს ადრე იყო, ვფიქრობ ყველა აქტიორისათვის ამ ჰასაკში ადრეა ჰამლეტის როლის თამაში. ჰამლეტის შესრულებას წინ უნდა უძღოდეს დიდი კულტურის, დიდი ცოდნის შეძენა აქტიორის მიერ, დიდი ოსტატობის დაგროვება და მასთან ერთად ცხოვრების გამოცდილების მოპოება. აი მხოლოდ მაშინ განასახიერებს აქტიორი სრულყოფილად ჰამლეტის სახეს, ამ მეტად რთულსა და მდიდარ მასალას მსახიობის ნიჭისა, უნარისა და ხელოვნების გამოსავლინებლად...

ჩვენი სტუმრობა ორ საათს გაგრძელდა. როცა წამოვედით, დიტომ მითხრა, ვერ შეამჩნიე, როგორ თანდათანობით დაიწყო გაფითრება უშანგიმ, ეტყობა დაიღალაო, მიტომ წამოვდექი საჩქაროდ სკამიდანო.

უნდა ვთქვა, მე ეს არ შემიმჩნევია, შეიძლება ვერ შევატყვე, არ ვიცი.

საინტერესო იყო ერთი მომენტი ჩვენი საუბრისა. მე ვუთხარი, — უშანგი, აი დგება ახალი 1944 წელი, ჩქარა, ალბათ ომი გათავდება, ჩვენ დავიწყებთ ახალ ცხოვრებას, ქვეყანა მოიშუშებს ჭრილობებს, იქნებ შენც. დაუბრუნდები სცენას და იქნები ისევ ის უშანგი, რაც იყავი წინათ ჩვენი თაობებისათვისთქო...

არაფერი მიპასუხა. საუბარი სხვაზე გადაიტანა. ეს როგორც ჩანს, მას შეუძლებლად მიაჩნია და მგონი ის მართალიც არის. ასეთი დიდი ხარვეზების შემდეგ, კიდეც რომ მოისურვოს, ის ალბათ ვეღარც კი შესძლებს თამაშს.

ყველაფერი გათავებულია.

26. XII. 43.

* * *

**15 მაისი, მოსკოვი**

სიმონი საღამოს სტუმრად წავიდა ბ. პასტერნაკთან. ღამე დაბრუნდა აღფრთოვანებული მასთან სტუმრობით.

პასტერნაკს უთქვამს, რომ ჩემს ცხოვრებაში სამი გადამწყვეტი თარიღი იყო, რომელმაც გარდატეხა მოახდინა ჩემს შემოქმედებაშიო. პირველი იყო ოქტომბრის რევოლუცია. მეორე — საქართველოს ნახვა — 1930 წელს და გაცნობა ქართული პოეზიის, მესამე დიდი მოვლენა ჩემს შემოქმედებით ბიოგრაფიაში არის სამამულო ომი და ჩემი ყოფნა ფრონტზეო.

პასტერნაკს უთქვამს, რომ საბჭოთა პოეზია მიადგა ერთგვარ მიჯნას. პოეზიამ თავისი ახალი გზები უნდა იპოვოს, ამ გზის სათავეები უნდა ვეძებოთ სადღაც იქ, სადაც არიან სურკოვი და კონსტ. სიმონოვი.

ამას წინათ ჩემი ლექსების კრებულს ვამზადებდი გამოსაცემად. სხვას წავაკითხე ეს ლექსები, მე ვუსმენდი. გამიკვირდა, რა შორს არის ეს ლექსები იმისგან, რაც ეხლა ნამდვილად საჭიროა ჩვენი დროისათვის. მთელი რიგი წლების მანძილზე მე ვფიქრობდი სახეების სისტემაზე, ფორმაზე, ახლა ჩვენ უნდა მივიდეთ ნეკრასოვთან. რატომ დაიღუპნენ ესენინი და მაიაკოვსკი? ყოველი ჭეშმარიტი პოეტი თავის შემოქმედებით გაგრძელებას ხედავს მკითხველში, ხალხში. მკითხველი აგრძელებს იმას, რაც პოეტმა არ დაამთავრა თავის ლექსში, პოემაში. როცა პოეტი იგრძნობს, რომ ეს უშუალო კავშირი მკითხველთან გაწყდა, იქ თავდება მისი შემოქმედება, როგორც პოეტი ის კვდება. ხშირად ამას მოსდევს ფიზიკური სიკვდილიც, მე მგონია ეს იგრძნეს ესენინმაც და მაიაკოვსკიმაც, ამიტომაც გაათავეს თავისი სიცოცხლე ასე ტრაგიკულად.

* * *

**1 ივლისი**

სერგომ წამიკითხა მამამისის, დავით კლდიაშვილის წერილი (ავტოგრაფი), მიწერილი ვიღაც უცნობი ქალის, მერისათვის, რომელსაც, როგორც ჩანს, განუზრახავს მისი მოთხრობა „მსხვერპლიდან“ გაკეთებული პიესის თუ სცენის წარმოდგენა.

წერილი 1927 წლის 12 თებერვალს არის მიწერილი თბილისიდან პროვინციაში.

აი, ადგილი წერილიდან:

„...მიიღეთ მხოლოდ რამდენიმე რჩევა. ერიდეთ რაც შეიძლება, გრძელი მონოლოგებით დაუსრულებელ ლაპარაკს მოქმედი პირისას, ამასთანავე ალაპარაკეთ, მაგალითად, ფეფენა არა როგორც მტარვალი, არამედ როგორც თავათ მსხვერპლი, ბნელი, გაწვალებული ცხოვრების მსხვერპლი, დატანჯული, გაკაჟებული. ერთი სიტყვით, იმის მთხოვნელი ვიქნები, რომ მჩაგვრელი სიბნელე იქნეს გამოსახული და ის, რომ მსხვერპლად ეწირება ადამიანი. გაბარებთ ფეფენას — უდიდეს მსხვერპლს ამ სიბნელისას, იგი გაკაჟებულია, გულგაქვავებული ცხოვრებისაგან და არასოდეს ცუდი ადამიანი არაა, და გაწვრთვენით მისი გამომსახველი (მსახიობს გულისხმობს დავითი. — ლ. ა.) ისე, რომ ეს დაანახოს იმ სცენაში, როცა იგი მიდის ავადმყოფ მარინეს სანახავათ; ერიდეთ ერთი სიტყვით გამოსახოთ ზოგნი მსხვერპლებათ, ზოგნი მტარვალებათ; ყველანი მსხვერპლათ ეწირებიან შავბნელ ცხოვრებას, რომლის გაშუქების, განათების, განკარგულებისათვის უნდა ვმუშაობდეთ.

ეს იქნება ჩემი რჩევა და იმედი მაქვს, არ მოწყენთ ამ დარიგებას“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

**22. VII. 44.**

დილით — საუბარი ტელეფონით დემნა შენგელიასთან. სიტყვა ჩამოვარდა მოარულ სიუჟეტებზე. დემნა ამბობს, რომ სხვადასხვა ქვეყნის მწერლებს, რომელთაც ერთმანეთის სახელი და ნაწარმოები არც კი გაუგონიათ, ხშირად ერთი და იგივე თემა და სიუჟეტი გამოუყენებიათ ნაწარმოებში. ასეთი შეხვედრის მაგალითად დემნა ორ ფაქტს მიამბობს.

ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის წინ ჩვენმა პოეტმა ი. მჭედლიშვილმა დასწერა ნაწარმოები სათაურით „ანგელოსების აჯანყება". ამის შემდეგ გამოქვეყნდა ანატოლ ფრანსის ცნობილი ნაწარმოები იმავე სათაურით, ეს თავის დროზე აღნიშნა ჩვენმა კრიტიკამაც. დემნა ამბობს, რომ მე, თვითონ მაქვს წაკითხული წერილი, სადაც ეს „შეხვედრა" არის აღნიშნულიო.

მეორე ამბავი:

1926 წელს, — მიამბობს დემნა, — მე ვიყავი ტყიბულში, იქ ასეთი ამბავი გადმომცეს, არ ვიცი ფაქტი იყო, თუ ანეკდოტი:

ერთ მაღაროელს — მუშას წუწკი კატა შემოეჩვია, გაუჩანაგა ოჯახი, ასე გასინჯეთ, ხალამიდანაც კი ჰპარავდა ყველს. მუშამ გადასწყვიტა კატის სამაგალითოდ დასჯა. ერთ დღეს მან დაიჭირა ეს კატა, წაიყვანა მახლობელ ტყეში, შეაბა დინამიტი და ბიკფორდის ზონარს ცეცხლი გაუჩინა. ამის შემდეგ მან კატა შორს მოისროლა, სრულიად დარწმუნებულმა, რომ კატა ტყეში შევარდებოდა, მაგრამ მუშა მოსტყუვდა. კატამ პირი იბრუნა და მუშის სახლისაკენ მოკურცხლა, წინ კატა და უკან ის კაცი. დაფეთებული კატა სახლში შევარდა. თავზარი დაეცა მუშას, მიირბინა თუ არა ეზოსთან, შორიდანვე ასტეხა ყვირილი:

— არიქა, გამოდით კარში, გამოდით! — ძლივს გამოასწრეს შინაურებმა გარეთ, დინამიტი აფეთქდა და მუშის სახლი ნანგრევებად აქცია.

ასეთი იყო ეს შემთხვევა. დემნას ნდომებია ამ ამბის გამოყენება მოთხრობის თემად. მაგრამ რამდენიმე თვის შემდეგ ჟურნალ „30 ДНЕЙ"-ში წაუკითხავს ერთი ვიღაც ავსტრიელი მწერლის იუმორისტული მოთხრობა ანალოგიურ თემაზე. იქ ლაპარაკია პატარა ძაღლზე, რომელმაც ოქროს მაძიებელს ქონიან ქაღალდში გამოხვეული დინამიტი მოსტაცა, რომელსაც უკვე ცეცხლმოკიდებული ზონარი ეკიდა. ძაღლი გაიქცა და მთელი პანიკა გამოიწვია ოქროსმაძიებლების სოფელში, — ყველანი გაურბოდნენ დამფრთხალნი იმ დინამიტიან ძაღლს, რომელიც ყოველ წუთს უნდა აფეთქებულიყო. ამაზეა აგებული იმ ავსტრიელი მწერლის მოთხრობა.

ეს რომ წაუკითხავს დემნას, თავი დაუნებებია მოთხრობის წერისათვის, — იმ წუთშივე პლაგიატს დამწამებდნენო, ამბობს დემნა — და ეს მართლაც ასე იქნებოდა.

* * *

ვიყავი ნიკო ლორთქიფანიძის საფლავზე — 40 დღის პანაშვიდი იყო. საღამოს მის ოჯახში დავესწარით მცირე სერობას. იყვნენ შ. დადიანი (თამადობდა), ლეო ქიაჩელი, გერონტი ქიქოძე, სიმონ ჩიქოვანი, დემნა, თინა და მარიკაც იყვნენ, აგრეთვე ნიკოს ოჯახის ნათესავები და მეგობრები, ჩემთვის უცნობი საზოგადოება. სიტყვები ვთქვით მე, დემნამ, შალვა აფხაიძემ, თითონ შალვა დადიანმა მოხდენილი და კარგი სადღეგრძელო დალია, ნიკოს ხსოვნისა და მისი ოჯახისათვის.

შალვას ღვინო მოეკიდა, ცოტა მსუბუქი ტონის მიცემა დაუწყო სადღეგრძელოებს, კარგი, რომ ჩქარა წამოვედით...

24. VII. 44.

* * *

რა მდიდარია აკაკის ენა, რა ღრმად იცნობდა ის ხალხის ხატოვან გამოთქმებს! აკაკიმ მრავალი სიტყვა და გამოთქმა შესძინა ქართულ ლიტერატურას. ბევრი მათგანი შერჩა ჩვენს მწერლობას, ბევრი კი არა. მაგრამ რა აკაკის ბრალია, თუ ჩვენ ვეღარ მოვიხმარეთ მის მიერ მოტანილი საუნჯეები?

აი რამდენიმე სიტყვა და გამოთქმა აკაკის ნაწერებიდან:

**1. დასილაქნება**

„წინ დაგიფენთ ფიანდაზად ადვოკატისაგან გამძვრალს და **დასილაქნებულ** ჩვენს საკუთარ ტყავს..."

(ბროშურა, „საახალწლო ხუმრობა", 1874 წ.)

**2. ტაფარიკობა**

„ბევრი რამ საგულისხმო მითხრა მათის ცხოვრების შესახებ და ბევრიც იტაფარიკა თავადაზნაურობის ზურგზე.

(იქვე).

**3. გაეკლვა**

„ჩვენი ქვეყანა ღრმა უმეცრებაშია... იმის ზნეობის ნიადაგს შამბი გადავლია, გაეკლულა".

(„იმერლები", 1875 წ.).

**4. დამუხლისთავება**

„დღეს... როდესაც ვითარებამ **დაგვამუხლისთავა**"...

(გაზ. „დროება", 1880 წ. № 189).

**5.**

„ვისკენაც გული არ მიმიწევს, იმათთან საერთო სასუფეველიც არ მინდა..."

1897 წ. წერილი თედო კაკვაძეს. 15/VII.

* * *

„მახლას!" — ამბობენ ძველი ტფილისელები. კოჯორში ერთმა მოხუცმა, გვარად მესხმა

— (ტომითაც მესხეთელმა) ამიხსნა, რომ ეს სიტყვა „მახლას“ წარმომდგარია გერმანულ „მახენ ლასს“-დან, რაც ფრანგულ „ლესსე პასსე“-ს უდრის, ხოლო ქართულად „გაუშვი, წაიდეს“-ს. არ ვიცი, რამდენად სწორია ეს განმარტება, მეტად საგულისხმო კია.

(ცოჯორი, 25. VII. 44).

* * *

ნიკო კიკნაძე გატაცებული მონადირე ყოფილა. აი, რა შემთხვევია მას ერთხელ ყარაიაში.

ნადირობდნენ იხვებზე. ბევრი დახოცეს. ბოლოს ნიკომ ბატს ესროლა, ჩამოაგდო. მივიდნენ, ბატი თურმე ფრთაში ყოფილა დაკოდილი. ნიკომ დაიჭირა ცოცხლად, ჩანთაში ჩაისვა, წამოიყვანა.

როცა ის და მისი თანამგზავრი ყარაიის სადგურზე მოვიდნენ, დაღლილებმა და მოშივებულებმა, მატარებლის მოსვლამდე გადასწყვიტეს ესაუზმათ.

საუზმის წინ ნიკომ მოინდომა ბატის ნახვა ჩანთაში, ეშინოდა არ დამეხრჩვესო. გადახსნა თავი და ის იყო უნდოდა გაესინჯა, რომ ბატი მოულოდნელად ამოფრინდა. ფრთა-ფრთას ჰკრა და ცაში ავარდა. სანამ ნიკო გონზე მოვიდოდა, ბატი არხეინად მიფრინავდა ჭალებისაკენ.

ასე დარჩა მონადირე უბატოდ.

27. VII.

* * *

დღეს მეცნიერებათა აკადემიის ერთმა თანამშრომელმა მიამბო აკადემიკოს აკაკი შანიძის შესახებ:

ერთი ნაცნობი მივიდა შანიძესთან ბინაზე. მასპინძელი ძალიან ხალისიანად შეხვდა, დასვა, ამბავი გამოკითხა. თურმე იმ ნაცნობს გამოცდის ჩაბარება სდომია და ახლა სწორედ ამ მიზნით მისულა აკადემიკოსთან.

— კი ბატონო, — უთხრა აკაკიმ და ადგა. ახლავ გიახლებით, თქვენ მანამდე მოითფიქრეთ.

ის გავიდა მეორე ოთახში. რამდენიმე წნის შემდეგ ისევ დაბრუნდა. შანიძეს ხაშინაო ტანსაცმელი გაეხადა და შავი სერთუკი ჩაეცვა. ჰალსტუხი გაეკეთებინა, ხერიოზული სახით ის მიუჯდა თავის სამუშაო მაგიდას და სტუმარიც მიიწვია მაგიდის ახლოს ხავარძელში.

— გთხოვთ. მე მზად ვარ გამოცდისათვის.

დაიწყო გამოცდა. მეტად სასტიკი აღმოჩნდა გამომცდელი. გაუთავებლად ეკითხებოდა, ბალოს ნიშანიც ძალიან ძუნწად დაუსვა — „საკმაო“.

გათავდა გამოცდა. აკაკი ადგა, სერიოზული სახე შეიცვალა, გაიცინა, ხელი მოხვია თავის სტუმარს და სასადილო ოთახისაკენ წაიყვანა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ახლა კი განვაგრძოთ ჩვენი მეგობრული საუბარი, — უთხრა მან სტუმარს. — ისეთი ღვინო დაგალევინო, ისეთი რომ, სპით ვერ გაძლები.

დაოსებული და გაბრუებული კაცი ცოტა არ იყოს განცვიფრებული შეჰყვა მას სასადილო ოთახში.

მათ კარგად დალიეს და მხიარულად გაატარეს ის საღამო.

29. VII. 44 წ.

* * *

აშულმა ჰაზირამ თავისი სატრფიალო სიმღერები ცალკე წიგნად გამოსცა, იქ ერთი ლექსი იყო, სადაც ყოველ კუპლეტს რეფრენი მისდევდა; მეორე კუპლეტის შემდეგ რეფრენის მხოლოდ პირველი სიტყვა იყო მოყვანილი და შემდეგ შემოკლება: „და სხვ. და სხვ.“

ჰაზირას წიგნი მესაზანდრეებმა შეიძინეს. ის სატრფიალო ლექსიც ისწავლეს, სადაც პირველის მომდევნო რეფრენები შემოკლებით იყო მოყვანილი. მაგრამ იმის მაგივრად, რომ რეფრენის კუპლეტები მთლიანად ემღერათ, ისინი მღეროდნენ ამ ადგილის სიტყვებს ისე, როგორც დაბეჭდილი იყო: „და სხვ. და სხვ. და სხვ.“

ს. ფაშალაშვილის ნაამბობი.

I. III — 1944 წ.

* * *

**7. III. 44.**

ამ დღეებში დანიშნულია მწერალთა კავშირის პლენუმი. აირჩევენ თავმჯდომარეს და მდივანს. აქამდე მხოლოდ პრეზიდიუმის მდივანი განაგებდა საქმეებს. რუსეთშიაც, აქაც. ახლა იცვლება სისტემა. უბრუნდებიან იმავე სისტემას, როგორც მაქსიმ გორკის სიცოცხლეში იყო.

გუშინ აკაკი ბელიაშვილმა რედაქციაში მოიტანა წიგნი და სიცილით გადაშალა, — ეს იყო „ეფრემ-ვერდი“, — და წაგვიკითხა ადგილი.

„1944 წელსა... იყოს ცრუობა და ორპირობა მწერლებში და ვაჭრებში, ამათ დაემართოთ დიდი შეჭირვებანი. სასახლის მსახურებსა დაემართებათ ფათერაკი და დიდად საზიანო საქმენი“.

ამ ციტატაზე იყო ბევრი სიცილი მწერლებში. ირაკლიმ თქვა: სასახლის მსახურებში მე ვიგულისხმები (მწერალთა სასახლე) და ალბათ ჩემზეა ნათქვამი „ფათერაკი დაემართებაო“.

* * *

**10 აპრილი. თბილისი**

პიონერთა სასახლეში დისპუტია გრ .აბაშიძის პოემის „ძლევის ქედის“ გარშემო.

მომხსენებელია გურამი. ის გამოდის ტრიბუნაზე, მაღალი, ოქროსთმიანი, ლამაზი. გამოდის თავისუფლად, თვალს ავლებს მაყურებლებს, პაუზას აკეთებს მცირედს, შემდეგ იწყებს ლაპარაკს...

რა ჩქარა გავიდა წლები. თითქოს გუშინ იყო, რომ მე მას ძუძუმწოვარს ჩვრებში ვაკრავდი (მიყვარდა და მეხალისებოდა ხოლმე, როცა მაგრად გამოვკრავდი, თინა მე მავალებდა ყოველთვის ამ საქმეს, როდესაც დავბრუნდებოდი სამუშაოდან, მეუბნებოდა — შენ მაგარი გამოკვრა იცი, ბავშვი ხელფეხს დიდხანს არ იხსნისო).

შემდეგ პირველი ფეხის ადგმა, პირველი კბილი...

საბავშვო ბაღი... სკოლა. გაიარა თხუთმეტმა წელმა, მძიმე სამახსოვრო წლებმა. მაგრამ თითქოს მაინც ჩქარა გავიდა დრო... და აი, დღეს ის მეთექვსმეტე წელში გადამდგარი მოხსენებას აკეთებს სერიოზულად, საქმიანად. ის ახსენებს სიტყვაში გოეთეს, ლესინგს, შექსპირს, შილერს... მას მოჰყავს ანალოგიები ლიტერატურული, ისტორიული, ის მსჯელობს, ის ანალიზს უკეთებს პოემას, ის მიუთითებს მის ნაკლსა და ღირსებებზე...

სიტყვებით გამოდიან მისი ამხანაგები ეკამათებიან. დაბოლოს ის უპასუხებს თავის ოპონენტებს, ბევრჯერ საბუთიანად, რაც მთავარია, მოკლედ და ლაპირადულად.

დასასრულს სიტყვას იღებს ავტორი პოემისა.

გრიშა სერიოზული სახით ამბობს: „როგორც მომხსენებელმა ამხანაგმა გურამ ასათიანმა აღნიშნა“...

თინას ჩუმად გულიანად ეცინება. მაგრამ მისი არსება, ვგრძნობ, ულრმესი სიამით და სიამაყის გრძნობით არის გამსჭვალული. ის თავის თვალით ხედავს როგორ გაიზარდა, გონებრივად მომწიფდა მისი პირმშო.

* * *

**12 აპრილი**

მე მაგონდება არჩილ ჩაჩიბაიას ნაამბობი სოფელ ეკში, ვახშმობის დროს.

ერთი მასწავლებელი იყო.

ორმოც წელზე მეტს ასწავლიდა სოფელში. მოხუცდა. დაძაბუნდა, ბოლოს დაბრმავდა კიდეც. მაგრამ შინ ჯდომა მაინც არ შეეძლო. ის ყოველდღე მოდიოდა სასწავლებელში, ეზოს კუთხეში სკამზე ჩამოჯდებოდა და უგდებდა ყურს ბავშვების ჟივილ-ხივილს.

გათავდებოდა სწავლა, ბავშვები წავიდოდნენ შინისკენ. მაშინ მოხუცი მასწავლებელიც ადგებოდა და ჯოხის ბაკუნით გაუდგებოდა გზას სახლისკენ.

შესანიშნავია!

☐ გაგრძელება იქნება ☐

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ზნეობრივი ძიებანი

ბევრი იწერება ჩვენს სალიტერატურო კრიტიკაში ზნეობრივ ძიებათა შესახებ თანამედროვე ქართულ პროზაში. ისეთ ვრცელ ნაწარმოებთა შორის, რომლებშიც ზნეობრივ საკითხთა ანალიზი მჭიდროდაა დაკავშირებული სოციალურ პროცესებთან, ერთ-ერთ ფრიად საყურადღებო მოვლენას წარმოადგენს რამაზ კობიძის რომანი „გვიმრის ფოთლები“. აქ დიდი ყურადღება ეთმობა სოციალურ გარემოს. რომანის გმირთა დიდი ნაწილის ცხოვრება ქვანახშირის შახტასთანაა დაკავშირებული, მაგრამ ამ ეპიკური თხრობის ღირსებას ის გარემოება განაპირობებს, რომ შახტის მწვავე და აქტუალური პრობლემები შეუღლებულია ზნეობრივი ხასიათის საკითხთა გაშუქებასთან. რ. კობიძის გმირებისათვის უცხოა ვრცელი მედიტაციები მორალურ საკითხებზე, რაც ეგზომ ხშირია ლირიკულ პროზაში. „გვიმრის ფოთლების“ ზნეობრივ პათოსს პერსონაჟთა მიერ არჩეული ცხოვრების გზა და ამ გზათა ურთიერთგადაკვეთის ხასიათი განაპირობებს.

რ. კობიძის რომანში მრავალი ადამიანის ცხოვრება და მრავალი ადამიანური კონფლიქტია ნაჩვენები. ზოგიერთი ამ კონფლიქტთაგანი (მაგალითად, დედა-შვილის — ნინო ავალიშვილისა და ნათიას ურთიერთობა) ცალკეული ნაწარმოების სიუჟეტური საფუძვლისათვის საკმარისი იქნებოდა. მაგრამ სხვადასხვა პერსონაჟთა ცხოვრება ამ ნაწარმოებში არა თუ მეტნაკლებად თანაბარი ყურადღებითაა ნაჩვენები, არამედ მათ შორის ამასთანავე მჭიდრო ურთიერთკავშირია დამყარებული. მკითხველის თვალწინ ცხოვრება ფართო მდინარესავით მიედინება, რომელსაც მრავალი ტალღა და ჭავლი ამშფოთვარებს. ამ მდინარის შენაკადები, რომლებიც თავდაპირველად თითქოს დამოუკიდებლად მიედინებიან, თანდათან ერწყმიან ერთმანეთს და ერთგვარ მთლიანობას ქმნიან. სწორედ აქ ვლინდება ავტორის „სტრატეგიული მიზანი“, მისი ზნეობრივი მრწამსი: პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთობის საღ პრინციპთა დარღვევა ამა თუ იმ სახით ყოველთვის საზიანოა. არც ერთი ადამიანი არაა „კუნძული“ — ასეთია რომანის სულისკვეთება, მორალური „შეგონება“, რომელიც განყენებული მოწოდების სახით როდი გვევლინება. რომანის ავტორი გვიჩვენებს არა მხოლოდ სოციალურ დინამიკას, არამედ ღრმად გვახედებს სხვადასხვა ადამიანის სულში.

რომანის მხატვრულ სტრუქტურაში სიუჟეტური „ზამბარის“ ბიძგის მიმცემ საწყისად გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ი ს  მ ი ღ ე ბ ი ს სიტუაცია გვევლინება. ავტორი ყურადღებას ამახვილებს თავისი გმირების ცხოვრების ისეთ მომენტზე, როდესაც ისინი მნიშვნელოვან „ნაბიჯს დგამენ“, მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას ღებულობენ და ნათლად ავლენენ თავიანთი ქმედების მოტივებს. სწორედ ასეთი პრიზმითაა გაშუქებული შახტის უფროსი სარდიონ რაჭველიშვილი, რომელიც დადებით გმირთაგან ყველაზე მეტ თანაგრძნობას იწვევს. მკითხველი რეტროსპექტულად ეცნობა ამ ხანში შესული ინჟინრის მძიმე და ხიფათიან ცხოვრების გზას. მას ბევრი განსაცდელი გამოუვლია, უწვნევია ათასგვარი მარცხი და ხიფათი, უმადურობა, გულცივობა და უსამართლობა. მაგრამ იგი მაინც მუხლჩაუხრელ ადამიანად დარჩა. მწერალი საგანგებოდ ჩერდება ამ პერსონაჟის ცხოვრების ისეთ მხარეზე, როდესაც მან მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება უნდა მიიღოს. ცხოვრება სარდიონს რთულ „გამოცდას“ უმზადებს: შახტის უბნის გამოცდილი უფროსი უნდა გაანთავისუფლოს და მის თანამდებობაზე ახალგაზრდა ინჟინერი დანიშნოს. თუ რაოდენ საპასუხისმგებლოა ეს თანამდებობა, ამაზე ნათლად მეტყველებს ჭარმაგი მეშახტის გერასიმე ცნობილაძის სიტყვები: „მე უნდა ვიცოდე, ჩემი უფროსი სად და როდის მგზავნის. უნდა მჯეროდეს, რომ საღი და უვნებელი დავბრუნდები“. სარდიონ რაჭველიშვილს საიმედო სპეციალისტი არ ჰყავს: ყველა გამოცდილ სპეციალისტს თავისი საქმე აბარია. იგი მეტად სარისკო და, როგორც შემდგომ ირკვევა, საბედისწერო ნაბიჯს დგამს: უბნის უფროსად სრულიად გამოუცდელ, ახლადჩამოსულ ინჟინერს თეიმურაზ არჯევანიძეს ნიშნავს. სარდიონს კარგად მოეხსენება, რომ თეიმურაზს უბნის მართვა გაუძნელდება, ვიდრე სათანადო გამოცდილებას შეიძენს და მეშახტეთა ნდობას მოიპოვებს. ამიტომ სარდიონი ფაქტიურად თავის თავზე იღებს

უბნის ხელმძღვანელობას და ამით ირკვევს სამუშაო დღის ხანგრძლივობას. მაგრამ მალე ირკვევა, რომ სწორედ ესაა ამ მრავალჭირნახული კაცის საბედისწერო შეცდომა. იგი სამუშაო დღის შემდეგაც შახტსა და სანგრევებშია. მაგრამ ეს კი არ ანელებს, არამედ აათკეცებს მეშახტეთა უნდობლობას არჯევანიძისადმი. უბანს თითქმის პანიკური განწყობილება ეუფლება, ხოლო ამას ერთ-ერთი მეშახტის დაღუპვა მოსდევს.

ასევე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღების ვითარებაში შემოჰყავს მწერალს ახალგაზრდა ინჟინერი თეიმურაზ არჯევანიძე, რომელიც დაუფიქრებლად, რაიმე ყოყმანის გარეშე ღებულობს საპასუხისმგებლო თანამდებობას. იგი პატიოსანი, თავმდაბალი, შრომისმოყვარე და უპრეტენზიო ადამიანია. როდესაც დანიშვნა მიიღო, იგი იმდენად თავის თავს არ ენდო, რამდენადაც გამოცდილი მეშახტის — სარდიონის ავტორიტეტს. თეიმურაზი მოვლენათა დინებას მიჰყვება. ასეთი სიტუაცია რომანის ავტორს საშუალებას აძლევს შეეხოს ისეთ ზნეობრივ პრობლემას, როგორიცაა ადამიანის პასუხისმგებლობა თავის არჩევანსა და შედეგებზე, ადამიანის საზოგადოებრივი სიმწიფე და პიროვნებისა და საზოგადოების მჭიდრო ურთიერთკავშირი.

რომანის სტრუქტურას არა საბრალდებო განაჩენის, არამედ *ზნეობრივი გამოძიების* პრინციპი განაპირობებს. მკითხველი ზნეობრივ ჭეშმარიტებათა ძიების მოწმე ხდება. დავუკვირდეთ ამ თვალსაზრისით რომანის ერთ-ერთ რთულ და მრავალფეროვან პერსონაჟს — ჯიბრაილ ხელთუფლიშვილს. იგი უბრალო, თავმდაბალი ვაჟკაცია, რომელსაც მდიდარი სული აქვს. მას ყველა პატივისცემით ეპყრობა. მის სიტყვასა და საქმეს ყველა აფასებს. სოფლიდან ჩამოსულ ჯიბრაილს ცხოვრების იოლი გზა არ უძებნია. მან შახტს მიაშურა, სადაც მალე მოიხვეჭა საყოველთაო პატივისცემა. ავტორი არც ამ გმირის მიმართ ღალატობს თავის პრინციპს. ჯიბრაილი მრავალ კრიტიკულ სიტუაციაში გვევლინება. მას თანამდებობიდან უსამართლოდ ხსნიან. იგი ვერ უძლებს ამ გამოცდას. იგი თავის უბანს ბედის ანაბარა მიატოვებს. შეცდომას შეცდომაც მოსდევს. ჯიბრაელი უკუღმართი გზით ცდილობს ათწლედის ატესტატის მოპოვებას. მწერალი აქაც მრავალი მიმართულებით წარმოებულ „ზნეობრივ ანალიზს“ მიმართავს, რათა ნათელყოს პერსონაჟის მოქმედების შინაგანი მოტივები, გამოავლინოს მისი ბუნების სხვადასხვა მხარე. მკითხველისათვის ნათელი ხდება, რომ ხელთუფლიშვილის პირველი შეცდომა უსამართლოდ შეურაცხყოფილი თავმოყვარეობისა და გათელილი ღირსების ჯანყია, ხოლო მეორე მცდარი ნაბიჯი — დათმობა ცოლის წინაშე, ურომლისოდ სიცოცხლე ვერც კი წარმოუდგენია. რაც უფრო ახლოს ვეცნობით ჯიბრაილის ქმედებათა მოტივებს, მით უფრო გვიძნელდება ერთგვაროვანი, ერთნიშნა და პირდაპირი ახსნა მოვუძებნოთ მის შეცდომებს. ერთი კი აშკარაა: მკითხველის წინაშე ჯიბრაილი წარმოდგება მდიდარი სულის ადამიანად, რომელიც შეურაცხყოფისა და დამცირებისაგან წონასწორობადაკარგული თანდათან კვლავ წელში იმართება და დაღუპვის ფასად ამკვიდრებს თავის ადამიანურ ღირსებას. ხელთუფლიშვილის სიკვდილი რომანის ემოციური მწვერვალია, საიდანაც უფრო ნათლად მოჩანს პერსონაჟთა რთულ პერიპეტიებში გამოვლენილი ზნეობრივი გაკვეთილი.

ასევე ზნეობრივი კუთხით გვევლინება არაერთი აშკარად „უარყოფითი“ პერსონაჟი. მათ შორის ყველაზე მეტ ანტიპატიას მირზა ჭირაქაძე იმსახურებს, რომლის ინტელიგენტური ნიღბის მიღმა კაცთმოძულე ეგოისტი იმალება. საინტერესოდ არის გახსნილი თაზო ბულესკირიას ხასიათი. მკითხველი თვალნათლივ ხედავს, რომ თაზოს — გზააბნეულ და წონასწორობადაკარგულ ახალგაზრდას, ბევრი მიზეზი აქვს, რათა ადამიანებს უნდობლად და ზიზღითაც კი უცქეროდეს. ერთ-ერთი ამ მიზეზთაგანია დედამისი — ყოველგვარი მორალური ღირებულებისადმი გულგრილი ქალი. უარყოფითი ხასიათების გამომზეურებას თავისი მორალური ფუნქცია აკისრია. გავიხსენოთ როგორ ირეკლება და ზოგჯერ წარუშლელ კვალსაც კი ტოვებს არაერთი პატიოსანი და უანგარო ადამიანის განწყობილებასა და ხასიათზე მეშახტეთა წრეს მიტმასნებული მომხვეჭი ადამიანის — ანთიმოზ ჩახუნაშვილის საქციელი.

მკითხველს არაერთი დრამატული და ტრაგიკული ეპიზოდი შეძრავს, მაგრამ ეს ტრაგიკული ელემენტი რომანში აბსოლუტიზებული როდია, არამედ ცხოვრების ერთ-ერთ საწყისად არის წარმოდგენილი. აქვე უნდა ვეძებოთ პასუხი იმ კითხვაზე, რომელიც შეიძლება წამოგვეჭრას: ძალიან ხშირად ხომ არ ცდებიან რომანის გმირები? მაგრამ რომანის არც ერთი პერსონაჟი არ არის „იდეალური“. მათი შეცდომები ცხოვრებაში საპირისპირო ძალთა ჭიდილისა და სალი ზნეობრივი მრწამსის ნათელყოფას ემსახურება. რომანის პათოსი გმირული და ამაღლებულია, ვინაიდან ცხოვრების, საზოგადოების ხასიათს თვით ადამიანები განსაზღვრავენ. „გვიმრის ფოთლების“ ღირსებას განაპირობებს არა თემის არჩევანი, არამედ ზნეობრივი ძიებანი სოციალურ ვითარებაში. რომანის ჰუმანიზმს განსაზღვრავს მწერლის ღრმა ინტერესი პიროვნებისა და ჭეშმარიტების ძიებისადმი.

ირაკლი კენჭოშვილი

ფასი 80 კაპ.

ინდექსი
76128

# „МНАТОБИ“

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ